რაფიელ მამულაშვილი

პიესები

თბილისი

წინამდებარე ელექტრონული ვერსია არის რაფიელ მამულაშვილის პიესების კრებული, რომელიც ავტორმა სხვადასხვა წლებში დაწერა. მისმა ქალიშვილმა თამარ მამულაშვილმა ერთად მოუყარა თავი და ერთ ელექტრონულ წიგნად აკინძა.

გამოცდა

დრამა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები

ვიქტორი – **სკოლის დირექტორი**
რუსუდანი
დიმიტრი
კლარა – **მასწავლებლები**

თამარი
ირმა
ლალი
ჯონი
ბადრი
კახა
ბიძინა – **მეათეკლასელები**

ასმათი – **თამარის ბებია**
ეკა – **ლალის დედა**
მაგნოლია – **ჯონის დედა**
ბუხუტი – **ირმას მამა**
ელდარი – **კახას მამა**
ტრიფონი – **ბადრის მამა**

პირველი მოქმედება

საკლასო ოთახის კედელზე ნახშირით წერია: „თამაზ მასწავლებელი არ გვინდა! მეათე მესამე“. მთელი სპექტაკლის მანძილზე განათებულია ეს წარწერა.

ავანსცენაზე გამოდიან: რუსუდანი, კლარა, დიმიტრი, ვიქტორი.

ვიქტორი – სიწყნარე, ბავშვებო! *(აშკარაა, სათქმელი მომზადებული აქვს, მაგრამ მაინც შეყოვნდა)* დღეს თქვენმა კლასმა ჩაიდინა დანაშაული. მე ვიტყოდი, გაუგონარი, სამარცხვინო და სასკანდალო დანაშაული. ამით ჩვენს სკოლას წარუხოცელი ლაქა დააჩნდება. თქვენ ეს ოდნავადაც არ შეგაწუხებთ, მე ვიცი. მაგრამ ჩვენ მოწოდებული ვართ, ჩვენი სკოლის პრესტიჟი დავიცვათ. მაშ, ასე, დანაშაული სახეზეა, დამნაშავე თქვენს შორისაა *(მიუბრუნდა თანმხლებ პირებს. ყველას გასაგონად)* უმჯობესია, თვითონ აღიარონ. *(ისევ მაყურებელს)* ჩვენ არავის გამოვარჩევთ, სიით ამოვიკითხავთ; *(ისევ თანმხლებ პირებს)* ხუთი კაცი, არა? *(პასუხს არ დაუცადა)* იყოს ხუთი. *(რუსუდანს)* მომეცით ჟურნალი, გეთაყვა. *(რუსუდანს ჟურნალი გამოართვა. კითხულობს)*

აბზიანიძე ბადრი.

ბახტაძე თამარი.

გაჩეჩილაძე ლალი.

ვაჩეიშვილი ირმა.

ზარიძე კახა.

(ხუთივე ზვარაკებივით ავიდა სცენაზე. ვიქტორმა ყველას დაკვირვებული მზერა შეაგება). ეს ხუთი დარჩეს დღეს. შესაძლოა, ამაღამაც. ვიდრე დამნაშავეს არ დაასახელებენ. *(რუსუდანს)* გეთაყვა, თქვენ ამათ მშობლებს დაუკავშირდით, რომ არ ინერვიულონ. გადაეცით, რომ მათი შვილების ბედი საიმედო ხელშია. *(ხუთ ბავშვს)* ბოდიშს გიხდით, ჩემი ბრალი არაა, რომ თქვენი გვარი „ა“–„ბ“–ზე იწყება. თქვენს ხელთაა თქვენი ბედიც და ამხანაგებისაც. დამნაშავეს არ დაასახელებთ, დაისჯებით. დაისჯება კლასიც. გაამხელთ დამნაშავის ვინაობას, თქვენც თავისუფალი იქნებით, კლასიც. დაისჯება მხოლოდ ერთი. ერთისთვის კი არ ღირს კოლექტივის გაწირვა. *(რუსუდანს)* გთხოვთ, ამ ხუთ წარმომადგენელს მოფიქრების საუკეთესო პირობები შეუქმნათ.

კახა – მე სიაში მეშვიდე ვწერივარ, პატივცემულო...

ვიქტორი – რა ჩემი ბრალია, რომ არეშიძე და ბაბუნაშვილი დღეს საერთოდ არ მობრძანდნენ სკოლაში? *(რუსუდანს)* ამ გაცდენების მიზეზი ხვალ დილისთვის დამიზუსტეთ. წაიყვანეთ ბავშვები. *(რუსუდანმა ბავშვები გაიყვანა).*

ჯონი – *(პარტერიდან)* სია ქვემოდან რატომ არ ამოიკითხეთ?

ვიქტორი – რა ბრძანეთ?

ჯონი – ხომ სულერთია, სია ქვემოდან რატომ არ ამოიკითხეთ?

ვიქტორი – *(გაოცება გაითამაშა)* ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ჯონი – აქვს. მაგ ხუთში სამი გოგოა. სიის ბოლოში სულ ბიჭებია.

ვიქტორი – აჰა! თქვენ უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, არ გათქვათ დამნაშავე და ფიქრობთ, გოგონები გატყდებიან. თქვენ სიის ბოლოში ხართ?

ჯონი – წივწივაძე ვარ.

ვიქტორი – ამობრძანდით! *(ჯონი სცენაზე ავიდა)* იყოს ექვსი. იჩქარეთ, გაჰყევით რუსუდან მასწავლებელს! (*საათზე დაიხედა)* ექვსი სრულდება. ერთი საათი დრო მომიცია.

სამასწავლებლო. კედლის საათი შვიდჯერ რეკავს. ექვსი მძევალი, ეტყობა, დაღლილა. ლალი ღია ფანჯარასთან დგას. მოუსვენრობს. კახა სავარძელში გალურსულა და ჭერს შესცქერის. თამარი კარებთან დგას და გულისყურით აქაც არის და გარეთაც. ბადრი განმარტოებით ზის. დროდადრო ფანჯრისკენ იხედება. ჯონი რიგრიგობით ათვალიერებს ამხანაგებს. მხოლოდ ირმაა მშვიდად, მუხლებზე წიგნი დაუდვია და ჩასჩერებია.

თამარი – ჩამი-ჩუმი ალ ისმის.

ბადრი – ნერვებზე თამაშობენ!

ჯონი – ვნახოთ, ვის უფრო მაგარი ნერვები აქვს! *(ბადრიმ ერთბაშად მაგიდას მუშტი დაჰკრა. ყველამ გაკვირვებით შეხედა. ლალიც შეკრთა და შემობრუნდა).*

ბადრი – *(გაღიზიანებული)* რა იყო, რას შემომაშტერდით?

ირმა – *(მუხლებიდან გადმოვარდნილი წიგნი აიღო, პირზე ხელი აიფარა და თამარს-ხმადაბლა)* ვაიმე! ახლა რომ კედელზე გავიდეს!

ჯონი – რა მოგივიდა, ბიჭო, გარეკე?

ბადრი – *(გაბრაზებით)* თუ აქა ვართ, აქ ვიყოთ!

ჯონი – *(გაოცებული, დაბნეულიც)* აქ არა ვართ, ბიჭო? ვინმე წავიდა?

ბადრი – *(დაცხრა, ხელი ჩაიქნია)* კაი, თუ ძმა ხარ! ბოდიში!

კახა – *(გაცეცხლებული)* არა, სხვები რაღა ნამუსით წავიდნენ?

ჯონი – ის სხვები რომ დაეტოვათ, შენ მოუცდიდი?

კახა – დილას მთელი საათი თეთრი დათვივით ვწრიალებდი: წავიდე – არ წავიდე. რამ წამომათრია სკოლაში! აგე, არეშიძე და ბაბუნაშვილი, ხომ გადარჩნენ?

ირმა – ჯერ არავინ იცის, გადარჩნენ თუ არა.

ჯონი – ჩვენ რომ კარგი ხალხი ვიყოთ, შენ ახლა კუთხეში უნდა ეგდო და ღრიალებდე.

კახა – ვა, რასა ბრძანებთ?

ჯონი – არ უნდა იცოდე, რას ლაპარაკობ? ხომ ჩაუშვი ახლა ეგ ორი ბიჭი?

კახა – უსინდისო ვიყო, ეგენი სულ არ გამხსენებია. დირექტორმა რომ თქვა, ხუთი კაცი საკმარისია, მეგონა გადავრჩი. მე ხომ ვიცი, რომ სიაში მეშვიდე ვარ? რომ გამიძახა, გავგიჟდი!

ჯონი – დიდი შეღავათი! ვიღაცას შენს მაგიერ ხომ სწირავდი?

კახა – კარგი ერთი, რა ყველაფრის გაზვიადება იცი ხოლმე?

ჯონი – ჰოდა, ეგდე ახლა აქ, ჩვენთან ერთად.

თამარი – მოდიან! *(სწრაფად მოსცილდა კარს. შემოდის რუსუდანი)*

რუსუდანი – უკვე შვიდი საათია.

ჯონი – კი. შვიდჯერ დარეკა.

რუსუდანი – დირექტორი პასუხს ელოდება.

ჯონი – აქ მობრძანდება, თუ ჩენ ვეახლოთ?

რუსუდანი – მოიფიქრეთ?

ჯონი – რა?

რუსუდანი – პასუხი.

ჯონი – რა მოფიქრება უნდა? ყველამ დაინახა, ვინც დაწერა.

ბადრი – მე არ დამინახავს!

თამარი – ალც მე!

ირმა – მე რომ კლასში შევედი, უკვე ეწერა.

რუსუდანი – ლალი, შენ არ დაგინახავს, ვინ დაწერა?

ლალი – არ დამინახავს.

რუსუდანი – *(აგზნებული)* შენა, კახა, არც შენ დაგინახავს?

კახა – მე ის ვიცი, რომ მე არ დამიწერია.

რუსუდანი – დირექტორი ასე იოლად არ მოგეშვებათ. თქვენ იცით მისი ხასიათი. ყველას გათქმევინებთ.

ჯონი – სცადოს. ჩვენ აქა ვართ.

რუსუდანი– გათენებას აქ აპირებთ?

ჯონი – რა მოხდა? დილით ხომ მაინც მოსასვლელები ვართ!

კახა – *(ჯონის)* მოიცა, თუ ძმა ხარ! *(რუსუდანს)* მე, მე რა შუაში ვარ? მე ხომ არ დამიწერია? ჩვენს ნაწერებს ხომ ასწორებთ? მე ასეთი ხელი მაქვს? თქვენ კარგად იცით, ვინ დაწერა! ბიჭოს! ჩვენი ხელით უნდათ ეკალი მოგლიჯონ!

რუსუდანი – ბავშვი ხარ, კახა, სულელი ბავშვი!

ვიქტორი – *(შემოვიდა)* ძალიან გაგიგრძელდათ საუბარი. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ხვალ სამუშაო დღეა?

რუსუდანი – არავის სურს, გათქვას ამხანაგი.

ვიქტორი – თქვენ გეშლებათ. ის ამხანაგი არ არის, ის დამნაშავეა და ამ ახალგაზრდებთან საერთო არაფერი აქვს. გულახდილობა ძალიან ძნელია, როდესაც ყველა გვისმენს. მე მოვიფიქრე ჩვენი ურთიერთობის პროგრესული მეთოდი. სათითაოდ მობრძანდით ჩემთან. ჩვენს შორის თქმული საიდუმლოდ დარჩება. გაძლევთ ამის პირობას. მაგრამ თუ ეს დრო უშედეგოდ დაგვაკარგვინეთ, მე ურთიერთობის სხვა ფორმებიც ვიცი. *(გავიდა, გაჰყვა რუსუდანი).*

ბადრი – *(ჯონის მიეჭრა)* ბიჭო, რამ გათქმევინა, ყველამ დაინახაო?

ჯონი – შენ სულელი ხარ! ვინ დაიჯერებს, კაცმა ამხელა ასოები დაწეროს კედელზე და არავინ დაინახოს?

ბადრი – მე არ დამინახავს!

ჯონი – არ დაგინახავს?

ბადრი – არა!

ჯონი – რომ არ გადმოვარდნილიყო, სკამს ხომ შენ უჭერდი?

ბადრი – მაგრამ ზედ ვინ იდგა, არ შემიხედავს.

ჯონი – ხომ უყვიროდი, ჩქარაო?

ბადრი – ვა! ზარი დაირეკა და ფანტომასი რაკეტასავით გამოვარდება ხოლმე სამასწავლებლოდან.

ჯონი – მართალი ხარ. რომ არ შემოესწრო, ამიტომ აჩქარებდი. მაგრამ თუ არ დაგინახავს, სკამზე ვინ იდგა, სახელით როგორღა მიმართავდი? *(წამიერი პაუზა)* ჰო, თქვი! იმედო, ჩქარაო, არ უყვიროდი?

თამარი – ჩუმად, ბიჭებო! *(გარეთ გაიხედა, მალევე შემობრუნდა)* იმათ თუ გავაგებინეთ, ლა გამოვიდა?

კახა – ჯონი მართალია. იმათ ყველაფერი იციან...

ბადრი – *(შეაწყვეტინა)* შენ გაჩერდი!

ირმა – რა იციან?

კახა – *(შეყოვნდა)* რომ... ჩვენ... ყველაფერი ვიცით. ისინი, უბრალოდ, გვცდიან.

ჯონი – არა ჯობია, სიმართლე თქვა?! *(გააჯავრა)* „არ დამინახავს!“ მე შენც დაგინახე, სკამი როგორ გეჭირა, ისიც დავინახე, როგორ წერდა, მაგრამ აბა, მათქმევინონ, სიტყვა დამაცდენინონ! შენ კი ლაჩარი ხარ!

ბადრი – ვინ არის ლაჩარი!

ირმა – ახლა ჩვენ ეგ ჩხუბი გვინდა? ჩვენ მუშტივით უნდა შევიკრათ.

ბადრი – მუშტი ხუთი თითისაგან იკვრება. ჩვენ ხუთნი ვიყავით. ეს მეექვსე შემოგვემატა და დისონანსი შემოიტანა.

ჯონი – *(გაიღიმა, მშვიდად)* გველოდებიან. ჩვენც ანბანით დავიწყოთ?

კახა – ბიჭებო, ჯერ მე შევალ? აი, ბილეთი მაქვს. რვაზე ფეხბურთი იწყება. გეხვეწებით, რა?

ბადრი – დაჯექი აქ, შენზე ნაკლებად არავის უყვარს ფეხბურთი!

ლალი – თუ შეიძლება, ჯენტლმენობა გამოიჩინეთ!.. მე ახლა... სხვაგან უნდა ვყოფილიყავი.

ჯონი – კი, ლალი, შენი ჭირიმე!

თამარი – ალ გეშინია, ლალი? ჯელ ბიჭები გაუშვი!

ლალი – შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, თამრიკო. *(კარისკენ მიდის).*

ბადრი – ეგ ოღონდ დროით იყოს იქ, სადაც ელიან და ერთ წუთში ყველას ეშაფოტზე გაგვაგზავნის!

ლალი – *(მობრუნდა. გულნატკენმა – ზიზღით)* ეშაფოტზე გმირებს აგზავნიან. შენ ეშაფოტისა ნუ გეშინია! *(სწრაფად გავიდა)*

თამარი – ვაიმე, დაიწყო! მე სულ ბოლოს ლა, ბიჭებო?

ბადრი – *(ჩამკვდარია, თავისთვის)* ლაჩარი! ლაჩარი ვინც არის, გაჩვენებ!

ჯონი – ბიჭო, ამ ბოლო დროს რანაირი გაბრაზება ისწავლე?

ბადრი – *(უცებ)* მოიცა, ახლა გამახსენდა! შენ რა დაინახე, სკამი ვის ეჭირა და ვინა წერდა? *(ამხანაგებს)* ეს იქ როდის იყო?

ჯონი – *(გაიღიმა)* აბა, თამლო, კარებთან დადექი, ცოტა გავაბოლოთ.

თამარი – გაგიჟდი? ახლა „ვინ მოწიაო“, იმის დაკითხვა მინდა?

ბადრი – *(ჯონის)* არა, მითხარი, იქ როდის იყავი? *(ამხანაგებს)* კედელზე დაიწერა მასწავლებლის შემოსვლამდე. ეს რომ ფეთიანივით შემოვარდა, ნახევარი გაკვეთილი გასული იყო.

თამარი – ჰო, მაგ დლოს მე უკვე ოლიანი მეწელა!

ირმა – მართალია, ხომ იცი! *(ჯონის)* დავიფიცეთ, არავის ეთქვა. შენ საიდან გაიგე?

ბადრი – (ჯონის) ვინ ჩაგიკაკლა ეგრე ზუსტად?

კახა – *(ბადრის)* ნეტა შენა, საქმე გამოგლევია! ბიჭო, დროში ვიწვი!

ბადრი – *(ჯონის ჯიუტად)* არა, ვინ გითხრა, შენს მოსვლამდე რაც მოხდა?

ჯონი – შენ.

ბადრი – მე?

ჯონი – დიახ.

ბადრი – მე გითხარი?

ჯონი – ჰო, მოწმეებიც მყავს.

ბადრი – დამისახელე!

ჯონი – კეთილი. წედან შენ თვითონ აღიარე, სკამი მე მეჭირაო, არ გადათქვა. სკამი მეჭირა, ოღონდ ზედ ვინ იდგა, არ შემიხედავსო, ხომ ასე თქვი? ახლა შემდეგ. ვინც სკამზე იდგა, იმას ვაჩქარებდი, ფანტომასმა არ შემოგვისწროს, სამასწავლებლოდან რაკეტასავით გამორბისო... მე ხომ არაფერს ვუმატებ? მაშასადამე, მეთანხმები. ალალბედზე იმედო ვახსენე, „იმედო, ჩქარაო“, უყვიროდი–მეთქი, გახსოვს? შენ უცებ დაიჯერე, რომ მეც იქ ვიყავი და აღარ შემეკამათე. ესე იგი, შენ უკვე გაეცი იმედო. სანდო პიროვნება არა ხარ.

ბადრი – ჯონი, იცოდე, გაგარტყამ!

ჯონი – კარგ ხურდასაც მიიღებ!

ბადრი – მივიღო! *(გოგონები აშოშმინებენ).*

ირმა – არა გრცხვენიათ? ახლა მაგის დროა? და საერთოდ, რას აიჩემეთ ეს იმედო? იმედო იქ სულაც არ იყო, *(ჯონის)* შენ ერთი ფეხით შემოგასწრო კლასში.

ჯონი – ხომ არ სტყუი, ლამაზო? რომ შევამოწმო? დოკუმენტი არსებობს. მე დავიგვიანე და ჟურნალში „არა“ მიწერია. თუ იმედომ კლასში მართლა ერთი ფეხით შემასწრო, მასაც უნდა ეწეროს „არა“. მით უმეტეს, სიაში ჩემზე კარგა ზემოთ წერია. „არა“ რომ არ ეწეროს, სად გარბიხარ?

თამარი – *(აღმოაჩინა)* ვაი! ახლა ჩავწელოთ!

ჯონი – *(ბადრიზე)* ამ ყმაწვილმა თქვა, რომ მე თქვენში დისონანსი შემოვიტანე. დებილებში თუ დისონანს შევიტან, ესე იგი მათგან განვსხვავდები. ამას რა სჯობს? აი, ახლა თამრიკომ ერთ წამოკივლებაში ორი

შეცდომა დაუშვა, რითიც კვლავ ამტკიცებს, რომ წარწერის ავტორი იმედია. რატომ სხვას არ ჩაუწერთ „არას“? იმიტომ რომ სხვას მხილება არ ემუქრება, იმედოს კი ალიბი სჭირდება. მაშასადამე, თუმცა ერთმანეთს შეჰფიცეთ, იმედო არ გავთქვათო, თქვენ ყველამ უკვე გათქვით. დასკვნა: მე რომ არ დავრჩენილიყავი, იმედო უკვე სახრჩობელაზე იქნებოდა. როგორ ფიქრობ, დირექტორი ისეთი ჩიტია, რომ თქვენი აბდაუბდისგან თავის სასარგებლო დასკვნებს ვერ გამოიტანს?

თამარი – კაი ჩემი მეოლე შეცდომა ლაში მდგომარეობს?

ჯონი – რაში? რომ წამოიკივლე, იმედოს „არა“ ახლა ჩავწეროთ ჟურნალშიო, როგორ უნდა ჩაწერო?

თამარი – პასტითა. ასე, ლამაზადა!

ჯონი – ჟურნალი სად არის?

თამარი – უი, დილექტოლს აქვს!

ჯონი – *(გაიცინა)* უი შენ და სიკვდილი! დარწმუნდი, რომ შტერი ხარ?

ირმა – კარგი ახლა, ლანძღვას მოეშვი, გვიბრძანე, რა ვქნათ?

ჯონი – რაც ამ ერთი საათის წინ გითხარით. დავინახეთ, ბატონო, ვინც დაწერა, მაგრამ არ ვიტყვით. ჩამოგვახრჩვეთ!

თამარი – მალთალია! ალ ვიტყვი. მომკალი და ალ ვიტყვი!

კახა – ეჰ, გაჯანჯლდა საქმე! *(ჯონის)* კაცო, ჟურნალში „არა“ გიწერია. ესე იგი შენ არაფერ შუაში ხარ. პასუხსაც ვერავინ მოგთხოვდა, რა ძალა გადგა?

ირმა – მოდი, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე! ამ კაცმა თავისი სოლიდარობით გაგვასალკლდევა, როგორც... როგორც ვინა, თამრო?

თამარი – პლომეთე.

ირმა – ისეთი სახელი მაინცა თქვი, „რ“ რომ არ ერიოს!

ჯონი – თამრიკოს დასცინე და ფონეტიკაში ყველას გვჯობნიდა. ქართულში მაგისთვის 34 ასოა და ანბანს ადვილად იხსომებდა.

კახა – *(გაღიზიანებული)* რას უშვრებიან ამდენ ხანს იმ გოგოს? „არ ვიცის“ თქმას ამდენი ბოდიში რად უნდა?.. რვის ნახევარი სრულდება. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ახლა მე აქ რად უნდა ვიყო? ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ჩემი გვარი ზარიძეა და არა ჯღამაძე... დილას ერთი საათი ვწრიალებდი: წავიდე-არ წავიდე! ის დალოცვილიც რომ წერდა, რას წერდა? იმის ნებაზე ვინ ივლის? თამაზ მასწავლებელი კლასში თუ არ შემოვუშვით, სხვას ვერ მონახავენ? ამით რა შეიცვლება? ან ისეთი რა დააშავა? ქრთამი აიღო? უსამართლოდ მოექცა ვინმეს?

თამარი – პილიქით, ლოგოლ გვიყვალდა!

კახა – აგაშენა ღმერთმა! და ყველასათვის საყვარელ მასწავლებელს კლასში არ ვუშვებთ! იმიტომ, რომ ერთმა ასე მოისურვა და ამ ერთის

გულისთვის ახლა ყველანი ვისჯებით! იმ ერთს კიდევ ვაუკაცობა არ ჰყოფნის, თვითონ გამოცხადდეს და დანაშაული აღიაროს!

თამარი – *(გაკაპასებული)* ვისა? იმას ვაუკაცობა ალა ჰყოფნის?

ირმა – ის კი არ უნდა გამოცხადებულიყო, მთელი კლასი უნდა დარჩენილიყო ჩვენთან ერთად. ეს იქნებოდა სოლიდარობა!

ჯონი – მართალი ხარ. მე თუმცა იმედოს არ ვამართლებ...

თამარი – *(გააწყვეტინა)* ლას ჩააცივდი ამ იმედოს!

ჯონი – აქ უცხო ხომ არავინაა, ჩვენს შორის ვამბობ. მე არ ვემხრობი ამ გადაწყვეტილებას. მე თამაზი ყველა მასწავლებელს მირჩევნია, მაგრამ რაკი ვთქვი „არა“ – მორჩა, ბოლომდე უნდა გავიტანოთ. ბოლოსდაბოლოს, ქალები ხომ არა ვართ?

ირმა – რაო ქალები? მა შუშანიკი?

ჯონი – მა თიმსალ-მაკო?

თამარი – მა ჯაჯალა?

ირმა – მა წოწოლა?

თამარი – მა კლალა?

ჯონი – ვინ კლალა?

თამარი – ცეტკინი.

ჯონი – *(სიცილით)* მაჯობეთ! იმიტომ კი არა, კაცებს ვერ ჩამოვთვლიდი, ისე დამაყარეთ, სიტყვა ვერ ჩავსვი. *(ბადრიზე და კახაზე)* ესენიც არ მომეხმარნენ.

კახა – თქვენ გეხუმრებათ, ახლა ჩემს გულშიც ჩამოიხედეთ! ისე, ლალიმ რომ გათქვას, ყველას ხომ გაგიშვებენ? ფეხბურთსაც მივუსწრებ. ლალისაც პაემანზე ეჩქარება... დავუშვათ, ლალიმ იმედო გათქვა. ეს ხომ დაბეზღება არ იქნება? იმათ ხომ უჩვენოდაც კარგად იციან, რომ იმედომ დაწერა? არა, ეს დაბეზღება არ იქნება, ეს იქნება ყველაზე რეალური... მოიცა, არ გადამყლაპოთ, გავიხუმრე.

თამარი – ლალი ვაუკაცი გოგოა!

კახა – სუფრაზე და ძილში ყველანი ვაუკაცები ვართ.

ჯონი – მოიცა, ყველას შენი არშინით ნუ ზომავ. *(თამარს)* ახლა შენ რა თქვი?

თამარი – ლა ვთქვი, ბიჭო, კიდევ ლამე წამომცდა?

ჯონი – *(მუქარით)* ჰო!

თამარი – მე ვთქვი, ლალი ვაუკაცი გოგოა!

ჯონი – აი, ეგა! თუ ქალები მამაკაცებს სჯობიხართ, ლალი რად შეადარე ვაუკაცს? ესე იგი, კაცი ეტალონია, უმაღლესი კატეგორიის არსება!

ირმა – თუ ეგეთი მაგრები ხართ, ნარიყალას თავზე რატომ კაცი არ დააყენეს ყანწითა და ფიალითა?

თამარი – *(კამათის აზარტშია)* ჰო, გოგო, აბა უყულე, ქალზე ლაა: დედაენა, დედობოძი, დედამიწა, დედაქალაქი... ამათზე? მამაძაღლი! *(ლალი შემოდის აღელვებული, ტირილი წასკდა. საერთო დაბნეულობა).*

თამარი – *(ბოლოს გაერკვნენ, მისცვივდნენ)* ლალი, რატომ ტილი? ლა გითხლეს?

ირმა – გოგო, ხმა ამოიღე!

ლალი – *(სლუკუნით)* შემდეგიო!

თამარი – მელე, ამაზე ტილი?

ლალი – თავს მოვიკლავ! *(ისევ ამოუჯდა გული. ამხანაგები დაიბნენ).*

კახა – ხომ არ გამოგტეხეს?

ჯონი – რას მიჰქარავ! *(ლალის)* დაწყნარდი, აბა, შემომხედე! *(აღტყინებით)* მცოდნოდა, აქ რომ დაგვამწყვდევდნენ, თოკს ვიშოვნიდი და ამ ფანჯრიდან... მერე ვეძებნეთ!

ირმა – ლალი, რა გკითხეს, რა უპასუხე? იქ ვინ არიან, თამაზიც ესწრება?.. თუ ესწრება, რა უხერხულია!.. *(ლალი ისევ სლუკუნებს. მერე მივიდა ტელეფონთან. ნომერი აკრიფა, ყური მიუგდო. უცებ დააგდო ყურმილი და ფანჯარასთან მივიდა გაკერპებული. ტირილს ძლივს იკავებს)* თუ სადღაც ასე მიგეჩქარებოდა, აქ რაღად ბრუნდებოდი, და- კითხვიდან ეგრევე წასულიყავი.

ლალი – ვინ გამიშვა? კარი ჩაკეტილია.

თამარი – ლოგოლ, მალთლა დაგვაპატიმლეს? ეს ილანია და ჩვენ ამელიკელი მძევლები ვალთ? *(პაუზა. საერთო მოწყენა).*

კახა – არა, ძმაო, გმირობა და ვაჟკაცობა მე ცოტა სხვაგვარად მესმის. თუ საგმირო საქმეზე წავალ, მზად უნდა ვიყო სასჯელისთვის. სხვების ხარჯზე გმირობა ადვილია. არსენა ჯორჯიაშვილმა გრიაზნოვს რომ ყუმბარა ესროლა, თითი სხვისკენ არ მიუშვერია, თვითონ აგო პასუხი.

ჯონი – შენ გინდა თქვა, რომ იმედოზე მეტ გმირობას შენ სჩადიხარ?

კახა – აბა რა? მიუხედავად იმისა, რომ იმათ კარგად იციან, ვინც დაწერა, მე ახლ უნა შევიდე და ვთქვა: „არაფერი ვიცი–მეთქი!“

ჯონი – წადი, დროზე გამასწარი!

კახა – *(სწრაფად)* წავედი! *(გავიდა, თავი შემოყო)* ესეც გმირობაა, რომ მე რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. თქვენ კი ყველა ჩემნაირად ფიქრობთ, მაგრამ დებილებივით გასუსულხართ! *(დაიმალა)*

ჯონი – სულელია კახა. სცემო, როგორ სცემო, ათი წელი ერთ მერხზე გვძინებია... რა იყო, რა ყურები ჩამოყარეთ? თქვენც კახასავით ფიქრობთ? კახა შტერია, მთავარი ის კი არ არის, დაფნის გვირგვინს ვინ დაიდგამს, პრინციპია მთავარი და ის უნდა დავიცვათ. დავიცავთ კიდეც. ჩვენში ლაჩარი არავინაა.

ირმა – ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან.

ჯონი – დიდებული აზრი გამიჩნდა! *(ამხანაგებს ინტერესი არ გამოუხატავთ).*

თამარი – *(ზრდილობისთვის)* ლა აზლი?

ჯონი – ლილიკულ-მხატვლულ... შენ მომიკვდი, თამრიკო, შენს გადამკიდეს ენა მომეჩლიქა!

თამარი – განა ჩემი ბლალია? ლოგოლც კი ენა ამოვიდგი, დედა, ბებია, ენამოჩლექით მელაპალაკებოდნენ: თამლიკო, ცქლიალაო, ბულთიო, ლამაზიო... (უცებ მიხვდა) ალა, ლამაზი – ლამაზია, ეგლე უნდა. აქ „ლ“ ალ ულევია.. ზდაპალიო, იყო და ალა იყო-ლაო. დედას გეფიცებით, ბებიაც ენამოჩლექილია. მიეჩვია. მამა ამბობს, შენს გაჩენამდე სწოლე ლაპალაკობდაო. ასე დამაჩვიეს, მას მელე ვიმეოლებ იმათ ფლაზებსა და აზლებს!.. *(ტელეფონის ზარი).*

ჯონი – *(ყურმილი აიღო)* გისმენთ... დიახ, ბატონო... პედსაბჭო გვაქვს, გენაცვალე, ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს ვიხილავთ... როგორ? ოლიმპიადა! შეჯიბრი სიმღერაში, ცეკვაში... მე? ინსპექტორი გახლავართ რაიგანიდან... ვერ გეტყვით. შეაგვიანდება... შესაძლოა, დილამდე... *(ფრთხილად დადო ყურმილი და ეშმაკური ღიმილი გამობრუნდა)* გარინჩას დაურეკეს!

ირმა – ვინ დაურეკა?

ჯონი – ქმარმა.

ბადრი – ეგ კარგია. მაგათაც ხომ ეჩქარებათ? მალე მოგვეშვებიან.

ჯონი – ჰოდა, ამხანაგებო, როგორც მოგახსენეთ, მოვაწყოთ ლირიკულ-მხატვრული *(ეს სიტყვები დამარცვლით თქვა, კიდევ რომ არ შეშლოდა)* წუთშესვენება. რომ უფრო თამამად დავხვდეთ მოსისხლე მტრებს! თანახმა ხართ?

თამარი – ცალიელი ჭკუა ხალ!

ჯონი – მაშ ასე, მეათე მესამე კლასის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თამრიკო ბახტაძე.

თამარი – კაი ლა, ჯონი, ლა სულ მე მომვალდები ხოლმე?

ჯონი – *(ტრაგიკული ტონით)* სულ მალე ეშაფოტზე ამიყვანენ, ნუთუ უკანასკნელ თხოვნას არ შემისრულებ? *(თამარს გული მოელბო)* შემისრულებ თუ არა?

თამარი – *(ჯონისთან მივიდა, თავი მორჩილად დახარა)* მიბლძანე, შენი ხმალი და ჩემი კისელი.

ირმა – უიმე, კისელი როგორ მინდა!

თამარი – ხაჭაპული? ჩავილბენ და ამოვიტან.

ჯონი – კი გეთაყვა!

თამარი – ოღონდ დილექტოლმა გეთაყვა ალ იცოდეს! გეთაყვას ლომ მეუბნება, ვგიჟდები! ხომ ვიცი, იმ დლოს ჩემი გაპუტვა უნდა!

ირმა – ეჰ, რა დირექტორი გვყავდა, რომ არ ვაფასებდით! ეს ვინ მოგვიყვანეს!

ბადრი – ჩვენ ორიოდ თვეს როგორმე მივაძაღლებთ. ბრალი იმისი, ვინც ახლა პირველ კლასშია. ათი წელი გაძლება არ გინდა?

ჯონი – ამხანაგებო, საკითხს ნუ გადავუხვევთ. თამრიკო ბახტაძე წაიკითხავს გალაკტიონის ლექსს „ქარი ქრის“.

თამარი – *(შეიცხადა)* კაი ლა, ჯონი!

ირმა – თამრიკო, ხომ დასთანხმდი?

თამარი – გოგო, ამ ლექსში სულ „ლუებია“!
ჯონი – არ ვიცი, პირობა პირობაა.
თამარი – *(ერთბაშად დასერიოზულებული დიდი სითბოთი კითხულობს)*

ქალი ქლის, ქალი ქლის, ქალი ქლის,
ფოთლები მიჰქლიან ქალდაქალ...
ხეთა ლიგს, ხეთა ჯალს, ლკალად ხლის,
სადა ხალ, სადა ხალ, სადა ხალ?..
ლოგოლ წვიმს, ლოგოლ თოვს, ლოგოლ თოვს,
ველ გპოვებ ველასდლოს... ველასდლოს!..

(უცებ ლალის ტირილი წასკდა და სავარძელში ჩაემხო. ბადრიმ ფანჯრიდან გადაიხედა. მერე რადაცას გამწარებით დაუწყო ძებნა, კარადები გამოაღო, მათ უკან შეიხედა, მერე ფანჯრის ფარდები ხელით მოსინჯა. მერე მივიდა ლალისთან, მის წინ ჩაიმუხლა)

ბადრი – ლალი, ლალი!.. კიდევ არის შანსი, რომ მიასწრებ?
ლალი – *(უცებ)* ვისა?
ბადრი – სადაც მიგეჩქარებოდა... ფარდებს გადავაბამ ერთმანეთზე. რა, სულ სამი სართულია!
ლალი – *(თვალები შეიმშრალა, ადგა, გაიღიმა)* მე თქვენ არ დაგტოვებთ. *(თამარმა აკოცა).*
ჯონი – ლალი სიით ამოიკითხეს და შტრეიკბრეხერობა რომ არ გასწია, აკოცეს. მე კი ლიმიტით გაუთვალისწინებელი კაცი, ჩემი ნებით თავს ყულფში ვყოფ და კოცნას ვინ ჩივის, ვილანძღები!
თამარი – ვინა გლანძღავს?
ჯონი – შენა.
თამარი – მე? *(მიხვდა ხუმრობას და გაიცინა)* ლა მაიმუნი ხალ!
ჯონი – აჰა, ეგ ლანძღვა არ არის?
თამარი – ლატომ? მაიმუნისაგან წალმოვიშვით ჩვენ.
ჯონი – კაცო, ჩემი ნათესაობისა მე ვიცი.
ირმა – ჩემი ვარაუდით, კახას ლალიზე მეტად შეაგვიანდა.
თამარი – კი. ჩვენ კონცელტიც მოვასწალით.
ჯონი – არ მომწონს დაკითხვის ასეთი წესი!
ბადრი – *(ტელეფონს ეცა და ნომერი აკრიფა)* ბიძინას სთხოვეთ...
ჯონი – ბიძინა რად გინდა?
ბადრი – (ჯონის) უნდა მოვიდეს! *(ყურმილში)* რა ბრძანეთ? *(ყურმილი დადო)*
ირმა – რაო?
ბადრი – შინ არ არისო.
ირმა – თუ კარგადაა, დღეს სკოლაში რატომ არ მოვიდა?
ჯონი – იქნებ დაგიმალეს?
ბადრი – რატომ უნდა დაემალათ?

ლალი – დღეს რომ ბიძინა ყოფილიყო...

ჯონი – *(შეაწყვეტინა)* ახლა არა თქვა, იმედო აღარ დაწერდაო!

ლალი – ასეთ ინკვიზაციას ვეღარ მოგვიწყობდნენ.

ჯონი – რამდენჯერ მინატრია, რამე მაინც ამტკივდეს, ერთი კვირა მაინც დავისვენო. სიცხე, არ ვიცი, რა არის!

ირმა – აი, კახას კი, ახლა რომ სიცხე გაუზომო, თერმომეტრი აუორთქლდება!

თამარი – *(ზიზღით)* უჰ! ლო დადის, სისველეს ტოვებს ნაფეხულზე! სკოლაში გოგოებს შალვლის ჩაცმას გვიკრძალავენ, მაგას კი მეტლიკის ძალით ნება დალთული აქვს, სამალთალია?!

ბადრი – ჯონი! *(გვერდით გაიყვანა)* უკვე მეშინია.

ჯონი – რისი?

ბადრი – კახასი.

ჯონი – ძალიან კი დაიგვიანა.

ბადრი – გახსოვს, მეცხრეში იმედომ რომ მაგრა მიბეგვა?

ჯონი – ჰო, მაშინ მეც უნდა მეცემა, მაგრამ იმედომ დამასწრო. მაგრამ მერე ხომ შერიგდნენ?

ბადრი – ბოღმაა. ნეტა მართლა ჯდამაძე ყოფილიყო გვარად!

ჯონი – ვერ გაბედავს. ახლავე გაირკვევა. კახას შემდეგ თუ გაგვიშვეს, ესე იგი დაუფქვავს.

ბადრი – არა, შეიძლება არ გაგვიშვან. ეჭვი რომ არ ავიღოთ, აი, ნახე, დაკითხვას ბოლომდე განაგრძობენ.

ჯონი – მართალი ხარ, ხო იცი. ყოჩაღ ბადრი! ეგ ეშმაკობა კი ვერ ვიფიქრე. ესე იგი, კახამ რომც გათქვას, მაინც ყველას დაგვკითხავენ. ახლავე მოვალ *(გასვლას აპირებდა, რომ კარებში კახას შეეჯახა. კახა დაბნეული და ალმურმოკიდებულია. ბავშვები შემოეხვივნენ: „რა ქენი?“ „ძალიან გაბლაზებულია?“ „ჰა, ხმა ამოიღე!“ „ენა ამოგაგლიჯეს?“).*

კახა – *(ტელეფონის ნომრებს კრეფს)* ალო, საიდან არის?.. გიზო, სტადიონზე ხომ გინდოდა წასვლა? ბილეთი მიუქმდება... ჰო... სკოლიდან გირეკავ, რა ვიცი, არ მიშვებენ, ხომ იცი, ყველაფერი მე უნდა დამაბრალონ. სამასწავლებლოს ფანჯარასთან მოდი და გადმოგიგდებ.

ბადრი – *(ამხანაგებს)* ახლა მე წავალ... წუხელ მამას კიდევ ჰქონდა გულის შეტევა. რომ დავიგვიანო... წამალიც მისატანი მაქვს. *(ჯიბიდან წამლის კოლოფი ამოიღო)* თუმცა რა აზრი აქვს, როდის დამკითხავენ.

ჯონი – *(განგებ ხმამაღლა)* ვიდრე ყველას არ დაჰკითხავენ, არავის გაუშვებენ... არა, კახა?

კახა – რა ვიცი... *(გაოგნებულია)*

ბადრი– მოკლედ, მიშვებთ?

კახა – ნუ ჩქარობ, შემდეგიო, არ უბრძანებიათ.

ჯონი – რაო?

კახა – ანტრაქტი გამოაცხადეს.

ჯონი – როგორ თუ ანტრაქტი?

კახა – ტაიმ-აუტი აიღეს.

ჯონი – დაკითხვას აღარ განაგრძნობენ?

კახა – ვერ გეტყვი.

ჯონი – გასაგებად თქვი, რა ნაწილ-ნაწილ ისვრი სიტყვებს!

კახა – მოიცა, თუ ძმა ხარ, შენი დაკითხვა-და მაკლია!

ბადრი – ჩვენ დაგვიძახებენ?

კახა – რა დაუშლით?

ირმა – გაგვითენებია ღამე და ეგ არის!

თამარი – აი, დალდი! ხვალ გაკვეთილს ვეღალავინ მკითხავს!

კახა – ისე... წინასწარ გაფრთხილებთ. მერე გაუგებრობა რომ არ იყოს... ჩემი ბედისა მე ხომ ვიცი.

ჯონი – ჰო, რაო?

კახა – რა ვიცი... როგორ დავიჯერო...

ჯონი – ნუ დაგვტანჯე, ბოლომდე ამოთქვი!

კახა – იმათ ყველაფერი იციან.

თამარი – ლა იციან?

კახა – შენ გაჩერდი, თუ ხათრი გაქვს!

ჯონი – წესიერად გაგვაგებინე, თორემ ფანჯრიდან გადაგიშვი შენი ბილეთიანად.

კახა – *(წამოხტა შეშინებული, უკან დაიხია)* ეს ვინ არის, არ დაგვიწყო უფროსობა? ვინ გეხვეწებოდა, თავი გამოიდეო, ხუთნიც ვეყოფოდით, უფრო მალე დამთავრდებოდა ეს დაკითხვა!

ირმა – შე სულელო, ეს რომ არ ყოფილიყო, ხო „ლებედ რაკ და შჩუკა“ ვიქნებოდით?

ჯონი – მოიცათ ახლა! *(კახას)* რაღაცას ამბობდი.

კახა – მათქმევინებთ რო? *(ყოყმანობს)*

ბადრი – ჰო, აი, მიდი, გელოდებით.

კახა – ახლა ვინც შევა, იცოდეთ, მე არაფერ შუაში ვარ. მე რატომ უნდა დამბრალდეს?.. იმათ ყველაფერი იციან. შევედი თუ არა, ეგრევე მაჯახეს: იმედომ რომ დაწერა, შენ რატომ არ დაუშალეო. *(ყველა გაოგნდა).*

ჯონი – მაგითი რა გინდა თქვა?

კახა – თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა.

ბადრი – *(უცებ სახეში გაარტყა და მოსცილდა)* აი, ჩემი დასკვნა!

დირექტორის კაბინეტში. რუსუდანი, კლარა, დიმიტრი, ვიქტორი.

კლარა – *(ტელეფონში, მორიდებით, ცდილობს, სხვებისთვის საიდუმლოდ დარჩეს საუბრის შინაარსი)* არა, პედსაბჭო არა გვაქვს... რის ოლიმპიადა, ვინ გითხრა... *(თანამშრომლები შეათვალიერა)* ინსპექტორს აქ რა უნდა?.. ვერ გეტყვი, ერთი საათი მაინც... რეზიკო, ნუ გადამრევ, რომელ ინსპექტორზე მეუბნები?.. არა, წარმოდგენა არა მაქვს. მომხედე, მაცივარში ის არის... უკვე გამოიღე? მაგას სუნელი აკლია, ის ხომ იცი, სად არის? გაიხედე მარჯვნივ, – ჰო, ზემოთ, ზედა თაროზე... ეგენიც მოიხმარე, შინაურები არიან. ბოდიში მომხადე, საგანგებო შემთხვევაა, რა ვქნა... მანამ იქნებ მეც... ხომ გითხარი, ერთი საათი მაინც... აბა, არ გეწყინოს. მომხედე! მწნილი აივანზეა. ფრთხილად ამოიღე, ზემოდან ქვა ადევს... ქვა არ გადააგდო, ისევ დაადე და დააწექი. ქილა არ გატეხო... აბა, შენ იცი, გამაგრდი *(დადო ყურმილი და შეწუხებულმა გადახედა ამხანაგებს).*

ვიქტორი – *(ეტყობა, გაბეზრდა კლარას ლაპარაკით)* კიდევ ვის სურს, ისარგებლოს კავშირგაბმულობის სიკეთით? ბარემ მოათავეთ ყველამ.

კლარა – მაპატიეთ, ბატონო ვიქტორ, მოულოდნელად მოსულან სტუმრები, რა ქნას ახალგაზრდა კაცმა? გამოცდილ დიასახლისსაც უჭირს უეცარი სტუმრის გამასპინძლება.

ვიქტორი – რა საკითხსაც ახლა ვიხილავთ, უშუალოდ თქვენს კომპეტენციაში შედის.

კლარა – ხომ არ მივდივარ, თქვენთან ერთად არა ვარ?

ვიქტორი – ფიზიკურად კი.

დიმიტრი – ბატონო ვიქტორ, ძალიან გართულდა ცხოვრება! ქალბატონი კლარა ახლა მთელი არსებით შინ არის, დამერწმუნეთ, შინ როცაა, მთელი არსებით აქ არის. როგორღაც დაირღვა ადამიანის მთლიანობა, – ფიზიკურად ერთგანაა, სულიერად – სხვაგან.

ვიქტორი – იმიტომაც გვაქვს საქმე აწყობილი!

დიმიტრი – ჰოდა, თუ შინ გავუშვებთ, მადლს ვიზამთ.

ვიქტორი – ბატონო დიმიტრი, ასეთ საგანგებო საკითხს ვიხილავთ და დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით ნაწილში ქილიდან მწნილის ამოსაღებად რომ გავუშვა, თქვენ ამას სკოლის აბუჩად აგდებად არ ჩამითვლით?

დიმიტრი – რატომ? აქ ბრძანდება კლასის დამრიგებელი, თქვენ უზარმაზარი გამოცდილება გაქვთ, მეც ზოგჯერ ჭკუას მეკითხებიან, ქალბატონი კლარა კი, ალბათ, არ მიწყენს, სკოლას ჯერ სათანადოდ არ იცნობს და მის აქ ყოფნას უფრო ფორმალობა მოითხოვს, ვიდრე საქმე.

კლარა – ბატონო დიმიტრი, ახალბედა კი ვარ, მაგრამ ასე მთლად ხაზი რომ გადამისვით...

დიმიტრი – მთლად ხაზი ჯერ საკონტროლო წერაში დაშვებულ შეცდომებზე არ გადამისვამს, – იმის უკან ბავშვი დგას და არ მინდა, გული ვატკინო. ადამიანზე ხაზის გადასმა როგორ შეიძლება! აი, იმან კი, თქვენ რომ

გაგამწესათ დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, იმან ნამდვილად დააპირა თქვენთვის ხაზის გადასმა.

კლარა – ასე გგონიათ?

დიმიტრი – თქვენს ადგილზე მე უარს ვეტყოდი ჩემს კეთილისმსურველს.

კლარა – რა პრეტენზიები გაქვთ ჩემს მიმართ, ბატონო დიმიტრი?

ვიქტორი – გეთაყვა, კამათს მოვეშვათ, ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობის გასარკვევად არ დავრჩენილვართ.

დიმიტრი – *(გაღიზიანებული)* ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჯიუტად ვეძებთ დამნაშავესა და დანაშაულის მიზეზს ბავშვებში და მხოლოდ ბავშვებში!

ვიქტორი – ბატონმა დიმიტრიმ უსათუოდ ორიგინალური აზრი უნდა ისროლოს!

დიმიტრი – სამწუხაროა, რომ ეს აზრი ორიგინალურად მიგაჩნიათ! ვაზმა რომ არ იხაროს, გლეხი ვაზს კი არ დაუწყებს ცემას, დაფიქრდება, რა ცდა დავაკელი, რა წამალი, რა ოფლიო. გლეხი ბრძენია. იმიტომაც აქვს უფლება სიმღერისა – „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“.

ვიქტორი – მოითმინეთ! ბატონო დიმიტრი, გლეხისა და ვაზის კონფლიქტის ანალიზში თქვენს მხარეზე ვარ. მაგრამ როდემდე გვღრღნას ერთმა ტრადიციულმა მანკიერებამ – როდემდე უნდა ვცვივდებოდეთ ერთი უკიდურესობიდან მეორეში? პრესას ხომ კითხულობთ? რადიოს ხომ უსმენთ? რამდენი მაკარენკო – გოგებაშვილი გვყოლია! მთელი ჩვენი ცდა იქითკენაა მიმართული, დავაჩქაროთ მოზარდის პასუხისმგებლობის ჯირკვლის ატროფია! მეათეკლასელი დანაშაულს სჩადის და ამხელა ვირგლა ნიშნისმოგებით გულში მჯიღს იცემს: მე რა შუაში ვარ, სად იყო სკოლა, ოჯახი, საზოგადოებაო! და წინ დაგიდებს გაზეთის სტატიას. მეათეკლასელი კი დროა, პასუხს აგებდეს მთელი სიმკაცრით ჩადენილი დანაშაულის გამო. მეათეკლასელმა უნდა იცოდეს, ვისი გორისაა და რომ ყაზბეგმა ხევისბერი გოჩა უცხო ენიდან არ გადმოთარგმნა. ორიგინალია!

კლარა – სავსებით მართალია!

ვიქტორი – რა თქმა უნდა, ეს რომ ვთქვი, ოდნავადაც არ გამოვრიცხავ მოზრდილთა პასუხისმგებლობას.

კლარა – რასაკვირველია! პასუხი, პირველ რიგში უნდა ვაგოთ, აღმზრდელებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, უფროს კოლეგებს ხშირად უყვართ თითის მოშვერა უმცროსებზე. ხომ გასაგებია, ბატონო ვიქტორ, მომხდარ ინციდენტში დამნაშავენი ვყოფილვართ პატივცემული თამაზი და მე, როგორც თქვენი მოადგილე აღმზრდელობით ნაწილში. ბატონ დიმიტრის ახალგაზრდობა არ ჰყვარებია.

დიმიტრი – ახალგაზრდობისთვის ვცოცხლობ, ქალბატონო და ზოგ–ზოგივით გულგრილად ვერ ვლაპარაკობ მის ბედზე!

კლარა – არც ბატონ ვიქტორს უყვარს სხვაზე ნაკლებად ახალგაზრდობა, მაგრამ მამა-შვილური ტაქტი არ აკლია.

დიმიტრი – ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ ხელქვეითის ტაქტი არ გაკლიათ. *(ვიქტორს)* მე მაინც ვფიქრობ, რომ მომხდარი ამბის მიზეზი ჩვენში უნდა ვეძიოთ.

ვიქტორი – ბატონო დიმიტრი, თქვენ ასეთი ნატურა გაქვთ, საერთოდ, ასმა რომ აღიაროს ჭეშმარიტება – პანამის არხი დასავლეთ ნახევარსფეროზეაო, თქვენ იმ არხს აქეთ გადმოიტანთ.

დიმიტრი – გეოგრაფიაში ვერ შეგედავებით, მაგრამ მე მუდამ იმას ვცდილობ, ბავშვს არ დაველოდო და დავიძახო: „მეფე შიშველია“!

რუსუდანი – მე სავსებით ვემხრობი ბატონ დიმიტრის.

ვიქტორი – კლასის დამრიგებლის აზრი ძალზე ყურადსაღებია, მაგრამ მე ვშიშობ, რომ ბავშვები ჩვენზე ერთსულოვნები არიან. მოდი, ჯერ ჩვენ გამოვნახოთ საერთო ენა და მერე განვაგრძოთ ბავშვებთან საუბარი. *(კლარა უსიამოვნოდ შეიშმუშნა და ტელეფონს გადახედა)* მე აქ გამომგზავნეს იმისათვის, რომ ამ დაწესებულებას ვუხელმძღვანელო, ხელმძღვანელობა გამიძნელდება, თუ გვერდით თანამოაზრენი არ მეყოლებით. მე უფლება არა მაქვს, აზრები შეგაცვლევინოთ. ღმერთმა დამიფაროს ძალდატანებისგან, მაგრამ იმის უფლება კი მაქვს, თქვენი სურვილით დაწერილ განცხადებას რეზოლუცია დავადო. ეს ისე, სხვათა შორის, ახლა საქმეზე. მაშასადამე, დამნაშავე ჩვენს შორის უნდა ვეძებოთ. გისმენთ, ბატონო დიმიტრი.

დიმიტრი – შეიძლება ახლა განცხადებაც კი დამეწერა და თქვენთვის მომერთმია რეზოლუციის დასადებად, მაგრამ ეს პირადი საქმე არ არის და ასეთ დროს ადამიანმა შეურაცხყოფაც უნდა აიტანოს. ქალბატონო კლარა, თამაზ მასწავლებელს ჰქონდა თუ არა რაიმე პრეტენზია კლასის მიმართ დღემდე?

კლარა – *(რუსუდანს შეხედა)* მე მგონი...

რუსუდანი – არა.

კლარა – არც ჩემთვის შემოუჩივლია.

დიმიტრი – ან იქნებ კლასს ჰქონდა პრეტენზია მასწავლებლის მიმართ?

კლარა – *(რუსუდანს შეხედა)* მე მგონი...

რუსუდანი – პირიქით, ბავშვებს ძალიან უყვარდათ.

კლარა – ბავშვის ბუნება მარტის ამინდივითაა: ვერ გაიგებ, ქარი როდის ამოვარდება და ხოშკაკალა საიდან წამოუშენს.

დიმიტრი – მე მართალი ვიყავი: თქვენს კეთილის მსურველს სკოლაში კი არა, ამინდის ბიუროში უნდა გაეშვით. *(ტელეფონის ზარი, ყველამ კლარას შეხედა).*

ვიქტორი – (კლარას) აიღეთ, აიღეთ, ერთ დროს მეც ახალგაზრდა ცოლი მყავდა.

კლარა – *(ყურმილში)* გისმენთ. *(დამნაშავესავით)* თამაზს კითხულობენ.

ვიქტორი – მერე, უპასუხეთ!

კლარა – ბატონი თამაზი არ გახლავთ, გენაცვალე... ერთი საათი იქნება. *(ყურმილი დადო).*

ვიქტორი – *(დიმიტრის)* თქვენს კითხვა–პასუხებს, ალბათ, დასკვნა უნდა მოჰყვეს.

დიმიტრი – *(კლარას)* თქვენ დაინტერესდით ერთი მომენტით? დღემდე ბავშვი სულში იძვრენდეს მასწავლებელს და უცებ, უმიზეზოდ, დაუწეროს საპროტესტო ლოზუნგი! რა მოხდა?

ვიქტორი– ეგ არისო მარტის ამინდი.

დიმიტრი – მარტის ამინდსაც ხომ ჰყავს სინოპტიკოსი? თუ წინასწარ ვერ გამოიცნობ მოსალოდნელ ამინდს, მერე ხომ მაინც გვეუბნებიან, საიდან შემოიჭრა ციკლონი?

ვიქტორი – თქვენ ტყუილად გვაკარგვინებთ დროს. მე მეგონა, რამე იცოდით. თუ რა მოხდა, ეს ბავშვებისგან მინდა გავიგო.

დიმიტრი – ორი გვყავდა აქ და არაფერი თქვეს.

კლარა – ახლა რა ვქნათ, იცით? მოვხსნათ იმედო მგელიაშვილის კანდიდატურა. *(რუსუდანს)* სხვა ვინ მიგაჩნიათ პოტენციურ დამნაშავედ?

რუსუდანი – პროტესტს ვაცხადებ დაკითხვის ასეთ მეთოდზე, არაპედაგოგიურია.

ვიქტორი – *(კლარას)* თქვენ თვითონ ვის შემოგვთავაზებთ?

კლარა – მე ახალი ვარ. მგელიაშვილზე ნამდვილად ვეჭვობდი. სხვას ისე ახლოს...

დიმიტრი – მაშინ დაგვაცადეთ ჩვენ, ძველებს.

ვიქტორი – ბატონო დიმიტრი, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დაკანონებულია თანამდებობრივი იერარქია. ეს განუხრელად უნდა დავიცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქაოსის წინაშე აღმოვჩნდებით. აქედან რომ გავალთ და განყენებულ საკითხებზე ვიმსჯელებთ, თქვენს აზრს მეტ პატივს დავდებთ. ქალბატონი კლარა ავტობუსში ადგილსაც დაგითმობთ, როგორც ხნიერს...

დიმიტრი – დიდი მადლობელი დავრჩებოდი!

ვიქტორი – ეგ მერე, ავტობუსში! ახლა ჯერ აქ ვართ და სასკოლო საკითხს ვიხილავთ. *(რუსუდანს)* წივწივაძეზე რას იტყვით, ამხანაგებისთვის თავი რომ გამოიდო? ეგ ბავშვი არ მომწონს. გთხოვთ, დაიხსომოთ.

რუსუდანი – იმ თვისების მიღმა, თქვენ რომ არ მოგეწონათ, მე დავინახე უფრო მნიშვნელოვანი – ამხანაგებისთვის თავგამოდება.

ვიქტორი – დამიჯერეთ, მე დავსჯიდი! *(კლარას)* თქვენ რას იტყვით?

კლარა – მე უკვე შავ სიაში შევიტანე.

ვიქტორი – ბატონო დიმიტრი, იქნებ თქვენ სხვა აზრი გაქვთ?

დიმიტრი – შავი სიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეგ ბიჭი მეტ ყურადღებას საჭიროებს.

ვიქტორი – კეთილი. *(რუსუდანს)* მაშასადამე, გამორიცხული არ არის, რომ კედელზე წივწივაძემ დაწერა. შემოიყვანეთ შემდეგი.

რუსუდანი – ასეთ დაკითხვაში მონაწილეობაზე უარს ვაცხადებ!

ვიქტორი – გამიგონეთ, გეთაყვა, არ შეიძლება, დამნაშავე დაუსჯელი დავტოვოთ.

რუსუდანი – ჯერ უნდა გავარკვიოთ, დამნაშავეა თუ არა.

ვიქტორი – სულერთია, პროტესტის ეს ფორმა მიუღებელია და ზემოთ რომ გაიგონ, ყველას გაგვყრიან. ბავშვმა შეიძლება ფანჯარა გატეხოს, იჩხუბოს... რა ვიცი, ათასგვარი უკუღმართობა გამოდის მისი ხელიდან, მაგრამ ასეთი ლოზუნგების წერა ისწავლოს!.. ყოვლად დაუშვებელია! ხვალ თქვენზე დაწერს, ზეგ ჩემზე, მერე – სამსახურში თავის უფროსს არ შეუშვებს კაბინეტში და აირევა მონასტერი! მიზანი ამართლებს საშუალებას და ამიტომ არ მოვერიდები არავითარ მეთოდს! სხვათაშორის, ეს მათთვისაც უკეთესია, ცხოვრებაში ნაკლებ ხიფათს შეეყრებიან.

ბიძინა – *(შემოვიდა)* შეიძლება? გამარჯობათ!

ვიქტორი – ოჰ, ბიძინა, რა კარგია, რომ მოხვედი.

რუსუდანი – შენ ავად არა ხარ? *(ვიქტორს)* სამი დღეა, სკოლაში არ მოსულა.

ბიძინა – ახლაც ვერა ვარ კარგად, მაგრამ მაინც მოვედი. გავიგე, რაც მომხდარა ჩვენს კლასში.

ვიქტორი – ვინ გითხრა?

ბიძინა – მთელი კლასი იყო ჩემთან, ამ ექვსის გარდა.

ვიქტორი – ასეთ დროს ჩვენს გვერდით უნდა იყო, მაგრამ ავადმყოფობა არ გაგირთულდეს. გაცივდი?

ბიძინა – ალბათ. იმ დღეს ფეხბურთი რომ ვითამაშეთ...

ვიქტორი – კი, ჭირვეული ამინდი შეგესწროთ, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ კალენდარული მატჩი სხვა დროისთვის ვერ გადაიტანა. ჩვენ ბრძანება დავწერეთ და მადლობა გამოვუცხადეთ გუნდის ყველა წევრს და მწვრთნელს – თამაზ მასწავლებელს. ავად იყავი და ვერ შეგითანხმეთ. აცილება ხომ არა გვაქვს... თუნდაც მწვრთნელის მიმართ... დღეს გავიგეთ, რომ მეათე მესამე კლასი ბატონ თამაზს უნდობლობას უცხადებს, როგორც მასწავლებელს. იქნებ უნდობლობას უცხადებთ მას, როგორც მწვრთნელსაც? ასე უმადურები შეიქენით რაიონის ჩემპიონები? *(ბიძინა კვლავ დუმს)* რა გიამბეს ბავშვებმა?

ბიძინა – ყველაფერი, რაც მოხდა. ისიც იყო, ვინც დაწერა.

კლარა – *(გაეხარდა)* საკითხი გარკვეულია!

ვიქტორი – *(უცებ ბიძინას)* დღეს რა დღეა?

ბიძინა – ოთხშაბათი.

ვიქტორი – *(დემონურად გაიცინა)* ვიცი! დღეს ფეხბურთია! ხომ არ ფიქრობენ, სამასწავლებლოში ტელევიზორს უყურებენ? გადაეცი, რომ დამცველები ამოვაცალე!

კლარა – *(ბიძინას)* ვინ დაწერა?

ვიქტორი – *(ბიძინას)* ჯერ ორი დავკითხეთ, მაგრამ ვერაფერი დავაცდენინეთ.

კლარა – *(ბიძინას)* მაშ ისიც იყო, ვინც დაწერა?

ბიძინა – ძალიან ნანობს...

ვიქტორი – ბიძინა, მოგეხსენება, კომკავშირის კომიტეტის მდივანს რა ევალება. მხარში უნდა ედგას დირექციას. დამნაშავე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ესენი კი ჯიუტად ფარავენ დამნაშავეს. მე გთხოვ, მათ მოელაპარაკო.

კლარა – *(ვიქტორს)* თუ ნანობს, მოვიდეს და აღიაროს, ჩვენ ვაპატიებთ.

ბიძინა – ნანობს, რომ მის გამო მისი ამხანაგები ისჯებიან.

კლარა – თავხედი!

ვიქტორი – ადი, ბიძინა, ამხანაგებთან. *(ბიძინა გავიდა).*

დიმიტრი – მე ახლა აღარაფერი მესმის. ბიძინამ თქვა, ვიცი, ვინც დაწერაო, ჩემთან იყოო, ნანობსო. რაღად გვინდა ამ ბავშვების წამება?

კლარა – *(უგემური ღიმილით)* მაპატიეთ, პატივცემულო ვიქტორ, და ასე მომეჩვენა, თითქოს თქვენ არ გინდოდათ, ბიძინას ეთქვა დამნაშავის სახელი.

ვიქტორი – *(გაიღიმა: როგორ ვერ ხვდებითო)* მინდა გავიგო, ამ ექვსიდან რომელია ჩვენი ერთგული, ვის დავეყრდნოთ. ეს ერთი, ხოლო მეორე – აბა დაფიქრდით: ბიძინა ჩვენთან იყო. ახლა რომ შევწყვიტოთ დაკითხვა, ხომ ყველა მიხვდება, რომ ბიძინამ გათქვა დამნაშავე? მერე ხომ ყველა შეიძულებს ბიძინას, ვის უნდა მაბეზღარა კომკავშირის თავკაცი?

დიმიტრი – სხვა ბავშვს თუ მიაკრავენ მაბეზღარას იარლიყს, ის გემეტებათ?

ვიქტორი – გეთაყვა, სიტყვებით ნუ ვითამაშებთ!.. ახლა დავკითხოთ დანარჩენი და თუ არავინ გათქვა, ბიძინა აქ არ არის? მერე იმარჩიელონ, ამ შვიდიდან რომელმა გასცა ამხანაგი.

დიმიტრი – შესანიშნავია! კოლექტივში დავთესავთ ეჭვს, რომელიც კიბოზე საშიშია.

ვიქტორი – სამაგიეროდ, ეგ კიბოზე საშიში, თქვენ რომ ბრძანეთ, მოგვეხმარება ამ ვეებერთელა კოლექტივის მართვაში.

დიმიტრი – მე აღარ ვიცი, ვინ უფრო ეწამება, ბავშვები თუ მე!

ვიქტორი – თქვენ შინ წაბრძანდით, გული გაწუხებთ. *(დიმიტრი გაბუტულივით ზის. ტელეფონის ზარი)* ასაკის მიხედვით თუ მივყვებით, ახლა ალბათ, ქალბატონ რუსუდანს ურეკავენ.

კლარა – *(ყურმილი აიღო)* გისმენთ... დიახ... აქ გახლავთ, *(ვიქტორს)* თქვენ გთხოვენ.

ვიქტორი – *(დინჯად მიდის ტელეფონთან)* დიახ... დიახ... დიახ... დიახ... არა... არა... კი ბატონო. *(მოწყენილმა დადო ყურმილი. დინჯად დაუბრუნდა თავის სკამს).*

კლარა – ბატონო ვიქტორ, უსიამოვნო ამბავი ხომ... *(ვეღარ გაბედა).*

ვიქტორი – შინ წაბრძანდით, ქალბატონო კლარა, ქმარი და სტუმრები გელოდებიან.

კლარა – *(უზომოდ გაიხარა)* მე დაგირეკავთ და სტუმრები რომ წავლენ, თუ ისევ აქ იქნებით, უსათუოდ მოვალ. ნახვამდის *(სწრაფად გავიდა. პაუზა).*

ვიქტორი – ქალბატონო რუსუდან, შემდეგი შემოიყვანეთ *(რუსუდანი გავიდა).*

დიმიტრი – (ვიქტორს) მართლა უსიამოვნო ამბავი ხომ არ გაცნობეს?

ვიქტორი – არა, ჩემო კარგო... დავიღალე!.. ჩვენს სკოლაში ათას ოცდათხუტმეტი ბავშვია, ესე იგი, ათას ოცდათხუტმეტი სხვადასხვა ხასიათი. ამიტომ იმ გასაღებით, წივწივაძის გულს რომ მოერგება, მგელიაშვილთან ვერაფერს გახდები. ასე, ათას ოცდათხუტმეტი გასაღები უნდა გვესხას მკლავზე, ამიტომაც იქ, ზემოთ, ჩვენი უფროსები გვეუბნებიან, შემოქმედებითად მიუდექითო საქმეს. გვეუბნებიან და თან გვაჩეჩებენ ორმოცდაათი წლის წინათ დახაზულ თარგს, ბიჭი ხარ და გადაუხვიეო! სად არის ლოგიკა, ბატონო დიმიტრი? გამებუტეთ?

დიმიტრი – ჯერ ეს გამაგებინეთ, ჩვენი დღევანდელი საქციელით თარგს მივყვებით თუ სხვაგან გადავტოპეთ?

ვიქტორი – „გადავტოპეთ“ უხეში გამოთქმაა. მაგრამ არც თარგია სიმპათიური სიტყვა, რადგან სკოლა ატელიე არ არის.

დიმიტრი – სკოლა არც საგამომძიებლო დაწესებულებაა.

ვიქტორი – *(ისევ აფეთქდა)* არც საბავშვო ბაღია! ადამიანი სიმწიფის ატესტატს რომ იღებს, დაუკვირდით – „სიმწიფე“! – მას ქვეყანა უნდა ანდო! ამათ როგორ ვანდო? ინფარქტი გახშირდა, ღმერთმა დაგვიფაროს, და ხვალ რომ მიქელ-გაბრიელი დაგვადგეს თავზე, ამათ უნდა სწიონ ქვეყნის ჭაპანი!... ამათ?!.. უფლება რომ მქონდეს... დანაშაულს სჩადიან და დამნაშავის დაფარვა ვაუკაცობა ჰგონიათ! გითხრათ, რატომ ფარავენ დამნაშავეს? ეშინიათ!

დიმიტრი – აბა რაღა ვთქვა?

ვიქტორი – არაფერი. შინ წაბრძანდით. ხელს ნუ შემიშლით და დამნაშავეს დილაზე მთელი პედკოლექტივის წინაშე დავაჩოქებ!

დიმიტრი – ძალიანაც მინდა შინ წასვლა, მაგრამ ბოლომდე დავრჩები და საწადელის შესრულებაში ხელს შეგიშლით. არ მინდა, ბავშვებმა ამხანაგი გათქვან.

ვიქტორი – *(სრულიად მშვიდად)* გეთაყვა, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ.

დიმიტრი – უკვე მოვიფიქრე განცხადების ტექსტი, დილაზე მოგართმევთ. *(შემოდიან რუსუდანი და ირმა).*

ვიქტორი – კლასის ხელმძღვანელს ვთხოვ, მოკლედ დამიხასიათოს ეს გოგონა.

რუსუდანი – ირმა ვაჩეიშვილი თანაკლასელებს უყვართ. წესიერი, ზრდილი და სერიოზული გოგონაა.

დიმიტრი – *(დრო იხელთა)* ამხანაგებს იმიტომ უფრო
უყვართ, რომ ერთგულია და მაბეზღარა არ არის!

ვიქტორი – მადლობა ღმერთს, წესიერ ბავშვთან გვქონია საქმე! ირმა, გეთაყვა, დილას თამაზ მასწავლებელმა თქვა, მთელი კლასი მიყვარდაო.

დააკვირდი, წარსულ დროში! – მიყვარდაო. მე მჯერა, რომ მას ახლაც ძალიან უყვარხართ, მაგრამ უბრალოდ, ენა ვერ მოუბრუნდა. რატომ ატკინეთ ასე გული, რა მოხდა?

ირმა – *(მთელ დაკითხვას თავჩაღუნული ატარებს)* თამაზ მასწავლებელი მეც და მთელ კლასს ძალიან გვიყვარდა.

ვიქტორი – შენც წარსულ დროს ხმარობ?

ირმა – იქნებ ახლაც გვიყვარს, მაგრამ ენას უჭირს ამის თქმა.

ვიქტორი – კაი სიყვარულია, გეთაყვა, იმხელა ტრანსპარანტით დახვედრა! *(ირმა ხმას არ იღებს)* კეთილი, სიყვარულის საკითხში შემდეგ გავერკვათ. თქვენამდე ჩვენ ორთან გვქონდა გულახდილი საუბარი. *(შეატყო, რომ დიმიტრი საპროტესტოდ შეიშმუშნა).* მე მგონი, არ უარყოფთ, რომ ჩვენი საუბარი გულახდილი იყო!.. *(ირმას)* არ იფიქროთ, რომ ეს მასწავლებლები მარსიდან ჩამოვფრინდით და არ ვიცით, რა ხდება ქვეყანაზე. ჩვენ ვიცით, ვინც დაწერა, ჩვენ მხოლოდ გვაინტერესებს, ამ ექვსიდან ვინ უფროა გულახდილი და ვის უფრო უყვარს მშობლიური სკოლა. ჯერ კიდევ დიდი დროა ზაფხულამდე და ერთად უნდა ვიმუშაოთ... სულ მე ვილაპარაკო თუ შემეშველები?

ირმა – მე არ ვიცი, ვინ დაწერა. არ დამინახავს.

ვიქტორი – შენ არ დაგინახავს, მაგრამ ვინმემ არ თქვა, არ გაგიგონია?

ირმა – არ გამიგონია.

ვიქტორი – არც ის გაგიგონია, რას ერჩოდა იმ ლოზუნგის ავტორი თამაზ მასწავლებელს?

ირმა – არა.

ვიქტორი – საკლასო ოთახში თქვენს დაუკითხავად ბუზი რომ შემოფრინდეს, ეს ფაქტი გაცხარებული კამათის საგნად იქცევა. როგორ დავიჯერო, ამხელა ფრესკა იქმნება თქვენს თვალწინ და რატომ, რისთვის, - არავინ იკითხა?

ირმა – მე მასწავლებელს ერთი ფეხით შევასწარი კლასში. წარწერა უკვე იყო, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

ვიქტორი – შენ რომ შეხვედი, რას აკეთებდა იმედო მგელიაშვილი?

ირმა – ვაიმე, იმედო რა შუაშია?

ვიქტორი – ეგ სხვა საკითხია. მე მაინტერესებს, რას აკეთებდა მგელიაშვილი?

ირმა – მგელიაშვილი ჩემს მერე მოვიდა.

ვიქტორი – ესე იგი, მასწავლებელმა შეასწრო კლასში?

ირმა – აღარ მახსოვს... იმედოს არ დაუწერია.

ვიქტორი – მე ხომ არ მითქვამს, მან დაწერა. მაინტერესებს, შეასწრო თუ არა?

ირმა – არ ვიცი.

ვიქტორი – გეშინია?

ირმა – ვისი?

ვიქტორი – იმედოსი.

ირმა – *(ახლა აწია თავი)* ვაიმე, პატივცემულო დირექტორო, იმედო რა შუაშია, იმედოსთანა მთელს სკოლაში არ არის! *(აღგზნებული)* ის, ვინც იმედოზე გითხრათ, თვითონ არის საზიზღარი, მან უკვე მიიღო, რაც ეკუთვნოდა! იმას იმედო ეჯავრება, მეცხრე კლასში რომ გალახა, იმიტომ! იმას შეუძლია სამშობლოც გაყიდოს! შარშანდელი მონგრეული ყბა ახლაც ეწვის და შური იძია იმედოზე! *(ცრემლები მოაწვა)* იმედოსთანა ბიჭი თბილისში არ დადის!

ვიქტორი – დახასიათებებს კლასის ხელმძღვანელი იძლევა, შენ მხოლოდ ჩემს კითხვებს უპასუხე.

რუსუდანი – სხვათაშორის, ამგვარ დახასიათებას მე სავსებით ვეთანხმები.

დიმიტრი – მეც!

ვიქტორი – *(ხასიათი წაუხდა. ირმას)* თავისუფალი ბრძანდები! შემდეგი შემოვიდეს. *(ირმა გავიდა)*

დიმიტრი – *(განერვიულებული ადგა, ბოლთას სცემს)* მდა! უკვე შედეგებს ვიმკით! ბავშვებში უნდობლობა ჩამოვაგდეთ, ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ! იმედო არავის გაუცია, მაგრამ ეჭვის თესლი ჩავაგდეთ, ბარაქალა ჩვენს პედაგოგობას!

ვიქტორი – დაწყნარდით, ბატონო დიმიტრი. *(პაუზა)* მას, ვისზეც ეჭვი მიიტანეს, ალბათ, დათესილი ჰქონდა.

დიმიტრი – მე მაცოფებს თქვენი სიმშვიდე!

ვიქტორი – *(ვედრებით)* ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ შემიშლით!.. ქალბატონო რუსუდან, თქვენ თქვენს ბავშვებს არ იცნობთ.

რუსუდანი – რას გულისხმობთ?

ვიქტორი – წერით სამუშაოებს ატარებთ, ნაშრომებს ასწორებთ. ნუთუ ვერ უნდა ამოიცნოთ, ვისი ხელწერაა?

რუსუდანი – მე რვეულებში ვაწერინებ, კედლის წარწერა პირველია ჩემს პრაქტიკაში. ასეთი ხელი ჩემთან არავის აქვს.

ვიქტორი – ტექსტიდან ირკვევა, რომ ავტორი თქვენი ბავშვია... მე მაინც მგონია, რომ მგელიაშვილმა დაწერა. ნუთუ ყველას ასე უყვარს ის ბიჭი, თავგამოდებით რომ იცავენ?

რუსუდანი – თუ მას არ დაუწერია, დააბრალონ?

ვიქტორი – ქალბატონო რუსუდან, აქ რომ გამამწესეს, გამაფრთხილეს, ანარქია სუფევსო და დამავალეს, დავამყარო სრული წესრიგი. პედკოლექტივის შეცვლა ოთხმოცდაათი პროცენტითაც რომ მომიწიოს, უკან არ დავიხევ. არავითარი საჩივარი არ გაჭრის, ზემოთ მხარს დამიჭერენ.

რუსუდანი – ბატონო ვიქტორ!..

ვიქტორი – რა? რა? ბრძანეთ, ბატონი ვიქტორი რომ ვარ, ვიცი!

რუსუდანი – აბა, რა ვთქვა?.. შრომის წიგნაკი მადლობებით სავსე მაქვს, ამდენი წლის სტაჟი... ასე რატომ მემუქრებით?

ვიქტორი – მე არავის ვემუქრები, მე მხოლოდ ვაფრთხილებ. ადრეც მოგახსენეთ, ასჯერ მაინც: მე თანამოაზრენი მჭირდება!

რუსუდანი – ბატონო ვიქტორ, რაზე გვატყობთ, რომ თქვენი მოწინააღმდეგენი ვართ?

ვიქტორი – თქვენ ყველა ჩემს წინამორბედს მისტირით და ჩემი მოსვლა ვერ მოგინელებიათ!

რუსუდანი – მაგას რატომ ბრძანებთ... ერთის სიყვარული მეორის პატივისცემას ხომ არ გამორიცხავს?

ვიქტორი – მთელს პედკოლექტივს საფუძვლიანი პროფილაქტიკა სჭირდება. ეს განცხადება პატივმოყვარეობაში რომ არ ჩამითვალოთ, იძულებული ვარ, გაცნობოთ მეტად გულდასაწყვეტი ამბავი. დღევანდელი ინციდენტის შესახებ განათლების განყოფილებაში უკვე იციან. გაოცდით არა? მე თავზარი დამეცა. გამორიცხულია, რომ ბავშვს ეცნობებინოს. ეს მოზრდილის საქმეა და ეს მოზრდილი ჩვენს კოლექტივში უნდა ვეძიოთ. სამწუხაროა არა? ჭეშმარიტად. ბავშვებმა კბილებით დაიცვეს ერთმანეთი, ჩვენ კი რაიონის მასშტაბით გავაშავეთ ჩვენი კოლეგა. კახა ზარიძეს იმედო მგელიაშვილის ძველი ჯავრი ჰქონია, მაგრამ არ გათქვა, ჩვენში კი ვიღაცას ბატონი თამაზი გულზე არ ეხატება და განყოფილებას ვაცნობეთ, აი, რა უხეირო პედაგოგი გვყავსო! *(შემოვიდა ბადრი. პაუზა)* ქალბატონო რუსუდან, კლასს გამოუცხადეთ, ხვალ ექვსივეს გამოჰკითხავენ ყველა საგანში. ეს დრო რომ უცდებათ, საპატიო საბუთად არ ჩაეთვლებათ. კლასის ხელმძღვანელს ვთხოვთ, მოკლედ დაგვიხასიათოს ეს ყმაწვილი.

რუსუდანი – ბადრი აბზიანიძე ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ვფიქრობ, მისგან ნამდვილი მოქალაქე დადგება, რადგან კეთილსინდისიერი და გულწრფელია.

ვიქტორი – მისი ასტრონომიული მისწრაფება ამჯერად არ გვაინტერესებს, კეთილსინდისიერება და გულწრფელობა კი ახალგაზრდისთვის მთავარია. *(ბადრის)* ერთი შეკითხვა მაქვს, ცოტა არაპედაგოგიური, მაგრამ მაპატიე. თქვენი კლასის აღმოსავლეთ კედელზე წარწერა წაიკითხე?

ბადრი – დიახ.

ვიქტორი – რას იტყვი მის შესახებ? *(ბადრი დუმს)* მე პირობა მოგეცით, რომ ჩვენს შორის თქმული ჩვენს შორისვე დარჩება. გისმენთ. ნუთუ შენ არ გინდა, რომ დროით წავიდეთ სახლებში? ბოლოსდაბოლოს, მთელი პედკოლექტივი რომ გაანაწყენო, სწავლაში ვარსკვლავებს არ წყვეტო და სამიანსა და ორიანს შორის რა მანძილია, მაგდენი კი გეცოდინება, ვაი თუ წყალში ჩაგეყაროს ათი წლის ნაწვავ-ნიადაგი? არაფერს ამბობ? მაშინ მე გეტყვი, კედელზე შენ დაწერე.

ბადრი – მე არ დამიწერია!

ვიქტორი – შენ დაწერე, ყველა ამას ამბობს!

ბადრი – ამას ვერ იტყვიან, რადგან მე სკამი მეჭირა.

ვიქტორი – რომელი სკამი?

ბადრი – რომელზეც ავტორი იდგა.

რუსუდანი – *(უცებ დაუყვირა)* აგახევ მაგ ყურებს! *(წამიერი პაუზა)*

ვიქტორი – *(მშვიდად)* ქალბატონო რუსუდან, ყურებს თუ აახევთ, ჩენს შეკითხვებს ვეღარ მოისმენს. *(ბადრის)* ვინ იდგა სკამზე?

ბადრი – აღარ მახსოვს. *(დიმიტრიმ რაღაც აბი გადაყლაპა).*

ვიქტორი – მგელიაშვილი?

ბადრი – არა, ეგ ნამდვილად არა.

ვიქტორი – წივწივაძე?

ბადრი – არც ეგა.

ვიქტორი – ჩიმაკაძე?

ბადრი – არა.

ვიქტორი – ნამგალაური?

ბადრი – არა. *(თანდათან ბნელდება. თანდათან იკარგება დირექტორის ხმა, რომელიც გვარებს ასახელებს:*

თვალიაშვილი...

ჩართოლანი...

იაშვილი...

...ძე...

...შვილი...

სამაგიეროდ, თანდათან ძლიერდება ბადრის ხმა, რომელიც მთელს დარბაზს ეფინება:

არა...

არა...

არა...

როდესაც სცენა განათდა, მასწავლებელთა წინაშე დგას ჯონი).

ვიქტორი – ქართულ ენაში რა ნიშანი გაქვს?

ჯონი – ოთხიანი.

ვიქტორი – სასიამოვნოა. ხუთიანი სჯობია, მაგრამ მაგ ნიშნის პატრონმაც უნდა იცოდეს, რას ნიშნავს შემასმენელის მრავლობითი ფორმა. კედელზე წერია: „არ გვინდა“! ესე იგი შენი სახელითაც დაწერა ავტორმა, შენც ეთანხმები მას. გამოდის, რომ ტექსტის თანაავტორი ხარ. ასე არ არის?

ჯონი – რა მოგახსენოთ? თქვენ, უფროსებს, არ აგიწევიათ ხელი ტექსტისთვის, რომელსაც გულით არ ეთანხმებით?

დიმიტრი – *(წამოვარდა)* ეს ბაშვი გადამრევს! ახალგაზრდებმა ჩვენ კი არ უნდა მოგვბაძოთ სისუსტეში, ჩვენზე უკეთესები უნდა იყოთ, ამას გიკიჟინებთ პატივცემული დირექტორი!

ვიქტორი – ბატონო დიმიტრი!.. ბავშვს ნუ დავაბნევთ. ბიძინა სად არის? როგორი კომკავშირელია ეს ყმაწვილი? საკუთარი პრინციპები არა ჰქონია. დიდი სამუშაო ელის ქალბატონ კლარას. *(ჯონის),* მაშ, თქვენი განცხადებით,

ირკვევა, რომ ხმა მიეცით ტექსტს, რომელსაც გულით არ ეთანხმებით. მგონი ასე თქვი?

ჯონი – თამაზ მასწავლებელს ჩვენ უსაფუძვლოდ ვაწყენინეთ.

ვიქტორი – მე მერჩია შენ ეს არ გეთქვა. სიმწიფის ატესტატს იღებ და შენი პოზიციის დაცვა არ უნდა შეგეძლოს?

ჯონი – ამხანაგებთან ჩემი პოზიცია ნათლად ჩამოვაყალიბე.

ვიქტორი – მაგრამ არ დაგიჯერეს?

ჯონი – უმრავლესობას დავემორჩილე.

ვიქტორი – შენ იცი, რომ მე მიზეზი მაქვს, სკოლიდან გაგრიცხო. სულ იოლად. ვერც ვერავინ შემომედავება.

ჯონი – ვიცი, თქვენ შეგიძლიათ.

ვიქტორი – მე ისიც შემიძლია, რომ ატესტატი მოგცე და უმაღლესისთვის მშვენიერი დახასიათება გაგატანო. მედლის მოპოვების შანსიც არ დაგიკარგავს. ეს ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

ჯონი – ერთი თხოვნა მაქვს.

ვიქტორი – ბრძანეთ.

ჯონი – სამასწავლებლოში ერთი დარჩა, თამრიკო ბახტაძე. ძალიან მგრძნობიარე გოგოა, თუ დაკითხვაზე დამიძახეს, ფანჯრიდან გადავვარდებიო, ნუ გამოიძახებთ. იმან არაფერი იცის. ცოდოა, რაც შეეხება ჩემს ატესტატს, ძალიან მინდა, - ათი წელი მისთვის ვწვალობდი, მაგრამ მეგობარს მასში ვერ გავცვლი.

ვიქტორი – თავისუფალი ბრძანდებით.

ჯონი – *(მიდის, მოტრიალდა)* თქვენი ნებართვით, ბახტაძეს ვეტყვი, რომ დამშვიდდეს. ტირის.

ვიქტორი – როგორც თქვენ მოისურვებთ, გეთაყვა, მიბრძანდით! *(ჯონი გავიდა)* ქალბატონო რუსუდან, ბატონ დიმიტრის განცხადების ტექსტი უკვე მოფიქრებული აქვს. დილაზე გადაიწერეთ და ორივემ შემომიტანეთ.

რუსუდანი – რა განცხადება? *(დიმიტრის შეხედა. მიხვდა)* რატომ?

ვიქტორი – ხელს მიშლით. რატომ დაუყვირეთ ბადრი აბზიანიძეს, ყურებს აგახევო? გეგონათ, რომ დამნაშავის დასახელებას აპირებდა და დაემუქრეთ! ჩვენ განა ასე შევთანხმდით? აქ ორი ვარიანტი უნდა განვიხილოთ: პირველი – ჩემი პოზიცია მართებულად მიგაჩნიათ და მაინც ჯიუტად მიწევთ წინააღმდეგობას. ეს საქმის ღალატია და უნდა ჩამომცილდეთ. მეორე – ჩემი პოზიცია უმართებულოდ მიგაჩნიათ და ამიტომ მეწინააღმდეგებით. ამ შემთხვევაშიც უნდა ჩამომცილდეთ, რადგან მე დირექტორი ვარ და არავის მივცემ უფლებას, ჩემი პოზიციის მართებულობა ეჭვქვეშ დააყენოს. თქვენ რომ არა, ეს საათნახევრიანი კითხვა-პასუხის საღამო უშედეგოდ არ დამთავრდებოდა.

დიმიტრი – ჩვენი მიზანი კეთილშობილური იყო. მთელი კლასი მეგობრულ კოლექტივადაა შეკრული და ცოდოა, მასში ბზარი გაჩნდეს. ერთმანეთის გატანა ადამიანებს ჰაერზე მეტად სჭირდებათ.

ვიქტორი – მაშ, როგორ მოვიქცეთ?

დიმიტრი – წავშალოთ კედელზე ის წარწერა და როგორმე დავივიწყოთ.

ვიქტორი – კიდევ ბევრი კედელია, ნახშირიც მოიძებნება და ღმერთმა იცის, ვის რა აზრი მოუვა თავში!

დიმიტრი – აბა, რა ვქნათ?

ვიქტორი – უკანასკნელი შანსი ხელთა გვაქვს. ქალბატონო რუსუდან, ბიძინა შემოვიდეს. ხუთი ბავშვი დავკითხეთ, ახლა ვერავინ გაიგებს, დამნაშავე ვინ გათქვა.

ბიძინა – *(შემოვიდა)* არავინ გატყდა?

ვიქტორი – ბიძინა... თარგამაძე თემური გახსოვს მეცხრე პირველიდან?

ბიძინა – დიახ.

ვიქტორი – ის მგონი კომკავშირულ აქტივს ეკუთვნოდა?

ბიძინა – კლასის კომორგი იყო.

ვიქტორი – რომ იყო და აღარ არის, ამაში მგონი შენი ხელი ურევია...

ბიძინა – ასე გამოდის.

ვიქტორი – რა დააშავა?

ბიძინა – მთელმა კლასმა კოლექტიურად მიატოვა ბოლო გაკვეთილი.

ვიქტორი – არც მაგათ მოსწონდათ იმ საგნის მასწავლებელი?

ბიძინა – არა, კინოფილმის სანახავად წავიდნენ, მხოლოდ ერთი დღით უჩვენებდნენ.

ვიქტორი – თარგამაძემ აიყოლია ამხანაგები?

ბიძინა – პირიქით. მას რომ აეყოლებინა, კომორგობიდან არ გავათავისუფლებდით. საყვედურს გამოვუცხადებდით, მაგრამ არ გავათავისუფლებდით. ეს ხომ ორგანიზატორული ნიჭია, ამხანაგები აიყოლიო და დარაზმო?

ვიქტორი – ასე დაბეჯითებით რა იცი, იქნება მან დარაზმა?

ბიძინა – არა, ცარიელ კლასში მარტო ის დახვდა მასწავლებელს.

ვიქტორი – ეს ამბავი შენ განსაკუთრებით არ მოგეწონა.

ბიძინა – თუ ამხანაგები ვერ შეაკავა, მათთან ერთად უნდა წასულიყო.

ვიქტორი – ეს ცოტა სადავო აზრია.

ბიძინა – შეიძლება.

ვიქტორი – ჩვენ ამ საკითხს უახლოეს მომავალში დავუბრუნდებით. მეეჭვება, შედეგით კმაყოფილი დარჩე. ახლა დღის წესრიგის მთავარი საკითხი ამოვწუროთ. მაშ, შენთან მოვიდა მთელი კლასი, ამ ექვსის გარდა და ყველაფერი გიამბეს. შენ თქვი, დამნაშავე ნანობსო. ხომ ასე თქვი?

ბიძინა – დიახ.

ვიქტორი – ვის დაუწერია?

ბიძინა – მაგას ვერ გეტყვით.

ვიქტორი – რა თქვი?

ბიძინა – არ გამოვა, პატივცემულო დირექტორო, ისინი მენდნენ, გული გადამიშალეს. ნდობას ვერ გავუცრუებ.

ვიქტორი – *(წამოხტა, ბოლთა დაარტყა, უჭირს ნერვების დაოკება)* ქალბატონო რუსუდან, ახლავე ჩამორეკეთ ამ ექვსის მშობლებთან და სასწრაფოდ მობრძანდნენ ჩემთან. აქ, ჩემს კაბინეტში! ბავშვებს ნუ აჩვენებთ, ხოლო ამ ყმაწვილს რაიკომში გაესაუბრებიან, როგორი უნდა იყოს სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი!

კახა – მშობლები დაიბარეს.

ბადრი – როგორ – მშობლები?

კახა – როგორ და ტელეფონით ჩამორეკეს.

თამარი – მშობლებით უნდა შეგვაშინონ?

ლალი – თუ ერთი პირია, ბოლომდე ერთი პირი გვქონდეს!

ბადრი – *(წახდა)* ფუჰ!.. ბიჭებო, შევალ და ვეტყვი, მე დავწერე–მეთქი!

ჯონი – არიქა, დიმიტრი თავდადებული! სხვა ვერ შევა? თუ ყველაზე ვაუკაცი შენა ხარ?

ბადრი – მოიცა, თუ ძმა ხარ, ვაუკაცობა შენთვის დამითმია! არ მინდა, ჩვენებმა გაიგონ. მამაჩემმა ძლივს მოიკეთა, მაგისი ნერვების აშლა არ შეიძლება. მაშ რა გინდა? აქ როდემდე ვიყოთ?

ჯონი – გატყდი?

ბადრი – გავტყდი! ვეფხვიც შენა ხარ, ჰეროიკული დრამაც, ჰოლდენ კოლფილდიც, რას ჩამაცივდი?

თამარი – აკი ველ გამოვიცანიო!

ჯონი – *(ბადრის)* ბოღმა ხარ!

ირმა – ახლა ისევ აიფოფრეთ მამლებივით!

კახა – რაც თავი მახსოვს, ათი შესაძლებელიდან ყველაზე უარესი ვარიანტი მრგებია, ნუთუ ახლაც გამწირავს ღმერთი? რომელი საათია? ხომ შეიძლება, მამაჩემი შინ არ იყოს? თბილისში რამდენი რესტორანია, ნუთუ გული ერთგან მაინც არ გაუწევს?

თამარი – ლესტოლანი გამოლიცხულია.

კახა – „ლატომ“?

თამარი – ასეთ ფეხბულთის დღეს ვინა თვლება? მამაშენი ახლა ზის ტელევიზოლთან.

კახა – გმადლობთ გამხნევებისათვის!

ირმა – მე პირიქით, მამის მოსვლა მირჩევნია. მამას ჩემი ყველაფერი ესმის.

კახა – ეჰ, მამაჩემსაც ესმის ჩემი ყველაფერი! მაგრამ სხვანაირად ესმის. აქ რომ ორიანს მიწერენ ჟურნალში, სამსახურში უკვე ტანი უგრძნობს.

ბადრი – *(წრიალებს)* არა, ბიჭებო, უნდა გავიპარო!

კახა – ახლა შენს გამო დაგვსაჯონ?

ბადრი – არ ვიცი!.. ყველამ თავისთავს მიხედოს. მამასთან წამალი მაქვს მისატანი.

თამარი – ყველა გავიპალოთ!

ჯონი – ახლა, რომ ვთქვა ერთ სულიერს კიდევ ეწყინება. გაპარვა ლაჩრობაა. ბრძოლის ველიდან გაქცევა.

კახა – რამდენიც გინდათ მირტყით, მე მაინც ვიტყვი: იმედოს ადგილზე რომ ვიყო, მივიდოდი დირექტორთან და, მე დავწერე–მეთქი, ვეტყოდი!

ირმა – შენ მიხვიდოდი და ეტყოდი?

მეორე მოქმედება

სამასწავლებლო. ლალი, ირმა, თამარი, ჯონი, ბადრი. დაძაბულობა მოხსნილია. ეტყობა, კმაყოფილები არიან, რომ „გამოცდა“ პირნათლად ჩააბარეს, ახლა კი ისე ერთობიან, როგორც, ჩვეულებრივ, შესვენების დროს. ბადრი თვალდახუჭულია. ამხანაგებისკენ ზურგშექცევით ზის. დანარჩენი შეთქმულებივით ერთმანეთს შესცქერიან. მერე თამარმა ჯონის მკერდზე თითი დაადო.

ჯონი – *(ბადრის)* გაიღვიძე! *(ბადრი შემოტრიალდა, ამხანაგებს მიუახლოვდა და ყველა სათითაოდ შეათვალიერა)*

ბადრი – კეთილიიი!.. შემიძლია კითხვების გარეშეც გამოვიცნო, მაგრამ მაინც შევამოწმებ. *(ლალის)* საჭმელი რომ იყოს, რა იქნებოდა?

ლალი – გოგლი-მოგლი.

ბადრი – აუ! *(ირმას)* ადამიანის სხეულის რა ნაწილი იქნებოდა?

ირმა – თავი.

ბადრი – *(ჯონის)* რომელ ლიტერატურულ გმირს გაგონებს?

ჯონი – ჰოლდენ კოლფილდს!

ბადრი – *(თამარს)* როგორი ამინდი იქნებოდა?

თამარი – ცვალებადი მოღლუბლულობა, ზომიელი, ძლიელამდე ქალი.

ბადრი – *(ჩაფიქრდა, რატომღაც გაღიზიანდა. ლალის)* ლიტერატურის ჟანრებიდან რომელს გაგონებს?

ლალი – ჰეროიკულ დრამას.

ბადრი – *(თანდათან უფრო ღიზიანდება, ირმას)* ცხოველი რომ იყოს, რა იქნებოდა?

ირმა – ვეფხვი.

ბადრი – *(ჯონის)* უფრო რომელი საუკუნისთვისაა დაბადებული?

ჯონი – მეცხრამეტე.

ბადრი – *(თამარს)* ალკოჰოლური სასმელებიდან შამპანურს ჰგავს, არტახებით რომ აქვს საცობი შემოკრული და მაინც ხეთქავს!

თამარი – *(დაბნეული და გაოცებული)* ვაი, ალ დამაცდი, ბიჭო?

ბადრი – *(მორჩილად)* ვერ გამოვიცანი. დებილი ვარ!

ჯონი – ახალი ამბავი!

თამარი – *(შეიცხადა)* ე! კახა სად გაიპალა?

ჯონი – გავხეთქავ ცემით! *(გასვლას აპირებდა, კახა შემოვიდა).*

კახა – „გეთაყვა“ ცოფებსა ჰყრის“

თამარი – ველ დავიჯელებ!

კახა – ბიძინას ისე უყვირა, დერეფანში ბათქაში ჩამოცვივდა.

ირმა – რა დირექტორი გვყავდა, გოგოებო, რომ არ ვაფასებდით!

თამარი – მაშ, კაცო, საიდან გამოგვიტყვლინეს ეს გიოლგი კუჭატნელი?

კახა – *(გულდაწყვეტით)* კარგი რა, თუ ძმა ხარ, რატო იცით ასე როლების განაწილება: ერთი გმირია, მეორე დედალი! *(უცებ გაცხარდა)* აი, ნახეთ, თუ ატესტატები მოგვცენ!

თამარი – ალც მინდა! ახლა უმაღლესში აბალე გამოცდები!

კახა – უმაღლესი რად გინდა, გათხოვდები და პამიდვრისა და ბადრიჯნის სამყოფი ანგარიში კი იცი!

თამარი – ბიჭებო, შევიპალოთ და ტელეფონის ხაზი გადავჭლათ!

ბადრი – ამან ხომ გადაჭრა პრობლემა! უკვე დარეკესო!

ლალი – ამ ღონისძიებამაც რომ ვერ გაჭრას, კიდევ რას მოიგონებენ?

ირმა – „გეთაყვას“ ფანტაზია ამოუწურავია! *(უცებ ფანარაში თოკი შემოვარდა. ჯონიმ გადაიხედა, მოისმა სტვენა და ხმა: „ასწი!“ ჯონიმ თოკი ამოზიდა. თოკს ამოჰყვა ტორტის კოლოფი).*

თამარი – ვაი, ტოლტი! *(კოლოფს მიესივნენ. შიგ აღმოჩნდა ხაჭაპურები. ისე ჭამენ, როგორც დამშეულ ადამიანს სჩვევია. ახლა შენიშნეს, წერილი იდო კოლოფში).*

ირმა – *(კითხულობს)* „მთელი ჩვენი კლასის მოწინავე კაცობრიობა, აგრეთვე ქალობრიობა, გიცხადებთ სოლიდარობას. არც ერთ ჩვენგანს არ გვისადილ-გვივახშმია. წარმოიდგინეთ, „სინდიკატმაც“ კი შიმშილი გამოაცხადა. ახლა ხაჭაპურზე იოლად გამოდით, დილაზე ხაშს ელოდეთ. „დინამო“ იგებს ორით ნულს. პირზე კოცნით მოგვიკითხეთ „გარინჩა“. „ის“ მოდიოდა, რომ დირექტორისთვის ეთქვა, მე დავწერეო, მაგრამ არ გამოვუშვით. მართალია, ამით თქვენი საკატორღო ვადა უფრო გაგრძელდება, მაგრამ მტერს ხელში ვერ ჩავუგდებთ ოძელაშვილს. ჩვენ ყველანი აქა ვართ.

თამარი – ბიჭებო, საპასუხო წელილი ალ გავუგზავნოთ?

ჯონი – *(კარნახობს თამარს, რომელმაც სასწრაფოდ ამოხია რვეულიდან ფურცელი)* „ჩვენ, მეათე მესამე კლასის მოსწავლეთა უფლებებისათვის მებრძოლნი, ვიქტორ დირექტორის საპყრობილის ჯურღმულებიდან გიგზავნით ძმურ სალამს და მადლობას სოლიდარობისა და ხაჭაპურისათვის. რეპრესიებით ვერ გაგვტეხავენ, მზად ვართ უმკაცრესი გამოცდისათვის... სიკვდილმისჯილთა სახელით ჯონი წივწივაძე“.

ლალი – ყველამ მოვაწეროთ რა, ხელი?

ჯონი – კი ბატონო, მოაწერეთ. *(ბავშვები ხელს აწერენ)*

კახა – ეს ქაღალდი რომ დირექტორს ჩაუვარდეს ხელში!

ჯონი – შენ ნუ მოაწერ, თუ გეშინია.

კახა – რატომ? სადაც თქვენ, მეც იქ. *(ჯონიმ ქაღალდი დაკეცა, მივიდა ფანჯარასთან, დაუსტვინა. პასუხად სტვენა. ქაღალდი გადააგდო).*

ჯონი – *(სწრაფად მოსცილდა ფანჯარას)* ამას რომ მუდამ თარსი ენა აქვს! წერილი დირექტორმა აიღო.

ხმები – ჰა?! იქ რა უნდოდა? *(მხოლოდ თამარმა გაბედა გადახედვა)*

კახა – ჰოდა, იყავი ახლა აქ კვარტალის ბოლომდე!

ჯონი – *(გაიცინა)* ვაი, რა უცებ დაფრთხით, თქვე საცოდავებო!..

თამარი – ადლესატისა ლა გითხლათ, მაგლამ დილექტოლი მალთლა იქ ალის! *(ეს კი იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ სიფრთხილე ყველას დაავიწყდა და ფანჯარას მიაწყდნენ).*

ირმა – დედას გეფიცები, გავგიჟდები! მთელი კლასი მოსულა! *(ჯონიმ რაღაც ქაღალდი აიღო კარადიდან და კუთხეში განმარტოვდა. ერთ ხანს პაუზა. თამარმა სიჩუმე ვერ აიტანა და ჯონისკენ წავიდა)*

თამარი – ლას აკეთებ?

ჯონი – არ მომეკარო!.. წერილს ვწერ... ძვირფასო დედკო და მამიკო!.. ახლა, როდესაც ამ ბარათს გწერთ, ბრძოლის ველზე დროებით სიწყნარე ჩამოვარდა. სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში კბილებამდე შეიარაღებული ვერაგი მტრის ექვსი გააფთრებული იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი მებძოლებიდან არავინ დაღუპულა, მაგრამ მძიმე დანაკლისი განვიცადეთ: მტერმა დაბომბა ჩვენი საველე ფოსტა. ჩვენმა მამაცმა მზვერავებმა, რომლებმაც მტრის პოზიციებში შეაღწიეს, ცნობა მოგვიტანეს, რომ მოწინააღმდეგის ბანაკში ძალთა დიდი გადაადგილებაა. მტერი ემზადება გადამწყვეტი ოპერაციისთვის, რომელშიც გამოიყენებს მძიმე ტანკებს ჩვენი მშობლების სახით, მაგრამ ჩვენი ექვსეული მზადაა, ვაჟკაცურად დახვდეს მტრის ამ შემოტევასაც. მებრძოლი სალმით თქვენი ერთადერთი შვილი ჯონი. *(ერთბაშად წამოდგა და კედელზე გააკრა ქაღალდი, რომელზეც ადვილად ამოიცნობა დირექტორი – ჩექმებიანი, ავტომატმომარჯვებული. ერთ წამს გაოცება, მერე მოწონების შეძახილები).*

თამარი – ჯონი გენიოსი!

ირმა – „გარინჩაც“ ამოუყენე გვერდით! *(სიარულში გააჯავრა კლარას)* „მე, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით ნაწილში“...

ჯონი – ახლა ჩვენ გადავიდეთ კონტრიერიშზე. ეს სურათი კაბინეტში გავუკრათ!

კახა – ვინ შეიტანოს? შენ თვითონ უნდა შეუტანო. მაინც მოგიწევს შესვლა. ეს ნახატი ისე მოეწონება დირექტორს, ტაშს შემოკრავს: „ავტორი, ავტორიო!“ *(ტელეფონის ზარი. ყურმილის აღებას ვერავინ ბედავს).*

ჯონი – მიდით, აიღეთ რამ დაგაფრთხოთ? *(ყურმილი აიღო)* გისმენთ... დიახ, ბატონო... კი, აქ გახლავთ... ახლავე *(ყურმილი დადო, ჩურჩულით)* დიმიტრი მასწავლებელს სთხოვენ. *(ამხანაგებს მიაჩერდა: „ვინ გამოუძახებს?“)*

ირმა – მე არა, შენი ჭირიმე, იქ ფეხს ვერ შევადგამ. *(ჯონი გავიდა)*

ბადრი – ჩვენი თავი ჯანდაბას, აქ რომ არ ვიყოთ, სადმე კინოში ვეყრებოდით. ამ პატიოსან მოხუც კაცს რაზე აწვალებს? *(შემოდიან დიმიტრი და ჯონი)*

დიმიტრი – *(ყურმილი აიღო. მის შემოსვლას ყველა მოწიწებით შეხვდა და თავდახრილნი მალულად უყურებენ დიმიტრის და უცებ ყველა გაშრა თავზარდაცემული: ჯონის თავისი ნამუშევარი ტელეფონის აპარატთან ახლოს გაუკრავს და დიმიტრიც ლაპარაკის დროს თვალმოუცილებლად შესცქერის დირექტორის პორტრეტს. მეტიც: პორტრეტი ერთი ჭიკარტითაა კედელზე მიმაგრებული და დიმიტრიმ ტელეფონში ლაპარაკისას ისე, რომ არც აღუქვამს, სურათზე რა არის გამოხატული, ჭიკარტი ცერით უფრო გაამაგრა).* დიახ... ჰო, მე ვარ... არაფერი, საქმეს შევყევით... რამ შეგაშფოთა... არ ვიცი, ნუ მომიცდი, შეიძლება შემაგვიანდეს... ოჰ, კარგი, ბავშვი ხომ არა ვარ? დაისვენე, დაისვენე! *(ყურმილი დადო და კარისაკენ წამოვიდა).* გმადლობთ, ყმაწვილებო! *(და გავიდა. ჯონი სწრაფად მიიჭრა სურათთან და ჩამოხსნა. იმავე წამს შემობრუნდა დიმიტრი, შეხედა კედელს და გაოგნდა: „წეღან იქ სურათი არ ეკიდა?“ ყველა ბავშვი მამა აბრამის ბატკნად იქცა და თავდახრილი, მღელვარებით ელის, რა მოხდება. დაბნეულმა დიმიტრიმ სათვალე გაიწმინდა და კვლავ კედელს შეხედა. შუბლი მოისრისა: „ალბათ, მომეჩვენა, დავიღალე“ და გავიდა).*

დირექტორის კაბინეტი. დაღლილი და დაღონებული რუსუდანი უაზროდ დასცქერის ქაღალდს, წინ რომ უდევს. შემოდის დიმიტრი.

დიმიტრი – ქალბატონო რუსუდან, გადაიხედეთ, ქუჩაში რა ხდება! მთელი მეათე მესამე აქ არის! *(რუსუდანს თითქოს არც გაუგონია).* ბიძინა დირექტორმა გაიძახა? ალბათ, თვითონ რომ ვერაფერი გააწყო ბავშვებთან. იცით, რა მოხდა? ბიძინა რომ ქუჩაში ჩავიდა, იმ წუთიდან ბავშვებისთვის დირექტორი აღარ არსებობდა. რა შეუმჩნევლად დაზრდილან და დავაჟკაცებულან!.. ცუდად ხომ არა ხართ? *(რუსუდანის წინ ქაღალდი შენიშნა, აიღო, წაიკითხა, მაგიდაზე დააგდო. ერთხანს იბორიალა კაბინეტში, მერე დაჯდა)* ეს რა არის?

რუსუდანი – ხომ წაიკითხეთ?

დიმიტრი – გადავიღალე და მოჩვენებები დამჩემდა. წეღან სამასწავლებლოში რაღაც მომელანდა. იქნებ ესეც მომეჩვენა?

რუსუდანი – არა, ბატონო დიმიტრი, ნამდვილია.

დიმიტრი – სისულელეა ახლა განცხადების დაწერა.

რუსუდანი – აღარ შემიძლია!

დიმიტრი – მე რაღა ვქნა? ასეთ ომში მე შენზე ორჯერ მეტი გზა გამივლია... არა, შენი განა არ მესმის? ბევრჯერ მიფიქრია, თუ კლარა ჩვენს გვერდით უსათუოდ უნდა იყოს, თუ კლარასთანებს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი დაჯავშნული აქვთ, რაღა აზრი აქვს ჩვენს ბრძოლას? ხომ

ნახე, დირექტორმა რა ბრძანა? ავტობუსში კლარა ადგილს დაგითმობს, მაგრამ სამსახურში შენი უფროსია და დაემორჩილეო. ეშმაკმა იცის, ავტობუსში როდის შემხვდება კლარა, სამსახურში კი დღედაღამ იმას შევცქერი.

რუსუდანი – მაშ, რაღას მამტყუნებთ, ბატონო დიმიტრი?

დიმიტრი – არ ვიცი... ძნელი დასათმობია ის, რისთვისაც ვიბრძოდით... *(შეწრიალდა)* ერთი რამ ვერ გამიგია! კაცმა გაფლანგა ფული, ჩვენ მას ვიჭერთ, და იურისტების ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებისგან იზოლაციას ვუკეთებთ. კი, დასასჯელია, ჯიბე, რომელშიც მან ხელი აფათურა, სახელმწიფოსია და ეს სახელმწიფოც ბეჯითად პატრონობს თავის დოვლათს. მაგრამ კლარასთანები უფრო დიდ დოვლათს ფლანგავენ, აუწონავ დოვლათს, ეს დოვლათიც სახელმწიფოსია და რა პარადოქსია, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს!

რუსუდანი – სახელმწიფომ რა ქნას?

დიმიტრი – ასეთი ვაიპედაგოგები ბავშვებს არ უნდა გააკაროს! პასუხი მოსთხოვოს იმ თანამდებობის პირს, ვისი ტელეფონის ზარითაც კლარა აქ მივიღეთ! პასუხი მოსთხოვოს იმ უმაღლეს სასწავლებელს, რომელმაც ასეთებს დიპლომი მისცა! მახსოვს, კარგა ხნის წინათ ბორჯომის ხეობაში ტყეს სენი შეეყარა. ტყეს გადაშენება ელოდა. მთელი რესპუბლიკა ფეხზე დადგა! არ იფიქროთ, რომ მე ფლორას მნიშვნელობას ვაკნინებდე, მაგრამ ახლა ჩვენ სამრეკლოზე უნდა ვიდგეთ და ზარებს ვაგუგუნებდეთ, ქუდზე კაცი გამოდით, ბავშვებს გვტაცებენ, გზა მოვუჭრათ, თორემ სტამბოლს მიყავთ გასაყიდად! *(ტელეფონის ზარი. რუსუდანმა ყურმილი აიღო).*

რუსუდანი – დიახ... არ გახლავთ. *(ყურმილს ხელი დააფარა. დიმიტრის)* კლარაა!

დიმიტრი – *(სწრაფად)* ნუ მოვა! უთხარით, უთხარით, დირექტორმა ბავშვები გაუშვა, ყველაფერი დამთავრდა.

რუსუდანი – *(ყურმილში)* ყველა წავიდა... კი, ყველაფერი გაირკვა... გრძელი ისტორიაა, დილაზე გიამბობთ... რა ბრძანეთ?.. კი, მესმის, მაგრამ დილამდე რა აუცილებელია? *(ყურმილი დადო)* გამინაწყენდა, ვინ დაწერა, ვალდებული ვარ, ვიცოდეო.

დიმიტრი – ბამიც დიდებულია და კამაზიც. გარდა იმისა, რომ ასეთ გიგანტებს ვაშენებთ, ახალგაზრდობას პატიოსნური ოფლის დაღვრასაც ვასწავლით. მე რომ მკითხო, კიდევ ერთი საყოველთაო–სახალხო ლაშქრობას გამოვაცხადებდი: პატიოსანო ერის შვილებო! სკოლებისაკენ! დღეს ჩვენი მარაბდა იქ არის!.. *(ნერვები დაიოკა)* ბავშვები ექსკურსიაზე რომ წავიყვანოთ, ავტობუსი უნდა გამოვიწეროთ. გამოგვიგზავნიან ყველაზე კვალიფიციურ მძღოლს, ავტობუსსაც წააწერენ, „ფრთხილად, ბავშვებია!“ სწორია, ღმერთმა დაგვიფაროს, რომელიმეს ფრჩხილი ეტკინოს, მაგრამ სკოლა? ეს ხომ ერთდღიანი

ექსკურსია არ არის? რატომ არ ვაწერთ, „ფრთხილად, ბავშვებია!“ რატომ არ გვიგზავნიან ყველაზე კვალიფიციურ მძღოლებს – სულიერ მოძღვრებს? იცით, რატომ? ექსკურსიაზე ბავშვმა რომ ფეხი მოიტეხოს, ამ ამბავს სამი კაცი მაინც შეეწირება. ადვილად ჩანს მოტეხილობა, მშობელიც განგაშს ატეხს. სკოლაში კი ასი ბავშვიც რომ ვაქციოთ სულით ხეიბრად, ეს ადვილად არ ჩანს; გამყიდველი რომ შემოგვაპარებს დამპალ ვაშლს, ისე ვაპარებთ უმაღლეს სასწავლებლებს, ისინიც მერე ასე აპარებენ საზოგადოებას და ვასრულებთ დამზადების გეგმებს, მერე კი ერთმანეთს ტაშს ვუკრავთ! *(შემოვიდა ბიძინა).*

რუსუდანი – კიდევ რამე მოხდა?

ბიძინა – დირექტორი შინ რომ მიდიოდა, ქუჩაში ბავშვები დაუნახავს, მეათეკლასელები.

რუსუდანი – შენ რაღაზე დაგიძახა?

ბიძინა – სია შემიდგინე, ვინც აქ არისო.

დიმიტრი – ჩამოწერე?

ბიძინა – არა. ერთმა ჭკვიანურად გვირჩია: ნუ შეწუხდებით, სია საკლასო ჟურნალში გიწერიათო.

დიმიტრი – ესე იგი, ყველა მოსულა.

ბიძინა – არ მინდა, ლაჩარი გეგონოთ ის, ვინც ტექსტი დაწერა. რამდენჯერ მოდიოდა თქვენთან, მაგრამ ამხანაგებმა არ გამოუშვეს.

რუსუდანი – ბიძინა, მე არ გთხოვ იმ ბავშვის ვინაობა გაგვიმხილო, ეს თქვენი საქმეა... შენი პოზიციაც ჩვენთვის ნათელია, კლასთან ერთად მის გვერდით ხარ. გვაინტერესებს, რა დანაშაული მიუძღვის თამაზ მასწავლებელს?

დიმიტრი – თქვი, აქ უცხო არავინაა. ჩვენს შორის დარჩება.

რუსუდანი – დირექტორი მალე მობრუნდება და მშობლებიც, სადაცაა, მოვლენ...

ბიძინა – *(გაუბედავად)* ჩვენ, რომლებსაც უფროსები ბავშვებს გვიწოდებთ, იურისტებისგან იმით განვსხვავდებით, რომ ადამიანის დანაშაულს ვაფასებთ არა იმით, რა ჩაიდინა, არამედ იმით, ვინ ჩაიდინა. თამაზ მასწავლებელი ჩვენ ძალიან გვიყვარდა.

დიმიტრი – ესე იგი, თქვენ დანაშაულის სიმძიმეს ზომავთ იმის მიხედვით, რამდენად ძვირფასია თქვენთვის ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.

ბიძინა – დიახ.

დიმიტრი – აჰა, ახალგაზრდობას მშობლებთან რომ დავა აქვს, ესეც ამავე მიზეზით. სხვას რომ აპატიებთ, იმ საქციელისთვის მშობელს ჯვარზე გააკრავთ?

ბიძინა – წამიკითხავს ჩინური, ინდური, რუსული, ინგლისური, რა ვიცი, რა ხალხის ზღაპრები. კუთხე არ არის დედამიწაზე, ბავშვებს ზღაპრებზე რომ არ ზრდიდნენ. ბავშვი ამ ზღაპრებით თავის იდეალს ქმნის. ამ

იდეალს თავის ახლობლებში ეძებს. წამოიზრდება და ზღაპარსა და სინამდვილეს შორის დიდ ზღვარს აღმოაჩენს. ეს იწვევს ბავშვების იმედგაცრუებას და მშობლებთან დავას.

დიმიტრი – გამოდის, რომ ბავშვებს ზღაპრები არ უნდა ვუკითხოთ, ქალბატონო რუსუდან.

ბიძინა – თქვენ ვერ გამიგეთ.

დიმიტრი – არა, გაგიგეთ, გაგიგეთ... შვილს მშობელი მიაჩნია სიკეთის, სიმართლის, ძლიერების განსახიერებად. წამოიზრდება შვილი და დაინახავს, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ეგონა, რომ მამამისი არც გველეშაპისთვის წყლის წამრთმევია და დედაც ზოგჯერ ალქაჯს ჩამოჰგავს. ბავშვიც პროტესტს აცხადებს: „დამიბრუნეთ ზღაპარი!“ ზღაპარი კი აღარ ბრუნდება. იქნებ ამიტომაც ასე იწყება ზღაპარი: იყო და არა იყო რა... მართალი ვარ, შვილო?

ბიძინა – მართალი ბრძანდებით.

დიმიტრი – ახლა პედაგოგზე გვითხარით, უფრო ობიექტური იქნებით და ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება თქვენი აზრი, ჰო, მიდი.

ბიძინა – დრო იყო, ვერც წარმოვიდგენდით, თუ თქვენც ჩვეულებრივ იკვებებოდით, ჩვეულებრივი შვილები გყავდათ... მხოლოდ ერთი რამ გვიკვირდა, სიარულის დროს მიწას რატომ ეხებოდით. ერთ უბრალო მაგალითს მოგახსენებთ. ტრანსპორტში სკამის პრობლემა ისე მწვავედ დგას, ამ საუკუნეში ნამდვილად არ გადაიჭრება. ეს ტყავაგლეჯილი და ღრუბელამოჩეჩილი სავარძლები ავტობუსს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასპარეზად აქცევს. ყველასთვის გვიპატიებია, დიმიტრი მასწავლებელო, ეს სისუსტე, საკუთარი მშობლებისთვისაც, მაგრამ იმ დღეს ჩვენმა მასწავლებელმა ერთ დედაბერს ადგილი არ დაუთმო. ერთი ბავშვი შეესწრო ამ სცენას და მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა სკოლამ იცოდა. არ იფიქროთ, რომ ეს თამაზ მასწავლებელი იყო... ის მასწავლებელი თავის დროზე „შვლის ნუკრის ნაამბობს“ რომ გვიკითხავდა, ჩვენ ხომ გვატირებდა, თვითონაც ტიროდა...

დიმიტრი – მდაა... იყო და არა იყო რა.

ბიძინა – ახლა წავალ... ამხანაგებს ვნახავ...

დიმიტრი – გმადლობთ, შვილო, დიდი მადლობა! *(ბიძინა გავიდა. რუსუდანი და დიმიტრი თავჩაღუნულნი სხედან, ერთმანეთისთვის ვერ შეუხედავთ. ტელეფონის ზარი. დიდხანს რეკავს, მაგრამ არ განძრეულან).*

დიმიტრი – რა გვიყო ამ ბავშვმა, როგორ გაგვასილაქა!.. *(უცებ)* რაზე ფიქრობდით, ქალბატონო რუსუდან? გულახდილად მითხარით!

რუსუდანი – კარუსელივით დატრიალდა მოგონებები, ვის წინაშე რა ცოდვა ჩამიდენია, რა შეცდომა დამიშვია...

დიმიტრი – აგაშენა ღმერთმა! ამ ხნის კაცი ცოდვილივით ავწრიალდი!

რუსუდანი – მაინც არ გვითხრა, თამაზისგან რა ეწყინათ.

დიმიტრი – ამ შემთხვევაში რომელიმე ჩვენგანის კონკრეტული შეცდომა კი არ არის მთავარი, არამედ ჩვენი პიროვნება მთლიანობაში, რომელიც ძალიან უნდათ, რომ მათ იდეალს უახლოვდებოდეს.

რუსუდანი – მართალი ბრძანდებით.

დიმიტრი – *(პაუზის შემდეგ)* ქალბატონო რუსუდან... ამ დირექტორმა სიბერეში როგორ დამაჩვია ოფიციალურობას! ჩემო რუსუდან, ხომ მაქვს უფლება, ასე მოგმართო, ჩემი ყოფილი მოწაფე ხარ... იცი, ხანდახან რა ფიქრი არ მასვენებს? ახლა ჩვენში ჰაჯი-უსუბის თავმოყვარეობამ და სინდის-ნამუსმა რომ გაიღვიძოს უცებ, ერთი წამით, ჰაუ, რა სროლა და ბათქა-ბუთქი ატყდებოდა! *(მოულოდნელად შემოესმათ სიმღერა. ყურებს არ დაუჯერეს. მიაყურადეს. ნამდვილად მღერიან და ვინ? სამასწავლებლოში დატოვებული ბავშვები:*

„ამას ამბობდა ქართველი
სპარსეთში გადახვეწილი,
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მაინც დავრჩები ქართველი...“
ამ სიმღერამ ააწრიალა მასწავლებლები)

რუსუდანი – ბატონო დიმიტრი... ჩემი თავი, აი, ახლა ამათ პატრონს, ბედნიერი მგონია!..

დიმიტრი – ო, ამათ ვენაცვალე!.. რა ძნელია მათი სიყვარული მოიპოვო და დაკარგვა კი რა იოლია! ამასწინათ ჩემი ძველი მეგობრის დაკრძალვას დავესწარი. აქ, ახლოს, სოფელი აღაიანია, მუხრანისკენ; ვერ გავძელი, ავტირდი! მთელი სკოლა რომ შემოვიდა, ეს გუშინდელი დაუყენებელი, ცელქი გოგო–ბიჭები, უცებ დასერიოზულებულნი, გვაპატიე, ტარიელ მასწავლებელოო, თუ ოდესმე გაწყენინეთო, ჩვენო მკაცრო და სამართლიანო მასწავლებელოო! და იყო ასი ბავშვის გულამომჯდარი ქვითინი! იწვა ეს ჭაღარა კაცი, მკერდზე დასდიოდა ამ პლანეტის ყველაზე გულწრფელი ცრემლი და ვიგრძენი, რომ ჩემი ძველი მეგობარი ბევრ ცოცხალზე ბედნიერი იყო!

ვიქტორი – *(შემოვიდა დაღლილი, დაჯდა. პაუზა)* მშობლები არ მოსულან?

რუსუდანი – ჯერ არა.

ვიქტორი – *(უნებურად ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გული ამოაყოლა)* ბოდიშს გიხდით, რომ დაგტოვეთ. მშობლების მოსვლამდე შესვენებით ვისარგებლე. სამი წლის შვილიშვილი მყავს *(დაღლილობა გაუქრა, წამით ოდნავი ღიმილი გაჩნდა მის სახეზე)* ნატა, ეშმაკის ფეხი!.. უმამოდ იზრდება. თუ გახსოვთ, ამ ორი წლის წინ ბავშვი რომ იხრჩობოდა და...

დიმიტრი – ჰო, მშველელი რომ დაიღუპა.

ვიქტორი – ის ჩემი ვაჟი იყო... ცურვა არ იცოდა. *(სწრაფად)* ჰოდა, ჩემს ნატას რაღაც დაემართა, გუშინ საღამოს უცებ სიცხე მისცა. წარმოგიდგენიათ

ნატა დადინჯებული? აღარ ლაპარაკობს! წარმოგიდგენიათ, თერგი თავდაყირა აღარ გადადიოდეს?

რუსუდანი – ალბათ, გაცივდა.

ვიქტორი – რა ვიცი. ანალიზების პასუხი ხვალ იქნება. ახლა რატომ დამიბარა, თუ იცით? თითი მაჩვენა, ნემსით რომ გაუჩხვლიტეს! ჰო, წეღან რომ დამირეკეს! ისე არ დავიძინებ, პაპას უნდა ვაჩვენოო.

მაგნოლია – *(შემოვიდა)* შეიძლება? მე ჯონი წივწივაძის მშობელი ვარ.

რუსუდანი – დაბრძანდით, ქალბატონო მაგნოლია *(მაგნოლია დაჯდა. ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო. შუბლი შეიმშრალა. თვალი ჩააპარა გახსნილ ჩანთაში, ალბათ, სარკეში).*

მაგნოლია – რამე დააშავა ჩემმა ბიჭმა? რომ არ დამხვდა სახლში, ის არასოდეს იგვიანებს, ცოტათი შევშინდი. მერე თქვენც დამირეკეთ.

რუსუდანი – სხვა მშობლებსაც ველოდებით და მერე პატივცემული დირექტორი ყველაფერში გაგარკვევთ.

მაგნოლია – აჰა, ჯგუფური დანაშაული მოხდა? *(ვიქტორი გავიდა)* ძალიან გაბრაზებული ჩანს!.. კიდევ ვის მშობლებს ელოდებით?

დიმიტრი – მაგას თქვენთვის რამე მნიშვნელობა აქვს?

მაგნოლია – როგორ არა! შემიძლია ახლავე დავადგინო, ჩემი ბიჭი დამნაშავეა თუ არა. ისეთი გვარები რომ დამისახელოთ, ვისთანაც არც მეგობრობს, საერთოც არაფერი აქვს, რა თქმა უნდა, აბრალებენ.

დიმიტრი – რას აბრალებენ, ქალბატონო მაგნოლია?

მაგნოლია – რა ვიცი, რაზე დამიბარეთ?

რუსუდანი – ბატონო დიმიტრი, საქმეს ვითომ კვალიფიციური მძღოლი უშველის?

დიმიტრი – მარტო მძღოლი რას გააწყობს? წეღან მხოლოდ ჩვენი პოზიციიდან ვიხილავდით საკითხს. ვამბობდი, რომ აუცილებელია კვალიფიციური მძღოლი. მაგრამ მან რა ქნას, თუ გზა დანგრეულია, თუ შემხვედრი მანქანის მძღოლი უვიცია?

მაგნოლია – რა მძღოლზეა ლაპარაკი? სადმე მიემგზავრებით?

დიმიტრი – ექსკურსიაზე.

მაგნოლია – ჩემს მეუღლეს ვეტყვი და მანქანას გამოგიგზავნით.

დიმიტრი – გმადლობთ.

ტრიფონი – *(შემოვიდა)* საღამო მშვიდობისა.

რუსუდანი – თქვენ მობრძანდით, ბატონო ტრიფონ!

ტრიფონი – ჩემმა ბიჭმა შემარცხვინა, ქალბატონო რუსუდან?

რუსუდანი – თქვენ რატომ შეწუხდით, თქვენი მეუღლე მოსულიყო!

ტრიფონი – ახლა ის ჩავარდა. საოცარია ადამიანის ბუნება. ვიდრე მე მივლიდა, აბა, ორი თვე გადადებული ვიყავი, ფრჩხილი არ წამოსტკივებია, ვიფიქრე, ანა-ბაჯი მყოლია-მეთქი. მოვიკეთე და ახლა ის ჩაწვა. არა, გული კი არა, - ეტყობა გამოიფიტა.

ასმათი – *(შემოდის)* საღამო მშვიდობისა. დავაგვიანე? შვილსა და რძალს ვუცდიდი, რომ ისინი წამოსულიყვნენ. მერე დამირეკეს, კინოს სახლში მივდივართ და დავიგვიანებთო. რაღაც უცხო სურათი გადის თურმე. ამ უცხო სურათებით ხალხს აგიჟებენ! რაო, ჩემმა თამლომ, გვასახელა?

რუსუდანი – სულ მალე შევიტყობთ, ასმათ ბეიბა. *(შემოდიან ვიქტორი ელდარი და ეკა).*

ვიქტორი – ვინ გვაკლია?

რუსუდანი – ირმა ვაჩეიშვილის მშობელი.

ბუხუტი – *(შემოვიდა)* მაპატიეთ, კარბურატორი გამეჭედა. კლიენტი მიმყავდა და გზაზე მიმტყუნა. ბოდიშს ვიხდი, დაბანაც ვერ მოვასწარი. *(ხელები აჩვენა)*

ვიქტორი – დაბრძანდით. ბოდიშს გიხდით ასე გვიან შეწუხებისთვის. მაგრამ მე ვგულისხმობ რომ თქვენი შვილების ბედი მარტო სკოლას არ აწუხებს და ამიტომ გადავწყვიტე თქვენი შეკრება... დღეს, დილას, ჩვენს სკოლაში მოხდა გაუგონარი დანაშაული. მეათე მესამე კლასში კედელზე მოსწავლეებმა დაგვახვედრეს ტრანსპარანტი: ამა და ამ მასწავლებელს კლასში არ შემოვუშვებთო!

მაგნოლია – რას ლაპარაკობთ!

ვიქტორი – ბავშვს უკმაყოფილების გამოხატვას არ ვუკრძალავთ. მაგრამ ამ გამოხატვის ფორმასაც აქვს საზღვრები. აი, დავფიქრდეთ, ჯერ ერთი, კედელზე წერა არ შეიძლება, ამის შეღებვაზე ფული ჩაგვიყრია. მეორე – ვინ ჰკითხავს ბავშვს, მასწავლებელი თვითონ აირჩიონ! და რაც მთავარია, პროტესტის ასეთი ფორმა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. თქვენ სამსახურში გააკრავთ ტრანსპარანტს, ესა და ეს ხელმძღვანელი არ გვინდაო? ვთქვათ, გაიგონ ზემოთ, ვისაც ჩვენ ანგარიშს ვაბარებთ, თავზე ხელს გადაგვისვამენ? გაგვყრიან! სამსახურს დაგვატოვებინებენ! არც მშობლებს მიართმევენ ქების სიგელს!

მაგნოლია – მაგას ჩემი ნამდვილად არ იზამდა!

ასმათი – *(მაგნოლიას)* აბა, ჩემი?

მაგნოლია – *(წამოდგა)* არა, პატივცემულო, ადამიანობას გეფიცებით, ჩემი ჯონი მაგის გამკეთებელი არ არის!

დიმიტრი – რად არ კითხულობთ, რატომ დაწერეს? იქნებ იმ ტრანსპარანტის ავტორი მართალია? მაშინ, ალბათ, იმაზე იდავებთ, ჩემი დაწერდაო!

ვიქტორი – ემოციები დაიოკეთ, გეთაყვა!.. სკოლის საქმეებსაც რომ თავი დავანებოთ, თვითონ მათთვის უკეთესია, თუ დროზე შეიგნებენ, რომ პროტესტის ამ სახით გამოხატვა ცხოვრებაში ათას ხიფათს გადაჰყრის. ჩვენ დავტოვეთ თქვენი ბავშვები და გულახდილი დიალოგები მოვაწყეთ. დამნაშავე არცერთმა გათქვა. თქვენ იმისთვის მოგიწვიეთ, რომ გაესაუბროთ თქვენს ბავშვებს. აუხსნათ საქმის სერიოზულობა და ეცადოთ, მიაღწიოთ მათ გულახდილობას. „მუნჯის ენა დედამ იცის“.

ჩვენი პირობა ასეთი იყოს: საიდუმლოდ დარჩება იმ ბავშვის სახელი, რომელიც გაამხელს დამნაშავეს, ხოლო ვინც ჯიუტად დაფარავს დამნაშავეს, მკაცრად დაისჯება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ექვსი ბავშვიდან რამდენიმე ჯერ კიდევ ინარჩუნებს მედლის მიღების შანსს, ხოლო ჩვენ დახმარებაც შეგვიძლია და ზომაზე მეტი სიმკაცრის გამოჩენაც. გასაგებია? ახლა შევუდგეთ საქმეს! სამასწავლებლოს იქით ექვს საკლასო ოთახში გელოდებიან თქვენი ბავშვები. *(მშობლები გადიან. მაგნოლია კარებიდან მობრუნდა)*

მაგნოლია – პატივცემულო დირექტორო, რამდენი ხანია მაწუხებს და მინდა გითხრათ... რჩევა მინდა. ასეთი გამოცდილი პედაგოგები აქ ხართ და უკეთესს სად ვნახავ... ჩემი მეუღლეც ხომ იცით, როგორ დაკავებულია, ეს კოლეგიები, თათბირები... მოსკოვი, საზღვარგარეთი... ჩემს ჯონიზე მინდა მირჩიოთ... სულ ჩხუბი მაქვს. გათენებამდე ზის და წიგნს ხელიდან არ გააგდებს! ვეუბნები, შვილო, ეგ თვალები კბილები კი არ არის რომ გაგიფუჭდეს და დაგიპლომბონ, ნუთუ სხვებიც თავს ასე აკლავენ მაგ წიგნს–მეთქი! სხვებს მე არ ვუყურებ დედიო, მე ჩემი მიზანი მაქვსო...

ვიქტორი – ოქროს მედალი!

მაგნოლია – ოქროს მედალი რაღად უნდა, თუ ჯანმრთელობა არ ექნება...

ვიქტორი – მოგეხმარებით მაგ საქმეში! ახლა ბავშვი გელოდებათ!

რიგ-რიგობით ნათდება ექვსი წყვილი:
შვილი – მშობელი.

ბადრი – დედამ გაიგო?

ტრიფონი – გაიგო.

ბადრი – რად უთხარი?

ტრიფონი – მიხვდა. მე წამომცდა ტელეფონში რუსუდან მასწავლებლის სახელი და მიხვდა.

ბადრი – ინერვიულა?

ტრიფონი – ეჰ, შვილო, შვილი მშობლებისთვის სხვა რა არის, თუ არა ნერვების შლა და წეწვა?

ბადრი – მაპატიეთ!

ტრიფონი – ეგ „მაპატიე“ ისე შველის საქმეს, როგორც ვალერიანის წვეთები ფილტვების ანთებას.

ბადრი – რა ვუყო, აბა, რა ვქნა?

ტრიფონი – ეცადე შვილო, იშვიათად შეგვყარო ფილტვების ანთება. ახლა მითხარი, რა მოხდა?

ბადრი – კედელზე დავწერეთ, რომ ერთი მასწავლებელი კლასში არ შემოსულიყო.

ტრიფონი – შენ დაწერე?

ბადრი – მე არა.

ტრიფონი – კეთილი. მე არ გთხოვ მისი ვინაობა გამიმხილო, ვინც დაწერა. შენ მას ეთანხმები?

ბადრი – რა თქმა უნდა!

ტრიფონი – კეთილი. მეტი შეკითხვა აღარ მაქვს. *(ადგა)*

ბადრი – გეწყინა?

ტრიფონი – მე ვეტყვი დირექტორს, რომ ვერც მუქარით, ვერც დაყვავებით სიტყვა ვერ დაგაცდენინე *(გახარებულმა ბადრიმ უცებ აკოცა).*

ბადრი – ჯერ ნუ გახვალ! იფიქრებს, ასე უცებ მუქარაც და დაყვავებაც როგორ მოასწროო!

ტრიფონი – ბიჭოს, შენ ჩემზე უკეთესი მატყუარა ყოფილხარ!

ბადრი – ის ურჩევნია მამულსაო, ხომ გაგიგონია?

ტრიფონი – *(გაიცინა. დაჯდა)* სიჩქარეში ვერაფერი წამოგიღე. მშიერი იქნები.

ბადრი – ფანჯრიდან ხაჭაპურები შემოგვიგზავნეს.

ტრიფონი – ვინა?

ბადრი – ამხანაგებმა.

ტრიფონი – *(მოიწყინა)* ეჰ, სად იკარგება ის სიკეთე, თქვენში რომ არის... მერე სად იკარგება?.. ჩვენთან ერთმა მეცნიერ–მუშაკმა თავის კოლეგას გაუმხილა რომ ის ნაწყენი იყო განყოფილების გამგეზე, რადგან პრემიაზე არ წარადგინა. მისი პრეტენზია სამართლიანი იყო. პრემია

ნამდვილად ეკუთვნოდა. ეჰ, შვილო, განა დიდები ყოველთვის სამართლიანად ვჭრით? პრემიას იშვიათად აძლევენ წყნარსა და უპრეტენზიო მუშაკს. მისი არ ეშინიათ. ის თავის საქმეს მაინც ისევ გულმოდგინედ გააკეთებს!.. ჰოდა, ამ კოლეგამ ამბავი მიუტანა განყოფილების გამგეს, მიუტანა დამახინჯებით, გლანძღაო, გთათხაო, გაგინაო...

ბადრი – ვიცი, მამი, ვხვდები...

ტრიფონი – ეცადე, შვილო, ეცადეთ, შვილებო, არ წახდეთ!..

ბადრი – ახლა წადი, დედა მარტოა, ჰო, წამალი, აი გიშოვნე. *(კოლოფი მისცა)*

ტრიფონი – სად იშოვნე, ბიჭო?!

ბადრი – შევედი აფთიაქის მმართველთან და ულტიმატუმი წავუყენე: კარგი მამა მყავს და ფეხზე მინდა დავაყენო, ეს წამალი მიშოვე-მეთქი. ერთ-ხუთ ადგილას დარეკა. ქიმიის გაკვეთილი კი ემსხვერპლა, მაგრამ დიდი ბიჭი რომ გაიზრდები, სიკეთით გადამიხდი.

ირმა და ბუხუტი

ბუხუტი – ისე შემრცხვა მასწავლებლებთან, ასე ზანგივით რომ გამოვცხადდი. წყალიც არ მოდიოდა. გარაჟში მივდიოდი და კლიენტი დამემგზავრა. არ გაუჩერო, შეგიკურთხებს. შენ კი ვერ გაიგებ, მაგრამ ხომ იცი, შეგიკურთხებს. სამტრედიის ქუჩაზე რომ ავუხვიე, იქ ხომ პატარა აღმართია, არ გამიჩერდა? კარბურატორმა მიღალატა. მანდ როგორ არი, იცი? არხებია ძარღვებივით, რომ ბენზინი გაატაროს... აბა, რუსულად როგორ გითხრა და ქართულად მაგისი სახელი მარტო აკაკი შანიძემ იცის. ეს ძარღვებივით მილები გაჭედილი იყო დანალექით, ბენზინს აღარ ატარებდა. ერთი სიტყვით, კარბურატორს ინფარქტი დაემართა. ახლა რაზე გეუბნები ამას. ეს შოფრები მორიგეობით რომ ვჯდებით მანქანაზე, არ ვარგა. ის არ უვლის მანქანას, როგორც ფურს, ისე წველის, შენ თავი იმტვრიე! ერთი კვირა მე ხომ სამუშაოდ არ გავსულვარ. ყველაფერი რიგზეაო, დილას მითხრეს. ყველა ერთი ძაღლია! ამიტომ მინდა, შვილო, ისწავლო, მეცნიერი მუშაკი გამოხვიდე, რომ სუფთა სამუშაო გქონდეს და ჩემსავით ნერვები არ იშალო.

ირმა – რა გითხრათ დირექტორმა?

ბუხუტი – *(თავისას აგრძელებს)* სწავლა კარგია, სწავლა! რომ გენახე, რა დღეში ვიყავი! კლიენტს სხვა ტაქსი გავუჩერე და გავამგზავრე. თან მებუზღუნებოდა, თითქოს განგებ მოვუწყე. გიჟი ვიყავი? ჩავხსენი ეს კარბურატორი და ჩავბერე და ჩავბერე ძარღვებში! არა, კაცო, სწავლას რა სჯობია? მამა შემრჩენოდა თავის დროზე, ახლა მეც კაცი ვიქნებოდი. სწავლის ფასი რა არის? აი, გურამიშვილის იუბილე რომ

გადავიხადეთ, ეს რა კაცი გვყოლია, შვილო! კი ვიცოდი, მაგრამ ასეთი ბრძენი თუ იყო, არ მეგონა.

ირმა – არ მეკითხები, ჩვენს კლასში რა მოხდა?

ბუხუტი – ახალი მანქანები მოვიდა, გუშინდელი შოფრები დასვეს...

ირმა – მამა, დღეს ერთი მასწავლებელი კლასში არ შემოვუშვით.

ბუხუტი – ახლა წავედი, შვილო...

ირმა – სადა?

ბუხუტი – წავალ რა... დირექტორთან... შინ წავალ, რაღაცას გავაკეთებ, დღეს უსადილოდ დავრჩით. შენ აქა ხარ, მე კარბურატორს ვუბერავდი.

ირმა – რად დაგიბარეს, რატომ არ მეკითხები?

ბუხუტი – რა ჩემი საქმეა, შვილო, ვიღაცას რაღაცა დაუწერია, ან რა შენი საქმეა? დაწერა – წაშალონ! მაგისთანები წაუშლიათ?

ირმა – ეგრე არ არის საქმე, მამი!

ბუხუტი – მაშ როგორ არის? შენ დაწერე?

ირმა – არა.

ბუხუტი – მორჩა! მე წავედი... *(მიდიოდა, მოტრიალდა)* შინ როდის გამოგიშვებენ, შვილო?

ირმა – არ ვიცი. თოფით რომ დამადგნენ, კლიტე მედება პირზე. ჩემგან იმის სახელს ვერ გაიგებენ!

ბუხუტი – *(მივარდა ირმას, გულში ჩაიკრა, აკოცა)* შენი ჭირიმე!.. მე კი მეშინოდა, მაინც გოგო ხარ, არ შემარცხვინოს–მეთქი!

კახა და ელდარი

ელდარი – მოკლედ, ჩვენებს ასე არ უთამაშიათ! ჰა-ჰა, პირველი ათი წუთი, ცოტა შიში ვყლაპეთ. მერე კი რომ მოასხდნენ!.. გავაუბედურეთ!..

კახა – ლამაზი ბურთები გავიტანეთ?

ელდარი – კანფეტივით! აუ, დათომ რა იკისრა! აი, შენ აქა ხარ, შენს უკან შენი ორი პარტნიორი დგას, დაზღვევაზე. მე დათო ვარ. ბურთი თავზე გადაგიგდე და შენს უკან მოვექეცი. ის ორი – ჩემსკენ! იმათაც თავზე გადავუკენწლე და ვხეთქე!.. ბედი არ გინდა? სწორედ ეგ ბურთი ძელს არ მოხვდა?

კახა – ესე იგი, გაბელია ისვენებდა?

ელდარი – ჩვენები თუ მიუგორებდნენ ბურთს. „ჩივო“ ვეფხისტყაოსანია! *(პაუზა)*

კახა – ხომ ნაღდი ლიდერები ვართ?

ელდარი – არ ვიცი, სხვებმა როგორ ითამაშეს, „ვრემიას“ დროს აქა ვარ.

კახა – მსაჯობა როგორი იყო?

ელდარი – არა უშავდა. კაცო, მე მოვედი, რომ შენ დაგკითხო და კითხვები შენ დამაყარე.

კახა – ნუკრი როგორ თამაშობდა?

ელდარი – *(გაბრაზდა)* თერთმეტივე კარგი იყო და ახლა მაიმუნობას მოეშვი! რა მოხდა სკოლაში?

კახა – *(ერთბაშად ჩაქრა)* რა ვიცი. რაღაცა დაწერეს. მე არაფერ შუაში ვარ.

ელდარი – ვინ დაწერა?

კახა – იმედო მგელიაშვილმა.

ელდარი – *(სახეში გაარტყა)* მამაძაღლო! *(მიდის. მოტრიალდა)* დილამდე რომ აქ ეგდო, ეგ სახელი მეორედ აღარ წამოგცდეს! მამაძაღლო!

ეკა ისე ეძგერა და ჩაეხვია ლალის, თითქოს შვილს სამუდამო კატორღას უსჯიან.

ლალი – *(მხიარულად)* ვაჰ, დედი! ძლივს გიცანი!

ეკა – *(გაეხარდა, თმაზე ხელი გადაისვა)* მოგწონს? სულელი ვიყავი, რომ არ გიგონებდი! იმ დღეს ტელევიზორში რომ დამანახე... ფრანგი მსახიობი იყო არა? იმასაც ჩემსავით მაღალი კისერი ჰქონდა. მაშინ მივხვდი, რომ შენ მართალი იყავი. მამაშენი გადაირია, ბრიჯიტ ბარდო ხარო! მერე რა გულმა მიგრძნო, აქ მოსვლა რომ მომიწევდა! მეზარებოდა, ხვალ გავიკეთებ–მეთქი. უცებ გადავწყვიტე. ხვალისთვის არაფერი გადადო, შვილო.

ლალი – ხომ არავის დაურეკავს?

ეკა – იმან დარეკა. ორჯერ.

ლალი – ვინა?

ეკა – მამაშენი რომ ყურმილს აიღებს და ის არა პასუხობს ხოლმე.

ლალი – დიდი ხანია?

ეკა – ბოლოს ერთი საათის წინ დარეკა. ახლა, შვილო, საქმეზე. გამოცდებამდე ერთი-ორი თვალის დახამხამება-ღა დარჩა. ფიქრობ ამაზე?

ლალი – სიზარმაცეს რაზე მატყობ, დედი?

ეკა – შვილო, ხომ იცი, მისაღებ გამოცდებზე რა ცოდვის კალო ტრიალებს? რა სჯობია, ერთი გამოცდა ჩააბარო და ჩაირიცხო, თუ სათუოდ გაიხადო სტუდენტობა? წარმოიდგინე, იმ სიცხეში ოთხი-ხუთი საათი ფეხზე ჩამოვშეშდე! ახლა შუაღამემდე ლოდინი – რა ნიშანს გამოგიცხადებენ. მე ამას ვერ გავუძლებ.

ლალი – მერე ვინ გაძალებს, ეგ მსხვერპლი გაიღო?

ეკა – სულელი ხარ! შენ იქ ლექტორებმა სისხლი გწოვონ და მე შინ ვიჯდე?

ლალი – აბა რა ვქნა? უმაღლესში არ ჩავაბარო?

ეკა – სულელი! მაშ ატესტატს მწნილად ხომ არ ჩადებ?

ლალი – დამშვიდდი, დედი, ხომ გინდა რომ შენს შვილს სულ ახალგაზრდა დედა ჰყავდეს? ჰოდა, უბრალოდ ნერვებს ნუ მოიფუტკნი. მისაღებ გამოცდებზე სისხლს არავინ გწოვს, არც ატესტატს დავამწნილებ.

ეკა – მერე მე რაღას გირჩევ? რა სჯობია იმას, რომ მარტო ერთი საგანი ჩააბარო? დირექტორი კარგი თვალით გიყურებს. ასე მითხრა, შენი შვილი მედლის ყველაზე ღირსეული კანდიდატია, ოღონდ არ შემარცხვინოსო.

ლალი – რატომ უნდა შევარცხვინო? შეიძლება უმაღლესში ვერ მოვხვდე, მაგრამ ისეთ ნიშანს არ მივიღებ, რომ ჩემი მასწავლებლები გაწითლდნენ.

ეკა – მაგას არ გეუბნები.

ლალი – მოიცა, დედი, მოიცა! მე ვხვდები, საითაც აკაკუნებ და ცოტა სინდისსაც დაეკითხე. ჯერ ერთი, მე ვსწავლობ და თუ მაღალ ნიშნებს მიწერენ, ალბათ, ვიმსახურებ. მედალი ჩემი კერპი არ არის. თუ მივიღებ, უარს არ ვიტყვი, მაგრამ გარიგებითა და ხელშეკრულებით მიღებულ მედალს კაპიკის ფასი აქვს. მეორეც, იმ შენს დირექტორს გადაეცი, რომ თუ გვებრძვის, აკრძალულ ილეთებს ნუ ხმარობს. ჩემგან ვერ გაიგებთ, ვინ დაწერა. მორჩა!

ეკა – შვილო, დირექტორმა დაიფიცა, ვინც დამნაშავეს გაამხელს, საიდუმლოდ დარჩებაო. შენ თვითონ იფიქრე, ვინ გაიგებს, შენ რომ გვითხარი? ექვსნი არა ხართ?

ლალი – მერე მე ჩემს თავს სად გავექცე?

ეკა – აბა რა გელაპარაკო! ჩვენს გარდა ახლა ხუთ ოთახში მიდის მოლაპარაკება. სხვამ რომ დაგასწროს? იმის სახელს მაინც ვერ გაიგებენ ბავშვები. ეჭვი ექვსივეზე თანაბრად განაწილდება. შედეგი რა იქნება? ვინც იტყვის, იმას დირექტორი თავის კალთას გადააფარებს, შენ კი მედალი გვერდით დაგრჩება.

ლალი – ნუ გეშინია, დედა, ამ ექვსიდან იმას არავინ გათქვამს.

ეკა – დარწმუნებული ხარ?

ლალი – ისე, როგორც შენ დედაჩემი ხარ.

ეკა – კეთილი, შვილო, ღმერთმა ქნას. მე მინდა რომ შენ ყველაზე კარგი იყო.

ლალი – კარგს, დედი, სუბიექტური გაგებაც აქვს. რაც დირექტორს მიაჩნია კარგად, იმას მე ვერ გავიზიარებ. ამ საკითხში რუსუდან და დიმიტრი მასწავლებლების მხარეზე ვარ.

ეკა – აბა, შენ სიტყვას ვინ მოგიგებს, კარგი, ხელები ამიწევია *(მიდის).*

ლალი – დედი, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ?

ეკა – მერე?

ლალი – არ ვიცი, რამდენი მაქვს მისჯილი. თუ იმან კიდევ დარეკოს, რომ გაიტრუნება ხოლმე, მამამ არ გაიგონოს, ისე ჩასჩურჩულე ყურმილში: „აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები“.

თამარი და ასმათი. თამარი ბებიას თმას უწნავს.

ბებია მორჩილად ზის.

თამარი – უჩემოდ წავიდნენ?

ასმათი – ჰო, დარეკეს, ბილეთები მოგვიტანეს და დავიგვიანებთო.

თამარი – *(ნაწყენი)* შენ მოგატყუეს, ბებია! მაგათ ბილეთი გუშინვე ჰქონდათ, წუხელ ისე ეტუტუნებოდნენ ელთმანეთს! დილას კიდევ დედაჩემი საგანგებოდ გამოეწყო! ლას მიმალავენ!

ასმათი – ლა ვიცი, შვილო, მე ვინ ლასა მკითხავს? ხომ იცი, რომ ჩვენს ოჯახში ყველაზე პატარა მე ვარ? სამხედროში როა, ასე, სმენაზე ვარ გაჭიმული. დამირეკეს, დავიგვიანებთო. არის, ამხანაგო პოლკოვნიკო– მეთქი! მე შენ გითხრა, მოვლენ და მომიყვებიან, რა ნახეს.

თამარი – შენთვის ალ შეიძლება ბებია, საზღვალგალეთული ფილმი. მოლალულად გაფუჭდები!

ასმათი – ჰო, შვილო, როგორც მეტყვით. სადილი რომ ვაკეთო, ხომ არ გავფუჭდები, სარეცხი და უთო ხომ შეიძლება?

თამარი – კი ბატონო.

ასმათი – ო, შენ კი გენაცვალე, ჩემთვის რომ ყველაფერი გემეტება!.. ეჰ, რა კარგი იყავი პატალა! ისინი თუ თავისთვის დაქშუოდნენ, შენ მაინც იყავი ჩემთანა, ყველაფერს მიგონებდი. ახლა შენც გამუტრუკდი და იმათ ჭკუაზე უბერავ.

თამარი – თავი დაწიე!

ასმათი – ახლა რომ ვინმემ შემოგვისწროს, ფსიქიატრიულში ორივეს ლუქსი განაღდებული გვაქვს. დირექტორმა რა დაგვარიგა, აქ კი კოსმეტიკა გავხსენით. ეს საქმეა?

თამარი – მორჩა! *(ასმათი ადგა)* ასე წადი ქუჩაში, ნახე, მოგიტაცებენ.

ასმათი – სულელი!

თამარი – ჩემი ლამაზი ბებია! *(აკოცა)* ნუ დაიშლი, თავშალი მოიხვიე! *(ასმათმა თავშალი მოიხვია)* ახლა წადი. მოიცა, კიდევ გაიმეორე!

ასმათი – ჩემმა შვილიშვილმა არაფერი იცის, არც დაუნახავს, არც არაფერი გაუგონია.

თამარი – *(დატუქსვით)* ბებია!

ასმათი – *(სხაპასხუპით)* ჩემმა შვილიშვილმა დამაბარა, მისამართი შეგეშალათ, თამრიკო ბახტაძე ამხანაგს არ გაყიდის!

თამარი – ყოჩაღ! ახლა იქაც ზუსტად ასე თქვი!

ასმათი – *(ხელი მხედრულად აუღო)* არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

მაგნოლია და ჯონი. ეტყობა, ლაპარაკით დაღლილან.

მაგნოლია – არა, მითხარი, მართალი არა ვარ? რამდენია მედლის კანდიდატი? ბიძინა? არის. ლალი? არის. იმას რა ჰქვია, მამამისი იქ რომ მუშაობს?

ჩალაური! არის. შენა? ახლა მითხარი, ერთ სკოლას თუ აქვს ამდენი ლიმიტი? ისეთი ბრძოლა წავა, ძმა ძმას არ დაინდობს. ბიძინას განაღდებული აქვს, მაგას რას უყურებ? დავუშვათ, ლალიმ გათქვა დამნაშავე, შენზე წინ ხომ წავა?

ჯონი – არა, დედა, ამხანაგები ვაუკაცად მცნობენ, მე შემომყურებენ, რანაირად გავოქვა ძმაკაცი?

მაგნოლია – რომელ ძმაკაცზე ლაპარაკობ? რამდენიმე თვეში სკოლას დაამთავრებთ და დაიფანტებით. ახალ ამხანაგებს გაიჩენ. აქედან რა წაგყვება ატესტატის გარდა? დირექტორმა შემოგვფიცა, სიტყვას საიდუმლოდ შეგინახავთო. *(პაუზა).*

ჯონი – ისტორიას არ ახსოვს საიდუმლოება, რომ არ გამჟღავნებულიყოს.

მაგნოლია – როგორ, დირექტორი თავს შეირცხვენს? მერე რომელი მშობელი ენდობა?

ჯონი – არა, დედა, ნუ დამაძალებ. დაბეზღება ჩემი საქმე არ არის.

მაგნოლია – ეს ხომ დაბეზღება არ იქნება? *(პაუზა)* ჯერ ერთი, ის ვიღაცა, კედელზე რომ წერდა, რატომ არ ფიქრობდა, ამხანაგებს რა ჭირსა გკიდებდათ? იქნებ განგებაც ჩაიდინა, თქვენი სიშტერის ამბავი რომ იცის, თვითონ დაიმალა, თქვენ კი საქმე გაგიფუჭათ. მედლის კანდიდატია?

ჯონი – არა.

მაგნოლია – არ ვიცი, მედალს მე არ დავთმობ! *(გამწარდა)* ვაი თუ უკვე სხვამ დაგასწრო და მერე მამაშენს გადაურჩი!.. კეთილი, მე წავედი. ვეტყვი დირექტორს, რომ ჩემმა შვილმა ვერ შეიშნოვა პედაგოგების ამაგი და წყალს გაატანა-მეთქი... ო, ნეტავ ხუთივემ გათქვას და შენ დარჩე დეგენერატი! *(პაუზა)*

ჯონი – კარგი, ვიღაცამ გათქვა, მერე მშობელი რანაირად გაუმხელს დირექტორს, მარტო ხომ არ არის... ბიძინაც იქ უზის.

მაგნოლია – ოი, შენ ოღონდ უბრალოდ ყურში მითხარი, დირექტორს ისე ჩავჩურჩულო, კაციშვილმაც ვერ გაიგოს!

ჯონი – არ გამოვა ეგრე, დედა!

მაგნოლია – ჩემი სიცოცხლე არ გდომებია! ასევე წავალ მტკვრისკენ. ვერც დირექტორს დავენახვები, ვერც მამაშენს! *(მიდის)*

ჯონი – ისე, კაცმა რომ თქვას, იმათ მე ვაკავებდი, თორემ აქამდე გათქვამდნენ იმედოს... *(მაგნოლია მობრუნდა)*

მაგნოლია – ვისა? იმედოს? მგელიაშვილმა დაწერა?

ჯონი – გაჩერდი, დედა, მე წამომცდა!

მაგნოლია – ვიცი, წამოგცდა. შენ ხომ არ გითქვამს?

ჯონი – დედა...

მაგნოლია – ნუ გეშინია, შვილო, მე შენთვის ცუდი მინდა? იმ შენს ამხანაგებს უკვე დამღერებული ექნებათ.

ჯონი – კახა ზარიძე შვიდჯერ შემოვატრიალე, დირექტორთან გარბოდა, რომ დაებეზღებინა.

მაგნოლია – ეგრე, შვილო, ყველა თავის საქმეს აკეთებს. სხვისთვის განა შენსავით თავს გამოიდებენ? ჩემი ბიჭი! როგორა სწუხს, რომ წამოსცდა!.. წავედი ახლა, ძალიან შემაგვიანდა.

ჯონი – ეს რა დამემართა! როგორ წამომცდა!

მაგნოლია – დაიღალე, შვილო, ეგ არაფერი. შენ არც წამოგცდენია, მე თვითონ მივხვდი. *(მიდის)*

ჯონი – დედა, იცოდე, თუ გახმიანდა, თავს მოვიკლავ!

მაგნოლია – შენზე უწინ თავს მე მოვიკლავ!

დირექტორის კაბინეტი. ვიქტორი, რუსუდანი, დიმიტრი, ბიძინა.

ვიქტორი – შემოვიდნენ. *(რუსუდანი გავიდა და ცოტა ხანში შემოვიდა ექვსი მშობლის თანხლებით)* დაბრძანდით, *(მშობლები შეათვალიერა)* სახეზე გატყობთ, უშედეგოდ არ დამთავრებულა თქვენი ინტერვიუ შვილებთან. *(სრული დუმილი)* თქვენც სათითაოდ ხომ არ შემობრძანდებით?

ტრიფონი – დასამალი რა გვაქვს? ჩემმა შვილმა დამნაშავე არ გათქვა.

ასმათი – არც ჩემმა გოგომ, პატივცემულო დირექტორო, იფიცა არაფერი ვიციო.

ვიქტორი – *(ეკას)* თქვენმა?

ეკა – არც იმან.

ვიქტორი – *(ელდარს)* თქვენმა?

ელდარი – ვერც მოფერებით, ვერც მუქარით ვერაფერს გავხდი. ცოლ–შვილს გეფიცებით, გავარტყი კიდეც, არაფერი ვიციო! *(ვიქტორმა ბუხუტს შეხედა).*

ბუხუტი – გოგონა მყავს, ვერ გავარტყამდი, ისე ყველა ხერხი ვიხმარე.

მაგნოლია – ჩემმაც არაფერი თქვა. ამხანაგებს ვერ ვუღალატებო! ის ისეთია, წყალში გადავარდება ამხანაგისთვის.

ვიქტორი – თავისუფალი ბრძანდებით. შეგიძლიათ ბავშვები წაიყვანოთ. *(სწრაფად ადგა. მშობლები გავიდნენ. იმავ წამს ბრუნდება მაგნოლია).*

მაგნოლია – *(უხერხულად იცინის)* ისე ვარ დაბნეული, ჩანთა დამრჩა! *(მაგიდაზე მართლა „დარჩენია“ ჩანთა. აიღო, მაგრამ უხერხულად დგას. ვიქტორმა რატომღაც ზურგი შეაქცია მას, ხელი მოჰკიდა დიმიტრის და რუსუდანს, ისინიც კედლისკენ შეატრიალა და რაღაცას ეჩურჩულება)* პატივცემულო დირექტორო! *(ვიქტორმა ვერ გაიგონა)* პატივცემულო დირექტორო!... ქალბატონო რუსუდან! *(ვიქტორი მოტრიალდა, მოტრიალდნენ რუსუდანი და დიმიტრიც).*

ვიქტორი – ბიძინა, ბავშვები ჯერ ნუ წავლენ. *(ბიძინა გავიდა)*

მაგნოლია – მე... დარწმუნებული ვარ, პირობას შევასრულებთ და ყველაფერი ჩვენს შორის დარჩება.

ვიქტორი – თქვენს შვილს ხომ არაფერი უთქვამს, ამას რა საიდუმლოება უნდა?

მაგნოლია – თქვა! ჩემმა თქვა!.. მე წეღან იმათი მომერიდა. იმედო მგელიაშვილს დაუწერია! *(ერთ წამს უძრავი სცენა).* წავედი. მშობლებმა არაფერი იფიქრონ, მე ხომ ჩანთისთვის შემოვბრუნდი! *(სწრაფად გავიდა. ვიქტორი დაღლილივით დაჯდა).*

დიმიტრი – *(გაუბედავად)* ბატონო ვიქტორ... ვერსია, თითქოს იმედო მგელიაშვილმა დაწერა, ჩემი აზრით, ყალბი უნდა იყოს... ჯონი წივწივაძეს მე ადრევე ვატყობდი, რომ მას ჰქონდა ერთი სერიოზული ნაკლი, კლასის ხელმძღვანელიც დამეთანხმება... *(ვიქტორი თითქოს დაინტერესდა)* მას უნდა, პირველი იყოს...

ვიქტორი – ეგ არ არის ცუდი. პირველობის ჟინი ყველას უნდა ჰქონდეს.

დიმიტრი – მაგრამ ბრძოლა უნდა იყოს ვაჟკაცური, ღია, სამართლიანი.

ვიქტორი – მაგითი რისი თქმა გინდათ?

დიმიტრი – ჯონი წივწივაძე ვერ იტანს მასზე დიდ ავტორიტეტებს.

ვიქტორი – აგაშენა ღმერთმა! მაგას ვგულისხმობდი, ქალბატონ რუსუდანს წედან რომ ვაფრთხილებდი, წივწივაძე არ მომწონს-მეთქი.

დიმიტრი – და ამიტომ მგელიაშვილს ცილი დასწამა.

ვიქტორი – ეგ ცილისწამება არ არის. ნამდვილად იმედომ დაწერა. *(პაუზა)* მან თვითონ მითხრა, შვილიშვილთან რომ მივდიოდი. *(ბიძინა შემოვიდა)* ქალბატონო რუსუდან, თავაუღებელი მუშაობა გმართებთ. ეგ განცხადება დახიეთ, მაგაზე რეზოლუციას არ დავადებ. ბიძინა, წივწივაძე კაცად მიქციეთ, ისე ატესტატს ვერ მივცემ. ბავშვებს უთხარი, რომ მათი ამხანაგი არცერთს არ გაუთქვამს. დროზე, ბიძინა, თორემ ახლა სამასწავლებლოში ექვსი ვეზუვი ბორგავს!

დიმიტრი – ბატონო ვიქტორ!..

ვიქტორი – მაპატიეთ, რომ ეს წარმოდგენა მოგიწყეთ... ახლა ესენი სკოლას ამთავრებენ და მინდოდა გამეგო, მზად არიან თუ არა ცხოვრებისათვის. იმ დღეს ჩვენმა ბიჭებმა წვიმაში ითამაშეს ფეხბურთი. რაიონის ხელმძღვანელობამ მატჩი არ გადადო. სწორია. ჩვენ ამათ სათბურებისთვის როდი ვზრდით. ფიზიკურად უნდა გაკაუდნენ, მაგრამ ვერ ივარგებენ, თუ სულშიც კაჟი არ ჩავატანეთ. მე მათ ნამდვილი ჯალათივით მოვეპყარი, მაგრამ ოდესმე, ალბათ, მაპატიებენ.

დიმიტრი – *(ბავშვივით აღტაცებული)* დალოცვილო, ჩვენ რაღას გვერჩოდი, გაგეფრთხილებინეთ მაინც, ლამის დუელში გამოგვიწვიეთ!

ვიქტორი – არის გამოცდა, რომელსაც თანაბრად აბარებს დიდიც და პატარაც! *(თამარს ყური ჰქონია მიდებული დირექტორის კაბინეტის კარზე. აღტაცებული შემობრუნდა, შეხტა, ტაში შემოკრა და ბავშვებისკენ გაიქცა).*

თამარი – ბიჭებო! გოგოებო! ბიჭებო! გოგოებო! არ დამიჯერებთ რა გავიგონე! *(გაოცდა. გაიმეორა და ყური მიუგდო თავის ხმას)* არ დამიჯერებთ, რა... *(თავზარი დაეცა)* ვაიმე! ararr დამიჯერررررებთ! ბიჭებო! გოგოებო! ქაჯანამ ენა ამოიდგა!

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!

დასასრული

1981

დავითის სახლი

მოქმედი პირები

სანდრო
თენგო
ბუბა
მერაბი
კოლია
ნოტარიუსი
პოლიციელი
არქიტექტორი
ჯმუხი მამაკაცი, მეზობლები

ოთახი ძველებურ თბილისურ სახლში. პირდაპირ, სცენის თითქმის მთელ სიგანეზე, ყრუ კედელია, მასზე – ძველებური ხალიჩა, ხალიჩაზე ფოტოსურათი, რომელზეც ძალზე სიმპათიური ცოლ-ქმარია გამოსახული. მამაკაცი ჩოხაშია გამოწყობილი, მანდილოსანიც იმდროინდელ სამოსში. ფოტოსურათის ერთ მხარეს – ვერცხლით მოჭედილი ყანწი, მეორე მხარეს – ხანჯალი. კედლის დასასრულს, კულისებთან ახლოს, შემოსასვლელი კარია. სცენის მარჯვნივ და მარცხნივ, კულისებში, იგულისხმება თითო ოთახი. ავეჯიც ძველებურია. პირდაპირ, ხალიჩასთან, პატარა ტახტი, მარჯვნივ – კომოდი, სცენის შუაში – მაგიდა და რამდენიმე სკამი. სპექტაკლის მსვლელობისას ხშირად გვესმის ხმაური მეზობლების ბინებიდან: ვიღაცას ახლობელი ესტუმრა, ვიღაცა ქუჩაში მოთამაშე შვილს ეძახის, სადღაც ქეიფობენ, მღერიან, კამათობენ – რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ... და დამტვრეულ ქართულ ენებზე. ერთი სიტყვით, ყველგან ჩქეფს ჩვეულებრივი სისხლსავსე ცხოვრება, გარდა ჩვენი ახლობელი ადამიანის ბინისა.

კარზე კაკუნი სამჯერ. ეს უფრო პაროლს ჰგავს. სანდრო ელოდა ამ ნიშანს, კარი სწრაფად გააღო. შემოვარდა გაფითრებული თენგო. სანდრომ კარი ისევ ჩარაზა.

თენგო – სანდრო!.. როდის, ბიჭო?

სანდრო – რომ დაგირეკე, ჯერ ისევ თბილი იყო.

თენგო – *(მარცხენა ოთახისკენ წავიდა)* აკი მოიკეთაო?!

სანდრო – მშვენივრად იყო. ხმა რომელ პარტიას მივცეო, მეკითხებოდა. დილას კი დამიძახა, რაღაცას მეუბნებოდა, ხელს სადღაც იშვერდა...

თენგო – ასეთ დროს თავის მიცვალებულებს ელაპარაკებიან.

სანდრო – მერე ხელი ჩამოუვარდა და გათავდა!

თენგო – საწყალი!

სანდრო – დავიღუპე, თენგო!

თენგო – აბა! ამ დროში სიკვდილი მტრისას! ამას წინათ ჩვენი კათედრის გამგის სიდედრი დავასაფლავეთ. მარტო საფლავის გათხრა, იცი, რა ღირებულა?

სანდრო – საფლავს ჩვენ გავთხრით.

თენგო – ეგეც ეკონომიაა. დამკრძალავი ბიურო ჰქვია თუ ნოტარიუსი, ხარჯებს ჩემ თავზე ვიღებ.

სანდრო – ეგ საკითხი მოხსნილია.

თენგო – მაშინ, ერთი ავტობუსი ჩემზე იყოს.

სანდრო – ავტობუსიც აღარ გვჭირდება.

თენგო – ამ ერთ საათში ამდენი საქმე როგორ მოასწარით? კარგი, ქელეხი ხომ გინდა?

სანდრო – კაცო, შენ განძი ხომ არ იპოვე?

თენგო – ძმაკაცი ხარ, ბიჭო!

სანდრო – ქელეხში სულ სამნი ვიქნებით. ჰა, ოთხნი.

თენგო – *(ეგონა, სანდრო ხუმრობს, მხარი აუბა)* სია მაჩვენე, ცოტა მაინც გავცხრილოთ. აქ ვერ დავეტევით, სარიტუალო დარბაზი ხომ არ დავიქირაოთ?

სანდრო – *(სულაც არ ეხუმრება)* მე და შენ ფეხზე ვიტრიალებთ და დაეტევიან.

თენგო – *(დატუქსვით)* სანდრიკ! ასათიანზე დავრეკო?

სანდრო – ალბათ, ეგეც მოგიწევს.

თენგო – ბიჭო, შენ მართლა კარგად ვერა ხარ! ღვიძლი მშობლები გარდაცვლიათ და ეგრე არ უგლოვიათ.

სანდრო – შენ არ იცი, თენგო!

თენგო – როგორ არ ვიცი! შვიდი წელიწადი ზედ გადაჰყევი. აუ, ის რომ მახსენდება, ინფარქტმა რომ დაარტყა!

სანდრო – მერე მეც ხომ დამარტყა!

თენგო – აბა! კინადამ შენ გაასწარი!.. მაშინ ბუბამ მაგრა ივაუკაცა. რა ექიმები დაგახვია თავზე! მოიცა, ბუბას არ დაურეკე?

სანდრო – იყო. ოფისში შევირბენო.

თენგო – ეე, როგორ გაიტანჯე, ჩემო სანდრიკ! დავრდომილი მოხუცის მოვლა! მაშინ მაინც ყოფილიყო ეს კომპრესებია თუ პამპრესები! ღვიძლ შვილს მობეზრდებოდა ასეთი ავადმყოფი!

სანდრო – მომბეზრებია კი არა, რამდენჯერ მიფიქრია, ჯანდაბას ეს შვიდწლიანი კოშმარი, მივანებო თავი, ვითომ კატორღა მომიხდია! მაგრამ შემიყვარდა ეს დალოცვილი!

თენგო – ტკბილი კაცი იყო, ღვთისნიერი...

სანდრო – სულ მებოდიშებოდა, გაგტანჯეო. შევეთვისეთ ერთმანეთს!

თენგო – მესმის, როგორ არ მესმის. ახლა ამანაც მოისვენა, შენც დაგიფასდა. ამხელა ბინა უკვე შენია. ალალიც არის!

სანდრო – ეჰ, შენ არ იცი, თენგო!

თენგო – ბიჭო, რა გაუგებარი მნახე?

სანდრო – რომ გითხრა, ნაღდად გააფრენ!

თენგო – მიდი, მე მზად ვარ.

სანდრო – იცოდე, მართლა გააფრენ!

თენგო – ჰოდა, სინქრონულად გავაფრინოთ, ძმები არა ვართ?

სანდრო – ამ დალოცვილმა ანდერძის დაწერა ვერ მოასწრო!

თენგო – არ გადამრიო!

სანდრო – აი, ხომ გითხარი, გააფრენ-მეთქი!

თენგო – მოიცა, კიდევ შაყირობ? *(გაცოფდა)* როგორ, ამდენ ხანს მუქთად უვლიდი? ამ ბინას ეხუმრები? ბიჭო, ჯიხურისთვის ძმა ძმას არ ინდობს!

სანდრო – რა მექნა, თენგო, როგორ მეთქვა, ანდერძი დაწერეო?

თენგო – თვითონ უნდა ეთქვა! პირობაც ხომ ასეთი იყო? თუმცა რა, ყველაფერი შენი ბრალია. მოხვედი თუ არა, იმ დღესვე უნდა გაგეფორმებინათ ანდერძი. ამ ცხოვრებაში წამწამს ისე გამოგაცლიან, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ. როდემდე უნდა იყო ასე ბოლოდაშვებული?

სანდრო – შენ ხო თითებიდან სულ ნაპერწკლები გცვივა!

თენგო – შენთან შედარებით ოსტაპ ბენდერი ვარ!.. *(მოიწყინა)* დებილების მსოფლიო კონკურსზე ორივეს გრან-პრის მოგვცემენ. ეს რამდენიმე დღეა, ჩემი გოგონა... ფული არა მაქვს, რიგიან ექიმს ვაჩვენო!

სანდრო – რა დაემართა?

თენგო – არ ვიცი. ერთმა მადლიანმა კაცმა მიშუამდგომლა და ანალიზების პრობლემა მოვაგვარეთ. პასუხს საღამოზე გვეტყვიან. შენი საქმე მითხარი, ახლა რას აპირებ?

სანდრო – არ ვიცი.

თენგო – ხომ ნახე. არც შენ იცი! მაგრები ვართ! ვაჰ! ამ ბინის დაკარგვა? იყოს ახლა ეგრე, ლენინივით დაუმარხავი! ნათესავი მაგას არ ჰყავს და გულშემატკივარი!

სანდრო – ეგრე ნუ, თენგო, ცოდოა! მოვა ბუბა და მოვილაპარაკოთ.

თენგო – ბუბა კარგი მოგიფიქრებია. ყველგან მიესვლება, პარლამენტში, მერიაში. ხომ არაფერი გაიგეს მეზობლებმა... კაცი ბუბასნაირი უნდა იყოს! ჯიგარი ბიჭია და გაჭირვების ტალკვესი, მაგრამ მაინც მისი მშურს. კეთილი შურითა მშურს! მისი ენერგია, სიცოცხლის ჟინი... მის არსებობას ცხოვრება ჰქვია...

სანდრო – ჩვენსას – ჯახირი!

თენგო – აგაშენა ღმერთმა! ჩვენ ნახევარფაბრიკატები ვართ. ეს კარზე კაკუნიც მაგან მოიფიქრა, თორემ შენ...

სანდრო – ჰო. დავითის სიკვდილი არ უნდა გახმაურდეს.

თენგო – მეც ეგ ვიფიქრე, უცხო არავინ შემოეხეტოს. *(კარზე კაკუნი. ჩვეულებრივი. მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს და გაისუსნენ. კვლავ კაკუნი)*

ხმა – უცხო არა ვარ... სანდრიკ, კარი გამიღე, მერაბი ვარ! *(სანდრო და თენგო დაიბნენ. სანდრო ფეხაკრეფით წავიდა, კარი გააღო. შემოდის მერაბი. ოდესღაც, ალბათ, ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა, ახლა – სახემორღვეული, პეწდაკარგულტანსაცმლიანი, ალკოჰოლთან დაძმობილებული)*

მერაბი – ვაჰ, თენგოც აქა ყოფილა! ჯიგრებს სალამი! *(ორივეს ხელი ჩამორთვა)* რამ გაგყინათ, თქვე ოხრებო, ამ პაპანაქებაში! მარტო თქვენა ხართ? ბუბა? ვა! სანდროსთან წავიდაო! მემალება ეგ ოინბაზი? *(მარცხენა ოთახისკენ წავიდა, მაგრამ სანდრო გადაეღობა)*

სანდრო – ბუბა არ მოსულა.

თენგო – ოფისში იქნება.

მერაბი – დათიკო ბიძია როგორ არის? *(მარცხენა ოთახისკენ მაინც იწევს)*

სანდრო – *(კატეგორიულად)* ნუ შეხვალ! იბანავა და ჩაეძინა.

მერაბი – ხანდახან უნდა გააღვიძო. მაგ ხნისა ჩემი მეზობელი ძილში გაიპარა. *(ჩამოჯდა)* კაცო, ბოლოს რო ვიყავი, შემოსასვლელი იქიდან არ იყო?

თენგო – იქითა მხარე სულ წაიღეს.

მერაბი – წაგვართვეს, სანდრიკ? დაგჩაგრეს, ბიჭო? კარი რო გამიღეს და უცხო სიფათები დავინახე, ვიფიქრე, სახლი შემეშალა! საიდან

ჩამოთესლდნენ? მე ვთქვი, სანდრიკამ ბაგა-ბაღი გახსნა, როგორ იძინებ იმათ ჭყივილში? ან ძია დავითი ცოდო არ არის? ბუბა რას ამბობს?

თენგო – ბუბა, კაი ხანია, არ გამოჩენილა.

მერაბი – ნურც გაამტყუნებთ, ძმებო! ყველა გაჭირვებული მაგასთან მიდის. არ იცით, მე რა გამიკეთა! ამ გაზაფხულზე ჩემმა დისშვილმა ავარია მოახდინა ძმაკაცის მანქანით. გაგლეჯილი მთვრალი ყოფილა. პოლიციამ გონებაში ძლივს ჩააგდო. ხუთწლიანი გარანტირებული ჰქონდა. მოვარდა ჩემი და! რას მაგულებდა, მე რა შემეძლო? არადა, დაა, ბიჭო! ბუბას დავურეკე. მოვარდა, ერთ ტიპთან წამიყვანა, იქიდან ვიღაცეებთან რეკეს, პოლიცია ფეხზე დადგა! როგორც თქვენ იმ საქმეზე ერთი თეთრი არ დაგხარჯვიათ, ისე – მე!

თენგო – მსხვერპლი ხომ არ ყოფილა?

მერაბი – მსხვერპლი ბუბა იყო, ჩემი დისშვილის ძმაკაცს მანქანა გაურემონტა. მაინც გული დამწყდა ბუბაზე, ხო იცი, მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო, ერთი პატარა ჯილდოც მიეცათ ჩემი ობოლი დისშვილისთვის, რა იქნებოდა? კაცო, ამ მაგიდას ვცნობ, რო იშლება, მაგრამ ბოლოს ამ ოთახში ვიქეიფეთ?

სანდრო – ის სასტუმრო ოთახი იქით დარჩა.

მერაბი – ოკუპირებულ ტერიტორიაზე? ოხ, მე მაგათი!.. ეე!.. მე აქ ბაზარი გავაბი, ნემსებზე ვზივარ, ბოდიში, რა, ბიჭო, მეტროსთან ტიპი მყავს სანახავი, ბუბა რო მოვა, მომიცადოს, რა. ძალიან მყრალად ვიძირები და ამ ერთხელაც მაშველი რგოლი გადმომიგდოს! წავედი, ბიჭებო, აბა, ჯერჯერობით! *(ადგა)* ვაჰ, ამათი დედა ვატირე, ადრე პირდაპირ ქუჩაში გავდიოდი, ახლა უნდა შემოვუარო! *(სწრაფად გავიდა. სახტად დარჩენილი სანდრო და თენგო ერთმანეთს შესცქერიან)*

თენგო – ჯერჯერობით, დაგვამშვიდა! *(კარი გადარაზა)*

სანდრო – სამი წელიწადია, ფეხი აქ აღარ დაუდგამს, ბედი არ გინდა?

თენგო – ნუ გეშინია, არაფერი გაუგია. შენ რა მატროსოვივით გადაეფარე ამბრაზურას!

სანდრო – ბიჭო, ჯიქურ მიიწევდა იმ ოთახისკენ!

თენგო – დრო იყო, ჩვენს საძმოში ყველაზე ნიჭიერად ითვლებოდა. მუხთალია ეს ცხოვრება!

სანდრო – ბუბა აქამდე სად არის? *(შეამოწმა, კარი ჩაკეტილია თუ არა)*

თენგო – მოიცა, ცოტა დაიგვიანოს, მერაბი არ შეეჩეხოს... დამშვიდდი, რა, ყველაფერი მოგვარდება.

სანდრო – როგორ?

თენგო – ბუბა გვეტყვის... რატომ მიჯავრდები?

სანდრო – შენ რა შუაში ხარ? ჩემ თავს ვუჯავრდები. ასე უსუსურები რამ გაგვაჩინა?

თენგო – სანდრო, ერთ რამეს გეტყვი და უნდა შემისრულო... გახსოვს, ჩეხოსლოვაკიაში სიმპოზიუმზე რომ ვიყავი.

სანდრო – რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ!

თენგო – მაშ, კაცო! მაშინ რას ვიფიქრებდით, რომ ასე მრავალწახნაგოვანი ტვინი იყო საჭირო! ერთი კუთხით ვაზროვნებდით და ვაწვებოდით. ამ ერთ მიმართულებას კი ჰყოფნიდა ჩვენი ჭკუა... ჰოდა, იქიდან ჭაღი რომ ჩამოვიტანე, გახსოვს?

სანდრო – კაი სუფრაც გაშალე მაშინ.

თენგო – უნდა გავყიდო.

სანდრო – ის ჭაღი?

თენგო – ჭაღობას მაინც აღარ მიწევს! ამ გადასახადების გადამკიდე მარტო ერთ ნათურას ვანთებ, ჭაღს რაღა თავში ვიხლი? თუ, საერთოდ, შუქსაც გვითიშავენ, ჭაღი აღარცა ჩანს და ვინ გავაკვირვო? ერთი სიტყვით, თავისი ფუნქცია დაკარგა.

სანდრო – *(მგონი, პირველად ვნახეთ გაღიმებული)* მერე, მე რაში მოგეხმარო?

თენგო – რომ გავყიდი, ფული უნდა გამომართვა. მოიცა, მოიცა, არ აფეთქდე! შენ ახლა ფული გჭირდება. *(კარზე კაკუნი)* ბუბა! *(სანდრომ კარი სწრაფად გააღო)*

ბუბა – *(შემოვიდა)* კარი ღია რად დატოვე? *(მაგიდაზე პარკები დააწყო)* გრილ ადგილას შეინახე.

სანდრო – ერთხელ ხელცარიელი მოდი, რა! *(სანდრომ სავსე პარკები გაიტანა)*

ბუბა – *(თენგო გადაკოცნა)* როგორა ხარ, თენგო? ზრდილობას რა ვუთხრა, თორემ კი ვიცი, როგორა ხარ.

სანდრო – *(ბრუნდება)* ისე შემაჩვიე ჰუმანიტარულ დახმარებებს, მადლობის თქმასაც ფასი ეკარგება. ახლა მერაბი იყო.

ბუბა – ვინ მერაბი? მერაბი?! კარი რად გაუღეთ?

თენგო – ჩვენი ხმა გაიგონა.

ბუბა – შენთან კიდევ დაიარება?

სანდრო – შენი ნახვა უნდოდა.

ბუბა – რა მინდაო?

სანდრო – გნახავს და გეტყვის.

ბუბა – ხომ არაფერი გაუგია?

სანდრო – თუ აქ მოგისწრო, იქით ოთახში გადით და მალე გაუშვი, რა!

ბუბა – ნუ გეშინია. დაწყნარდი. ფერი არ გადევს. ახლა საქმე! *(დასხდნენ)* მე ასე მოვიფიქრე: ანდერძი იქნება. ბატონი დავითი ცოცხალია და ის დაწერს. სანდრო, ცოტა ფანტაზია! დავითის ნაცვლად ხნიერი კაცი უნდა მოვნახოთ, ახლობელი და სანდო. დღესვე! ანდერძს ის დაწერს, ნოტარიუსს მოვიყვან და დაგვიმოწმებს.

სანდრო – ნოტარიუსი პასპორტს მოითხოვს.

ბუბა – პასპორტი ხომ გვაქვს?

სანდრო – პასპორტში დავითის სურათია. მაგისი მსგავსი... *(კარზე კაკუნი)* აი, მოვიდა!

ბუბა - დამშვიდდი. გაუღე. *(თენგო კარს აღებს და შემოდის მერაბი)*

მერაბი – ბუბას ვენაცვალე! *(გადაეხვია)* როგორა ხარ!

ბუბა – კიდევ მთვრალი ხარ? მოკვდები, შე საცოდავო!

მერაბი – ბუბას ვენაცვალე, ხო მაინც უნდა მოვკვდე, რაღა ფხიზელი ჩავბარდე მიქელ-გაბრიელს? თავზე რო დამადგება და თვალებში ჩამხედავს, არ მინდა, შიში შემატყოს.

ბუბა – ისევ უსაქმოდ ხარ? თუმცა ლოთს ვინ აგიყვანს?

მერაბი – ჩემი ბედის დამწერის დედა!.. ბოდიში, ბუბა!.. ძმებო, კომუნისტების მარშიროვკას, ის იყო, ფეხი ავუწყე, – პარადიც დაიშალა. ეხლა არ გინდა, სხვა კოლონას შეეტენო? ან რომელ კოლონას? მაშინ ერთი იყო და ფეხის აწყობაც იოლი იყო. ეხლა? სიმღერაც ხო არის? – ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს... თანაც, თვითონ ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. დალოცვილო, თუ ბინძურია, შე რაღას მიძვრები ამ სიბინძურეში?

ბუბა – ახლა მითხარი, ჩემგან რა გინდა? *(მერაბს თქმა უძნელდება)* წამო იქით ოთახში!

მერაბი – *(გულზე მოეშვა)* ბიჭებო, არ გეწყინოთ, რა! განა თქვენ რამეს გიმალავთ, მერიდება! *(ბუბას გაჰყვა მარჯვენა ოთახში)*

თენგო – ამ ცხოვრების დედა ვატირე მართლა! ჯეელობაში ჩვენზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ!

სანდრო – „ჩვენზე“? არ გამაცინო, თენგო! გგონია, ჩვენ რამეს წარმოვადგენთ?

თენგო – რატომ? შენ კარგი ჟურნალისტის სახელი გქონდა...

სანდრო – მერაბზე რედაქციებს ტაციობა ჰქონდათ. მერე ორივეს ზემოდან თავში ჩაგვკრეს და ადგილზე მოგვსვეს. ახლა ქველმოქმედი ძიძა ვარ. შენა? დღეს საზოგადოებაში ნიჭიერებას ინფლაცია დაემართა.

თენგო – ალბათ, ყოველთვის ასე იყო. აი, როდის მოითხოვდა გრიგოლ ორბელიანი, მიეცი ნიჭსა გზა ფართოო... თუმცა, ინფლაციის ხარისხი დღეს ნამეტანი მაღალია.

ბუბა – *(გამოვიდა)* სანდრო, ერთი ფურცელი...

სანდრო – მაგიდის უჯრაშია. *(ბუბა გავიდა)* გულზე ხელები რომ დავუკრიფე, ბალიშის ქვეშ ესენი ვუპოვე! *(თენგოს გაუწოდა)*

თენგო – *(ფოტოსურათები გადაათვალიერა)* ჰმ! არადა, რა ბიჭები!

სანდრო – ერთი აქ დაიღუპა, უფროსი, ავტომატიანი კაენი რომ დაჭენაობდა... ეგ ორი მომდევნო კი უცხოეთში საშოვარზე წავიდა.

თენგო – უპატრონოდ რომ დაიგულეს, შინაურმაც დაჩაგრა და გარეულმაც.

სანდრო – *(მეზობლებისკენ ხელით ანიშნა)* ამათი ხმები ხომ გესმის? ღვთის გაჩენილი ყველა უყვარდა, მაგრამ ამათ სიმღერა-თამაშზე იფერფლებოდა კაცი! ახლა რომ ექსპერტიზა ჩაუტარონ, გულს ვერ უპოვნიან! იმის მაგივრად შედედებულ სისხლს ნახავენ. შფოთავდა, მევედრებოდა, დავიბრუნოთო! მე რომელი ყარამანი მნახა? რაც დარჩა, იმასაც ვკარგავ!

ბუბა – *(გამოვიდა. ქაღალდის ფურცელი მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო)* ახლა პატარა თათბირი.

სანდრო – არ მიდის?

ბუბა – ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. რასაც შენ გადაწყვეტ...

სანდრო – მე ნურაფერს მკითხავ, ბუბა! საქმის ვითარებაში გარკვეული ხარ...

ბუბა – კარგი ახლა, ნუ გაითიშები! მომისმინე, ჩვენი პირველი ამოცანაა, სასწრაფოდ მოვნახოთ დავითის შემცვლელი. ეს პიროვნება უნდა იყოს შინაური და წლოვანებით მიცვალებულის ხნისა. დაახლოებით მაინც. მამაჩემი ამ საქმეში ვერ გამოგვადგება, ჩემზე ჯეელად გამოიყურება, რად გავირთულოთ საქმე? ჩემი სიმამრი გარეგნობით კი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ ცოლთან ერთად ქობულეთშია. მე არ დაგზარდები და არც ის დამამადლებს, თაფლობის თვე რომ შევაწყვეტინო, მაგრამ დროში დავიწვებით. ჩვენთვის კი ერთი საათიც ძვირფასია. თენგო...

თენგო – ე! დაგავიწყდა? ქელეხში თამადა შენ არ იყავი?

ბუბა – აუჰ! მეც გამოვთაყვანდი! ბატონი გენადი, როგორი ინტელიგენტი!.. სიმამრი?

თენგო – არ ივარგებს. ისრაელსა და პალესტინას თუ შეარიგებ...

ბუბა – ვედარ მოაჭკვიანე ის კაცი? რა ვქნათ? ასეთ კაცს ელიავას ბაზრობიდან ხომ არ მოვიყვანთ?.. შინაგან რესურსებში უნდა ვეძებოთ... მერაბის სიმამრი რომ ჩავრთოთ?

თენგო – ვინ მერაბის? ამ ლოთის?

ბუბა – *(ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო)* აქ დამიწერა ფიცი, რომ აღარ დალევს.

სანდრო – თვითონ მერაბი არ არის სანდო და მისი სიმამრი?

ბუბა – მერაბი მე ყურებით მიჭირავს. ახლა არ მითხრა? ისეთ საქმეში გახვეულა ეს სულელი, შეიძლება ამ საღამოს გაასაღონ. მე დავპირდი, რომ ორი დღე გადავადებინო. ნუ შეშინდით, ბატონი დავითის გარდაცვალებაზე ბაიბურში არ არის, ამ კანდიდატურას თქვენთან ვიხილავ. რამდენადაც მახსოვს, ამის სიმამრი წარმოსადეგი კაცია, რაც მთავარია, ყოფილი მსახიობია...

თენგო – მერე, რომ იცნონ?

ბუბა – ვინ იცნობს, სცენაზე არავის უნახავს – ეგ ხომ თოჯინების თეატრში მუშაობდა! რაზე გამოაგდეს, არ გახსოვთ? კურდღლის როლი ჰქონდა. მთვრალი ყოფილა, სპექტაკლი არევია და ლომის მონოლოგი დაურტყამს. როგორი საქმეა? სცენაზე კურდღელი პირს აცმაცუნებს და ლომის ბრდღვინვა გესმის. ბავშვებს კი ბევრი უცინიათ, მაგრამ დირექტორს არ გასცინებია... მე კი არ გაძალებ, სანდრიკ, გადამწყვეტი სიტყვა შენზეა... სხვა იყოს!

თენგო – რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენს სპექტაკლშიც არ შეეშალოს?

ბუბა – ფილოსოფოსი კაცი ხარ, ჩემო თენგო, ცხოვრებაში მყარი გარანტია არ არსებობს. ჩვენ ცაიტნოტში ვართ. ანდერძი ხვალ უნდა გვქონდეს. მერაბს სუფთად გამოვიყვან იმ საქმიდან, თუ ამ ოპერაციას სიძე-სიმამრი პირნათლად ჩაატარებს. თუ თქვენ უკეთესი ვარიანტი გაქვთ, იმაზე შევჩერდეთ. სანდრიკ, რას იტყვი?

სანდრო – მე რა უნდა ვთქვა?.. ისე ვარ, ახლა რომ ძია დავითს გვერდით მივუწვე და დამბალზამებელი მოიყვანო, მე უფრო ძველი მკვდარი ვეგონები და ჯერ მე დამაბალზამებს.

ბუბა – მოკლედ, როგორც მე მენდობით, ისე მერაბს ვენდოთ. მისი სიცოცხლე ჩემ ხელშია.

სანდრო – რა ვქნათ, თენგო?

თენგო – რა ვიცი, გული „არას“ მეუბნება.

ბუბა – მიცვალებული ხომ უნდა დავასაფლაოთ? მანამდე ანდერძი არ გვინდა?

სანდრო – ეგრე იყოს, როგორც შენ გინდა.

ბუბა – მე კი არა, საქმეს უნდა.

სანდრო – თანახმა ვარ.

ბუბა – არ მინდა, გული გეთანაღრებოდეს.

სანდრო – არ გეწყინოს, ბუბა, ჩემ თავზე მეტად შენი მჯერა. მაგრამ მერაბს, ჯიბეში რომ გიდევს, ეგ ქაღალდი გამოასწორებს?

ბუბა – სანდრიკ! ეს უბრალო ქაღალდი არ არის! ამ საღამოს შუბლში ელოდება ტყვია! მე ორ დღეს ვპატიობ და თუ ამ საგამოცდო ვადას პირნათლად გაივლის, სულაც დავიხსნი. ძველი ძმაკაცია ბოლოს და ბოლოს! პირდაპირ გითხრათ? ერთი ეს ანდერძი ნოტარიუსს დავამოწმებინოთ და მერე, თუნდა, თავში ქვა უხლია!

სანდრო – კარგი, ბუბა, ეგრე იყოს.

ბუბა – ერთი წუთით ტაიმ-აუტი გამოვაცხადოთ. კიდევ ავწონ-დავწონოთ. ჩვენ ახლა გადამწყვეტი ნახტომისთვის ვემზადებით. თამასა დევს სამმეტრიან... მეტრიან კი არა სამოთახიან სიმაღლეზე. კიდევ ერთხელ გავზომოთ ნაბიჯები... *(მეგობრები გაისუსნენ. მხოლოდ თენგო ადგა და ოთახში ბოლთა დაარტყა)*

სანდრო – ტაიმ-აუტი დამთავრდა.

ბუბა – სტარტიო, ბრძანებს არბიტრი! ღმერთო, შენ მოგვიმართე ხელი!.. მერაბ, მოდი! *(მერაბი გამოვიდა და ბუბას წინაშე მორჩილად დადგა)* მე რჩევა ვკითხე, აგერ, ჩვენს ძმებს... წეღან შენ თქვი, რომ დასამალი არაფერი გაქვს. მე იმ ბიჭებს... საღამომდე ვნახავ.

მერაბი – *(ერთბაშად გამოცოცხლდა)* ვაჰ, ბუბაჯან! მამე, რა, ეგ გული... *(გული ყელში მოებჯინა, საქმით დაამთავრა სათქმელი – გულზე აკოცა)*

ბუბა – კარგი, ნუ არტისტობ!

მერაბი – ვარტისტობ? ღმერთი არა გაქვს? მამაჩემმა ერთხელ დამბადა, შენ უკვე მესამედ!

ბუბა – გასამდა, მერაბ, და ლიმიტიც გათავდა! ახლა დაჯექი და კარგად მომისმინე. დათიკო ბიძია აღარ არის.

მერაბი – *(უეცრად ციდან მიწაზე დაეშვა)* როგორ, აღარ არის?

ბუბა – გარდაიცვალა, მერაბ. მოიცა, მოიცა, ტირილი პანაშვიდზე! შენი დახმარება გვჭირდება.

მერაბი – მე კიდევ ვინმეს ვჭირდები?

ბუბა – შენ ჩვენი ძმა ხარ...

მერაბი – შენ თუ მეტყვი, საფლავში ჩაჰყევიო, თანახმა ვარ! სხვა რა შემიძლია?

ბუბა – შეგიძლია, მერაბ. სასმელს რომ არ დაეჩაგრე, ძმობა კარგი იცოდი. სანდრომ, შეიძლება, ეს ბინა დაკარგოს.

მერაბი – როგორ, დაკარგოს?

ბუბა – ანდერძი არა გვაქვს.

მერაბი – *(სანდროს)* დაკარგე?

ბუბა – ბიძია დავითმა დაწერა ვერ მოასწრო.

მერაბი – *(გაბრაზდა)* ვერ მოასწრო?! არ გამაგიჟოთ! შვიდ წელიწადში „ვეფხისტყაოსანს“ დაწერდა კაცი, ნახევარი ფურცელი ანდერძი ვერ დაწერეთ ორმა ავტორმა? სულთმობრძავი ჩაიბარე და ლამის უკვდავად აქციე! შენ ყოფილხარ დედა ტერეზა, ის ქალი კი არა!

ბუბა – მოიცა, ნუ ღადაობ! ეს ამბავი არ უნდა გაბაზრდეს. სიმამრი უნდა გვათხოვო.

მერაბი – სიმამრი? სიდედრსაც დაგიმატებ!

ბუბა – სიდედრი არ გვინდა. დღესვე უნდა მოიყვანო სიმამრი და ამაღამ აქ დატოვო.

მერაბი – ესე იგი, ამაღამ ცოცხალი ვიქნები?

ბუბა – ხომ გითხარი, ორი დღით სიცოცხლე მომისჯია. მერე ვნახოთ, როგორ მოიქცევი. შენი სიმამრი ამაღამვე დაწერს ანდერძს და დილაზე ნოტარიუსი დაამოწმებს.

მერაბი – მოიცა, ბუბაჯან, არ გეწყინოს! რანაირად დაწერს ანდერძს კოლია ოტიას ძე ჯღამაძე, როცა ბინა დავით გიორგის ძე ქართველიშვილზეა გაფორმებული?

ბუბა – ნუ ითაკილებს შენი სიმამრი, რომ ნახევარი საათით დავით ქართველიშვილი იყოს.

მერაბი – ბუბაჯან, ნოტარიუსი პასპორტს არ მოითხოვს?

ბუბა – პასპორტი არის. სანდრო, მოიტანე! *(სანდრომ პასპორტი მიუტანა. მერაბმა გადაფურცლა)*

მერაბი – ბუბაჯან, ამ სურათში ძია დავითს რამხელა შუბლი აქვს, კოლიას თმა წარბებიდან ეწყება. ნოტარიუსი რას იფიქრებს, კაცს სიბერეში შუბლი გაუქრა?

ბუბა - ადამიანო, რა ენად გაიკრიფე?

მერაბი – ვფრთხილობ, ბუბაჯან, ცხოვრებაში ბევრი შიში მიჭამია.

ბუბა – თენგო, აბა, რას იტყვი? *(თენგომ პასპორტი გამოართვა, დააკვირდა)* ძმაკაცი რომ გყავს, მაგისი ოსტატი... დაგვეხმარება?

თენგო – *(ცოტათი გაუბედავად)* სურათი გამოცვალოს?.. ძმაკაცი არ არის.

ბუბა – ეგ არ მაინტერესებს! ენდობი, გენდობა? შრომას ავუნაზღაურებთ.

თენგო – *(სანდროს შეხედა, ლამის ჭკუიდან გადასულს)* გააკეთებს.

ბუბა – აგაშენა ღმერთმა! დღესვე მიუტანე! პასპორტი დილისთვის უნდა გვქონდეს. მერაბ, შენი სიმამრის ფოტოსურათი გვინდა. დღესვე! ახლა აღარ დამიწყო დებატები!

თენგო – რამდენიმე ვარიანტს თუ მომიტანთ, უკეთესი იქნება.

მერაბი – ასს მოვიტან, მაგრამ სულ ყანწითა და დოქითაა გადაღებული!

თენგო – პირი მთლად ღია არა ჰქონდეს, თორემ ყანწს მოაცილებს.

ბუბა – გაიგე, მერაბ, გავარდი!

მერაბი – მოიცა, ბუბა!.. რასაც მთავაზობთ, აფიორაა! *(ყველა გაოგნდა)*

ბუბა – *(შეუტია)* რა თქვი?

მერაბი – ჯგუფური აფიორა! მე – პას! მოიცა, მოიცა, არ გადამყლაპო, გეხუმრეთ! დღესვე სურათებს მოვიტან, დღესვე თენგო წაუღებს თავის ძმაკაცს ჯაგარს, დავგრეხ თოკსა ბაწარსა... *(ტელეფონს ეცა, ნომერი აკრიფა)* ვაჰ, ტაბელი ჯერ არ გადაგიბრუნებია? ეხლა ყური მიგდე... ძალიანა ხარ დაგრუზული?.. აღარ დაუმატო, ოტიჩ! ჩემი ძმაკაცი, სანდრიკა, ხო იცი? სანდრო. ერთ ობოლ მოხუცს რო ზრდიდა... მოკლედ, ფეხი არსად გაადგა, მოვალ და აგიხსნი. მეტი აღარ შეუშვა, გესმის?.. ჰო, მოტვინე? აის კაცი გაგრილდა... არა, სანდრიკა ღმერთმა დაიფაროს! ის კაცი, სანდრიკას ობოლი. ეხლა დაჯექი და შენი სიფათები გადაარჩიე, ჰოლივუდმა მოითხოვა. მეც მოვდივარ. *(ყურმილი დადო. ხელები ასწია)* მივქარე. ზედმეტი წამომცდა!

ბუბა – ამ მიცვალებულს რაღა ვუყოთ? სანდრო! *(სანდრო გათიშულია)* ნოტარიუსმა ხომ შეიძლება ოთახების დათვალიერება მოინდომოს?

მერაბი – მართლა, ხო იცი! ნოტარიუსი გაგიჟდება, აქ ცოცხალი დავითი დავახვედროთ, იმ ოთახში მკვდარი ნახოს!

თენგო – ერთი წინადადება მაქვს...

ბუბა – გისმენთ, თენგო.

თენგო – ეზოში რომ ჩავასვენოთ? მაინც ხომ დასამარხავი გვყავს?

ბუბა – არა, მუდამ ეზოში ხომ არ გვეყოლება, მაგრამ დილისთვის ასე გადავმალოთ. საკმაოდ ვართ და მიწას ადვილად ამოვთხრით. აი, რას ნიშნავს კოლექტიური აზროვნება!

თენგო – ამ ეზოში სხვა არავინ ცხოვრობს და უცხო თვალი ვერ შემოიხედავს.

ბუბა – გადაწყდა. ამაღამ ვკრძალავთ. *(მერაბს)* შენ კიდევ აქ ხარ?!

მერაბი – მივრბივარ!

ბუბა – მოიცა, კარი ჩაკეტილი ექნებათ. პაროლი – სამჯერ დააკაკუნებ. აბა, ჰე! *(მერაბი გავიდა)* ახლა მეც წავალ, დამბალზამებელს მოვიყვან. მანამდე ფსიქიატრიულშიც გავვარდები, შეიძლება ნოტარიუსი ბაიყუში აღმოჩნდეს და ცნობა მოითხოვოს, რომ ანდერძის დამწერი ფსიქიკურად ჯანმრთელია. სანდრიკ, გამაგრდი, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის! *(გასვლისას მოტრიალდა)* ბარი, ნიჩაბი გვაქვს?

სანდრო – დავითი მეურნე კაცი იყო.

ბუბა – ძალიანაც კარგი! თუ ცოტა შემაგვიანდეს, არ შეშინდეთ, მერაბის საქმეც უნდა ჩავაწყო. აბა, ჰე, წავედი. კარები ჩარაზეთ! *(გავიდა. ერთ ხანს სანდრომ და თენგომ ძლივს დააღწიეს თავი საფიქრალს)*

თენგო – სანდრიკ... თვალი მაინც მოატყუე, ადამიანს რომ დაემსგავსო.

სანდრო – მერე, მე ვამბობ, რომ ადამიანი ვარ? ასეთი კაცი მოკვდა და მერაბისა არ იყოს, რაღაც აფიორებს ვხლართავთ!

თენგო – კარგი რა! რად გინდა ეგ თვითგვემა? აბა დავუთმოთ დავითის სახლი ამ უცხოთესლებს! მიდი, წამოწექი პატარა ხანს.

სანდრო – შენა? ამაღამ დიდი შრომა მოგვიწევს.

თენგო – მე მერაბს დაველოდები, რომ ფოტოები წავიღო. *(რაღაც გაახსენდა, ტელეფონის ნომერი აკრიფა)* ქეთი, მე ვარ... მოიცა ახლა, რა... მოიცა,

სიტუაცია მოითხოვს... *(გადაჭრით)* სიტუაცია მოითხოვს, ამაღამ სანდროსთან დავრჩე!.. მოიცა, რა, ის სხვა სიტუაცია იყო... მე... შენ... რაც... როცა... საქ... საქ... *(ყურმილი უხმაუროდ გადადო და დაჯდა)* იყოს, რა, ყურმილი ასე... ცოტა ხანს, გული მოიოხოს... არა, ქალი, ზოგადად, მაინცდამაინც ცუდი მოგონება არ არის, მაგრამ, როგორც კი ცოლი გახდება, მტრისას! *(ყურმილი აიღო, მოუსმინა და ისევ გადადო)* კიდევ მელაპარაკება! რომ დაიქოქება, თვალებს დახუჭავს და კალაშნიკოვივით ისვრის! იმ დღეს ფეხაკრეფით გავეპარე და სანამ აბოიმა არ დაცალა, არ გაჩერდა. *(ისევ აიღო ყურმილი, მოუსმინა და აპარატზე დადო)* აი, ჩაუთავებია მონოლოგი და, თავისი ჭკუით, დამიკიდა. ბავშვის ანალიზის პასუხი ხომ არ გაიგო, მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვინ გაცალა? რა უნდა? დისერტაცია მთხოვა და დავიცავი. ახლა სადოქტოროო!

სანდრო – შენც ადექი და დაწერე, ვიზე ნაკლები ხარ?

თენგო – ვმუშაობ. დღიური გეგმა შემიდგინა, რამდენი ფურცელი უნდა ვწერო. ყოველ საღამოს კონტროლის პალატასავით მამოწმებს. ახლა, ყოველ დღე წერის ხასიათზე ხომ არა ხარ?

სანდრო – იცი რა? ძველი ნაწერები უნდა აჩვენო.

თენგო – ეგრეც ვაკეთებდი, მაგრამ გამიგო. თურმე, ბოლო ფურცელზე ნიშანს ადებდა. მაგას დოქტორობაც უნდა და ფულიც. ორივე ერთად რომ არ გამოდის, ამის გაგებაში არ არის. ისე მეც ჭკვიანი ვარ, ასეთ აგიტაციას რომ გიტარებ უცოლო კაცს.. ისევ გერმანიაშია? თინიკო, შენი მეზობელი.

სანდრო – *(პაუზის შემდეგ)* მგონი, ხვალ თუ ზეგ ჩამოდის.

თენგო – ჰოდა, ამ ბინის საქმეს მოვაგვარებთ და შემოდგომაზე ქორწილსაც გადავიხდით... ხომ სულ ჩამოდის? მაგრა უყვარხარ. დათიკო ძიას ინფარქტმა რომ დაარტყა, გვერდიდან არ მოგცილებია... განა ყველა ქალი ჩემი ცოლივით აფთარია? ახლა, აფთარიც რომ იყოს, კაცი სიცოცხლეში ერთი დღე-ღამე მაინც უნდა იყოს ბედნიერი, ქორწილიდან მეორე დილამდე... წადი, წაუძინე, ფეხზე ძლივს დგახარ. *(ტელეფონის ზარი)*

სანდრო – *(ყურმილი აიღო)* ალო!.. ალო! *(ყურმილი დადო)* ხომ ველოდი ასეთ დასასრულს, ამ დღეს მაინც მოუმზადებელი შევხვდი. უმწეო მოხუცი იყო, მაგრამ რომ სუნთქავდა, მაინც იმედიანად ვიყავი... ახლა... მეშინია.

თენგო – გადაიღალე.

სანდრო – გადაღლის ბრალი არ არის. ეს სამი ოთახი რამდენს გაუღვიძებს მადას!

თენგო – შენ რომ ახლა ადამიანების დანახვაზე კამეჩები გელანდებოდეს, არ გამიკვირდება. უცხოს ამ ბინასთან რა ხელი აქვს?

სანდრო – ამ შვიდ წელიწადში არავინ გამოჩენილა. წერილიც კი არავისგან მიუღია, სოცუზრუნველყოფას ან საარჩევნო უბანს თუ არ ჩავთვლით.

ტელეფონითაც არავინ შეხმიანებია. *(ტელეფონის ზარი. ყურმილი აიღო. მოუსმინა. მერე ფრთხილად დადო აპარატზე)*

თენგო – ვინ იყო?

სანდრო – ხმას არ იღებს!..

თენგო – მაგ ფიქრს მოეშვი. ანდერძი შეუვალია.

სანდრო – ერთ რამეზე მეთანაღრება გული...

თენგო – რაღას გაჩერდი? თქვი, დრო ბევრი გვაქვს... მერაბზე ფიქრობ? მესმის შენი. ცხოვრებამ მაგრა გადათელა და ბრწყინვალე კარიერის ნაცვლად ცხვირწინ სამი თითის კომბინაცია დაუტრიალა.

სანდრო – მერე, ეგ არ იწვევს ეჭვის საბაბს?

თენგო – ზოგადად კი, მაგრამ ამ შემთხვევაში გარემოება გვშველის: მერაბი ბუბას ყურებით ჰყავს გამოჭერილი.

სანდრო – აი, სწორედ ამიტომ არ მასვენებს სინდისი. ვეღარავის ვენდობი და ეს ცოდვა მაწვალებს! ასე ვერ ვიცხოვრებ, თენგო! შენ ხომ იცი, ასეთი ურწმუნო არ ვიყავი! აი, რა ჩავიდინე! *(კომოდიდან დიქტოფონი აიღო)* ამ დიქტოფონში ჩავიწერე, რაც აქ ითქვა. თუ ვინცობაა, მიღალატეს, ყველას სული მძევლადა მყავს ამ დიქტოფონში!

თენგო – მერე, რაღა გადარდებს?

სანდრო – ისა, რომ რაც ჩავიდინე, ადამიანების მიმართ ეს უნდობლობა, ცოდვაა, თენგო!

სანდროს სცენაზე ჩასძინებია. უცბად შეირხა, წამოხტა, კარს გახედა. მარჯვენა ოთახიდან გამოდის თენგო. ერთ წამს შეთქმულებივით ერთმანეთს შეხედეს.

თენგო – *(ხმადაბლა)* რა იყო?

სანდრო – თითქოს ვიღაცა აკაკუნებდა.

თენგო – მეც შემომესმა. *(კვლავ კარზეა მათი მზერა)* პაროლი იყო?

სანდრო – არა, ჩვეულებრივი... მოგვეჩვენა?

თენგო – ალბათ, ნერვულმა გადაღლამ იცის.

სანდრო – ორივეს მოგვეჩვენა?

თენგო – ორივე ერთნაირი ფსიქიკური წნეხის ქვეშ ვართ. რად იგვიანებენ?

სანდრო – წათვლიმე?

თენგო – მეგონა, მეღვიძა. ჩამძინებია. აქამდე სად არიან? იმ კაცს ფოტოები ხომ უნდა მივუტანო? *(კომოდიდან პასპორტი აიღო და ჯიბეში ჩაიდო)* ეს პასპორტი არ დამავიწყდეს.

სანდრო – ისე გააკეთებს, წყალი არ გაუვა?

თენგო – სუპეროსტატია. *(კარზე კაკუნი, პაროლის მსგავსი)* აი, მოვიდნენ! *(სანდრომ კარი გააღო, შემოვიდნენ მერაბი და კოლია. მაგიდაზე სავსე პარკები დაალაგეს)*

სანდრო – ეგ რა არის?

მერაბი – ამან არ მოისვენა.

კოლია – წესია, შვილო! *(ხელი ჩამოართვა დამხვდურთ. სანდროს)* ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, შვილებო! *(ეტყობა, ნაბახუსევია)*

მერაბი – კაი ახლა, იარას ნუ გაუახლებ.

კოლია – რა ხნისა იყო?

მერაბი – მწიფე იყო, კოლ! და მომეხმარე! *(პარკებიდან მაგიდაზე ალაგებს საჭმელ-სასმელს)*

სანდრო – ღვინო რაღად გინდოდათ?

მერაბი – იმ სიშორეზე მიდის და გზა დავულოცოთო.

კოლია – ათადან-ბაბადან ასე მოდის, შვილო, ჩვენ რა, ქართველები არა ვართ?

მერაბი – ჰო, ეს სურათები შენს ბედზე ჰქონია, ზუსტად პასპორტისთვისაა გადაღებული. აი, ეს კი... *(ჩარჩოში ჩასმული სურათი აჩვენა)*

თენგო – ეს რაღად მინდა?

მერაბი – კაცო, ხალიჩაზე დავითის სურათი ეკიდოს და ნოტარიუსი გავაგიჟოთ? კედლიდან დავითი ჩამოვიღოთ, – სიცარიელე დარჩება. კოლია დავკიდოთ, შეხედეთ, თავის თანამეცხედრესთან არის გადაღებული, ხელშიც ყანწი უჭირავს, აქაც ყანწი ჰკიდია. არ არის სიტუაციის ადეკვატური?

თენგო – შეიძლება, ხომ იცი!

მერაბი – შეიძლება კი არა, ნუ ჩამიკლავთ შემოქმედებით ფანტაზიას! *(სკამი მიიდგა, ჩამოხსნა დავითის სურათი)* გვაპატიეთ, ბატონო დავით, ქალბატონო თამარ! დროებით ადგილი უნდა დაუთმოთ ბატონ კოლიას და ქალბატონ ჩიტოს! *(სანდრომ გამოართვა დავითის სურათი და მარცხენა ოთახში გაიტანა. მერაბი ჩამოვიდა სკამიდან)* რას იტყვით? სიდედრიც საქმეში გავიყვანე!

კოლია – აბა, ერთი, თქვენი ოთახები...

მერაბი – რა დროს ექსკურსიაა, ოტიჩ, მერეც მოასწრებ, ღვინო გაცივდა!

კოლია – მართალი ხარ, შვილო! *(მაგიდასთან მივიდა)*

მერაბი – მოდით, რა, ბიჭებო!

სანდრო – ბუბა მოვა.

მერაბი – ბუბა მოვა, ბუა კი არა! თენგო, შენ რაღას გაჩერებულხარ?

თენგო – *(უწადინოდ მივიდა მაგიდასთან)* მე წასასვლელი ვარ, შენც... ბუბა რომ მოვა...

მერაბი – განა ვქეიფობთ, ბატონ დავითს ერთი ჭიქა დავამადლოთ? თანაც კოლია ცოტა ბუხოია და ერთი ჭიქა ნორმაზე დააყენებს. აბა, ჰე, ოტიევიჩ!

კოლია – შვილებო, ბატონი დავითი ჯანჯალი კაცი არ იყო...

მერაბი – ჯანჯალიო?! *(სიცილით ჩაბჟირდა)* შვიდი წელიწადი მიქელ-გაბრიელს ეჭიდავა, არ წამოგყვებიო! ვინ მიგდიხარო! მიქელ-გაბრიელიც მაგარი ვინმე ყოფილა, ტყუილად კი არა ჰქვია ორი სახელი, მაკედონელი გამომყოლია, ნაპოლეონიც და ხრუშჩოვიცაო, შენ თვითონ ვინა ხარო! და წაიყვანა ჩვენი დავით გეორგიევიჩი!

კოლია – სიკვდილს ვერავინ გაექცევა, რა მაგრა თქვა დიდმა შოთამ, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, ვერც... *(შეფერხდა)*

მერაბი – ჰა, ოტიჩ, ბენზინის ჩასხმა დაგაგვიანდა? *(მეგობრებს)* ხო გითხარით, ერთი ჭიქა უნდა, რო ფორმაში ჩადგეს.

კოლია – ბატონი დავითი განა მოკვდა, ღმერთს ვალი დაუბრუნა. რამდენი წელი იცოცხლა?

სანდრო – ოთხმოცდახუთი.

კოლია – აბა, რა გინდა? ვენაცვალე უფლის დიდსულოვნებას! ოთხმოცდახუთი წელიწადი დავითს მისი ვალი ჰქონდა და აქამდე არ მოსთხოვა. ერთ ჩემ ახლობელს ვიღაცის ვალი ჰქონდა, რაღაც შვიდი ათასი დოლარი. ერთი წლის შემდეგ მევალემ ავტომატიანები თავზე დააყენა და წაართვა.

მერაბი – ოტიევიჩ, ცოტა...

კოლია – მესმის. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის. რა მიკვირს, ბიჭებო, იცით? იმ სულმნათ რუსთაველს ბატის ფრთა ჰქონდა და ოქროს აზრები გადმოსდიოდა. ეხლა რამდენს აქვს ოქროს კალამი და ბატის აზრები გადმოსდის! ღმერთმა გაანათლოს ბატონი დავითის სული! *(დალია)* ეს სადღეგრძელო ყველამ უნდა გამოსცალოს!

სანდრო – ღმერთმა გაანათლოს! *(დალია)*

თენგო – გაანათლოს! *(დალია)*

კოლია – *(მერაბს)* შენა, შვილო?

მერაბი – *(მეგობრებს შეხედა)* მე...

სანდრო – ჩვენ არაფერს ვიტყვით, ეგ დალიე.

მერაბი – ძია დავითი ძალიან კოლორიტული მოხუცი იყო, ჩვენი მატიანის ფურცლებიდან გადმოსული პიროვნება, გნებავთ – იერით, გნებავთ – ხასიათით თუ მეტყველებით... ღმერთმა ნათელში ამყოფოს! *(დალია)*

კოლია – ესეც ასე! პირველი კანონპროექტი მიღებულია ერთხმად, – ბატონ დავითს სასუფევლის ვიზა მივეცით. გადავდივართ მეორე საკითხზე. *(მერაბს)* ალავერდი შენთან ვარ, შვილო. მერაბი ჩემ შვილებზე მეტად მიყვარს, კაცობას გეფიცებით! რად მიყვარს?

რადგან ჩვენს დროში არვინ ფასობს ჭკუა-გონებით,
მხოლოდ უგნურნი ნებივრობენ სხვისი ქონებით...

როგორც არი... ეს... ჰოდა... ამის სადღეგრძელოს კი არა ვსვამ, ჩემი სიძის მეგობრებიც ჩემი შვილები არიან. ჭირისუფალი მინდა დავლოცო. ჩემო სანდრო...

სანდრო – გმადლობთ, კოლია ძია.

კოლია – საქმეს ვერ წასწევს ბევრი ცრემლი და მწუხარება...
გულს ნუ გაიტეხ ცხოვრებაზე ამაო ფიქრით,
ოხვრა-გოდება შენ ვერაფერს მოგეხმარება... გამაგრდი, შვილო!

მერაბი – აი, ხო გითხარით, მოტორი ცოტათი ათუხთუხდა.

სანდრო – გმადლობთ, კოლია ძია.

კოლია – ეხლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, შენს ვაჟკაცობაზე. შენს გვერდითა ვართ. მერაბი შენი გულისთვის ნემსის ყუნწში გაძვრება და ძაფივით მეც თან გამიყოლებს. *(დალია და ტაში შემოკრა)* აბა, ექსტრად! მერაბ...

მერაბი – *(თავისი ჭიქა შორს გასწია)* ოტიჩ... მე...

თენგო – მე ვიტყვი! სანდრო! იშვიათი, გამონაკლისი კაცი ხარ. შენგან ვისწავლე ძმობის რაობა და თუ შენ გიღალატო, ცეცხლად მექცეს ეს პურ-ღვინო!.. *(კარზე სამჯერ კაკუნი, რომელმაც ყველა გააშეშა, კოლიას გარდა. პირველი სანდრო მოვიდა გონს და კარი გააღო. შემოდის ბუბა)*

ბუბა – აქ რა ხდება? *(კოლიას ცივად ჩამოართვა ხელი)* კოლია ძია, გამარჯობა! ეს არის თქვენი საქმე? ახლა ამისი დროა?

კოლია – ბუბაჯან, მხოლოდ ერთი ჭიქა...

ბუბა – მერაბ!

სანდრო – მერაბს არ დაულევია.

მერაბი – ნახე, ჩემი ჭიქა სადა დგას.

ბუბა – *(ჭიქით ხელში გაშეშებულ თენგოს)* შენცა, ბრუტოს? *(ცოტათი მოლბა)* ახლა, ეს სუფრა ასე დავტოვოთ, ხვალისთვის დაგვჭირდება. ჯერ საქმე, ხალხო! ბოდიში, კოლია ძია, არ გეწყინოს!

მერაბი – *(ბუბას)* აბა, ერთი, იმ კედელს გახედე!

ბუბა – *(შეხედა ხალიჩაზე ჩამოკიდებულ სურათს)* ყოჩაღ! ვინ მოიფიქრა?

სანდრო – იდეა და შესრულება მერაბს ეკუთვნის.

ბუბა – ამისთვის მერაბს ვაჯილდოვებ. მერაბ, გარეთ გადი, მანქანაში გელოდებიან.

მერაბი – *(შეშინდა და დაიბნა)* სადმე უნდა წავყვე?

ბუბა – არა. მიდი, გელოდებიან.

მერაბი – მე იმათ რა უნდა ვუთხრა?

ბუბა – არაფერი. ისინი გეტყვიან. შენ მარტო მოუსმენ.

მერაბი – შენ არ გამომყვები?

ბუბა – *(დაუტია)* წადი, რა, საბავშვო ბაღია?! *(მერაბი გავიდა. თენგოს)* ფოტოები მოგეწონა?

თენგო – ყველაფერი რიგზეა.

ბუბა – ჩემი მხრიდანაც ყველაფერი რიგზეა. ფსიქიატრის ცნობა ჯიბეში მაქვს. სანდრო! *(აკოცა)* თუ გიყვარვარ, შუბლი გახსენი, ანდერძი დილაზე გვექნება! ყველაფერი, ჩვენ რომ გვინდა, ისე მიდის. ამადამ ძია დავითი უნდა დავკრძალოთ, რა თქმა უნდა, დროებით. მერე, ყველაფერი კეთილად რომ დამთავრდება, მაშინ გავაპატიოსნებთ, როგორც მას ეკადრება, ღირსეულად და სახალხოდ. ამას ჩემ თავზე ვიღებ. დღეს კი ეზოში უნდა მივუჩინოთ დროებითი ბინა. ამისთვის ორ ბრიგადად გავიყოფით. მიწის ზედა ფენის ამოღება იოლია. ამ საქმეზე იმუშავებს პირველი ბრიგადა – სანდრო, როგორც ჭირისუფალი და კოლია ძია, როგორც შრომის ვეტერანი.

კოლია – ოღონდ, ბუბას ჭირიმე, არ დამიწყოთ კანონები, ამდენი მეტრი სიგრძე, ამდენი – სიღრმე! მთავარია, არ ჩანდეს, ზემოდან.

ბუბა – მართალი ბრძანდებით, კოლია ძია. მერე ამოსვენებაც გაგვიადვილდება. მეორე ბრიგადაში იქნებიან თენგო და მერაბი, კომუნისტური შრომის დამკვრელები. მე უნდა მაპატიოთ, მერაბის სტუმრები „ბერიკონში“ მყავს წასაყვანი, სხვანაირად არ იქნება. მერე ცოტას წავუძინებ, სამი

დამის უძილო ვარ, სანდრომ იცის. ნახევარი საათი მეყოფა და ამაღამ მეც აქა ვარ. დილისთვის ნოტარიუსს ყველაფერს მზად დავახვედრებთ. ჰო, რვისთვის დამბალზამებელი მოვა. *(ჯიბიდან რაღაც ამოიღო და კომოდის უჯრაში ჩადო)* სანდრო, ფული აქ არის. *(ტელეფონის ზარი)*

სანდრო – *(ყურმილი აიღო)* ალო! გისმენთ... დიახ... მე... მე აქ ვცხოვრობ... შვილობილი ვარ, ახლო ნათესავი... *(უმწეოდ გახედა მეგობრებს)* ტუალეტშია... თქვენ ვინ ბრძანდებით?.. ვინა?.. ალო, არ ისმის... თქვენი ხმა არ მესმის... ხმამაღლა!.. არ ისმის! *(გაბრაზებით დადო ყურმილი)*

ბუბა – რა მოხდა?.. რას ნერვიულობ, კიდევ დარეკავს.

სანდრო – განა მართლა არ მესმოდა... *(წაქცევაზეა)*

ბუბა – რა მინდაო?

სანდრო – დავითთან დამალაპარაკეო.

თენგო – ვინა ვარო?

სანდრო – შვილი.

თენგო – ვისი?!

სანდრო – დავითის.

იგივე ოთახი. ჩაფიქრებული თენგო ზის, მერაბს გამოუღია შემოსასვლელი კარი და ეზოში იყურება. მერე მიხურა კარი და თენგოსკენ წამოვიდა.

მერაბი – თუ ამ ტემპით იმუშავეს, თავზე დაგვათენდება. გამოუცდელები არიან. კოლიას კი ცოტა ეხერხება, მაგრამ ბუხოია... პატარა აგარაკი ჰქონდა გლდანში. ხშირად დავდიოდი, ვეხმარებოდი... სმაში. ეჰ, რა სჯობია დალხენილ ცხოვრებას!.. რა იყო, თენგო, გამებუტე? *(გვერდით მიუჯდა)* გითხრა, რასაც ფიქრობ?.. მეც ეგ ფიქრი მაწვალებს... *(უცებ შეჰყვირა)* თენგო! *(შემკრთალმა თენგომ შეხედა)* თვალები ღია გაქვს და გძინავს?

თენგო – არა მძინავს...

მერაბი – გითხრა, რაზე ფიქრობ?

თენგო – *(უხალისოდ)* მითხარი.

მერაბი – დარდობ, რომ ამ სახლის ნაწილი, სანდრიკას რაც დარჩა, ეგეც არ დაკარგოს. *(მიაწვა)* დედა დაიფიცე, თუ მართალი არა ვარ!

თენგო – *(ცოტათი დაინტერესდა) რატომ ფიქრობ,* რომ დაკარგავს?

მერაბი – *(ნიშნის მოგებით)* ეგრე რატომ დაინტერესდი? გამოტყდი, რომ შენც ეგ ფიქრი გაწვალებდა! სანდრიკა, რამდენადაც ჯიგარი ბიჭია, იმდენად ალალი და უმწეოა. კიდევ ვიღაცა გამოტყვრება, უბინაო ვარ, დროებით შემიფარეო და ეგეც უარს ვერ ეტყვის. ესენი აგრესორები არიან, ამათი დედა ვატირე! მშრალზე დასვამენ ჩვენს სანდრიკას!

თენგო – ანდერძს რას უზამენ?

მერაბი – ანდერძი? ამათ იმდენი ფული აქვთ, თენგო, ცხვირწინ ათ მაგისთანა ანდერძს აგიფრიალებენ. მთავრობებს ყიდულობენ, თენგო, ამოდი ჭურიდან! შენ რომ დისერტაციებს წერდი, ესენი ფულებს ღუნავდნენ, გაგებაში არა ხარ, თენგოს ვენაცვალე! რომელ ანდერძზე მელაპარაკები, მკვდარ კაცს რო ვაწერინებთ? ცოცხალი დავითი ანდერძს არა სჯობდა, რომ ოთახები მაინც წაართვეს?

თენგო – კაი, თუ ძმა ხარ, სანდროს გული არ გაუხეთქო! აღა მაჰმად ხანობა ხომ არ არის? ბიჭმა ამისთვის სისხლი ჩააქცია!

მერაბი – ბიჭმა! სანდრო ვინ არის, ჩვენი წინაპრები უფრო ვაჟკაცები იყვნენ და, აბა, რუკაზე მომიხაზე, იმათი სისხლჩაქცეული მიწები ვის ხელშია!.. სანდრო ძალიან საყვარელი ბიჭია, მაგრამ პრაქტიკული ჭკუის მისხალი არ გააჩნია. აგე, ვიღაცამ დარეკა, შვილი ვარო!

თენგო – მერე, შენ გჯერა?

მერაბი – ეჰ, სანდრო რო მარსიდან ჩამოფრინდა, შენ მომდევნო რაკეტას ჩამოჰყოლიხარ! შვილი ვარო, რო თქვა, იმას თუ ფული აქვს, შენს ანდერძს კოზირის ტუზივით გაგიჭრის. დურაკობანა ხომ მაინც გითამაშია? ეს ცხოვრებაც დურაკობანას თამაშია, სადაც ფულია კოზირის ტუზი! გაიგე, თენგო?

თენგო – მერაბ, გახსოვს, ჯეელობაში რობერტ ბერნსი როგორ გვიყვარდა? „პატიოსანი სიღარიბე“ გახსოვს? „მდიდარს ოქრო აქვს, ჩვენ კი თვითონ ვართ ოქრობიჭები!“

მერაბი – რომ აღარც ოქრობიჭები ვართ! იმ დროს ჩვენ არც იმ გარიგებაზე წავიდოდით, რაზეც ახლა ხალისით წავედით.

თენგო – რა გარიგებაზე წავედით?

მერაბი – შენი პატიოსანი ძმაკაცი ეხლა საფლავსა თხრის, რომ ქრისტიანი და ღირსეული ადამიანი ქურდულად დავასაფლავოთ. მკვდარი კაცის მაგივრად ანდერძს სხვას ვაწერინებთ, დილაზე შენ ყალბი პასპორტი უნდა მოიტანო, მერე ამ სიყალბეში ვიღაც უდანაშაულო ნოტარიუსი ჩავრთოთ... თუ ეს გარიგება არ არის, მაშინ ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკოთ, ამ კარს დღისით რაღატო ვრაზავთ?

თენგო – *(დაბნეული, შეშინებული)* გაჩერდი, მერაბ!..

მერაბი – აჰა, გავჩერდი... *(პაუზა)* მოგვარდა პრობლემა?

თენგო – შენ ისე დახატე საქმე, გამოსავალი აღარ ყოფილა.

მერაბი – გამოსავალი არის. ნება უნდა იყოს.

თენგო – ვისი ნება?

მერაბი – შენ რომ ნამუსს ეძახი, იმისი. *(ადგა, კარი გამოაღო, გაიხედა და ისევ მიხურა კარი)* ესენი ნაღდად გაიყვანენ გვირაბს ლონდონამდე. ჩემო თენგო, დღეს ფული ჭრის ყველაფერს, მწვანე ქაღალდი, ვიღაც ტიპების სიფათები რო ახატია. რითიც გებრძვიან, შენც იმ იარაღით უნდა დაუხვდე.

თენგო – *(ფიქრის შემდეგ)* მერე, სადა გაქვს ეგ იარაღი?

მერაბი – გვაქვს, მაგრამ ვერა ხედავ.

თენგო – ახლა ვხვდები. წეღან ნამუსი იმიტომ ახსენე.

მერაბი – ეგ ნამუსი დღეს ანაქრონიზმია, ჩემო თენგო! რაღაცას გეტყვი და არ გეწყინოს. იცი, როგორ მიყვარხარ და მაპატიებ. იმ დღეს მშრალ ხიდთან ვიყავი... ვთქვა ბოლომდე? *(თენგო სკამზე შეწრიალდა)* ბაზრობაზე. იქ ერთი ძალიან ნამუსიანი ძმაკაცი დავინახე, ჰა და ჰა, მეცნიერებათა დოქტორი, თავის ბიბლიოთეკას ყიდდა...

თენგო – ეგ არავისი საქმე არ არის!

მერაბი – არის! ეგ ბიბლიოთეკაც გათავდება, მერე რაღა ფეხებს გაყიდის?

თენგო – რა გინდა, მერაბ, რას მაწვები?

მერაბი – გონს უნდა მოვეგოთ, ჩემო თენგო, თორემ... ერთხელაც იქნება, მშრალი ხიდიდან მომავალს ნებისყოფა გიღალატებს და გაგახსენდება, რომ იქვეა სველი ხიდიც, ქვეშ რომ ჩვენი დედამტკვარი ჩაუდის...

თენგო – იმათ რომ ვუყუროთ, მართლა დაგვათენდება. წამო მივეხმაროთ!

მერაბი – კი ბატონო! მაგრამ ყოველ დებატებს დასკვნა უნდა მოჰყვეს.

თენგო – მე ამ დებატებისთვის მოუმზადებელი აღმოვჩნდი. შენ, ეტყობა, ბევრი გიფიქრია.

მერაბი – არა ვმალავ, ბევრი მიფიქრია. ჩვენს მომავალზე, სანდროზე, შენზე...

თენგო – საკუთარ თავზეც!

მერაბი – არც მაგას ვმალავ. ცოტა გაიაზრე, თენგო, ადამიანები სოროს ხელა სარდაფებში ჩაძვრნენ და გაკეთდნენ, ჩვენ ეს სამი ოთახი გვაქვს!

თენგო – გავყიდოთ?

მერაბი – ეგ უაზრობაა.

თენგო – მაშ, როგორ მოვიქცეთ?

მერაბი – ამ სამ მშვენიერ ოთახს მყუდრო ეზო აქვს, რომელიც შეიძლება იზლერის ბაღად ვაქციოთ. რაც მთავარია, თბილისის ყველაზე პრესტიჟული უბანი, ტატოსა და გალაკტიონის მთაწმინდაც აქვეა... ერთი ნატვრისთვალივით რესტორანი... *(გზნებით დაუმატა)* ორ-სამ თვეში, თენგო, იმდენი ფული წამოვა, სანდრო ახალ ბინასაც იყიდის, ჩვენც ადამიანებად ვიქცევით! არავის ვატყუებთ, არავის ვძარცვავთ! მხოლოდ ჩვენი შვილებისთვის...

თენგო – ჩემგან რას მოითხოვ?

მერაბი – ჰა, ჭკუაში დაგიჯდა? შენი როლი მარტივია. სანდრო უნდა დაიყოლიო. შენ მისი ყველაზე ახლობელი ხარ.

თენგო – მერე, დავითის სახლი რესტორნად გადავაქციოთ?

მერაბი – ლირიკას მოეშვი, ვიხრჩობით, გაიგე? შენ და სანდრიკა ისეთი ზოზინა ხართ, ნაპირიდან მაშველი რგოლი რომ გადმოგიგდონ, ჯერ კარგად გასინჯავთ, სადმე დირკა ხო არ აქვსო. ამასობაში მორევი ჩაგითრევთ და გაზეთებსაც თემას მისცემთ. ვიღუპებით, ვეღარ გაიგეთ? თუ დავითის სახსენებელი არ გინდათ, დაიკარგოს, რესტორანს დავარქვათ „დავითი“. შენ ხომ მიცნობ, ჯეელობაში სულ სხვაგვარი ოცნება მქონდა, რესტორანი ჩემ კარიერაში არ შედიოდა, მაგრამ ცხოვრებამ ამ გახურებულ შუბლში ტაისონის მუშტი მლეწა.

რაღას ფიქრობ, განა იმდენი დრო გვაქვს? ცაიტნოტში ვართ! ჰა, დაჰკა თათი! *(ხელი გაუწოდა)*

თენგო – გული მაინც მეთანაღრება... ასეთი კაცი რესტორნის სახელით-ღა შემორჩეს ადამიანების ხსოვნას?

მერაბი – კარგი, მაშინ ასე დავსვათ საკითხი. ოღონდ გულწრფელად მიპასუხე. გავიდეთ ახლა ქუჩაში და გავაჩეროთ ნებისმიერი ფირმა მანქანა და ვკითხოთ, ვინც შიგა სხედან, იმათ, დღეს რამდენჯერ ახსენეს ილია, გურამიშვილზე აღარ ვლაპარაკობ, და რამდენჯერ – ბეთანია, სამადლო, თეთრი რესტორანი...

თენგო – მარტო ფირმა მანქანები ხომ არ არის საქართველო?

მერაბი – თენგო! აღარც ჩვენსავით აუტში გადაყრილებს ახსენდებათ ილია. შენ ხო იცი, რო ილია ადამიანად არ მიმაჩნია, ის ღმერთკაცია, მაგრამ, საუბედუროდ, ცხოვრებამ ტვინის უჯრედები დღეს სულ სხვა საფიქრალით დაგვიპროგრამა! შენს ინსტიტუტში რომ სხედხართ შიმშილისგან გამოთაყვანებული მეცნიერები, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რაზე ფიქრობთ, ნეტა ეხლა, ძველებურად, რესტორან „ნიკალაში“ დამსვა, თუ ნიკალას ნახატების გამოფენა დამათვალიერებინაო? ხომ არა გგონია, ეს მე მახარებს? ეს ტრაგედიაა, მაგრამ რეალობა!

თენგო – რასაც შენ ამბობ, იქნება სიმართლეა, მაგრამ სანდროსნაირები თუ გადაშენდნენ...

მერაბი – და შენნაირები!

თენგო – თუნდაც! მაშინ, რა ქვეყანასაც ააშენებთ, სახელმწიფო იმას აღარ ერქმევა. იმას სახელად ფერმა უფრო მიესადაგება, მსოფლიო ფერმა.

მერაბი – ახლა... შენ, როცა არისტოტელეს ტოლ-სწორად ეკამათები, დებატებში ვერ დაგამარცხებ, მაგრამ ცხოვრება ისეთ არგუმენტებს დაგიდებს წინ, დანებდები, ოღონდ გვიან იქნება. ახლა გავალ, სანდრიკას შევენაცვლები და დაითანხმე, გესმის? დამიჯერე, ეს იქნება შენი ყველაზე მაგარი დისერტაცია, რომელიც პურს გაჭმევს.

თენგო – მოიცა, ნუ გახვალ!.. ბუბამ იცის?

მერაბი – ბუბას მერე ვეტყვით. სანდრიკა თუ დავითანხმეთ, მისი ხათრით ამ საქმეზე ისიც წამოგვყვება.

თენგო – ამ საქმეში მე ვერ გამოგადგები.

მერაბი – *(მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო)* ხუმრობ?

თენგო – ჩემი იმედი ნუ გექნება. რაც გიფიქრია, ეგეც დაივიწყე.

მერაბი – *(სახტად დარჩენილმა გაღიმება სცადა)* კარგი ახლა, ხუმრობის დროა? *(კარისკენ წავიდა)*

თენგო – *(კატეგორიულად)* არა ვხუმრობ, მერაბ!

მერაბი – *(ისევ მოტრიალდა)* სერიოზულად?.. ამდენი რაღას მაქაქანე?

თენგო – რაღაცეები გამეგო შენზე... მინდოდა, დავრწმუნებულიყავი...

მერაბი – საბოლოოდ გეკითხები, უარზე ხარ?

თენგო – კატეგორიულად!

მერაბი – მაშინ მეც კატეგორიულად გეტყვი: გაიძულებ!

თენგო – რა თქვი?

მერაბი – გაიძულებ-მეთქი! მე ამის ბერკეტები მაქვს.

თენგო – ბუბას ვეტყვი.

მერაბი – უთხარი! მე რომ მაქვს, ეს ბერკეტები ბუბასაც გატეხს.

თენგო – ბუბას ხელშია შენი სიცოცხლე!

მერაბი – ცხოვრება მაგითია საინტერესო! ყველას ერთმანეთი ყურებით გვყავს გამოჭერილი. მე თუ წავაგე, არაფერს დავკარგავ, – ჩემი ცხოვრება ისედაც დაკარგულია. აი, ბუბას ცხოვრება ძვირად ფასობს და ამ სიმდიდრეს გაუფრთხილდება. ასეთ ადამიანებს კომპრომატებისა ტყვიაზე მეტად ეშინიათ. კომპრომატი ფილოსოფოს კაცს გაგეგონებათ. დაჯექი, დაჯექი! ახლა ისეთ რამეს მოისმენ, არ დაეცე! *(თენგო ძალით დასვა. ჯიბიდან ამოიღო დიქტოფონი და ჩართო. დიქტოფონიდან ისმის)*

ბუბას ხმა – შენი სიმამრი ამაღამვე დაწერს ანდერძს და დილაზე ნოტარიუსი დაამოწმებს.

მერაბის ხმა – მოიცა, ბუბაჯან! რანაირად დაწერს ანდერძს კოლია ოტიას ძე ჯღამაძე, როცა ბინა დავით გიორგის ძე ქართველიშვილზეა გაფორმებული? ნოტარიუსი პასპორტს არ მოითხოვს?

ბუბას ხმა – სანდრო, პასპორტი მოიტანე!.. თენგო, აბა, რას იტყვი? ძმაკაცი რომ გყავს, მაგისი ოსტატი... დაგვეხმარება?

თენგოს ხმა – სურათი გამოცვალოს?

ბუბას ხმა – ენდობი, გენდობა? შრომას ავუნაზღაურებთ.

თენგოს ხმა – გააკეთებს.

მერაბი – *(დიქტოფონი გამორთო. თენგოს)* ხმები გეცნობა, ჯიგარო? აქედან ირკვევა, რომ ოთახში ოთხნი არიან, რომლებსაც რაღაც აფიორა ჩაუფიქრებიათ, ანუ სისხლის სამართლის დანაშაული. მოსმენილი ტექსტიდან ჩანს, რომ სამი ადამიანი აქტიურობს. მეოთხე, რომელსაც ამ დანაშაულებრივ საქმეში ითრევენ, ჯერ პასიურად ეწინააღმდეგება შეთქმულებს. აქვე ირკვევა, რომ ერთ-ერთი, სახელად თენგო, მთავარ როლს თამაშობს ყალბი პასპორტის დამზადებაში. ამავე დროს, სახელდება მეხუთე დამნაშავე, რომელიც, თენგოს შუამავლობით, ამზადებს ყალბ პასპორტს.

თენგო – ხომ არ გადაირიე!

მერაბი – *(სრულიად მშვიდად)* ახლა მივყვეთ დანაშაულებრივი შეთქმულების მსვლელობას. *(ჩართო დიქტოფონი)*

ბუბას ხმა – აგაშენა ღმერთმა! დღესვე მიუტანე! პასპორტი დილითვე უნდა გვქონდეს! მერაბ, შენი სიმამრის ფოტოსურათი გვინდა! დღესვე! ახლა აღარ დამიწყო დებატები!

მერაბი – *(დიქტოფონი გამორთო)* მიაქციე ყურადღება, „აღარ დამიწყოო!“ ესე იგი, შეთქმულებთან დებატები გამიმართავს. *(დიქტოფონი ჩართო)*

თენგოს ხმა – რამდენიმე ვარიანტს თუ მომიტანს, უკეთესი იქნება.

მერაბის ხმა – მოიცა, ბუბა!.. რასაც მთავაზობთ, აფიორაა!

ბუბას ხმა - რაო?

სანდროს ხმა – რა თქვი?

მერაბის ხმა – ჯგუფური აფიორა! მე – პას!

მერაბი – *(დიქტოფონი გამორთო)* გესმის, ბატონო თენგო? მე, თქვენთან შედარებით, კრავი ვარ. მე – პას! მაგრამ დამნაშავეები თავიანთ ბნელ საქმეს უფრო ხლართავენ... *(ჩართო დიქტოფონი)*

ბუბას ხმა – ამ მიცვალებულს რა ვუყოთ? სანდრო! ნოტარიუსმა, ხომ შეიძლება, ოთახების დათვალიერება მოისურვოს?

თენგოს ხმა – ერთი წინადადება მაქვს.

ბუბას ხმა – გისმენთ, თენგო.

თენგოს ხმა – ეზოში რომ ჩავასვენოთ? მაინც ხომ დასამარხავი გვყავს?

მერაბი – *(დიქტოფონი გამორთო და ჯიბეში ჩაიდო)* ჯერ ეს ვიკმაროთ. როგორც ვნახეთ, შეთქმულების მონაწილეთაგან ერთი, სახელად თენგო, ამ აფიორის მთავარ ფიგურად იქცა!

თენგო – მე მთავარ ფიგურად?!

მერაბი – *(აღარ აცალა)* აი, ხედავ? როცა დაგკითხავენ, თითს სხვისკენ გაიშვერ, ძმაკაცს ჩაუშვებ? ეგ არის შენი ვაუკაცობა?

თენგო – შენი ვაუკაცობა რაღაა? ბუბამ სიცოცხლე გაჩუქა და მადლობას ამითი უხდი? ნამუსიც აღარა გაქვს?

მერაბი – *(გაეცინა)* ნამუსს დღეს ჯართში აბარებენ. შენც დროზე ჩადექი რიგში, თორემ ინანებ. ეს არის ჩემი მეგობრული რჩევა. *(თენგოს, მგონი, აღარაფერი ესმის, მძიმე საგონებელშია ჩავარდნილი).* თუმცა, შენ, მგონი, ჩასაბარებელიც აღარ დაგრჩა, შენ უკვე გასვრილი ხარ!

თენგო – *(უცებ გამოცოცხლდა, წამოხტა)* მოიცა, ეგ რაც მომასმენინე, ჩვენი საუბრის სრული ტექსტი არ არის! დანარჩენი რა იქნა?

მერაბი – მონტაჟში ვერ მოხვდა.

თენგო – *(მკვირცხლად მიიჭრა კომოდთან და დიქტოფონი აიღო)* სრული ტექსტი აქ არის! ამის მიხედვით, შეთქმულების მთავარი როლი შეიძლება შენ წამართვა! *(თენგოს ზეიმი წამიერი აღმოჩნდა, რადგან...)*

მერაბი – ვერ წაგართმევ! მაგაში კასეტა აღარა დევს. შენ რომ შენს ძმაკაცს პასპორტი და სურათები წაუღე, მაშინ ამოვიღე!

თენგო – *(ჩაკვდა)* ნაძირალა ხარ! *(დიქტოფონი უმწეოდ დააგდო მაგიდაზე. მერაბმა სწრაფად აიღო დიქტოფონი)*

მერაბი – გეუბნები, ჩემო თენგო!.. უმწეო ხარ. *(დიქტოფონი გახსნა და კასეტა ამოიღო)* კასეტას ახლა ვიღებ, აი, ჩემო თენგო! *(ცარიელი დიქტოფონი მაგიდაზე დააგდო)* შეიძლება, მაგარი ფილოსოფოსი ხარ, მაგრამ ცხოვრებას სხვა ფილოსოფია აქვს და ამ საგნისა არაფერი გაგეგება. *(მერაბი ფუჭად გაისარჯა, თენგოს მისი აღარ ესმოდა, თვალდახუჭული დაესვენა სკამზე. უცებ კარი ხმაურით გაიღო, გამოჩნდა სანდროს ზურგი, რაღაც მძიმე საგანს მოათრევს)*

სანდრო – მომეხმარეთ! *(მერაბი მივარდა სანდროსთან მოსახმარებლად. შემოჰყავთ უგრძნობლად მყოფი კოლია)*

მერაბი – კოლია! კოლ! ოტიჩ! *(სანდროს)* რა მოხდა?

სანდრო – უცებ დავარდა... *(კოლია გაჰყავთ მარჯვენა ოთახში. სანდრო გამოდის, ტელეფონის ნომერი აკრიფა)* ალო, სასწრაფოა? *(გამოვიდა მერაბი, ყურმილი გამოსტაცა და აპარატზე დადო)*

მერაბი – სასწრაფო არ გვინდა. გვერდით ოთახში მკვდარი გვისვენია. *(მაგიდასთან მივიდა, ჭიქა ღვინით შეავსო)* დამშვიდდი, სანდრიკ, კოლიას სასწრაფო ეს არის. პახმელიაზე ხაშია კარგი, განა საფლავის თხრა?! *(გავიდა მარჯვნივ)*

სანდრო – *(თენგო შენიშნა)* ამას რადა დაემართა?

ბუბა – *(სწრაფად შემოვიდა)* აღარა მუშაობთ?

სანდრო – კოლია ცუდად გახდა!

ბუბა – *(თენგოზე)* ესა?

მერაბი – *(მარჯვენა ოთახის კართან მდგარა)* არაფერია. ორივე პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია.

ბუბა – *(პიჯაკი გაიძრო და სკამზე მიაგდო)* ეე! საცაა, გათენდება, საფლავი ამოსათხრელია! *(გავიდა)*

მერაბი – *(თენგოსთან მოფუსფუსე სანდროს)* ეგ კაცი, სანდრიკ, მეგობრობაში ნამდვილი ავთანდილია. ისეთი გამოცდა ჩავუტარე... ამ ცხოვრებაში ანომალიაა! მოიკეთა?

სანდრო – მგონი.

მერაბი – გავედი, მივეხმარო! *(გავიდა)*

სანდრო – თენგო!.. უკეთ ხარ? რა დაგემართა?

თენგო – *(მართლა მოიკეთა)* მერაბმა რაღაცა გითხრა...

სანდრო – შეგაქო. ეგ კაცი მეგობრობაში ნამდვილი ავთანდილიაო.

თენგო – სანდრო... ეგ კაცი ნამდვილი იაგოა... შექსპირის იაგო... თუ არ გადაიღალე, გადი, ბუბას შეენაცვლე, ცოტა ხანს შემოვიდეს... რაღაცა უნდა ვუთხრა.

სანდრო – რამე მოხდა? არ ელოდი?

თენგო – ველოდი, მაგრამ ამას – არა.

სანდრო – ნუ გეშინია. ვერაფერს გაბედავს. დიქტოფონში მაგისი ლაგამია.

თენგო – დიქტოფონი ცარიელია. ის ამოიღო, რა ჰქვია...

სანდრო – ეგ დიქტოფონი სატყუარაა მანდ, გამოსაცდელად განგებ დავდე. *(მაგიდის ქვეშიდან გამოიღო დიქტოფონი).* აი, აქ არის აღნუსხული ყველაფერი. მაპატიე, თენგო, რა ვქნა, ცხოვრებამ მასწავლა ცოტაოდენი ეშმაკობა. ჰა, თენგო! ცუდად ხარ?

თენგო – ცოტას გავივლი... ეზოში. ჰაერს ჩავყლაპავ!

სანდრო – იქნებ წამოწვე?

თენგო – არა, გამივლის... ჰაერს ჩავყლაპავ და... გამივლის! წავალ, რა?

იგივე ოთახი. დილა. ეზოდან შემოდის თენგო.

თენგო – სანდრო!

სანდრო – *(მარცხენა ოთახიდან გამოვიდა)* მოხვედი? *(თენგომ მაგიდაზე დააწყო პასპორტი და ფოტოსურათები. სანდრომ პასპორტი შეამოწმა)*

თენგო – რას იტყვი?

სანდრო – მართლა სუპეროსტატი ყოფილა! ეს სურათები აღარ გვინდა. *(მორჩენილი სურათები კომოდის უჯრაში ჩაყარა)*

თენგო – პასპორტიც შეინახე. ნოტარიუსი რომ მოიკითხავს, დიდხანს ეძებე, აღარც გახსოვს, დავითმა სად შეინახა.

სანდრო – რათა, კაცო, დავითი ხომ ცოცხალია! კოლიამ უნდა მოუძებნოს.

თენგო – *(შუბლში სილა შემოირტყა)* დებილი ვარ-მეთქი და შენ მაინც არ მიჯერებ. მე კი მეგონა, მაგარი რამე მოვიფიქრე!.. დაღლილი ჩანხარ, არ წაუძინე?

სანდრო – თენგო, შენ ხომ იცი, შვიდი წელიწადი რა წამებაში ვიყავი! ჩემთვის არც თეატრი იყო, არც მეგობრებთან გართობა და მოლხენა. არაფერი, ძიძაობის გარდა! მაგრამ ახლა მოვწყდი, ამ დღენახევარში!

თენგო – შეჩვეული რეჟიმიდან ცხოვრების ახალ რიტმში აღმოჩნდი. არაფერია, ამასაც მიეჩვევი... ეზოს დეტექტივის თვალით დავაკვირდი. ეჭვს ვერავინ აიღებს.

სანდრო – ანალიზის პასუხი გაიგე?

თენგო – პირველი საათის შემდეგ იქნება.

სანდრო – ქეთი შეირიგე?

თენგო – სეპარატისტული რეჟიმი გამოაცხადა. სადემარკაციო ხაზი გაავლო, იმის იქით აკრძალული მაქვს გადასვლა. ბავშვს შეუძლია უვიზოდ გადაადგილება. ჰო, ტუალეტი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა.

სანდრო – ეგ რაღა შერიგებაა?

თენგო – დროებითი ზავია. სადოქტოროს დაცვამდე.

მერაბი – *(შემოვიდა)* მეც აქა ვარ, ბიჭებო! კოლია არ მოსულა? *(ტელეფონის ზარი)*

სანდრო – *(ყურმილი აიღო)* ბატონო!.. ჰო, ბუბა... კეთილი... ძალიან კარგი *(ყურმილი დადო)* თერთმეტზე ნოტარიუსი აქ იქნება. მაგრამ კოლია სად არის?

მერაბი – *(ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა)* დილა მშვიდობისა, ჩემო სიდედრო! კოლია სად არის?.. დიდი ხანია?.. აჰა, კეთილი... არა, დასალევად არ მივდივართ, შვილებს გეფიცები! *(ყურმილი დადო, ისევ ზარი)* კოლიაა! *(ყურმილში)* ჰო, ოტიჩ!.. რა ბრძანეთ?.. რომელი ხარ?.. ამ ოჯახის მეგობარი ვარ... ვინა?.. *(ბიჭებს შეხედა)*

სანდრო – მომეცი ყურმილი! *(ხელი წაატანა)*

მერაბი – *(არ დაანება. ყურმილში)* ტუალეტშია! *(დადო ყურმილი)* შვილი ვარო!

თენგო – მიამუნობს ვიღაცაა!

სანდრო – კაცო, წუხელაც ტუალეტი ვუთხარი!

მერაბი – მერე რა? ტუალეტი ერთჯერადი მოხმარების საგანი ხომ არ არის?

სანდრო – კიდევ რომ დარეკოს? *(ტელეფონის ზარი)*

მერაბი – მაგის დედაც ვატირე, კიდევ ტუალეტს ვეტყვი! *(ყურმილი აიღო)* ტუალეტშია, ბატონო, ტუალეტში!.. რა ბრძანეთ?.. აჰ, ბოდიში,

ქალბატონო... როგორ არ გამოვა!.. კეთილი. *(ყურმილი დადო)* ნოტარიუსი იყო. *(გაიცინა)* თერთმეტამდე ხო გამოვაო! *(კვლავ ტელეფონის ზარი)*

სანდრო – არ აიღო! *(ზარი ხანგრძლივი რეკვის შემდეგ შეწყდა)*

მერაბი – შენ ნუ გეშინია, სანდრო, შვილიც რომ იყოს, ფეხებს მოგჭამს! საცაა, ბუბა ნოტარიუსს მოიყვანს და ყველაფერს წერტილი დაესმება. ბიჭო, ქალს დედობის უფლებას ართმევენ, შვილს რომ არა პატრონობს და შვილი ვინ მიგდია, რო მოხუცებულ მამას ასე უპატრონოდ მიაგდებს! აფერისტია ვიღაცა.

სანდრო – ყურმილი ხომ არ გადავდოთ?

თენგო – მერე, აქ რომ მოგვადგეს?

მერაბი – მოგვადგეს! მოკვდა, ბატონო! პრეზიდენტები და აკადემიკოსები კვდებიან, დავითს, რა, სიკვდილის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა?

თენგო – წედან რომ ტუალეტი ვუთხარით?

მერაბი – გული არ გავუხეთქეთ, შვილი ვარო და შეგვეცოდა!

თენგო – მერე, რომ გვითხრას, საფლავზე წამიყვანეთო?

მერაბი – ჩვენც წავიყვანოთ მუხათგვერდში, იქ იმდენი ახალი საფლავია. დავაყენოთ უწარწერო საფლავთან და იმდენი ვატიროთ, რამდენიც გაეხარდება, მაგის დედაც ვატირე!

თენგო – მერე, ნამდვილი ჭირისუფალი თავზე რომ დაგვადგეს?

მერაბი – ამდენი „მერე“ რა უბედურებაა, თენგოს ვენაცვალე! მერე, შეგვეშალა, ბატონო, და სხვა საფლავთან გადავიყვანთ. *(გაბეზრდა)* სულაც, არ მომკვდარა დავითი, შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა! გინდათ, ბუბას ტელევიზორში გამოვაცხადებინოთ?

თენგო – მერე იქ სურათი არ დასჭირდებათ?

მერაბი – სანდრო, უთხარი, რა, გაჩერდეს!

თენგო – არა, ისეთი რამე უნდა მოვიფიქროთ, არაფერში გავიჭედოთ. ტელევიზორით რომ აცხადებენ, სურათს ხომ აჩვენებენ.

მერაბი – აღარ გამოვაცხადებთ ტელევიზორში, მოვრჩით?

თენგო – შვილი ვარო, რომ თქვა, იმან რომ გამოაცხადოს?

მერაბი – რაღა შენ „მერე“ აღარა თქვა, გიპასუხებ, თუ შვილია, თვითონ მიიტანოს სურათი!

თენგო – ეგ ვარიანტი სჯობია.

მერაბი – მოგეწონა, თენგოს ვენაცვალე! სანდრო. ომში რო მოხვდე, დაზვერვაზე თენგოს გულდანდობით გაჰყევი! არ გიღალატებს. წუხელ გამოვცადე, რა არ ვუთხარი, აპა-პა-პა! კინაღამ მომკლა! ერთგულებაში ნამდვილი მათიაა, ყაზბეგისა!

თენგო – წუხელ ავთანდილი თქვი, ჩამომაქვეითე?

მერაბი – მეთორმეტე საუკუნიდან ნელ-ნელა შევიცვალეთ. ავთანდილი კი არა, დღეს მათიაც სანთლითაა საძებარი. ახლა სამაგალითო ერთგული ის არის, ვინც ზურგში ტყვიას არ დაგახლის და მარტო ფეხს დაგიდებს, ფრთხილად და ფაქიზად, მაზოლი რომ არ გეტკინოს. *(მანქანის*

სიგნალის ხმა. დაფაცურდნენ) ბუბა მოვიდა! აბა, ბიჭებო, ნოტარიუსთან თამამად და მშვიდად!

სანდრო – დავითი რომ არა გვყავს?

მერაბი - ოხ, კოლია, თუ ხელს გადაჰყევი! თენგო, გაინძერი, დასხედით შინაურულად!

თენგო – *(შიშისგან ენა ჩავარდნილი)* ახლა რომ ის მოვიდეს... შვილი?

მერაბი – არ შემოვუშვებთ და ეგ იქნება! პასპორტები გვაქვს, ცნობაც...

სანდრო – კოლიას რა ვუყოთ? *(შემოდიან ნოტარიუსი და ბუბა)*

ბუბა – მობრძანდით, ქალბატონო ლაურა! *(სანდროზე)* ეს გახლავთ ერთ-ერთი დამნაშავე. დათიკო ძია სად არის? მეზობლებმა ხომ არ გადაიწვიეს? იქ დიდი საზეიმო სამზადისია, ქალბატონო ლაურა, მობრძანდით, ბატონი დავითის სამფლობელო დაათვალიერეთ... მერაბ, გადადი მეზობლებთან, თინიკოს ოჯახში ხომ არ გადავიდა. *(ნოტარიუსს შეუძღვა მარცხენა ოთახში. მერაბი გაურკვევლადაა, მეგობრებს შეხედა, მერე უხალისოდ გავიდა. სანდრომ და თენგომ არ იციან, რა ქნან. ოთახების დათვალიერება დამთავრდა)*

ლაურა – ეს სამი ოთახია, არა? კარგი ბინაა, ძველებური. ასეთ ადგილზე!..

ბუბა – კი, ადგილი დიდებულია. *(ხალიჩაზე ჩამოკიდებულ სურათზე)* ეს გახლავთ ბატონი დავითი.

ლაურა – *(სურათზე საკმაო ხანს შეაჩერა თვალი)* სურათი ხომ ვერ დაგვიდასტურებს? მოვიდეს ბატონი დავითი და დავიწყოთ.

მერაბი – *(გახარებული შემოვარდა)* მოდის! მართლა იქ ყოფილა! *(შემოვიდა კოლია. ზარხოშად არის)*

კოლია – გამარჯობა, ქალბატონო! *(ხელი ჯენტლმენურად ჩამოართვა)* მაპატიეთ, რომ გალოდინეთ, მეზობლის ოჯახს დიდი ზეიმი აქვს, ქალიშვილი ჩამოსდის გერმანიიდან!

ლაურა – რა საბოდიშოა, ბატონო დავით...

კოლია – არ მომეშვნენ, რამდენი ხანია, არ მინახავს, თინიკო ჩემ ხელში გაიზარდა, ამ ეზოში...

ბუბა – თინიკო ჩამოდის, ბიძია დავით?

კოლია – თანაც, მარტო კი არა, იმპორტული საქმროთი!

ლაურა – ახლა ჩვენი გოგოები უცხოეთში თხოვდებიან. *(ამ დიალოგის დროს მხოლოდ თენგო ხვდება, რა თავზარი დაეცა სანდროს)* თქვენ ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ, ბატონო დავით.

კოლია – შეიძლება. ბუბამ მითხრა, ძალიან ლამაზი ქალბატონი უნდა მოვიყვანოო, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა!

ლაურა - გმადლობთ კომპლიმენტისთვის. ამ ახალგაზრდებზე კი, რა ვიცი, შთაბეჭდილება ვერ მოვახდინე!

ბუბა – დათიკო ძია ძველი ჩამოსხმაა!

ლაურა – ახლა საქმეს შევუდგეთ.

ბუბა – ქალბატონო ლაურა, ყოველი შემთხვევისთვის, ეს ცნობაც გვაქვს, ფსიქიატრისგან. *(ქაღალდი წინ დაუდო)*

ლაურა – *(კოლიას)* მაშ, თქვენ გადაწყვიტეთ, ეს ბინა ანდერძით დაუტოვოთ...

ბუბა – სანდრო ამაღლობელს.

ლაურა – *(ბუბას)* აცადეთ, თვითონ მშვენივრად მეტყველებს. *(კოლიას)* რაიმე ზეწოლას ან იძულებას ხომ არ ჰქონია ადგილი?

კოლია – რას ბრძანებთ! ამან რომ შვილობა გამიწია, ღვიძლ მშობელს ასე არ გადაჰყვებიან!

ლაურა – კარგად რომ გივლიდათ, იმიტომ გამოიყურებით ასე ჭაბუკურად!

კოლია – ასეთი კი არ ვიყავი! ინფარქტი გადავიტანე, მანამდე სახურავის კრიშიდან ჩამოვვარდი. რანაირი ექიმები დამახვია თავზე! მიქელ-გაბრიელს ზედ ჯოჯოხეთის კართან გამოსტაცა ჩემი თავი!

ლაურა – ჯოჯოხეთში რა გინდოდათ ამ პატიოსან კაცს?

კოლია – იმდენი ახალგაზრდა და ანგელოზივით ბავშვი წაიყვანა ამ ბოლო ხანს, ამბობენ, სამოთხეში ადგილი აღარ არისო. თითო კოიკაზე, თურმე ათი სული მოდის.

ლაურა – შვილები არ გყავთ?

კოლია – ჩემი მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა. ბავშვიც დაიღუპა. ძალიან მიყვარდა მეუღლე, რაღაც ზეციდან იყო მოვლენილი... სხვა ქალი აღარ მომიყვანია. შვილობა კი ჩემმა სანდრომ გამიწია. *(გული აუჩვილდა)*

ლაურა – მაპატიეთ, ბატონო დავით. (*ცხვირსახოცით თვალები შეიმშრალა)*

კოლია – რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენი სამსახური ეს არის.

თენგო – ანდერძის დაწერის ინიციატივა სანდროდან არ მოდის, თვითონ ბატონმა წამოჭრა ეს საკითხი.

კოლია – ასპროცენტიანია! მართალია, თავს მხნედ ვგრძნობ და ბარე ორ ახალგაზრდას ვაჯობებ... მაგრამ მაინც ოთხმოცს გადაცილებული ვარ და, მოგეხსენებათ, ადამიანს სიკვდილი ისე ჰყავს ჩასაფრებული, როგორც ყველა მოსახვევში შოფერს – ავტოინსპექტორი. ამ ბიჭს კიდევ ერიდებოდა ამ თემაზე საუბარი. ბავშვი რატომ უნდა დარჩეს უბინაოდ? ქალს ითხოვს, რძალი დამიტირებს, იქნებ შვილიშვილსაც მომასწროს!

ლაურა – ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო დავით, ასეთი მზრუნველი პატრონი გყავთ, სიკვდილზე ფიქრი ჯერ ადრეა. თადარიგი კი მისასალმებელია... აბა, პასპორტები ვნახოთ... ეს ახალგაზრდები მოწმეები არიან, ალბათ.

ბუბა – მე და *(თენგოზე)* ეს ყმაწვილი. *(ბუბამ და თენგომ პასპორტები დაუდეს)*

ლაურა – ბატონი დავითის?

ბუბა – დათიკო ბიძია, პასპორტი!

კოლია – *(სანდროს)* შვილო, ჩემი პასპორტი! *(სანდრო კომოდის უჯრებს ქექავს, ქექავს. ბოლოს „იპოვა“. თავის პასპორტთან ერთად ნოტარიუსს დაუდო)*

ლაურა – *(პასპორტებს ათვალიერებს)* ამ პასპორტში სურათი გამოცვლილია?

ბუბა – *(გონს პირველი მოეგო)* რომელი?

ლაურა – აი, ეს.

ბუბა – *(გულზე მოეშვა)* როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ლაურა! *(ჯიბიდან რაღაც მოწმობა ამოიღო)* აი, შეადარეთ, აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ... იგივე ფოტო, ოღონდ პატარა...

ლაურა – მართალი ხართ. შევცდი... მეზობლებს საპრეტენზიო რამე ხომ არაფერი აქვთ?

ბუბა – რა უნდა ჰქონდეთ, ტკბილი მეზობლობის გარდა.

კოლია – რა უნდა ჰქონდეთ იმის გარდა, რომ გაშლილი სუფრა მივატოვე!

ლაურა – არაფერია. თქვენ ერთი სული გაქვთ, ჩქარა წავიდე, რომ იქ დაბრუნდეთ!

კოლია – თქვენ რა იცით?

ლაურა – აის სურათი მეუბნება, ყანწიანი.

ბუბა – სხვათა შორის, ეს ბინა სრულიად იზოლირებულია.

ლაურა – კეთილი. *(პასპორტები და ქაღალდები ჩანთაში ჩააწყო და ადგა)* დილაზე, 11 საათზე, ჩემთან მობრძანდებით. მთელი შემადგენლობით. იქ ოფიციალურად გავაფორმებთ ანდერძს. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ!

კოლია – ერთი წუთით! მხოლოდ ერთი წუთით! *(მაგიდაზე გაწყობილ სანოვაგეს სუფრა ახადა, ჭიქა აიღო, მარცხენა ხელი პათეტიკურად ასწია)* მეგობრებო!

ლაურა – *(შედგა, კოლიას ღიმილით დააკვირდა)* არა, არა, ბატონო დავით!.. ბევრი საქმე მაქვს. *(ბუბას)* თქვენც ნუ შეწუხდებით, საპატიო ესკორტს ჩვეული არა ვარ. მე ხომ ჩემი მანქანით ვარ! *(სწრაფად გავიდა. ოთახში დარჩენილებს დაძაბულობამ მალე გაუარა, გარდა სანდროსი, რომელიც მთელი არსებით „სხვაგან“ არის)*

კოლია – ბუბაჯან, გულზე ხელი დაიდე და თქვი, როგორი ბიჭი ვარ?

ბუბა – მაგარი, კოლია ძია!

კოლია – აბა, მე გამოსაშვები ვიყავი თეატრიდან? ასეთი მსახიობის დაკარგვას ჩემ დირექტორს შთამომავლობა არ აპატიებს!

ბუბა – ნამდვილად, კოლია ძია. შენ ეს მითხარი, რა გინდოდა იმ ოჯახში? ქორწილს უშენოდ ვერ გადაიხდიდნენ? კინაღამ ოპერაცია ჩაშალე!

კოლია – შვილებს გეფიცები, აქეთ მოვიჩქარობდი. იმ ეზოს რომ გამოვუარე, ვიღაცამ მხრებში ხელი ჩამავლო. მივბრუნდი, ჩემი ძველი მეგობარი არ არი გრადუსებში? ძალით შემათრია, ოჯახის უფროსები გამაცნო, პატარძლის ნათლია ყოფილა. შენ გგონია, დავაღირე თავი და ჩემით შევედი? ეგ კი არა, მე იქ მიმსვლელი არა ვარ, მაგრამ დამაფიცა, გელოდებითო! ისე, ჩიტის რძეც არ უნდა აკლდეს, ისეთი სუფრაა!

ლაურა – *(მოულოდნელად შემოვიდა, ჩანთიდან პასპორტები ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო)* მაპატიეთ, დაუკაკუნებლად შემოვედი!

ბუბა – რა მოხდა, ქალბატონო ლაურა?

ლაურა – *(კოლიას)* თქვენ დავით ქართველიშვილი არა ხართ!

კოლია – *(დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა)* აბა, ვინა ვარ, ქალბატონო ლაურა?

ლაურა – სხვა! ჩვენ ამას წინათ ერთ ოჯახში შევხვდით, სუფრაზე!

კოლია – სად?

ლაურა – ერთ ოჯახში.

კოლია – შეიძლება. მაგრამ დავით ქართველიშვილს ვინ აუკრძალა ქეიფებში სიარული?

ლაურა – თქვენ იქ სხვა სახელით მოგმართავდნენ!

ბუბა – ქალბატონო ლაურა, მე ბუბას მეძახიან შინაურობაში, თორემ პასპორტში კონსტანტინე მიწერია, ხომ ნახეთ! რა, ორსახელიანი კაცი არ გინახავთ?

ლაურა – როგორ არა, მაგრამ ორგვარიანი?

ბუბა – სუფრაზე გვარით ვის მიმართავენ ქალბატონო, იქ რა, სია ამოიკითხეს?

ლაურა – კარგი ახლა, თავს მთლად ნუ გაიბავშვებთ! ამ ბატონმა დაიგვიანა და მასპინძელმა გვარ-სახელით წარმოგვიდგინა, როგორც ოჯახის ახლობელი და საამაყო სტუმარი, ყველასათვის სასურველი! *(კვლავ კოლიას უყურებს)* შეუძლებელია, არ დაგამახსოვრდეს, ყველას ყურადღებას იქცევდა. თამადა რომ დათვრა, ეს წაუძღვა სუფრას. სიმღერა, ცეკვა, ლექსები, აი, ზუსტად ის ჟესტ-მიმიკა... დიდხანს ჩამრჩა მეხსიერებაში, გარკვეული კატეგორიის მამაკაცებისთვის დამახასიათებელი მანერები... როგორც კი შემოვედი, ნაცნობი სახე დამიდგა თვალწინ... ჯღა... ჯღარკავა! არა, ჯაჯანიძე... არა, მაგრამ ამისი მსგავსი გვარი გაქვთ. მანქანაში გამახსენდა.

ბუბა – მერე, ამისთვის მობრუნდით?

ლაურა – არ მოვბრუნებულვარ, მანქანა ვერ დავქოქე. *(სანდროზე)* ეს სიმპათიური ყმაწვილი წესიერი ჩანს, მაგრამ ვწუხვარ, რომ ვერ დავეხმარები. მე სამსახურს ვერ დავკარგავ. *(ბუბამ პიჯაკის ჯიბიდან რადაც ამოიღო, პასპორტებთან ერთად ლაურას ჩანთაში ჩადო)* კონსტანტინე!.. რას აკეთებ?

ბუბა – ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ. თქვენ 11 საათზე დაგვიბარეთ. ჩვენც დილაზე მთელი შემადგენლობით იქა ვართ! ახლა კი ნება მომეცით, თუ ვერ ავამუშავეთ, ჩემი მანქანით წაგიყვანოთ! *(მობილური ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან, ნომერი აკრიფა) ჰო, მე ვარ, სად ხარ.. (უზომოდ გაიხარა)* მაშ, ღმერთი არ არისო? მაგ ქუჩის ზემოთ წყაროს ქუჩაა, იქ ჩემი მანქანა დგას და წითელი ნოლ-ექვსი. გელოდები. წავიდეთ, ქალბატონო ლაურა, ის უკვე მოსული იქნება. *(ბუბა და ლაურა გავიდნენ. ხანგრძლივი სიჩუმე მერაბმა დაარღვია)*

მერაბი – ოტიჩ, ეს რა გვიყავი? საათივით აწყობილი საქმე ჩაგვიშალე?

კოლია – რა ვქნა, შვილო, თბილი ადამიანი ჩანდა...

მერაბი – ახლა ჩვენა გვკითხე, თბილი კი არა, ყველას ორმოცი გვაქვს სიცხე!

კოლია – მართალი ხარ, იაღლიში მომივიდა!

მერაბი – *(გამოცოცხლდა)* იცი, რა, ოტიჩ, დაჯექი ტელეფონთან და გაიხსენე, სად იქეიფე ამ ბოლო ხანს, ოჯახი, სადაც შინაურად გთვლიან... გესმის, გარკვეული კატეგორიის მამაკაცო?

კოლია – რომელი ერთი გავიხსენო, შვილო?

მერაბი – ეგ არ უნდა გაგიძნელდეს. შენ წვეულებაზე ტაბელს დროზე ატრიალებ. სად დაიგვიანე, სადაც წაართვი თამადობა...

კოლია – *(უხალისოდ მიდის ტელეფონისკენ)* რო გავიხსენო, რა უნდა ვუთხრა?

მერაბი – თუ მართლა ახლობელია, დაგიმოწმოს, რომ კოლია ჯღამაძე შეგარქვეს, შენ ხომ ძველი არტისტი ხარ, ჯღამაძის როლი ისე კარგად ითამაშე, რომ ახლობლები შენი გვარით აღარ მოგიხსენიებენ. რა, ფიუნესი კომისარ ჟუდ არ იქცა?

კოლია – კაცო, იქ რა უნდოდა ფიუნესს, ზღარბებსა და კურდღლებს ვთამაშობდით!

მერაბი – ახლა, ეს ნოტარიუსი გამომიყვანე თეატრმცოდნე! რა იცის, სად და რომელ თეატრში მუშაობდი? *(ტელეფონთან დასვა)* თენგო, გადი იმ ოთახში, სანდრიკას ფერი არ მომწონს. *(თენგო გავიდა)* ჰა, ოტიჩ, ფიქრობ, თუ ოცნებობ? *(კოლიამ ყურმილს ხელი წაატანა, რომ ტელეფონმა ზარი დარეკა – მერაბმა გამოსტაცა ყურმილი)*

ალო!.. რომელი ხარ?.. არ გახლავთ... კარგი საქმე ვერ მოგვივიდა... არა, შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა... მესამე დღეა. *(გაცოფდა)* შენ რა ნახალკას... ვა, რა კლიზმა ტიპი ჩანხარ!.. აღარ დარეკო, გესმის? მოხვალ და მაგ ფასადზე ისეთ რემონტს ჩაგიტარებ, დედიკომ ვეღარ გიცნოს! *(ყურმილი დადო)* ოტიჩ! ამ ჩვენ ქალაქში რამდენი ახვარი დადის?

კოლია – *(ხასიათში აჰყვა)* ჩემი ვარაუდით, მილიონ სჩემტო.

მერაბი – იმიტომ არი, რო თბილისში ამინდი ამინდს აღარა ჰგავს!.. მიდი, რა, დარეკე. *(კოლიამ ხელი წაატანა ყურმილს, რომ თენგო გამოვარდა, ყურმილი გამოსტაცა და ნომერი აკრიფა)*

თენგო – ალო! სასწრაფოა?

იგივე ოთახი. დილა. ეზოდან შემოსასვლელი კარი იღება და ფრთხილად შემოდის მერაბი. მარჯვენა ოთახიდან ფეხაკრეფით გამოდის თენგო. თითქმის მთელი სცენის მანძილზე ხმადაბლა საუბრობენ.

მერაბი – თენგოს გაუმარჯოს. როგორ ეძინა?

თენგო – კიდევ დაგვჭირდა სასწრაფო.

მერაბი – ამ სასწრაფომ რაღა თქვა?

თენგო – ოცდახუთიო.

მერაბი – რა ოცდახუთი?

თენგო – ოცდახუთი ლარიო.

მერაბი – *(ძლივს გაიაზრა)* სხვა არაფერი თქვა?

თენგო – კი. წესით, ოცდაათი, მაგრამ თქვენი ხათრით, ოცდახუთიო!

მერაბი – მერე, სადა გქონდათ?

თენგო – ბედზე შემოირბინა.

მერაბი – ვინა, კაცო, სულ ნუ დამაბნიე!

თენგო – ბუბამ, ხომ გითხარი, შემოირბინა, ნოტარიუსთან თქვენი მოსვლა საჭირო აღარ არისო. *(მერაბმა თანაგრძნობით შეხედა. პაუზა)* რა მოხდა? წუხელ, ყველაფერი რიგზეაო!

მერაბი – *(პაუზის შემდეგ)* ეხლა როგორ არის?

თენგო – ეგ მე უნდა გკითხო!

მერაბი – ბიჭო, მე სანდრიკაზე გეკითხები!

თენგო – მაპატიე... გათენებისას ჩაეძინა.

მერაბი – შენ უნდა დაიყოლიო...

თენგო – დავიყოლიებ!

მერაბი – დამაცადე, თენგო! რა გემართება? მაგას ერთი მაგარი დასვენება უნდა, დაიყოლიე, სადმე წავიდეს, ზღვაზე...

თენგო – მთაში... ბორჯომში. ზღვა არ შეიძლება მაგისთვის... შეიძლება... შევიდეს და აღარ გამოვიდეს!

მერაბი – რათა, ბიჭო, ანდერძისთვის ბრძოლა არ დამთავრებულა...

თენგო – ანდერძი?.. ადამიანს უამრავი მიზეზი აქვს... მთელი ღამე ისმოდა მექორწილეთა ჟრიამული, ან არ დაიღალნენ, ან ნეფე-დედოფალს მოსვენება არ უნდოდათ? ან როგორ ვახერხებთ ქართველები, უცხოელის წინაშე, ჩვენი ატროფირებული ენერგიის დაუშრეტელობის იმიტაციას!

მერაბი – მოიცა! თინიკო კიდევ უყვარდა?

თენგო – უყვარდა რომელია? ეს ბინა განა რისთვის უნდოდა?.. რაღა მაინც და მაინც ამ გაწამაწიის დროს ჩამოვიდა!.. ბოლოს, წერილებს რომ აღარ იწერებოდა, საშინლად განიცდიდა. ვითომ არ იმჩნევდა, მაგრამ მე ხომ ვხვდებოდი!

მერაბი – ეჰ, არ არის ამ საუკუნის კაცი! არც შენა ხარ.

თენგო – შენა?

მერაბი – ეს დღეები სწორედ მაგაზე ვფიქრობ. საჩემო ადგილი ვერც ერთ საუკუნეში ვერ მოვნახე! *(უცებ თენგომ ჯიბეებზე მოუსვა ხელები)* რას შვრები, საბაჟოზე ვარ?

თენგო – დიქტოფონი ხომ არ გიდევს? მაპატიე, ცხოვრებამ მასწავლა.

მერაბი – ცხოვრებამ ვერაფერი გასწავლა. შენ და სანდრიკა ფრიადოსნები იყავით, ასე ვთქვათ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ცხოვრების სკოლაში კი სულ სხვა საგნებს ასწავლიან და ამას სხვა ნიჭი უნდა.

თენგო – ხომ არ აპირებ გუშინდელი ლექციის გაგრძელებას?

მერაბი – არა, თენგო, აზრი აღარ აქვს.

თენგო – რომ არ გავიყიდე, იმიტომ? ჩვენ ყველანი ვიყიდებით, მერაბ, მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა, რომ გგონია, არ იყიდები, სინამდვილეში, გულის სიღრმეში, ფასზე ყოყმანობ. აგე, თინიკო! არ გაიყიდა? ჩვენი ძმაკაცი როგორ უყვარდა, რა ბარათებს უგზავნიდა! ნახა სარფიანი მუშტარი და გაიყიდა! შენმა დისშვილმა ავარია რომ მოახდინა და ბუბამ გადაგარჩინა, არ გაიყიდე? ახლა ბუბამ რომ გითხრას...

მერაბი – *(რატომღაც, შეშფოთებით)* რა უნდა მითხრას?

თენგო – ჩუმად, არ გააღვიძო!.. რომ გითხრას, ჩემ მაგივრად ცეცხლში ჩადექიო, არ ჩადგები? ან სანდრო არ იყიდება, ბუბას ხელებს რომ მისჩერებია? ბედი, რომ ამ შემთხვევაში, მყიდველი ჩვენი მეგობარი და პატიოსანია, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის პროცესი ხომ მიდის?

მერაბი – გამოდის, რომ ერთმანეთს აღარ უნდა დავეხმაროთ!

თენგო – ახლა... გულუბრყვილობას ნუ თამაშობ. გითხარი, გუშინდელი ლექციის წაკითხვას აპირებ. მიდი, გისმენ.

მერაბი – საიდან მოიტანე? გუშინაც მივქარე!

თენგო – ნუ გეშინია, რაც მითხარი, ის ჩემში მოკვდა... *(რატომღაც უცებ გაბრაზდა და მუშტი მაგიდას დასცხო. მერაბმა მიირბინა მეორე ოთახის კართან, შეიხედა, კარი გამოხურა და გამოტრიალდა)*

მერაბი – მკვდარივით სძინავს. რა დაგემართა, თენგო?

თენგო – *(დამცხრალი)* წუხელ ნეტა ბევრი დაგელიათ!

მერაბი – რაო?

თენგო – დილას, ბუბა რომ წავიდა, ბოთლები ჩავაბარე...

მერაბი – რა ბოთლები?

თენგო – ტარა. აქვე, მეტროსთან. პოლიკლინიკაში ვიყავი წასასვლელი. *(მერაბმა ჯიბეები მოიქექა. მერე უმწეოდ შეხედა თენგოს)* რა იყო, მერაბ?

მერაბი – ერთი ფიროსმანი მეგულებოდა... დამავიწყდა. გზაში ლუდი დავლიე.

თენგო – მერაბ... მე თანახმა ვარ! *(ისე თქვა, მერაბისთვის არ შეუხედავს)*

მერაბი – რაზე?

თენგო – კარგი, რა!.. გუშინ რომ წინადადება შემომთავაზე... რესტორან „დავითზე“...

მერაბი – *(არ ელოდა. გაოცდა)* მცდი, თენგოს ვენაცვალე?

თენგო – სანდროს დავიყოლიებ. ჩემ გამო წამოვა ამ საქმეზე.

მერაბი – სიმართლე მითხარი, ბუბას ხომ არაფერი უთქვამს?.. თუ შენით მიხვედი მაგ დასკვნამდე?

თენგო – ბუბამ თქვა, რომ ანდერძს დღეს მოიტანს... მერაბ, ბევრი ვიფიქრე... წუხელ არ მძინებია.

მერაბი – არც მე! სინქრონულად გვიფიქრია... ხალხი ტყუის, თენგო, სუფთა სინდისი მშვიდი ძილის უებარი წამალიაო! ჯანდაბას ჩემი თავი, სუფთა სინდისზე პრეტენზია არ გამაჩნია, შენ ხო სუფთა ხარ, შენ რაღატო გჭირს უძილობა?

თენგო – უკეთური, განა მარტო საქციელი, ფიქრიც კი ცოდვაა, ჩემო მერაბ!

მერაბი – ეგრე რო ვიანგარიშოთ, ყველა ცოდვილი ყოფილა ახალშობილის გარდა.

თენგო – ეგრეც უნდა ვიანგარიშოთ, მერაბ! ადამიანი უკეთური ფიქრიდან საქმეზე რომ არ გადადის, განა წმინდანია, უბრალოდ, გაუბედავია, მხდალი!

მერაბი – კაცო, დღეს ვეღარა გცნობ!

თენგო – მართალი გითხრა, ვეღარც შენა გცნობ. თითქოს როლები გავცვალეთ. მე მერაბი ვარ და შენ – თენგო? თუ მათამაშებ? გულწრფელი გუშინ იყავი, თუ დღესა ხარ?

მერაბი – მე თამაშიდან გავდივარ.

თენგო – როგორ, გადიხარ?

მერაბი – საერთოდ, აქედან მივდივარ.

თენგო – სად მიდიხარ?

მერაბი – უცხოეთში... თენგო!.. თენგო, რა დაგემართა? *(თენგო აშკარად ცუდადაა. სკამზე დაეშვა. მერაბი წამოხტა, მაგიდიდან ჭიქა აიღო და ეზოში გავარდა. მალევე შემოიტანა წყალი)* თენგო, მოსვი! *(თენგომ ცოტა მოსვა, დანარჩენი მერაბმა სახეში შეასხა)* რა დაგემართა, ბიჭო? უკეთ ხარ? შენდა აკლდი სანდროს!

თენგო – *(დათრგუნული)* ეს დღეები, რომელ სკამზეც ვჯდები... ყველას ცალი ფეხი აკლია!

მერაბი – დედას გაფიცებ, მითხარი, რა გჭირს!.. თენგო, ბავშვს გაფიცებ!

თენგო – *(უცებ შეჰყვირა)* ნუ, მერაბ! *(ხმაწართმეული)* ბავშვს ნუ დამაფიცებ!.. გმადლობ, მერაბ. არის მომენტი, გმირიც ტყდება. თენგო კი გმირი არ არის. ეს შეცოდება მაპატიე.

მერაბი – რა შეცოდება, თენგო?

თენგო – გავტყდი. დავიშალე სულიერად. ხავსს მოვეჭიდე, დამავიწყდა, რომ ხავსი წყალწაღებულს ვერ გადაარჩენს. შენ გადამარჩინე!

მერაბი – რა დაგემართა?

თენგო – ბავშვის ანალიზის პასუხი მითხრეს.

მერაბი – მერე?

თენგო – ლეიკემია.

მერაბი – ეგ რაღაა?

თენგო – სისხლის გათეთრება... გმადლობ და ნუ გამამტყუნებ... *(ხმაურით შემოდიან ბუბა და კოლია)*

ბუბა – სანდრო! სად არის სანდრო? *(მარჯვენა ოთახის კარში მდგარა სანდრო)* სანდრიკ! *(უბეზე ხელი დაირტყა)* ანდერძი აქ არის!.. ე! ამას უყურე! არც გაეხარდა!

სანდრო – გმადლობ, ბუბა!

კოლია – დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა! მაგ მადლობით შემოვიფარგლოთ? *(მაგიდაზე გაშლილ ხორაგს გადასაფარებელი მოაცილა)* როგორც ნიკიტა სერგეევიჩი იტყოდა, საქმეს შევუდგეთ, ამხანაგებო!

ბუბა – დროული წინადადებაა! აბა, ბიჭებო, მაგიდისკენ ნაბიჯით იარ!

კოლია – აბრამის ტაბლაა, შვილებო.

ბუბა – სანდრიკ!..

სანდრო – კარგად ვარ, ბუბა. *(თენგოს და მერაბს)* მოდით, ბიჭებო! *(ცოტათი გახალისდა. თენგო და მერაბი წელათრევით შემოუსხდნენ მაგიდას)*

ბუბა – ამათ რაღა დაემართათ? მერაბ!.. შენ ხომ არ...

თენგო – არაფერი, ბუბა. გუშინდელ დღეს ჯოჯოხეთი გამოვიარეთ.

კოლია – ბრალი იმათი, ვინც ამქვეყნად ბაირამობენ! თუ იქაც სამოთხეში მოხვდებიან, იმის ფასს ვეღარ გაიგებენ. თუ ჯოჯოხეთში მოხვდებიან,

მაშინ კი ცოტა გაუტყდებათ! ჩვენ ჯოჯოხეთით იქ ვედარ გაგვაკვირვებენ, სამოთხე კი ჩვენთვის მართლა ნეტარება იქნება! ასე რომ, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.

ბუბა – ცოტათი დავაზუსტებ: იცინის ის, ვისაც შვეიცარიის ბანკში ფული აქვს!

კოლია – აჰ, არა, იცინის ის, ვისაც ამ პაპანაქებაში მაცივარში ღვინო აქვს! ჩვენი ფული ეს არის! *(ცარიელი ჭიქა მერაბს გაუწოდა)*

„ბედმა ბევრი ჩვენისთანა აჭრა, როგორც დარგო,
თავის ბედზე მწუხარებამ, აბა ვის რა არგო!
აბა, ჯამი ამივსე და მომაწოდე, კარგო!“

მეგობრებო! *(ადგა)* ახლა ერთი დიდებული ქართველი თავის მშობლიურ ეზოში წევს... *(ამ დროს განახლდა მექორწილეთა ცეკვა-თამაში და სიმღერის, ცეკვისა და სიცილის ხმამ თითქმის დაფარა კოლიას სიტყვები)* აი, რა არის, მეგობრებო, ჩვენი ცხოვრება! როცა ღმერთმა სამყარო შექმნა, ერთ კორპუსში, კარის მეზობლებად დაასახლა „მრავალჟამიერი“ და „რეკვიემი“. უფლის ნებას ვერ გაექცევი, ვენაცვალე იმის ძალას! შევსვათ ბატონი დავითის შესანდობარი! აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა! *(დალია)* აბა, ეს ჭიქა ექსტრად და ბოლომდის!

ბუბა – *(ადგა)* ბატონი დავითი დიდი ადამიანი იყო. ამხელა სახლი სულ მას ეკუთვნოდა. საიდანღაც მოვიდნენ, შეეხვეწნენ, უსახლკარონი ვართ, დროებით შეგვიფარეთო! ამასაც შეეცოდა, ღვთისნიერი კაცი იყო და შეივრდომა. სინამდვილეში, დავითი გამოდგა დროებითი, ამათ კი ისე იბარტყეს, ახლა ვედარ დათვლი! მაგრამ არაფერია. ამათ გავყრით და დავითის სახლს აღვადგენთ, როგორც იტყვიან, ძველ საზღვრებში! ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს დავითის სული! *(დალია)*

კოლია – აბა, ბიჭებო!

ბუბა – მიდი, მერაბ! ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. როგორც დაგპირდი, მორატორიუმი გაგრძელდება უსასრულოდ. შენ ის ხალხი ჩამოგეხსნება, თუმცა შენ იმათთან მაგრა ჩაიჭერი! ამის მერე ჭკვიანად, ძმაო!

კოლია – შუბლი გახსენით, ბიჭებო! იცით, რა გითხრათ? მეცნიერება განვითარდაო, რა არ გამოიგონესო! ის გვიკვირს, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი! რომ ჩაიცვა, ავტომატიც რო დაგაცალონ, ტყვია არ მოგეკარებაო! ჩვენმა წინაპრებმა კი უხსოვარ დროს ღვინო გამოიგონეს, ამას რო დალევ, დარდი აღარ მოგეკარება. აბა, ჩავიცვათ დარდგაუმტარი ჟილეტები!

მერაბი – *(ადგა)* საწყალი დავითი! ჩემ წინ გამოსულმა ამხანაგებმა მის სახელს ყველა ბრუნვაში დაუკავშირეს ეპითეტი „დროებითი“. დროებით შეიკედლა მილეთის ხალხი, თვითონაც დროებითი ყოფილა, ახლაც დროებით საფლავში წევს...

კოლია – აბა, სულ ხო ეზოში არ უნდა იწვეს, შვილო!

ბუბა – მალე გადავასვენებთ და ღირსეული პატივით დავკრძალავთ სამუდამო განსასვენებელში!

მერაბი – აი, სწორედ მაგ სამუდამო სასუფეველში დაუმკვიდროს ღმერთმა ადგილი და ჩვენც, სანამ ცოცხლები ვართ, სამუდამოდ შევინახოთ მისი ხსოვნა!

კოლია – აბა, თენგო! *(თენგო მაგიდასთან მხოლოდ „ფიზიკურად“ არის)* სხვაგან ქრის მისი გონება!

ბუბა – თენგო, შემოგვიერთდი! ოღონდ კანტი და არისტოტელე არ გინდა!

თენგო – *(ადგა)* ბატონი დავითის...

სანდრო – *(შუბლში ხელი შემოიკრა)* აუჰ! ყანწი, თენგო! ყანწი ჩამოიღე *(თენგომ ხალიჩიდან ყანწი ჩამოიღო)*

თენგო – *(კარისკენ წავიდა, მობრუნდა)* მტვრითაა სავსე! ახლავე გავრეცხავ! *(ეზოში გავიდა)*

სანდრო – რა უღირსი მემკვიდრე ვარ! დათიკო ძიას თხოვნა იყო, ყანწით დალიეთ ჩემი შესანდობარიო, რამ გამომაშტერა!

ბუბა – რაღა მაგ გულბაათ ჭავჭავაძის დროს გაგახსენდა!

კოლია – მე კი სულ მაგ ყანწს ვუყურებდი, მაგრამ ვიფიქრე, ბუტაფორია თუა-მეთქი.

სანდრო – აბა! ბოლო ხუთი წელიწადი მაინც იქნება, ძილისპირულივით, ყოველ საღამოს მიამბობდა, ამ ყანწით რამდენ თაობას დაულოცეს სასუფეველის გზა, რამ გამომაშტერა!

კოლია – არ გაიმტყუნები, შვილო! ისე, ბატონი დავითის სადღეგრძელოს დავუბრუნდებით. *(ბუბას)* შილა რო შემოვა! *(ბუბამ ღიმილით უპასუხა)* ბუბამ რესტორანში შილაფლავი შეუკვეთა და ამოგვიტანენ!

თენგო – *(შემოვარდა გაფითრებული, ყანწი მაგიდაზე დადო)* ეზოში პოლიციელი შემოვიდა!

ბუბა – პოლიციელი? მერე, რას დაფეთდი? *(კარზე კაკუნი. ბუბამ გააღო)* მობრძანდით!

პოლიციელი – დავით ქართველიშვილი აქ ცხოვრობს?

ბუბა – დიახ. შემობრძანდით! *(პოლიციელი შემოვიდა)*

კოლია – კაი კაცი სუფრის თავში! დაბრძანდით!

პოლიციელი – გმადლობთ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ალკოჰოლის მიღება აკრძალულია.

კოლია – ჯერ სტუმრის მოვალეობის შესრულებას შეუდექით. ქართველები არა ვართ?

ბუბა – *(კოლიას მკლავზე მოქაჩა. პოლიციელს)* რა სამსახურებრივ მოვალეობას გულისხმობთ?

პოლიციელი – *(პირადობის მოწმობა აჩვენა)* სისხლის სამართლის სამძებროდან, ძებნის ინსპექტორი ლეიტენანტი ჯღამაძე.

კოლია – *(თვალები გაუფართოვდა)* სადაური ჯღამაძე...

ბუბა – *(მათ შორის ჩადგა)* კეთილი. რას გვიბრძანებთ?

პოლიციელი – შემოსულია განცხადება, რომ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა მოქალაქე დავით ქართველიშვილი. მაპატიეთ, რომ ქეიფი შეგაწყვეტინეთ, მაგრამ ჩვენი ვალია, ცხელ კვალზე მივიღოთ საჭირო ზომები, ანუ რეაგირება.

ბუბა – კი ბატონო, ირეაგირეთ, ჩვენი სურვილიც ეგ არის, რომ ბატონი დავითის კვალზე დაგვაყენოთ.

პოლიციელი – თქვენ დავით ქართველიშვილის ახლობლები ბრძანდებით, არა?

ბუბა – რა თქმა უნდა!

პოლიციელი – მაშინ ერთი უხერხული კითხვა: ახლობელი ადამიანი დაკარგეთ, რას ზეიმობთ?

ბუბა – *(გაიცინა)* საზეიმო მართლა გვაქვს. *(თენგოზე)* ჩვენს ძმაკაცს, სხვათა შორის, ფილოსოფიის დოქტორს, ნანატრი ვაჟი შეეძინა!

პოლიციელი – *(თენგოს ხელი ჩამოართვა)* გილოცავთ! მართლა საზეიმო დღე გქონიათ. მაპატიეთ, დიდხანს თავს არ შეგაწყენთ. ერთი შეკითხვა: გამაცანით, ვინ ვინ არის დავით ქართველიშვილისა?

ბუბა – ეს ყმაწვილი შვილიშვილია. ბატონი პროფესორი უკვე წარმოგიდგინეთ, ეს ყმაწვილი და მე მისი მეგობრები ვართ. ეს პატივცემული ადამიანი კი ბატონი დავითის სიყრმის მეგობარია.

კოლია – მაშ! ღვთისნიერი ადამიანი იყო ბატონი დავითი, ჩემი დათიკო!

პოლიციელი – რატომ „იყო“? იქნებ ცოცხალია?

ბუბა – რასაკვირველია! ღმერთმა დაგვიფაროს!

პოლიციელი – ბარემ ნათესავების მისამართებიც ჩამაწერინეთ.

ბუბა – ნათესავები, როგორც ასეთი, არ ჰყოლია. სულ ჩიოდა, ასე რამ დაგვლია ქართველიშვილებიო!

პოლიციელი – ჩემ პრაქტიკაში ორი თვის დაკარგული კაცი გვიპოვნია. *(გაიცინა)* სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში პირველი სიყვარული გახსენებია და ვაზისუბნის დასახლებაში დავადექით თავზე!

ბუბა – აუჰ! თაფლობის თვე ჩაუშხამეთ? ახლანდელი მოხუცები ძალიან გაცუღლუტდნენ

პოლიციელი – ბატონ დავითთან დაკავშირებით ასეთი ვერსია გამორიცხულია?

ბუბა – ვერ გეტყვით. ისე, ენერგიაზე კი იყო.

პოლიციელი – სულ თქვენ რომ მპასუხობთ, შვილობილი რას იტყვის?

სანდრო – გამორიცხულია.

პოლიციელი – კეთილი. როდის გავიდა სახლიდან?

სანდრო – გუშინწინ.

პოლიციელი – რომელ საათზე? *(ყველა კითხვა-პასუხს იწერს)*

სანდრო – ზუსტად ვერ გეტყვით. ბაზარში ვიყავი, რომ დავბრუნდი, აღარ დამხვდა.

პოლიციელი – დილა იყო, შუადღე, საღამო...

სანდრო – უფრო საღამო.

პოლიციელი – რა ეცვა?

სანდრო – აბა, რომ არ დამინახავს?

პოლიციელი – მდიდარი გარდერობი აქვს? არ დაათვალიერეთ მისი ტანსაცმელი?

სანდრო – როგორ არა, მუქი ლურჯი შარვალი და ძველი ჯინსის პერანგი აღარ არის.

პოლიციელი – ესე იგი, გვცოდნია, რა ეცვა.

კოლია – და შავი ფეხსაცმელი. კოპწიად უყვარდა ჩაცმა!

ბუბა - დიახ. სანდრომ რომ დაგვირეკა, ჩვენ ერთად გადავატრიალეთ სახლი.

პოლიციელი – ესეც ესე... გუშინწინ გავიდა... თქვენს გარდა ახლობელი არავინ ჰყავს... ამოდენა ქალაქში... *(ქაღალდიდან თავი აიღო)* გინახავთ კინო „ორნი ქალაქში“? ალენ... გაბენ... მაგარი კინოა! თან საქმე! მაშ, თქვენ მეგობრები ხართ?

ბუბა – ამ ოჯახის ჭირისა და ლხინის მოზიარენი.

პოლიციელი – მაშინ აქ დამიწერეთ თქვენი კოორდინატები. ტელეფონი, მისამართები... *(რიგრიგობით ყველა წერს თავიანთ კოორდინატებს. სანდროს)* მაპატიეთ, თქვენ და ბატონ დავითს ერთმანეთში რამე უთანხმოება ხომ არ გქონიათ?

სანდრო – არასოდეს. არავითარი.

ბუბა – ღვიძლ მამა-შვილს არ ექნებათ ასეთი სიყვარული!

პოლიციელი – გიჭირდათ? მატერიალურად.

სანდრო – ბოლო ხანებში კი.

პოლიციელი – ბოლო ხანებში ყველას გვიჭირს!

სანდრო – საავადმყოფოში რომ იწვა, მაშინ განსაკუთრებით გაგვიჭირდა. ინფარქტი გადაიტანა. ახლა ბოლო ხანებში, პენსიაც აღარ მიუღია. ომის მონაწილეა.

პოლიციელი – მეც არ მიმიღია ხელფასი. რას ფიქრობენ, ამ ხალხს ჭამა არ უნდა? ცხრა თვეა! ცხრა თვეში ბავშვი ჩნდება!

ბუბა – ოჯახს რითი არჩენთ?

პოლიციელი – კაცობას გეფიცებით, ადრე კიოს ოინბაზობა მიკვირდა. ეხლა ჩვენნაირ ფოკუსებს კიოც ვერ გააკეთებს! თან საქმე! *(სანდროს)* ხომ არ გამოუხატავს სურვილი, სამუშაო დაეწყო, თუნდაც, სადმე დარაჯად, და ამითი ოჯახის რესურსებისთვის რამე შეემატებინა?

სანდრო – არა.

პოლიციელი – ფსიქიკურად რამე გადახრები ხომ არ ჰქონდა?

სანდრო – არა.

კოლია – აფსუს! ლომონოსოვი შემირცხვენია, ისეთი გონება ჰქონდა!

პოლიციელი – *(კოლიას)* თქვენ ბატონ დავითს სულ წარსული დროით მოიხსენიებთ!

კოლია – წასულია, ბატონო, და, რომ დაბრუნდება, აწმყოზე გადავალ.

პოლიციელი – კიდევ ერთი შეკითხვა. ეს ბინა ვის სახელზეა გაფორმებული?

სანდრო – ანდერძით, ჩემზე, ამ ხუთიოდე წლის წინათ.

პოლიციელი – კეთილი. ხვალ, დილით, გთხოვთ, ჩემთან მობრძანდეთ ამ მისამართზე. დავით ქართველიშვილის პასპორტი, თუ თან არ წაიღო, და ფოტოსურათი წამოიღეთ. რა თქმა უნდა, ანდერძიც თან იქონიეთ. *(გასვლას აპირებს)*

კოლია – ერთი წუთით, ბატონო ლეიტენანტო, გთხოვთ, ერთი ჭიქა...

პოლიციელი – აკი გითხარით, სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ. *(თენგოს)* კიდევ ერთხელ გილოცავთ, ვაჟიანობას! ნახვამდის.

ბუბა – ერთ წუთს ბოდიში! ერთი შეკითხვაც ხომ შეიძლება?

პოლიციელი – ბრძანეთ.

ბუბა – ვინ შემოიტანა განცხადება ბატონი დავითის დაკარგვის თაობაზე?

პოლიციელი – მოქალაქე გიორგი ქართველიშვილმა.

ბუბა – დავითისა ვინა ვარო?

პოლიციელი – შვილი.

ბუბა – რითი ამტკიცებს?

პოლიციელი – ეს უკვე ბევრი შეკითხვა გამოგივიდათ.

ბუბა – იქნებ აფერისტია?

პოლიციელი – ჩვენ მის განცხადებას უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით. საბუთით ის ნამდვილად გიორგი ქართველიშვილია. პასპორტებში ახლა მამის სახელებს აღარა ვწერთ, მაგრამ ბატონი დავითი გიორგის ძეა. განმცხადებელიც გიორგია. ჩვენში მემკვიდრეს პაპის სახელს რომ ვარქმევთ, ეს გვაფიქრებინებს, რომ განმცხადებელი დავითის შვილია.

ბუბა – მაინც შესამოწმებელია.

პოლიციელი – რა თქმა უნდა! მე, ამ ხნის კაცი, ისევ ლეიტენანტი ვარ, მაგრამ ბევრ მაღალჩინოსანს მოვიტოვებ ცოდნითა და გამოცდილებით. ჰაერზე არავის ვენდობი, ყველა შესაძლო ვარიანტს ვითვალისწინებ. აბა, ხვალ დილამდე! *(გავიდა. მოულოდნელმა ვიზიტმა ყველა გააოგნა)*

ბუბა – ეს პოლიციელი საიდანღა გაგვეჩითა?

სანდრო – დასასრული აღარ უნდა ჰქონდეს ამ ვაგლახს?!

ბუბა – კოლია ძია, ძალიან გთხოვთ, ამ ვიზიტიორებთან თავი შეიკავეთ, რა! ნოტარიუსთან იმდენი იაქტიურე, იმ ქალბატონის გაჩუმება ლამის ახალი მანქანის ფასად დამიჯდა! ამ შერლოკ ჰოლმსთანაც კინაღამ ჩაიჭერი. გაიგე, ალკოჰოლმა ტვინში ჭანჭიკების მოლაღება იცის!

კოლია – ნეტა სადაური ჯღამაძეა? ერთი მაგის დედაც! სანდრო, შვილო, ანდერძი ჯიბეში გვაქვს, რიღასი გვეშინია? თენგო, შენ რაღა დაგემართა?

ბუბა – მოდი, კოლია ძიას ნუ ვაწყენინებთ. მერაბ, შენც ამათგან გადაგედო? ღვინოში ძვრებოდი და აკრძალვა რომ მოგიხსენი, ახლა მარხულობ?

კოლია – მეგობრებო, მაგიდასთან! ჩვენ უპატრონო მკვდარი ვადღეგრძელეთ. უპატრონო ცოცხლებმა რაღა დაგვიშავეს? სანდრო, არ გეწყინოს, შვილო, ერთ რამეს გეტყვი. ერთი გარე ბიძაშვილის შვილი მყავდა, ლევად გაჩენილი, საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობდა. შენსავით მომვლელად დაუდგა ერთ მოხუცს. უარა, უარა და ბოლოს თვითონ არ გაასწრო იმ ბებერს? მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე კარგად დამთავრდა!

სანდრო – მერე, საიდან იცით, რომ ცოცხალი ვარ? ან კი დამთავრდა ყველაფერი?

კოლია – ბუბა, აჩვენე ანდერძი!

ბუბა – სანდრიკას სადღეგრძელო რომ იქნება, საზეიმოდ გადავცემ!

კოლია – მაშ, დავიძრათ ადგილიდან, მეგობრებო! უპატრონო ცოცხლებზე მოგახსენებდით. ისინი უპატრონო მკვდრებზე ცოდონი არიან.

შეიძლება, მშობლებიც გყავდეს, მაგრამ მაინც უპატრონო იყო. უპატრონოდ კი ამ ცხოვრებაში ლელოს ვერ გაიტან! მკვდარს რა უჭირს, მიწის ზემოთ არავინ დატოვებს. მიწის ზემოთ დარჩენილ უპატრონო ცოცხლებს გაუმარჯოთ! *(გარეთ ვიღაცამ ცხვირი დააცემინა)* ა, ბატონო, დამიმოწმა!

ბუბა – მოიცა, ვინ იყო?

კოლია – აქ ისე ისმის მეზობლებიდან...

სანდრო – ეზოში ვიღაცაა! *(ბუბამ კარი გამოაღო)* ისევ ის პოლიციელია!

ბუბა – *(გასძახა)* ბატონო ლეიტენანტო, ერთ წუთს მობრძანდით!

ხმა – არა, სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ.

ბუბა – დალევას არ გთხოვთ, რაღაც ფაქტი უნდა მოგაწოდოთ!

პოლიციელი – *(შემოვიდა)* ფაქტი? ფაქტი ჩვენს საქმეში მთავარია!

ბუბა – იმედია, გვაპატიებთ, პატარა სცენა გავითამაშეთ. აბა, იმ სურათს შეხედეთ?

პოლიციელი – *(შეხედა ხალიჩაზე ჩამოკიდებულ სურათს. მერე კოლიას შეხედა)* ეს თქვენა ხართ!

ბუბა – დიახ, ბატონო, ეს გახლავთ დავით ქართველიშვილი! როგორც ხედავთ, არ დაკარგულა, მეტიც, არსად არ წასულა.

პოლიციელი – აბა, იმ მოქალაქემ რა განცხადება შემოიტანა?

ბუბა – ჩვენ გავაცურეთ. ვიღაც შანტაჟისტია!

პოლიციელი – მაგისთვის პასუხს აგებს.

ბუბა – ჩვენ დაგიმოწმებთ!

პოლიციელი – მაშინ ერთი სათხოვარი მაქვს. თუ შეიძლება... ჩემს უფროსს, თუნდა წერილობით, თუნდა ტელეფონით, დაუმოწმეთ, რომ ეს საქმე მე გავხსენი. ცოტა ალმაცერად მიყურებს, ამ ხნისა ისევ ლეიტენანტი ხარ, ახალგაზრდებს ადგილი დაუთმეო. მოკლედ, ლაფატკაზე მსვამს. კაცო, გუშინდელი გამოჩეკილები პოლკოვნიკები არიან, რა პაგონებით დაიბადნენ?

ბუბა – ეგ ადვილი სამსახურია.

პოლიციელი – *(კოლიას)* თუ შეიძლება, თქვენი პასპორტი. არა, ლაფატკაზე რო მსვამ, ღლაპი!

კოლია – ა, ბატონო, დავით ქართველიშვილი! *(გადაშლილი პასპორტი მისცა)*

პოლიციელი – *(ბუბას)* თქვენიც... თქვენიც... *(სათითაოდ ყველას გამოართვა საბუთები და „პაპკაში“ ჩაიდო)* მეც მაპატიეთ, რომ პატარა სცენა გავითამაშე. გახსოვთ, „ბაში-აჩუკში“ დოდო აბაშიძეს, აუ, რა არტისტი იყო! ტყეში ქალი რომ გამოეცხადება და დოდო პირჯვარს გადაიწერს, გაცოცხლდიო! არა, მე არ მოვმკვდარვარ, ის და იყო ჩემი, ტყუპისცალიო. ხო გახსოვთ?

კოლია – როგორ არა, ლია ელიავა თამაშობს!

პოლიციელი – მართლა როგორა ჰგვანან ერთმანეთს! თუ ხვდებით, რატომ ვოქვი ეს?

კოლია – კინო გყვარებიათ ძალიან!

პოლიციელი – ნამდვილად! მაგრამ სიმართლე უფრო მიყვარს! ეს პატივცემული ადამიანი დავით ქართველიშვილია. ამ სურათზეც ეს ბატონია... ეზოში ვიღა ასაფლავია? *(კოლიას)* თქვენი ტყუპისცალი?

ბუბა – *(პირველი შემთხვევა, რომ დაიბნა)* რა ეზოში? ვინ ასაფლავია?

პოლიციელი – მაგას გამოძიება დაადგენს. დილაზე ყველანი, როგორც ერთი, ამ მისამართზე გამოცხადდებით. არც ერთმა თქვენგანმა არ გაიფიქროს ქალაქიდან გასვლა. მეტიც, ამაღამ აქ დარჩებით. თქვენ სხვადასხვა უბანში ცხოვრობთ და ყველასთვის ცალ-ცალკე უწყებებს ნუ დაგვაწერინებთ... როგორ გაებით, ხო იცით? იქ ბარ-ლაფატკები რო მოგიყუჩებიათ, ზედ ნედლი მიწაა შერჩენილი. ეზო დაბარული არ არის. მხოლოდ ერთგან... *(შენიშნა, რომ ყველამ ერთმანეთს შეთქმულივით გადახედა)* ახლა არ იფიქროთ კვალის მოსპობა, უკვე დაგვიანებულია! *(გავიდა. ბუბამ ღია კარიდან თვალი გააყოლა)*

კოლია – *(ხმა ძლივს ამოიღო)* წავიდა?

ბუბა – *(კარი მიხურა)* ვა! ასეთი პოლიციელი ჯერ არ შემხვედრია! ჩუგუნი მეგონა და აბები აქეთ არ გვაყლაპა, ჯიგარმა?

კოლია – აბა, არტისტი ეგა ყოფილა, აი!

ბუბა – ყურები ნუ ჩამოყარეთ! ყულფში გაყრილი მეგობრის კისერი სუფთად გამომიძვრენია, ჩვენი საქმე იმასთან ბავშვური მიამიტობაა. კაცი არ მოგვიკლავს, ბინის დაკარგვისა შეგვეშინდა და პატარა აფიორა გავითამაშეთ. არ არსებობს მსხვერპლი, არ არსებობს მკვლელი. დაზარალებული კი არსებობს, ჩვენი ძმაკაცი, რომელიც თავისი პატიოსნების გამო ისჯება.

კოლია – გასაგებია, ჩემო ბუბა, მაგრამ ამ ხნის კაცი დაკითხვებზე მატარონ...

ბუბა – დაკითხვებზე კლინტონსა და ბუშს ატარებენ, ჩვენ ვინა ვართ! მთავარია, ამ საქმეს დავაკონსერვებინებ, ვარიანტი არ არის! ბოლოს და ბოლოს, საგურამოს აგარაკს დავაგირავებ და სანდრიკას არ დავაჩაგვრინებ!

კოლია – ეგ ანდერძი, შვილო, გაგვიუქმდა?

ბუბა – ანდერძი ახლა უკანა პლანზეა. თუ გაჭირდა, შეიძლება ახალი ვარიანტი გაკეთდეს. თქვენ ერთი რამე გავიწყდებათ. ძიება რომ წარიმართოს, ყველაზე მეტად ერთი კაცი სულ არაფრისთვის დაზარალდება.

კოლია – ვინა, შვილო?

ბუბა – ის კაცი, რომელიც ჩვენ თვალით არ გვინახავს, რომელმაც დავითის პასპორტში შენი სიფათი ოსტატურად ჩააწება და ბეჭედიც დაუსვა. იმას სხვა საქმესაც გამოუქექავენ! *(თენგო წამოხტა და გაუგებრად რაღაც წაილუღლუღა)* დაჯექი თენგო, ნუ გეშინია, იქამდე საქმეს არ მივაყვანინებ. ჩვენ ერთმანეთთან რაღაც დათმობებზე წავალთ და არც ის შენი მეგობარი, არც ვინმე ჩვენგანი არ გაისვრება. მაშინ ბუბა მოკვდეს!.. ოტიჩ! თამადობას აღარ გააგრძელებ? ხვალ, დილაზე, უკანასკნელ ბრძოლაში გავალ და გამარჯვებული დავბრუნდები! *(წაიმღერა „ინტერნაციონალიდან“)* „ეს არს მედგარი ჩვენი

გადამწყვეტი ბრძოლა, ინტერნაციონალში პოვებს შვებას ყველა“... *(ძალიანაც ცდილობდა, სხვებიც აჰყოლოდნენ, მაგრამ ამაოდ)*

თენგო – *(ტელეფონთან მილასლასდა, ნომერი აკრიფა)* ქეთი, მე ვარ... ახლა რა სიტუაციაა... დამაცადე, საგანგებო სიტუაციაა... მომისმინე, შეიძლება, პოლიციიდან დარეკონ... პოლიციიდან! *(სწრაფად, რომ მოასწროს)* დამაცადე, საშიში არაფერია, ან შეიძლება, მოვიდნენ. თუ მოვიდნენ, შენ ჩემი ცოლი არა ხარ, ცოლის და... რამ გადამრია, ქალო, სრულ ჭკუაზე ვარ! ეტყვი, რომ ჩემი ცოლი სამშობიაროშია. მოკლედ, შეიძლება ვაჟიანობა მოგილოცონ... ვაჟის შეძენა... *(დაბნეული უყურებს ყურმილს, ფრთხილად დადო აპარატზე. უილაჯოდ მივიდა მაგიდასთან. დაჯდა უცებ წამოხტა და იყვირა)* კოლია ძია, *(ჭიქა გაუწოდა)* დარდგაუმტარი ჟილეტი მინდა, ამის დედაც ვატირე! *(პასუხს არ დაელოდა, სულმოუთქმელად დალია)*

სანდრო – *(მოეფერა, როგორც ბავშვს)* დაგცოფა?

თენგო – ვაჟიანობა მომილოცა... შენი ქონების პატრონს მემკვიდრედ ნამდვილად კი სჭირდებოდა ვაჟიო!.. პოლიციის გარდა პარლამენტიც თუ მოგილოცავს, უფრო გამეხარდებაო!

კოლია დადის ოთახიდან ოთახში, თითქოს ნაბიჯებით ზომავს.
ხან ჭერს ახედავს, ხან – კედლებს.
ტელეფონის ზარი. ყურმილი მცირე ყოყმანის შემდეგ აიღო.

კოლია – *(ჯერ მოუსმინა)* ჰო, მე ვარ... არა, არ მოსულა... არ ვიცი... კი ბატონო!.. თუ არაფერი... კაი... *(კიდევ ჭერს ახედა. საიდანღაც გაბრაზებული მამაკაცის ხმა: „ჩტო პრაისხოდიტ? დუსია, პასმატრი, ნა კრიშე კტო-ტო ხოდიტ!“ კოლია გაისუსა. ყურმილი აიღო, ერთი-ორი ციფრი აკრიფა, მერე გადაიფიქრა და ყურმილი დადო. შემოდის ახალგაზრდა, რაღაც ქაღალდები და სიგრძის საზომი რულეტი უკავია)*

ახალგაზრდა – კინაღამ სახურავიდან ჩამოვვარდი, რამხელა იღრიალა! მეზობელია?

კოლია – ყველაფერი აზომე?

ახალგაზრდა – კი ავზომე, მაგრამ...

კოლია – (*შეაწყვეტინა)* მოეშვი-მეთქი, მაგ პროფესიულ ქაჯობას! არ გინდა, რა, ეგ ნისია ბაზარი, ჩლუნგები კი არა ვართ!

ახალგაზრდა – არა, ძია კაცო...

კოლია – *(ისევ არ აცალა)* მაყუთი არის, შენ საქმე მითხარი!

ახალგაზრდა – ზემოთ უარესია. ან აქამდე როგორ არ ჩამოიშალა სახურავი!

კოლია – ეჰ, პატრონი ვინ იყო, შვილო? ან ვის ეცალა? ავადმყოფი მოხუცი, ვინც მაგას უვლიდა, შენი ასაკისა კია, მაგრამ ამ ცხოვრების გაგებაში არ არის.

ახალგაზრდა – არადა, ნამდვილი რელიკვიაა, ისტორიული ძეგლი!

კოლია – ფასადს შევუნარჩუნებთ... მეორე სართულზე რას იტყვი? ხო გითხარი, ზემოთ პატარა ოთახები...

ახალგაზრდა – ინტიმური...

კოლია – ჰო! ღვინისგან შეხურებულს შინ წასვლას რო გადაგაფიქრებინებს და იმ ღამით აქვე დაგტოვებს... მეგობარ ქალთან!

ახალგაზრდა – სანავარდოს გადასახვევთან ავაშენე ასეთი.

კოლაი – *(კმაყოფილებით)* მიქეიფია!.. ვიცი და იმიტომ მოგძებნე! უკეთესი უნდა იყოს! როგორც მოვილაპარაკეთ, ფასადი ძველებური მინდა, ეროვნული, ქართული! ჯერ სახელი ნახე! სხვა კოსმოპოლიტებივით „ბულონის ტყე“ ან „სან-ფრანცისკო“ კი არ დავარქვი... ეს კი არა, მიფიქრია, შემოსასვლელში წარწერა ხომ არ შევაგებოთ... კლიენტებს... „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“...

ახალგაზრდა – *(შეიცხადა)* აჰ, არა! ეგ არა, ძია კაცო!

კოლია – *(ოცნებიდან გამოსვლა გაუჭირდა)* მართალი ხარ! გამოხტებიან ვაი-პატრიოტები და აქციებს მომიწყობენ! არადა, ხომ უნდა გააცნო უცხოელებს შენი ისტორია?

ახალგაზრდა – მართალი ბრძანდებით, მაგრამ ვერ გაგიგებენ.

კოლია – *(გულდაწყვეტით)* მართალი ხარ!.. რუსთაველიდან მუშტრის თვალით შემომიხედავს. იქიდანაც თვალს უნდა გტაცებდეს. მეორე სართულმა ხო სულ უნდა დახატოს!

ახალგაზრდა – აეგ მაეჭვებს. საძირკველი ხომ ერთ სართულზეა გათვლილი, გაუძლებს? აბა, ეს კედელი საყრდენია? *(ხალიჩა რომ ჰკიდია, იმ კედელს მუშტი რამდენიმეჯერ დაჰკრა. უცებ ნაცნობმა ხმამ იგრგვინა: „ჩტო ტაკოე?“)*

კოლია – *(გაუბედავად)* არაფერი, დრუგ... *(ისევ ის ხმა: „რებიონოკ სპიტ, ნე სტუჩიტე ვ მოი სტენი!.. კაკ ბუდტო იზ ჯუნგლი ვიშლი!“ კოლია ისევ გაუბედავად)* გიჟია ოხერი? ამ კედლის აქეთა მხარე ჩემი არ არი?

ახალგაზრდა – ასე რომ ბუინობს, მეორე სართულის ნებას დაგრთავთ?

კოლია – მოვრიგდებით.

ახალგაზრდა – მენანება კია. მთაწმინდის კალთაზე კარგად იჯდა ეს სახლი. მეორე სართული რომ დავადგათ, კოლორიტს დაარღვევს.

კოლია – ეგ ცოდვა ჩემ კისერზე იყოს.

ახალგაზრდა – ან საძირკველი გაუძლებს?

კოლია – კაცო, შენ მაგ საძირკველს ძალიან აწვები! რამდენს გაუძლებს? ოც წელიწადს? ათსა? საკმარისია! მე მეყოფა! თუ არ გინდა, თქვი, ძმაო, მშიერი არქიტექტორი ბევრი დადის!

ახალგაზრდა – რატომ ბრაზობ, ძია კაცო!

კოლია – მე საქმეზე გელაპარაკები, შენ ლექსებს მიკითხავ! რადა დროს პოეზიაა? გენიოსი სიძე მყავს, გაგაცნობ, შენხელაა. ძლივ ჩავაგდეთ ჭკუაში, თორემ შენსავით ცაში დაქროდა. აეხლა, მოსაკლავად მოგდევენ, სიტყვაზე, გაიგე? ალყაში მოგაქციეს. ერთადერთი გზა დაგრჩა, ვიწრო გზა, ათასფერი ყვავილებით მოჩითული, შენ რო

გიყვარს. იტყვი, ყვავილები ცოდოაო? თავს არ უშველი და იმ ყვავილებს არ გადათელავ? დედას არ უტირებ? აიმ ჯეელს კი, ხიდიდან რომ გადახტა, ყვავილები შეეცოდა და ეხლა იმის ოჯახში ტირილია. გამიგე, შვილო?

ახალგაზრდა – ო, იმას ნუღარ გამახსენებ, ბიძაჩემო!

კოლია – ეხლა აქ მოდი! *(მაგიდისკენ ეპატიჟება. ჭიქები შეავსო)*

ახალგაზრდა – არა, რა! არ გინდა, მე წავალ!

კოლია – ჩვენი ადათია, შვილო, ქართველები არა ვართ, ქრისტიანები?

ახალგაზრდა – *(მაგიდასთან მივიდა)* ის სურათი თავიდან არ ამომდის! რაღა იმ დროს გავიარე!

კოლია – რომ არ გაგეკვლო, ხიდიდან აღარ გადახტებოდა? აი, როგორი ეგოისტები გავხდით ადამიანები! ახალგაზრდა დაიღუპა, და ნეტა არ დამენახაო! ჩემ თავზე ვდარდობ, ნეტა ასე არ მყვარებოდაო! იმას კი არა ვფიქრობთ, უფრო მეტად რომ მყვარებოდა, იმ დროს იმის გვერდით რო ვყოფილიყავი, იქნებ ეს ტრაგედია არ დატრიალებულიყოო!

ახალგაზრდა – მართალი ბრძანდებით, ბიძაჩემო.

კოლია – ამას რო გეუბნები, შვილო, მე მაქვს უფლება. იმიტომ კი არა, რო შენზე ათი ჯინსით მეტი გამიცვეთია! შენ მე არ მიცნობ, ყოფილი მსახიობი ვარ. ჯერ კიდევ ინსტიტუტში ჩემზე ამბობდნენ, მეორე როგავაო. შენ ბავშვი ხარ, არც იმას მოსწრებიხარ და არც ჩემი თამაში გინახავს. ოტელო და ჰამლეტი მითამაშია, ტაშით დარბაზი დანგრეულა! ჰოდა, კოლეგას გამოვექომაგე. გულახდილად გეუბნები, ჩემზე არანაკლებ ნიჭიერი იყო. მაგრამ – უპრეტენზიო და ჩუმი. როლებს არ აძლევდნენ, კაცო! არადა, მსახიობი სცენაზე თუ არ შეუშვი, ხეხილს წყალი რო არ დაუსხა, ხო გახმება, ეგრევე მოუვა, გინდა პრემიერ-მინისტრის ხელფასი დაუნიშნე. ამ კაცს რათა სჩაგრავთ-მეთქი! – ვიქუხე, მთავარ რეჟისორს ჩემი როლები სახეში მივაყარე და წამოვედი!

ახალგაზრდა – მერე, გული არ დაგწყდათ?

კოლია – როგორ თუ დამწყდა? გული იქ დავტოვე! მაგრამ საქმე ის არი, მოძმისათვის მსხვერპლი გაიღო. ამაზე დიდი შეღავათი და ბედნიერება არ არსებობს!

ახალგაზრდა – ის მსახიობი, ვისაც გამოექომაგეთ, იქ დარჩა?

კოლია – დარჩა რომელია, ეხლა სახალხო არტისტია! გვარს ნუ მკითხავ, ვერ გაგიმხელ. მაგრამ, ღვთის წინაშე უნდა ვაღიარო, ყოველი პრემიერის შემდეგ ამბობს, ჩემს წარმატებას იმ ადამიანს ვუძღვნიო, – ჩემზე! ამაზე მეტი სიხარული რათ მინდა! ამას რატო გეუბნები, შვილო, ადამიანები ერთმანეთის მიმართ გავცივდით. ერთმანეთისთვის ვეღარ ვიცლით. ქენი, რა, სიკეთე! გაკლდება რამე? პირიქით! აიმ ჯეელს მეგობარი არა ჰყავდა? მის გვერდით ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, ვინც სულს გაუთბობდა, ვინც ცხოვრებაზე ხელჩაქნეულს მოატრიალებდა და სულიერად დაანაყრებდა!

ახალგაზრდა – როგორ გახშირდა თვითმკვლელობა!

კოლია – იქნებ, მკვლელობა?

ახალგაზრდა – არა. ჩემ წინ მიდიოდა. ასე, ოც ნაბიჯზე!

კოლია – განა გეუბნები, იმ დროს ვინმემ ხელი ჰკრა! ვაა, რა ტყუილად მილაპარაკია! დაიხსომე, შვილო, რაც კაცობრიობა გაჩენილა, იმდენს მოუკლავს თავი, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშაო, აკაკიმ რომ ბრძანა, იმისი არ იყოს. ზოგს თავი გაუყვია ყულფში, ზოგს ტყვია დაუხლია შუბლში... ვა, ლექსი არ გამომივიდა? ზოგს საწამლავი დაულევია, ზოგიც იმ ჯეელივით წყალში გადამხტარა. სინამდვილეში, ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაარქმევ თვითმკვლელობას! აბა, რომეომ და ჯულიეტამ თავები რომ დაიხოცეს, თვითმკვლელობა იყო? არა, ჩემო კარგო, მონტეგებმა და კაპულეტებმა მოკლეს! თორემ სიცოცხლე ყველას გვიყვარს!.. მოდი, მოდი, ჩემო მეგობარო, შესანდობარი ვთქვათ იმ ახალგაზრდისა, რომელსაც ამაღამ ტელევიზორში აჩვენებენ და მის საქციელს უპარდონოდ დაარქმევენ თვითმკვლელობას.

ახალგაზრდა – არადა, ალბათ, დილას შვილებს მიეფერა, რაღაცეებს შეჰპირდა...

კოლია – აბა! აბა, არავინ იცის, ბედი რას გვიმზადებს!

ბედი ჭადრაკს თამაშობს, ჩვენ კი ვგავართ პაიკებს,
ტყუილს კი არ გეუბნები, მართალს ვამბობ, გაიგე!
მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი სათამაშოა,
დღე მოვა და აქედან გუდა-ნაბადს აიკრეფ!

სანდრო – *(შემოვიდა)* კარი ვინ გააღო?

კოლია – ღია დამხვდა, შვილო.

სანდრო – ღია? ასე გამოვშტერდი? *(უცხო პირი დაინახა)* გამარჯობა.

ახალგაზრდა – გაგიმარჯოთ.

კოლია – *(სანდროს)* მოდი, შვილო, შემოგვიერთდი. განა ვქეიფობთ, ერთი ჭიქა უნდა დაგველია და შენც შემოგვისწარი. მშრალი ხიდისკენ ხომ არ გამოგივლია?

სანდრო – არა. რატომ უნდა გამომევლო?

კოლია – ეჰ! უბედურება მოხდა, შვილო, ვიღაცა მტკვარში გადახტა!

სანდრო – *(შეშფოთდა)* გადახტა? დაიღუპა?

კოლია – იმისი შესანდობარი უნდა დაგველია. მართალია, არ ვიცნობდით, მაგრამ ადამიანი ხო იყო, ღვთის გაჩენილი.

სანდრო – შენ შეესწარი?

კოლია – რო შევსწრებოდი, ხო ხელს ვტაცებდი!

ახალგაზრდა – მე შევესწარი. ჩემ წინ მიდიოდა, ასე, ოციოდე ნაბიჯზე...

სანდრო – ახალგაზრდა იყო?

ახალგაზრდა – ჩვენი ხნისა იქნებოდა. რას ვიფიქრებდი...

სანდრო – *(შეაწყვეტინა)* როგორ გამოიყურებოდა, ტანთ რა ეცვა?

ახალგაზრდა – *(ჩაფიქრდა)* რა გითხრათ... მაგ დროს... წამებში მოხდა. ახლოს ვიყავი, მაგრამ... *(რადგან სანდრო აღარ უსმენდა, კოლიას მიუბრუნ-*

და). საოცარია, საშველად გადახტნენ, ორი თუ სამი, ისინი უფრო დამამახსოვრდნენ.

სანდრო – *(ერთ ხანს გაოგნებული იდგა. მერე სწრაფად აკრიფა ტელეფონის ნომერი)* თენგო მინდა, ქეთი!.. სანდრო ვარ... კი, აქ იყო ჩემთან... არა, ისე ვიკითხე... წუხელ ბავშვზე დარდობდა ძალიან... როგორ არის?.. ვაიმე, გიჟსა ჰგავდა, რას ბრძანებთ!.. ექიმთან აპირებდა წასვლას... კაი, ბოდიში. *(ყურმილი დადო, თვალები დახუჭა, საშინელი ფიქრები მოაწვა)*

კოლია – *(ჭიქა დადო, მორიდებით თავს წაადგა)* თენგოზე იფიქრე, შვილო? თენგოს ჯვარი სწერია, ან იქ რა უნდოდა, მშრალ ხიდთან?

სანდრო – იმ ახალგაზრდას რა უნდოდა?

კოლია – ვინ ახალგაზრდას?

სანდრო – ვინც გადახტა!

კოლია – მოიცა. წუხელ მე რო წავედი, აქ არ დავტოვე? ეგა და მერაბიც... ეგრე არ იყო?

სანდრო – *(პასუხობს კია, მაგრამ ფიქრით „წუხელ“ არის)* ჰო. თითქმის გათენებამდე ვიყავით.

კოლია – სვამდით?

სანდრო – მე არა. ეგენი დარდგაუმტარ ჟილეტებს ვერ მოვაცილე.

ახალგაზრდა – *(მორიდებით)* მე წავალ, ბიძაჩემო.

კოლია – კაი, შვილო, შენ იცი. *(უცებ)* მოიცა! შესანდობარი არ დაგვილევია! *(მაგიდასთან მივიდა)* ეხლა, ჩვენი სანდრო ვიზეც დარდობს, ამ ოჯახის მეგობარია, ადამიანი – კრისტალი! ვერ ააწყო ცხოვრება. პროფესორი კაცია, ფილოსოფიის დოქტორი!

ახალგაზრდა – მაშინ, ნუ დარდობთ, რამდენადაც თვალი შევასწარი, ის ახალგაზრდა პროფესორს არ ჰგავდა.

კოლია – ახლა, შვილო, პროფესორს ისა ჰგავს, ვისაც ფული აქვს. ნამდვილი პროფესორი შუშის ტარას აბარებს ჯიხურებში. *(სანდროს)* არ გეწყინოს, შვილო! *(ახალგაზრდას)* თავი დავანებოთ ამას. ვინც იყო, ადამიანი ხო იყო? სადღაც, ნიკარაგუაში რო კაცი კვდება, იმაზე მეთუთქება გული და აქ, ჩვენი თანამოძმე... *(სანდრო ტელეფონის ნომერს კრეფს, მაგრამ ყურმილი ისევ დადო)* ღმერთმა ნათელში ამყოფოს! *(დალია)*

ახალგაზრდა – ღმერთმა გაანათლოს! *(სწრაფად დალია)* წავედი. *(გავიდა)*

კოლია – ჰოდა, ჩემო სანდრო...

სანდრო – ვინ იყო?

კოლია – ამ ახალგაზრდაზე მეკითხები? მერაბის ბიძაშვილია. აქ რომ მოვდიოდი, შემხვდა და წამოვიყვანე. მერაბი აქ მეგულებოდა. ჰო, ესე იგი, წუხელ ბიჭები დათვრნენ. რაზე ლაპარაკობდნენ?

სანდრო – გაიგებდი? მეჩვენებოდა, რომ ერთმანეთში რებუსებით ლაპარაკობდნენ, რომ მე არაფერი გამეგო. მაგრამ რებუსები იქით იყოს, მაინც ვერაფერს ვხვდებოდი, ისე იყვნენ გალეწილები!

კოლია – სპორი ხო არ მოსვლიათ?

სანდრო – რა?

კოლია – ხო არაფერზე შეკამათებულან?

სანდრო – პირიქით. ერთმანეთს სულში იძვრენდნენ. მაპატიე, მაპატიეო, ერთმანეთს ეხვეწებოდნენ.

კოლია – რა მაპატიეო?

სანდრო – აბა, რა ვიცი. მეც რომ ამათნაირად გრადუსებში ვყოფილიყავი, შეიძლება გამეგო მათი ენა.

კოლია – შენ არ სვამდი?

სანდრო – არა. მე აქ ვიჯექი. ერთი, ხუთჯერ მაინც დალიეს ჩემი სადღეგრძელო! რაღაცეებს იბოდიალებდნენ, მერე მობანცალდებოდნენ ჩემთან, კარგა დამლოშნიდნენ, გვაპატიეო და...

კოლია – შენც გვაპატიეო?! რა გვაპატიეო?

სანდრო – ხომ გითხარი, კოლია ძია, ფხიზელი ვიყავი და აზრი ვერ გამოვიტანე.

კოლია – ხატის ღვინო ხომ არა სვეს მაგ მატრაბაზებმა! *(გაიცინა, რაღაცა გულზე მოეშვა)* შენ იჯექი და იმათ მაიმუნობას უყურებდი!

სანდრო – ძალიან რომ გამომაშტერეს, დასაძინებლად გავედი.

კოლია – მერე?

სანდრო – რა მერე? რომ ავდექი, ისინი უკვე წასულიყვნენ.

კოლია – სად წავიდოდნენ?

სანდრო – აბა, რა ვიცი. თენგო შინ არ მისულა.

კოლია – კარგი რა!.. ისევ თენგოზე ფიქრობ!

სანდრო – კოლია ძია, მე ეგეთი თენგო არ მინახავს. რაღაც, წერას ატანილს ჰგავდა!

კოლია – იმ პოლიციელის მერე ყველა ვგავდით წერას ატანილს. რა იყო, რა ანგელოზები დაგვიფრთხო. გვეგონა, გოლი გავიტანეთ და პენალტი აქეთ არ დაგვირტყა? ნუ, რაც იყო, იყო! ეხლა, დაჯექი, შვილო *(სანდრო ისედაც იჯდა)* დაჯექი და მომისმინე, კარგად მომისმინე!

სანდრო – თუ ის უბედური თენგო იყო, ნუღარ მიმალავ, კოლია ძია!

კოლია – რა გითხრა, შვილო, იქ არ ვყოფილვარ... მე რაც ვიცი, იმას გეუბნები. დღეს ყველანი, შენ, მერაბი, თენგო, მე ხომ პირველ რიგში, კაპეზეში უნდა ვმსხდარიყავით და ჩემი კნეინა პერედაჩებს ეზიდებოდეს...

სანდრო – და თენგომ წარმოიდგინა ეს ბრწყინვალე პერსპექტივა და...

კოლია – არა, შვილო, დამაცადე...

სანდრო – ახლა სად არის ის საცოდავი?

კოლია – მგონი, ბუბამ იცის, დარეკა, მოვდივარო. მომისმინე, შვილო, სხვა რაღაცას ვამბობ... კაპეზეში უნდა ვისხდეთ-მეთქი! ეხლა, სად მოგვივიდა იაღლიში, ამაზე ფიქრის დრო არ არის. ბუბას ვენაცვალე, მაგისმა მარიფათმა გადაგვარჩინა! ეს არის მთავარი! *(სწრაფად შემოდის ბუბა)* აი, ბუბაც მოვიდა და ეს გვეტყვის ყველაფერს.

სანდრო – ბუბა, მართალია, რაც მოხდა მშრალ ხიდთან? *(ბუბას თქმა უჭირს)*

კოლია – *(შუბლში სილა იტკიცა, აშკარად თეატრალურად გამოუვიდა)* ვაი, რათა ვარ ცოცხალი!

ბუბა – კოლია ძია, ჭირსა შიგან გამაგრებაო, შენგან ისწავლა რუსთაველმა.

კოლია – მაშ, მართალია? *(სანდროს შეხედა, რომელიც წაქცევაზეა)*

სანდრო – შენ ნახე?

ბუბა – იქიდან მოვდივარ *(რამდენიმე წამს სცენაზე არავითარი მოძრაობა. ეს მკვდარი სცენა ვერ გააცოცხლა იმ მოულოდნელობამაც კი, რომელიც წესით უნდა გამოეწვია თენგოს შემოსვლას)*

სანდრო, კოლია – *(ძლივს გამოერკვნენ)* აი, თენგო! *(მერე შეხედეს ბუბას, რომელზეც თენგოს შემოსვლას ეფექტი არ მოუხდენია)*

კოლია – *(ბუბას)* მოიცა, შენ ვიზე ამბობ? მერაბი? დავიღუპეთ, ბუბა?

ბუბა – გამაგრდი, კოლია ძია, ღვთის წყალობით, მთლად არ დავღუპულვართ! ჯერჯერობით მაინც.

კოლია – მითხარი, გადარჩაო!

ბუბა – იქნებ ეგეც გითხრა... მოვიცადოთ... საღამომდე მაინც.

კოლია – ეხლა სად არის?

ბუბა – წაგიყვან, კოლია ძია. აი, გასაღები, მანქანაში დაჯექი. ახლავე მოვალ... მთელი ქალაქის ექიმობა თავზე ადგას.

კოლია – თუ გადარჩა, ეს მერამდენედ გადაარჩენ, შვილო? *(გასაღები გამოართვა)*

ბუბა – ეგ მერე დავთვალოთ. *(კოლია გავიდა)* ახლა ამ მოხუცსაც მიხედვა უნდა.

თენგო – *(შეშინებულივითაც არის, გათიშულიც)* გადარჩება?

ბუბა – მერაბზე ამბობ? ეგრე გადარჩეს შენი მტერი! დრო არ არის, ახლა საქმე! არ დამიწყო, სანდრიკ, რისთვის, რატომაო! ამ ბინის დაკარგვის საფრთხე იყო. უარესი! ციხე გველოდა! ყველა ჩვენგანს! მე კი გამოვძვრებოდი, ჩემ წინააღმდეგ სამხილი არ არსებობდა, მაგრამ მერე თქვენთვის რა პირით შემომეხედა! ასეა თუ ისე, ამ დავიდარაბას წერტილი უნდა დასმოდა... დაწვრილებით საღამოზე გეტყვით. ახლა კოლია ძიას მიხედვა უნდა. მოკლედ, ის ხალხი გავაჩუმე. ბედი ჩვენი, რომ ამქვეყნად ყველა გასვრილია და ყველა თავის იმიჯს უფრთხილდება. აი, ყვავი რომ სკორეზე ზის და ფრთხილობს, კუდი არ დამესვაროსო! მოკლედ, საქმე დაიხურა და ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით. ბოლოს, სანელებელივით, ამ საქმეს ცოტა ფული მოვაყარე და კრებაც მხიარული დამრჩა. ასე რომ, ამაღამ ყველა მშვიდად დავიძინებთ.

თენგო – ანდერძი?

ბუბა – ანდერძი მერაბს ედო ჯიბეში, მაგრამ ის უბედური ანდერძიანად ხიდიდან გადაეშვა.

თენგო – ესე იგი, ანდერძი აღარა გვაქვს?

ბუბა – ამ მომენტისთვის აღარ გვაქვს, მაგრამ დავითი ცოცხალი გვყავს და ანდერძს ხელახლა დაწერს. *(გაიღიმა)* ეზოში კოლია ჯღამაძეა დასაფლავებული. რა თქმა უნდა, დროებით. ახლა წავალ, მანქანაში დავით ქართველიშვილი მელოდება. სასუსნავი დაგრჩათ?

სანდრო – ყველაფერი გვაქვს.

ბუბა – წავედი. აბა, დროებით! *(გავიდა)*

სანდრო – *(პაუზის შემდეგ)* თენგო, გაიგე რამე?

თენგო – მე ის გავიგე, რომ ახლა კოლია ჯღამაძეს უნდა დაუდგე მომვლელად.

სანდრო – დილას სად წახვედი?

თენგო – ნუღარ გამახსენებ! მერაბს გავედევნე. შემეშინდა, ვიაზრე, რომ რაღაცა ჰქონდა გადაწყვეტილი. ვეღარ დავეწიე, გზაში დამეკარგა!

სანდრო – წუხელ, შენც კარგად იყავი, მაგრამ ის მთლად ჭიქაში ძვრებოდა.

თენგო – მიქელ-გაბრიელისთვის თვალებში თამამად რომ ჩაეხედა!

სანდრო – *(გადაეხვია, მოეფერა)* ეს ამბავი რომ გავიგე, შენზე ვიფიქრე.

თენგო – ეგრე მიცნობ, სანდრიკ? ჩემზე როგორ იფიქრე? არ იცი, რომ თენგოს მაგის შნოც არა აქვს?.. მერაბის სიმაღლემდე მე ვერასოდეს ავალ! შენს თენგოს, კაი კაცად რომ მიგაჩნია, წუხელ კაცობის ლექცია წაუკითხა მერაბმა და მძიმე ცოდვისაგან იხსნა!

სანდრო – შენ როდისმე ცოდვა ჩაგიდენია?

თენგო – *(უცებ გამოცოცხლდა, სანდროს ხელი მოჰკიდა და მაგიდისკენ წაიყვანა. ჭიქები შეავსო, ჯიბიდან სანთლები ამოიღო, აანთო, ერთი მისცა დაბნეულ სანდროს)* სანდრიკ, მოჰკიდე ხელი!

სანდრო – კოლიასგან გადაგედო?

თენგო – სანდრიკ! უპატიოსნესს, უკეთილშობილესს, უდიდეს ადამიანს! *(მუხლი მოიყარა)* მუხლმოყრილი ვევედრები ღმერთს, სასუფეველში მიუჩინოს დავით ქართველიშვილის სულს სამუდამო ბინა! *(დალია და ქაღალდი მისცა)* ჯერ დალიე!

სანდრო – ამინ!

თენგო – ახლა წაიკითხე!

სანდრო – *(თავისთვის წაიკითხა)* ანდერძი?!

თენგო – რა სულმოკლენი ვართ დღევანდელი ადამიანები! კაცს ხუთი წლის წინათ დაუწერია ანდერძი, ნოტარიუსშიც დაუმოწმებია, ჩვენ კიდევ, ანდერძის დაწერა ვერ მოასწროო!

სანდრო – შენთან საიდან მოხვდა?

თენგო – ძილისპირულივით ყოველ საღამოს რომ გიმეორებდა, ჩემი შესანდობარი ამ ყანწით დალიეო, ყანწში ჩაუდვია!

სანდრო – მერე, აქამდე სად იყავი?

თენგო – აქ ვიყავი, ჩემო სანდრო, აქ ვიყავი და მერაბთან ერთად ცოდვებს ვინანიებდი! სიღარიბე ტკბილია, სანდრიკ! ერთი სიამოვნებაა ფულის ძებნაში ჯიბეების ქექვა. დილას ამ პროცედურის ჩატარების დროს წავაწყდი ამ ქაღალდს. გეფიცები, აღარც მახსოვდა, ჯიბეში რომ მედო!

სანდრო – *(თავისი სანთელი მისცა)* დამიჭირე! *(მარცხენა ოთახში გავარდა, დავითის სურათი გამოიტანა, კოლიას სურათი ჩამოხსნა და დავითი ძველ ადგილს დაუბრუნა)* ამ ძველებურ ხალიჩას ქართველიშვილის სურათი უხდება! *(მეგობრებმა ერთმანეთს ხელი გადახვიეს და ტახტზე ჩამომსხდრებმა წაიმღერეს)*

ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი,
ძეწნამ ალერსით ამავსო, ეჭვებით ნაავადარი,

საქართველოოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი!

(უეცრად კედელს წიხლსა თუ უროს ვიღაცა ურტყამს, ძლიერად. ხალიჩა და სურათი ჩამოვარდა. მეგობრები შეშინებულნი წამოხტნენ და კედლის ნაწილიც ჩამოინგრა. სანთლებს ხელისგულები მოაფარეს, რომ არ ჩაუქრეთ. ჩამონგრეული კედლიდან ოთახში შემოაბიჯა გაურკვეველი ეროვნებისა და იერის ჯმუხმა მამაკაცმა. ძლიერად გაიზმორა და ერთბაშად იჭექა მუსიკამ, რომელმაც დაფარა თენგოსა და სანდროს სიმღერა. ეს მუსიკა პოპურივით ნარევია უცხო მოტივების, რომელთა შორის ხანდახან რუსულ, სომხურ, თათრულ, ამერიკულ, თითქოს ქართულ ჰანგებსაც ამოიცნობთ... ეს არის გიჟური რიტმი, ენერგიით სავსე, და უცხო მამაკაცმაც დაიწყო ცეკვა. ჩვენი გმირები ამაოდ ეძებენ ოთახში მყუდრო ადგილს, მხოლოდ შეჰყურებენ იმას, რაც სცენაზე ხდება. გამონგრეული კედლიდან რიგრიგობით შემოვარდებიან ნოტარიუსი, პოლიციელი, კოლია და ჩაებმებიან ამ უცნაურ როკვაში. ბოლოს შემოვარდება ბუბა, რომელსაც მოცეკვავენი ისეთი ჟრიამულითა და აღტაცებით ხვდებიან, როგორიც ოდესღაც კომპარტიის გენმდივანს ტრიბუნაზე ასვლისას რგებია ყრილობის დელეგატებისგან.

როკვა გრძელდება. ჩვენი გმირები დგებიან ავანსცენაზე, ხელისგულებით კვლავ იფარავენ ჩაქრობისგან სანთლების მოფარფატე ალს და ამაოდ ცდილობენ, თავიანთი სიმღერით გადაფარონ ის საოცარი მუსიკა. ისინი, თითქოს მუდარით შესცქერიან მაყურებელს, იქნებ აჰყვნენ სიმღერაში):

აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“
და თუნდაც გადმოსულიყო მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა, სით გაუშვებდა ლელაი?
სხვა საქართველო ვინ ნახა, სხვა საქართველო სად არი.

დამნაშავედ
არ
დავბადებულვარ!

დრამა 3 მოქმედებად

მოქმედი პირები

ელიოზი – უფროსი აღმზრდელი
მამუკა
ნუგზარი
გურამი
ბახვა
კურკა } არასრულწლოვანი
„დოცენტი“ მსჯავრდებულნი, კოლონიის
ალეკო აღსაზრდელები
გაიოზი
ჭინკა
ზებრა
ბებია მამუკასი
ქალი
ანზორი – აღმზრდელი
მეგი
თაფლო

პირველი მოქმედება

ვიდრე სცენა განათდებოდეს

- დადექ! –ყვირის ვიღაცა.
- დადექ! იმეორებს სხვა, და როგორც ექო, გრძელდება სხვადასხვა ხმაზე, სხვადასხვა სიძლიერით:
- დადექ! დადექ!
ერთბაშად ნათდება სცენა. სცენის სიღრმიდან მოდიან მძიმე ნაბიჯებით, როგორც მძიმეტვირთიანი მუშები, მოდიან მაყურებლებისაკენ და ავანსცენაზე მწკრივდებიან:

მამუკა, გურამი, ბახვა, კურკა, ალეკო.

მამუკა – სამი წელი მესმოდა ეს ხმა, ყოველდღე, ყოველ საათს, დილას, საღამოს. „ზაალიშვილი, დადექ!“ - ყოველდღე, სამი წლის განმავლობაში!.. ეს იცით, რამდენი დღეა? სამჯერ სამასსამოცდახუთი!

გურამი – „ლომთაძე, დადექ!“ - ეს ხმა ხუთი წლის განმავლობაში მესმოდა. ხუთჯერ სამასსამოცდახუთი!

ბახვა – „დადექ! დადექ!“ - ორი წლის განმავლობაში მიწიოდნენ ყურები!

კურკა – „გუთნიაშვილი, დადექ!“

ალეკო – და ჩვენც ვდგებოდით. ვდგებოდით სადილის წინ, ვდგებოდით დაწოლის წინ, ვდგებოდით სამუშაოზე წასვლის წინ.

მამუკა – *(გურამს)* რამდენი წლისა ხარ?

გურამი – ოცდაორის.

მამუკა – არა! ჩვიდმეტის. ის ხუთი წელი უნდა გამოაკლო. ხუთი წელი შენ არ გიცხოვრია. მე სამი წელი არ მიცხოვრია. ვცოცხლობდი და არ მიცხოვრია. ყველაზე ბედნიერი წლები არ მიცხოვრია. შენ ჩვიდმეტი წლისა ხარ, მაგრამ ვეღარასოდეს ვეღარ იქნები თვრამეტი წლისა. შენ სიცოცხლეს გააგრძელებ ოცდასამი წლიდან. ჩვენ ქურდები ვართ და გავქურდეთ ჩვენი სიცოცხლე!..

გურამი – *(მამუკას უთითებს მაყურებლისაკენ)* ხომ შეიძლებოდა, ჩვენც ასეთი ბედნიერები ვყოფილიყავით?

მამუკა – *(მაყურებელს)* ჩვენ ვიყავით ერთ დროს თქვენნაირები. ჩვენ დამნაშავეებად არ დავბადებულვართ. მერე ავიცრუე გული ყველაფერზე. თქვენს თვალწინ ვიცვლებოდი და მიზეზი არ გიკითხავთ. ციცაბოზე ვეშვებოდი და ხელი არ შეგიშველებიათ. რად იყავით ჩემი ბედის მიმართ ასე გულგრილები? თამაზ! იქნებ შენც აქა ხარ? გრცხვენია და მემალები? თუ ასეა, გამოდი და მე გაპატიებ. გაპატიებ, ოღონდ ამათ უთხარი, რომ ჩვენს გვერდში მყოფთა მიმართ გულგრილები ნუ ვიქნებით... *(მაყურებელს)* თუ შენს გვერდით ადამიანი დაიღუპა, დანაშაულის სიმძიმე შენც გაწევს! გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, თორემ დავკარგავთ იმას, რისი დაბრუნებაც აღარ შეიძლება!

მეგი – თამაზი აქ არ არის. *(ეს ხმა მოულოდნელი იყო სცენაზე მყოფთათვის).*

მამუკა – მეგი! *(მიტრიალება ვერ გაბედა მისკენ. მეგი სცენის სიღრმეში დგას).*

მეგი – დამნაშავე მეცა ვარ, მამუკა!

მამუკა – *(კვლავ მაყურებელს)* ჩვენ, ვინც აქ ვდგავართ, თქვენნაირები ვიყავით, მაგრამ დამნაშავის სკამზე აღმოვჩნდით და გაგვასამართლეს.

ელიოზი – რატომ აღმოჩნდით? *(შემოდის. ყველა მისკენ მიტრიალდა).*

ხმები – ძია ელიოზი!

ელიოზი – რატომ აღმოჩნდით, გეკითხებით! მე ვიყავი თქვენი სულიერი ტანჯვის მოწმე, მეც თქვენთან ერთად ვიტანჯებოდი. იმიტომ, რომ თქვენს ასაკში ადამიანს შეუძლია, ხალხს უზომო ბედნიერება მოუტანოს და თვითონაც იყოს ბედნიერი. თქვენ კი ვერც ერთი მოასწარით და ვერც მეორე. ვერ მოასწარით იმიტომ, რომ სიჭაბუკე არ მეორდება.

მამუკა – ეს გვიან გავიგეთ.

გურამი – ძალიან გვიან.

კურკა – როდესაც აღარაფრის დაბრუნება აღარ შეიძლებოდა.

ელიოზი – თქვენ ეს გაიგეთ ძალიან მძიმე მსხვერპლის შედეგად.

მამუკა – ნუგზარი!

ელიოზი – დიახ, ნუგზარი!

მამუკა – *(მაყურებელს)* ჩვენ, ყველანი, და შესაძლოა, ვინც აქა სხედან, დამნაშავე ვართ მის წინაშე.

ელიოზი – დანაშაული უკვალოდ და უმტკივნეულოდ არა ქრება. მას თავისი მსხვერპლი მოაქვს.

ნუგზარი – *(დინჯი ნაბიჯით მოდის სცენის სიღრმიდან და მათ შორიახლო ჩერდება. მას მხოლოდ მაყურებელი ხედავს)* მე მაინც მოვედი. ბევრი სათქმელი დამრჩა. მეც თქვენსავით ჩვიდმეტი წლისა ვარ, ვეღარც მე გავხდები თვრამეტისა, ცხრამეტი წლისა. მაგრამ ვეღარც ოცდასამი წლიდან გავაგრძელებ სოცოცხლეს. თქვენ მოხუცდებით და თქვენხელა შვილიშვილები გეყოლებათ. მე ისევ ჩვიდმეტი წლისა ვიქნები!

მამუკა – დამნაშავე ვართ შენს წინაშე, ნუგზარ!

ელიოზი – განა მარტო თქვენ? აბა, გაიხსენეთ, პირველად როგორ მოხვედით კოლონიაში. აბა, გაიხსენეთ პირველი დღე!

კოლონია. ანზორს შემოჰყავს მამუკა და ნუგზარი.
მაგიდასთან ზის ელიოზი.

ელიოზი – რა უნდა თქვათ, ოთახში რომ შედიხართ?

ნუგზარი – *(თითქოს ვერ გაიგო. მამუკას)* აქ კარგი ჰაერია. მანქანაში დამცხა.

ელიოზი – რა უნდა თქვათ-მეთქი, ოთახში რომ შედიხართ?

ნუგზარი – *(გულუბრყვილო გაოცებით)* ჩვენ გვიყვირით?

ელიოზი – თქვენ მოგმართავთ.

ნუგზარი – *(სრულიად დინჯად)* მერე, ყვირილი როგორ შეიძლება? აქ ხომ მცირეწლოვან პატიმრებს ზრდით და ასწორებთ?

ელიოზი – სახლში რომ შედიოდი, სალამს გარეთ ტოვებდი?

ნუგზარი – ჩემს სახლში მისასალმებელი არავინ მყავდა, სხვის სახლებში კი მისალმების გარეშეც იოლად გავდიოდი.

ელიოზი – ბოლოს კი სალამი ცოტა ხმამაღლა წამოგცდენია.

ნუგზარი – *(ერთბაშად ტონი შეიცვალა. კატეგორიულად)* აი, რა, მოქალაქე უფროსო...

ელიოზი – აქ ციხე არ არის, მიწოდეთ ძია ელიოზი.

ნუგზარი – აი, რა, მოქალაქე კაპიტანო, ახლავე გამოუძახეთ მანქანას და აქედან გაგვიყვანეთ. ჩვენ აქ დარჩენა არ გვსურს!

ელიოზი – თქვენ აქ დარჩებით!

ნუგზარი – გავიქცევით.

ელიოზი – ეგ უკვე თქვენი სიმარდის საქმეა.

ნუგზარი – მე ძველი მფრინავი ვარ და თქვენისთანა მგზავრი ბევრი მიტარებია.

ელიოზი – შენისთანა მფრინავი ბევრი მინახავს, მაგრამ შენ არ შეგხვედრია ჩემისთანა მგზავრი *(საქმეები გადაათვალიერა. მამუკას)* რა გვარი ხარ?

ნუგზარი – მანდ გიწერიათ!

ანზორი – ეს ვინ ყოფილა! ბიჭო, ვის ელაპარაკები, არ იცი?

ნუგზარი – *(ანზორს, მოჩვენებითი ინტერესით)* აჰ! ეგ კი ვიცი, მაგრამ ახლა ვინ მელაპარაკება, ეს რომ აღარ ვიცი.

ელიოზი – აღმზრდელი. უმცროსი ლეიტენანტი ანზორ წერეთელი.

ნუგზარი – წერეთელი? ეს გვარი სადღაც გამიგია.

ელიოზი – სასიამოვნოა. *(მამუკას)* მაშ, რა გვარი ხარ?

მამუკა – *(ძლივს გასაგონად)* ზაალიშვილი მამუკა.

ნუგზარი – *(გაღიზიანებული)* გიორგის ძე, დაბადებული ათასცხრაას ორმოც წელს. ზის ქურდობაზე, სამი წლით... საკმარისია?

ელიოზი – *(მშვიდად)* სავსებით საკმარისია პასუხიცა და... სასჯელიც, რომ ცოტა რამ ისწავლოთ. შენ რაღას იტყვი, მამუკა, არც შენ გინდა ჩვენთან დარჩენა*? (მამუკა დუმს).*

ნუგზარი – ცუდ ადგილზე ისვრი ანკესს!

ელიოზი – „ისვრი“ კი არ უნდა თქვა, - „ისვრით“, უფროსს ასე მიმართავენ.

ნუგზარი – ბოდიში, სკოლაში არ მივლია.

ელიოზი – ამას სკოლა რად უნდა? ბავშვი ზრდილობას დედის სახელთან ერთად სწავლობს.

ნუგზარი – *(ხელი ასწია)* ფრთხილად, უფროსო, დედას ცუდად ნუ მიხსენებ!

ელიოზი – *(კონფლიქტს თავი აარიდა)* მამუკა, შენ გეკითხები, არც შენ გინდა ჩვენთან დარჩენა?

მამუკა – არ მინდა.

ელიოზი – შემომხედე!

ნუგზარი – *(გულზე მოეშვა)* ამ კაცმა გასაგებად თქვა, არ უნდა კოლონიაში ყოფნა!

ელიოზი – *(საქმეებს ათვალიერებს)* მამა არა გყავს?

მამუკა – არა.

ელიოზი – *(საქმეში რაღაცამ დააინტერესა)* გაგზარდა...

მამუკა – *(სიტყვა გამოსტაცა)* დედამ გამზარდა!

ელიოზი – *(პაუზის შემდეგ)* სწავლობდი მეათე კლასში. საწყენია... ახლა შენი ამბავიც ვიკითხოთ. *(მეორე საქაღალდე გადაათვალიერა)* ქვარიანი. ნუგზარ ქვარიანი. რა განათლება გაქვს?

ნუგზარი – ზაქათალას უნივერსიტეტში ვსწავლობდი. შვიდი წლის მასალა სამ წელიწადში გავიარე, ზუსტად ისე, როგორც ლომონოსოვმა. ამინისტიის გამო უნივერსიტეტი დაიხურა.

ელიოზი – მამუკა, ჩვენ საშუალო სკოლა გვაქვს. იქნებ წელი არ გაგიცდეს?

ნუგზარი – მამუკა, საყელო აიწი, ორპირი ქარი უბერავს. *(ელიოზს)* ჩვენ მაინც ვერ გავიგეთ, აქედან როდის გაგვიყვანთ?

ელიოზი – ახლა წარმოებისაკენ გავიაროთ, საამქროები დავათვალიეროთ. ჩვენი საუბარი კი საღამოსათვის გადავდოთ.

ნუგზარი – *(თანდათან ღიზიანდება)* ჩვენ ჩარხების ხმაურს ვერ ვიტანთ!

ელიოზი – *(უფრო მშვიდად)* იქ გაიცნობთ თქვენს მომავალ ამხანაგებს.

ნუგზარი – ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

ელიოზი – *(ანზორს)* მამუკა გააცანი ბიჭებს. *(ანზორი და მამუკა გადიან).*

მამუკა – **მე მაშინ უკან დაბრუნება მინდოდა. მინდოდა მეთქვა ნუგზარისათვის, რომ ის თამაშობდა ვაჟკაცობას. არა, ის ნამდვილად ვაჟკაცი იყო, მაგრამ ის საქციელი არ იყო ვაჟკაცობა. ნუგზარი ცხოვრებას შავი სათვალით უყურებდა, ამიტომ ყველაფერი ჩრდილად ეჩვენებოდა. მას ჰქონდა დაუოკებელი ენერგია და ამ ენერგიას ფაქტიურად ფლანგავდა მოჩვენებით ჩრდილთან ჭიდილში. ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ვერ მოვახსნევინე შავი სათვალე... და მე მაშინ უკან დაბრუნება გადავწყვიტე. გადავწყვიტე, რომ მეთქვა, ერთხელ მაინც საღი თვალით შეეხედა სინამდვილისათვის. შევიდოდი კიდეც, რომ...**

გაიოზი – *(ყვირის)* დადექ!

ბიჭები – *(შემორბიან ყვირილით)* დადექ! დადექ! *(მწკრივად ეწყობიან).*

გაიოზი – *(მამუკას, უხეშად)* დადექ! სმენა! *(ჭინკა მის გვერდით თანაშემწესავით იდგა. გაიოზმა ანიშნა, რომ ისიც მწკრივში ჩამდგარიყო. მამუკას)* მეორე სად არის?

მამუკა – აღმზრდელთან.

გაიოზი – გვარი!

მამუკა – ზაალიშვილი.

გაიოზი – რომელ კლასში სწავლობდი?

მამუკა – მეათეში.

გაიოზი – ჩემს ათეულში იქნები... რა გვარი ხარ?

კურკა – ზაალიშვილი.

გაიოზი – შენ არ გეკითხებიან!.. ჰოდა, ზაალიშვილო, ხედავ, რა წესრიგია? ჩემი ათეული პირველი უნდა იყოს მთელ კოლონიაში. ის დრო წავიდა, ქვეყანას რომ ანგრევდი.

მამუკა – მე ქვეყანას არ ვანგრევდი.

გაიოზი – თვალებზე გეტყობა! ახლა არა მცალია, საღამოზე ყველაფერს აგიხსნი! სმენა! თავისუფლად!

ელიოზი – *(შემოჰყავს ნუგზარი)* წამოდი! *(ნუგზარი გაოცებული შედგა).*

დოცენტი – *(მას ხშირად უკავია წიგნი. ახლაც გადაშალა და „კითხვა განაგრძო“)* გახარებულმა მუნჯმა ბაჩუამ ტარიელის დანახვაზე შესძახა: „სიცოცხლე ხალხს“ და გულში იმედის სხივი ჩაუდგა.

გაიოზი – დოცენტო! წიგნი იქ იკითხე, სადაც საჭირო!

დოცენტი – შენზე ჭკვიან კაცს უთქვამს, „წიგნი ცოდნის წყაროა“, და მე ამ წყაროს, სადაც მინდა იქ დავლევ.

ელიოზი – *(ნუგზარს)* წამოდი!

ნუგზარი – *(მამუკაზე)* ეს კაციც ჩემთან წამოიყვანე!

ელიოზი – ამან თავისი საქმის თვითონ იცის. მამუკა, შენი ამხანაგი დაჟინებით მოითხოვს ან იზოლატორს, ან კოლონიიდან გაყვანას. შენ რას იტყვი, ამასთან ყოფნა გსურს?

გაიოზი – ძია ელიოზ, მამუკა ჩემს ათეულში იყოს.

ნუგზარი – ხმა, შე... მათხოვარო!

ელიოზი – წამომყევი!

ნუგზარი – სად მიგყავარ?

ელიოზი – გავიაროთ, აქაურობა დავათვალიეროთ.

ნუგზარი – *(ყვირილით)* გამიყვანეთ აქედან!
ელიოზი – *(მშვიდად)* მანქანა ზეგამდე არ იქნება. უნდა მოიცადო.
ნუგზარი – კარცერში მოვიცდი!
ელიოზი – არაფერი დაგიშავებია და იზოლატორში ვერ ჩაგსვამ.
ნუგზარი – მაშ დავაშავებ! *(მოულოდნელად ზებრას გაარტყა. ბიჭები შეჩოჩქოლდნენ).*
ელიოზი – *(უცებ მიიღო მშვიდი სახე. გაიღიმა)* ყოჩაღ! მაგაზე ნამდვილად ახია! შენ ატყობ, ვინ არის წესრიგის დამრღვევი? აბა, ჩემი დახმარებისთვის იზოლატორში როგორ ჩაგსვა?
ნუგზარი – *(ბოროტად გაიღიმა)* კარგი, ვრჩები ზონაში... მაგრამ არ ინანოთ!

ანზორს ბიჭები შეუგროვებია.
აქ არ არიან მამუკა და ნუგზარი.

ანზორი – ფრთხილად უნდა ვიყოთ, გაიოზ. ორი ისეთი პიროვნება მოგვივიდა!.. მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს მათი არცერთი ნაბიჯი.
ჭინკა – მოვუვლით, ძია ანზორ.
გაიოზი – აქ, ვატყობ, ზოგს გაეხარდა მათი მოსვლა!
ანზორი – აბა, დოცენტო, სიტყვა შენზეა!
დოცენტი – *(გაიოცა)* ესე იგი, თქვენ გვასწავლით, რომ ახლებს შევხვდეთ მტრულად, ცემა-ტყეპით!
ანზორი – ცემას შენგან არავინ მოითხოვს. მაგრამ „ტარიელ გოლუას“ კითხვა არ იყო საჭირო!
დოცენტი – *(უფრო გაოცდა)* ესე იგი, თქვენ მირჩევთ, რომ წიგნი არ ვიკითხო! ეს რა აღმზრდელობითი მეთოდია?
ანზორი – კაცო, იცი რას გეტყვი? „ტარიელ გოლუა“ ჩვენც წაგვიკითხავს, სად გაგონილა, მუნჯმა ილაპარაკოს?
დოცენტი – რატომ, ხანდახან მუნჯებიც ალაპარაკდებიან.
ანზორი – შენ ხომ არ გგონია, კოლონიაში იმათი მოსვლა ამინდს შეცვლის?
დოცენტი – პატივცემულო აღმზრდელო, რაც აქ მომიყვანეს, ამინდს აღარ ვაკვირდები.
ელიოზი – *(შემოვიდა)* განაგრძეთ, განაგრძეთ.
ანზორი – *(დოცენტს)* გაფრთხილებ, სკოლაში მიღებული ხუთიანები ვერ გიშველის. ვიცით, რითიც სუნთქავ!
დოცენტი – დამიჯერეთ, პატივცემულო აღმზრდელო, აქამდე მეგონა, რომ ფილტვებით ვსუნთქავდი. თუ ახლა საეჭვო რამ შემნიშნეთ, ექიმს ვეჩვენები.
ანზორი – *(ელიოზს)* რა უნდა ველაპარაკო ახლა? *(დოცენტს)* ჭკუაზე მოდი! რამდენი წელია ზიხარ? არც ერთ კომისიაზე არ გაგიყვან, ბოლომდე დაგტოვებ! არტისტობა კარგი იცი, თავს მამა აბრამის ბატკნად ასაღებ!
ელიოზი – რა მოხდა?
ანზორი – ბიჭებს ჰკითხეთ.
გაიოზი – თქვენც ხომ აქ იყავით, ამან წიგნის კითხვით რომ ჩაუარა ნუგზარ ქვარიანს?
ელიოზი – თქვენ ცდებით. თქვენი ამხანაგი ნამდვილად წიგნს კითხულობდა და არავითარი მისალმება და გადალაპარაკება არ ყოფილა. ნეტავ ყველას ასე გიყვარდეთ წიგნი!.. მე მხოლოდ ამას გთხოვთ, ახლებს სათუთად მოეპყარით, ურიგო ბიჭები არ ჩანან... რომელი საათია?

საღამოს ამოკითხვამდე ოცი წუთი დარჩა. მშვენიერი საღამოა, გაისეირნეთ. *(ბიჭები გავიდნენ)* რას იტყვი, ანზორ?

ანზორი – რა უნდა ვთქვა? მე მეგონა, თქვენ გრძნობდით, რომ ამ ორის მოსვლამ მდგომარეობა დაძაბა.

ელიოზი – და ვინ გითხრა, რომ არ ვგრძნობ?

ანზორი – დოცენტი გაამართლეთ!

ელიოზი – შენი შეშფოთება საფუძვლიანია. გარეთ ერთმანეთს სცნობდნენ ნუგზარი და ჩვენი დოცენტი. ახლა მათი ერთად ყოფნა სახიფათოა. მით უმეტეს, რომ დოცენტი ეშმაკი და შენიღბულია.

ალეკო – *(შემოვიდა)* შეიძლება?

ელიოზი – რაო, ალეკო?

ალეკო – ერთი ლექსი კიდევ დავწერე. დავიწყო?

ელიოზი – დაიწყე.

ალეკო – *(რიხით)*

ოკეანეს გაღმელებო,
ატომს ხელი გაუშვით,
რკინის ფარდას ნუ გვაფარებთ,
ეხლავე ძირს დაუშვით!
ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეთ,
თქვენი გზები მოლიპულა,
თორემ ატომი კი არა,
ვერ გიშველით მოლეკულა! *(პაუზა)*

ეს, ქიმიას რომ ვამზადებდი, მაშინ მომივიდა თავში.

ელიოზი – მასწავლებელს აჩვენე?

ალეკო – მოეწონა. ერთგან დამიწუნა რითმა. მინდა, რომელიმე გაზეთში გავგზავნო. ეს კოლონიის სახელიც იქნება.

ელიოზი – ამ ომის გამჩაღებლებს მოეშვი, უშენოდაც მოუვლიან. დედაზე დაწერე, შინ რომ გელოდება, ამხანაგებზე დაწერე.

ალეკო – დედაზე ლექსს ამაღამვე დავწერ!

ელიოზი – აი, იმ ლექსს კი ნამდვილად გამოვაქვეყნებთ ჩვენს კედლის გაზეთში. *(ალეკო გავიდა)* მაშ შენ რას მირჩევ, ანზორ?

ანზორი – წყლის ნაყვას ნუღარ მოვყვებით, ავუკრათ გუდანაბადი და აქედან გავგზავნოთ.

ელიოზი – მერე, ხომ სამუდამოდ დაიღუპებიან?

ანზორი – ხელი რომ გადაარჩინონ, განუკურნავ თითს სჭრიან!

ელიოზი – მაგას უხეირო დასტაქრები სჩადიან. იქნებ ეს თითიც გადავარჩინოთ? მოკვეთა იოლია. მკურნალობას კი დიდი გული და მოთმინება სჭირდება. სწორედ ეს აკლია ჩვენს ზოგიერთ ექიმს.

ანზორი – მედიცინაზე არ გეკამათებით.

ელიოზი – ჩვენს საქმეს მედიცინასთან ბევრი საერთო აქვს. ექიმს უფლება არ აქვს, შეცდეს. თუ შეცდა, ადამიანი დაიღუპება. აღმზრდელის შეცდომაც ასევე საბედისწეროა.

კოლონიის ერთი კუთხე. მამუკა და ნუგზარი.

მამუკა – ეგ ფიქრი თავიდან მოიშორე.

ნუგზარი – მე შემიძლია, კოლონია ახლავე ფეხზე დავაყენო.

მამუკა – შენ არაფერს მიჯერებ.

ნუგზარი – რა დაგიჯერო? რომ მითხრა, ახლა ზამთარია და ორმოცი გრადუსი ყინვა, დაგიჯერებ. მაგრამ ანზორს ჩვენი სიკეთე უნდაო, ამას ნუ მეტყვი, ვერ დაგიჯერებ.

მამუკა – ძია ელიოზი?
ნუგზარი – ყველა ერთნაირია, მამუკა!
მამუკა – როგორ დაგაჯერო? როგორ გველაპარაკა, მამაშვილურად...
ნუგზარი – გაჩერდი, თუ ძმა ხარ! მამაშვილურად! ვინ არის შენთვის ელიოზი, ვისგან რას უნდა მოელოდე, როცა... საკუთარმა მამამ... გამწირა! *(მძიმე პაუზა)* იცი, რას გეტყვი? უნდა გავიქცე!
მამუკა – მიდი, გაიქეცი!
ნუგზარი – ვერა?
მამუკა – შეხედე, რამსიმაღლე გალავანია. ოთხივ კუთხივ გვითვალთვალებენ.
ნუგზარი – აი, სწორედ ეგ არის საქმე! გინდა, იმ დარაჯს ცხვირწინ გავექცე? სადაც მაღალი გალავანია, იქ გადავხტები. აქვე მტკვარი ჩადის, მტკვარში ვერ მოგვყვებიან.
მამუკა – გვესვრიან.
ნუგზარი – მესროლონ!
მამუკა – სულელი ხარ! რისთვის უნდა დავიღუპოთ?
ნუგზარი – არ ვიცი. აქ ვერ გავჩერდები.
მამუკა – უნდა მოვითმინოთ.
ნუგზარი – ყური მიგდე. რომ გავიქცე, მომყვები, თუ არა?
მამუკა – *(გაუჭირდა)* არა.
ნუგზარი – გიმეორებ. მომყვები, თუ არა?
მამუკა – არა. *(პაუზა)*
ნუგზარი – შენ რომ გადაგეწყვიტა გაქცევა, მე უსათუოდ მოგყვებოდი.
მამუკა – მჯერა. და ცუდად მოიქცეოდი.
ნუგზარი – მაინც მოგყვებოდი. *(გავიდა. შემორბის კურკა. ბახვა და გურამი მოსდევენ).*
კურკა – არ გაჩვენებთ, ყველას გეფიცებით, არ გაჩვენებთ! *(უბეში რაღაცას მალავს)* სპეციალურად ჩემთვის დაწერა ალეკომ.
ბახვა – წაგვაკითხე, რა მოხდება?
კურკა – არ შეიძლება, ბიჭო! მერე ჩემი ქეთო ამ ლექსს უგულოდ წაიკითხავს. ისეთი რამეები წერია, სულ მდუღარე ცრემლებით იტირებს! *(შენიშნეს მამუკა).*
გურამი – სადაური ხარ?
მამუკა – თბილისელი.
გურამი – რამდენი გაქვს?
მამუკა – სამი წელი.
ბახვა – ოთხმოცდამეთერთმეტე?
მამუკა – ასორმოცდამეათე.
გურამი – მე გურამი ვარ. ეს ბახვა. ეს კურკა.
კურკა – ამინისტიაზე არაფერი ისმის? *(მამუკა არ პასუხობს)*
გურამი – მეორე სად არის?
კურკა – კაცო, ჩვენ რას გვებუტები?
ბახვა – ეს ჩემსავით უენო ყოფილა!
მამუკა – ბევრი დაგრჩა?
ბახვა – ხუთი თვე და შვიდი დღე.
მამუკა – მე კი ორი წელი და სამასსამოცდაოთხი დღე.
გურამი – შეიძლება ადრეც გახვიდე. აი, კურკა, საცაა, წავა.
კურკა – ჰო, თვის ბოლოს გარეთ ვიქნები, მესამედზე მიშვებენ.
მამუკა – ჩემთვის სულერთია. თუნდა სიცოცხლე აქ გავატარო, სულერთია.
გურამი – პირველად მეც ეგრე ვფიქრობდი. ახლა სულ სახლი მელანდება, ამხანაგები.
მამუკა – რაზე ზიხარ?

გურამი – ავარია მომიხდა.
კურკა – *(ბახვაზე)* აბა, ამას ჰკითხე, რაზე ზის?
ბახვა – ასეთ საქმეზე ჯორდანო ბრუნო დაწვეს!
მამუკა – *(ცოტათი გახალისდა)* შენ რა აღმოაჩინე?
ბახვა – მე აღმოვაჩინე, რომ ყველა არ არის კარგი კაცი. ჰოდა, იმ კაცს ჯიბეში ჩავუდე, ხომ არ ამოვაცალე, ჩავუდე პატარა შეხვეული, ავტობუსში. მერე აფეთქდა და იმ კაცს გვერდი გამოუწვა.
კურკა – ამის პროკურორს უთქვამს, რომ გაიზრდება, დედამიწას ააფეთქებსო და ორი წლით გამოუშვეს ტვინის სანატორიუმში.
მამუკა – რა ჩაუდო?
კურკა – რა ვიცი, რაღაც ქიმიური ნარევი თუ ნაერთი. თვითონ გამოიგონა. რო დააცადო, წყალბადისა კი არა, ჟანგბადის ბომბს გამოიგონებს. ტყუილად კი არ დავარქვი ნიუტონი!
მამუკა – ვის ჩაუდო?
კურკა – ერთი გოგო ყვარებია. მამამისი მილიციით ემუქრებოდა. იმას ჩაუდო. *(ვიღაცა მღერის. ბიჭები გაყუჩდნენ)*

„ხვალ დილით მზე ისევ ყველასთვის ინათებს,
ჩემს საკანს ჩაუვლის მწყრალად.
მე დღესაც რამდენჯერ, რამდენჯერ ვინატრე,
შენ მაინც არ მოხველ, არა!
ჩიტი ვარ პატარა, რა ჩემი ბრალია,
რომ გავჩნდი ასეთი უმწეო?
ფრენა არ მაცალეს, დამიდგეს გალია,
გალია ცივი და უმზეო...“ *(ყველა თავის ფიქრს მიეცა)*

კურკა – ეჰ, ქეთო, ქეთო! შენ დაიწვი ჩემი ცოდვითა! ამ სიმღერაზე მუდამ შენ მაგონდები. კი არ გეწყინოს, ყოველთვის გიგონებ, მაგრამ ამ სიმღერაზე თვალწინ დამიდგები ხოლმე. შენ ახლა მზეს შეჰხარი, ტოლებში ლაღობ... მე კი აქა ვარ კენტად, ეულად, ტოლები მეცა მყავს აქა, მაგრამ ჩვენ რა გვაქვს სალხენი და სამღერი!

ოცდაორი წლის მამუკა, მეგი, თაფლო.

მეგი – ჩვენ მაშინ ვტყუოდით შენს წინაშე, მამუკა, მე და თაფლო. ხომ გახსოვს ის დღე? სკოლიდან ვბრუნდებოდით. შენს სანახავად მოვდიოდით, რომ გაგვეგო, იმ დღეს გაკვეთილები რად გააცდინე.
თაფლო – ჩვენ თამაზი გვინდოდა, მოგვეგზავნა. ის ხომ მეგობრობას გეფიცებოდა!
მეგი – არ მცალიაო.
თაფლო – ჰო, არ ეცალა! კინოში მიიჩქაროდა.
მეგი – და ჩვენ შენთან მოვდიოდით, რომ გაგვეგო, გაკვეთილები რად გააცდინე.
თაფლო – შენ ეხლაც ბოლომდე გულწრფელი არა ხარ, მეგი! ჩვენ იმისთვისაც მოვდიოდით, რომ მერე სადმე გაგვევლო, თუნდაც კინოში და გულახდილად გველაპარაკა. მამუკა, შენი ბედი გვაღელვებდა!

ამ ეპიზოდში მეგი, თაფლო, მამუკა და ნუგზარი ჩვიდმეტი წლისანი არიან. აი, რა მოხდა იმ დღეს:

მეგი და თაფლო სკოლიდან ბრუნდებიან.

მეგი – თაფლო, შეხედე!
თაფლო – დავიმალოთ!
მეგი – უკვე დაგვინახეს. ის ბიჭი ხომ მოგწონს? მამუკა გაგვაცნობს. *(შემოდიან მამუკა და ნუგზარი, არა იმდენად ნასვამები, რამდენადაც თამაშობენ, სიგარეტს ეწევიან).*
მამუკა – ოჰ! აქ საიდან გაჩნდით?
მეგი – *(ვერ თქვა სიმართლე)* ბიძაჩემთან მივდივართ.
თაფლო – მეგი!
მამუკა – აქეთ ცხოვრობს?
მეგი – ჰო, მეორე ქუჩაზე.
მამუკა – ნუგზარ, გაიცანი, ჩემი თანაკლასელები.
ნუგზარი – *(გოგონებს ხელს ართმევს)* ნუგზარი.
მეგი – მეგი.
თაფლო – თაფლო.
ნუგზარი – მამუკა არ ვარგებულა. ბიჭო, ასეთი გოგონები კლასში მყავდეს, გაკვეთილს რა გამაცდენინებს?
თაფლო – *(გადაიკისკისა)* თქვენს კლასში მახინჯი გოგონები არიან?
ნუგზარი – რაზე ამბობ?
თაფლო – გაკვეთილებს ხშირად აცდენთ.
ნუგზარი – ბიჭოს! ეგ საიდანდა იცით?
თაფლო – ყოველდღე ჩვენი კლასის ფანჯრის წინ ხართ ატუზული.
ნუგზარი – აჰ, მე მიყურებთ ხოლმე? მერე გაკვეთილს არ უსმენ?
თაფლო – ვუსმენ ყურებით. თვალებით – ვხედავ.
ნუგზარი – ააა!
თაფლო – რომელ სკოლაში სწავლობთ?
ნუგზარი – ოთხმოცდამეთორმეტეში.
თაფლო – ეგ საითაა?
ნუგზარი – ოთხმოცდამეთერთმეტეს იქით.
მეგი – მამუკა!
მამუკა – რა?
მეგი – *(გადაიფიქრა)* არაფერი.
მამუკა – მეგი!
მეგი – რა?
მამუკა – არაფერი.
მეგი – თაფლო, წავიდეთ!
მამუკა – ნუგზარ, წავიდეთ, გვაგვიანდება!
მეგი – სად მიდიხართ?
მამუკა – ბიძაჩემთან. იქით ცხოვრობს, მეორე ქუჩაზე.
ნუგზარი – მამუკა, იქნებ ჯერ ადრეა?
თაფლო – მეგი, ბიძაშენი იქნებ ჯერ არცაა მოსული?
მეგი – არა, თუ ეჩქარებათ, წავიდნენ!
მამუკა – კარგი. თაფლო, მომიკითხეთ ჩემი მასწავლებლები. ვინ იცის, ორიანების წერას გადაეჩვივნენ!
თაფლო – იცი, ქიმიის მასწავლებელი ავად გაგვიხდა!
მამუკა – არ გადამრიო!
თაფლო – საავადმყოფოში დაუწვენიათ.
მამუკა – აუჰ! ნუგზარ, სანახავდ წავიდეთ! ნახვამდის, ქალიშვილებო!
მეგი – ნახვამდის!
მამუკა – ნახვამდის!

მეგი – წადით, გაგვიანდებათ!
მამუკა – ნახვამდის!
მეგი – ნახვამდის!
მამუკა – ნახვამდის!

ოცდაორი წლის მამუკა, მეგი, თაფლო.

მამუკა – მეგი! რად გამიშვი იმ დღეს! რად იცრუე, ბიძასთან მივდივარო! შენმა თვალებმა გაგცეს, რომ ტყუოდი. რად არ ჩამჭიდე ხელი და შენთან რად არ დამტოვე? იმ საღამოს მე და ნუგზარმა დანაშაული ჩავიდინეთ. კაცი არ გაგვიძარცვავს, მაგრამ დანაშაული ჩავიდინეთ და ერთ დანაშაულს მეორე მოსდევს. უკან დაბრუნება უკვე ძნელი იყო!
მეგი – ვტყუი, მამუკა! მაგრამ შენ რად გაჰყევი ნუგზარს, ხომ მიხვდი, შენთან მოვდიოდით, ჩაგეჭიდა ხელი იმ ბიჭისთვის და ისიც ჩვენთან დაგეტოვებინა!
მამუკა – დამნაშავე ვარ, მეგი, ნუგზარის წინაშეც დამნაშავე ვარ!

ისევ კოლონია და ისევ ის სიმღერა.
ყველა თავის ფიქრს მისცემია.

ანზორი – *(შემოდის)* აქ რას აკეთებთ? *(ბიჭები წამოიშალნენ)* აქ ყოფნა არ შეიძლება, კორპუსში შედით. *(ბიჭები მიდიან)* ზაალიშვილი, შენ დარჩი. *(მამუკა უხმოდ მობრუნდა)* დედა მოგივიდა! *(გახარებულმა მამუკამ გასვლა დააპირა)* მოიცა, ძია ელიოზს აქეთ მოჰყავს *(შემოდიან ელიოზი და ქალი. ქალი, რატომდაც, ელიოზს ეფარება. მამუკა უცებ დაცხრა და თავი დახარა).*
ელიოზი – მამუკა, დედა ვერ დაინახე? *(მამუკა დუმს)* ბიჭო, დედა ვერ იცანი?
მამუკა – ეგ დედა არ არის ჩემი!.. *(ქალმა სახეზე ხელები აიფარა და გავიდა. გაჰყვა ელიოზი. მერე გავიდა ანზორიც. დაღლილი, დაცლილი მამუკა სკამზე ჩამოჯდა. სადღაც ზარს შემოჰკრეს ერთხელ. შემდეგ – ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ)* ეს დღე, როგორც იქნა, დადამდა! დარჩა ორი წელი და სამასსამოცდაოთხი დღე... რა გაიყვანს! *(კიდევ შემოჰკრეს ზარს...)* თუ ასე თეთრად ვათენე ღამეები, რა გაიყვანს სამ წელიწადს! *(დინჯი ნაბიჯით შემოდის ელიოზი. მამუკამ გვიან შენიშნა, ფეხზე წამოხტა).*
ელიოზი – იჯექი, იჯექი! *(თვითონ დაჯდა)* რატომ არ გძინავს?
მამუკა – რა დამაძინებს!
ელიოზი – ახლა რომ გარეთ ყოფნა არ შეიძლება?.. დაჯექი, დაჯექი... მართალი გითხრა, არც მე მეძინება, კარგი ღამეა!.. შენი მეგობარი, ნუგზარზე გეუბნები, ახლა მალე გაიქცევა.
მამუკა – რა იცით?
ელიოზი – ვიცი.
მამუკა – რატომ არ დაუშლით?
ელიოზი – სხვა დროს კიდევ შეეცდებოდა გაქცევას. ახლა, დაე, გაიქცეს.
მამუკა – მერე?

ელიოზი – მერე შენთან ერთად ვნახოთ, რაც მოხდება. *(სადღაც შუშხუნა გავარდა. სროლის ყრუ ხმა)* ეს ნუგზარი გაიქცა. ხუთი წუთის შემდეგ შენ მას ნახავ, აქ მოიყვანენ. ახლა დარწმუნდება გაქცევის უნაყოფობაში და მასზე ფიქრს მოეშვება. ხოლო იზოლატორს რომ მოითხოვდა, ახლა შევუსრულებ, პატაკი მზად მაქვს... ეჰ, მამუკა, კარგი დამეა, გულახდილი საუბრისთვის გაჩენილა ასეთი დამე. მე რაღაც მინდა გითხრა. ხომ არ გეძინება?

მამუკა – არა.

ელიოზი – იქნებ არც გაინტერესებს?

მამუკა – როგორ არ მაინტერესებს!.. მაგრამ... ნუგზარი არ არის ცუდი ბიჭი. ჯიუტია, ცოტა უკმეხი; მაგრამ გულით კეთილია.

ელიოზი – არა. შენს მეგობარს კარგად არ იცნობ... იცი, მერამდენედ ზის?

მამუკა – ვიცი.

ელიოზი – როგორ ფიქრობ, სწორ გზას იპოვნის?

მამუკა – არ ვიცი.

ელიოზი – *(უკმაყოფილოდ)* აბა, რა იცი?

მამუკა – *(ცხარედ)* როგორ უნდა გამოსწორდეს, პატრონი არ ჰყავს!

ელიოზი – შენა?

მამუკა – მე დედა მაინც მყავს და ვალდებული ვარ, მოვუარო.

ელიოზი – დედა თუ გიყვარს, შენს სანახავად რომ მოვიდა, რატომ არ მიიღე?

მამუკა – *(დიდი წვალების შემდეგ)* ის დედა არ იყო.

ელიოზი – ვერაფერი გავიგე.

მამუკა – ნეტავი არც მე გამეგო არაფერი! ახლა თავი სიზმრად მგონია. ყველაფერს ნათლად ვხედავ, - თქვენ, ამ შენობებს, გალავანს და მე მგონია, ცუდ სიზმარს ვხედავ. კარგი სიზმარი კი იმ გალავნის იქით დამრჩა. ბედნიერი ვიყავი. სკოლა, ამხანაგები... ერთმა დღემ კი შეცვალა ყველაფერი. ავად გაგვიხდა ქიმიის მასწავლებელი. მის შემცვლელად სხვა მოგვიყვანეს. მე აღარ დავრჩი გაკვეთილზე, შინ წამოვედი...

ოთახი, უბრალოდ, ფაქიზად მოწყობილი.
კედელზე მამაკაცის პორტრეტი. მამუკა ხატავს. სტვენა. მამუკამ გაიხედა. შემოვიდა ნუგზარი, მამუკა
უხალისოდ შეეგება.

ნუგზარი – მარტო ხარ?

მამუკა – ჰო.

ნუგზარი – სად დაიკარგე?

მამუკა – არსად.

ნუგზარი – გუშინ გელოდი. ვიფიქრე, ავად იყავი.

მამუკა – დალიე?

ნუგზარი – მამუკა, ჩემთან უნდა წამოხვიდე.

მამუკა – შენთან?

ნუგზარი – ჰო.

მამუკა – სადა?

ნუგზარი – სადაც გინდა! ოღონდ ჩემთან წამოდი!.. დედას სადილი გაუმზადე?

მამუკა – ჰო. გშია?

ნუგზარი – *(გაიარ-გამოიარა. შეჩერდა. თქმა გაუჭირდა)* წამოხვალ?

მამუკა – სადა-მეთქი?

ნუგზარი – სადაც გინდა! გინდა ფუნიკულიორზე, გინდა კინოში, გინდა მოსკოვში!
მამუკა – ნუგზარ... რამდენს დავიგვიანებ, დედა იმდენს ჯავრობს.
ნუგზარი – პატარა ხომ აღარა ხარ?
მამუკა – მით უფრო... მეტი მომეთხოვება.
ნუგზარი – *(ყოყმანის შემდეგ)* წამოხვალ?
მამუკა – რა დაგემართა, ბიჭო?
ნუგზარი – *(ისევ გაჩუმდა. ტახტზე წამოწვა და მამაკაცის პორტრეტს თვალი გაუსწორა. ერთბაშად გრძნობა ვერარ დაიოკა)* უმამობა ძნელია, არა? მე კი ისეთი მზრუნველი მამა მყავს, დილას დამლოცა, დამიტოვა ოთახი, ფული... და წავიდა!
მამუკა – სად წავიდა?
ნუგზარი – არ ვიცი, დღემდე სანახევროდ იყო წასული. დღეს სულ წავიდა.
მამუკა – არაფერი გითხრა?
ნუგზარი – ამაღამ ჩემთან დაიძინე.
მამუკა – რას ამბობ, დედა გადაირევა!
ნუგზარი – რა ბედნიერი კაცი ვარ! თვეობით შინ რომ არ დავბრუნდე, არავინ გადაირევა!
მამუკა – არ გეწყინოს, ნუგზარ, სხვაგვარად უნდა მეთქვა. ჯობია, კალაპოტში ჩავდგეთ. ამდენ გაკვეთილს ვაცდენ, ატესტატი რომ ვერ ავიღო, დედას რა პირით ვეჩვენო!
ნუგზარი – კარგი, არაფერს გთხოვ.
მამუკა – შენთან გატარებულ დღეებს მუდამ ტკბილად გავიხსენებ.
ნუგზარი – გაიხსენებ? ესე იგი, შენ შენთვის, მე ჩემთვის!
მამუკა – სხვაგვარად არ გამოდის.
ნუგზარი – მართალს ამბობ, ბიჭო?
მამუკა – მეშინია, ნუგზარ! ჩვენ ხომ ერთად არ გავზრდილვართ, შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. *(პაუზა)*
ნუგზარი – რას ვიზამ, წავედი.
მამუკა – არ გეწყინოს!
ნუგზარი – მე შენ მომწონდი, მამუკა! კარგი სამეგობრო ბიჭი ხარ. იქნებ შენგან ჭკუაც მესწავლა... *(ნახატი შენიშნა)* დედაა? რა კარგად ხატავ!.. ადრე დაგბერებია.
მამუკა – მარტოხელამ გამზარდა.
ნუგზარი – ძალიან გიყვარს?
მამუკა – დედა ვის არ უყვარს!
ნუგზარი – *(ერთბაშად ზურგი აქცია)* წავედი. *(უცებ ჯიბიდან ფული ამოიღო)* აჰა, რამე უყიდე.
მამუკა – რას ამბობ!
ნუგზარი – უყიდე, გაეხარდება!
მამუკა – არ მინდა!
ნუგზარი – გამომართვი!
მამუკა – შენა?
ნუგზარი – მე ვის ვუყიდო? *(სწრაფად მიდის. შეჩერდა)* თუ რამეზე დაგჭირდე, მოდი. არ მოგერიდოს. *(გავიდა)*
მამუკა – *(გაოგნებული დგას. მერე უცებ კარს ეცა)* ნუგზარ! *(მოტრიალდა. თითქოს თავს იმართლებს)* წავიდა!
ელიოზის ხმა – რად გაუშვი?
მამუკა – ვერ გავაგონე.
ელიოზის ხმა – რად არ დაედევნე? გამოტყდი, მამუკა, შენ გაგეხარდა, რომ ვერ გააგონე. შენ გრძნობდი, რომ ის უფსკრულში იჩეხებოდა და

ხელი არ შეაშველე. შეგეშინდა, მეც თან არ გადამიტანოსო. იმას კი როგორ უნდოდა შველა!

კარის კაკუნი. მამუკა კარს აღებს. შემოდის ქალი.

მამუკა – მობრძანდით. ვინ გნებავთ?
ქალი – *(მღელვარებას ძლივს იკავებს)* შენ მამუკა ზაალიშვილი ხარ?
მამუკა – დიახ.
ქალი – *(დაჯდა)* ბოლო გაკვეთილზე რატომ არ იყავი?
მამუკა – ვიყავი.
ქალი – ქიმიაზე იყავი?
მამუკა – თქვენ ვინ ბრძანდებით?
ქალი – ქიმიის ახალი მასწავლებელი.
მამუკა – *(დაიბნა)* დედა შინ არ არის.
ქალი – *(მამაკაცის პორტრეტი შენიშნა)* ეს... ვინ არის?
მამუკა – მამა. *(ქალი შეხედავს მამუკას, მერე – სურათს, რამდენიმეჯერ).* დედა ამბობს, ძალიან ვგავარ.
ქალი – *(ნახატი შენიშნა)* ეს ვიღაა?
მამუკა – დედა... თქვენ ცუდად ხართ, მასწავლებელო?
ქალი – *(მამუკას დაჟინებით უყურებს)* არა, კარგად ვარ, ჩემო მამუკა... ნახვამდის, მამუკა... გაკვეთილს ნუღარ გამიცდენ.
მამუკა – აღარ გავაცდენ! ოღონდ დედას ნუ ეტყვით, ეწყინება! *(შემოდის ბებია. ქალის დანახვაზე გახევდა. დაიბნა ქალიც. მამუკას ეწყინა: ნეტავ მასწავლებელს გაესწრო!)*
ბებია – გამარჯობა.
ქალი – გაგიმარჯოთ.
ბებია – მამუკა, პურის ყიდვა დამავიწყდა, მოარბენინე. *(მამუკამ ფული გამოართვა და გავიდა. პაუზის შემდეგ)* თქვენი მოსვლა რას მივაწერო?
ქალი – მე მამუკას მასწავლებელი ვარ.
ბებია – რისთვის მოხვედი?
ქალი – განა ამას კითხვა უნდა?
ბებია – ვაი, რომ უნდა! *(მძიმე პაუზა)*
ქალი – მოტეხილხართ!
ბებია – *(თითქოს მოლბა)* წლებს თავისი მიაქვს. ბევრი ვეჭიდე ახალგაზრდობას. ჩემთვის კი არა! მინდოდა, მამუკას ახალგაზრდა დედა ჰყოლოდა.
ქალი – ძალიან გიჭირდათ?
ბებია – ეს უკვე წლებს ჩავაბარეთ. ახლა მამუკა დიდი მყავს და თავს როგორმე გავიტანთ... არ უნდა მოსულიყავი!
ქალი – ჩემი შვილი აქ არის!
ბებია – სსსუ! რაც შენ წახვედი, მამუკასთვის ბებია მოკვდა. მე ვარ მისი დედა! მან არ უნდა იცოდეს სიმართლე! თუ შეძლება, დარჩი, როგორც მისი მასწავლებელი, თუ ვერა, სკოლა სხვაგანაც არის.
ქალი – ძლივს ვიპოვნე! ამდენი ხნის დაკარგული ძლივს ვიპოვნე!
ბებია – მამუკა როცა წამოიზარდა, იქაურობას გამოვარიდე, რომ ყოველგვარი კვალი გამექრო.
ქალი – რა ვქნა?
ბებია – ეგ კითხვა თხუტმეტი წლის წინ უნდა დაგესვა.
ქალი – ვიცი, შევცდი!

ბებია – არ გადანაშაულებ. შენ ახლაგაზრდა იყავი და სიცოცხლე გეძახდა.
ქალი – მამუკაც ხომ თან მიმყავდა?
ბებია – მახსოვს... მე არ დაგანებე! სხვის ოჯახში მამუკა ასეთი აღარ იქნებოდა. ახლა კი ზედგამოჭრილი მამაა, მასავით ამაყი. მან არაფერი არ უნდა გაიგოს, თორემ მეც დავკარგავ. მე მისთვის დედა ვარ და ხატად მივაჩნივარ. ბავშვს ამ რწმენას ვერ წავართმევთ! დედა მე ვარ, გესმის?
ქალი – მე ვიღა ვარ?
ბებია – შენ იყავი... ოდესღაც. აგერ, *(მამაკაცის პორტრეტზე მიუთითა)* ჩემი ბიჭიც იყო. მაგრამ ახლა აღარ არის და აღარც არაფერს მოითხოვს!
ქალი – მაშ, აღარც მე ვარ!
ბებია – შენ შენი ოჯახი გაქვს. სხვა დედამთილი, სხვა ქმარი, სხვა შვილები... არ გადანაშაულებ. მაგრამ ჩვენ ხშირად ავყვებით გრძნობებს და გვავიწყდება ის, რისთვისაც ვცოცხლობთ!
ქალი – *(კარებთან მივიდა)* რა მეთქმის... უთხარით მაინც, გაკვეთილს ნუღარ გამიცდენს! *(გავიდა, ბებია იმავე პოზაში დგას)*
მამუკა – *(შემოდის)*
ბებია – *(არ დაუნახავს, იგრძნო მისი შემოსვლა)* მამუკა! შვილო!
მამუკა – *(გულში ჩაეკრა)* რა დაგემართა, დედი!
ბებია – არაფერი. უცებ ცუდად შევიქენი. ახლა უკეთ ვარ... პური მოიტანე, შვილო?
მამუკა – ახლა ცლიდნენ. მერე მოვიტან.
ბებია – არა უშავს. დღეს გვეყოფა. ჭამე.
მამუკა – არ მინდა. ვისადილე. შენ გეშიება.
ბებია – მეც ვისადილე... სამსახურში. *(დაჯდა)*
მამუკა – შენს სურათს ვხატავდი. ვერა და ვერ დავამთავრე... სულ დაღლილს გხატავდი. ცოტა უნდა გაგაჯეელო!
ბებია – *(შეკრთა)* მამუკა, პურს მართლა ახლა სცლიდნენ?
მამუკა – რა თეთრი თმა გაქვს, დედი!
ბებია – რას ამბობ, შვილო, რა მოგივიდა!
მამუკა – *(ხელები გამოსტაცა)* დედი, რათა გაქვს ასე დამჭკნარი ხელები.
ბებია – რა იყო, შვილო, შენ შემოგევლე! *(ადგა, ზურგი შეაქცია)* მე სამსახურში მაგვიანდება! *(კარებისკენ მიდის)*
მამუკა – ბებო!
ბებია – *(გაშრა)* რა თქვი, შვილო?
მამუკა – ბებო! *(ბებია ჩაკვდა. მამუკა მივარდა, მოეხვია)* ნუ გეშინია, ბებო... ჩემო დედიკო!

კოლონია. მამუკა და ელიოზი.

მამუკა – იმ დღიდან დავკარგე მოსვენება და ვეღარ ვპოულობდი ადგილს ვერც ოჯახში, ვერც სკოლაში, ვერც ამხანაგებში. მივხვდი, რომ რაღაც დიდი რამ დავკარგე და ვეღარასოდეს ვიპოვნიდი! იმ დღიდან ნუგზარს აღარ მოვცილებივარ. ორივე ერთი ბედისა აღმოვჩნდით!
ელიოზი – შეცდომა ყველას მოუვა და როდესაც ადამიანი შეცდომას მოინანიებს, მას ხელი არ უნდა ჰკრა. გახსოვდეს, მამუკა, ადამიანს ფაქიზად უნდა მოპყრობა!

მეორე მოქმედება

- დადეექ!
- დადეექ!
- დადეექ!

პირველად გაიოზმა დაიყვირა. მას მიჰყვნენ სხვებიც და შემორბიან, დგებიან მწკრივში.

მოგვიანებით დგება მამუკა.

გაიოზი – სწორდი! სმენა! ბრძანება უნდა შესრულდეს თვალის დახამხამებაში!
დოცენტი – შენ ჩქარ-ჩქარა ახამხამებ თვალებს.
გაიოზი – ხმა! შენ კი ზაალიშვილო, ერთი კვირაა, აქა ხარ და რეჟიმს ვერ შეეჩვიე!
მამუკა – ერთი კვირა არ არის.
დოცენტი – მეხუთე დღეა.
გაიოზი – ხმა! ზაალიშვილი დარჩეს. დანარჩენები, ნაბიჯით იარ! *(ბიჭები გადიან. მამუკას)* ლოგინი გაასწორე?
მამუკა – გავასწორე.
გაიოზი – ჩემი?
მამუკა – მე რად უნდა გავასწორო?

გაიოზი – ვარჯიშიდან რომ გაგათავისუფლე?
მამუკა – მე არ მითხოვია.
გაიოზი – *(მკაცრად)* გაასწორე! *(მამუკა წასვლას აპირებს)* არ გესმის?
მამუკა – *(მშვიდად)* იცი, რას გეტყვი? დაწოლის წინ ცოტა რძე სვი, უფრო კარგი ხმა დაგიდგება! *(გავიდა).*
გაიოზი – წახვედი? მე შენ გიჩვენებ! სიცოცხლეს არ მოგცემ!
ჭინკა – *(შემორბის ყვირილით)* გაიოზ! გაიოზ!
გაიოზი – მიდი, გაასწორე!
ჭინკა – *(უკმაყოფილო გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა)* გაიოზ!
გაიოზი – *(კულისებისკენ)* თქვი, რა გინდა?
ჭინკას ხმა – ქვარიანი გამოყავთ კარცერიდან!
გაიოზი – მერე რა გინდა?
ჭინკა – *(გამოვიდა)* მაგისი წყენინება არ გვარგებს. იცი, ვინ არის ქვარიანი?
გაიოზი – *(ვითომც არ აინტერესებს)* ვინ არის?
ჭინკა – ეს დღეები სულ ვფიქრობდი, ახლა გამახსენდა. მე ვიცნობ, ერთხელ თვალებზე ქუდიც ჩამომაფხატა! უბანში რომ გაივლიდა, ბირჟის ბიჭები იფანტებოდნენ, იმათ ვერ იტანდა! მოსაკლავად რომ დაგვდგომოდნენ და მაგისი სახელი გეხსენებინა, ინტურისტის რესტორანში წაგიყვანდნენ საქეიფოდ. მაგისი წყენინება არ ივარგებს.
გაიოზი – *(მოუტრიალდა)* კბილის ექიმთან გაგაგზავნო?
ჭინკა – რათა?
გაიოზი – შევხვდებით შენს ქვარიანს! ვერაზე იკითხე გრძელი გაიოზა! *(ბურტყუნით გადის. ფაცი-ფუცით შემოდიან ბიჭები. შემოდის გაიოზი)* დადექ! *(შემოდის ანზორი)*
ანზორი – ზაალიშვილი!
გაიოზი – *(მამუკას დაუყვირა)* მწკრივიდან გამოდი! *(მამუკა დაემორჩილა)*
ანზორი – დღეს და ხვალ იმორიგეევებ ტუალეტსა და პირსაბანში!
მამუკა – რატომ?
ანზორი – და თუ შემედეგაც დაიგვიანებ ვარჯიშზე, უფრო მკაცრად დაისჯები!
მამუკა – გაიოზმა დამაგვიანა.
ანზორი – *(გაიოზს)* შენ არ უშვებდი?
გაიოზი – რას ამბობთ, ძია ანზორ! *(მამუკას)* არა გრცხვენია, ბიჭო?
ჭინკა – ჯერ ახალია და წესებს ვერ შესჩვევია.
მამუკა – *(მისკენ გაიწია, მაგრამ ბიჭებმა შეაკავეს)*
დოცენტი – ქარი ამოვარდა *(თითქოს თავისთვის თქვა)*
ანზორი – დოცენტო!
დოცენტი – გისმენთ, ბატონო!
ანზორი – ახლა რა თქვი?
დოცენტი – არაფერი. ქარი ამოვარდა-მეთქი.
ანზორი – მაგ ასტრონომიას მოეშვი!
დოცენტი – მოვეშვი... მაგრამ ქარი მაინც იქროლებს.
ანზორი – ხმა! სმენა! *(გაიოზი სწრაფად დადგა რიგში. შემოდის ელიოზი, შემოყავს ნუგზარი)* ამხანაგო უფროსო აღმზრდელო, ათეული სახეზეა!
ელიოზი – თავისუფლად!.. ბავშვებო, მიიღეთ თქვენს ათეულში ნუგზარ ქვარიანი. იგი დღეს თქვენთან ერთად წამოვა სკოლაში. მას მხოლოდ რვა კლასამდე უსწავლია. მიეხმარეთ. ყველაფერი დავიწყებია. *(ნუგზარს)* კარგი ბიჭებია. მჯერა, საერთო ენას გამონახავთ. *(ბიჭებს)* ბიჭებო, ხომ ასეა?

ბიჭები – ასეა. *(პასუხობენ სხვადასხვანაირად: ზოგი იმიტომ, რომ უფროსს უნდა დაეთანხმოს. ზოგი – საერთო ენის გამონახვის გულწრფელი სურვილით. დოცენტი კი გულში ზეიმობს, მაგრამ თავს იკავებს)*

გაიოზი – *(ძველებურად უფროსობს)* ვნახოთ, თვითონ როგორ მოიქცევა!

ჭინკა – *(ესეც ძველი ინერციით)* თავზე ხელს არავის გადავუსვამთ!

ელიოზი – *(ნუგზარს)* წიგნებს სკოლაში მოგცემენ.

ნუგზარი – მე სკოლაში არ წავალ.

ელიოზი – რატომ?

ნუგზარი – გინდათ, ასე უცებ გამოვსწორდე? *(ელიოზი უცებ გავიდა, გაჭყვა ანზორი).*

დოცენტი – *(ალეკო გააჩერა)* პოეტო! ლექსი დაწერე, რომ ძარღვები სისხლმა დახეთქოს! გაიხსენე გალილეი, სასამართლოზე პროკურორს რომ უთხრა, მაინც ბრუნავსო! უჰ, შენს მადლიან შუბლს ვენეცვალე! *(„ალერსით“ შუბლზე სილა სტკიცა და წავიდა. ბიჭები ნელ-ნელა გაიკრიფნენ სცენიდან. დარჩნენ მამუკა და ნუგზარი. ისინი ერთმანეთს არ უყურებენ, მაგრამ ერთმანეთს გრძნობენ. ბოლოს მამუკამ გასვლა დააპირა)*

ნუგზარი – (*ერთბაშად მიუბრუნდა)* მამუკა!

მამუკა – *(შედგა. ნუგზარი უხმოდ შესცქერის. მამუკა მობრუნდა და თავი დახარა)* გაიტანჯე?

ნუგზარი – მე აქ ვიტანჯები, ამ კედლებში! კარცერი კი ჩემთვის უცხო ხილი არ არის...

მამუკა – რას აპირებ?

ნუგაზარი – ორი გზა მაქვს: ან ჩვენი სიცოცხლე იქნება, ან... თავს მოვიკლავ!

კურკა – *(შემოვარდა)* მამუკა, ამანათი მოგივიდა! *(გავიდა)*

მამუკა – რა ვქნა... უნდა წავიდე.

ნუგზარი – წადი.

მამუკა – ნუგზარ...

ნუგზარი – *(დაუყვირა)* წადი!

ელიოზი – ***(მამუკას)*** **მოიცა! შენ მაშინ წასვლა არ გინდოდა?**

მამუკა – არ მინდოდა.

ელიოზი – რაღად წახვედი? იქნებ მართლა ამანათისთვის?

მამუკა – ამანათმა გამომაფხიზლა, წასვლის მიზეზი მომცა. მეშინოდა ნუგზართან პირისპირ დარჩენისა. ვიცოდი, ნუგზარს რაც ჰქონდა გადაწყვეტილი.

ელიოზი – რატომ არ დაუშალე?

მამუკა – ვერ დავიყოლიებდი, ვერ ვაჯობებდი! და თავი გავარიდე.

ელიოზი – სათქმელი არაფერი გქონდა?

მამუკა – ბევრი მქონდა.

ელიოზი – აბა, გაიხსენე!

მამუკა და ნუგზარი.

მამუკა – რას აპირებ?

ნუგზარი – ორი გზა მაქვს: ან ჩვენი სიცოცხლე იქნება, ან... თავს მოვიკლავ!

კურკა – *(შემოვარდა)* მამუკა, ამანათი მოგივიდა! *(გავიდა)*

მამუკა – ნუგზარ, მესამე გზაც არის!

ნუგზარი – ის საჩემო გზა არ არის. შენ გეტყობა, უკვე...

მამუკა – რა ვქნა, ნუგზარ! აბა, დაფიქრდი, განა ისეთი რა ვნახეთ, რომ მთელი სიცოცხლე აქ ვიტანჯოთ? არ გენატრება გარეთ ყოფნა?
ნუგზარი – გარეთ ყოფნა რამ უნდა მომანატროს? ან გარეთ რა ყრია, ან შიგნით?
მამუკა – სასამართლოზე ჩემს დახსნას რაღად ცდილობდი?
ნუგზარი – მე რომ დავეხვრიტეთ, ჩემზე ცრემლს არავინ გადმოაგდებდა. შენ დედა მაინც გყავდა და... ის გოგოც...
მამუკა – თაფლო გახსოვს? როგორ მოსწონდი!
ნუგზარი – ეგ ზღაპარი იყო, მამუკა, აუხდენელი ზღაპარი.

საზაფხულო პარკი. სკამზე მისვენებული ნუგზარი. მას თავს დასდგომიან თაფლო, მეგი და ასულიერებენ. იქვე დგას მამუკა და გოგონებისგან ფარულად იცინის.

თაფლო – ნუგზარ! ნუგზარ! *(მეგის, დაბნეული და შეშფოთებული)* რა ვქნათ?
ნუგზარი – *(„მოსულიერდა“)* რა მოხდა? *(და გაეცინა).*
თაფლო – *(მიხვდა, რომ გაათამაშეს და ეწყინა)* მეგი, წავიდეთ!
ნუგზარი – *(წამოხტა. ხვეწნით)* არ წახვიდეთ!.. მე მართლა ცუდად ვიყავი! ასე დამჩემდა. ერთხელ ზღვაზე მამას ვყავდი. თორმეტბალიან ქარიშხალში მოვხვდით ინდოეთის ოკეანეში. იმის მერე დამჩემდა. მამუკას ჰკითხეთ!
თაფლო – იქ რა გინდოდა?
ნუგზარი – მამამ წამიყვანა. შორეული ცურვის კაპიტანია. შეიძლება, ამ ზაფხულსაც წამიყვანოს.
თაფლო – არდადეგების დროს?
ნუგზარი – არდადეგების დროს. აბა, სკოლას ხომ არ გამაცდენინებს!
თაფლო – რა კარგია!
ნუგზარი – თუ გინდა, შენც წაგიყვან. დავყვეთ ავსტრალიისაკენ, იქიდან კიდევ...
მამუკა – *(მიაშველა)* ახალი ზელანდიისაკენ.
ნუგზარი – ჰო. ყოფილხარ ახალ ზელანდიაში? ჭკუას დაკარგავ! თეთრი დათვები, როგორც ადამიანები, ისე დადიან, წინ და უკან, წინ და უკან...
თაფლო – იქ ხომ ცხელა, თეთრი დათვები მაინც არიან?
ნუგზარი – არიან. ადამიანები შავკანიანები არიან, დათვები თეთრი. წამოხვალ?
თაფლო – მეგიც წავიყვანოთ!
ნუგზარი – მამა გამოგიშვებს?
თაფლო – თუ მეგიც წამოვა, გამომიშვებს.
ნუგზარი – მამაშენი სად მუშაობს?
თაფლო – ფინანსთა სამინისტროში.
ნუგზარი – აუჰ! ბევრი ფული გექნებათ!
თაფლო – საიდან დაასკვენი?
ნუგზარი – ფინანსთა სამინისტრო, ფინანსები...
თაფლო – მაშინ, თქვენი სახლი გემებით იქნება გამოტენილი!

მამუკა – ის საღამო არასოდეს დამავიწყდება! ნუგზარი ასე მხიარული ჯერ არ მენახა. თაფლო გადარია, რაც მან უამბო აფრიკასა და ინდოეთში ნადირობაზე, შორეული ცურვის კაპიტან თეიმურაზ ქვარიანზე. მხოლოდ მე ვიცოდი, რომ ასეთი მამა ნუგზარს არ ჰყავდა. შორეული ცურვის კაპიტნობა მისი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო... ესეც მინდოდა გამეხსენებინა ნუგზარისთვის, როცა მე და ის მარტონი დავრჩით. შეიძლება მეთქვა, მაგრამ ამანათის მოსვლამ გადამაფიქრებინა.

ელიოზი – და შენ მარტო დატოვე ნუგზარი.

მამუკა – ვიცოდი, რაც ჰქონდა გადაწყვეტილი და მაინც მარტო დავტოვე.

მამუკა და ნუგზარი.

მამუკა – რა ვქნა... უნდა წავიდე.

ნუგზარი – წადი.

მამუკა – ნუგზარ...

ნუგზარი – *(დაუყვირა)* წადი! *(მამუკა გადის. თითქოს ამას ელოდა, სწრაფად შემოდის დოცენტი)*

დოცენტი – ამ ოთახში სუფთა ჰაერი უნდა იყოს!

ნუგზარი – *(გაეხარდა)* მე მითხრეს, აქ კარგი ბიჭებიც არიან.

დოცენტი – ცას ვუყურებდი, წვიმა არ ჩანდა, ნამიც რომ იყოს, სოკოებივით მომრავლდებიან. შენი ჩავარდნა რომ გავიგე, ლამის გავგიჟდი!

ნუგზარი – *(ხელი ჩამოართვა)* ჩემო დოცენტო, წიგნი ისევ გყვარებია!

დოცენტი – ლექციებზე ცოტა მსმენელი მყავდა. დისერტაციას ახლა დავიცავ!

ნუგზარი – როგორ ცხოვრობდი?

დოცენტი – ჩემთვის ვიყავი. წვიმას ველოდი.

ნუგზარი – წვიმა იქნება. ჩემს ახლოს ისუნთქე!

დოცენტი – შენ ისეთ რამეს მეუბნები, რომ მე ქრისტესავით მეორედ ვიბადები. რითი აღვნიშნოთ შენი გამოსვლა „ლუქსიდან“?

ნუგზარი – იქით გავიდეთ, აქ კედლებსაც ყურები აქვთ. *(გადიან. შემოდიან გაიოზი და ჭინკა)*

გაიოზი – მაშ შენ ამბობ, რომ ნუგზარსა და მამუკას ჩხუბი მოუვიდათ?

ჭინკა – ჩემი ყურით მოვუსმინე. ნუგზარმა გაარტყა კიდეც!

გაიოზი – კარგია. ახლა ცალ-ცალკე ადვილად მოვღუნავთ. *(შემოდის მამუკა ამანათით)* მიდი!

ჭინკა – *(მამუკას წინ გადაუდგა)* კარგი ბიჭები აქაც არიან! შენი ხელით ლუკმა გაუნაწილე.

მამუკა – რა გინდა?

ჭინკა – მერე კარგი თვალით შემოგხედავენ.

მამუკა – გზა მომეცი!

ჭინკა – *(ფეხს არ იცვლის)* მე გზას მოგცემ, თავი თუ არ გენანება! აქ არავის შია. წესია!.. *(შეშინებული)* ხელი! ხელი! *(მამუკამ ჭინკას ხელი მაჯაში ჩასჭიდა და დაიქნია. ჭინკა წაიქცა).*

გაიოზი – *(მამუკას შეუტია)* ე! ბიჭოს! *(ჭინკას გული მიეცა, წამოდგა და მამუკასკენ წავიდა. მამუკა უკან-უკან მიდის და დასახვედრად ემზადება)* გაგაქრობ, შე რქიანო!

ნუგზარი – *(ერთბაშად თავს წაადგა)* უკან წაიღე შენი სიტყვა, მე გულჩვილი ვარ! *(გაიოზი და ჭინკა დაცხრნენ, მაგრამ გაიოზს არ უნდა, ლაჩრულად დანებდეს ჭინკას თანდასწრებით).*

გაიოზი – ისეთი არაფერი მითქვამს, რისი შესრულებაც არ შემიძლია!

ნუგზარი – *(მშვიდად)* მე ქურდი ვარ, მაგრამ ქირურგიას კარგად ვიცნობ! მიგაქვს შენი სიტყვა?

გაიოზი – *(საცოდავად)* მიმაქვს.

ნუგზარი – მიყვარს ჭკვიან კაცთან საუბარი! ყველას გადაეცით, ვინც მამუკას ალმაცერად შეხედავს, ჩემთან ექნება საქმე! *(გავიდა. მამუკაც გავიდა, რომ ამანათი შეინახოს. ჭინკა და გაიოზი ცალ-ცალკე დგანან და თავიანთ საფიქრალს მისცემიან).*

გაიოზი – კიდევ კარგი, თავი შევიკავე! არა, კარგად მოვიქეცი! ნუგზარს შენს წინ დავამხობ მუხლებზე! *(ჭინკამ გაიცინა)* ჭინკა! *(ჭინკამ კიდევ გაიცინა)* ბიჭოს! *(ჭინკას მიეჭრა).*

ჭინკა – *(უკან გადახტა. ერთმანეთს თვალებით ზომავენ. გაიოზი თვალებს არ უჯერებს: ნუთუ ეს ჭინკაა!)* შენ ძველი დრო ხომ არა გგონია, მოეშვი უფროსობას! ჭინკა მონად არ დაბადებულა! *(მაინც ეშინია და უკან იხევს. ამან გაიოზს გამბედაობა შეჰმატა)*

გაიოზი – გაგაქრობ, შე ლაწირაკო!

ჭინკა – *(განწირული ხმით)* ხელი არ მახლო!

დოცენტი – *(შემოვიდა)* ხელი არ ახლო! *(გაიოზმა გარტყმა მოასწრო)*

ჭინკა – *(გული მიეცა)* ამას უყურე! ერთი, არ შემოგესწრო, ყბებს მოვუნგრევდი!

დოცენტი – ჭინკა!.. ხურდას დაბრუნება უნდა. *(გაიოზი წახდა)* ჰა, რასა ფიქრობ, ხურდა-მეთქი! *(ჭინკამ გაიოზს გაარტყა)*

დოცენტი – ყოველ საქმეში მეტი გამბედაობაა საჭირო, ჭინკა!

ჭინკა – ჯერ ეს ეყოფა.

დოცენტი – მართალია. ამ ყმაწვილმა უკვე შეიგნო. *(ფეხსაცმელზე დაიხედა. გაიოზის საყურადღებოდ)* ისევ გამხსნია. რადიკულიტი მაწუხებს და ვერ ვიხრები. გასაგებად ვლაპარაკობ? *(გაიოზი დაიხრება და უკვანძავს)* დღეს ბიჭები სკოლაში არ წავლენ. სწავლით გადაიღალნენ. არც შენ წახვალ. ჭინკას ხომ ლაპარაკიც არ უნდა.

ჭინკა – რა მესკოლება!

დოცენტი – მოიცა, ჭინკა! თუ ვინმე წავა, იმათაც დააბრუნებთ სკოლიდან. ჩვენ გვაინტერესებს, ვის შეუძლია, იყოს კარგი ბიჭი. ახლა გასწორდი. *(გაიოზმა თავისი საქმე მოათავა. გასწორდა)* აქეთ მოდიან. აღმზრდელს ეტყვი, რომ მეთაურობა აღარ გინდა, მეთაურობა შენს ნიჭსა და უნარს ბორკავს. გასაგებია?

გაიოზი – *(სხვა რა გზა აქვს!)* გასაგებია.

დოცენტი – ამის შემდეგ შენ ჩვენი მარჯვენა ხელი იქნები. *(შემოდიან ელიოზი და ბიჭები. დოცენტი გასვლას აპირებს)*

ელიოზი – მოიცა, სკოლისთვის რატომ არ ემზადებით?

ჭინკა – *(დოცენტს დაასწრო, თავი გამოიჩინა)* რა სკოლა! ჩემგან პროფესორი არ გამოვა. მეყო სწავლა!

ელიოზი – *(დოცენტს)* შენ?

დოცენტი – მე? სკოლაში არავინ მიდის.

ელიოზი – მე შენ გეკითხები.

დოცენტი – რაც აქ მომიყვანეს, მას შემდეგ გვასწავლიან: კოლექტივს არ ჩამორჩე, კოლექტივს არ გამოეთიშო! მე აღმზრდელების რჩევას მივდევ. კოლექტივი არ მიდის სკოლაში, არც მე წავალ. ყველა გაკვეთილი ვიცი, ახლავე მოგიყვებით!

ელიოზი – ეს ხალხი კლდეზე რომ გადავარდეს, რას იზამ?

დოცენტი – რას ვიზამ? სიკვდილი ძნელი იქნება, მაგრამ სადაც კოლექტივი, მეც იქ!

ელიოზი – გასაგებია. გაიოზ, მოაწყე ათეული! *(გაიოზი არ განძრეულა)* გაიგე, რა გითხარი?

გაიოზი – *(გაუბედავად)* ვერ მოვაწყობ...

ელიოზი – რატომ?

გაიოზი – აღარ მინდა მეთაურობა. გადამირჩიეთ.

ელიოზი – კარგია, რომ შენ თვითონ მიხვედი მაგ დასკვნამდე. გურამ, მოაწყე ათეული!

გურამი – დადექ! *(ბიჭები დგებიან მწკრივში, მაგრამ ყველა არა. ჯერ ბახვა, მერე კურკა. დიდი ყოყმანის შემდეგ დადგა ალეკო, მერე ზებრა. ცალკე დგანან: ნუგზარი, დოცენტი, გაიოზი და ჭინკა. მამუკა, სადაც იდგა, ისევ იმ ადგილზეა, ცალკე)*

ელიოზი – *(ბიჭები შეათვალიერა. გურამს)* წაიყვანე!

გურამი – ნაბიჯით იარ! *(მწკრივი გავიდა. გაჰყვა ელიოზიც)*

მამუკა – *(გახედა ნუგზარის ჯგუფს და სხვა მხარეს გავიდა).*

დოცენტი – *(ხელი ჩამოართვა ჭინკას და გაიოზს)* დღეს თქვენ გამოცდა ხუთიანზე ჩააბარეთ! *(ნუგზარს ჭინკაზე)* ეს ვინ ყოფილა!

ნუგზარი – *(ჭინკას)* მე მომეწონა შენი გამოსვლა. რაზე ზიხარ?

ჭინკა – ტრამვაიში ერთ სიმონას შვხვდი და სახლამდე მივაცილე.

ნუგზარი – შენ შეგიძლია, კარგი ბიჭი იყო.

ჭინკა – მაგათ ჰგონიათ!.. აქამდე მარტო ვიყავი. დოცენტიც ჩუმად იყო. ახლა სხვაა. შენმა მოსვლამ ჰაერი შეცვალა.

ნუგზარი – ახლა რას აპირებ?

ჭინკა – აღარც სკოლა, აღარც წარმოება!

ნუგზარი – ორივეგან ივლი! დღევანდელი დღე ძალების დათვალიერება იყო. ამიერიდან სკოლას კაციშვილი არ დააკლდეს. ბოდიშს მოუხდით აღმზრდელს, რომ დააშავეთ და აღარ გაიმეორებთ. წარმოებაშიც ყველაზე მეტს იმუშავებ, დოცენტმა ხელი გიქო. ოღონდ იცი, რას გააკეთებ? აუხსენი, დოცენტო!

დოცენტი – პურს რომ ჭრიან, რა ჰქვია?

ჭინკა – დანა!

დოცენტი – მე მუდამ ვამბობდი, ჭინკა ჭკვიანია-მეთქი!

ჭინკა – ოსტატმა რომ დამინახოს?

დოცენტი – სხვის ჯიბეში რომ ძვრებოდი, მაშინ არ გეშინოდა?

ჭინკა – ვაიმე, ჭინკა შიშის კაცია?

ნუგზარი – ჰოდა, შენ იცი. ჩამოწერე, ვისი ჯავრიც გაქვს.

ჭინკა – ზეპირად ვიცი!

ნუგზარი – სულ მალე ყველას ანგარიშს გავუსწორებთ. ოღონდ, ჭკუით! ეჭვი არავის ააღებინოთ. სკოლაშიც უფრო იბეჯითეთ.

ჭინკა – ეჰ, ისევ სკოლა!

დოცენტი – რას იზამ, ჭინკა, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს!

ბიჭები სკოლიდან დაბრუნებულან.
გურამმა შენიშნა ნუგზარი.

გურამი – ნუგზარ, შენთან საქმე მაქვს.

დოცენტი – *(თითქოს ახლა შენიშნა)* ოჰ, მოწინავე ახალგაზრდობა სკოლიდან დაბრუნებულა!

ნუგზარი – დოცენტო, არ იცი, რა ენდომება?

დოცენტი – არ ვიცი, ახალ მეთაურს რა სურს.

ნუგზარი – *(გურამს გაუსწორდა)* მოაპირქვავე.
გურამი – გინდა ჩვენთან ცხოვრება?
ნუგზარი – ვერ გავიგე.
გურამი – შენმა მოსვლამ ზოგი გაახარა. ტყუილი იმედია.
დოცენტი – მთელ დღეს ნოტაციებს გვიკითხავენ, ახლა მაინც დაგვასვენე!
გურამი – *(ნუგზარს)* მე პირდაპირ გეუბნები.
ნუგზარი – მაშ ჩემგანაც მოისმინე პირდაპირ ნათქვამი: ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ და ტყუილად არ მოსცდე. ესენი თვალში არ მომდიან. მე რომ საქმეს ვაკეთებდი, ზებრა სტილიაგა ბირჟაზე იდგა და ქალებს შეურაცხყოფას აყენებდა. რა მაქვს მათთან საერთო?
გურამი – აქ ზებრას გარდა სხვებიც არიან.
ნუგზარი – მე დავამთავრე შენთან ლაპარაკი.
დოცენტი – პრესკონფერენცია დამთავრებულია.

ელიოზი და მამუკა.

ელიოზი – მამუკა, იმ დღეს სკოლაში რატომ არ წახვედი?
მამუკა – ნუგზარის დატოვება არ მინდოდა.
ელიოზი – ნუგზართან რატომ აღარ დარჩი?
მამუკა – არ ვიცი.
ელიოზი – შენ ამ ხალხში თამაზს ეძებდი, რომ საყვედური გეთქვა. იცი, რომ შენ ნუგზარს თამაზივით მოექეცი?
მამუკა – რა ცოდვა მაწევს, ნუგზარ! *(სცენის სიღრმიდან ნუგზარი გამოჩნდა მოჩვენებასავით. მას მხოლოდ მაყურებელი ხედავს)*
ნუგზარი – მე გათავისუფლებ მაგ ცოდვისაგან. შენ ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარი იყავი, ყველაზე კარგი, ყველაზე ჭკვიანი. ასეთი მახსოვხარ შენ. მე, საერთოდ, მეგობარი არც მყოლია შენს გარდა.
მამუკა – შენ მუდამ ასეთი სულგრძელი იყავი. შენ ყოველთვის მე მამართლებდი, შენ იბრალებდი ყველაფერს. მე კი ვერ გიშველე, ნუგზარ!
ნუგზარი – მიხსენებ ხოლმე?
მამუკა – ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს!
ნუგზარი – ახლა რომ გავცოცხლდე შენს წინაშე, აი, ისეთი, როგორიც ვიყავი, ჩვიდმეტი წლის, თავქარიანი, გზაარეული...
მამუკა – უსათუოდ გადაგარჩენდი!
ნუგზარი – მიპატიებია ყველაფერი. *(გაქრა)*

უეცრად მხიარული, ხალისიანი სიმღერა.
ასეთი სიმღერა მხოლოდ უდარდელ ახალგაზრდებს შეუძლიათ.
შემორბიან ბიჭები, მიაჩერდნენ ერთ წერტილს.

კურკა – აუჰ, რამდენია!
ზებრა – მთელი სკოლა წამოსულა!
ჭინკა – რა გოგოებია!
ბახვა – ჯვარზე მიდიან. *(რადგან მომღერლები მიდიან, ბიჭები მთელი არსებით „მისდევენ“)*

კურკა – ბედნიერები! *(ბიჭები „გაჰყვნენ“, ჩოჩქოლით გავიდნენ სცენიდან. მხოლოდ ზებრა და ალეკო დარჩნენ)*
ზებრა – ნახე, პოეტო?
ალეკო – *(უხალისოდ)* ვნახე.
ზებრა – რატომ არ იმღერებენ! *(ამოიოხრა)*
ალეკო – ოცდაათი მაინც იქნება.
ზებრა – რა ოცდაათი, მთელი სკოლაა!
ალეკო – არა, ოცდაათი იქნება. ჭინკას საწოლში, ლეიბქვეშ.
ზებრა – რა, ჭინკას საწოლში? თავში ხომ არაფერი დაგეცა?
ალეკო – ჭინკას საწოლში, ლეიბქვეშ, ოცდაათი დანა იქნება.
ზებრა – *(შეიცხადა)* დანა?
ალეკო – რაღაცას აპირებენ.
ზებრა – ვინა?
ალეკო – რა ვქნათ?
ზებრა – მოიცა, ვინ აპირებს?
ალეკო – რა ვიცი! ჭინკა ვის მხარეზეა, გაიგებ? *(ჩაფიქრდნენ)*
ზებრა – ნამდვილი დანებია?
ალეკო – *(აფეთქდა)* არა, სათამაშო! დაქოქავ და „თავო ჩემოს“ მღერის!
ზებრა – ვა! რას აპირებენ?.. მერე შენ რას წუხარ?
ალეკო – ისეთი ბედი მაქვს, იმ დანას პირველად მე მატაკებენ!.. რა ვქნათ? აღმზრდელს ვუთხრათ?
ზებრა – არ ვიცი, ჩემმა მზემ...
დოცენტი – *(მოულოდნელად თავს წაადგა)* მზეს ნუ იფიცებ! მზე ყველას ლოცვას არ ღებულობს. *(ზებრა და ალეკო დაიბნენ. ოცენტი მშვიდადაა)* ლეიბი ისევ გაასწორეთ? *(უცებ შეჰყვირა)* ჭინკას ლეიბზე გეუბნებით!
ალეკო – *(ამოიკნავლა)* ჰო.
დოცენტი – *(მშვიდად გაიღიმა)* ვიცოდი, რომ თქვენც ჩვენს მხარეზე იქნებოდით. ახლა რა ვქნათ, იცით? თვალი გეჭიროთ, სუნი არავინ აიღოს. თორემ ყველანი ჩავვარდებით! *(მიდის. უცებ მოტრიალდა)* გახსოვდეთ, გოჩამ ონისეს ღალატისთვის დახვრეტის მუხლი მიუყენა! *(გავიდა. ზებრა და ალეკო სახტად დარჩნენ)*
ზებრა – რა ვქნათ?
ალეკო – დოცენტმა ისეთი რამე თქვა, აღარც კი ვიცი, რამე ვნახე თუ არა.
ზებრა – მე უფრო არაფერი მინახავს. ვნახე მე რამე?
ალეკო – რას ჩამაცივდი, რაც არ იყო, რა უნდა გენახა?

გაიოზი და ჭინკა შეთქმულებივით დგანან.
შემოდის დოცენტი, ხელში ორი ჩანთა უჭირავს.
უკან ნუგზარი მოსდევს.

დოცენტი – თქვენ სამაგალითო მოსწავლეები ხართ, ჩაიბარეთ არტილერია! *(ჩანთები დაურიგა)*
ჭინკა – *(ჩანთა გახსნა, დანა ამოიღო. ისევ ჩადო)*
დოცენტი – *(თავში წაუთაქა)* შენ ცუდი კონსპირატორი ხარ! ზებრამ და ალეკომ სუნი აიღეს. *(ყველამ ნუგზარს შეხედა)*
ნუგზარი – ათეულებში იციან. ნიშანს ელოდებიან.
ჭინკა – ნიუტონიც რომ ჩვენს მხარეზე იყოს, ასაფეთქებელს დაამზდებდა!
დოცენტი – ჩვენ ატომური ომის წინააღმდეგი ვართ, ჭინკა!

ჭინკა – აუჰ, რამდენის ჯავრს ვიყრი!

ნუგზარი – დანები ტყუილ-უბრალოდ არ იხმაროთ. ეცადეთ, სუფთად გამოვიდეს. საღამოზე წითელ კუთხეში, როდესაც ყველა მოგროვდება, ჭინკა აურევს. ბიჭები დაგიტევენ. შენც შეუკურთხავ, ამაზე კარნახი არ დაგჭირდება, და გარეთ გამოვარდები ყვირილით: „ბიჭებო, გვცემენ!“ - ეს იქნება ნიშანი, ყველა ათეული ფეხზე დადგება.

ჭინკა – მერე?

ნუგზარი – მერე მე მომყვებით. ამ დროს სიბნელეც იქნება და გზაზე მანქანებიც შეგვხვდება.

ჭინკა – გაგვიჩერებენ?

ნუგზარი – დღეს ხელფსს დაგვირიგებენ და ჯიბეში სამგზავრო ფული გვექნება.

დოცენტი – შოფერთან ჯენტლმენურად მოიქეცით. კანონიერების არავითარი დარღვევა, თორემ თავს ისევ აქ ამოგაყოფინებენ.

ნუგზარი – დანებს მტკვარში გადაყრით.

ჭინკა – აუჰ, ხვალიდან თავისუფალი ვიქნები!

ნუგზარი – ახლა საქმეს მიხედეთ. შადრევანთან ორნი სხედან. ასეთი ჩანთები აქვთ. გვერდით მიუსხდებით და ჩანთებს გაცვლით. *(გადის. გაჰყვა დოცენტი)*

ჭინკა – რა პირი დააღე?

გაიოზი – ეს საქმე არ მომწონს. შავ სამუშაოს ჩვენ გვავალებენ. ზებრას და ალეკოს გაუგიათ. ეს საქმე რომ ჩავარდეს, თვითონ მშრალზე დარჩებიან.

ჭინკა – რას აპირებ?

გაიოზი – ძია ელიოზს მივუტანოთ?

დოცენტი – *(თავს წაადგა)* ისტორიას ახსოვს ერთი იუდა. მან ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გაყიდა. ჭინკა, აორთქლდი! *(ჭინკა გავიდა)* შენ რამდენად აპირებ გაყიდვას?

გაიოზი – მე... მე...

დოცენტი – მე მგონი, ჭკვიან კაცთან მაქვს საქმე. ხომ ხარ სახედარი?

გაიოზი – *(საცოდავად)* ვარ.

დოცენტი – მიხარია, რომ არ ვცდები ადამიანის შეფასებაში! დავალება გახსოვს?

გაიოზი – მახსოვს.

დოცენტი – მაშ გაქრი აქედან!

გაიოზი – ვქრები! *(გავარდა. სწრაფად შემოდის ნუგზარი)*

ნუგზარი – რა მოხდა?

დოცენტი – არაფერი. იდეურად წაბორძიკებულ ამხანაგს აღმზრდელობითი საუბარი ჩავუტარე.

კულისებში გადაძახილი:

- გურამ, გურამ! დედა მოგივიდა!
- ხამსა! მიდი, ბიჭო, ნახე, ვინ მოგივიდა!
- ზებრა სად არის, ზებრა!
- კურკა! კურკა! მამა მოგივიდა!

მამუკა მოწყენილი გაჰყურებს კულისებს, სადაც, ალბათ, ბავშვებს ახლობლები ხვდებიან.

მამუკა – დედი!.. ერთი თვეა, აქა ვარ, ჩემთან არავინ მოსულა. ყველასთან მოდიან, ჩემთან არა. არც ნუგზართან... ვიცი, გული გატკინე. ვიცი, რომ არასოდეს მაპატიებ. არცა ვარ ღირსი. თუ ამიტომ არ მოდიხარ, ეგ არაფერი. მაგრამ მე მგონია, ავადა ხარ და ეს მაშფოთებს. თუ დღესაც არ მოხვედი, ნამდვილად ავადა ხარ და გამოვიქცევი! გინდა მომკლან, გამოვიქცევი... დღეს კვირაა. ყველასთან მოვლენ. მე კი ისევ ამაოდ დამაწყდება ჭიშკარზე თვალები...

სცენის სიღრმეში გამოჩნდნენ მეგი და თაფლო. ისინი მამუკას სანახავად არ მოსულან. ეს მხოლოდ მამუკას ოცნებაა.

მეგი – გამარჯობა მამუკა! როგორა ხარ? გამხდარხარ, ბიჭო! დღეს კვირაა. ყველა მიდის თავისიანების სანახავად და ჩვენც მოვედით... მაპატიე, რომ ამდენ ხანს არ გნახე. მე და თაფლო სულ შენზე ვლაპარაკობთ. ხომ ასეა, თაფლო?

თაფლო – ჰო, მამუკა. რამდენჯერაც მასწავლებელი ჟურნალს კითხულობს და იმ ადგილას მივა, სადაც შენი გვარი ეწერა, მეგი ყოველთვის ტირის!

მეგი – არ მეგონა, მამუკა, თუ შენ ჩემთვის ასე ახლობელი იქნებოდი! შენ მებუტები, რომ დაგივიწყე? ამის შემდეგ ხშირად ვივლი შენთან, ყოველთვის ვივლი! ჩვენო ამაყო და ჯიუტო მამუკა, გახსენი შუბლი, გენაცვალე! კიდევ გითხრა? გენაცვალე! მე თაფლოსი არა მრცხვენია. ყველაფერი ვუთხარი. რომ გათავისუფლდები, ისევ ერთად ვიქნებით და აღარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს!

ელიოზი – *(თავს წაადგა მამუკას)* მამუკა! მამუკა! *(მამუკა ძლივს გამოერკვა. მეგი და თაფლო გაქრნენ)* რა დაგემართა, მეგონა, დაყრუვდი! *(მამუკამ მოიწყინა: რა ლამაზი ოცნება გაქრა!)* არაფერია, ხდება ხოლმე. ზოგჯერ ფიქრში ისე წავსულვარ, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ვერ გავიგებდი. წელან ბავშვებმა გაიარეს. ჯვარზე მიდიოდნენ.

მამუკა – დავინახე.

ელიოზი – ამხნაგები გაგახსენდა?

მამუკა – იმათ დავავიწყდი!

ელიოზი – არა. გიხსენებენ. გახვალ და ისევ მათთან იქნები.

მამუკა – იმათთან რა მინდა! ჩემს გვერდით ვიღა დაჯდება! ყველა ეჭვის თვალით დამიწყებს ცქერას და ჩემი შიშით მერხში ჩანთას აღარ დატოვებენ! *(ორივე გაყუჩდა, რადგან კულისებიდან მოესმათ):*

კურკას ხმა – ახლა წადი.

მამის ხმა – ჰო, წავალ. მატარებელმა არ გამასწროს. თავმჯდომარეს ერთი დღით დავეთხოვე. გლეხი კაცი, ხო იცი, ახლა სად უნდა იყოს. ამხელა მუტრუკი აქა გდიხარ და იქა ყანა ყვირის!

კურკას ხმა – მე ხო გულზე მაღოღდება აქ გდება! ვინ მიშვებს რო! აჰა, წამიყვანე!

მამის ხმა – წაგიყვანო, მეცა უჩინმაჩინის ქუდი მაქ! რო აღარ დადექ, გარეთ არ ტიალდებოდი?
კურკას ხმა – კარგი ახლა, მამა, ხო მოგწერეთ, მაპატიეთ-მეთქი!
მამის ხმა – ჰო, წერა გასწავლეს და „მაპატიე“ მუქთი გაქვთ“
კურკას ხმა – წყარო არ გამოიყვანეთ?
მამის ხმა – წყარო? როგორ არა, შვილო, დედამ არ მოგწერა? ახლა სულ ათ ნაბიჯზეა ჩვენგანა.
კურკას ხმა – როგორ არიან?
მამის ხმა – ვინა?
კურკას ხმა – მეზობლები.
მამის ხმა – კარგათა. კომშას ბიჭი დაქორწინდა. ნალბანდიანებმაც რძალი მოიყვანეს და ხბო ეყოლათ.
კურკას ხმა – დიანოზა როგორ არი?
მამის ხმა – ამ ჩამადან ხო უყურებ?
კურკას ხმა – ი!
მამის ხმა – „ი“ იქნება, რო თავში დაგიშვებ!
კურკას ხმა – ი!
მამის ხმა – აღარ ეშვები იმის გოგოსა? იმ დღეს შენი წერილი უნახა საწყალ გოგოსა, ორთქმავალივით აყვირებდა.
კურკას ხმა – ჰოდა, რო გამოვალ, იმ შენ დიანოზას ჩვენი სირენასავით დავაყვირებ და მერე ისევ აქ დავჯდები!
მამის ხმა – შენ რო კიდევ დაჯდე, დედაბუდიანად ალაზანში გადავცვივდებით!
კურკას ხმა – ჰოდა, ჭკვიანად იყოს დიანოზა! რო გვასწავლიან, ეს ელგუჯაო, ეს მზაღოო, მოიტაცაო, გაიტაცაო... რო თქვა, არ უნდა მოეტაცნაო, მასწავლებელი ორიანს დაგიწერს!
მამის ხმა – ვინ მოიტაცაო?
კურკას ხმა – ელგუჯამაო!
მამის ხმა – ელგუჯა ხო ჯარშია! *(ელიოზსა და მამუკას განწყობა სრულიად შეეცვალათ. ისინი ღიმილით უსმენდნენ მამა-შვილის საუბარს)*
ელიოზი – *(უბიდან ქაღალდი ამოიღო)* გამომართვი, ნახვის ნებართვაა. მოსაცდელში დედა გელოდება. *(მამუკა გაფრინდა)*

მამუკა მირბის. ბებია ელოდება.

მამუკა – დედა!
ბებია – შვილო! მოგიკვდეს ჩემი თავი! *(გულში ჩაეკვრნენ ერთმანეთს)* როგორა ხარ, ჩემო დატანჯულო შვილო!
მამუკა – დედა, შენ გენაცვალე, დედა!
ბებია – როგორ გამხდარხარ!
მამუკა – მე რა მიჭირს! შენა? ავად ყოფილხარ!
ბებია – შენს წილ სულს არ ამოვუშვებ, შვილო! ვიდრე არ გათავისუფლდები, ვიდრე ოჯახს არ მოეკიდები და შენს ბავშვს არ დავინახავ, მანამდე არაფერი დამემართება! აი, შვილო, რა მოგიტანე. *(ჩანთიდან ორი მსხალი ამოიღო)* ჩვენი ბაღისაა, მეტი არ შერჩა. ეს კი წინდები. ხანდახან ისე ცივა, ზამთარი მგონია. ფეხები თბილად გექნება... ეს კიდევ იმას წამოვუღე. შენი ამხანაგი რომ არის.
მამუკა – ნუგზარი!
ბებია – ობოლი ბიჭია, უპატრონო. ვინ იცის, არავინ აკითხავს! ან ვინ მოუვა, ვინა ჰყავს... შენ რომ მწერდი, იშვილეო, წავიყვანოთ ჩვენთან, როცა

გათავისუფლდება, მადლია! *(მამუკა მოეხვია).* გაგეხარდა? ვიცოდი. ოღონდ შენ იყავი კარგად, ყველაფერს გავაკეთებ. მომიყვანე ნუგზარი. *(მამუკამ მიმოიხედა. ბიჭები, რომელთაც არავინ მოსვლიათ, შორიახლოს დგანან და მათ შეხვედრას სევდიანი თავალებით უცქერენ. ალბათ, გაიგონეს კიდეც, რომ ერთმა მათგანმა დაიძახა: „ნუგზარ!“ ეს დაძახება ესტაფეტასავით წავიდა შორს... შემოდის ნუგზარი. შენიშნა ბებია და შორს გაჩერდა)* მოდი, შვილო, ახლოს მოდი! *(თვითონ მივიდა)* როგორა ხარ? მიცანი? მე მამუკას დედა ვარ. მაშინ გაბრაზებული ვიყავი. დედა ვარ და გავმწარდი... გახსოვს, სასამართლოზე რომ გეჩხუბე? მაშინ გაცეცხლებული ვიყავი მე უბედური!.. აი, შვილო, ეს მოგიტანე. მამუკასაც ასეთი მოვუქსოვე. რა ვქნა, მეტი არ შემიძლია. გამომართვი *(ძალით ჩაუდო წინდები ხელში. ნუგზარმა, თითქოს შველას ითხოვს, უმწეოდ გადახედა მამუკას)* ასე, შვილო, გული არ გაიტეხო. კარგი იყო, ეს არ დაგმართოდათ, მაგრამ შეცდომა ყველას მოუვა, ცხოვრება წინა გაქვთ... ახლა უნდა დაგემშვიდობოთ. ახლა ყოველდღე ვივლი. სახლში მაინც ვინ დამრჩენია! აბა, შვილებო, *(მამუკას აკოცა)* შენ იცი, ერთხელ ნატკენ გულს ნუღარ მატკენ. ყოჩაღად იყავი! *(ნუგზარს აკოცა)* კარგად იყავი, შვილო, ახლა გლოცავ ისე, როგორც ჩემ მამუკას ვლოცავ! შენ და მამუკა ძმებივით უნდა იყოთ. რომ გათავისუფლდები, ჩვენთან იცხოვრებ. სანამ შემეძლება, დედობას გაგიწევთ. მერე თქვენ თვითონაც გაიგნებთ გზას... ნახვამდის. *(გავიდა. მამუკამ გააცილა. ნუგზარი დგას გაოგნებული. წინდები გულთან მიუდვია).*

ელიოზი და მამუკა.

ელიოზი – მამუკა, მაშინ რომ გითხარი, დედა მოგივიდა მეთქი, კი არ წახვედი, გაფრინდი. იცოდი, რომ ბებია იქნებოდა? *(მამუკა არ პასუხობს)* ნამდვილი დედა რომ მოსულიყო, მაშინაც ასე გაფრინდებოდი? *(მამუკა არ პასუხობს)* ეჰ, მამუკა! აკვირდებიან, აღრიცხავენ, თუ რამდენი კვდება კიბოთი, ან გულით... მაგრამ არავის აღურიცხავს, რამდენ დედას სიცოცხლეს უნახევრებს შვილზე დარდი. და არცერთი შვილი არ დაფიქრებულა ამაზე!

ნუგზარი მიდის. წინდები მიაქვს,
როგორც განძი.

დოცენტი – *(წინ გადაუდგა)* ცნობა მოვიდა, ნიშანს ელოდებიან სარდლობიდან. *(ბოროტი ღიმილით)* ანზორი კი ჯიბის ფულს გვაძლევს! *(ნუგზარი არ შეჩერებულა, არც შეუხედავს მისთვის. გავიდა)*

აღმზრდელის კაბინეტში ანზორი
ხელფასს არიგებს.

ჭინკა – *(უწყისზე ხელი მოაწერა)* ძია ანზორ!.. დღეს მამაჩემი უნდა მოვიდეს...
ანზორი – კარგი. ჰო, ვეტყვი, რომ გამოსწორდი. *(კულისებისკენ)* შემდეგი!
ჭინკა – მაგას არა გთხოვთ, ძია ანზორ! ხელფასს შესანახად ვერ მოგაბარებთ. მჭირდება. მამას ვალი ჰქონია და უნდა გავატანო.
ანზორი – დღეს რა ყველას გაუჭირდა?
ჭინკა – რა ვქნა, ძია ანზორ. მამაა, ამაგი ხომ უნდა დავუფასო?
ანზორი – ა, ბატონო, შენი ფული! *(მისცა)* ოღონდ შენ გამოსწორდი!
ჭინკა – გმადლობთ. *(მიდის. მოტრიალდა)* არც სხვებმა დაგიტოვეს ხელფასი?
ანზორი – ერთმა-ორმა კი მომაბარა.
ჭინკა – ვინ?
ანზორი – მაგისთვის მცხელა, ახლა ანგარიშები ჩაგაბარო! შემდეგი! *(ჭინკა გავიდა. შემოდის ალეკო)*
ანზორი – მოდი დროზე, მთელი დღე თქვენს ფულს გადავყევი!
ალეკო – *(უწყისზე ხელი მოაწერა, ფული არ აიღო. შეშინებულივით)* ფული არ მინდა, ძია ანზორ! ხომ ყოველთვის გიტოვებდით? არც ხურდა მინდა. პაპიროსს აღარ ვეწევი!
ანზორი – კარგი, შემდეგი მოვიდეს. ქვარიანი!
ალეკო – *(აგზნებული)* ძია ანზორ...
ანზორი – ჰო, რა გინდა, მითხარი, მოცლილი კი არა ვარ!
ალეკო – *(გულმოკლული)* არაფერი. წავალ, ქვარიანს დავუძახებ *(გავიდა. შემოდის ნუგზარი).*
ანზორი – *(საზეიმო ტონით)* ქვარიანი! დღევანდელი დღე შენს ცხოვრებაში დაუვიწყარი და ბედნიერი იქნება! დღეს შენ პირველად იღებ ხელფასს, შენი ოფლითა და მარჯვენით მოპოვებულს! მართალია, ცოტაა იგი, მაგრამ ალალია! შენ ხომ ჯერ ისევ მსჯავრდებული ხარ! და მაინც იღებ ხელფასს! თუ წინათ შენ სხვის ქონებას ითვისებდი, ახლა შენი ოფლით შეძენილი ლუკმაც ნახე, რარიგ ტკბილია! *(ნუგზარი ჯერ უხალისოდ უსმენდა. ახლა სიბრაზე მოერია. ანზორი კი აგრძელებს)* დღეიდან შენ საბოლოოდ უნდა შეაქციო ზურგი... *(ამ დროს ხმაური ატყდა: ვიღაც ყვირის, ვიღაც ილანძღება. ანზორი გარეთ გავარდა. ნუგზარი უცებ მიხვდა, რომ განსაცდელის წინაშე დადგა. გასვლა უნდოდა, მაგრამ სად წავიდეს? მაგიდაზე ფული ყრია! ვინმემ რომ მოიპაროს, მას დაბრალდება. არა და, ძნელი ყოფილა უპატრონოდ დაყრილი ფულის ყურება გულგრილად. სიმწრის ოფლმა დაასხა სახეზე. თითები დაიჭამა. გარეთ ჯობია. კართან დადგება, რომ არავინ მოიპაროს ფული. მიდის. კარებში შეეფეთა გაშმაგებულ ანზორს)*
ანზორი – მხეცები! ნადირები! მაგათ ხელფასი კი არა, როზგები უნდა გამოუწერო! *(დაუბრუნდა მაგიდას და გაშლილი ფული რომ დაინახა, ახლა მიხვდა, რომ მგელს ცხვარი დაუტოვა. რისხვით შეხედა ნუგზარს და ფულს დააცხრა – დათვლა დაიწყო. ნუგზარი შეურაცხყოფილია. მიდის. მაგრამ ანზორი დაეწია)* ფეხი არ მოიცვალო, შე... *(თვლა გააგრძელა)*
ელიოზი – *(შემოვიდა)* რა ხმაური იყო?
ანზორი – *(მისთვის არ სცალია. თვლის. შემდეგ მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები აშალა. გაცოფდა)* აკლია! აკლია! *(ნუგზარს მიეჭრა)* ამოატრიალე ჯიბეები!
ელიოზი – მოიცათ, რა მოხდა, ანზორ?
ანზორი – ხმაურზე გავედი და ეს ვაჟბატონი აქ დავტოვე, ფულებთან! ხუთი მანეთი აკლია! *(ნუგზარს)* ახლავე დადე ადგილზე!

ელიოზი – მოიცა! იქნებ დათვლა შეგეშალა? ხელახლა დავთვალოთ.
ანზორი – ფულს პირველად ხომ არ ვარიგებ?
ელიოზი – შეცდომა მოლარესაც მოსდის. მით უმეტეს, შენ მოლარე არა ხარ, აღმზრდელი ხარ! მოდი, ნუგზარ, შენც მოგვეხმარე. მოდი-მეთქი! *(ნუგზარი გაუბედავად მიდის)* აჰა, ნაწილი შენ დათვალე. *(მისცა ფული. თვლიან)* გეუბნები, შეგეშლებოდა, ამხანაგის ფულს ვინ მიითვისებს? აჰა, ჩემთან ორმოცი მანეთია. შენთან, ნუგზარ?
ნუგზარი – *(ხმა ძლივს ამოიღო)* ოცდათერთმეტი მანეთი.
ელიოზი – კეთილი. *(ანზორს)* ახლა შენიც მიუმატე და იანგარიშე. *(ანზორი ანგარიშობს. თავი ჩაღუნა, შუბლი მოისრისა. გაიღიმა. ელიოზს ახედა)*
ელიოზი – კიდევ აკლია?
ანზორი – ახლა სწორეა.
ელიოზი – *(თითქოს შეწუხდა. მაგრამ ეს იყო ერთ წამს. სწრაფად შეხედა ნუგზარს)* ხომ ვამბობდი! *(გახალისდა)* ახლა მიეცი ფული და გაუშვი.
ანზორი – მოდი, ხელი მოაწერე. *(ნუგზარი სწრაფად მიდის კარისკენ)*
ელიოზი – ნუგზარ! *(ნუგზარი მოტრიალდა. ხელი მოაწერა. ფული მიიღო)* ახლა მამუკას ფულიც მიეცი. ეს გადასცემს *(ნუგზარმა ფული მიიღო და გავიდა).*
ანზორი – ეს როგორ დამემართა! ბიჭი გადავრიე! თითქოს კარგად დავთვალე!
ელიოზი – დათვლა შენ ნამდვილად კარგად გცოდნია. მართლა გაკლია ხუთი მანეთი... მაგრამ ამ ბიჭისგან არ მოველოდი!
ანზორი – სწორე როგორღა გამოვიდა?
ელიოზი – ეგ ჩემი ფული შევაპარე დათვლაში. მეგონა, ისიც ასე მოიქცეოდა. როგორ ვნატრობდი, ხუთი მანეთით მეტი გამოსულიყო!
ანზორი – თავზე ხელის გადასმით არაფერი გამოდის! როგორ დაგარწმუნოთ? მაგ ბიჭზე ხელი ამიღია! მაგას ვუჩვენებ! *(დაქადნებით მიდის)*
ელიოზი – მოიცა, ასე არ შეიძლება.
ანზორი – ჰო, არ შეიძლება! ახლა ხუთი მანეთი მოიპარა, ხვალ...
ელიოზი – თავი დაანებე მაგ ხუთ მანეთს! ჩვენ საქმე გვაქვს ბავშვთან, რომელიც მილიონი ღირს!
ანზორი – როგორც გენებოთ!.. ჩემს კაბინეტში, ჩემი მაგიდიდან თუ ახლა ხუთი მანეთი... *(უცებ შეწყვიტა. დაიხარა და, როდესაც გასწორდა, უხერხულად გაიღიმა)* ეს ხუთი მანეთი ძირს დამვარდნია!
ელიოზი – ჰა? *(წამოხტა. უსაზღვროდ გაიხარა)*
ანზორი – როგორც ვხედავ, მოლარედ არ ვვარგებულვარ.
ელიოზი – ეგ არც არის საწყენი. ჩვენ ისეც კარგი ხელობა გვაქვს. ოღონდ, ამ საქმეში მეტი გულია საჭირო. *(გამოვიდა კაბინეტიდან. ნუგზარი შენიშნა)* აქა ხარ? მამუკას ფული გადაეცი?
ნუგზარი – *(შეგუბებული ხმით)* არა. ახლა ვნახავ.
ელიოზი – აქ ვის ელოდები?
ნუგზარი – *(თავს ძლივს იკავებს)* ხუთი მანეთი ან ამან დაკარგა, ან მოლარეს შეეშალა. მე არ ამიღია!
ელიოზი – *(ღიმილი შეიკავა)* ვიცი, ვიცი.
ნუგზარი – ჰოდა, გაარკვიოს, თქვენ რა შუაში ხართ?
ელიოზი – მართლაც, მე რა შუაში ვარ?
ნუგზარი – ვიცი, შევნიშნე, დათვლაში თქვენი ფული როგორ...
ელიოზი – ბიჭოს! თითქოს ხელმარჯვედ გავაკეთე!
ნუგზარი – არა. ჯიბიდან ძალიან მოუხერხებლად ამოიღეთ.
ელიოზი – ნუ დარდობ, ყველაფერი გაირკვა. ჩემი ფულიც დამიბრუნეს.

ნუგზარი – გმადლობთ! *(ელიოზმა ხელი მოხვია და წაიყვანა. შემოდიან ალეკო და ზებრა. ისინი ელოდნენ მათ გამოსვლას)*
ალეკო – დანები ნამდვილად აღარ არის?
ზებრა – წაუღიათ. ალბათ, დაარიგეს.
ალეკო – მერე რას ვუყურებთ? ძია ელიოზი ბარემ აქ არის.
ზებრა – ახლა არ ივარგებს. ჩვენზე ეჭვი აქვთ. დოცენტმა რა დროს შემოგვისწრო?
ალეკო – გული მიგრძნობს, ამადამ რაღაცა მოხდება! ჭინკა ისე იმუქრება! რა ვქნათ?
ზებრა – რა უნდა ვქნათ? ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ, იმათ კისერი უტეხიათ.
ალეკო – ჩვენი კისერიც წაიმტვრევა, ზებრა, დაიხსომე!
ზებრა – აჰ, პოეტო, მშიშარა გული გაქვს. წადი, დამშვიდდი. მე ერთ წუთს ძია ელიოზთან მივალ, წერილს მივცემ. ნუ გეშინია! *(გადის)*
ალეკო – პოეტს შეიძლება მშიშარა გული აქვს, მაგრამ შტერ ზებრაზე მეტი ჭკუა აქვს. ვიცი, რა წერილისთვისაც მიბრძანდი ძია ელიოზთან!

ბიჭები შეკრებილან ეზოში. შემოდის ელიოზი.

ელიოზი – ხელფასი ყველამ აიღო?
ჭინკა – ხელფასი! რა ხელფასი, გარეთ ას მანეთს ერთ საათში გავაკეთებდი!
ელიოზი – მართლა? იმ კაცს რამდენი ამოაცალე?
ჭინკა – ზუსტად ასი მანეთი! მთელი თვის ხელფასი. ერთი საათიც არ დამჭირდა.
ელიოზი – მერე, რამდენი მოგისაჯეს?
ჭინკა – რაა, შემთხვევით ჩავვარდი!
ელიოზი – რამდენი მოგისაჯეს-მეთქი!
ჭინკა – სამი წელი.
ელიოზი – აქ ანგარიში ყველამ იცის. სამ წელიწადში ათასზე მეტი დღეა. ეგ ასი მანეთი უნდა გაყო დღეების რიცხვზე. დღეში ათი კაპიკიც არ მოგიწევს. აი, მაგ ათი კაპიკისთვის უნდა იჯდე.
ზებრა – შეიძლება ერთი შეკითხვა?
ელიოზი – ბრძანეთ.
ზებრა – ძია ელიოზ, სანნაწილში გამიშვით, რა? ავადა ვარ.
ელიოზი – რა დაგემართა?
ზებრა – დილიდანვე ვერა ვარ კარგად. აქა მტკივა, მაჟრიალებს.
ელიოზი – მაჯა მაჩვენე... სიცხე არა გაქვს.
ზებრა – ეგრე ვიცი. თავი მიბრუის, თითქოს კარუსელზე ვარ.
ელიოზი – შენ მართლა ავად ხარ. დილაზე გაგიშვებ სანნაწილში.
ალეკო – *(შემოვარდა)* ძია ელიოზ!.. *(ბიჭების დანახვაზე ენა დაება)*, თუ შეიძლება, ცალკე გითხრათ... *(დოცენტის თვალებს წააწყდა)*, საიდუმლო კი არაფერია, ლექსი დავწერე დედაზე.
ელიოზი – ამხანაგების გერიდება? კეთილი, ცალკე მითხარი.
გაიოზი – რა კაცია! ჩვენი გრცხვენია, ბიჭო? გეუბნები, შიო მღვიმელი გამოვა! *(ბიჭები ნელ-ნელა გავიდნენ).*
ალეკო – დავიწყო?
ელიოზი – დაიწყე.
ალეკო –

დედი, დედი, ჩემო დედი,
კვირას რატომ არ მოხვედი?
იქნებ სიცხემ აგიწია,

ჩემი გული დაგიწვია!
შევიყვარე მე წიგნები
და პოეტი შევიქნები.
დაიწყნარე, დედი, გული,
მოვალ გამოსწორებული!

(ლექსის თქმა რიხით დაიწყო, მაგრამ მალე ხმა შეეცვალა. შეშინებული თვალებით სადღაც იხედება)

ელიოზი – რა დაგემართა? რად კანკალებ?

ალეკო – მე ხომ არავის საქმეში არ ვერევი? მე ჩემთვისა ვარ... ამ მეოთხედში...

ელიოზი – რა იყო, რა მოხდა?

ალეკო – ისინი რაღაცას აპირებენ!

ელიოზი – ვინ ისინი?

ზებრა – *(აღელვებული შემოვარდა)* კურკა... კურკას...

ელიოზი – რა მოხდა?

ზებრა – კურკა კიბიდან გადმოვარდა!

ელიოზი – სად?

ზებრა –შესასვლელში გდია! *(ელიოზი გაიქცა)*

ალეკო – *(თავზარდაცემული)* როგორ გადმოვარდა?

ზებრა – შენი ბრალია! ატყდი, ატყდი, არ მოისვენე!

ალეკო – მე რა შუაში ვარ?

ზებრა – დავიმარტოხელე და დანების ამბავი ვუთხარი. ბიჭებთან გარბოდა. ვითომ ჩქარაო, კიბის მოაჯირზე ჩამოსრიალდა. ჩემ თვალწინ გაქრა კაცი. *(ელიოზს ხელში აყვანილი კურკა მოჰყავს და ჩქარი ნაბიჯით გადის. ბიჭებიც აქ არიან, მაგრამ ვერცერთმა გაბედა, მიხმარებოდა. საერთო დაბნეულობა)*

დოცენტი – *(ზებრას)* მაღლიდან ჩამოვარდა?

ზებრა – რა ვიცი, აბა...

დოცენტი – შენ იქ არ იყავი? იქნებ შენ ჰკარი ხელი?

ზებრა – ვაიმე! მე რა... მე ვკარი?

ჭინკა – ჰო, შენა! *(საცემრად მიიწევს)*

ზებრა – რას ამბობთ, ბიჭებო! *(შემოდის ელიოზი და ბიჭები წყნარდებიან. ელიოზი სკამზე დაჯდა. მძიმედ სუნთქავს)*

ელიოზი – კორპუსში შედით... რა გვეშველებოდა, რომ... წადით, წადით. *(ბიჭები გადიან. ფეხი არ მოუცვლია ნუგზარს. ელიოზს უყურებს. ელიოზი უცებ შეინძრა, თითქოს რაღაც გაახსენდა)* გურამ!

ნუგზარი – *(სწრაფად მივიდა)*

ელიოზი – *(შეხედა)* შენა ხარ?

ნუგზარი – *(რცხვენია თავისი გულჩვილობისა)* ცუდად ხომ არ ხართ?

ელიოზი – ამ ბოლო დროს ხშირად მღალატობს ეს ბებერი გული... არც ანზორია.

ნუგზარი – ექიმს დავუძახო?

ელიოზი – ამ გულს ექიმი ვერ უშველის, ნუგზარ...

ნუგზარი – სახლში წაბრძანდით.

ელიოზი – თქვენა?

ნუგზარი – ჩვენ რა გვიჭირს?

ელიოზი – ეს მეორედ მემართება ამ კვირაში... ჩემი დედაბერი გავაწამე!

ნუგზარი – სახლში წაბრძანდით. დაისვენეთ! *(ასე, ალბათ, არავისთვის უთხოვია)*

ელიოზი – წავიდე?

ნუგზარი – გაგაცილებთ... ჭიშკრამდე. *(ელიოზი მძიმედ ადგა. ხელით ანიშნა, რომ გაცილება არ არის საჭირო. წავიდა. ნუგზარი გაჰყურებს მიმავალს. უცებ მის წინ დოცენტი გაჩნდა)*

დოცენტი – წავიდა? მთვრალივით რვიანებს ურტყამს!

ნუგზარი – *(ისევ ელიოზისკენ იყურება)* დოცენტო, ჭინკა გააფრთხილე...

დოცენტი – ჭინკა გაფრთხილებულია და ნიშანს ელოდება!

ნუგზარი – ჭინკა გააფრთხილე, რომ ამაღამ არაფერი არ მოხდება!

დოცენტი – ყური მატყუებს?

ნუგზარი – არა, შენ სმენა არ გღალატობს.

დოცენტი – მაშ შენ გღალატობს გონება!

ნუგზარი – *(ჯიქურ მიუტრიალდა)* ვის ეუბნები!

დოცენტი – *(უკან დაიხია)* ბნელა და ვეღარა გცნობ!

ნუგზარი – გაიგე, რა გითხარი?

დოცენტი – დოცენტი გიჟის ბრძანებას არ ასრულებს!

ნუგზარი – ჭინკა სად არის?

დოცენტი – აუზთან გელოდება. *(ნუგზარი გაიქცა. დოცენტი უცებ მიტრიალდა სხვა მხარეს. დაიყვირა)* ჭინკა! *(უცებ ხმაური ატყდა, ყვირილი, ჭინკას ხმა: „ბიჭებო, გვცემენ!“ შემორბის ჭინკა, რომელსაც ბახვა მოსდევს. ჭინკამ შენიშნა დოცენტი და გული მიეცა. მის ხელში დანა გაჩნდა. აქვეა გაიოზიც. ისინი ხმაურით გაცვივდნენ)* დედამიწა თავის ღერძზე ტრიალებს! *(ისიც ბიჭებს გაჰყვა. ხმაური გაძლიერდა. გურამი და ბახვა ეცნენ ხის გრძელ სკამს და ძელები ააგლიჯეს).*

ნუგზარი – *(შემოვარდა)* კორპუსში შედით და კარები ჩაკეტეთ! *(ისევ უკან გაიქცა. შემოვარდა მამუკა)*

მამუკა – იმათ დანები აქვთ!

ბახვა – ძია ელიოზი სად არის? *(ბიჭები ძელებით შეიარაღდნენ)*

ზებრა – არავინ არის! დრო იხელთეს! *(გარბის)*

ალეკო – *(დაეწია და დააბრუნა)* სად მიძვრები! აჰა! *(ძელი მისცა)*

გურამი – მომყევით! *(გასვლას აპირებდნენ, რომ გამოჩნდა ნუგზარი)*

მამუკა – *(მისკენ გაიჭრა)* ნუგზარ!

ნუგზარი – *(უშიშრად მივიდა ბიჭებთან)* დაწყნარდით! გურამ, ჩაიბარე იარაღი! კოლონიაში ამაღამ სიმშვიდე იქნება! *(შემოვიდნენ ჭინკა და გაიოზი, გურამის წინ დანები დაყარეს)*

დოცენტი – *(შემოვარდა გააფთრებული. ნუგზარს ჯიქურ მიეჭრა)* ვერ გამიგია, კოლონიაა, თუ საგიჟეთი!

ნუგზარი – მაგას გაიგებ!

დოცენტი – მზისა და მთვარის შეჯახება მიწისძვრას იწვევს!

ნუგზარი – იყოს მიწისძვრა!

მესამე მოქმედება

ღამე. წითელი კუთხე. მამუკა ტილოზე რაღაცას ხატავს. ნუგზარი სკამზე ზის და თვლემს.

მამუკა – წადი, დაიძინე.
ნუგზარი – ჰა?
მამუკა – დაიძინე-მეთქი.
ნუგზარი – არ მეძინება. *(ადგა, ნახატს დახედა)*
მამუკა – ჰგავს?
ნუგზარი – ძალიან. *(ფანჯარასთან მივიდა. წვიმის ხმა)* წარღვნაა!
მამუკა – რომელი საათი იქნება?
ნუგზარი – სამი.
მამუკა – ჩვენს გარდა ალბათ ყველას სძინავს. *(გარეთ, კოშკურაზე ერთხელ შემოჰკრეს, მერე ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ)*
ნუგზარი – არა, ყველას არ სძინებია. *(ერთბაშად მოუსვენრად)* ნამდვილად დილაზე მოვა?
მამუკა – ეგრე თქვეს.

ნუგზარი – მაშ უკვე კარგად ყოფილა! *(მამუკამ ფუნჯები დაყარა. დაჯდა. შუბლი მოისრისა. ეძინება. ნუგზარი ფეხაკრეფით გავიდა. მამუკას არ შეუნიშნავს. სცენა ერთ წამს ჩაბნელდა. როდესაც განათდა, მამუკას ისევ სძინავს სკამზე. შემოდის ნუგზარი, ტანსაცმელდასველებული. მამუკამ თავი აიღო. ნუგზარმა გაიღიმა)* ახლა გადაიღო, როცა დამალბო!

მამუკა – სად იყავი?

ნუგზარი – *(აფორიაქებულია)* წამო, დავწვეთ.

მამუკა – გინდა, სულ არ დავიძინოთ?

ნუგზარი – რა გავაკეთოთ?

მამუკა – რა ვიცი. ლოგინში ვერ გავძლებ.

ნუგზარი – როგორც გინდა.

მამუკა – კურკა ხვალ მიდის.

ნუგზარი – რაღა ხვალ, დღეს.

მამუკა – ჰო, საცაა, გათენდება. წარმოგიდგენია, რამდენიმე საათში წავა და ახლა სძინავს! მაგის ადგილას რა დამაძინებდა!

ნუგზარი – იქნებ არცა სძინავს?

მამუკა – კურკამ ოღონდ თავი მისდოს ბალიშზე!.. ჩვენ როდის გაგვითენდება ეგ დღე! ორი წელი, ცხრა თვე და ჩვიდმეტი დღე-ღამე დამრჩა!

ნუგზარი – მე ცოტა მეტი!

მამუკა – რომ გავთავისუფლდები, მატარებლით არ წავალ. ასე მგონია, ფეხით უფრო ჩქარა წავალ. ფრენა-ფრენით წავალ! დედას არ გავაგებინებ, მოულოდნელად მივადგები.

ნუგზარი – უშენოდ გაიგებს.

მამუკა – ჰო, რა მოასვენებს! *(პაუზა)*

ნუგზარი – თაფლო კარგი გოგოა.

მამუკა – თაფლო? ოქრო გოგოა. ძალიან მგრძნობიარე და გულჩვილია... აი, იმათ კი მოულოდნელად გამოვეცხადებით... თაფლო როგორია, იცი? გულუბრყვილო, ნამდვილი ბავშვი...

ნუგზარი – რა ვიცი, დაგვივიწყეს კია... თუმცა, მე ვინა ვარ, მაგრამ შენ რას გერჩოდნენ?

მამუკა – არა, ნუგზარ, ნუ გაამტყუნებ, გოგოებია, ერიდებათ. მე შენ გითხრა, ინსტიტუტში მოგვაკითხავენ, ციხეში ვართ!

ნუგზარი – მართალი ხარ, მამუკა.

მამუკა – თაფლო შენზე ჭკუას კარგავდა.

ნუგზარი – კარგი, თუ ძმა ხარ!

მამუკა – არ გჯერა? დედას გეფიცები!

ნუგზარი – კაციშვილი არ გაჩენილა ქვეყანაზე, მე რომ ვუყვარდე. საკუთარ მამას არ ვუყვარდი, ეს უცხო გოგო რას შემიყვარებდა?

მამუკა – იცი რა? რომ გავალთ, იმათ ხომ არ ეცოდინებათ? დაველოდოთ სკოლასთან. სკოლასთან არა. სხვები დაგვინახავენ. აი, იქ, ბოლოს რომ შევხვდით...

და ვხედავთ იმას, რაზეც ოცნებობენ ბიჭები: მეგი და თაფლო მოდიან. შენიშნეს მამუკა და ნუგზარი.

თაფლო – მამუკა! ნუგზარ!.. *(გაოცებით შეხედა მეგის)* ვერ გვიცნეს? ბიჭო, მამუკა არა ხარ შენ?

მამუკა – *(სერიოზულად)* ბოდიში, ქალიშვილო, თქვენ გეშლებათ.

თაფლო – რა გვეშლება, ბიჭო, რა?!
მამუკა – მოიცა, გოგონი, ვინ არის შენი ბიჭი! ის გირჩევნიათ, შინ წახვიდეთ და იმეცადინოთ. თორემ ახლავე მილიციას დავუძახებ!
ნუგზარი – მოიცა, თუ ძმა ხარ, მილიციას მოეშვი!
მამუკა – *(გაიცინა)* გამარჯობათ, გოგოებო! გამარჯობა, მეგი!.. შენ ისევ ისეთი სერიოზული ხარ. ცივი... მეყოფა ტანჯვა, რაც გამოვიარე, სითბო და სიყვარული მინდა!
მეგი – ძალიან გაიტანჯე?
მამუკა – ძალიან, მეგი! სამი წლის განმავლობაში ყოველ დღე და ყოველ ღამე გიგონებდი. ყოველ დღე შევყურებდი ჭიშკარს და შენ არ ჩანდი, მეგი!.. დავიღალე, მეგი!
მეგი – სამი წლის განმავლობაში ყოველ დღე და ყოველ ღამე გიგონებდი, მამუკა! მე და თაფლო გიგონებდით შენ და ნუგზარს.
მამუკა – მაშ, რატომ არ მოდიოდით?
მეგი – გვრცხვენოდა, მამუკა!
მამუკა – მართალი ხარ. რომ მოსულიყავით, შეიძლება ჩვენ დავმალულიყავით. თქვენი ნახვა გვენატრებოდა, მაგრამ არ გვინდოდა, მოსულიყავით. რა სანახავი ჩვენ ვიყავით!
მეგი – საბრალო მამუკა!
მამუკა – ახლა მოვედით. ჩვენ იმდენი დავკარგეთ, იმდენი განვიცადეთ, თუ გულმა სითბო არ იგრძნო, სამუდამოდ გაცივდება!
ნუგზარი – *(ცხვირსახოცი აჩვენა თაფლოს)* ეს ცხვირსახოცი მაჩუქე!
თაფლო – ვაიმე, შენთან როგორ გაჩნდა?
ნუგზარი – მაჩუქებ, თაფლო?
თაფლო – შენთვის ცხვირსახოცი როგორ დამენანება?
ნუგზარი – ჰო, შენი ჭირიმე! ნუგზარი თავს შემოგევლოს! ერთი ბრძენი სულელი ამხანაგი მყავდა, დოცენტს ვეძახდით. ის მიყვებოდა, ოტელოს დეზდემონასთვის ცხვირსახოცი უჩუქებია. შენ მე მაჩუქე და თუ ოდესმე დაგივიწყო, დამახრჩე, არ დამინდო!
თაფლო – ვერ მოგერევი!
ნუგზარი – შენ არც გაგრევ. მე თვითონ დავიხრჩობ თავს!

გაქრა ოცნება. გაქრნენ მეგი და თაფლო.
მამუკა და ნუგზარი – მოწყენილები.

მამუკა – ჩვენ იმ გზაზე ვეღარ შევხვდებით თაფლოს და მეგის... სამი წლის შემდეგ ისინი მესამე კურსის სტუდენტები იქნებიან.
ნუგზარი – სამი წლის შემდეგ მე კიდევ ორი წელი დამრჩება მოსახდელი. და საერთოდ, თუ შევხვდები თაფლოს... რომელიმე გზაზე...
მამუკა – *(უცებ გაიხედა)*
ნუგზარი – რა იყო?
მამუკა – თითქოს ვიღაცამ გაიარა.
ნუგზარი – წამო, დავიძინოთ, თორემ კიდევ რაღაც მოგვეჩვენება.
მამუკა – ორი საათის ძილი დაგვრჩა.
ნუგზარი – კურკაც კიდევ ორ საათს იძინებს და მერე თავისუფალი იქნება.

დილა. შემოდის კურკა, რომელსაც ბიჭების გუნდი მოსდევს.

კურკა – *(ქალალდს აფრიალებს)* ვაშაა! ვაშაა! შემოვლის ფურცელი! ვერ წარმომიდგენია, ხვალ სხვა საწოლში როგორ უნდა დავიძინო! დილაზე ყურში ისევ ჩამესმება ადგომის ნიშანი და ჩვენებს ნამდვილად დავაფეთებ! კედლებო, თქვენც შემიყვარდით, რადგან სიღნაღში დაკარგული ჭკუა თქვენს შორის ვიპოვე! მაგრამ ღმერთმა ნუღარ მაჩვენოს თქვენი თავი!

გურამი – მაჩვენე! *(ფურცელი გამოართვა, დახედა)* ბიბლიოთეკა, სკოლა, წარმოება... მიდი, აღმზრდელს მოაწერინე.

კურკა – არა. ამ წმინდა ფურცელს მხოლოდ ძია ელიოზმა უნდა მოაწეროს ხელი! დღეს მოვაო.

ზებრა – რომ არ მოვიდეს?

კურკა – მოვუცდი!.. ჩემს საწოლზე უხეირო ვინმე არ მიიღოთ. გავა დრო და ზედ მემორიალურ დაფას გააკრავენ: აქ ეძინა ავი მეზობლის ხელით უსამართლოდ დაღუპულ გუთნიაშვილ კოტეს, „კურკას“. აუჰ!

ალეკო – ბედნიერი ხარ, კურკა! კარგ დროს გადიხარ. გაზაფხულია, ბუნება იღვიძებს!

კურკა – გაზაფხული როა, ეგა მკლავს! მატარებლიდან ჩავალ თუ არა, მამაჩემი თოხს მომაჩეჩებს!

გურამი – ჭკუით იყავი, დიანოზმა არაფერი აგიტეხოს. შენ შენს საქმეს მიხედე.

კურკა – არ უნდა ლაპარაკი! სწავლა რომ მითხრა, ტყუილია, უმაღლესი ჩემი საქმე არ არის. მუშაობით კი, ხელობა მაქვს. ჩემი დიპლომი ვისაც არ უნდა ჩავარტყა თავში, ადგილს ყველა გამომიძებნის.

ზებრა – უმაღლესში მაინც უნდა ისწავლო.

კურკა – თოხის დაკვრას რა უმაღლესი უნდა, ზებრა!

ზებრა – ჰე-ჰე! იქ იცი, რა გოგოებია!

კურკა – რა გესმის უმაღლესისა! უმაღლესი შენა მარტო სასამართლო გაგიგია!

ანზორი – *(შემოვარდა განრისხებული)* დადექ! *(ბიჭები მწკრივად მოეწყნენ)* ჯერ არ მომხდარა, რომ აღმზრდელის კაბინეტი ვინმეს გაეტეხოს. ამასაც მივაღწიეთ! დამნაშავე ვიცი, ვინც არის. ჯობია, თვითონ გამოტყდეს!

გურამი – რა წაიღეს?

ანზორი – დანები! მაშინდელი დანები!

გურამი – თუ შეიძლება, ამ ამბავს ნუ გავახმიანებთ... ძია ელიოზი მოდის და ნუ გავაგებინებთ! ჩვენ თვითონ გავარკვევთ.

ბახვა – დამნაშავე თვითონ მოვა თქვენთან.

ანზორი – ხუთ წუთს გაძლევთ დროს! *(გავიდა)*

გურამი – *(მამუკა გვერდზე გაიყვანა)* წუხელ არაფერი შეგინიშნავს?

მამუკა – არა. რა უნდა შემენიშნა?

გურამი – გავიდეთ. *(გავიდა ყველა, გარდა ნუგზარისა და დოცენტისა)*

დოცენტი – ვფიქრობ, ახლა მაინც იწვიმებს. ცისარტყელა აღარ გამოვა! *(ნუგზარს ვითომ არ გაუგია)* კურკას გათავისუფლება ღირსეულად უნდა აღინიშნოს! დოცენტმა სიცოცხლეში ერთი შეცდომა დაუშვა და იმას გამოასწორებს.

(შემოვიდა მამუკა. თავი შემოჰყვეს ჭინკამ და გაიოზმა)

ნუგზარი – *(მამუკასთან მივიდა)* დაწყნარდი. დანები მე წავიღე.

მამუკა – ისევ აპირებ? გაფრთხილებ, მე ამათკენ ვიქნები!

ნუგზარი – *(ჭინკას და გაიოზს)* აორთქლდით აქედან! *(ჭინკა და გაიოზი გაცვივდნენ).*

დოცენტი – ისეთი მძიმე ჰაერი ჩამოწვა, მგონი მეც ვორთქლდები!
მამუკა – შენ მაინც მითხარი, დოცენტო, რას აპირებთ?
დოცენტი – ეს პირველი შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში, როდესაც მარცხენამ არ იცის, მარჯვენა რას აკეთებს!
ნუგზარი – მამუკა, ბიჭები დააწყნარე, არაფერს არ ვაპირებთ.
მამუკა – მაშ, დანები რად გინდოდა?
ნუგზარი – რაც გითხარი, საკმარისია. *(მამუკა გავიდა)*
დოცენტი – კარგად შეაბი!
ნუგზარი – მართალი ვუთხარი.
დოცენტი – მოიცა, დანები სადა გაქვს?
ნუგზარი – გადავყარე.
დოცენტი – ღმერთო, შეუნდე ცოდვილს!
ნუგზარი – დოცენტო, ჩემი გულის ადამიანი არ უნდა დაბადებულიყო!
დოცენტი – არაფერია. თუ გაჩნდა, მაგ შეცდომის გამოსწორება ადვილია.
ნუგზარი – მაგას ვინ ამბობს?
დოცენტი – დოცენტი.
ნუგზარი – ბიძის სიტყვებია!
დოცენტი – კიდევ კარგი, გხსომებია!
ნუგზარი – ნეტავი არასოდეს გამეგო!
დოცენტი – ნეტავი შენგან არ გამეგო ეს სიტყვები! მზისა და მთვარის დაჯახებას დავიჯერებდი, ვიდრე შენს გატეხას!
ნუგზარი – დავიღალე! გემი დამეღუპა, კაპიტნად ვერ ვივარგე!
დოცენტი – შენი ერთგული ბოცმანი შენს გვერდით დგას. მიბრძანე, კაპიტანო! კიდევ შეიძლება გემის გადარჩენა!
ნუგზარი – *(მოტყდა)* რა გინდა ჩემგან?
დოცენტი – მე არაფერი. პასუხი ხალხს გაეცი.
ნუგზარი – რა მომიტანა მე იმ ხალხმა! ან მე რა მოვუტანე მამუკას!
დოცენტი – მე წედან ვთქვი, რომ დოცენტი სიცოცხლეში ერთხელ შეცდა. არ შემცდარა!
ნუგზარი – რაზე ამბობ?
დოცენტი – უბრალო მოკვდავს არ შეუძლია გაიგოს ეს სიტყვები. *(ჭინკა შემოსულა. დოცენტი მიეჭრა და ერთი დარტყმით ძირს დასცა. ჭინკამ ღრიალი მორთო. ბიჭები მოცვივდნენ, ანზორიც. დოცენტი უცებ დაცხრა)* ბოდიში, პატივცემულო ანზორ, ეს ისე. ოთარაანთ ქვრივი მკვდარ გიორგისთან იყო და რეგვენი სოსია მეწისქვილე ჭკუაზე მოვიყვანე. დანების საქმე კი ასეა. დღეს უფროსი აღმზრდელი ავადმყოფობის შემდეგ პირველად მოვა. დანების დანახვა მას ცუდ ფიქრებს აუშლიდა. ამის შესახებ მან არაფერი უნდა იცოდეს. ცოდოა, ავადმყოფი კაცია. ამიტომ მისი კაბინეტიდან ზედმეტი ნივთები ევაკუირებულ იქნა.
გურამი – მართლა, ნუგზარ?
დოცენტი – *(გაღიზიანებული)* ეგრე კი არ არის საქმე! ამ მკერდქვეშ ჩვენც გული გვიდევს, განა პროკურორის პაპკა! *(ნუგზარი გასვლას აპირებს. ანზორმა ხელი წაატანა. დოცენტმა ხელი გააშვებინა)* ფრთხილად, უფროსო, ნუ შეეხები... სასიკვდილოა! *(ნუგზარი გავიდა)*
ანზორი – *(ვერაფერი აწამა)* ხუთი წუთი გავიდა. მე ველი დამნაშავეს. *(გავიდა)*
კურკა – ბედი რომ არფერში მაქვს! რაღა ჩემი გათავისუფლების დღეს მოგინდათ აურზაური!
დოცენტი – კურკა! მე როდესაც ხილს მივირთმევ, კურკა არასოდეს დამდგომია ყელზე!
კურკა – შენ თვალში ხომ არ გეპატარავები?

დოცენტი – არა. დიდი კურკა უკეთესია. მე მას ქვას ვარტყამ, ვტეხავ და გულს გეახლები. მერე ხელებს შემოვლის ფურცლით ვიწმენდ!

გურამი – მორჩით ბაზარს! ძია ანზორი პასუხს ელოდება. *(ბიჭები გავიდნენ. ჭინკაც გადიოდა, რომ დოცენტმა დაუძახა)*

დოცენტი – ჭინკა! *(ჭინკა მივიდა)* წელან ცუდად მომივიდა. გეტკინა, თუ გეწყინა?

ჭინკა – შენგან არ მოველოდი. მე რა დაგიშავე?

დოცენტი – მართალი ხარ. ნეტა ყველა შენნაირი მყავდეს! წადი, გაიოზი მომიყვანე! *(ჭინკა გავიდა)* ვაი, ბედის დაცინვას! ხარი გამომეცალა უღლიდან და კატა შევიამხანაგე! *(ჭინკა და გაიოზი მოვიდნენ)* ომი კინოში ხომ გინახავთ? მეთაური რომ კვდება, მერე რა ხდება?

ჭინკა – სროლითა და იარაღით ასაფლავებენ.

დოცენტი – შტერო! ახალი მეთაური დგება! ჩვენც დავკარგეთ მეთაური. ახალი მეთაურის ბრძანება მოისმინეთ!.. ჯერ ეს მითხარით, ისევ ის ჭინკა და გაიოზი ხართ?

ჭინკა –

} მაშ ვინა ვართ?

გაიოზი –

დოცენტი – მაშ, დავიფიცოთ, რომ ერთმანეთს არ ვუღალატებთ! დედამიწა ისევ თავის ღერძზე ტრიალებს! მე ვიცი, დანები სად წავიდა.

ჭინკა – სად?

დოცენტი – ჩუ! ბევრის ცოდნა კაცს წაახდენს. მაშ, მზად ხართ სამსახურად!

აღმზრდელის კაბინეტი. ანზორი. შემოდის მამუკა.

ანზორი – მოდი, მამუკა, მოდი... იცი, მე შენზე შეხედულება შევიცვალე?

მამუკა – *(უგულოდ)* არ ვიცი.

ანზორი – ახლა შენით კმაყოფილი ვარ. წუხელ რას ხატავდი?

მამუკა – ჯერ ვერ გეტყვით.

ანზორი – უკვე დაამთავრე?

მამუკა – დავამთავრე.

ანზორი – ყოჩაღ! ალბათ ღამე არ გიძინია?

მამუკა – არა, სამი საათი იქნებოდა, რომ მოვრჩი.

ანზორი – მაგ დროს მეც გამეღვიძა, წვიმდა.

მამუკა – ჰო, იმას ვამბობდით, წარღვნააო.

ანზორი – ამბობდით? შენთან სხვაც იყო?

მამუკა – ნუგზარი იყო. ვერ მოვიშორე. იჯდა და მიყურებდა.

ანზორი – მაშ, სულ იჯდა და გიყურებდა? გარეთ არ გამოსულა!

მამუკა – არა. ერთი ორჯერ გამოვიდა. მაგრამ დილამდე რომ მემუშავა, არ დაიძინებდა.

ანზორი – ნუგზარმა როდის გატეხა ჩვენი ოთახი?

მამუკა – არ ვიცი. წუხელ საეჭვო არაფერი შემინიშნავს.

ანზორი – შენ იცი, წუხელ საწყობიც გატეხეს! მთელი ათეულის ტანსაცმელი მოიპარეს. კვალი ნუგზარისკენ მიდის. არ ელოდი? გეგონა, შენმა მხატვრობამ გაიტაცა და ამიტომ ფხიზლობდა?

მამუკა – *(ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ)* არა მჯერა.

ანზორი – არც მე მინდა დავიჯერო, მაგრამ ფაქტს ვერ გაექცევი. წადი, ნუგზარი მოიყვანე. წადი მეთქი! იცოდე, სიტყვა არავისთან წამოგცდეს.

მამუკა – მე და ნუგზარი წუხელ ერთად ვიყავით. და თუ მან დანაშაული ჩაიდინა, თანამონაწილედ მეც ჩამთვალეთ!

ანზორი – მე მომწონს მეგობრისთვის ეს თავდადება, მაგრამ ამისთვის ნუგზარი არ ღირს. შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და ტყუილად თავს ნუ იღუპავ. ნუგზარის მსგავსებს ვერაფერი გამოასწორებს. შენ კი რა კარგი დედა გყავს. დამიჯერე და ჭკუით იყავი. ნურავის ეტყვი: მანქანა გამოძახებული მყავს, ნუგზარი აქედან უნდა გავაგზავნო. იქნებ იქ მოვიდეს ჭკუაზე, წელამდე თოვლში რომ იმუშავებს. აქ ტყუილად წამლავს ჰაერს. წადი, დაუძახე!

მამუკა – მე არ.. არ მჯერა.

ანზორი – დანების მოპარვა ხომ აღიარა? ჰოდა, საწყობიც მაგან გატეხა. დამიჯერე, მისი მტერი არა ვარ, მაგრამ უტყუარი ფაქტები მაქვს. დაუძახე ნუგზარს! *(მამუკა გავიდა, ტელეფონში)* უფროსის კაბინეტი... ამხანაგო უფროსო, მანქანა მოვიდა? ახლავე წამოვიყვან ქვარიანს. დიახ, გამოტყდა, *(ყურმილი დადო)* დღეიდან კოლონია მოისვენებს, მეც მოვისვენებ და ჩემი ათეული აღარ იქნება ყველას სალაპარაკო! *(გამოჩნდა ნუგზარი)* რას დგახარ?

ნუგზარი – თქვენ დამიძახეთ.

ანზორი – მერე, შემოდი! *(ნუგზარი მიუახლოვდა)* თვალები რად დაგწითლებია?

ნუგზარი – *(უგულოდ პასუხობს)* ასე მემართება.

ანზორი – ალბათ ბევრი კითხვით!

ნუგზარი – რად დამცინით?

ანზორი – წუხელ არ გეძინა?

ნუგზარი – გვიან დავიძინე.

ანზორი – რას აკეთებდი?

ნუგზარი – არაფერს. არ დამეძინა.

ანზორი – ნახატი მოგწონს?

ნუგზარი – აბა რაღას მეკითხებოდით/

ანზორი – დანები რა უყავი?

ნუგზარი – დანებზე ნუ დარდობთ. მისი ადგილი ჩემს გარდა არავინ იცის.

ანზორი – მითხარი. ვინმემ ხომ უნდა იცოდეს მისი ადგილი?

ნუგზარი – მე ხომ ვიცი?

ანზორი – შენ ცოტა ხნის შემდეგ აქ აღარ იქნები.

ნუგზარი – *(არ ელოდა)* სად ვიქნები?

ანზორი – მანქანა მზადაა, კეთილ მგზავრობას გისურვებ!

ნუგზარი – სად მაგზავნით?

ანზორი – შორეულში. შენ ხომ ადრევე ასე გინდოდა? მიდი, შენი ბარგი მოკრიფე და წავიდეთ.

ნუგზარი – *(ფეხს არ იცვლის)* ძია ელიოზმა იცის?

ანზორი – ძია ელიოზმა თვითონ დაწერა პატაკი შენს გაყვანაზე. მანქანასთან გელოდება.

ნუგზარი – უკვე მოვიდა?

ანზორი – შენს გასაცილებლად მოვიდა! *(ნუგზარს წამიერი გამოცოცხლება გაუქრა. მხრებჩამოყრილი მიდის)* ოღონდ ჩქარა!

ნუგზარი – *(მოტრიალდა)* მე მზად ვარ. წასაღები არაფერი მაქვს. *(ანზორს გაჰყავს ნუგზარი).*

გურამი, ბახვა, კურკა, ზებრა, ალეკო.

ისინი უყურებენ მიმავალთ.

გურამი – სად მიჰყავს?
ბახვა – უფროსთან!
ალეკო – საწყობის გატეხაში თუ გამოტყდა!
გურამი – მამუკას ეცოდინება. მამუკა სად არის? მამუკა! ჰო, უფროსთან მიჰყავს.
კურკა – *(გახარებული)* ბიჭებო, ძია ელიოზი! აკი არ მოვაო?
ალეკო – ისინი ვერ დაინახა!
გურამი – აქეთ მოდის! *(დაფაცურდა)* ბიჭებო, დადექ! *(კულისებშიც შეძახილები: „დადექ“ - ათეული მწკრივად მოეწყო)* ძია ელიოზი მოდის! ბახვა, შენ იცი. ნიშანს მოგცემ. ალეკო, მზად ხარ?
ალეკო – ფიქრი ნუ გაქვს!
დოცენტი – კაცი გვაკლია!
გურამი – მამუკა სად არის?
დოცენტი – მე ნუგზარზე ვამბობ! *(ელიოზი შემოდის)*
გურამი – ყურადღება, სმენა!
ალეკო – *(წინ წამოდგა. რიხით)*
„ღრუბლები გაიფანტა, მზე ამოვიდა დამეგათეული,
ჩვენ ძია ელიოზს მიესალმება მთელი ათეული!“
(ბიჭები ტაშს უკრავენ. ბახვამ რაღაც შეხვეული ამოიღო, მაგრამ არ აფეთქდა)
ბახვა – რაკეტის მეორე საფეხურმა მიმტყუნა!
ელიოზი – *(არ ელოდა ასეთ დახვედრას)* გამარჯობა ბიჭებო!
ბიჭები – სალამი! როგორ ბრძანდებით?
ელიოზი – ნუგზარი რა იქნა? მამუკა?
გურამი – მამუკა ახლა აქ იყო. ნუგზარი ძია ანზორმა უფროსთან წაიყვანა.
ელიოზი – უფროსთან? რა დააშავა?
ალეკო – დანები... *(ბიჭებმა გააჩერეს)* არ ვიცი.
მამუკა – *(შემოვარდა)* ძია ელიოზ, ნუგზარი კოლონიიდან უნდა გაიყვანონ!
ელიოზი – რა დააშავა?
მამუკა – მანქანა მზად არის, კოლონიიდან გაჰყავთ!
ელიოზი – *(ეცა ტელეფონს)* საჩქაროდ უფროსის კაბინეტი!.. ქვარიანი თქვენთან არის? უკვე? ძალიან გთხოვთ, დარეკოთ გასასვლელში, მანქანა არ გაატარონ, დააბრუნეთ ქვარიანი!.. შემდეგ მოგახსენებთ ყველაფერს! დააბრუნეთ ქვარიანი! *(დადო ყურმილი)* ცოტა ხნის შემდეგ თქვენი ამხანაგი აქ იქნება.
კურკა – *(ქაღალდი მიაწოდა)* თქვენი ხელმოწერაღა აკლია.
ელიოზი – ამას დიდი სიამოვნებით მოვაწერ. *(მოაწერა)*
კურკა – *(გახარებული)* შემოვლის ფურცელზე ყველა ხელმოწერაა, ამაღამ შინ ვიქნები!
ელიოზი – შენს აღმზრდელებს ხომ არ შეარცხვენ?
კურკა – რომელ აღმზრდელებს? თქვენ არ შეგარცხვენთ. მაშინ მე მოვკვდე! არასოდეს დამავიწყდება აქ გატარებული დღეები! ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, არასოდეს დავივიწყებ თქვენს ამაგს, ძია ელიოზ! როგორდაც უმადური ხელობაა თქვენი სამსახური. აი, გარეთ, სკოლაში, კაცი რომ გაზარდონ და ცოდნა მისცენ, იმ კაცს შვილი რომ ეყოლება, ხომ მიიყვანს თავის მასწავლებელთან და ეტყვის: ჩემო ძვირფასო აღმზრდელებო, თქვენ გამზარდეთ, დამავაჟკაცეთ, ახლა ჩემი შვილი მომიბარებია, ახლა ეს გამიზარდეთო! თქვენთან კი,

თქვენთან ვინ მოიყვანს თავისი ნებით შვილსა, ვინ მოგაბარებთ! თუმცა კი ძალიან კარგი ხართ! მგოსანო, ლექსი!

ალეკო – ლექსი მზად არის!

რომ გაგიღებენ დაკეტილ ვახტსა,
შენ გარეთ გახვალ, ჩვენ აქ დავრჩებით.
მაგრამ ვიშრომებთ, ვისწავლით კარგად
და სწორი გზიდან აღარ ავცდებით.
გზა დაგელოცოს ძვირფასო კურკა,
იცოდე, აღარ მოხვიდე უკან!
(ტაში. ანზორს შემოჰყავს ნუგზარი)

ელიოზი – *(ბიჭებს)* შორს არ წახვიდეთ, დამჭირდებით. *(ბიჭები გავიდნენ)* რა მოხდა?

ანზორი – ახლა მე ბავშვივით გამოვდივარ. მანქანიდან ჩამომაყვანინეთ ქვარიანი!

ელიოზი – რა დააშავა?

ანზორი – წუხელ საწყობი გატეხეს.

ელიოზი – ვინ?

ანზორი – ქვარიანმა. სხვა დანაშაულიც ჩაიდინა.

ელიოზი – საწყობი ქვარიანმა გატეხა? რა წაიღო?

ანზორი – ტანსაცმელი. ჩვენი ოთახიც გატეხა, თვითონ აღიარა, დანები მოიპარა. ახლა საგარეო ტანსაცმელიც გაიტაცა, ჯგუფურ გაქცევას აპირებს.

ელიოზი – საწყობი კარგად შეამოწმეთ?

ანზორი – მე და ოპერმა შეუმოწმებლად მტკაველიც არ დავტოვეთ.

ელიოზი – მაშ ტანსაცმელი დაიკარგა...

ანზორი – მთელი ათეულისა!

ელიოზი – ერთი კაცი შეძლებდა ამას?

ანზორი – ნუგზარს არ გაუჭირდებოდა მთელი საწყობის წამოკიდებაც.

ელიოზი – რამე თუ იპოვნეთ?

ანზორი – აი, ეს ღილი კარებთან ეგდო, და ნაფეხურები. დამნაშავეს ფეხსაცმელები არ სცმია.

ელიოზი – ბიჭები შეკრიბე!

ანზორი – დადექ! *(ბიჭები შემოვიდნენ და გამწკრივდნენ)*

ელიოზი – ბიჭებო, წუხელ მეტად არასასიამოვნო ამბავი მოხდა. საწყობი გატეხეს.

ხმები – საწყობი?
– იქ ხომ ვახტაა!
– ვა, რა სუფთად გაუკეთებია!

ელიოზი – მთლად სუფთად ვერა. კვალი მაინც დატოვა. გაიტაცა თქვენი ტანსაცმელი.

ხმები – ტანსაცმელი?

კურკა – ახლავე დადეთ ჩემი ტანსაცმელი! სიღნაღში ასე ჩავიდე?

ელიოზი – აი, ამიტომ დაგიძახეთ. დამნაშავე თქვენს ათეულშია. ჯერ ვაცადოთ, იქნებ თვითონ აღიაროს.

დოცენტი – მე ვაპროტესტებ! დამნაშავე ჩვენს ათეულში არ იქნება. ასეთ საქმეს ჩვენ დიდი ხანია, ჯვარი დავუსვით.

ელიოზი – გრძნობებს ნუ ავყვებით. დამნაშავეს ვადროვოთ.

დოცენტი – მოითმინეთ. წუხელ ხომ წვიმა იყო?

ელიოზი – მერე წვიმაში ასეთი საქმე არ გაკეთდება?

დოცენტი – კი, მაგრამ იმ თავსხმაში... ან ამდენი ტანსაცმელი რად უნდოდა?

ჭინკა – გამახსენდა!

ელიოზი – აბა, რა უნდა გეთქვა?
ჭინკა – არა, ახლა მე... არა, არაფერი არ ვიცი.
ელიოზი – რა უნდა გეთქვა?
ჭინკა – შეიძლება საწყობთან არაფერ შუაშია, მაგრამ... წუხელ კბილის ტკივილმა არ დამაძინა და დერეფანში გავიარე. ისე გავიარე... წითელ კუთხეში ნუგზარი და მამუკა დავინახე. ნუგზარი სველი იყო.
დოცენტი – ხომ არ გაგიჟდი, ჭინკა?
ჭინკა – რაც ვნახე, იმას ვამბობ
გაიოზი – მაშ არა თქვას? ერთის გულისთვის მთელი ათეული ილანძღება!
დოცენტი – არავის ვაპატიებ ნუგზარის დაჩაგვრას! *(მამუკას)* რას გაჩერებულხარ, წუხელ ხომ ერთად იყავით, ნუგზარი გარეთ ხომ არ გასულა, დასველებული ხომ არ გინახავს და არც არავის ფეხის ხმა არ გაგიგონიათ! იგონებს ჭინკა!
ჭინკა – ჭინკა არ იგონებს! თვითონ მამუკამ თქვას, ჩემი ფეხის სმა გაიოგონეს!
დოცენტი – მოიცათ! წვიმაში სიარული მეც მიყვარს. კაცი მთელი ღამე მამუკასთან იყო. ან ამ ფეხსაცმელს ტალახისა რა ეტყობა?
ელიოზი – დამნაშავეს ფეხსაცმელი არ სცმია.
დოცენტი – ფეხშიშველი იყო?
ანზორი – არა.
დოცენტი – *(ნუგზარს შარვლის ტოტი აუწია. წინდაზე ხელი შეავლო)* მშრალია!
ელიოზი – *(ნუგზარს)* ჩვენი ოთახი შენ გატეხე?
ნუგზარი – *(პაუზის შემდეგ)* მე გავტეხე.
ელიოზი – რა წაიღე?
ნუგზარი – არაფერი.
ანზორი – ხედავთ, ახლა უარყოფს! დანები გაიტაცა!
ელიოზი – ჩემს ოთახში დანებს რა უნდოდა?
ანზორი – ამათ კარგად იციან! გვაჩვენოს, დანები სად წაიღო!
ელიოზი – რა დანები იყო, მაჩვენე.
ნუგზარი – დანებზე ნუ დარდობთ. ჩემს გარდა მისი ადგილი არავინ იცის. გადავყარე.
ანზორი – გვაჩვენოს!
ნუგზარი – *(ელიოზს)* თქვენ წამობრძანდით, მარტო თქვენ! *(ნუგზარი და ელიოზი გადიან)*
გურამი – *(ანზორს)* დანები არ უნდა გეხსენებინათ.
ანზორი – ეგღა მაკლია, შენიშვნები მაძლიოთ!
დოცენტი – რატომ, სწავლა სიბერემდეო, ძია ანზორ!
ანზორი – ხმა!
გურამი – მაგან დანები იმიტომ მოიპარა, რომ ძია ელიოზს არ ენახა.
ანზორი – ტანსაცმელი?
დოცენტი – ტანსაცმელი ჯერ საკითხავია.
ანზორი – ჰო, ანგელოზია თქვენი ნუგზარი, ფრთებიღა აკლია!
დოცენტი – ნერვებს რად ვიშლით? ნახავენ, რომ ყველაფერი ადგილზეა და დაწყნარდებიან. ისე კი, ახალგაზრდობას უფრო ფართო გზა უნდა მიეცეს. თქვენ უფრო საღად მსჯელობთ, ვიდრე ძია ელიოზი.
ანზორი – შენს თავს მიხედე!
დოცენტი – ეგოისტი არა ვარ, გული სხვაზეც შემტკივა. თქვენს სიტყვას ძია ელიოზი კაპიკის ფასს ადებს!
ანზორი – შენს თავს მოუარე-მეთქი!
დოცენტი – ბოდიში, უფროსო! რა გასაჩენი იყო გულჩვილი კაცი! *(დაბრუნდნენ ელიოზი და ნუგზარი, - დაბნეული, აფორიაქებული)*

ანზორი – ნახეთ?
ელიოზი – ვნახეთ.
დოცენტი – მორჩა და გათავდა! დანებს რაღად უკავშირებთ ტანსაცმელს?
ელიოზი – დანები და ტანსაცმელი ერთად აღმოჩნდა.
ხმები – ერთად?
ანზორი – ჩემთვის ყველაფერი ნათელია!
დოცენტი – *(ელიოზთან მივიდა)* დანები და ტანსაცმელი ერთად? არა მჯერა, არა და არა!
ელიოზი – *(ბიჭებს რიგრიგობით შეხედავს)* შენა? შენა? შენა?
მამუკა – *(ყოყმანით)* არა მჯერა...
ელიოზი – *(გაეხარდა. ვედრებით)* რატომ, რატომ მამუკა, თქვი, რატომ არ გჯერა!
მამუკა – *(თავი ჩაღუნა)* არ ვიცი.
კურკა – *(ჩაიბურტყუნა)* რას წარმოვიდგენდი...
ჭინკა – აქ წარმოდგენები კი არა, ფაქტია!
გაიოზი – აქ რაღაა საკამათო? ყველაფერი ნათელია!
ელიოზი – *(დოცენტს)* და შენ მაინც იცავ მეგობარს?
დოცენტი – მომკალით და ვერ დავიჯერებ!
ელიოზი – შენ ნუგზარის ნამდვილი მეგობარი ხარ, ყოჩაღ! ასე უნდა მეგობრის დაცვა. ესენი კი - თითქოს ამხანაგის ბედი არ აღელვებდეთ!
დოცენტი – ამათ ასე იციან, წაქცეულ კაცს ფეხით შესდგებიან!
ელიოზი – მაგრამ შენი გამოქომაგება უსაფუძვლოა. რითი ამტკიცებ მეგობრის უცოდველობას?
დოცენტი – ყველაფრით. და თუ ვერ დავამტკიცებ, მზად ვარ, მისი სასჯელი გავინაწილო!
ელიოზი – კეთილი. მოდი, აქ დადექი. მე ნუგზარის ბრალმდებელი ვიქნები, შენ დაიცავი.
დოცენტი – ეგ ძალთა უთანასწორობა იქნება. დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?
ელიოზი – ამ შემთხვევაში ეგ უადგილოა. აქ დიდ-პატარა არ არის. არის დანაშაული და ფაქტები. ყველამ პირდაპირ გავუსწოროთ თვალი. მზად ხარ? მაშ, დავიწყოთ. დამნაშავე საწყობში გადაძვრა და ტანსაცმელი მოიპარა. ნუგზარმა წუხელ დანები გაიტაცა ჩვენი ოთახიდან. დანების ადგილი მის მეტმა არავინ იცოდა. ნაქურდალი ტანსაცმელი და დანები ერთად აღმოჩნდა. მაშასადამე, დანებისა და ტანსაცმლის ქურდი ერთი პიროვნებაა. რადგან დანები ნუგზარმა წაიღო, ამას თვითონაც აღიარებს, ტანსაცმელიც მას მოუპარავს. გაამართლე! *(დოცენტი დაფიქრდა, ხელები აწია)* მაშ შენც მეთანხმები? სადავო რაღა დაგვრჩა?
დოცენტი – მე მაინც არ მჯერა.
ელიოზი – დამნაშავე ჭკვიანად მოიქცა. თქვენ რომ არ შეწუხებულიყავით და ძილი არ გაგფრთხობოდათ, ფეხსაცმელი გაიძრო და ისე ჩაიდინა დანაშაული. არც იხმაურებდა და კვალიც არ დარჩებოდა.
დოცენტი – მაშ რა ეცვა? წინდები მშრალი აქვს.
ელიოზი – აი, უკანასკნელი იმედი და საბუთი! ნუგზარსა და მამუკას ერთნაირი წინდები აქვთ, ერთმა ადამიანმა აჩუქა. იქნებ ის წინდები ეცვა დამნაშავეს?
ნუგზარი – უფლებას არავის მივცემ, იმ წინდებს თითი დააკაროს!
ელიოზი – დაწყნარდი, ნუგზარ! აქ შენი მტერი არავინ არის. მე თუ უსამართლობას ჩავიდენ, აქ შენი მეგობარი დგას და ის არ მომცემს

ამის უფლებას. *(დოცენტს)* შენ იცოდი, რომ ნუგზარს ის წინდები აჩუქეს?

დოცენტი – გამიგია.

ელიოზი – მაშ, გაიქეცი, მომიტანე!

დოცენტი – *(გარბის. უცებ შედგა, მობრუნდა)* მე რა ვიცი, სად ინახავს?

ელიოზი – მართლაც, შენ რა იცოდი, რომ გაგზავნიდი! ნუგზარ, შენ მოიტანე! *(ნუგზარი გავიდა. ანზორს)* გაჰყევი! *(ანზორი გავიდა. დაძაბული მოლოდინი. ბრუნდება ანზორი)* წინდები რა იქნა?

ანზორი – ადგილზეა.

ელიოზი – რატომ არ მოიტანეთ?

ანზორი – არ გაკადრეს. სველია, ტალახიანი.

ელიოზი – *(უცბად დოცენტს)* მე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ახლაც დაიცავ?

დოცენტი – ასეთ დროს კომენტარები ზედმეტია!

ჭინკა – ახლაც იმართლებს თავს?

გაიოზი – რაღა, რაღა უნდა თქვას?

დოცენტი – მე მაინც... არ ვიცი, რა ვთქვა.

გაიოზი – *(ბოლომდე ვეღარ მიჰყვა დოცენტს, ვეღარ გაერკვა, გაღიზიანდა)* მაშ მე ჩამიცვამს ის წინდები და წვიმაში მივლია!

დოცენტი – *(უეცრად ძლიერად გაარტყა გაიოზს)* მაპატიეთ, პატივცემულო აღმზრდელო!.. მეგობარს რომ მილანძღავენ, ვერ ვიტან.

ელიოზი – შენ ამისთვის დაისჯები.

დოცენტი – ნუგზარისათვის ყველაფერს ავიტან. *(ნუგზარი გამგელებული მოიწევს სცენაზე. მამუკამ ძლივს დააკავა).*

ელიოზი – *(მისკენ წავიდა დინჯად. ნუგზარი დაცხრა და მის წინ დაემხო)* ადექი, ნუგზარ, შენ არ გიხდება ძირს დამხობა!

მამუკა – *(ბიჭებთან მიირბინა, ყველას ჯიქურ შეხედა და დოცენტს გაუსწორდა)* ვიღაცა მზეს უკანასკნელად უყურებს!

დოცენტი – *(მშვიდად)* სრული სიმართლეა!

ელიოზი – ადექი, ნუგზარ, შემომხედე!

ნუგზარი – ერთი დანა მაინც დამეტოვებინა ჩემთვის!

ელიოზი – დამშვიდდი, ნუგზარ. მე ვეჭვობდი და ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საწყობი შენ... არ გაგიტეხავს. *(ბიჭები უცებ ვერ გაერკვნენ)* დამნაშავე სულ სხვაა!

დოცენტი – *(პირველი გაერკვა)* მაშ გამართლდა ჩემი რწმენა!

ელიოზი – სიმართლის დადგენაში შენ უნდა გიმადლოდეთ. მხოლოდ შენ შესძელი მეგობრის გამართლება. ამათ კი ვერ დაიცვეს ნუგზარი!

დოცენტი – ესენი ხომ ხალხი არ არიან! *(გაიოზს და ჭინკას)* უჰ, თქვენი სინსილა!

ელიოზი – დაწყნარდით. ყველაფერი გაირკვა. ახლა გუთნიაშვილს საზეიმო გაცილება უნდა მოვუწყოთ. გაკოხტავდით, ტანსაცმელი გაისწორეთ. *(დოცენტს)* შენ რა, ღილი აგწყდა?

დოცენტი – ამ გაწამაწიაში ლამის მეგობარი დავკარგე, ღილსა ვდიო?

ელიოზი – უნდა სდიო! როდესაც საქმეს აკეთებ, ფრთხილად უნდა იყო, რომ კვალი არ დატოვო. აი, ეს ღილი საწყობში გადაძრომისას აგწყდა! შენი ღილია, გამომართვი, კარებთან ეგდო. *(დოცენტი არ დაიბნა, მშვიდად მიიღო გამომეღავნება)*

ნუგზარი – *(დოცენტს)* ამ საქმეს კაცი არ იკისრებდა! *(ელიოზი დროზე ჩადგა მათ შორის)*

დოცენტი – რაც შენ იკისრე, უარესია!

ნუგზარი – მე შენ კაცად გცნობდი! *(ანზორი გავიდა)*

დოცენტი – ჩვენს კაცობას ხალხი გაარჩევს!

ელიოზი – ნუ აშინებ ამ ყმაწვილს, თორემ სუსტი გული აქვს. სად არის გუთნიაშვილი?

დოცენტი – მოითმინეთ! როგორც ხედავთ, მე მძიმე დანაშაული ჩავიდინე. გამასამართლეთ და კოლონიიდან გამიყვანეთ. ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება! დოცენტი ეს მეორედ შეცდა სიცოცხლეში!

ელიოზი – რას იტყვით, ბიჭებო?

გურამი – თუ შეიძლება, აქ დარჩეს.

ელიოზი – ნუგზარი რას იტყვის?

ნუგზარი – დარჩეს. ჩვენ ბევრი სალაპარაკო დაგვიგროვდა.

ანზორი – *(შემოვიდა)* თუ შეიძლება?.. *(ელიოზი გვერდით გაიყვანა, ქაღალდი გაუწოდა)*

ელიოზი – ეს რა არის?

ანზორი – ვერ ვივარგე! წავალ სადმე. აქ მუშაობას მართლა დიდი გული და თავგანწირვა უნდა. მე ვერ შევძელი...

ელიოზი – მართალი ხარ.

ანზორი – კარგად იყავით. ბედნიერად და ჯანმრთელად!

ელიოზი – ასე ჩუმად მიდიხარ? ბავშვებს არ დაემშვიდობები?

ანზორი – რა აზრი აქვს? ჩემი დანახვა არც არავის ახარებდა და ჩემი წასვლაც გულს არავის დაწყვეტს!

ელიოზი – კეთილი. ოღონდ ეს უკანასკნელი დავალება შემისრულე: დოცენტი იზოლატორში წაიყვანე.

კოლონიის ერთი კუთხე. ერთმანეთთან გაბუტულებივით სხედან ბიჭები, დღეს მომხდარი მოვლენების შთაბეჭდილებათა ქვეშ მყოფნი.

გაიოზი – *(ვიღაც შენიშნა, გაოცებით)* ე! აკი კარცერშიაო! *(შემოდის დოცენტი. მიუახლოვდა ნუგზარს)*

დოცენტი – შენთან საქმე მაქვს.

ნუგზარი – გისმენ.

დოცენტი – *(ბიჭების მისამართით)* არ შეიძლება, დაგვტოვოთ? *(ბიჭები ნელნელა გადიან. მამუკა არ განძრეულა. დოცენტი გაღიზიანდა)* მე და ეს კაცი ყოველთვის მესამე პირის გარეშე ვლაპარაკობდით!

ნუგზარი – წადი, მამუკა. *(მამუკა უხალისოდ გავიდა).*

დოცენტი – გინახავს ფილმი „ადამიანი - ამფიბია“? მე აქ სული მეხუთება და მინდა მოვასწრო სათქმელი.

ნუგზარი – თქვი, რა გინდა.

დოცენტი – ჩვენ ახლა ერთმანეთს უკანასკნელად ველაპარაკებით.

ნუგზარი – რას აპირებ?

დოცენტი – უნდა გავიქცე.

ნუგზარი – გამიგონე, დოცენტო, დაივიწყე ძველი არაკი. არ ივარგებს.

დოცენტი – ვერ დავივიწყებ!

ნუგზარი – სიცოცხლე რად გინდა, - ციხეში გაატარო? არ მოგენატრა ადამიანური ცხოვრება? გვეყო, დოცენტო! ბავშვივით ვოცნებობ გარეთ გასვლაზე. შენ არ იცი, მე დედა მყავს... მელოდაება...

დოცენტი – ნუგზარ, რასაც მე ახლა გავაკეთებ, გულით არ მინდა, მაგრამ სხვა გზა არ არის.

ნუგზარი – რას აპირებ?

დოცენტი – კიდევ შეიძლება გადავიფიქრო, თუ შენ მოინდომებ.
ნუგზარი – მორჩი რებუსებით ლაპარაკს, პირდაპირ თქვი!
დოცენტი – ჯიბეში შენი განაჩენი მიდევს! *(ნუგზარი წამოხტა და დოცენტს ჯიბეზე ხელი მოუსვა. იმავე წამს დახრილ ნუგზარს დოცენტმა ზურგში დანა ჩაარტყა და გაიქცა. კულისებში გაისმა მამუკას ყვირილი: „ბიჭებო“! შემოვარდა მამუკა)*
მამუკა – ნუგზარ! *(მხარში შეუდგა. ბიჭები მოცვივდნენ, მაგრამ გვიანაა: ნუგზარს უცნაური ღიმილი გაეყინა სახეზე).*

ელიოზი, მამუკა, გურამი, კურკა, ალეკო, მეგი, თაფლო. იმავე პოზაში, როდესაც მათ ამბის მოყოლა დაიწყეს.

მამუკა – **ასე მოხდა, ამ ხუთი წლის წინათ... იმ დღემ ბევრი რამ მასწავლა და გამაგებინა. მაგრამ ამისთვის ნუთუ ასეთი მსხვერპლი იყო საჭირო!**
ელიოზი – **მსხვერპლი ნამდვილად დიდი და ძვირფასი იყო! მაგრამ თუ თქვენ სარგებლობას მოგიტანთ, მსხვერპლი უაზრო არ ყოფილა.**

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

1963 წელი

ლახუნდარელის თავგადასავალი

(ს. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით)

სცენის მარცხენა მხარეს სპირიდონის ოთახის ნაწილი.ბუხარი. მაგიდას აწყობს სპირიდონი. თედორიამ დოქი შემოიტანა.

სპირიდონი – ასე, ჩემო თედორია. მგონი ხელი არ დავაკელით ამ სუფრას?

თედორია – როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო! მაგრამ ასეთ ღამეში კუდიანებისა და ჭინკების მეტი რომელი თავმოძულებული გამოვა გარეთ?

სპირიდონი – სხვას რას დავეძებ, გულს ჩემი კიმოთე მაკლია და მისი ნახვა მენატრება!

თედორია – რა ვიცი, სულ დაგვავიწყა, ბატონო, მესამე შემოდგომაა, მის ლანდს არ გაუვლია ამ სახლში.

სპირიდონი – წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, ამადამ უსათუოდ გვესტუმრება... ჩუ! ქარს რა ხმა მოაქვს, თუ ატყობ?

თანდათან ახლოვდება სიმღერის ხმა:

„ცეცხლი თუ მღერის ბუხარში,
გარეთ კი ავი დარია,
თუ შვენის დედალს მოხარშულს
კეცზე შემწვარი ვარია, –
სუფრაც იშლება ხელადა,
ყანწიც გიპყრია ხელადა
და მაჭრით სავსე ხელადა
ბრძენს გადაგაქცევს ხელადა.“

სპირიდონი – *(აღტაცებული)* რა გითხარი შენ, თედორია?! გავარდი და მიეგებე ჩემს კიმოთეს, ჯორი ჩამოართვი! *(თედორია დიდი ხნის „გავარდნილი“ იყო)* ჩემი ხნის კაცს სიზმარი დაეჯერება! *(სიმღერა უკვე ყურისძირში გვესმის):*

„დელი დელა, დელა დელი,
მეგობართან შეყრას ველი
კიმოთე ლახუნდარელი!“ *(სიმღერის ბოლო აკორდი ჯორის ყროყინმა „დააგვირგვინა“. თითქმის შემოვარდა კიმოთე)*

კიმოთე – სპირიდონს შემოევლოს ჩემი თავი! *(მეგობრები ერთმანეთს გადაეხვევნენ, გადაკოცნეს)* ხომ ხარ ძველებურად, ჯანზე!

სპირიდონი – არა მიშავს... ეგ იყო, მეგონა, დამივიწყა კიმოთემ-მეთქი.

კიმოთე – მაგის თქმა როგორ გეკადრება! როცა გაიგებ, რა გადამხდა, დარწმუნებული ვარ, საყვედურს აღარ მეტყვი! *(შემოდის თედორია)*

სპირიდონი – *(აღტაცებული)* თედორია, ეგ ჯირკი ბუხარში და სუფრას შემოვუსხდეთ, მოშიებული იქნება ჩვენი სტუმარი! *(სპირიდონის*

ბრძანება ყოველთვის დაგვიანებულია, თედორიამ იცის თავისი საქმე), ხომ არ გაგიჭირდა გზის გამოგნება? ასეთ ღამეში თითს თვალთან ვერ მიიტან, არ გრძნობ ცას, არც მიწას.

კიმოთე – მართალი ხარ, ჩემო სპირიდონ, მაგრამ შენ იცი ჩემი მოხერხების ამბავი. თქვენს სოფელში ბევრი ციცინათელა იცის, სადაც კი შემომხვდა, არსად გავუშვი, ყველგან შემოვიმატე, ათასს რომ თავი მოვუყარე, ხელში შოლტი დავიკავე, ციცინათელები წინ გამოვირეკე და ისე მინათებდნენ, კაი მთვარიანი ღამე გეგონებოდა.

სპირიდონი – ეგ კარგი მოგიფიქრებია!

კიმოთე – ჩემო სპირიდონ, ეს რა არის, იცი შენ ჩემი გამჭრიახობის ამბავი, რომ გითხრა, გაავებული ძუ ვეფხვი დამიშოშმინებია, არ გაგიკვირდება, მაგრამ როცა გაიგებ რა გადამხდა ამ სამ წელიწადში, ნამდვილად არ დამიჯერებ!

სპირიდონი – ჩემო კიმოთე, ბუხარი მთელი ღამე იღუღუნებს, ახლა გრძელი ღამეები იცის, მე და თედორიას მოგვენატრა შენი ტკბილი და ბრძნული საუბარი, მანამდე ამ სასმისით ჩემი სამი წლის უნახავი მეგობრის მობრძანებას გაუმარჯოს! *(დალია)*

კიმოთე – თქვენს ჯანმრთელად და კეთილად დახვედრას გაუმარჯოს! *(დალია)* ეს კალმახი თქვენს მდინარეში...

სპირიდონი – თედორიამ დაიჭირა. კარგია, სოფელი რომ მდინარის პირას მდებარეობს.

კომოთე – ნამდვილად კარგია, ჩემო სპირიდონ, მაგრამ უკეთესია, თუ მდინარე სოფელს ჩამოუდის!

სპირიდონი – *(პაუზის შემდეგ)* ახლა, ჩვენი სოფელი მდინარის პირზე რომაა, ვითომ უარესი რითია?

კიმოთე – სპირიდონ! შენგან მიკვირს, სად მდინარის პირზე რომაა სოფელი და სად – მდინარე რომ ჩამოუდის!

სპირიდონი – მართალი ხარ, ჩემო კიმოთე, მაგაზე არ დავფიქრებულვართ მე და თედორია. მართლა კარგი იქნებოდა, ჩვენ სოფელს მდინარე რომ ჩამოუდიოდეს! *(სიმღერა წამოიწყო, აჰყვნენ კიმოთე და თედორია)*

კიმოთე – ახლა, ჩემო სპირიდონ, მომაპყარ ყური და მოისმინე, რა გადახდა შენს კიმოთე ლახუნდარელს.

სპირიდონი – თედორია, ბუხარმა არ მოიწყინოს! *(მაგრამ თედორია უკვე ბუხართან იყო)*

კიმოთე – ზუსტად სამი წლის წინათ შევკაზმე ჩემი ჯორი და შენკენ გამოვემგზავრე. იცი, ყველასთვის სანატრელი სტუმარი ვარ, უყვართ ჩემი დარბაისლური საუბრის მოსმენა. ჩემი თავმდაბლობის ამბავი რომ არ იცოდე, ამას როგორ გეტყოდი, სანამ შენი სოფლისკენ გადმოვუხვევდი, უკვე გვარიანად შეზარხოშებული ვიყავი. ხან ვინ შემიპატიჟა, ხან ვინ. იცი, ჩემი

ხათრიანი გულის ამბავი. ისიც იცი, რომ ადვილად ვერ მერევა სასმელი, მაგრამ ამდენ შეპატიჟებას გულბაათ ჭავჭავაძეც ვერ გაუმაგრდებოდა. ჰოდა, მოვდივარ შენკენ... უცებ ერთ გარემოებას მივაქციე ყურადღება. ცისკენ რომ ავიხედე, დავინახე მერცხლების გუნდი თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავდა. გავიფიქრე, თუკი ჩიტები ბედავენ უცხო ქვეყნებში წასვლას, მე რატომ ვერ შევძლებ-მეთქი. გითხარი, ნაქეიფარი ვიყავი, თორემ როგორ ვიზამდი ამას! მოვაბრუნე ჯორი, შემოვკარი დეზი და ფრინველებს დავედევნე.

სპირიდონი – *(აღტაცებული)* დაეწეოდით, რასაკვირველია!

კიმოთე – დავეწიეთ კი არა, გავუსწარით! ამ შეჩვენებულმა ჯორმა თითქოს ისიც ღვინოდალეული იყო, გასწია, მაგრამ რა გასწია! *(სპირიდონის ოთახი ბნელდება. ახლა იმას ვხედავთ, რასაც უამბობს კიმოთე. მაშასადამე, ჯორზე ამხედრებული კიმოთე. გვესმის მისი ხმა)* ისეთ გუნებაზე დავდექი, ის სიმღერა შემოვძახე, ჩვენ რომ გვიყვარს. იცი შენ, ერთდროულად შემიძლია პირველიც ვთქვა და მეორეც, ჩემი ჯორი კი, მაგასთან შემირცხვენია ლა სკალას ბანი! *(მღერის კიმოთე, ბანს აძლევს ჯორი, მაგრამ პირუტყვის „ბანი“ შეშინებულ ყროყინად გადაიქცა, რადგან უცებ გრიგალი ამოვარდა და კიმოთე უნაგირიანად აიტაცა ჰაერში, მას მიჰყვა აყროყინებული ჯორი)* ეს რა უნამუსოდ ამიტაცა ჰაერში ამ ბოროტმა ქარმა! უნაგირზე კი ვზივარ, მაგრამ ჯორი რა მექნა? *(ჯორი ქარმა სხვა მხარეს გაიტაცა)* საით მივფრინავ? ვაითუ, ვარსკვლავად ვიქცე და სამუდამოდ დავრჩე ცის სივრცეში დაკიდებული? მშვიდობით, ჩემო სპირიდონ! მშვიდობით, ჩემო იმერეთო, ჩემო საყვარელო საქართველო!.. უზანგებში კი ფეხები მაგრად მაქვს გაყრილი, მარჯვედაც ვზივარ, მაგრამ ჯორის ჯავრი მკლავს! კია ჩემსავით აზრიანი და უშიშარი, მაგრამ ვინ იცის, ვის ხელში ჩავარდება? რომ ვერ დააფასოს მისი ღირსება და ვირივით ამუშაოს? *(ჰაერში რამდენიმე აქლემი გააქროლა გრიგალმა. ბოლო აქლემს კუდში ჩაჰფრენია კაცი)* კაი გამარჯობა შენი!.. ვერ გავაგებინე ჩემი ქართული! კიდევ კარგი, ენები ვიცი! გამარჯობა, კეთილო კაცო!

კაცი – *(აქლემის კუდში ჩაფრენილი)* გაგიმარჯოს!

კიმოთე – რა ხდება, თუ იცი?

კაცი – გრიგალია!

კიმოთე – მაგას მეც ვხედავ! დადგა ქვეყნის დასასრული?

კაცი – საშიში არაფერია. ყოველ ათას წელიწადში ერთხელ ასეთი გრიგალი იცის ამ მხარეში. უცებ ამოვარდება, აი, მე ზედ შეხტომაც ვერ მოვასწარი!

კიმოთე – მე ზედ კი ვაჯექი, მაგრამ უნაგირიანად ამაგლიჯა!

კაცი – ნუ გეშინია! ახლა თუ გადავრჩით, მერე მთელი ათასი წელიწადი სიმშვიდე იქნება.

კიმოთე – კაი დაგემართოს, კარგად დამამშვიდე! *(უცებ დაადევნა)* როდის ჩადგება ეს გრიგალი?

კაცის ხმა – *(უკვე შორიდან)* მალე, ერთ კვირაში!

ქალაქის მოედანი. ამაღლებულ ფიცარნაგზე, სავარძელში ზის ფუიამას მთავარი მოსამართლე ოტრო ველა. მას მარჯვნივ და მარცხნივ მრჩევლები უსხედან. მათ შორიახლოს გილიოტინაა, იქვე კაცის ტანი და მოკვეთილი თავი გდია. ჯალათს სისხლიანი ნაჯახი უჭირავს: განაჩენი, ეს-ეს არის აღსრულებულა. მოედანზე სეირის მოყვარულნი ინტერესით, სულგანაბულნი შესცქერიან მოსამართლეს. მოულოდნელად ხალხში დაეშვა უნაგირზე მჯდარი კიმოთე.

კიმოთე – *(გვერდით მდგომს)* რა ხდება?

ფუიამელი – სასამართლოა.

კიმოთე – რა დააშავა ამ უბედურმა?

ფუიამელი – *(როგორც სხვებს, მასაც არ შეუნიშნავს კიმოთეს უცნაური გამოჩენა, მისკენ არც მიუხედავს)* სახელმწიფო ღალატი ედება ბრალად.

კიმოთე – აუჰ! ვერ ყოფილა კარგი კაცი! სამშობლოს მოღალატეზე საზიზღარი და შესაჩვენებელი არავინაა ამქვეყნად! *(ფუიამელი არც უსმენს. ამიტომ კიმოთემ ხმას აუწია)* მე წარმოშობით კეთილშობილი და მიმტევებელი ვარ, მაგრამ სამშობლოს მოღალატეს ეგ ეკუთვნის“

ფუიამელი – მოღალატეა თუ არა, ეგ ჯერ არავინ იცის. გაარჩევენ საქმეს მოსამართლენი და მაშინ გავიგებთ ყველაფერს. ბრალდება იქნება არც დადასტურდეს.

კიმოთე – *(შეიცხადა)* როგორ, კაცო?

ფუიამელი – *(ახლა ჩაება სრულად საუბარში)* ჯერ მოვიცადოთ. ხომ გითხარით, საქმის განხილვა ახლა იწყება.

კიმოთე – რას ჰქვია, საქმის განხილვა ახლა იწყება?!

ფუიამელი – ჯერ მოწმეები არ დაუკითხავთ. დაჰკითხავენ და ყველაფერი გაირკვევა.

კიმოთე – *(აღშფოთდა)* არ გადამრიოთ ახლა თქვენ! ჯერ თავი მოჰკვეთეს და სასამართლოს ახლა იწყებენ?

ფუიამელი – დამშვიდდით, ბატონო, იქნებ მართლა მოღალატე აღმოჩნდეს?

კიმოთე – *(უფრო გაცხარდა)* რომ არ აღმოჩნდეს?

ფუიამელი – მაშინ გაამართლებენ. ჩუ!

ოტრო ველა – *(ერთადერთია, რომელმაც დაინახა კიმოთე როგორ დაეშვა ციდან და მისთვის თვალი არ მოუშორებია. წამოდგა)* ვთხოვთ მოწმეებს.

ფუიამელი – რა ემართება ჩვენს მოსამართლეს?

კიმოთე – რა ემართება?

ფუიამელი – ფერი არ ადევს. გული ასე რამ აუჩუყა?

კიმოთე – თავწაგდებული კაცი წინ უსვენია და ეს უბედური რომ გამართლდეს, მერე სად გარბის?

ფუიამელი – ე! განა ცოტა გაუმართლებია? ძალიან მაგარი და სამართლიანია. *(ამასობაში ორი მოწმე დადგა ერთმანეთის პირისპირ)*

ოტრო – მოწმე ავენა დეს პოტ, სასამართლოს მოახსენეთ საქმის ვითარება.

ავენა – მე, როგორც შიშისა და ელდის მინისტრს, მევალება ვიცოდე, ვინ რას ფიქრობს, რადა ფიქრობს, რითი სუნთქავს. ეჭვმიტანილი და ეს მოქალაქე, ჩემ წინაშე რომ დგას, მთელი საღამო ერთ ოთახში საეჭვოდ ჩაიკეტნენ...

ოტრო – ადასტურებთ თუ არა, რომ ეჭვმიტანილმა ამ მოქალაქეს უთხრა, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო?

ავენა – ვადასტურებ. ასე უთხრა ამას, პირადად.

ოტრო – მოწმე აბუ ეტ დედ-ალ, ადასტურებთ თუ არა, რომ ეჭვმიტანილმა გითხრათ, თქვენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო?

ავენa – „თქვენს“ კი არა „შენს“ მეფესო. იმ ოთახში მხოლოდ ორნი იყვნენ.

აბუ – *(ავენას)* ბატონო მინისტრო, თქვენ რა იცით, იქ ხომ არ ყოფილხართ?

ავენა – მე ყველგან ვარ, სადაც არ მელოდებით!

ოტრო – მოწმე აბუ ეტ დედ-ალ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჩვენი მეფე და სამშობლო განუყოფელია?

აბუ – მიმაჩნია.

ოტრო – ვინც მეფეზე ხელს აღმართავს, ხომ არის სამშობლოს მოღალატე?

აბუ – ვინც მეფეზე ხელს აღმართავს, სამშობლოს მოღალატეა.

ოტრო – ადასტურებთ, რომ გითხრათ, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო?

აბუ – ასე მითხრა.

ოტრო – იქნებ ისიც გაგიმხილათ, როდის აპირებდა ტერორისტული აქტის განხორციელებას?

აბუ – ეს ტერორისტი არ იყო.

ოტრო – აბა, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო? იქნებ ჩვენი მეფე უდრეკ მრის-ხანი შენი მეფე არ არის? გამოტყდი და აღიარე!

აბუ – მეფე უდრეკი აქ არაფერ შუაშია.

ოტრო – აბა, ეჭვმიტანილს სხვა მეფესთან რა ესაქმებოდა?

აბუ – ის ჩემი მეფე იყო.

ოტრო – კაცო, რამდენი მეფე გყავს? რომელ მეფეს ემუქრებოდა ეჭვმიტანილი?

აბუ – ჩემ მეფეს.

ოტრო – მეფე უდრეკ მრის-ხანი ვისი მეფეა?

აბუ – ჩემი.

ოტრო – გამოდის, რომ მეფე უდრეკზე აპირებდა თავდასხმას ეჭვმიტანილი?
აბუ – არა.
ოტრო – აბა, ვიზე თქვა, სულს გავაფრთხობინებო?
აბუ – ჩემ მეფეზე.
ოტრო – *(მოთმინება ეკარგება)* შენ ფუიამას მოქალაქე ხარ?
აბუ – ვარ.
ოტრო – ფუიამას მეფეს – უდრეკ მრის-ხანს, თვლი თუ არა შენს მეფედ?
აბუ – ვთვლი.
ოტრო – გამოდის, რომ ეჭვმიტანილი მეფე უდრეკზე აპირებდა თავდასხმას!
აბუ – არა.
ოტრო – აბა, ვიზე გითხრა, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო?
აბუ – ჩემ მეფეზე მითხრა.
ოტრო – *(გაბრაზდა)* კაცო!.. *(მერე მიუბრუნდა მრჩევლებს და დაეთათბირა)*
ფუიამელი – *(კიმოთეს)* აი, ასეთი მაგარი და სამართლიანია ჩვენი მოსამართლე! ძირიძირობამდე ჩაჰყვება და სიმართლეს დაადგენს.
კიმოთე – მართალი გითხრათ, წარმოშობით გონებაგამჭრიახი გახლავართ, მაგრამ ახლა სულ დავთრები ამერია.
ფუიამელი – უარესი მდგომარეობიდანაც გამომძვრალა ჩვენი მოსამართლე. ახლა, ალბათ, თავს მოჰკვეთენ და ამის გასამართლებასაც დაიწყებენ.
ოტრო – იმისათვის, რომ გაირკვეს მოწმე აბუ ეტ დედ-ალის ბრალეულობა თუ მართლეულობა, გადავწყვიტეთ, თავი მოვკვეთოთ და საქმე გადაეცეს სასამართლოს.
ფუიამელი – *(კიმოთეს, გახარებული)* აი, ხომ ვთქვი? *(ჯალათმა ნაჯახი აღმართა, აბუმ მორჩილად გადადო კისერი)*
ოტრო – მოწმე აბუ, სანამ ეჭვმიტანილად ჩაგთვლიდეთ, უკანასკნელად გეკითხებით: ვინ არის შენი მეფე?
აბუ – უდრეკ მრის-ხანი.
ოტრო – მეფე უდრეკს გულისხმობდა, როცა გითხრა, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო?
აბუ – არა.
ოტრო – *(ისევ გაბრაზდა)* აბა, ვის?
აბუ – ჩემ მეფეს.
ოტრო – მოქალაქე აბუ, თქვენ საზრიანთა და სხარტი გონების არასამთავრობო საზოგადოების პრეზიდენტი ბრძანდებით *(რომ ვერაფერი გააწყო, ხვეწნაზე გადავიდა),* ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ, რა მოხდა, იმ ოთახში ჩაკეტილები რომ იყავით?
აბუ – კარტს ვთამაშობდით. მე მეფე ამაყად დავუდე, მეგონა, რომ ყველა ტუზი წასული იყო. ეჭვმიტანილმა მითხრა, შენს მეფეს სულს გავაფრთხობინებო, დააძრო იმავე მასტის ტუზი და კარტი გამიჭრა.

ოტრო – *(ავენას)* ნივთმტკიცება არსებობს?

ავენა – შემთხვევის ადგილიდან კარტი ამოღებულია. *(ხალხში სიამოვნების ჩოჩქოლი. მოსამართლე და მრჩევლები თათბირობენ)*

კიმოთე – *(ფუიამელს)* გამართლდა ხომ? ახლა იმ მოჭრილ თავს როგორ მიაკერებთ?

ფუიამელი – მთავარია, რომ გამართლდა! ახლა გამოიტანენ განაჩენს.

კიმოთე – თავი?

ფუიამელი – რა თავი?

კიმოთე – თავი აღარ აბია კაცს!

ოტრო – *(მრჩევლებთან თათბირის შემდეგ)* ბრალდება, რომელიც ეჭვმიტანილს წაყენებული ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 81 587-ე მუხლის „ბ“ წვივის „ა“ ქუსლით, რომელიც სამშობლოს ღალატისთვის ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, არ დადასტურდა. *(ტაში)*

ფუიამელი – *(კიმოთეს, აღფრთოვანებული)* აჰა, რა გითხარი? ამ მოსამართლესთან სიმართლე არ იკარგება!

კიმოთე – შენ, ჩემო ძმაო, აქ ცოტა აფრაკად ხომ არ ხარ? *(თითი მიიტანა საფეთქელთან)*

ოტრო – *(აგრძელებს)* მოწმეთა დაკითხვისა და საქმის დეტალური ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ეჭვმიტანილი იყო სამშობლოსა და მეფე უდრეკის ერთგული და ღალატი ფიქრადაც არ მოსვლია. სასამართლო კოლეგიამ იგი მიიჩნია გამართლებულად და ამ წუთიდან ვაცხადებთ მის სრულ რეაბილიტაციას. *(ხალხის აღფრთოვანებული ყიჟინა და ტაში. კიმოთეს თანამოსაუბრემ ხელისგულები დაიხეთქა)*

კიმოთე – *(ფუიამელს)* ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა! ასეთი უსამართლო სამართალი?

ფუიამელი – *(ცოტა მკაცრად)* როგორ, არ მოგწონთ ჩვენი წესი?

კიმოთე – *(წრეგადასული აღშფოთებით)* შემირცხვენია ასეთი წესი! სად ვარ, რა ჰქვია, თქვენს ქვეყანას?

ფუიამელი – ფუიამა.

კიმოთე – მართლა ფუიამას!

ფუიამელი – *(სიხარულით აღტაცებული ეძგერა კიმოთეს გულისპირზე)* ხალხო, აქ უცხო ქვეყნის აგენტი აღმოვაჩინე, შევიპყროთ და გავაუვნებლოთ! *(ხალხმა იხუვლა და შემოეხვია კიმოთეს. კიმოთემ იმარჯვა, ხანჯალი იძრო და ბრბოს მოგერიება იწყო)*

კიმოთე – ჭკუას მოუხმეთ, თქვე უბედურებო, თორემ ყველას თავებს დაგაყრევინებთ! თქვენ ვერ გიცვნიათ კიმოთე ლახუნდარელი!

ოტრო – *(კიმოთე ციდან რომ დაეშვა, მისთვის თვალი არ მოუცილებია, ამ ინციდენტის მომწიფების მოწმეც იყო და იჭექა)* შეჩერდით! *(სწრაფად გაჩნდა კიმოთეს გვერდით)* შეჩერდით! *(ბრბო გაჩერდა)*

ვის უბედავთ! უფლის მოციქული გამოგვეცხადა! დაემხეთ მის წინაშე! *(ბრბომ მყისვე აღასრულა ბრძანება)* აპატიეთ ამ უგუნურებს, მოციქულო! *(მერე ხმადაბლა და მოწიწებით)* მე დაგინახეთ, როგორ დაეშვით ციდან! მაშინვე მობილურით მეფე უდრეკს შევატყობინე. გარეგნობაზეც გეტყობათ, რომ ღვთივკურთხეული ბრძანდებით, შუბლზე გაფენიათ კეთილშობილების შარავანდედი!

კიმოთე – მადლობას გიხდით, რომ მოგვისწარით, თორემ ყველას თავებს წავაყრევინებდი!

ოტრო – მადლობა ღმერთს, რომ თქვენი თავი გამოგვიგზავნა. ასეც ვიცოდი, მოციქული ადამიანის სახით ევლინება ქვეყნიერებას. წამობრძანდით მეფე უდრეკთან, მისი უმწიკვლესობა გელოდებათ!

კიმოთე – აჰ, არა. მე წარმოშობით დემოკრატი ვარ და მეფეებს დიდ პატივს არა ვცემ.

ოტრო – ჩვენი მეფე გამორჩეულია! ხალხმა სიყვარულით უდრეკ უმწიკვლესი შეარქვა. გემუდარებით! რომ არ წამომყვეთ, თავს წამაცლის და სამსახურში დამაქვეითებს! დღეს ფუიამაში განსაკუთრებული დღეა. კეთილი ნების ვიზიტად ჩამოდის მეზობელი სახელმწიფოს, ფუიიმას მეფე მუდრეგი. მოციქული საზეიმო ცერემონიალის საპატიო სტუმარი იქნება. *(კიმოთე და ოტრო გავიდნენ. პირქვე დამხობილი ბრბო ისევ უძრავად არის. ბოლოს ერთი შეირხა, წამოიწია და ხალხს გადახედა. ეს მოლა ყბეა)*

მოლა – როდემდე ვიყოთ, ხალხო, ასე დამხობილები? ისინი წავიდნენ!

– რომ არ უთქვამთ, ადექითო? *(უპასუხა ვიღაცამ)*

მოლა – ამას თქმა რად უნდა? ასე ყოფნა გსიამოვნებთ?

– ბრძანებას დაველოდოთ, თორემ უარესად დაგვსჯიან! *(დაიძახა მეორემ)*

– მშვენივრათა ვწევართ, რა, ხო არაფერს გვიშავებენ? *(ეს მესამეა)*

– ჰო, რა მოხდა, ვიყოთ ასე, დედას ხო არ გვაგინებენ? *(თქვა მეოთხემ)*

მოლა – *(წამოდგა)* ყველა ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს: ან მონობა, ან თავისუფლება. მე თავისუფლებას ვირჩევ! *(პათეტიკურად თქვა, მაგრამ ბრბომ ერთსულოვნად იხუვლა, ეცნენ მოლას, ძირს დასცეს, ხელ-ფეხი გაუკოჭეს და თვითონაც დაემხნენ, როგორც იყვნენ მოლას პროტესტამდე)*

ფუიამას სასახლე. სავარძელში ზის მეფე უდრეკი, მის გვერდით – კიმოთე. მათგან მოშორებით, მარჯვნივ და მარცხნივ სხედან ოტრო და ავენა.

ოტრო – *(აგზნებული, აღტაცებული აგრძელებს დაწყებულს)* რომ მოდიოდა ციდან და როგორ დაეშვა მიწაზე, პირველად მე დავინახე!..

ავენა – თქვენო უმწიკვლესობავ, მთავარმა მოსამართლემ შენიშნა, როგორ დაეშვა მოციქული მიწაზე, მე კი ცის გახსნას შევასწარი თვალი, როგორ გამოფრინდა იქიდან მოციქული და ღმერთმა ხელი დაუქნია...

ოტრო – მე მაშინვე შეკრებილ ხალხს ვუბრძანე, დამხობილიყვნენ მის წინაშე.

ავენა – მოციქულო, ხელის დაქნევით უფალმა რა გამოხატა?

კიმოთე – ხელი კი არ დამიქნია, მარშრუტი მომიხაზა, თქვენი ქვეყნისკენ უმოკლეს გზით რომ წამოვსულიყავი.

უდრეკი – ბედნიერები ვართ, რომ უფალმა ჩემს ქვეყანაში გამოგაგზავნათ. გამიგონია, რომ მოციქულები ადამიანის სახით ევლინებიან დედამიწას.

კიმოთე – მართალსა ბრძანებთ, მეფევ უდრეკო. ღმერთი სხვადასხვა ქვეყნიდან არჩევს კეთილშობილი გვარის შვილებს და სამოციქულო კოლეჯში წვრთნის. მერე აგზავნის თავის წარმომადგენლებს.

უდრეკი – როგორც გაერო.

კიმოთე – ზუსტად. ოღონდ გაეროს ელჩებს უფლის კოლეჯში არ უსწავლიათ, ისინი მხოლოდ მიწიერები არიან, ჩვეულებრივი მოკვდავები. ამიტომ ბევრი იაღლიში მოსდით. ჩვენ ანგარიშს თვით უფალს ვაბარებთ.

უდრეკი – რომელი ქვეყნიდან ბრძანდება ჩვენი მოციქული?

კიმოთე – *(ამაყად)* საქართველოდან.

უდრეკი – ეგ რა ქვეყანაა? *(და შეხედა ოტროს და ავენას. არც მათ სცოდნიათ)*

კიმოთე – *(ითაკილა)* როგორ, საქართველო არ გაგიგონიათ?

ოტრო – *(თავი უნდა გამოიჩინოს)* ეგ ბურკინა ფასოს მეზობელი ქვეყანაა?

კიმოთე – გადამრევთ ახლა მე თქვენ! რა ბურკინა, რა ფასო! მზის და ვარდების ქვეყანა! წმინდა ნინო! *(მსმენელთაგან არავითარი რეაქცია, ამიტომ „მიწიერ“ საბუთებზე გადავიდა)* გიორგი სააკაძე! თამარ მეფე! რუსთაველი! *(ახლა კი მოარტყა „ათიანში“)*

ოტრო – *(აღფრთოვანებით)* რუსთაველი!

კიმოთე – დიახ! ჩვენი სიამაყე!

ოტრო – *(გახარებულმა დაუზუსტა მეფეს)* რუსთაველი! თვითონვე რომ დაანგრიეს ზარბაზნებით!

უდრეკი – *(კმაყოფილებით)* აა! ეგ ყველამ ვიცით. სასიამოვნოა! *(მაგრამ კიმოთესთვის „სასიამოვნო“ არ აღმოჩნდა მასპინძელთა „მიხვედრილობა“, სიბრაზე ძლივს დაიოკა)* მაშ, იქიდან ბრძანდებით. კარგია. ახლა უკეთესად გავუგებთ ერთმანეთს! თქვენ დაესწარით ჩვენი სასამართლოს პროცესს, როგორ მოგეწონათ?

კიმოთე – *(წყენა ვერ დაიცხრო და აგრესიულად)* შემზარავი იყო!

ოტრო – შემზარავი?

კიმოთე – კაცს ჯერ თავი წააგდებინეთ და სასამართლო მერე მოაწყეთ, სად არის უდანაშაულობის პრეზუმფცია?

ოტრო – ბოლო სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამართალმა იზეიმა, პიროვნება გავამართლეთ!

კიმოთე – მერე იმ მოჭრილ თავს რას უშვრებით? გუმერაბიკით მიაწებებთ?

ოტრო – თავი რომ არ მოგვეჭრა, როგორ უნდა გაგვეგო, მეფის ერთგული იყო, თუ არა?

კიმოთე – ჯერ სასამართლო განხილვა მოაწყეთ და მერე დასაჯეთ, თუ ღირსია! ასე თავდაყირა საქმე გაგონილა?

ავენა – *(აქამდე ცქმუტავდა, მაგრამ კამათში ჩარევას ვერ ბედავდა, ახლა დრო იხელთა)* სხვათაშორის, ამ კანონის მიღების დროს მე წინააღმდეგი ვიყავი ცალსახად. ოქმშია დაფიქსირებული!

ოტრო – *(მტრულად)* ცრუობ! კენჭისყრის დროს შენ გეძინა!

ავენა – *(არ გატყდა)* პროტესტი მე ასე გამოვხატე!

უდრეკი – *(ორივეს თვალები დაუბრიალა, მაგრამ ოტროს წყნარად მიმართა)* შენ სასამართლოს რეფორმები კიდევ არ დაგიმთავრებია? *(ოტრო დამნაშავე ბავშვივით წამოდგა)* დაჯექი, დაჯექი! გაითვალისწინე მოციქულის რეკომენდაციები. *(კიმოთეს)* იმ თავმოკვეთილის ოჯახს პენსიას დავუნიშნავთ. მართალია, ვერ მივცემთ, ხაზინაში ფული არა გვაქვს, მაგრამ მაინც დავუნიშნავთ და ყოველთვიურად გავუზრდით. იმ სკვერს კი, სადაც ჩვენი შიშისა და ელდის სამინისტროს თანამშრომლებმა ეჭვმიტანილი აიყვანეს, მის სახელს დავარქმევთ. ჩვენი შეცდომები არ გაგიკვირდეთ, დიდი ხანი არ არის, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ...

ავენა – *(გულმოცემულმა ჩაურთო)* სულ ოცი წელიწადია.

უდრეკი – დიახ. და რა არის ისტორიისთვის? ერთი ციცქნა მონაკვეთია. თქვენი დახმარება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას დიდად წაადგება.

კიმოთე – რითი დაიწყეთ ეგ აღმშენებლობა?

უდრეკი – ძველი რაც იყო, დავანგრიეთ.

კიმოთე – ეგ კარგია.

უდრეკი – მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ძველი ყველაფერი ვერ დავანგრიეთ. ვერ მოვერიეთ, ისე მკვიდრად იყო ნაშენები.

კიმოთე – აბა, ასე არაფერი გამოგივათ. შეუსიეთ ხალხი, ხალხი ნგრევაში მარჯვეა! და აგურ-აგურ, ფიცარ-ფიცარ, ლურსმან-ლურსმან ყველაფერს დაშლის და მეზობელ ქვეყანაში გაზიდავს. ძველსაც ხომ დაანგრევთ და საბაზრო ეკონომიკასაც განავითარებთ.

უდრეკი – დიდებულია!

კიმოთე – ბიუჯეტის შესავსებად საგადასახადო სისტემას უნდა გადახედოთ. ტარიფები უნდა ზარდოთ და ზარდოთ!

უდრეკი – მაგ საქმეში მაგარი მრჩევლები მყვანან. იანვრიდან მზის გადასახადი დავაწესეთ.

კიმოთე – მზის გადასახადი? ყოჩაღ! თქვენ ძალიან წინ წასულხართ!

უდრეკი – როგორ, მზის გადასახადს თქვენთან არ იხდიან?

კიმოთე – წარმოიდგინეთ, არა. ვიცი კი, რომ ამ საკითხზე უკვე მუშაობენ. კორუფციასთან ბრძოლის საქმე როგორ მიდის?

უდრეკი – აი, მაგას კი ვერაფერი მოვუხერხე!

კიმოთე – გაუზარდეთ ხელფასები მინისტრებსა და თანამდებობის პირებს.

უდრეკი – გავუზარდეთ, მთელი ხაზინა და ჰუმანიტარული დახმარება მათ დავახარჯე.

კიმოთე – მერე?

უდრეკი მაინც იპარავენ!

კიმოთე – კიდე გაუზარდეთ!

უდრეკი – *(ჩაფიქრდა. მერე ოტროს და ავენას, კმაყოფილებით)* ხედავთ, რას ნიშნავს გამოცდილებათა გაზიარება? ხვალვე მოვიწვიოთ მინისტრთა საბჭოს ჯდომა... თუმცა, ხვალ მეფე მუდრეგთან ვიქნები... ზეგაც... არც ვიცი, როდემდე გაგრძელდება მისი ვიზიტი, კონფიდენციალური საუბრები მექნება, ათასი საკითხი დაგვიგროვდა გასარკვევი. *(უცებ რაღაცამ დაიწკრიალა)*

ავენა – *(ჯიბიდან მობილური ამოიღო)* მწყერი გისმენთ... *(პაუზის შემდეგ უდრეკს)* თქვენო უმწიკვლესობავ, ფუიიმას მეფე მუდრეგი ჩამოფრენილა და აქეთ მოემგზავრება!

უდრეკი – *(გაიხარა)* ჩამოვიდა!.. მოციქული ნამგზავრია და მოასვენეთ! შეადგინეთ მისი გართობისა და დასვენების განრიგი. *(კიმოთეს)* გატყობთ, რომ ჩვენზე ცოტა გულმოსული ბრძანდებით.

კიმოთე – ის სასამართლო ვერ ამოვიგდე გონებიდან. მე წარმოშობით არისტოკრატი ვარ, თანაც ისეთ ქვეყანაში გავიზარდე, სადაც ადამიანი უსამართლოდ ჯერ არ დასჯილა!

უდრეკი – *(ოტროს)* კაცო, ყველას როგორ გდიოთ კუდში?

ავენა – თქვენო უმწიკვლესობავ, მე ხომ მაშინვე დავაფიქსირე ჩემი პოზიცია?

ოტრო – შენ იმ ჯდომაზე გეძინა!

უდრეკი – *(ოტროს)* ასე არ შეიძლება! ჩვენი დემოკრატიული კანონი ძილს არავის უკრძალავს. *(კიმოთეს)* არ შეიძლება, რომ უფლისაგან ნებართვა აიღოთ და სამუდამოდ აქ დარჩეთ? თუნდაც ერთი წლით! თქვენ იქნებით პირველი პირი ჩემს სამეფოში. რა თქმა უნდა, ჩემს შემდეგ.

კიმოთე – ზრდილობაში გაზრდილი კაცი ვარ, მაგრამ უარს გკადრებთ. მე ხომ უნდა წარვადგინო იქ, ზემოთ, ჩემი მივლინების პირუთვნელი ანგარიში?

უდრეკი – გვერდით ერთი მაინც მყავდეს თქვენისთანა!.. მაშინ ერთს გთხოვთ, ვიდრე აქ იმყოფებით, შეითავსეთ მთავარი მოსამართლისა და საგადასახადო ჩაფარ-მინისტრის თანამდებობები.

ოტრო – მათავისუფლებთ, დიდო მეფევ?

უდრეკი – რეფორმებს არ დააყენე საშველი!

ოტრო – თქვენო უმწიკვლესობავ, მოსამართლეებს ხელფასები მოვუმატე, ერთმანეთში სკამები გავაცვლევინე, მერე კიდევ გავაცვლევინებ, კარუსელივით დავატრიალებ, მეტი რა ვქნა?

უდრეკი – ეგ საკმარისი არ არისო, აი, მოციქულმა შენიშვნები მოგვცა. გინდა, გვითხრან, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს არ აშენებთო?! რას გაილურსე, განა სულ მოგიშორებ? შენც კარუსელზე დაგსვამ და, როცა იქნება, შენს ადგილს დაუბრუნდები. ეხლა, მეც ხომ უნდა გავატარო რეფორმები? ჩემი გულჩვილობით კი არ უნდა ისარგებლოთ! ჩემ გამეფებამდე, არ გახსოვს, რა ხდებოდა ქვეყანაში? მადლობა ღმერთს, სახელმწიფოში სიმშვიდე და სტაბილიზაციაა! *(უცებ ქუჩიდან მოისმის გნიასი და განწირული ყვირილი ადამიანებისა. მეფეს ელდა ეცა. ავენამ მობილური ამოიღო)*

ავენა – გნოლი! გნოლი! მწყერი ვარ! *(ავენას სახე შეეცვალა)* ეხლავე მოვდივარ! *(უდრეკს)* ისა... მოლა... ესა... აქეთ მოდიან!

უდრეკი – *(თვალი გააპარა კიმოთესკენ შემკრთალმა. უცებ რაღაც მოიფიქრა და გაიხარა)* მოციქულო, მოდი და ესეთი ხალხი არ გიყვარდეს! მოსულან ტრანსპარანტებით, რომ ფუიიმას მეფეს საზეიმოდ შეხვდნენ! *(ავენას)* ხომ გითხარი, არ გინდა, სტუმარი შეწუხდება!

ავენა – მომიტინგეებს კორდონი გაურღვევიათ...

უდრეკი – ჰოდა, წადი და ის კორდონი გაამაგრე! თუ არ დაიშალნენ, მოლა ყბე მომგვარე! *(ავენა სწრაფად გადის)* როცა ხალხს უნდა, თავისი სიყვარული გამოხატოს, კორდონით ვაჩერებთ. ხალხმა ამას სიყვარულის კორდონი შეარქვა. *(ოტროს)* მოციქული ნამგზავრია, მოასვენეთ და ღირსეულად გაუმასპინძლდით. შეუსრულეთ ყველა სურვილი!

კიმოთე – მეფევ ბატონო, ყველა სურვილს ფარავს ერთადერთი ჩემი სურვილი: გრიგალში მოვხვდი და ჯორი დავკარგე, ჩემი მარჯვენა ხელი! უფლის კარამდე კი შორი გზა მაქვს გასავლელი!

უდრეკი – *(ოტროს)* უბოძეთ საუკეთესო ულაყი სამეფო გარაჟიდან!

კიმოთე – მაპატიეთ, მაგრამ უფალთან სხვა ტრანსპორტით ვერ გამოვცხადდები. რომ გამოგვისტუმრა, ყველას პერსონალური ჯორები დაგვირიგა. ისე შევეჩვიე, მე და ჩემს ჯორს ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. *(გული აუჩვილდა)* მის უნაგირს ვერც ერთ მერანს ვერ დავადგამ!

უდრეკი – *(ოტროს)* დაგზავნეთ ხალხი ქვეყნის ოთხივ კუთხეში, ხელცარიელი არავინ დაბრუნდეს! ყველგან დაგზავნეთ ფაქსი და ჯორის აღწერილობა!

კიმოთე – გმადლობთ! *(ოტროს თანხლებით გადის)*

უდრეკი – კარგი მოგონებაა მეფობა! მაგრამ ეს ხალხი მიშლის ნერვებს! რა სიამოვნებით მივუსევდი შიშისა და ელდის იასაულებს და ერთიანად ამოვჟუჟავდი, მაგრამ ხალხი თუ არ მეყოლა, ვიღასი

მეფე უნდა ვიყო? *(ხალხის გნიასი გაძლიერდა)* არადა, ამ ოპოზიციონერმა მოლა-ყბემ სისხლი გამიშრო! *(შემოდის ავენა)* რაო? აკი გზები გადავკეტეო?

ავენა – ვერ შეაკავეს, ზღვა ხალხია! არც მეგონა, ჩვენს სამეფოში ამდენი თუ ცხოვრობდა!

უდრეკი – რა გვინდაო?

აენა – მეფე თუ არ მიგვიღებს, ბენზინს გადავისხამთ და თავს დავიწვავთო!

უდრეკი – სად შოულობენ ამ ბენზინს! თუ კაცი ხარ, გამიგე, ვინ ლობირებს ბენზინის კონტრაბანდას *(თუმცა მხოლოდ ორნი არიან, ავენამ მაინც ყურში ჩასჩურჩულა)* კაი ერთი! დავიჯერო, ეგ მართალია?

ავენა – მეც მეეჭვება.

უდრეკი – ჭორი იქება.

ავენა – მეც ეგრე მგონია.

უდრეკი – ამდენ ცილისწამებას რომ ისმენ კაცი, სიცოცხლე აღარ გინდა! *(გაბრაზდა)* არავის ვიღებ! დაიწვან თავი!

ავენა – არ გამოვა, უმწიკვლესო! მეფე მუდრეგი მობრძანდება და ფერფლისაგან მოედნის გაწმენდას ვერ მოვასწრებთ!

უდრეკი – უკეთესი! მუდრეგ მეფეს ვეტყვი, რომ ხალხმა ჩემი სიყვარულით დაიწვა თავი!

ავენა – დაიჯერებს?

უდრეკი – მეფეები ერთმანეთს ასე ვატყუებთ და ვიჯერებთ! შენ რა, ჩემთვის თავს არ დაიწვავ?

ავენა – თუნდაც ეხლავე!

უდრეკი – მეც გიჯერებ! ხომ ვიცი, რომ ტყუილი თქვი? ამ ტყუილებზეა აგებული ქვეყნიერება. მიდი, დაშალე ბრბო!

ავენა – არ გამოვა, უმწიკვლესო!

უდრეკი – რა „არ გამოვა“ აგიტყდა?

ავენა – ამ ხალხმა მართლა რომ დაიწვას თავი, გადასახადები ვისგან ავკრიფოთ?

უდრეკი – მაშინ შემომიყვანე მოლა ყბე! *(მინისტრი გადის)* რამდენი ფიქრი და ენერგიაა საჭირო, რომ ქვეყანა მართო! მართალი უთქვამთ, მძიმეაო მონომახის ქუდი, მაგრამ ისე იცის შეჩვევა ამ ქუდმა, ცოცხალი თავით ჯერ არავის მოუცილებია იგი! *(ავენას შემოჰყავს მოლა ყბე)* დაბრძანდით... რა ხდება? ამდენი ადამიანი რატომ შეწუხდა?

მოლა – მზის გადასახადის თაობაზე.

უდრეკი – ტარიფზე ხომ შევთანხმდით?

მოლა – ტარიფი კია მაღალი, მაგრამ ამაზე აღარა ვდაობთ.

უდრეკი – აბა, რაღა გაღელვებთ? დემოკრატია ჩემი მოგონილია, მაგრამ დესტაბილიზაციაში ნუ აურევთ, თუმცა ორივე „დე“-ზე იწყება! *(გაიცინა, აჰყვა ავენაც)* მზე ხომ გსიამოვნებთ, როცა ეფიცხებით?

სიამოვნება ფული ღირს, ჩემო კარგო! ყველა ვიხდით მზის გადასახადს, აბა, ხაზინას შევსება არ უნდა? კანონის უზენაესობას არ სცნობთ?

მოლა – კი ვცნობთ, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გადასახადებს არ იხდის ელიტა.

უდრეკი – იქნებ მეც არ ვიხდი?

მოლა – შეიძლება.

უდრეკი – განათლებული კაცი ხარ, ჩემო კარგო, აბა დაფიქრდი: კანონს წერს, შენ რომ თქვი, ელიტა. მე ვამტკიცებ. კანონი ხალხისთვის იწერება და ხალხმა უნდა აღასრულოს. შენ მოგეწონება, რომ კანონი ჩვენ ჩვენთვისვე დავწეროთ? განა ეს იქნება დემოკრატია? ჩვენი მუშაობის ალფა და ომეგა ხალხის ინტერესებია.

მოლა – ვიცი და ახლა ამ პოზიციით მივუდგეთ მთავარ საკითხს. წელიწადში რატომ ვიხდით 365 დღის გადასახადს?

უდრეკი – ზოგჯერ 366 დღეც არის, მაგრამ ნაკიანი წელიწადი გვიპატიებია.

მოლა – გმადლობთ. მაგრამ ჩვენ დავიანგარიშეთ და შარშან 73 დღე წვიმდა, 47 – თოვდა, 53 დღე, საერთოდ, მოღრუბლული იყო. ჯამში 173 დღე ვიყავით უმზეოდ.

მეფე – და მოითხოვთ, რომ ამ დღეების გადასახადისაგან გაგათავისუფლოთ?

მოლა – კანონიერი მოთხოვნაა!

მეფე – გეთანხმებით. *(ავენას)* შექმენით სამთავრობო კომისია, რომელიც ოპოზიციასთან ერთად შეისწავლის ღრუბლიანობის პროცენტულ მაჩვენებლებს, მთელი წლის მანძილზე. ეს სერიოზული სამუშაოა. ხომ ხდება, რომ დილით წვიმს, მაგრამ შუადღის შემდეგ გამოიდარებს. არის შემთხვევები, როცა მზე პირს იბანს, წვიმას მივაკუთვნოთ თუ მზეს? ყველაფერი უნდა აღინუსხოს, რათა ხალხის ინტერესები არ შეილახოს. ვატყობ, იოლად გამოვნახეთ საერთო ენა. იმიტომ, რომ ერთი ინტერესი გვამოძრავებს, ხალხის კეთილდღეობა. უჭირს ხალხს, რა დასამალავია, მაგრამ გვითმენს. ამისთვის დიდი მადლობა მას. იმასაც გეტყვით, რომ ზოგიერთი მინისტრი ვერ ამართლებს ხალხის ნდობას. ჩვენ მათ ჩამოვიცილებთ. ღირსეულ კადრებს მოვიზიდავთ. *(ავენას შეხედა)* სხვათაშორის, ჩვენ გუშინ გვქონდა საუბარი მთავრობის გაფართოებულ ჯდომაზე. ეს აზრი ყველამ მოიწონა. *(მოლას შეხედა)* რას იტყვით, რომ შემოგთავაზოთ საგადასახადო კანონშემოქმედი მინისტრის პოსტი? თქვენს განკარგულებაში იქნება გადასახადების ამკრებ ჩაფარ-იასაულთა ბატალიონი *(მოლა არ ელოდა, გაეხარდა კი).* ხვალამდე მოიფიქრეთ. ისე, რომ იცოდეთ, მთავრობაში ყველას უყვარხართ, ხალხში ხომ უზარმაზარი ავტორიტეტი გაქვთ! ჰო, გახსენებაზე! მუდრეგ მეფე მობრძანდება და ჩვენს სიგლახეს ნუ დავანახებთ, ის ხალხი ან

დაშალეთ, ან დააწყნარეთ! თუ ჩემს წინადადებაზე ახლავე თანახმა ხართ, ამ სადამოზე ბანკეტისთვის გაემზადეთ, კოლეგები გელიან! *(ავენასკენ ხელი გაიშვირა)* ამას როგორ ყვარებიხართ, ერთი საათი გაქებდათ!

მოლა – ნება მომეცით, წავიდე!

უდრეკი – ნება თქვენია, კოლეგავ! *(მოლა სწრაფად გავიდა. პაუზა)*

ავენა – თქვენო უმწიკვლესობავ, მე როდის ვაქებდი მოლა ყბეს?

უდრეკი – ტყუილი რომ ვთქვი? *(გაიცინა)* ჩემი გამოზრდილი ლომი ხარ, ავენავ, თუმცა ხეზე ასვლა არ შეგასწავლე, ერთს კი ვიტყვი: ადამიანი იმას იჯერებს, რაც მას სწადია, ტყუილს უფრო, რადგან ტყუილი სიმართლეზე უფრო მეტად მიმზიდველია.

ავენა – თქვენ ფიქრობთ... *(სიტყვა გაუწყდა, რადგან გარეთ ხალხის გნიასი შეწყდა)*

უდრეკი – კი არა ვფიქრობ, სინამდვილეა! *(გარედან ისმის მხიარული ჟრიამული, ტაში, აღტაცებული შეძახილები: „დიდება მის უმწიკვლესობას, მეფე უდრეკს!“ „სალამი მეფე მუდრეგს!“ შემოცვივდნენ ფოტოკორესპონდენტები. შემოდის მეფე მუდრეგი, ვერ გაიგებ, დადის თუ დაგორავს. მისი თანმხლები პირებიც ასევე უზომოდ მსუქნებია. მეფეები ფოტოკამერების წინ პოზიორობენ. სრულდება ორივე სახელმწიფოს ჰიმნები. არც ერთში არ არის მელოდია, ეს უფრო ჰგავს სასულე ორკესტრის „მოთელვას“ კონცერტის წინ).*

მუდრეგი – *(კითხულობს)* დიდად პატივცემულო ფუიამას მეფე უდრეკო! მოხარული ვარ, პირადად თქვენ და თქვენს ხალხს გადმოგცეთ პირადად ჩემი და ჩემი ხალხის მხურვალე სალამი! *(ტაში)*

უდრეკი – *(კითხულობს)* დიდად პატივცემულო ფუიიმას მეფე მუდრეგო! მოხარული ვარ, პირადად თქვენ და თქვენს ხალხს პირადად ჩემი და ჩემი ხალხის სახელით მოგესალმოთ ჩემი საყვარელი სამშობლოს მიწაზე! *(ტაში)* ახლა ჩვენს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვი მოგართმევთ სიმბოლურ ნობათს! *(შემოდის თითქმის დედიშობილა ბიჭუნა, ვეება ქოთანი ციცხვიანი მიართვა მუდრეგს. აღტაცებულმა მუდრეგმა აკოცა ქოთანს, თვალით ანიშნა მხლებლებს, ისინიც გარს შემოეხვივნენ მეფეს და ცოტა ხანში რომ გაიშალნენ, აღარც ქოთანი იყო, აღარც ციცხვი. ერთმა სტუმარმა კი პირიდან გამოიღო და ძირს დააგდო ქოთნის პატარა ნატეხი. ამ პროცედურამ მხიარული შეძახილები და ტაში დაიმსახურა).*

უდრეკი – *(აღტაცებულია)* მობრძანდით, მოსალაპარაკებლად მაგიდა მზად არის! *(მეფეები გავიდნენ. ჟურნალისტები აპირებდნენ გაყოლას, მაგრამ ავენა მათ წინ გადაუდგა)*

ავენა – პრესკონფერენციამდე მოითმინეთ! მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა ჩატარდება!

სპირიდონთან. სპირიდონი და კიმოთე.

სპირიდონი – შენი ჭირიმე, ჩემო კიმოთე, ეს რა დღეები გადაგიტანია, რა საფრთხე!

კიმოთე – ჯერ სადა ხარ, სპირიდონ, მე რომ არ გადამხდენოდა და სხვას ეთხრობია ჩემი ამბავი, რავა დავუჯერებდი!

სპირიდონი – იმათ მოლაპარაკებას თუ დაესწარი?

კიმოთე – რა მოლაპარაკება, ჩემო სპირიდონ, მათ ამბავს რომ ბოლომდე გაიგებ, იტყვი, ვენაცვალე, კიმოთე ლახუნდარელო, შენს თავშეკავებას, რომ ორივე ხანჯალზე არ ააგეო, მაგრამ სტუმარი ვიყავი და იცი ჩემი ზრდილობის ამბავი. *(თედორიამ შეშა შემოიტანა)*

თედორია – აღარ მოიშორა ცამ ეს ოხერი კუპრი! მთვარე რა ფერისაა, დამავიწყდა კიდეც!

კიმოთე – *(წამოხტა)* რას ამბობ, თედორია! *(გარეთ გაიხედა)* ნუთუ ახლა ჩემი შიში? კაცს სიტყვაზე ვენდე და, დავიჯერო, გამაცურა?

სპირიდონი – რა იყო, კიმოთე, რამ აგაღელვა ასე, ვის უბრაზდები?

კიმოთე – როგორ, კაცო, სინდის-ნამუსი სულ დაიკარგა? აქეთობას ოსმალეთზე გამოვიარე... იცი შენ, ყველგან მიცნობენ...

ოსმალეთი. ხონთქარი და კიმოთე ფეხმორთხმით სხედან ხალიჩაზე. უყურებენ ნახევრად შიშველი ქალის ცეკვას. დამთავრდა ცეკვა. კიმოთე ადგა.

ხონთქარი – რად აბრძანდით? მოიწყინეთ?

კიმოთე – თუმცა ასაკში ვარ, ასეთი ლამაზი ქალების ყურება ძალიანაც მსიამოვნებს, მაგრამ ვეღარ დავრჩები, სამი წელიწადია, ჩემი მეგობარი სპირიდონი არ მინახავს, წავალ, დაგეთხოვებით.

ხონთქარი – *(ამოიოხრა)* რა გაძლებს უშენოდ!.. რაკი არ იშლი, ერთი თხოვნაც შემისრულე! ჩემი ვარსკვლავთმრიცხველი შვიდი თვეა, ერთ გამოგონებაზე თავს იმტვრევს, ნახე, თუ კაცი ხარ, შენს რჩევა-დარიგებას ნუ დაამადლი!

კიმოთე – კი ბატონო, მაგაზე არ დაგზარდებით. *(დარბაზიდან გამოვიდა და თავზე წაადგა ვარსკვლავთმრიცხველს, რომელიც რადაც ნახაზებს ჩაჰკირკიტებს)* კაი გამარჯობა შენი!

ვარსკვლავ. – *(თავი არ აუწევია)* გაგიმარჯოს.

კიმოთე – გაგეგონებათ, კიმოთე ვარ ლახუნდარელი, მეცნიერი და პოლიტოლოგი. რას წვალობ, ჩამახედე მაგ ნახაზებში. ხონთქარმა მთხოვა, დაეხმარეო.

ვარსკვლავ. – ხონთქარმა? არ მენდობა?

კიმოთე – როგორ არ გენდობა, მაგრამ ერთ თავს ორი არ სჯობია?

ვარსკვლავ. – *(მყისვე ფანქარი აიღო და ანგარიში დაიწყო)* მოიცა... ერთი თავი... *(თავისთვის ბურტყუნებს, ზოგ სიტყვას ვარჩევთ)* ავახარისხოთ ორი თავი... ინტეგრალი... აქედან გამოვფესვოთ... გავყოთ ორ თავზე... აჰა, აპოდიქტიკურია... *(გახარებულმა ახედა კიმოთეს)* ორი თავი სჯობია ერთ თავს! *(მაგრამ მალევე მოიწყინა)* რამდენჯერ გადავღობავ, იმდენჯერ მაინც გადადის!

კიმოთე – რას ღობავ?

ვარსკვლავ. – ცას! ტრაპიზონამდე გადავღობე, მაგრამ იმის იქით მაინც მეპარება!

კიმოთე – რა გეპარება?

ვარსკვლავ. – მთვარე! დიდი ამპლიტუდა აქვს! აი, დახედეთ! კუთხე, რომელსაც ქმნის დედამიწის ამ მონაკვეთის მერიდიანის ჰორიზონტალური სიბრტყე და ამ მონაკვეთსა და ცის მნათობზე, ამ შემთხვევაში, მთვარეზე გამავალი სიბრტყე...

კიმოთე – არ გინდა ეგ თეორიები, ზეპირად ვიცი. ეს მითხარი, რად გინდა, ცა რომ გადაღობო?

ვარსკვლავ. – მთვარე ჩვენია და რა უნდა, საქრისტიანოში რომ გადადის?

კიმოთე – მთვარე ყველასია!

ვარსკვლავ. – მთვარე მარტო ჩვენია, ჩვენი საკუთრებაა!

კიმოთე – რა საბუთით ამტკიცებ?

ვარსკვლავ. – ჩვენს დროშაზეა გამოხატული!

სპირიდონთან

კიმოთე – არ მომეწონა ეს ამბავი. მტკიცე არგუმენტები დამიხეთქა. ვიფიქრე, ამ ტუტუცმა მთვარე თუ ჩვენში აღარ გადმოუშვა, ამ ენერგოკრიზისში ღამით სიარული შეუძლებელი გახდება. ხრიკს მივმართე.

ოსმალეთში

კიმოთე – *(ვარსკვლავთმრიცხველს, უდარდელად)* როგორც გენებოთ. მე კი დაგეხმარებით, მაგრამ მეგობრულად გირჩევთ, ნუ იზამ ამას. თქვენ თუ მთვარეს მოგვისპობთ, მაშინ ჩვენ ადეკვატურ ზომებს მივიღებთ!

ვარსკვლავ. – მაინც?

კიმოთე – მზეს გადავღობავთ და თქვენი ქვეყანა სულ ბნელში დარჩება.

ვარსკვლავ. – მზე ყველასია!

კიმოთე – მზე მარტო ჩვენია!

ვარსკვლავ. – რა საბუთით ამტკიცებთ?

კიმოთე – ინგლისს ნისლიან ალბიონს ხომ ეძახიან?

ვარსკვლავ. – ეძახიან.

კიმოთე – გერმანიაში ხომ არის წვიმები? რუსეთში ხომ თოვლია და თეთრი დათვები? იაპონია მთლად წყალშია და ბაყაყებს ჭამენ! საქართველოს რას უწოდებენ?

ვარსკვლავ. – მზიურ საქართველოს!

კიმოთე – აბა, რაღა გინდა? ცის გადაღობვას რა უნდა? ჩვენთვის ერთი დღის საქმეა. პროექტიც არსებობს, მაგრამ მის განხორციელებას მე შევუშალე ხელი! *(ვარსკვლავთმრიცხველი ჩაფიქრდა, მერე ნახაზები დაკუჭა და გადაყარა)* მომეცი პირობა, რომ მაგ სისულელეს აღარ იფიქრებ!

ვარსკვლავ. – გპირდებით.

კიმოთე – ფიცი!

ვარსკვლავ. – ვფიცავ მაჰმადს!

კიმოთე – რომელსაც ქრისტიანები ვერ ვენდობით!

ვარსკვლავ. – მაშ თვით თქვენს ქრისტეს!

კიმოთე – ქრისტე თქვენი რა არის? არა! სხვა თავდები მომეცი. დაიფიცე ვაჟკაცის სიტყვა!

ვარსკვლავ. – ვფიცავ!

სპირიდონთან

კიმოთე – თუ მიაქციე ყურადღება, ჩემო სპირიდონ, ჩვენი სულმნათი აკაკის "ბაში-აჩუკიდან" შევაპარე. ისიც აბდუშაჰილივით მპასუხობდა. წაკითხული ჰქონია. ვენდე და დაიმედებული წამოვედი, მაგრამ ამ უმთვარო ღამეებმა დამაეჭვეს, ხომ არ გატეხა ვაჟკაცის სიტყვა!

თედორია – *(შეშფოთებულმა გარეთ გაიხედა, გულდაწყვეტილი შემობრუნდა)* ერთი ვარსკვლავი კი გამოჩნდა... მაგრამ მთვარე... *(თითქოს რაღაც გაახსენდა. სწრაფად გაიხედა გარეთ და გახარებული შემობრუნდა)* გამოჩნდა! გამოჩნდა, კიმოთე ბატონო!

კიმოთე – მთვარე? ხედავთ? ოსმალეთშიც სცოდნიათ ვაჟკაცური სიტყვის ფასი!

სპირიდონი – *(აღტაცებული)* ყანწი, თედორია! *(თედორია უკვე ავსებდა ყანწებს)* ჩემო კიმოთე! შენ რომ დაგეგვიანა კიდევ ორი დღე, არ ვიცი, ამ უსაშველო ღამეებს როგორ გადავიტანდი!.. ღმერთმა ამ დედამიწაზე ადამიანები რომ დაასახლა, დაუბარა, მოიქეცით თესვად სიკეთისა და სიყვარულისა, რათა ქვეყანასა ზედა სუფევდეს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

კიმოთე – ბევრს დაავიწყდა ეს შეგონება, დანარჩენს ხვალ გიამბობ, სისხლი გაგეყინება ძარღვებში, ისეთი ამბები გადამხდა, ცის გადაღობვა იმასთან რა მოსატანია!

სპირიდონი – ან კი ცა რად უნდა გადაიღობოს, კაცო! დალოცვილი მთვარე რომ არ იყოს, შეყვარებულები მოიწყენენ. მზე კი ისე დიდი და გულუხვია, მისი სითბო და ნათელი ყველას ეყოფა! სიკეთესა და სათნოებას გაუმარჯოს კაცთა შორის!

სამივე – ამინ! *(მღერიან)*

ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომეხებ შუა განყოფილება რა არი?
თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არი,
აგრეთი გქონდეს გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა, მუცლით ნაშობი რა არი?

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

საზოგადოდ, მოქმედების დასაწყისს, მუსიკალური შესავალი უხდება. ჩვენს შემთხვევაში მის მაგივრობას ჯორების ყროყინი ასრულებს, უთვალავი ჯორის. ჯორებსაც, ადამიანებივით, სხვადასხვა ტემბრისა და დიაპაზონის ხმები აქვთ. აგრეთვე, გარკვეულ დროსა და საათზე ერთდროულად იციან ყროყინი.

სცენა რომ განათდა *(ან ფარდა გაიხსნა)* ახალგამოძღვიძებული კიმოთე, სასახლის ერთ-ერთ ფანჯარასთან გადმომდგარი, ინტერესით უსმენს ამ „სიმფონიას“.

კიმოთე – რა ხდება? ამ პატარა სახელმწიფოში ამდენი ვირი? *(შემოცვივდნენ ავენა და მოლა, კმაყოფილებმა, სახეზე კითხვის ნიშანდებეჭდილებმა, ახედეს კიმოთეს. ვიღაცამ შემოყო თავი და ისევ დაიმალა)*

მოლა – მოციქულო!

კიმოთე – სსუ! *(კვლავ სმენადქცეულია. ჯორებმა ჩაათავეს ყროყინი)*

ავენა – მოციქულო! მეფე უდრეკის განკარგულებით, სახელმწიფოში ჯორების მობილიზაცია გამოვაცხადეთ. ხომ არ ინებებთ მათ ნახვას?

კიმოთე – ნახვა საჭირო არაა. ჩემი ჯორის ხმას ათას ყროყინში ამოვიცნობ.

მოლა – *(ავენას)* ის ხომ არ იყო, რომ გაგვექცა?

კიმოთე – *(დაინტერესდა)* რავა გაგექცათ, თქვე ოჯახქორებო?

ავენა – გამაფრთხილებელი გასროლა კი მოვახდინეთ, მაგრამ არ შეშინდა და გაიქცა.

კიმოთე – თუ არ შეშინდა, ჩემი იქნებოდა!

მოლა – დამიზნებით ვერ ესროდნენ. ჯორების უფლებათა დაცვის კომიტეტი გვიკრძალავს.

კიმოთე – გაქვთ ასეთი კომიტეტი?

მოლა – დიახ. ჩვენ ხომ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ!

კიმოთე – მაგი კაი მოგიფიქრებიათ!

ავენა – მოციქულო, ფიქრი ნუ გაქვთ. საზღვრები გადაკეტილია და უცხოეთში ვერ გადავა. თქვენი ჯორი მეფე უდრეკს პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი. უსათუოდ მოვნახავთ. ნება მოგვეცით, ძებნა გავაგრძელოთ!

კიმოთე – თქვენ იცით! *(ავენა და მოლა მორჩილად თავს უხრიან და გადიან. სამალავიდან გამოდის ოტრო)*

ოტრო – *(შეთქმულივით, ხმადაბლა)* მოციქულო!

კიმოთე – *(ის იყო, ფანჯარას მოსცილდა. მობრუნდა)* აჰ, შენ ხარ, ოტრო?

ოტრო – დიახ, ოტრო ვარ, ველა... თუ შეიძლება გამომყევით და ერთი საარაკო ამბის მოწმე გახდებით.

კიმოთე – შორია სავალი?

ოტრო – არა, აქვე, სასახლეში.

კიმოთე – ჩოხას გადავიცვამ და ჩამოვალ. *(დაიმალა)*

ოტრო – *(თავისთვის)* აბა, ამ საქმეს ვინ ჩამითვლის მე ცუდკაცობად?..

ამ მოციქულის სათნოებას მე ფისად გავხდი,
მის სიკეთეზე ბადეს მოვქსოვ და იმ ბადეში
გავაბამ ყველას! *(გამოჩნდა კიმოთე)*
თუ ჩემს განზრახვას შესაფერი დარი დაუდგა,
ჩემ გემის აფრას სამშვიდობო ქარი დაჰბერავს!

კიმოთე – ფერი არ გადევს, რა გაგიჭირდა?

ოტრო – ქვეყანა იღუპება, მოციქულო, უზნეობას ბოლო არ უჩანს! ჩემგან გიკვირთ? *(მიდიან)* მე ვითმენდი, თქვენს გამოცხადებას ველოდებოდი. ახლა აშკარად გადავედი ოპოზიციაში: რაც თქვენ გამოგვეცხადეთ, რამდენი დღე გავიდა?

კიმოთე – ორი კვირა შესრულდა.

ოტრო – იმ დღეს ჩამოვიდა ფუიიმას მეფეც. გგონიათ, უდრეკი და მუდრეგი მართლა საქვეყნო საქმეზე ბჭობენ? ჩაკეტილები არიან! მუდრეგ მეფის ქვეყანაში ტირანია ბობოქრობს. თვითონ ხოა გოდორივით, სკამი ვერ უძლებს. სპეციალურად მუხის ჯირკი დაუმზადეს. ფუიიმაში ვისაც მასზე გამხდარს ნახავენ, ატუსაღებენ და სასტიკად სჯიან. სავალდებულო წონის ნორმა დააწესა, ყველა მოედანზე ასაწონი პუნქტები გახსნეს, გამხდრები შიშით ვერ გამოდიან გარეთ.

კიმოეთე - მაგი არ ვიცი ვითომ მე? მაგრამ ფუიიმას სამეფო ჩემს ნუსხაში რომ არ შედის?

ოტრო – უკეთესად საქმე არც ფუიამაშია. უდრეკ მეფეს რაღაც სჭირს და ხორცს ვერ იკიდებს. მუდრეგის წაბაძვით კანონი გამოსცა, ოღონდ, ვინც მასზე მსუქანი აღმოჩნდება, დასჯიან. მოედნებზე ასაწონ პუნქტებს უკვე ხსნიან. ვისაც ღიპი და ქონი აღმოაჩნდება,

სჯიან. იმ დღეს შეცდომით ქალი დასაჯეს, მერე გაირკვა, რომ ორსული ყოფილა.

კიმოთე – მაგი უფალმაც იცის და გამაფრთხილა.

ოტრო – ახლა უარესს მოისმენთ! *(შეჩერდნენ ერთი დარბაზის კართან. მიაყურადეს. დროდადრო ისმის შეძახილები ორ ხმაზე: „დუშაში!“ „დუბარა! ფუჰ!“ „დუბეში!“ „ცალი შაში მაინც! უხ შენი!“ „იაგანი!“ „კამათელს სვამ!“)* შარშან ჩვენმა მეფემ მეტოქის მოედანზე 219-ით 217-ზე მოუგო და ახლა მეფე მუდრეგი რევანშისთვის ჩამოვიდა.

კიმოთე – რამდენი ქვეყანა მომივლია და ასეთი რამ არ შემხვედრია!

ოტრო – აი, ასეთმა მეფემ დამსაჯა მე! თუ დამიჯერებთ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ უსამართლოდ ვინმე დამესაჯოს. თავის მოკვეთის შემდეგ დანაშაული თუ არ დაუმტკიცდებოდა, ყველას ვამართლებდი. არ უნდოდა ჩემისთანა? ახლა ნახოს! ოპოზიციაში ჩავუდექი, ხალხს ავუბუნტებ და მერე დამაბრუნებს ძველ თანამდებობაზე. კარგი იყო მთავარი მოსამართლეობა!

კიმოთე – ის თავგადაკლული ოპოზიციონერი გაჩუმდა?

ოტრო – მოლა ყბე? *(კარს იქიდან ისევ: „ქვა რა იქნა?“ „რა ქვა?“ ხმაურით გაიღო კარი, გამოვარდა, ანუ გამოგორდა მუდრეგი და გაცოფებულმა შესძახა უდრეკს)*

მუდრეგი – ცუღლუტი ხარ! კამათელი რომ დამივარდა, სანამ ძირიდან ავიღებდი, შაშის კარიდან ქვა ააცოცე!

უდრეკი – არ ამიცოცებია! *(დაბნეული, შემრიგებლური ტონით)* ტყუილად ეჭვიანობ... მოდი, გავაგრძელოთ, ამ ხელს არ ჩაგითვლი!

მუდრეგი – შევარცხვინე, ჩემდა თავად, ვინც შენთან ამიერიდან ითამაშოს! *(გაავებული გავიდა. უდრეკმა შენიშნა მოციქული. უხერხული პაუზა)*

უდრეკი – *(არ ელიმებოდა, მაგრამ გაიღიმა)* ამდენი დღის მოლაპარაკების მერე, ნარდი ვითამაშოთო, ჩამაცივდა. მეც დავთანხმდი. ასეთი კონტაქტები ხელ უწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას, მაგრამ ცოტა შარიანია... მაპატიეთ, მოციქულო, ყურადღება დაგაკლით.

ოტრო – *(სადღაა „ოპოზიციონერი“!)* ნანადირევი ნახეთ, თქვენო უმწიკვლესობავ?

უდრეკი – რა თქმა უნდა... დიახ... რა ნანადირევს ამბობ?

ოტრო – *(ექსტაზშია)* კურდღელი! ის კურდღელი!

უდრეკი – ის კურდღელი? არ გადამრიო!

ოტრო – მოციქულმა დაიჭირა! *(დარბაზიდან უცნაური ხარის წკრიალი)*

უდრეკი – *(ოტროს)* შედი, ვინ რეკავს. *(ოტრო დარბაზში შევიდა)* სად არის ის კურდღელი, მოციქულო?

კიმოთე – დათვის გალიაში მოათავსეს.

უდრეკი – *(შეშფოთდა)* დათვი არ შემიჭამოს!

კიმოთე – ნუ გეშინიათ. კურდღელი მხოლოდ ბოსტნეულით იკვებება.

უდრეკი – მაგ კურდღელს ჯერ კიდევ პაპაჩემი დასდევდა! ათი წელი მაგაზე ნადირობა იყო გამოცხადებული! თუ შეიძლება, ვნახავ? *(ოტრო დაბრუნდა შეშფოთებული)* რა მოხდა, ოტრო?

ოტრო – ტელეფონოგრამაა მუდრეგ მეფისაგან...

უდრეკი – *(გახარებული)* ბრუნდება? თამაშის გაგრძელება მოისურვა?

ოტრო – ხვალ დილაზე მოვდივარ და დამხვდიო!

უდრეკი – მოვიდეს, მე აღარ ვეთამაშები!

ოტრო – სათამაშოდ არ მოდის... ომი გამოგვიცხადა!

უდრეკი – *(მოულოდნელობისგან გაშრა)* ომი? *(მალე დაიბრუნა რიხი)* მოვიდეს! მაგაშიც დავამარცხებ!

სპირიდონთან

კიმოთე – დაიწყო ომი და ამ ორი სახელმწიფოს ხალხი შეება ერთმანეთს. ისეთი სისხლისღვრა იყო, ზღაპრადაც არ გაგონილა! როცა ახალგაზრდები არ ეყოთ, საომრად შუახნის კაცები გაიყვანეს. შემდეგ, იძულებული გახდნენ, მოხუცებიც გაეწვიათ. შიმშილი და ავადმყოფობა დაერია ხალხს. ადამიანები ლანდებად იქცნენ.

სპირიდონი – ჩემო კიმოთე, რომ ვიცი, შენ ტყუილი ჭირის დღესავით გეჯავრება, ამიტომ გამეყინა სისხლი ძარღვებში. ეს რა უჯიშო მეფეები ყოფილან!

თედორია – მეფეს ხალხი რა ენაღვლება? როდის ჰკითხავენ ხალხს, რატომ იწყებენ ომს?

კიმოთე – შევრჩი იმ გატიალებულ ქვეყანაში ერთ წელიწადს. ვიღას ეცალა ჩემი ჯორისთვის? არადა, როგორ წამოვსულიყავი? არც ვიცოდი, სად ვიყავი. ტყვიისთვის თავიც რომ დამეღწია, გეზი საით ამეღო? ვარსკვლავებით გზის გაგნება კი ვიცი, მაგი არ შემეშლება, მარა ზარბაზნების ბოლისაგან ცა არ ჩანდა...

სპირიდონი – აქ ომი არაა და მთვარე ძლივს დავინახეთ წუხელ!

კიმოთე – ეგ თქვი შენ! რომ მეარა და მაგალითად, აფრიკაში ამომეყო თავი...

სპირიდონი – უიმე, იქ ხომ ლომები და ნიანგები იცის!

კიმოთე – მაი არაფერი, მართალია ასაკში ვარ, მარა თვალიც მიჭრის და მუხლიც მერჩის, იქიდან წამოსვლა იქნებოდა უსაშველოდ ძნელი. ჩემი ჯორი მყოლოდა, გზას თვითონ გამოიგნებდა სამშობლოსკენ! სიმართლე გითხრა, ძალიან მიფრთხილდებოდნენ, ჩამკეტეს სასახლის ყველაზე ძვირფას დარბაზში, პატივი და ყურადღება არ მაკლდა, მარა ხალხის ცოდვით აღარ ვიყავი!

სპირიდონი – მერე, შენი გულკეთილობის ამბავი რომ ვიცი!

კიმოთე – ერთი-ორჯერ კი ვიფიქრე, სად არის ჩვენი ქართველი ქალი, ამ ორ გაავებულ მეომარ ჯარს შორის მანდილი ჩააგდოს და

დააშოშმინოს-მეთქი, მაგრამ იმ უბედურებს ჩვენი ადათ-წესებისა რა გაეგებოდათ!

სპირიდონი – ის რა კურდღელი იყო მაინც, ასი წელიწადი რომ დასდევდნენ?

კიმოთე – შენ კარგად იცი, მონადირე ვარ წარმოშობით, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ მინახავს! გეტყვი ახლა შენ და თვითონ წარმოიდგენ. ჩემი მომსახურების განრიგში ნადირობა იყო მთავარ პუნქტად. წავედით ერთ დღეს. ამალა მახლავს მწევარ-მეძებრებიანად. უცებ გავარდნენ ჩემი ძაღლები და მეც მივყევი ჩემზე გაპიროვნებული რაშით. ვნახოთ, ერთ ბუჩქთან მეძებარი შეჩერდა და ყალყზე შედგა. ვხედავ, ბუჩქებიდან თავი ამოუყვია კურდღელს! მიეტანენ მწევრები. „აჰა, სტაცეს ახლა პირი!“ – გავიფიქრე მე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უკან გამორბიან ჩემი ძაღლები! გამორბიან და მოსდევს ვეებერთელა კურდღელი! ცხადად ვამჩნევ, წახდნენ ჩემი მეძებარ-მწევრები. გამოვიანგარიშე, საით ჩამიქროლებდნენ ძაღლები და მათზე დაგეშილი კურდღელი, ჩავუსაფრდი და კურდღელი რომ გამითანასწორდა, ვტაცე ფეხში ხელი! მერე შემოვიხსენი ქამარი, შევკოჭე და გადავიკიდე ცხენზე.

სპირიდონი – შენ გენაცვალე მაგ ჭკუაში, შენ დაგელოცა მარჯვენა!

კიმოთე – ჩემს იქ ყოფნაში უდრეკ მეფეს ეს იშვიათი კურდღელი საჩუქრად სთხოვეს ინგლისისა და საბერძნეთის მეფეებმა, დიდძალი ფულიც შეაძლიეს, მაგრამ უარი შეუთვალა. ეს კიდევ არაფერია, გეტყვი უკეთესს. ერთ დღესაც ფერდობზე ორი მელა დავინახე. ავართვი ერთ მონადირეს თოფი და გავექანე. მეშინოდა, ახლოს არ დავენახე მელიებს, თორემ იგრძნობდნენ რა მსროლელიც ვიყავი და გამექცეოდნენ. ვუყურებ და მენანება. მოკვლა კი არ მენანება, იმას ვნაღვლობ, რომ ორივეს ვერ მოვკლავ. სანამ მეორედ გავტენიდი თოფს, ერთი გამექცეოდა. გულში გადავწყვიტე: ან ორივე, ან არცერთი: ბედად, მელიები არ დაფრთხნენ ჩემს დანახვაზე, ალბათ, იქაური მონადირე ვეგონე. უშიშრად წამოვიდნენ ჩემკენ. გზად ერთი დიდი ქვა ეგდო. როგორც კი გაუსწორდნენ იმ ქვას, ერთი მარცხნივ გახტა, მეორე მარჯვნივ. მეც ავდექი და თოფი ქვას ვესროლე. ქვა შუაზე გატყდა. ერთი ნახევარი მარცხნივ გაქცეულ მელას მოხვდა, მეორე ნახევარი – მარჯვნივ გაქცეულს. ორივე უსულოდ დაენარცხა მიწაზე. გადაირივნენ უდრეკ მეფის მონადირეები! *(თავმდაბლურად ჩაიცინა)* ნადირობის დროს რა არ შეგემთხვევა კაცს!

სპირიდონი – *(ძალიან კმაყოფილია. ხელადა შეანჯღრია, ეცარიელა)* თე!.. *(ეს მოასწრო და თედორიამაც შემოიტანა სავსე ხელადა, შეავსო ყანწები)* ჩემო კიმოთე! სამი წელიწადია, ავად ვარ. თედორია დამემოწმება. თუმცა, თვითონაც ავად იყო. შენი უნახაობა გვკლავდა! წუხელ შემოფრინდი ამ ჭერქვეშ და მამის სულს

გეფიცები, მეც და თედორიამაც გამოვიხედეთ თვალებში. თურმე, შენ იქით გკლავდა უჩვენობა, ჩვენ – აქეთ. ეშმაკს წაუღია ყველანაირი ავადმყოფობა, მაგრამ ღმერთს შევთხოვ, ამ სენისაგან ერთმანეთის სიყვარული რომ ჰქვია, ნუ მოგვარჩენს ადამიანებს! ეს ერთადერთი სენია, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს ახანგრძლივებს და ამშვენიერებს. ვიყოთ ავად ამ სენით, ჩემო კიმოთე! *(დალია)*

კიმოთე – ღმერთმა ქნას, მაგ სენის ეპიდემია მოედოს მთელ დედამიწას!.. *(დალია)* ნახევარი მსოფლიო მომივლია და მე თუ მკითხავ, მაგი სენი პირველად ჩვენში გაჩნდა. და თუ მართლა ასეა, ჩვენი სახელი უნდა დაერქვას. ხომ არის ავადმყოფობები... ციმბირული წყლული თუ ოხრობა, თურქული, ესპანური...

სპირიდონი – ისპანკა.

კიმოთე – ჰოდა, იყოს ქართულიც!

სპირიდონი – შენგან უთქმელი სიბრძნე არ იქნება, ჩემო კიმოთე! ვნახოთ და ორად გაყოფილი კორეა დაძმობილდნენ და ერთმანეთს სიყვარულით გულში ჩაეკვრნენ. მერე, მთელ მსოფლიოში ბომბივით გავარდება ცნობა: კორეის ნახევარკუნძულზე ქართული სენის ეპიდემიამ იფეთქაო!

კიმოთე – რავა, ურიგო იქნება, თუ!

სპირიდონი – რას იტყვი, თედორია, მარტო რომ გვისმენ, ხომ იქნება ჩვენთვის საამაყო?

თედორია – *(მორიდებით)* რავა არ იქნება, ბატონო, მაგრამ...

სპირიდონი – რა მაგრამ?

თედორია – მთავარია, ჩვენ თვითონ არ ვეცადოთ მაგ სენისგან განკურნება.

სპირიდონი – *(ერთ ხანს ჩამოწოლილი სევდიანი პაუზა უცებვე დაარღვია)* აბა, ამ დადგენილებას სიმღერა მოუხდება! *(თვითონვე დაიწყო)*

„ღმერთი სიყვარულისა თუ გულით არ იწამე,
მაშ სიცოცხლე რაღად გინდა ამ დალოცვილ მიწაზე.
გული შენთან ზღვად ღელავს, შენთვის ლოცვებს ვღიღინებ,
აბა ის დღე რა დღეა, თუ შენ ვერსად გიხილე.
ღმერთი სიყვარულისა თუ გულით არ იწამე,
მაშ ამქვეყნად რად მოხველ,
თავი რად გაიწვალე“. *(სიმღერამ სამივეს სევდა გაუქრო)*

სპირიდონი – *(კიმოთეს)* არაფერი გამიკვირდება იმის შემდეგ, რაც შენ იქ ამბები გადაგხდენია!

კიმოთე – ან როგორ წარმოვიდგენდი, რომ ვნახავდი ქვეყანას, სადაც ხალხს კეთრივით სძულდეს თავისი მეფე, მაგრამ მაინც „უმწიკვლობას“ ეძახდეს და მისთვის იხოცებოდეს! აფსუს ჩვენი კურთხეული ქვეყანა! დღე და ღამ შენზე ზრუნავს ხელისუფლება და მაინც ვერ უბედავ, სიყვარულში გამოუტყდე!

სპირიდონი – სიყვარულსა მალვა უნდა, ჩემო კიმოთე!

კიმოთე – სიყვარულს რომ მალავ, თაფლივით ტკბილია იგი გრძნობა. სიძულვილის მალვაა ბალღამი და საწამლავი. შენ იცი, ჩემო სპირიდონ, წარმოშობით უსამართლობის დაუძინებელი მტერი ვარ და ცხრათავიან დევს არ შევეპუები. რამდენჯერ მიფიქრია, ვიძრო ხანჯალი და მეფეს და მის მინისტრებს თავები დავაყრევინო-მეთქი, მაგრამ ეს ხომ იქნებოდა საქართველოს მხრიდან უცხო სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევა? მომიწონებდი შენ, სპირიდონ? ჩვენ ხომ ის არა ვართ... იცი შენ, ვისაც ვგულისხმობ. ვიყავი ასე და ხალხის ცოდვით ვიწვოდი და ვიდაგებოდი. ხალხი კი იყო გასუსული და ენაჩავარდნილი, სიბეჩავით დაავადებული! ვიფიქრე, ჩემო სპირიდონ, ვიფიქრე და ერთი წამალი მოვიფიქრე.

სპირიდონი – შენ რას არ მოიფიქრებდი, ჩემო კიმოთე!

კიმოთე – წამალი ხომ არის მწარე? ჰოდა, ამ მწარე წამლით ვცადე ხალხის განკურნება.

ფუიამა. თავის საბრძანებელში ზის უდრეკი. ისეა, დანა პირს არ უხსნის. მოსაცდელში – ავენა და მოლა.

ავენა – როგორ გამოიცვალა მისი უმწიკვლესობა!

მოლა – ჰო. გუშინ დამიბარა. ერთი საათი ვიდექი. იჯდა თავჩაღუნული, მერე მკითხა, აქ რა გინდაო. გამოვბრუნდი.

ავენა – ეხუმრები სახელმწიფოს მართვას? ამ ომმაც ხომ შეუჭამა ნერვები! მერე, ყველა ჯარისკაცის სიკვდილს როგორ განიცდის!

მოლა – ჰო. ყველა შვილივით უყვარს.

ავენა – აბა! საკუთარი შვილები მოიშორა და უცხოეთში გადაკარგა, რომ მთელი ჯიგარი ხალხის სამსახურში დაწვას!

მოლა – ოღონდ ეგ იყოს კარგად, რომ შეიძლებოდეს, ჩემი სიცოცხლის ნახევარს მივცემდი! *(გული აიჩვილა)*

ავენა – მე მთელ სიცოცხლეს!

მოლა – *(დაიბნა, მაგრამ გამოსავალი იპოვა)* ნახევარს ჩემთვის იმიტომ ვიტოვებდი, რომ მის სამსახურს მოვახმარო.

ავენა – მართალი ხარ. სიცოცხლე ერთბაშად რომ მივცეთ, მკვდრები რაღაში გამოვადგებით?

მოლა – აბა რა? სწორედ ახლა სჭირდება ჩვენი ერთგულება!

ავენა – *(ერთბაშად ტონი შეიცვალა)* შენ მაშაყირებ, თუ რა?

მოლა – *(მაგრად დაუხვდა)* შენ მე მცდი, თუ რა?

ავენა – ეგ ჩემი სამსახურის სპეციფიკაა. ჩემთან მაინც იყავი გულწრფელი!

მოლა – *(არ შეეპუა)* მე არა ვარ გულწრფელი? რატომ შეგაქვს ეჭვი ჩემს გულწრფელობაში? შენ რა, უდრეკ მეფეზე სხვანაირად ფიქრობ? რა, მისი უმწიკვლესობა ჩვენს ერთგულებას არ იმსახურებს?

უდრეკ მეფეს არ ვანაცვალე ხალხის სიყვარული? დაგავიწყდა, როგორ გაეხარდათ ჩემი დაწინაურება, – ჩვენი კაცი მთავრობაში გაიჩითაო! ეხლა რომ სულ ჩემი ცხონებული დედის ხსენებაში არიან, რათა? უდრეკ მეფისადმი ჩემი ერთგულების გამო!

ავენა – პირს ნუ აცდენ მაგ დემაგოგიით! კიდევ მიტინგზე ხომ არ გგონია თავი? ჩემთან არ გაგივა. შენი მაკომპრომეტირებელი საბუთები სეიფში მიდევს!

მოლა – შენი? ბანკეტზე რომ გამოტყვერი, უდრეკ მეფის დაბადების დღეს, უმწიკვლესობაზე, გახსოვს, რა კარტები გაგვიშალე? იქ სხვებიც იყვნენ! დავაღო პირი? *(ავენა ერთბაშად მოტყდა)* ჰოდა, შენც სუ და მეც სუ!

ავენა – *(მორჩილად)* რა სუ, მე რამე გითხარი?

მოლა – რაც არ გამიგია, რა უნდა გეთქვა?

ავენა – *(რაც მოლამ დააფრთხო, აქეთ-იქით იხედებოდა)* მოდიან!

მოლა – მოციქულს ოტრო ჩრდილივით დასდევს!

ავენა – მოლა... ცხოვრება ხომ კიბეა? მე და შენ საკმაოდ მაღალ საფეხურზე ვართ მოყუჩებული. ჭკვიანი კაცი ძირს ხშირად უნდა იხედებოდეს, რომ არ დაავიწყდეს, რა მტკივნეული იქნება აქედან გადავარდნა. რაც უფრო მაღალია საფეხური, უფრო ვიწროვდება. აქ ძიძგილაობა სარისკოა.

მოლა – პატარა გადაცდომა და...

ავენა – ღმერთმა დაგვიფაროს! სული არ ჩაგვყვება.

მოლა – სული კი რა ტკბილია!

ავენა – მოლა, ჩემი ფიქრი გაგიმხილო?

მოლა – მიდი. ხომ ხედავ, კიბის ამ საფეხურზე ორივე ვეტევით.

ავენა – მოციქულზე ეჭვები მაქვს, მოლა... რა ხანია, ფაქტებს ვაგროვებ. მუდრეგი რომ ჩამოვიდა, ეგეც იმ დღეს გამოჩნდა. იმის აგენტი არ იყოს.

მოლა – ოტრომ რო თქვა, ციდან დაეშვაო?

ავენა – ეგეც აგენტი არ იყოს! *(შემოდიან კიმოთე და ოტრო. ავენა და მოლა კიმოთეს მორჩილად მიეგებნენ)*

კიმოთე – ხელი ხომ არ შეგიშალეთ? ასე ტკბილად შეთქმულები საუბრობენ. *(ავენა და მოლა დაიბნენ, ერთმანეთს შეხედეს)*

ავენა – მისი უმწიკვლესობა გელოდებათ... ჩვენ თქვენ...

მოლა – უთქვენოდ არ შევედით.

კიმოთე – შევიდეთ. *(კიმოთე და ოტრო უდრეკთან შედიან)*

ავენა – *(მოლას)* თითქოს შუბლის შიგნით კითხულობს! მაგრამ ფაქტებს რა ვუყო? *(ორივე შედის უდრეკთან, რომელიც ისევ თავჩაღუნული ზის. კიმოთემ ჩაახველა)*

უდრეკი – *(ფიქრებიდან გამოერკვა, წამოხტა და მიეგება კიმოთეს)* მოციქულო!

კიმოთე – უგუნებოდ ბრძანდებით, მეფევ?

უდრეკი – რა ხანია, უქეიფოდ ვარ, მოციქულო...

კიმოთე – მინდა ცოტა ხანს კონფიდენციალურად გელაპარაკოთ. *(უდრეკმა ხელქვეითებს შეხედა და ისინიც გაიკრიფნენ გარეთ)* უძილობა გაწუხებთ?

უდრეკი – ვერ ვისვენებ. საწოლში შამფურივით ვტრიალებ.

კიმოთე – მესმის. ხალხი გაღატაკებულია. ეს უაზრო ომიც გრძელდება.

უდრეკი – ომი არ მადარდებს, მოციქულო, ომის დროს ხალხს ვჭირდები, ჩემში მხსნელს ხედავენ. ხალხს, რაც უნდა ღატაკი იყოს, სამშობლო უყვარს.

კიმოთე – როგორ არ გადარდებს ომი, მეფევ? ხალხი წყდება, გინდა ტყვიით, გინდა შიმშილით. უხალხო მეფე სად გაგონილა?

უდრეკი – ხალხი არ გაწყდება. იმდენი მაინც დარჩება, რომ მეფე დასჭირდეთ. ეგ კი არა და, მარტო მეფობის მსურველი ორმოცდაათი მაინც დარჩება!

კიმოთე – *(თავისთვის)* მართლა უნაყოფოა მგლისთვის სახარების კითხვა! არც ყორანი გათეთრდება!

უდრეკი – რამე მიბრძანეთ, მოციქულო?

კიმოთე - არაფერი. სახარებიდან და ყურანიდან ლოცვა წარმოვთქვი. მართლა მძიმე დღეში ყოფილხარ, მეფევ.

უდრეკი – შემომხედეთ, კიდევ უფრო გავიკნაჭე უძილობით, საპონივით დავილიე, მიწამლეთ, მოციქულო!

კიმოთე – უძილობის უებარი წამალი სუფთა სინდისია.

უდრეკი – სინდისი? თანაც სუფთა? ჩემს მინისტრებს დავავალებ და მიშოვიან.

კიმოთე – ადვილად არ იშოვება.

უდრეკი – ავენა მთელ სამეფოს გადაატრიალებს და გააჩენს.

კიმოთე – უხმეთ მინისტრებს. *(უდრეკმა სავარძლის სახელურს თითი დააჭირა და ზარი დარეკა. მორიდებით შემოვიდნენ ავენა, მოლა და ბოლოს – ოტრო)*

უდრეკი – ოტრო!.. მე მხოლოდ მინისტრები მოვიხმე. *(უკმაყოფილო ოტრო გადის. ფარულად ხარობენ ავენა და მოლა)*

კიმოთე – ბატონებო, თქვენი მეფე ავადაა. უძილობა სჭირს. წამალია საჭირო.

ავენა, მოლა – *(საწერ-კალამი მოიმარჯვეს)* ახლავე გავაჩენთ. რა წამალია, მოციქულო?

კიმოთე – სინდისი.

უდრეკი – *(შეაშველა)* სუფთა უნდა იყოსო.

ავენა – *(დაუზუსტა)* გარეცხილი.

კიმოთე – გაურეცხავი.

მოლა – მიქსტურაა თუ...

ავენა – რაკი სუფთაა, აბი იქნება, სასახლის აფთიაქარს ექნება.

მოლა – იმას ხომ თავი მოჰკვეთეთ?

ავენა – აჰ, ჰო...

კიმოთე – რატომ მოჰკვეთეთ? რა დააშავა?

ავენა – შარშან მისი უმწიკვლესობა შეუძლოდ გახდა და აფთიაქარმა წამალი გამოუწერა. თავი მოვკვეთეთ, რომ შეგვემოწმებინა, მეფის მოწამვლა ხომ არ ედო გულში. მერე, როცა მისი ერთგულება დამტკიცდა, გავამართლეთ.

უდრეკი – აქამდე არავინ დაგინიშნავთ?!

ავენა – დაგვავიწყდა, თქვენო უმწიკვლესობავ! არ დაგვჭირვებია და... იქნებ გვაქვს კიდეც. *(გასვლა დააპირა)*

კიმოთე – ტყუილად გაირჯებით. სინდისს სასახლეში ვერ იშოვით. უფრო, ხალხში უნდა ეძებოთ.

მოლა – ახლავე შევაწერთ! *(გასვლა დააპირა)*

კიმოთე – თქვენ იცით, რომ ყოველ საღამოს უფალს ანგარიშს ვაბარებ. *(მოლა დაჯდა)* რა მდგომარეობაა ფრონტზე? *(უდრეკმა ავენას შეხედა)*

ავენა – გაურკვეველი. ხან ჩვენ ვურტყამთ, ხან ისინი.

უდრეკი – ღიპს ძლივს დაათრევენ, მოციქულო, და რა მარდები აღმოჩნდნენ!

ავენა – ჩვენ რომ შევუტევთ, ისე გარბიან, ქუსლები უკანა რჩებათ. როცა შემოგვიტევენ, ჩვენებს ასწრებენ და უწინ ისინი შემორბიან ჩვენს ტერიტორიაზე.

კიმოთე – ეგ კარგია. როცა შეუტევთ, ველა ნუ გამოეკიდებით, ჯარის ნაწილი აქ დატოვეთ. მერე, როცა ისინი შემოგიტევენ და სირბილში გამოგასწრებენ, გაჩერდით და მათ უკან გაამაგრეთ პოზიციები. მტერი ალყაში აღმოჩნდება და იმათ გაჟუჟვას რაღა უნდა?

ავენა – მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მეფე მუდრეგივით ყველა მრგვალია. ვერ გაიგებ, წაქცეულია თუ ფეხზე დგას. შეიძლება მკვდრებსაც ვესვრით, ბევრი ტყვია-წამალი გვეხარჯება!

უდრეკი – ჰო. რაც ტყვია-წამალი დავხარჯეთ, თითოზე ათ-ათი რომ გაგვენაწილებინა, აქამდე ომი უნდა დაგვემთავრებინა.

კიმოთე – სამაგიეროდ, თქვენ ისეთი სიფრიფანა ჯარისკაცები გყავთ, კარგად გაწაფულ სნაიპერსაც გაუჭირდება ნიშანში ამოღება, იმათ კი, ალალბედზეც რომ ესროლოთ, ვერ ააცდენთ.

უდრეკი – ეგეც მართალია. თქვენი რჩევა კი, ალყაზე რომ მოგვეცით, დიდებულია. თქვენი რეკომენდაციებით, მოციქულო, მთელ მსოფლიოს დავიპყრობ!

მოლა – მერე, რამდენ გადასახადს ავკრეფთ, მეფევ!

კიმოთე – ქვეყნის შიგნით რა მდგომაროებაა? როგორ მუშაობს გადასახადების ამკრებ ჩაფართა ბატალიონი? *(უდრეკმა მოლას შეხედა)*

მოლა – გადასახადები იკრიბება. ეს წელიწადი გვალვიანი დაიჭირა და მზის გადასახადი ბიუჯეტში უდანაკარგოდ შემოვა.

კიმოთე – ეგ კარგია, მაგრამ გვალვა მოსავალსაც რომ წაახდენდა?

მოლა – ეს ომი ხალხს, სულ ცოტა, სანახევროდ ხომ გაწყვეტს და ვინც გადარჩება, იმათ როგორმე ეყოფათ.

კიმოთე – *(აღშფოთება რომ დაეფარა, ადგა, ბოლთა დასცა და ისევ დაჯდა)* ეგ მართალია. როგორია ხალხის რეაქცია გადასახადებზე?

მოლა – უჭირთ, მაგრამ მაინც იხდიან.

კიმოთე – თუ იხდიან, კიდეც შესძლებიათ. გაუზარდეთ ტარიფები. პროტესტის გამოხატვა არ უცდიათ?

ავენა – კი სცადეს, მაგრამ ცოტა შევაშინეთ.

კიმოთე – შიშის გრძნობა რომ არ დაუკარგავთ, ჩანს კიდევ შერჩენიათ სარჩო. ახალი გადასახადები მოიფიქრეთ. აი, თქვენი მეფე გვარიანად გახდა. დააწესეთ სავალდებულო წონის ახალი ნორმატივი.

მოლა – არაფერს მოგვცემს. ხალხი უარესად დამჭლევდა.

კიმოთე – ტუალეტზე გადასახადი გაქვთ?

მოლა – გვაქვს, მაგრამ ტუალეტიდან ბევრი არაფერი შემოგვდის.

კიმოთე – რატომ?

მოლა – ხალხი პერმანენტულად შიმშილობს, ბევრმა ტუალეტი გააუქმა კიდეც... ბოდიში და... *(უდრეკს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია)* არარენტაბელური იყო. მრიცხველებიც კი დავუდგით... მეუხერხულება, მოციქულო, როგორ გაკადროთ... მზე – გასაგებია, წყლიდანაც ამოვიღებთ, მიწიდანაც ამოვიღებთ, ტუალეტიდან ამოღებულით ბიუჯეტს დიდ ვერაფერს ვმატებდით. თუ რამე იყო, ისიც უსინდისო ინკასატორებს მიჰქონდათ!

კიმოთე – ჰაერზე დააწესეთ გადასახადი. ჰაერს ხომ სუნთქავენ?

ავენა – *(მოლას)* ეგ რატომ აქამდე ვერ მოიფიქრე?

მოლა – *(ავენას გაუცხარდა)* მე მხოლოდ ერთი წელიწადია, ამ თანამდებობაზე ვმუშაობ!

უდრეკი – და კარგადაც ართმევს თავს!.. ეს დიდებული აზრია! ჰაერით ხომ ყველა სარგებლობს?

მოლა – მრიცხველები სად დავუყენოთ?

კიმოთე - ნესტოებში.

უდრეკი – გვაქვს კი ფული მრიცხველების შესაძენად?

ავენა – მანამდე რომ ცხვირის მოცულობით ვიხელმძღვანელოთ?

უდრეკი – დიდებულია! მოციქულო, ხომ კარგად მუშაობენ ჩემი მინისტრები?

კიმოთე – ფანტაზია აკლიათ. ახლა რა ქენით, თუ იცით? გადასახადები არ კმარა. დააწესეთ შეღავათები...

მოლა – შეღავათები? მერე ბიუჯეტი გაქაჩავს?

კიმოთე – *(აშკარად იგრძნობა, მოლას, განსაკუთრებით, ვერ იტანს. მკაცრად შეხედა, მერე განაგრძო)* თქვენს რომელიმე ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, მეფემ გამოსცეს ასეთი განკარგულება: ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისთვის გაუქმდეს ტუალეტის გადასახადი. ვისაც 35 და მეტი შვილი ჰყავს, გათავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისგან, ხოლო მათი

შვილები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, უფასო სწავლებითა და წიგნებით. ვისაც ასი წელი შეუსრულდება, დაენიშნოს პენსია მოთხოვნილების მიხედვით, სიკვდილამდე. აუშენდეს აგარაკი, მიეცეს პერსონალური ცხენი, გაეწიოს უფასო სამედიცინო სამსახური და სახელმწიფოს ხარჯზე წელიწადში ერთხელ, იმოგზაუროს დედამიწის გარშემო.

უდრეკი – *(ჯერ შეშინდა, მერე თანდათან აღტაცებაში მოვიდა)* დიდებულია! ხალხის გულსაც მოვიგებთ და ბიუჯეტიდანაც არაფერი გავა!

კიმოთე – *(ავენას და მოლას)* აი, რას ნიშნავს, მეფე რომ არის, მიხვდა! მეფევ, ოტრო ველა უნდა დააბრუნოთ, ჭკვიანია და ალღოიანი. მე უფალს უკვე შევუთანხმდი და ისიც ამ აზრისაა. მისთვის თანამდებობაც კი მოიფიქრა.

მოლა – *(უდრეკს უკმაყოფილოდ)* მეფის აპარატის შტატი ისედაც გაბერილია!

უდრეკი – უფლის მოციქულის სიტყვა ჩემთვის კანონია! ვაჰ! ეს ჰაერის გადასახადი და შედავათები დუშაშივით არ დაგვიჯდა?

კიმოთე – მეფევ, ცოტა ხანს მარტო მინდა დავრჩე. *(მეფემ შეხედა მინისტრებს, ისინიც გავიდნენ)* თქვენი უგუნებობის წამალი ვიპოვე, მეფევ! შეატყობინეთ მეფე მუდრეგს, ვითომ მართლა ქვა ააცოცეთ შაშის კარიდან...

უდრეკი – *(მისთვის საოცნებო თემაა)* ვითომ კი არა, მართლა ავაცოცე!

კიმოთე – მით უფრო კარგი! ბოდიში მოუხადეთ და თამაში განაახლეთ. მე ვიცი, ისიც იტანჯება და თქვენთან შეხვედრას ნატრობს. ეს სისხლისღვრაც შეწყდება!

გარეთ კი მეფის მისაღებში – ავენა და მოლა.

მოლა – შემთხვევას არ უშვებ, ავენა, მიკბინო და მეფესთან დამამცირო!

ავენა – პირიქით. ხანდახან აღვირზე მოგქაჩავ, ზედმეტი რომ არაფერი წამოგცდეს. შენ ახალბედა მინისტრი ხარ, მოლა, დაიხსომე, მეფეს თვალებში უნდა უყურო. მარტო მლიქვნელობით კი არა, მის თვალებში გაჩენილი ზრახვა რომ წაიკითხო და შენი აზრი მერე გამოთქვა. მე, რამდენი ხანია, რაც მინისტრი ვარ?

მოლა – მგონი, დაბადებიდან.

ავენა – ჰოდა, დამიჯერე. მიტინგებზე ცხრა ენა რომ გქონდა გამობმული, იმიტომ გაგდიოდა, რომ ხალხი მიმნდობია და გულუბრყვილო. სასახლეში ცხრა თვალი და ცხრა ყური გინდა იმიტომ, რომ ცხრა თოკიდან აშვებულ ხალხში ტრიალებ. ეგ სავარძელიც, შენ რომ ზიხარ, გაუხედნელი ბედაურივითაა. მიამიტობა და ქარაფშუტობა თუ შეგატყო, იმ სიმაღლიდან ისე გადმოგაგდებს, მიწამდე სული არ დაგყვება. ამიტომ შევაბერდით ერთმანეთს მე და მეფე... ამ

მოციქულზე ფიქრი კი არ მასვენებს. ან მართლა უფლის მოგზავნილია, ან ძალიან ჭკვიანი თაღლითი.

მოლა – რა ვიცი, გულში რა გვაქვს, იმასაც ხვდება...

ავენა – მაგრამ ჩემი პროფესია ეჭვიანობაა.

ერთბაშად საზეიმო მუსიკა, როგორც „ტუში“.
ეს სცენა თამაშდება პანტომიმასავით. მეფე უდრეკი დგას, ავენა და მოლა მხარს უმშვენებენ. შემოდის მეფე მუდრეგი, ასევე ამალის თანხლებით. სრულდება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ჰიმნები ფუიამას და ფუიიმას სამეფოებისა. ჰიმნების შემდეგ მეფეები ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ, აღტაცებულმა უდრეკმა ხელით მოუწოდა „სათათბირო“ დარბაზისაკენ, სადაც ასევე კმაყოფილი მუდრეგი „შეგორდა“ და შეჰყვა მასპინძელი. ავენამ არ შეუშვა დარბაზში ფოტოჟურნალისტები და ამ დროს გავიგონეთ ერთადერთი ფრაზა:
– მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა ჩატარდება!

კიმოთე თავის დარბაზში. კაკუნი კარზე.

კიმოთე – მოდი, ოტრო, მოდი. *(ოტრო შემოვიდა და მორიდებით წინ დაუდგა)* დაჯექი.

ოტრო – ვიდგები, მოციქულო!

კიმოთე – დაჯექი, გრძელი სათქმელი მაქვს. *(ოტრო ჩამოჯდა)* ახლა ველაპარაკე უფალს.

ოტრო – *(წამოხტა სახეგაბრწყინებული)* ჩემზე?

კიმოთე – შენზეც და სხვებზეც. დაჯექი-მეთქი. *(ოტრო ჩამოჯდა)* დიდხანს ვილაპარაკეთ. კაი საქმე მინდოდა შენთვის.

ოტრო – *(შეშფოთდა)* რა თქვა? ჩემზე ნაწყენია?

კიმოთე – არა, მარა პასიურობსო!

ოტრო – რაც შემიძლია, მოციქულო.

კიმოთე – ისე, კია პატიოსანიო, შენზე.

ოტრო – გმადლობთ, მოციქულო, თქვენგან იცის, ალბათ.

კიმოთე – გაკვირვებულია, ამდენ გადასახადს როგორ უძლებსო ხალხი!

ოტრო – გაეშმაკდნენ, მოციქულო! რაც ნესტოებში ჰაერის მრიცხველები შევუმონტაჟეთ, ორმოცი კაცი უკვე დავსაჯეთ, პირით სუნთქავდნენ! პირშიც რომ შევუმონტაჟოთ მრიცხველები, ისე გამამაძაღლდნენ, ჰაერს სხვა გზით შეისუნთქავენ! კიდევ დავაგზავნი ჩაფრებს.

კიმოთე – გაოცებულია, ხალხი ასეთ გაჭირვებას რატომ ითმენსო!

ოტრო – დღე და ღამ ახალ გადასახადებზე ვფიქრობ, ფანტაზია ამომეწურა!

კიმოთე – არ შემარცხვინო, ხომ იცი, შენს დანიშვნაზე რა ომი გადავიტანე!

ოტრო – სიკვდილამდე თქვენზე ვილოცებ, მოციქულო! მაგრამ ავენა და მოლა კრიჭაში მიდგანან, ჩემს ყოველ პროექტს ბლოკავენ! განა ხალხზე შესტკივათ გული, ინტრიგანები არიან!

კიმოთე – ინტრიგა სუსტების იარაღია.

ოტრო – დამცინიან, ვიცი, ზურგს უკან სულელს მეძახიან, თვითონ კი არიან სულელები!

კიმოთე – ვერ აუკრძალავ. ყველას აქვს უფლება, იყოს სულელი. ეს არის დემოკრატიის შენაძენი. ოღონდ აშკარა სულელი საშიში არ არის. უფრთხილდი იმ სულელს, ვინც ბრძენს თამაშობს. ესეც იცოდე, ჭკვიანი არასოდეს დასცინებს სულელს. სულელი კი ჭკვიანს ნიადაგ დასცინის. სწორედ ამაშია მისი უპირატესობა.

ოტრო – *(იმედის მოლოდინით)* მაშ, ავენაზე და მოლაზე ღმერთთან ლაპარაკი გქონდათ?

კიმოთე – პირველი სიტყვა მაგათზე ჩამომიგდო.

ოტრო – ჩემზე რა თქვა?

კიმოთე – პატიოსანი და ჭკვიანიაო, ხომ გითხარი?

ოტრო – კი მითხარით, მაგრამ ბევრჯერ მოსმენა მსიამოვნებს! ახლა გულზე გასკდებიან ავენა და მოლა. უხ, მაგათი! მოციქულო, ვითომ ერთმანეთი უყვართ, არ დაიჯეროთ!

კიმოთე – *(წარბები შეკრა)* კაცო, შენ მე მასწავლი?

ოტრო – მაპატიეთ, მოციქულო, წამომცდა!

კიმოთე – *(ისევ გაბრაზებით)* თქვენნაირი მოკვდავი, დღეს რას ფიქრობს კი არა, ხვალ რა მოუვა თავში, ის ვიცი!

ოტრო – მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ, ნუ გამიბრაზდებით, ჩემზე გულს ნუ აიყრით, მოციქულო!

კიმოთე – *(ერთბაშად მოლბა)* შენც დამშვიდდი. ღვთის მოციქულს მევალება, შეცოდებანი შეგინდოთ.

იტრო – მადლობელი ვარ, მოციქულო!.. თქვენს ყველა დავალებას შევასრულებ... აქამდე ვერ გიბედავდით და თუ ნებას მომცემთ, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ.

კიმოთე – გამიმხილე, ოტრო.

ოტრო – ყური მოვკარი, იქითა კვირას გრაფიკში თქვენი ნადირობაა ჩასმული.

კიმოთე – მერე, ჩემო ოტრო, ნადირობა ხომ ჩემი სტიქიაა!

ოტრო – ვიცი! მაგრამ ის სულელი ავენა ეჭვობს თქვენზე, უფლის მოციქული კი არა, ის არისო...

კიმოთე – ვინ ისაო?

ოტრო – მერიდება, მოციქულო!

კიმოთე – ვიცი, რაც თქვა. გვაცუცურაკებსო, ხომ?

ოტრო – ეგრე გრძლად არა, ოინბაზიაო.

კიმოთე – მერე ეგ ნადირობასთან რა კავშირშია?

ოტრო – სანადიროდ იქ უნდა წაგიყვანონ, სადაც გაავებული ძუ ლომი ბუდობს. ხვადმა მიატოვა და ლეკვები მიუყარა. მოლას ეუბნებოდა, თუ ჩვეულებრივი ადამიანია, ლომი ეგრევე გადაყლაპავს და ამით გავარკვევთო.

კიმოთე – *(ერთ წამს ჩაფიქრდა, მერე გაიცინა)* მაშ იქით კვირასო? მერე, ის ლომი მაგათ რომ ეძგეროს?

ოტრო – ისინი გაგიტყუებენ და თვითონ დაიმალებიან.

კიმოთე – ვნახოთ, ნადირობიდან ცოცხალი ვინ დაბრუნდება! შენ მართლა პატიოსანი და კეთილი კაცი ხარ, ჩემო ოტრო. მე ველოდი, როდის გამიმხელდი ამ საიდუმლოს. ახლა რომ მქონდა უფალთან საუბარი, მაგ საკითხსაც შევეხეთ.

ოტრო – თქვენ იცოდით!

კიმოთე – ჩვენ ისიც ვიცით, ახლა კამათელი რაზე დაუჯდა უდრეკ მეფეს!.. *(უცებ გაბრაზდა)* კი მაგრამ, რაში შეეპარათ ეჭვი?! რა შემნიშნეს ისეთი იმ ლენჩებმა? მე ხომ ნახევრად ადამიანი ვარ?

ოტრო – მე ხომ დაგინახეთ, ციდან როგორ დაეშვით?

კიმოთე – ხედავ შენ, რა უბეჭუტურიათ?

ოტრო – სისულელეა, მოციქულო!

კიმოთე – *(ვერ მშვიდდება)* ქვეყანას ღუპავს ის, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს, სისულელეს კი – არა! შენ შენი საქმე უნდა გააგრძელო, მეტად უნდა გაამწარო ხალხი, რომ ხმა ამოიღოს, რომ აქედან კამათლებივით გადაყაროს მეფე და მისი ამყოლები!

ოტრო – ავენა და მოლაც ხომ თან მიჰყვებიან?

კიმოთე – თან კი არა, მეფე ამბოხებულ ხალხს დასაშოშმინებლად პირველად მაგათ თავებს გადაუყრის!

ოტრო – მერე, ხალხი რომ ამით დაკმაყოფილდეს?

კიმოთე – *(გაუღიმა)* შენ მეფის ჯავრი არ გასვენებს!

ოტრო – სულ იმის ცდაშია, როგორ გადამიაროს!

კიმოთე – ცოტაც მოითმინე. ბუნების შვილთაგან არც ერთ არსებას არ აქვს იმდენი მოთმინება, რამდენიც ხალხს. ამავე დროს, ბუნების შვილთაგან ყველას მოტყუება შეიძლება, გარდა ხალხისა. ზოგი თავისსავე სავალალოდ, ერთმანეთში ურევს ხალხის ამ ორ თვისებას და როცა მიხვდება თავის შეცდომას, გვიანღა იქნება. ამიტომ ვურჩევდი თქვენს მეფეს, ყური მიუგდოს კეთილგონიერებას, ხალხს მოეფეროს, რადგან ყველა მმართველის კეთილდღეობის წყაროს სათავე ხალხის კეთილდღეობაშია. დადგება დრო, თქვენს ფუიამაშიც გათენდება. სიმართლე მზის დაბნელებას ჰგავს. ზოგჯერ უკუნი ჩანთქავს ხოლმე, მაგრამ მაინც გამოანათებს და ბნელიც გაქრება. რაც უფრო დიდხანს გრძელდება დაბნელება, მით უფრო მეტი ბრწყინვალებით გამოანათებს!

სპირიდონთან

სპირიდონი – ამადამ სულ რომ არ დავიძინო, უნდა დამიმთავრო მაი ნადირობის ამბავი, რაფერ გადარჩი? თეოდორია, ჩვენ აქედან ვსაუყვედურობ-დით, დაგვივიწყა კიმოთემო და თურმე რა ბეწვის ხიდზე უვლია ჩვენს მეგობარს!

კიმოთე – აკი გითხარი, რამდენჯერ დავაპირე წამოსვლა, მარა გზას ვერ გამოვიგნებდი, არ მქონდა კომპასი. ვერც გავიკითხავდი, მაშინ ხომ გამოვმუდავნდებოდი, თუ მართლა მოციქული ვიყავი და ციდან ფუიამამდე ჩემით ჩამოვედი და გზა არ შემშლია, უკან დაბრუნებაც არ უნდა გამძნელებოდა, რავა ფიქრობ ახლა შენ, არა ვარ მართალი?

სპირიდონი – მართალი ხარ, ჩემო კიმოთე, მაი არ გამეგება ვითომ? მე იმას ვჩივი, რანაირად დააღწიე თავი იმ განსაცდელს!

კიმოთე – ჩემო სპირიდონ, იცი შენ ჩემი მოხერხების ამბავი, ხოხობსაც დავიჭერ და ბარდებიდანაც გაუკაწრავი გამოვძვრები, მაგრამ იმ მართლა ოტრო ველამ რომ გამანდო, ხვალ მიტოვებული ძუ ლომის პირში ჩაგდებას მიპირებდნენ, უნდა გამოგიტყდე, პირველად ვიგრძენი ჩემ ცხოვრებაში, რა ყოფილა შიში! შენ რომ ჩემი გულადობის ამბავი იცი, შეიძლება გაგეცინოს ამაზე, მაგრამ ვერ მოგატყუებ და კაი შიში ვჭამე. იმ წამსვე ფიქრმა გამიელვა, ვედარ ვნახავ ვერც ჩემს სპირიდონს და ვერც ჩემს საქართველოს-მეთქი! მაგრამ შიში არ შევიმჩნიე – ველოდები ახლა იქითა კვირას, სანადიროდ რომ უნდა წამიყვანონ, ვარ სასახლეში დაშევყურებ ამდენ ყეყეჩ და კარიერისტ ადამიანს, სხვისი ჭირი ლხინად რომ მიაჩნიათ და ყველა თავისი ბუხრის ცეცხლს უკეთებს!

სპირიდონი – დაილოცოს ჩვენი ქვეყანა, დიდი და პატარა, ყველა რომ სამშობლოზე და მოძმეზე ფიქრობს!

კიმოთე – აბა, მაგიტომ იყო, საქართველოში როგორც კი შემოვედი, ჯორიდან ჩამოვხტი და მიწას ვემთხვიე!

სპირიდონი – დააყენე საშველი, კიმოთე, გასკდა გული, როგორ დაიძვრინე თავი იმ ხიფათიდან!

კიმოთე – ნახევარი წელიწადი მიილია, რაც ფუიამაში მუდრეგ მეფე ჩამოვიდა. ექვსი თვე მეფეები კამათელს აგორებენ შეუწყვეტლივ. მე კი დამრჩა ერთი დღე, ხვალ დილით სანადიროდ მივდივარ!

ფუიამა

მეფის დარბაზში ნარდის თამაში გრძელდება. კედელზე დაფის მსგავსია, სადაც ცარცით წერია: უდრეკი – 499, მუდრეგი – 498. მოთამაშეთა დაძაბულობა ზენიტშია. უკან, მათ შორის, არბიტრი ზის, რომელსაც ჩასძინებია. უდრეკი მუჭში კამათლებს ათამაშებს, სულს უბერავს.

უდრეკი – წყვილს არა გთხოვ, სე იაქე! *(და აყარა კამათელი)* ფუჰ, შენი!

მუდრეგი – *(აღტაცებული)* დუ იაქე! *(უდრეკმა კამათლებს გადაყლაპვა დაუპირა, მაგრამ მის განწირულ შეძახილზე გამოღვიძებულმა არბიტრმა ხელიდან გამოსტაცა, ყვითელი ბარათი უჩვენა და კამათლები მუდრეგს გადასცა, რომელიც მუჭში მოქცეულ კამათლებს რაღაცას ულოცავს)*

უდრეკი – *(თავი დაიმშვიდა)* რადა დუშაში დაჯდება!

არბიტრი – *(მუდრეგს აფრთხილებს)* რეგლამენტი!

მუდრეგი – *(აყარა კამათელი და მუდარა გაუმეორა)* დუშაში! *(გაგორებულ კამათლებს სამივე დააკვირდა, თითქოს თვალებს არ უჯერებენ. უდრეკი გაშრა, ჩაკვდა. მუდრეგი სიხარულით აჭყლოპინდა. არბიტრი უსიტყვოდ ადგა, მუდრეგის შედეგი დინჯად წაშალა და 498-ის ნაცვლად 500 დაწერა. (შემოვარდა აქოშინებული ავენა)*

ავენა – თქვენო უმწიკვლესობავ! დიდო მეფევ! გავიმარჯვეთ!

უდრეკი – *(ბავშვივით გალახული და ნაწყენი)* რა გავიმარჯვეთ, ბიჭო, დუშაში დასვა!

ავენა – ფრონტზე, დიდო მეფევ, ომი დამთავრდა! *(და გავარდა, როგორც შემოვარდა)*

მუდრეგი – *(მოთამაშეები ისევ ნარდის შთაბეჭდილების ქვეშ არიან. უდრეკის გამხნევება სცადა)* კარგი, თავს ნუ მოიკლავ, ომი ხომ შენ მოიგე?

უდრეკი – *(თვითმკვლელობამდე ბევრი არ უკლია)* ბედი არ გინდა? შენ რაც ინატრე, ზუსტად დუშაში დაგიჯდა, მე სე იაქე რომ მომსვლოდა, ოინს წავაგებდი და კონტრას ვითამაშებდით!

მუდრეგი – კონტრა ახლა ვითამაშოთ, ომში ხომ შენ მოიგე? ერთით ერთია.

არბიტრი – მოიცათ, ბატონებო, რა თქვა იმ კაცმა, ომი დამთავრდაო?!

მუდრეგი – ჰო, დამთავრდაო, ჩვენ დავმარცხებულვართ... *(უცებ გაერკვა და უდრეკს შეხედა)* მოიცა აქამდე ვომობდით? დაზავების ბრძანება არ გაგვიცია?!

უდრეკი – *(ისევ მოწყენილი)* ეტყობა, დაგვავიწყდა...

სასახლის ეზოში მეფის, სასახლის ელიტის ოჯახის წევრები, ქალიან-კაციანად, საზეიმოდ გამოწყობილნი, აღტაცებულნი სადღაც იყურებიან. რა თქმა უნდა, ფოტოკორესპონდენტებიც

მზად არიან. „გამოჩნდა! გამოჩნდა!“ „მოდის!“ – გაისმა შეძახილები

ავენა – *(გამარჯვებული სარდლის იერით)* გმირი არმიის გმირი მალემსრბოლი! *(ეზოში შემოდის მალემსრბოლი, რომელსაც „სრბოლისა“ არაფერი ეტყობა, დაჭრილი, ნაგვემი შემოლასლასდა და იქვე ჩაიკეცა, იქუხა ტაშმა. თავის ფანჯრიდან გამოიხედა კიმოთემ. ავენამ წამოაყენა „მალემსრბოლი“)* გამაგრდი, გმირო!.. ჩვენი უძლეველი ჯარი რად იგვიანებს?

მალემსრბოლი – *(წამოილუღლუღა)* რა ჯარი?.. მარტო მე დავრჩი.

ავენა – მაშ, რანაირად გავიმარჯვეთ?

მალემსროლი – იმათგან ცოცხალი აღარავინ დარჩა.

ავენა – დიდება გმირს! *(ხალხმა აღტაცებით იხუვლა. ერთმა მანდილოსანმა ყვავილი ესროლა „მალემსრბოლს“, რომელმაც ვერ გაუძლო ყვავილის „დარტყმას“, წაბარბაცდა და წაიქცა. ისევ წამოაყენეს).* მისი უმწიკვლესობა! *(აივანზე გამოსულან უდრეკი და მუდრეგი. აპლოდისმენტები, აღტაცებული შეძახილები)* დიდება ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს მეფე უდრეკს! *(ყვავილები აფრინდნენ აივნისკენ)*

უდრეკი – ჩემო ძვირფასო და საყვარელო თანამემამულენო! დიდი ზეიმის დღე დაუდგა ჩვენს ფუიამას! ასრულდა თქვენი დიდი ხნის ნატვრა, დამთავრდა სამწლიანი ომი და ძლევამოსილად ჩვენმა გმირმა არმიამ! *(ტაში, აღფრთოვანება)* დიდია ჩვენი ხალხის სიხარული ამ ძლევამოსილი გამარჯვების გამო. მოწინააღმდეგე ძლიერი აღმოჩნდა. ბრძოლა თითქოს თანაბარი იყო, ქულა ქულაზე მიდიოდა და დუშაში რომ არ მოსვლოდა... *(მიხვდა, რომ შეტოპა, შეფერხდა, მერე ისევ გაიღიმა)* ხატოვნად რომ ვთქვა, მოწინააღმდეგეს დუშაში რომ არ მოსვლოდა ბრძოლის ველზე, ჩვენ ვიყენებდით მოციქულის სტრატეგიასა და ტაქტიკას, რამაც გამარჯვებამდე მიგვიყვანა. მადლობა უფალს, რომ ჩვენს მხსნელად ასეთი მოციქული გამოგვიგზავნა! *(ხალხი ახლა კიმოთესკენ მიბრუნდა და აღტაცებული შეძახილები გაუგზავნა).* მე უკვე ბრძანება გავეცი, ყველა გამორჩეული ჯარისკაცი დაჯილდოვდეს ფუიამას უმაღლესი ორდენებით! *(სრული სიჩუმე)* ხოლო ჩვენი ძლევამოსილი არმიის ყველაზე გამორჩეულ მებრძოლს, ჩვენს მალემსრბოლს, ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების მაცნეს მიენიჭოს ფუიამას გმირობა! *(აპლოდისმენტები, ყიჟინა, მისცვივდნენ მალემსრბოლს, ხელში აიტაცეს და ჰაერში აათამაშეს)* დიდება ფუიამას! *(როდესაც მალემსრბოლი ძირს დაუშვეს, ის ფეხზე ვეღარ დადგა. ერთ წამს ყველა გაშეშდა)*

ავენა – *(ხალხის ჯგრო გასწი-გამოსწია, მალემსრბოლს დააკვირდა)* მოკვდა! *(მოახსენა უდრეკს)*

უდრეკი – სამარადისო დიდება მას!

მუდრეგი – ფუიამას მოსახლეობას ფუიიმას მოსახლეობის სახელით ვულოცავ ომის დამთავრებას! თქვენს მეფესთან, აი, უკვე ნახევარი წელიწადია, მქონდა ძალზე დაძაბული, კონსტრუქციული საუბრები და მივაღწიეთ ამ საშინელი ომის დროულად შეწყვეტას. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი მეფით, ჩემი მეგობარი უდრეკით. მისი დამსახურებაა, რომ თავიდან ავიცილეთ ამ საშინელი სისხლისღვრის შემდგომი გაგრძელება და ესკალაცია. მეც ვამაყობ ჩემი უდრეკით, ჩემი შესანიშნავი პარტნიორით, რომელთანაც ხელიხელჩაკიდებული დაუღალავად ვივლი მშვიდობისაკენ! *(მქუხარე ტაში და შეძახილები: „დიდება უდრეკს!“ „დიდება მუდრეგს!“)*

უდრეკი – *(მწუხარედ, მაგრამ მხნედ)* გთხოვთ, ღირსეული პატივი მიაგოთ დაღუპულ გმირს და მხედრული დიდებით დაკრძალოთ! *(მალემსრბოლი ასწიეს და გაიყვანეს. ხალხი გაჰყვა)*

მუდრეგი – *(უდრეკს მხარზე ხელი მოავლო)* ნუ დამიღონდი, მეგობარო!

უდრეკი – *(ცხარედ)* თუ მართლა მეგობრები ვართ, გულს ნუ დამწყვეტ და რვანში ვითამაშოთ!

მუდრეგი – რატომ რვანში? კონტრა! ომი ხომ შენ მოიგე?

უდრეკი – არ მომიგია, ერთი ჯარისკაცით მეტი დამრჩა და ისიც მოკვდა. *(შევიდნენ დარბაზში. ეზოში დაფეთებული შემორბის ოტრო, კიმოთეს ფანჯარას ახედა)*

ოტრო – *(შეთქმულივით)* მოციქულო!

კიმოთე – მოხვედი? ამოდი! *(ოტრო სწრაფად გაჩნდა ფანჯარასთან მდგარ კიმოთესთან)* რად დაიგვიანე?

ოტრო – როგორც დამარიგე, შევუსიეთ ჩაფრები ყველა ოჯახს, აღარავინ დაინდეს!

კიმოთე – დაწყნარდი, სული მოითქვი... რაო მერე?

ოტრო – ისევ ჩაფრები რომ დაინახეს, სისხლის ცრემლები ღვარეს, გოდებით გააყრუეს იქაურობა!

კიმოთე – მერე?

ოტრო – რაღა მოგცეთ, გავწყდით, გავღატაკდით, სული-ღა შეგვრჩა და ბარემ ისიც წაიღეთო, თითქოს გაგვიძალიანდნენ კიდეც...

კიმოთე – კარგია! მერე?

ოტრო – და როცა აღარაფერი დარჩით, აღარც საჭმელი, აღარც ჩასაცმელი, წყლის დასალევი თიხის ჯამიც კი...

კიმოთე – *(შეუტია)* ჰო, თქვი!

ოტრო – შემეშინდა, მოციქულო, და გამოვიქეცი!

კიმოთე – აჯანყდნენ?

ოტრო– არა, მოციქულო! ჯერ გაოგნდნენ, ზეზეურად მკვდრებს დაემსგავსნენ, მერე სიმღერა დაიწყეს და აცეკვდნენ! ყველა ერთად!

კიმოთე – ცეკვა-სიმღერამ როგორ შეგაშინა?

ოტრო – აქეთ მოდიან და ნახავთ, თუ თქვენც არ... არა, თქვენ რა შეგაშინებთ, ღვთის კაცი ხართ! *(თანდათან ახლოვდება უცნაური სიმღერა. სიტყვები გაუგებარია, მუსიკა კი ისეთივე კაკაფონიური, როგორიც მათი სახელმწიფო ჰიმნი, ოღონდ გაცილებით ყინიანი, ხან – შემზარავად სევდიანი, ხან – რაღაც მიჯნის გადალახვით გამოწვეული აღტაცების გამომხატველი).*

კიმოთე – *(ჩვეული სიმშვიდე გაუქრა)* აქვთ კი რაიმე მიზეზი ამ ფესტივალის გამართვისა?

ოტრო – დიახ, აღარაფერი დაგვრჩა, ახლა ხომ მაინც მოგვეშვებიან, გავთავისუფლდითო, უხარიათ! „სიმწრის ზეიმი“ გვაქვსო! *(თეატრის „საბნის სიგრძეზეა“ დამოკიდებული: შეიძლება სცენაზე შემოვიყვანოთ მოზეიმე ადამიანები, უსახურნი, ჩამოგლეჯილტანსაცმლიანი, მაგრამ სიხარულით აღტაცებულნი, მოზეიმედამწუხრებულნი)* ხომ არ შევაწეროთ ახალი ბეგარა?

კიმოთე – *(თითქოს თავისთვის, თითქოს ოტროს გასაგონად)* არა... ამათ ბეგარა ველარ უშველით!

ოტრო – იქნებ უფალს დაუკავშირდეთ?

კიმოთე – ესენი უფლის თანაგრძნობას არ იმსახურებენ. რა ულამაზო და საზარელი სანახავია ბეჩავი და ღირსებადაკარგული ხალხი! *(ამ ბაკხანალიის დროს მოისმის ჯორის ყროყინი. კიმოთეს სახე გაებადრა)* მომნახა! მომაგნო! მოვდივარ, ჩემო ერთგულო მეგობარო! *(სცენიდან გავარდა)*

ოტრო – *(დაბნეული გამოედევნა)* მოციქულო!

კიმოთეს ხმა – უდრეკზე უკეთესი მეფე არ ეკუთვნის ფუიამას!

ოტრო – ეგ დასკვნა მიგაქვთ უფალთან?

კიმოთეს ხმა – უფალმა უჩემოდაც კარგად იცის! ყველაფერს კარგად ხედავს!

ოტრო – შეეხვეწეთ, გადმოგვხედოს!

კიმოთეს ხმა – მე რა შემიძლია, ოტრო ველა, კიმოთე ვარ, ლახუნდარელი!

სპირიდონთან

კიმოთე – ასე დავტოვე ის ღვთისგან მივიწყებული ქვეყანა. გზაში მათი სიბრალული მკლავდა. ჯორი გრძნობდა, რომ ჩვეულებრივ გუნებაზე არ ვიყავი და სულმოუთქმელად მომაქროლებდა დიდი ხნის უნახავი სამშობლოსაკენ. მე კი ჩემს თავს ვკილავდი, სიცოცხლეში ეს ერთი შეცდომა რომ დავუშვი.

სპირიდონი – მეფეს რომ აძალებდი, ხალხისთვის უკანასკნელი ლუკმა წაერთმია?

კიმოთე – მეგონა, ხალხი გამოიღვიძებდა. სხვა გზა ვერ მოვნახე მის დასახსნელად. მოვტყუვდი. ჩემო სპირიდონ, სადაც სურვილი აღარ არის, იქ ადამიანიც აღარაა.

სპირიდონი – აღარც სიცოცხლე.

კიმოთე – იცი, შენ, ჩემი ჯორისთვის უბრალოდ მათრახიც კი არ მიკადრებია. მერე რა, რომ პირუტყვია, ბუნების შვილია! შენ რომ მეფე ხარ, შეიძლება, ხალხი იმ ზომამდე მიიყვანო?

სპირიდონი – რაც შენ ამბავი გვიამბე, ამაღამ ძილადაც გვეყოფა და სიზმრადაც. დავივიწყოთ. ახლა ჩვენ ერთად ვართ, ძველებურად, ბუხარი ტკბილად ღუღუნებს...

კიმოთე – ერთი სადღეგრძელოს ნებას ვითხოვ, ჩემო სპირიდონ!

სპირიდონი – ბრძანე, კიმოთე, შენი ტკბილი სადღეგრძელოები მოგვენატრა მე და თედორიას.

კიმოთე – ჩემო საყვარელო ადამიანებო! ვისაც არ გამოუცდია სამშობლოსგან განშორება, ის ვერ იგრძნობს იმ სიტკბოებას, რომელსაც ადამიანი განიცდის, როდესაც თავისი ქვეყნის მიწაზე დაადგამს ფეხს. აკი გითხარით, იქ პატივი და დიდება არ მაკლდა, მაგრამ ყოველ ღამე ჩემი იმერეთი მესიზმრებოდა, ჩემი საქართველო, ჩემი ტკბილი ადამიანები. ქართველი კაცი როგორ გაძლებს უცხო მიწაზე? გადარგე შენი ალადასტური ან ეს ეკალა ფხალი კამჩატკაზე და უყარე პატივი, იხარებს? შენი მტერი არაა, ვერ იცოცხლებს! ღმერთმა გვაბედნიეროს, სანთელივით რომ გვინთია, ჩვენი ლამაზი და სალოცავი, სულში ჩასაძვრენი საქართველო! ღმერთს რომ პირველად ციდან ჩამოუხედავს, ჩვენს ქვეყანაზე შეუჩერებია თვალი და სიხარულს მისცემია, ეს რა სილამაზით და ღირსებით შემკული ქვეყანა გამიჩენიაო! მართლაც და, სად არის მისი შესადარებელი? *(დალია. სპირიდონმა სიმღერა წამოიწყო, აჰყვნენ კიმოთე და თედორია).*

ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი,
ძეწნამ ალერსით ამავსო, ეჭვებით ნაავადარი,
საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?
ცა ვარსკვლავებით ინთება, ცა – არცა რისი სადარი,
მთვარე რომ ამობრწყინდება, გული გაფრენად მზად არი,
დიდება, შენდა დიდება, სხვა საქართველო სად არი?

დასასრული 2009 წ.

მერხებზე ანგელოზები სხედან

დრამა 2 მოქმედებად

მოქმედი პირები

მეათე კლასის მოსწავლეები:
პაატა მაჩაბელი
თეა თაბაგარი
ვაჟა ბალანჩივაძე
დოდო გელაშვილი
ბონდო შარაბიძე
გურამ აბესაძე
ლონდა გავაშელი
„არქიმედი“

მასწავლებლები:

გოჩა თარხნიშვილი
ლონგინოზ ბუაჩიძე
მარიამი

თინათინი – **სკოლის დირექტორი**

მილიციელი
პასუხისმგებელი პირი განათლების სამინისტროსი
ბავშვთა ოთახის ინსპექტორი

პირველი მოქმედება

ტელეფონი – ავტომატი, პაატამ ორკაპიკიანი ჩააგდო და დინჯად, თითქოს შიშით აკრიფა ნომერი.

– გისმენთ, გისმენთ! ალო!.. – მოისმა ნაზი ხმა გოგონასი.

პაატამ ყურმილი დაკიდა, მაგრამ იგრძნობა, რომ რაც ახლა პაატას სულში მოხდა, იგი დაღალა.

პაატას ორკაპიკიანი ბევრი ჰქონია, ახლა უკვე ჟინიანად აკრიფა ნომერი.

– გისმენთ, გისმენთ ბატონო!.. – ისმის გოგონას შეწუხებული ხმა.

პაატამ კიდევ აკრიფა ნომერი.

– ვისი ბინაა, გენაცვალე? – ნესტოებზე ხელი მოიჭირა და ისე იკითხა პაატამ.

– თაბაგარის... თქვენ სად რეკავთ? ალო...

პაატას აღარ შეუძლია მეტის მოსმენა. დაკიდა ყურმილი და გაიარ–გამოიარა. მერე უეცრად ეცა ავტომატს და ისეთი სისწრაფით აკრიფა ნომერი, თითქოს ეშინოდა, არავის დაესწრო.

– თეა! – დაასწრო მოპასუხეს, – თეა! მე ვარ, თეა!

– პაატა! საიდან რეკავ? – თითქოს ელოდა ისიც პაატას ხმას.

– აქა ვარ, სადგურში, ჩამოვედი! – სხაპასხუპით უპასუხა პაატამ.

– ჩამოხვედი? მანდა ხარ?.. პაატა, მანდა ხარ?

– როგორა ხარ?

– შენა, ჩამოხვედი? არ წახვიდე, მოვდივარ!

– მოიცა, თეა!.. რუსთაველის მეტროსთან მოდი! გაიგე? – მოპასუხეს უკვე დაუკიდია ყურმილი.

მორბის პაატა გულამოვარდნილი. გამოჩნდა თეაც. ისიც მორბის, მოფრინავს, ისინი ერთმანეთს გადაეხვევიან. ეს ბუნებრივად, ანგარიშმიუცემლად მოხდა. ისინი ადგილზე არ გაჩერებულან, პაატამ ხელი ჩაჰკიდა და სწრაფი ნაბიჯით მიჰყავს. თეას ქვეყნის სალაპარაკო დაჰგროვებია:

თეა – პაატა, მე მაშინ, სასამართლოს დროს...

პაატა – *(არ მიუხედავს)* გაჩუმდი!

თეა – მე მაშინ...

პაატა – *(მუდარით)* გაჩუმდი! *(თეამ შეაჩერა)*

თეა – ახლა რა უნდა ქნა? მთელი მეოთხედი გაგიცდა. მოგცემენ სიმწიფის ატესტატს?

პაატა – ყველა ხილი ერთდროულად არ მწიფდება. გურამ აბესაძე მზის გულზე იყო მიფიცხებული და ადრე დამწიფდა.

თეა – გგონია, დამწიფდა? ჭიანი ვაშლი მწიფეს ჰგავს.

პაატა – მით უკეთესი. დაუბრკოლებლად ჩააბარებენ დამზადების პუნქტს. *(ისევ გაიტაცა თეა)*

თეა – აქ ხომ გოჩა მასწავლებელი ცხოვრობს?

პაატა – ვიცი, არ დამვიწყებია!

გოჩა თავის ბინაში, მაგიდის ნათურის შუქზე რვეულებს ასწორებს. ზარი. გოჩა კარს აღებს.

გოჩა – ოჰ, თეა, შემოდი! *(თეა შემოვიდა)* რა გაგიჭირდა ამ შუაღამისას? მოდი, დაჯექი.

თეა – *(ფეხს არ იცვლის)* ამხანაგი მახლავს.

გოჩა – მერე, შემოვიდეს, ვინ არის?

თეა – მაჩაბელი.

გოჩა – *(გაოცდა, გაიხარა)* პაატა? *(გავიდა და შემოიყვანა),* მოდი, შე კაი კაცო! გამარჯობა, ბიჭო! როდის ჩამოხვედი?

პაატა – სადგურიდან მოვდივარ.

გოჩა – შინ არ ყოფილხარ, დედა არ გინახავს?

პაატა – დედას ვეტყვი, რომ თქვენთან ვიყავი და მაპატიებს.

გოჩა – მოდი, დაჯექი ახლა. მადლობელი ვარ, რომ მინახულე. თეა, დასხედით. *(თეა და პაატა დასხდნენ)* როგორა ხარ, პაატა? თუმცა რას გეკითხები.

პაატა – მე ამ ერთი საათის წინ ისეთი საქციელი ჩავიდინე, პატივცემულმა დირექტორმა რომ გაიგოს, სიხარულით ცას ეწევა.

გოჩა – როგორღაც ვერ ვეგუები ასეთ პაატას. განა რა ხანია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს? თითქოს უცხოს ვესაუბრები. ის მხნე და ხალისიანი პაატა რა იქნა?

პაატა – ის იქ დავტოვე, სკოლის კედლებში.

გოჩა – დატოვე და ვეღარ გიპოვნია?

პაატა – ვერა, გოჩა მასწავლებელო!

გოჩა – უნდა ეძებო და იპოვნო, ისე ცოდო ხარ და სიცოცხლე წამებად გექცევა.

პაატა – ერთი შეკითხვა მაქვს, გოჩა მასწავლებელო.

გოჩა – თქვი, პაატა.

პაატა – ნუთუ ისე განვითარდა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი არსება მისმა რიტმმა ისე გაიტაცა, რომ დრო აღარ გვრჩება სიყვარულისა? მაშინ ბავშვებს მოფერებით რად ვანებივრებთ? სითბოს რად ვაჩვევთ? რომ წამოიზრდებიან, მათ მოსაფერებლად რომ აღარავის ეცლება? გოჩა მასწავლებელო, თქვენ ყველა კითხვაზე გვაძლევდით პასუხს.

გოჩა – რთული საკითხია, პაატა, მე შემიძლია მაგალითებით დაგიმტკიცო, რომ ცდები. მაგრამ სამწუხაროდ, ჩემს თავთან არ ვიქნები მართალი, რა ჩაიდინე ისეთი, რომ დირექტორს გაახარებდი?

პაატა – ამ ერთი საათის წინ მატარებელში, ტამბურში, ვიღაც კაცს ძარცვავდნენ და მე თვალი ავარიდე. ამით, ჯერ ერთი, ავიცდინე გვერდების დაზელვა ან ფერდში – დანა. მეორეც, მატარებელში ჩხუბი და აყალმაყალი ხულიგნობად ჩამეთვლებოდა. აი, ის პაატა, სკოლაში რომ დავტოვე, ჩემსავით არ მოიქცეოდა.

გოჩა – რომელი ჯობდა?

პაატა – ახლა ჩემივე თავი მეზიზღება, მაგრამ მივეჩვევი.

თეა – *(შეწუხებული წამოდგა)* მაგას გულით ამბობ?

პაატა – მე მომწყინდა სასამართლო და კოლონია.

გოჩა – ახლა მე ვგავარ მთესველს, რომელიც უნაყოფოდ დაშვრა: ან ფუჭ მარცვალს ვაბნევდი, ან ნიადაგი იყო მწირი. სამწუხაროდ, არც ერთი ეპატიება ნამდვილ მთესველს.

პაატა – მაპატიეთ, გოჩა მასწავლებელო! მაგრამ ყველაფერი უკუღმა რად ხდება? სიყვარულისა გრცხვენია! ჩუმად, არავინ გაგვიგოს! გვრცხვენია იმისი, რომელიც ბუნებრივია, რისთვისაც გავჩნდით! სიძულვილისა არა გვრცხვენია, ხმამაღლა ვყვირით, ვიმუქრებით, ვილანძღებით! ალბათ, როდესმე სიყვარულისთვის სასჯელს დააწესებენ. დრო კი იყო, მიკვირდა, ადამიანები რატომ არ ყვიროდნენ, ყველას გასაგონად, რომ მათ უყვართ!

გოჩა – არც ეგრეა საქმე, პაატა, შენ რომ გგონია. ამ დედამიწას, ამ მთებს, ამ ზღვებს, თვითონ მზესაც კი, ადამიანი ალამაზებს. როგორ იქნება უადამიანოდ! დამიჯერე, დადგება დრო, შენი წედანდელი საქციელისათვის კანონი დასჯის ადამიანს. სხვაგვარად არც შეიძლება. ოთარაანთ გიორგი კაცობისათვის ვის გაუსამართლებია და დღეს რაღა ღმერთი გაგვიწყრება?

პაატა – ლონგინოზ მასწავლებელი სად არის?

გოჩა – ხვალ ჩამოდის ქობულეთიდან, უკეთ არის.

პაატა – უნდა დაბრუნდეს! რამდენი ჩემისთანა დამთხვეული ელოდება მის გაკვეთილებს! ერთ რამეს ვნატრობ, მე ისევ მეათე მესამეში ვიყო, ლონგინოზ მასწავლებელი – ისევ მხნე, მკაცრი და მართალი კაცი, დაფაზე გვიხატავდეს ჩემთვის გაუგებარ ფორმულებს, ჯანდაბას, ის ნაგავიც თავის მერხზე იდოს, თქვენი კათედრის წინ... ოღონდ ის დრო დაბრუნდებოდეს, აი, იმ დღემდე, ვიდრე...

მილიციელის სასტვენის ხმა. უცებ სწრაფი ნაბიჯები, თითქოს გულისცემა. გულისცემა ხშირდება და ძლიერდება, მერე ერთბაშად ქრება. ნათდება საკლასო ოთახი. გურამ აბესაძე ზის მასწავლებლის სკამზე, კათედრასთან, მაღალია, ლამაზი. ფანჯრიდან გადმოხტა პაატა, საკინძეშემოხეული. ხელში უჭირავს დაფურცლილი, დაშლილი წიგნი. მერხში შეინახა. საკინძეზე დაიხედა... ჯიბიდან „პრიმას“ კოლოფი ამოიღო, ღერები გადათვალა, ფანჯრისაკენ მიდიოდა, რომ შენიშნა გურამი, გაუკვირდა...

გურამი – *(სკამზე უზრუნველად გადაწვა, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და კათედრაზე დააგდო)* მოწიე!

პაატა – *(სიგარეტს დახედა, მერე მის პატრონს).* „ფილიპ–მორისი“!

გურამი – მოწიე. „პრიმა“ ფილტვებს გაგიფუჭებს. აქ სწავლობ? ვიცნობდეთ ერთმანეთს. გურამ აბესაძე *(ხელი გაუწოდა).*

პაატა – *(ხელი ჩამოართვა)* პაატა... მაჩაბელი.

გურამი – მე თქვენი კოლექტივის ახალი წევრი ვარ, თუ მიმიღებთ...

პაატა – უთხარით დირექტორს, რომ მე თანახმა ვარ *(შემოდის ვაჟა. ხელები გაშალა, რომ პაატას გადაეხვიოს და, ამავე დროს, ჩანთა ისროლა მერხისაკენ)* გუშინ სად იყავი?

ვაჟა – მასწავლებლებს თვალში ეკალი კი არ უნდა ამოუყვანო! *(საკინძეზე შეხედა)* ახალი ფათერაკია?

პაატა – გაიცანი, ჩვენი ახალი ამხანაგი.

ვაჟა – *(გურამს ხელი ჩამოართვა)* მომმართეთ უბრალოდ – „ვაჟა“.

გურამი – გურამი.

ვაჟა – *(პაატას)* მომიტანე?

პაატა – მერხშია.

ვაჟა – *(მერხიდან დაფურცლული წიგნი გამოიღო. გაკვირვებით)* თავი სადა აქვს, ბოლო სადა აქვს, ყდა რა უყავი? ამანაც იჩხუბა?

პაატა – წიგნი ადამიანის მეგობარია.

ვაჟა – სად არ ვიყავი! ვინ იყო?

პაატა – რა ვიცი! ტაქსის გაჩერებაზე ბავშვიანი კაცი იდგა. მთვრალები მოვიდნენ, იმ კაცს სცემეს და მანქანაში ჩასხდნენ. მე მანქანა არ გავატარე. ერთმა დედა შემაგინა...

ვაჟა – დანარჩენი უკვე ვიცი. ისინი საავადმყოფოში წაიყვანეს. მილიცია მოვიდა?

პაატა – გამოვიქეცი... ყდაც იქ დამრჩა და ფურცლებიც.

ვაჟა – დაენახე ჩვენს დირექტორს! მოეშვი, შვილო, შენს წიგნებს მიხედე, შენი მეცნიერებათა დაუფლების კიბეებს...

პაატა – იმ კაცის გვერდით ბავშვი იდგა. მამა გალახეს შვილის თვალწინ! *(პაატასა და ვაჟას დიალოგის დროს გურამი ფანჯარასთან იდგა).*

გურამი – ბიჭო, ეს რა გოგო მოდის! *(ვაჟა და პაატა ფანჯარას ეცნენ)* ღმერთივით გოგოა! ჩვენს კლასშია?

ვაჟა – ჩვენს კლასში მაგისი მხოლოდ ლეშია. სულით სოფი ლორენთან არის.

გურამი – კინომსახიობია?

ვაჟა – კინოვარსკვლავი! „აფრენილი მტრედები“ გინახავს? იქ რომ ერთი გოგოა, ეკრანზე ზურგით დგას და ქარი ქუდს მოსტაცებს, ეგ არის, ჩვენ ვერ ვიცანით, თვითონ გვითხრა.

ლონდა – *(შემოვიდა ენერგიულად, კარებშივე აღმართა ხელი)* ხელოუ, ჯენტლმენი! *(გურამი შენიშნა და უცერემონიოდ გაუწოდა ხელი)* ლონდა გავაშელი. გოგოები არ მოსულან?

ვაჟა – აი, მობრძანდება ჩვენი ჭორბიუროც! *(გურამს)* ისიც კი იცის, წუხელ ბანგლადეშში რამდენი მილიმეტრი ნალექი მოვიდა.

დოდო – *(შემოდის – საკმაოდ სრული, სათვალიანი),* უხ, გოგოებო! წუხელ თურმე იზა კალატოზიშვილმა... *(შენიშნა ვაჟას დამცინავი გამოხედვა და უცხო ადამიანი)* დილამშვიდობისა.

ლონდა – დოდიკ! *(აკოცა)* დღეს განსაკუთრებით ჩასაყლაპი ხარ!

დოდო! – *(ეამა, მაგრამ მაინც ბუზღუნით, ხმადაბლა)* რა ჩასაყლაპი, გოგო, ახლა ავიწონე და სამასი გრამი კიდევ მომიმატნია!

ლონდა – დიეტა! ნუ გადაჭამე მამის ქონება!

ვაჟა – *(დოდოს)* მერე, რაო იზა კალატოზიშვილმა?

დოდო – *(პაატას ჩაცმულობა შენიშნა, ჩანთიდან ნემსი და ძაფი ამოიღო, პაატა კუთხეში მიაყენა და საქმეს შეუდგა. მორიდებული დატუქსვით)* როდემდე უნდა ვატარო ასე ნემსი და ძაფი?

პაატა – სანამ ცოცხალი ვარ.

დოდო – *(უზომოდ გაიხარა ამ პასუხით)* იაკობსონზე ბილეთს ვშოულობ, წამოხვალ?

პაატა – გმადლობ, დოდო, მანამდე მაცოცხლე.

დოდო – *(კბილებით გაწყვიტა ძაფი)* ის კლიენტი ვინ არის?

პაატა – ჩემი საბავშვო ბაგის მეგობარი...

დოდო – *(უცებ შუბლში ხელი შემოიკრა)* თეა არ მოსულა? რა მეშველება? ქიმიის ამოცანა ვინ გამოიყვანა?

ვაჟა – ამან სულ ააფრინა! ქიმიას დღეს რა უნდა, გოგო?

დოდო – როგორ თუ რა უნდა?

ვაჟა – მოდი აქ, შე უბედურო! *(საორგანიზაციო კუთხესთან მიიყვანა)* შეხედე, ქართული, ალგებრა...

დოდო –*(ჩაბუქნა და მუხლებზე ხელები დაირტყა)* სად კითხულობ, შე დებილო! გადამრევს ეს ბიჭი! დღეს ხუთშაბათია!

ვაჟა – რამ გაახუთშაბათა! *(გულწრფელად გაიოცა, სხვების თანაგრძნობა რომ ვერ დაინახა)* მოიცა, დღეს ორშაბათი არ არის?

დოდო – *(კვლავ ჩაბუქნა)* ვაი, შე საწყალო! ათწლედს ამთავრებ და ორშაბათ–სამშაბათი ვერ დაისწავლე?

ვაჟა – *(ნირწამხდარი)* გუშინ რომ გავაცდინე, დღეს ორშაბათი ვიანგარიშე. *(დოდოს გაუჯავრდა)* მერე, თუ იცი, რომ დღეს ხუთშაბათია, რატომ არ დაწერე?

დოდო – ბიჭო, ხუთშაბათი ვიცი, განა ქიმია? ვინ გადაურჩება ახლა იმ კაცს?

ლონდა – მორიგე ვინ არის, დაფა მაინც გაწმინდოს. ამით მაინც ვასიამოვნოთო!

ვაჟა – *(საორგანიზაციო კუთხესთან მივიდა)* გელაშვილი დოდო.

დოდო – *(შეიცხადა)* მე არა ვარ მორიგე! *(ვაჟასთან მივიდა)* კიდევ ორშაბათს მიშტერებია ეს დეგენერატი!

ვაჟა – *(ცივად გამოტრიალდა)* ბოდიში. დღეს ფორმაში არა ვარ.

ლონდა – რომელი საათია? ვაიმე, ახლა დააძრობს თავის წისქვილის საათს და შეამოწმებს კედლის საათთან... აი, ჟურნალის ასაღებად მიდის!

დოდო – მეკობრეებზე რომ წამიკითხავს, ცალთვალა მეკობრეებზე, იმათზე უფრო ბოროტია მასწავლებელი, ზარის დარეკვამდე რომ გამოვა სამასწავლებლოდან!

ვაჟა – აი, კანტი მობრძანდება!

ბონდო – *(შემოვიდა)* პროლეტარიატს ჩემი სალამი! რა ალალმა დაგქროლათ, რა მოგივიდათ?

ლონდა – ქიმიის ამოცანას ჩამოდი!

ბონდო – რატომ? რომ გადაიწერო? მერე აღმზრდელი პედაგოგები მოატყუო, სხვისი შრომა მიითვისო?

დოდო – *(ჩანთა გამოსტაცა, გახსნა)* შენი ლექციების დრო გვაქვს?

ლონდა – კონფისკაცია მაგ ჩანთას!

ბონდო – *(ჩანთა გამოჰგლიჯა დოდოს. ღირსებით)* ვის აყენებთ შეურაცხყოფას, ჩემს ჩანთაში რა ესაქმება ქიმიის ამოცანებს? *(ჩანთა მერხში შეაგდო)* მე რომ მომცვივდით, რომელი ჟოლიო- კიური მნახეთ? თეა სად არის?

დოდო – თეა აქ იყოს, შენ დაგიწყებდით ხვეწნას?

ბონდო – არ მოსულა? რა დაემართა? *(გურამი შენიშნა).*

ვაჟა – ჩვენი ახალი მოსწავლეა.

ბონდო – *(გურამს ხელი ჩამოართვა)* მე მივესალმები ყოველივე ახალს. ბონდო შარაბიძე *(გავიდა).*

ლონდა – უი, თქვენ ჩვენთან უნდა ისწავლოთ? მე მეგონა... მოგვეჭრა თავი ამ უცხო კაცთან, ვინა ხართ ქრისტიანი! *(შემოდის ბონდო, რომელსაც ჩანთა მუცელზე მიუხუტებია)* ვისია?

ბონდო – *(ღიმილით)* სსუუუ... ვახოს ავუწიე. *(ჩანთიდან რვეული ამოაქვს)* უწერია! *(რვეული დროშასავით აღმართა).*

ლონდა – *(მუხლებზე დაეცა. მას მიბაძა დოდომ)* გვიხსენი წმინდა ლონდა და წმინდა დოდო მრისხანე ლონგინოზ პიტიახშისაგან, მოიღე რვეული ქიმიისა, გადაგვაწერინე დავალება! *(ბონდომ დიდსულოვნად მისცა. ლონდა და დოდო მყისვე მოკალათდნენ მერხზე და გადაწერა დაიწყეს).*

ბონდო – ვაშა კოლექტიურ შრომას! *(გოგონებს წინ დაუჯდა და მანაც გადაწერა დაიწყო)*

ვაჟა – ვაუკაცობა კარგია, მაგრამ სული ტკბილია *(ბონდოს გვერდით მიუჯდა).*

გურამი – *(პაატას)* შენ რატომ არ იწერ?

პაატა – ადგილი არ არის.

ვაჟა – *(რვეული თავისკენ შეატრიალა, მაგრამ დოდომ მაჯაში ხელი ჩაარტყა)* გოგო, თქვენ ერთი კილომეტრიდანაც გადაიწერთ, მე მიუჩვეველი ვარ.

დოდო – ჩვენ ჩავუცვივდით ფეხებში შუშანიკივით, შენ კი არა!

ბონდო – *(რვეული მოიტაცა და წინ დაიდო)* ოდეს ყოფილა, რომ მამათა და დედათა ერთად გადაეწერათ ქიმიის დავალება! *(გოგონები წამოხტნენ. ამ აყალ–მაყალში ვაჟა ჩუმად ადგა და პაატასთან მივიდა ეშმაკური ღიმილით).*

ვაჟა – არ გამთქვათ, ვახოს დავალება არ უწერია.

პაატა – მაშ ისინი რაღას იწერენ?

ვაჟა – ჩუ... წინა კვირისაა.

გურამი – *(სიცილით, ვაჟაზე)* ვაჰ, ეს რა მასტი ყოფილა! *(უცებ თვალები გაუფართოვდა)* ვაიმე! თუ ეს გოგოც ჩვენს კლასშია, ავაფრენ! *(ვაჟას და პაატას არ უპასუხიათ. ეტყობა, მათ ადრევე შეუნიშნავთ. შემოდის თეა. დოდო და ლონდა მიეგებნენ).*

ლონდა, დოდო: – თეა... ქიმიის... *(მაგრამ ველარ დაამთავრეს, რადგან თეა ძალზე მოწყენილი მიდის თავის მერხთან, ჯდება და ხელებში სახეს მალავს. ლონდა და დოდო ერთმანეთს პირდაღებული მისჩერებიან. ბონდო კი – ვაჟას და პაატას. ვაჟამ შეხედა პაატას და, ერთბაშად დასერიოზულებული, გავიდა. პაატამ ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა და ფანჯრიდან გადახტა. გურამმა ერთხანს უყურა თეას, გოგონებს, ამოიღო სიგარეტის კოლოფი, მერე თითის დაკვრით ამოაგდო ღერი და ფანჯრიდან გადავიდა).*

ბონდო – *(კმაყოფილი წამოდგა)* ვსიო! ამოცანა მზადაა!.. ოჰ, თეაც მობრძანებულა. *(მიუახლოვდა)* გამარჯობა, თეა!.. *(გოგოებს გადახედა)* ავად არის?

(დოდომ ბონდოს ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა)

ლონდა – *(მორიდებით მიუახლოვდა თეას)* თეა... რა დაგემართა, გოგო? *(დაფასთან მივიდა. წმენდს. თან თეას უყურებს)*

ჩ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა

საკლასო ოთახი. ბავშვები ელოდებიან მასწავლებელს. თეა ისევ ისე ზის, მერხზე დამხობილი. ლონდა დაფასთან დგას და კულისებისაკენ, სადაც კლასის ნაწილი იგულისხმება, იძახის:

ლონდა – ნუ ხმაურობთ, ფეხი არ ააჩქარებინოთ!

ვაჟა – *(შემოვიდა, ტრაგიკული ტონით)* მოდის! იწყება ფილმი „გზა ეშაფოტისაკენ“! *(და მასწავლებლის მერხს ხელი დაჰკრა).*

ბონდო – *(გამარჯვებული იერით რვეული მერხზე დაახეთქა)* მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!

ლონგინოზი – *(შემოვიდა, ბავშვები ფეხზე ადგომით მიესალმნენ. კარებშივე)* არ ვარგა! უფრო მეტად უნდა აახმაუროთ მერხები! *(ვაჟას მიუახლოვდა)* ამას რომ ურტყამ, ამ მერხმა კიდევ რამდენი შენისთანა რეგვენი უნდა გამოზარდოს!.. დასხედით! *(ჟურნალი გაშალა და სათვალის ზემოდან გადმოხედა კლასს. თეა შენიშნა)* რა დაემართა? ვინმემ აწყენინა? *(თეა უხმოდ ადგა. თავჩაღუნული, ლონგინოზმა სათვალე მოიძრო და*

დააკვირდა) ავად ხარ? *(თეამ თავი გააქნია)* დაჯექი. *(ჟურნალს დახედა)* მორიგე ვინ არის?

(ლონდა ადგა. შემოდის არქიმედი. ჩანთის გარდა პატარა ჩემოდანი უჭირავს. ეტყობა, ურბენია, ძლივს სუნთქავს).

ლონგინოზი – *(მიხედა)* გადი ახლა, გაიარ–გამოიარე. უცებ რომ დაგსვა, დაგხუთავს.

არქიმედი – ჩვენი საათი უკან ყოფილა.

ლონგინოზი – ბიჭო, ტელევიზორს აწყობ და ლამის ტოკიო დაიჭირო, ეგ საათი წინ ვედარ გადაწიე? დაჯექი! *(არქიმედი დაჯდა. ლონგინოზმა ლონდას შეხედა).*

ლონდა – ახლა ყველა ესწრება, პატივცემულო მასწავლებელო.

ლონგინოზი – მე მგონია, გადაჭარბებითაც *(გურამს).* აბა, ბიძიკო, თქვენი გვარი?

გურამი – აბესაძე გურამი, არჩილის ძე.

ლონგინოზი – კეთილი. ქიმიას ვინ გასწავლიდათ?

გურამი – ლუარსაბ კენჭაძე.

ლონგინოზი – ჩინებული მასწავლებელია. რა ნიშანი გქონდა?

გურამი – ოთხი. ზოგჯერ ხუთიანიც.

ლონგინოზი – ნუ აუწიე. იქაური ნიშანი პენსიასავით არ გადმოგყვება. მოდი აქ, ბიძიკო! *(გურამი გვერდით გაიყვანა)* მამას გადაეცი, ლონგინოზ ბუაჩიძე ნიშანს ტელეფონის დარეკვით არ წერს–თქო.

გურამი – როგორ გეკადრებათ...

ლონგინოზი – ჰოდა, თუ არ მეკადრება, ნურც აკადრებ–თქო, ასე გადაეცი. მამაშენს იმდენი საქვეყნო საქმე აქვს, რომ ვიღაც ლონგინოზ ბუაჩიძეზე დროს ნუ დაკარგავ–თქო. დაჯექი, ბიძიკო *(გურამი ჯდება).* ახლა გადაშალეთ საშინაო დავალების რვეულები. ვინ გამოიყვანა ამოცანა?

ბონდო – *(მყისვე აწია ხელი და კლასს გადახედა)* ვა! *(ხელის დამალვა სცადა)*

ლონგინოზი – *(კლასი შეათვალიერა)* მხოლოდ ერთმა? *(არქიმედს)* ბიჭო, კისრისტეხით რომ მორბოდი, დავალება არ მოგიტანია და მაგ ცარიელ თავს რას მოარბენინებდი?.. თეა!.. *(თეამ მერხიდან თავი აიღო)* დავიჯერო, შენ არ გაქვს? ბონდომ შეასრულა და შენ არა? იმასაც კი დავიჯერებდი, ვაჟასა და პაატას რომ დაემზადებინათ, მაგრამ შენ რომ არ შემისრულე, ამას ვერ დავიჯერებ... რას ვიზამ, ფაქტი ჯიუტია.

ბონდო – *(ღრეჭით)* ეგ ჰეგელმა თქვა.

ლონგინოზი – კი. დაგასწრო, თორემ შენ იტყოდი. მომიტანე რვეული. *(ბონდომ რვეული წინ დაუდო, ლონგინოზმა რვეულს დახედა. მერე შეხედა ბონდოს. მერე ისევ რვეულს. სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით გაწმინდა და კვლავ დააკვირდა)* რა არის ბიჭო, ეს?

ბონდო – დავალება.

ლონგინოზი – ადამისდროინდელი?

ბონდო – ადამის დროს ქიმია სად იყო?

ლონგინოზი – ბიჭო, ლონგინოზ ბუაჩიძეს ნუ მოატყუებ, ერთი საწყალი მოხუცი კაცია!

ბონდო – როდის გატყუებთ?

ლონგინოზი – ა, ბატონო, ფაქტი! ხომაა ფაქტი ჯიუტი? მაგრამ ფაქტზე ჯიუტი შენ ყოფილხარ!

ბონდო – დედას გეფიცები, თუ დღეს არ დამეწეროს! *(ლონგინოზი უცებ კალმისტარს დასცვდა და ჟურნალში ნიშანი ჩაუწერა. ბონდოს სახეზე ღიმილი შეაშრა)* მასწ... ერთიანი? ამდენი ვიშრომე და ერთიანი მეკუთვნის?

ლონგინოზი – ნამდვილად არ გეკუთვნის, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო დაბალი ნიშანი არ არსებობს.

ქუჩა. სკოლიდან ბრუნდებიან თეა და ვაჟა. ვაჟა შეჩერდა.

ვაჟა – თეა!.. უკვე მოხვედი და ვერაფერი გავიგე. რა იყო, რა მოხდა, მითხარი, ვინ გაწყენინა!

თეა – გეყოფა, ვაჟა, თავი გამილაყე, ერთი და იგივეს მეუბნები!

ვაჟა – აბა, რა ვქნა, გოგო, რაც გკითხე, მიპასუხე, რომ ფირფიტა გამოვცვალო?

თეა – წადი, ვაჟა, ალბათ გელოდება.

ვაჟა – ნამდვილად მელოდება! და ამაღამ არ მოისვენებს, ვიდრე მიზეზს არ გაიგებს! არც მე მომასვენებს! იცოდე, თეა, შენს დაჩაგვრას არავის შევარჩენთ!

თეა – არავის არ დავუჩაგრივარ, ვაჟა, და დამეხსენი, შენი ჭირიმე! ნახვამდის!

ვაჟა – *(მშვიდობიანი ტონი არჩია)* შენ... *(ფული ამოიღო)* ორ მანეთამდე მაქვს, მთელი კაპიტალია! კინოზეც გვეყოფა, ნაყინზეც... თუ გინდა, ისე გავიაროთ...

თეა – არა, შინ მელოდებიან, რომ დავიგვიანო, არ შეიძლება. ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ? ხომ გიყვარვარ? გამიგე, შენი ჭირიმე! *(გულამომჯდარი გაიქცა. ვაჟას თვალიც არ გაუყოლებია. გაოგნებული დგას).*

პაატა – *(თავს წაადგა)* წავიდა? რა გითხრა? *(გაბრაზდა)* თქვი, რა ჰქენი?

ვაჟა – *(გულჩაწყვეტილი)* დიდი გამომძიებელივით მიმაგზავნე! ვერაფერი გავიგე.

პაატა – რა გითხრა?

ვაჟა – არაფერი, აჰა შენი ფული.

პაატა – ეგ რა ჯანდაბად მინდა!.. ჰო, თქვი დალაგებით, რა გითხრა!

ვაჟა – მომეშვი, თუ ძმა ხარ, თავი გამილაყდა, ერთი და იგივეს მეუნებიო!

პაატა – ეგ რად გითხრა?

ვაჟა – ალბათ, ბევრჯერ ვკითხე.

პაატა – მაინც რას გეუბნეობდა?

ვაჟა – არაფერს. პირს დააღებდა და ტირილი მოსდიოდა... კინოც შევთავაზე.

პაატა – *(აწრიალდა)* რა დაემართა?.. *(უცებ აღშფოთდა)* ხომ არ ათხოვებენ?

ვაჟა – ვისა?

პაატა – ვისზე ვლაპარაკობთ?

ვაჟა – რა დროს მაგისი გათხოვებაა!..

პაატა – რა ვიცი... რატომ, ხომ ხდება? ზოგიერთი მშობელი...

ვაჟა – მერე, რომ ათხოვებდნენ, რატომ იტირებდა?

პაატა – ხომ ტირიან, როცა... სხვაზე ათხოვებენ?

ვაჟა – მერე, საიდან დაასკვენი, რომ ის ვიღაც "სხვა" არის? *(პაატამ ვაჟას პერანგზე მოჰქაჩა და შეანჯღრია. მერე მოეშვა, დაცხრა),* რომეო და ჯულიეტას დრო წავიდა, პაატა! ასეთი ამბები ახლა წიგნებშიღაა! ის დროც წავიდა, ქალს სხვაზე რომ ათხოვებდნენ და ტიროდა. დოდოს უთხრან, გათხოვებთო და ტირილით თავს მოიკლავს!

პაატა – არა, ვაჟა, რომეო და ჯულიეტას დრო არ წასულა. არც წავა! ისე როგორ იქნება, მაშინ ადამიანიც გადაშენდება. ტყუილად კი არ დაწერა გალაკტიონმა „უსიყვარულოდ მზე არ ნათობსო".

ვაჟა – „მესაფლავეც" დაწერა. *(პაატა სწრაფად მიდის)* სად მიდიხარ?

პაატა – გამოვუძახებ, თუ არ გამოვიდა, ძალით შევალ!

ვაჟა – *(შეაჩერა)* არ გაგიშვებ!

პაატა – ახლავე უნდა გავიგო!

ვაჟა – მამამისმა არ დააჭერინოს შენი თავი!

პაატა – რა დამიშავებია?

ვაჟა – ხვალამდე მოვიცადოთ!

პაატა – ნუ მეჭიდავები, ვაჟა! პირველი კლასიდან ერთად ვართ და ერთმანეთისთვის ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს. არ მინდა გაწყენინო და მიზეზი თეა იყოს. *(წავიდა. ვაჟამ თვალი გააყოლა)*

გურამი – *(მოულოდნელად თავს წაადგა)* დიდი საიდუმლო თათბირი გქონდათ!

ვაჟა – *(გაღიზიანებული)* როდესაც ორს საიდუმლო თათბირი აქვს, მესამე ან გამცემია, ან უტიფარი!

გურამი – ეგრე შორს ნუ წახვალ, აქ უბრალო ამბავია. კარგი ბიჭები ხართ. მე კი შინ მისვლა მეზარება, ტეხავს რა, ეს ერთფეროვნება! მე მეგონა, კაცად ჩამთვლიდით, გუდურა ვარ?

ვაჟა – რა გინდა, უცებ ძმობა შეგფიცო?

გურამი – მეოცე საუკუნეა, ყველა ჩქარობს!

ვაჟა – რა გინდა, თუ ძმა ხარ, გამაგებინე!

გურამი – წამოდი, წამოდი და გაგაგებინებ, რაც მინდა. *(ხელი მოჰკიდა)*

ვაჟა – სად მიგყავარ?

გურამი - *(ჯიბიდან ფული ამოიღო)* დილას მამაჩემს შევატეხე. დალევა არ გინდა?

ვაჟა – რა დავლიოთ?

გურამი – ვისკი, რა უნდა დავლიოთ? სამამულო წარმოების ღვინო! ძალიან გიყვარს?

ვაჟა – არა ვსვამ.

გურამი – ღვინოზე არ გეკითხები *(ვაჟა ჯიქურ მიუტრიალდა)* პაატაზე გეკითხები, კარგი ბიჭია. წამო, წამო, ახლა არ მითხრა, რომ დავიგვიანო, ჩვენები გადაირევიანო... ახლა გაწყდა ტაქსი! არ მოგწყინდათ ერთფეროვნება? ქაჯები ვართ, ბიჭო, ქაჯები! საზღვარგარეთ ჩვენი ტოლები... *(გავიდნენ).*

ისტორიის გაკვეთილი. ფეხზე დგას თეა, გაწითლებული, ნამტირალევი, თავდახრილი.

თინათინი – *(წყრომით)* დედა, დედა! ოცდაცამეტი წელიწადი პედაგოგი ვარ და ბავშვის ასეთი წახდენა ჯერ არ მინახავს! დღეს უკვე მესამე ორიანი მიიღე! ამ კვირაში კი... *(ჟურნალს დახედა)* არ გრცხვენია, გოგო? მთელ სკოლაში თითით საჩვენებელი ბავშვი... შენდა მაკლდი ამდენ დეგენერატებში! რას ფიქრობ, ათი წლის შრომას წყალში ყრი? თუ ჩემთან, დირექტორთან, გაკვეთილზე მოუმზადებელი მოდიხარ, სხვასთან რაღას იზამ? პასუხსაც აღარ კადრულობ? მომეცი დღიური! *(თეა ჩანთიდან დღიურს იღებს და აწვდის, თინათინი ნიშანს უწერს)* ამ ნიშნებზე სახლში არაფერს გეუბნებიან? ხვალ მშობელი მოიყვანე! მამა მოვიდეს, მამა! დედაშენი არ მინდა!.. *(თეას ხმამაღალი ქვითინი წასკდა და მერხზე დაჯდა)* გოგო, თუ ასე განიცდი იმ ორიანებს, ისწავლე ძველებურად, რაღაზე გვალანძღვინებ თავს?.. ასე არ ივარგებს, ბავშვებო! პატარები აღარა ხართ. დაამთავრებთ სკოლას და დამოუკიდებელ ადამიანებად არ უნდა იქცეთ? მაგრამ მე ვგრძნობ, რომ აქედან ორმოცდაათი პროცენტი ვერ მიიღებს სიმწიფის ატესტატს. თქვენ სარგებლობთ, რომ თქვენი კლასის ხელმძღვანელი ახალგაზრდა მასწავლებელია და ყველაფერში გენდობათ. ნდობა დიდებული მოციქულია ადამიანთა შორის, მაგრამ არა თქვენისთანებთან.

პაატა – პატივცემულო დირექტორო, თუ რამე კარგი გაგვაჩნია, გოჩა მასწავლებლის წყალობაა.

თინათინი – *(დოდოს)* სამასწავლებლოში მიდი და თქვენი კლასის ხელმძღვანელს სთხოვე, მოვიდეს. *(დოდო უხალისოდ მიდის),* ზრდილობიანად სთხოვე, ის კი არა, თქვენებურად! *(დოდო გავიდა)* ახლა გავიგებთ, რა გაგაჩნიათ კარგი და ვისი წყალობით *(შენიშნა, რომ ვაჟა, რომელიც დღეს გურამის გვერდით ზის, რაღაცას წერს. მოულოდნელად თავს წაადგა. ვაჟამ გვიან შენიშნა. ქაღალდი ჯიბეში შეინახა).* მომეცი! გესმის თუ არა? *(ჯიბეში ჩაუყო ხელი და ქაღალდი ამოაცალა. თავის ადგილს დაუბრუნდა. ჩანთაში შეინახა).* იმედი

მაქვს, ჩემს დარიგებას არ იწერდი, თორემ დიდი სიხარულით მაჩვენებდი.

ვაჟა – *(მივიდა მასთან აღგზნებული)* დამიბრუნეთ ქაღალდი!

თინათინი – ბიჭოს, ამის თავხედობას დამიხედეთ!

ვაჟა – დამიბრუნეთ–მეთქი!

თინათინი – რა დღეში ხარ, ბიჭო? წადი, დაჯექი ადგილზე! *(ვაჟა დემონსტრაციულად ტოვებს კლასს)* აი, სადამდე მივედით! ვის მოვთხოვო ახლა პასუხი? *(შემოდის გოჩა, შემოჰყვა დოდო)* თქვენ ალბათ ბალანჩივაძე შეგეგებათ დერეფანში?

გოჩა – დიახ.

თინათინი – გითხრათ რამე?

გოჩა – არაფერი.

თინათინი – ამხანაგო გოჩა, თქვენს კლასში სახარბიელო მდგომარეობა ვერ არის. თუ ასე გაგრძელდა, პირველ ადგილს დავიჭერთ რაიონში, რა თქმა უნდა, ბოლოდან. გადამჭრელი ზომებია საჭირო! თქვენი კლასის ორგანიზატორი თეა თაბაგარი კლასს უკან ეწევა. ადამიანი საკუთარ თავზე არ ფიქრობს და კლასს მიმიხედავს? გამოგადგებათ ასეთი თანაშემწე?

გოჩა – თქვენ რას გვირჩევთ?

თინათინი – იქნებ მოინახოს კლასში ჯანსაღი მარცვალი?

გოჩა – თქვენ უკვე მითხარით ამ მარცვლის შესახებ.

თინათინი – მერე, რა გადაწყვიტეთ?

გოჩა – ნუ ავჩქარდებით.

თინათინი – პირიქით, დავიგვიანეთ.

გოჩა – მერე გეტყვით, პატივცემულო თინათინ! *(თეა სწრაფად გადის)*

თინათინი – თაბაგარი!.. *(გოჩას)* ხედავთ?

გოჩა – *(დოდოს)* გაჰყევი. *(დოდო მიდის).*

თინათინი – ეს რას ჰგავს? *(დოდოს)* დაჯექი! *(გოჩას)* ჩემი გაკვეთილიდან ბავშვი გაგყავთ?

გოჩა – ბოდიში. როდესაც ჩემი გაკვეთილი იქნება, მაშინ შემოვალ. *(გავიდა. პაატამ მერხი დააბრახუნა)*

თინათინი – რა მოხდა?

პაატა – არაფერი. მერხმა დაიბრახუნა.

თინათინი – კი, ახლა მერხები თავისით იწყებენ ბრახუნს. ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, რისთვის იბრძოდნენ თქვენი მამები, რისთვის ღვარეს სისხლი? გვინდა, რომ კარგები იყოთ. ყველაფერი კი უკუღმა გესმით. გარიგებენ, თოფისწამალივით ფეთქდებით.

ბონდო – გარდამავალი ასაკის ბრალია.

თინათინი – მართალია. აი, ეს მოჩვენებითი თავგამოდება, რბილად რომ ვთქვათ, ყოყლოჩინობა, თავი მართალი რომ გგონია მაშინ, როდესაც ნამდვილად ტყუი, დათვურ სამსახურს რომ უწევ ამხანაგს, - თქვენ

რომ იცით დამნაშავის დაფარვა, – ეს ყველაფერი გარდამავალი ასაკის ბრალია. მაგრამ რომ აღარ დაადგა საშველი თქვენს გარდამავლობას?

პაატა – ეგ არ არის გარდამავალი ასაკი.

თინათინი – რა ბრძანეთ?

პაატა – ეგ არ არის–მეთქი გარდამავალი ასაკი.

თინათინი – მაშ რა არის?

პაატა – როდესაც რამეს მოვითხოვთ და გვეტყვიან, ჯერ ბავშვები ხართო, ხოლო როდესაც რამეს დავაშავებთ, ბავშვები აღარა ხართო, – ეს არის გარდამავალი ასაკი.

თინათინი – სიწყნარე, ბავშვებო, სიწყნარე!.. აი, უკვე მერამდენედ, ნორმალურ გაკვეთილს ვეღარ ვატარებ. ოღონდ თქვენ იქცეთ ადამიანებად, არაფერს ვჩივი. პაატამ საინტერესო საკითხი წამოჭრა. როდესაც რამეს მოითხოვთ და გეუბნებიან, ბავშვები ხართო, რატომ გწყინთ? რას მოითხოვთ? თქვენ თვითონ ჯერ რა მიეცით ქვეყანას, საზოგადოებას? თქვენზე პატარა იყო კოშევოი. უფრო პატარა იყო პაატა, სააკაძის შვილი, შენი სეხნია. და რა უყოყმანოდ დადო თავი ხალხისათვის! კიდევ გიმეორებ, შენი სახელი ერქვა, თავდადებას ვინ ითხოვს, ისწავლე, წესრიგს ნუ დაარღვევ, სკოლას თავს ნუ მოსჭრი!

პაატა – მჯერა პატივცემულო დირექტორო, ჩემგან თავდადებას არ მოითხოვთ, არც არავისგან მოითხოვთ. ეს თქვენს ფუნქციაში არ შედის. მთავარია, ორიანი არ მივიღოთ, რომ კლასისა და სკოლის მაჩვენებლები არ დავწიოთ.

თინათინი – რა პრეტენზია გაქვთ, იქნებ მოგვახსენოთ?

პაატა – მე არაფერი, მაგრამ ის პაატა, ჩემი სეხნია, ახლა რომ ცოცხალი იყოს, თავს არ დადებდა და არც მამა გაიმეტებდა საამისოდ.

თინათინი – ვერ გავიგე. თავს არ დადებდა?

პაატა – არა, ის ხომ თქვენი გაზრდილი იქნებოდა! მამამისიც ფულს დახარჯავდა და დაიხსნიდა. თავს არც მე დავდებ!

თინათინი – ყურებს არ ვუჯერებ. კომკავშირელი ხარ?

პაატა – გახლავართ.

თინათინი – არა. მე მგონი შენ არ გინდოდა ეგრე გეთქვა. შენ... *(ვერ მოახერხა. ბედად, დერეფანში ხმაური ატყდა და გავიდა. პაატა სწრაფად მივიდა მასწავლებლის კათედრასთან, გახსნა თინათინის ჩანთა, ქაღალდი ამოიღო, ჯიბეში ჩაიდო და სწრაფადვე დაუბრუნდა თავის მერხს. ზარი, არავინ განძრეულა იმის შიშით, რაც ამ წამს მოხდა. შემოდის თინათინი)* ეს სკოლა სამხეცედ უნდა გადავაკეთოთ! ჯერ სად იყო ზარი, ვიფიქრე, აქაურობა დაინგრა! *(აიღო ჟურნალი და ჩანთა)* დღეს გაკვეთილების შემდეგ სახლებში არ წახვალთ. სწავლაზე თავს მაინც არ იკლავთ და ზრდილობისა და ყოფაქცევის ანბანი მაინც შევისწავლოთ.

ლონდა – თუ შეიძლება, პატივცემულო დირექტორო, მე დამითხოვოთ?

თინათინი – მე გადამიყოლა შენმა რეჟისორმა!

ლონდა – რა ვქნა, პატივცემულო...

თინათინი – სამასწავლებლოში ტელეფონია. ჩემს კაბინეტშიც. დარეკე, რომ ვერ მიხვალ. მე პატივს ვცემ კინემატოგრაფიას, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს *(გავიდა).*

ბონდო – *(მიიჭრა პაატასთან და ხელი ჩამოართვა)* აქედან სიტყვა არ გავიდეს, რომ პაატამ დაიბრუნა ვაჟას ქაღალდი. ეძებოს დირექტორმა ჩანთაში, რამდენიც უნდა.

ლონდა – ჩანთაში ხელის ჩაყოფაზე უარესი სულში ხელის ფათურია...

ბონდო – ბოლოსდაბოლოს, რას ვაშავებთ? იმდენს ჩამჩიჩინებენ, ჩემი თავი ზოგჯერ ქვეყნის ამომგდები მგონია.

გურამი – *(პაატას ხელი ჩამოართვა)* ყოჩაღ, პაატა! ვაჟკაცი ხარ. ჩემი სათქმელი თქვი. ის იყო მე ვაპირებდი. არ დაგვლანძღა? ყოველ გაკვეთილზე ჭკუის სწავლება გაგონილა? მაგრამ შენც რა თავს იკლავ. ერთ ყურში შეუშვი, მეორედან გაუშვი

ბონდო – ამიტომაც არის, რომ თავი, რომელიც მხრებზე მაბია, ზოგჯერ სხვისი მგონია. იმ დღეს ერთი კაცი მეორეს ეუბნებოდა, შვილი უმაღლესში მოვაწყეო. როგორ მოაწყო, გამოცდები მის მაგიერ ჩააბარა? ასე ითვისებენ მშობლები შვილის ღვაწლს. მაშინ, იმ დღეს ლონგინოზმა რომ „ერთიანი“ მომაკერა, თქვას ერთი მამაჩემმა, თუ ბიჭია, ჩემს შვილს „ერთიანი“ მივაღებინეო. წვითა და დაგვით დავამთავრებ სკოლას და მამაჩემი ისევ დაიტრაბახებს, შვილს საშუალო დავამთავრებინეო! ერთი სიტყვით, მშობლები ზმნის კატეგორიებში ვერ ერკვევიან *(შემოვიდა ვაჟა).*

პაატა – *(ვაჟას)* აჰა, შენი ქაღალდი, *(ვაჟა გაოცდა)*

ბონდო – არავითარი ჰიპნოზი, მხოლოდ ხელის სისწრაფე.

ვაჟა – *(გაღიმა)* გქონდეს, მერე წაიკითხე, დღის ბოლოს.

გურამი - *(სიგარეტის კოლოფი მაღლა ისროლა)* ამხანაგებო, „კენტი“!

სამასწავლებლო. კედლის გასწვრივ რამდენიმე პატარა მაგიდა. ერთ-ერთს უზის გოჩა. წიგნს კითხულობს. წინ უდევს რვეულების დასტა. მეორე მაგიდასთან ზის ლონგინოზი, გაზეთი გაუშლია და კითხულობს. შემოვარდა მარიამი, რომელსაც სანოვაგით გატენილი საბაზრე ჩანთა უჭირავს. მიმოიხედა. ოდნავ დამშვიდდა და გავიდა კულისებში. ალბათ, იქ მაცივარია და ნავაჭრი შეინახა.

მარიამი – რამდენი დარჩა ზარამდე?

გოჩა – *(თავი არ აუწევია)* ათი.

მარიამი – *(გამოდის. გამოიტანა ქაღალდის გრაგნილი, გაშალა მაგიდაზე და საქმეს შეუდგა. ერე უცებ გაახსენდა, ეცა ტელეფონს და ნომერი აკრიფა, ყური მიუგდო. გაბრაზებით დადო ყურმილი და მაგიდას დაუბრუნდა)* სად დაეთრევა? *(ისევ ტელეფონს ეცა, ნომერი აკრიფა)* ალო, სანდრო ხარ? მადლობა ღმერთს, შენ მაინც დაგიჭირე! შენი შვილი კიდევ არ მობრძანებულა!.. რა ვიცი, სად დადის! ეგებ შენ მოელაპარაკო, კაცი ხარ!.. კარგი, კარგი, აღარ მოგაცდენ. აბა, რა ვქნა, ვის შევჩივლო? *(დაკიდა ყურმილი და მაგიდას დაუბრუნდა)* ღმერთმა დასწყევლოს კინოს მომგონი! ამ „რომეო და ჯულიეტამ“ სულ გადარია ახალგაზრდობა! ამათ კიდევ ეგ კინო უნდათ?

ლონგინოზი – *(გაზეთიდან თავი არ აუწევია)* ხორცი რა ღირდა?

მარიამი – *(ოდნავ გახალისდა)* მშვენიერი ხორცი იყიდებოდა! რიგი კი იდგა, მაგრამ ჩქარა მიდიოდა.

ლონგინოზი – რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს, რომ ბედნიერი იყოს! *(გაზეთი დაკეცა და მარიამს თავს წაადგა)* „ნორჩი ფიზიკოსი“... ბოლოში არ მიაწერთ, – გაზეთის ავტორი, რედაქტორი, მხატვარი, კორექტორი მარიამ ლაცაბიძე?

მარიამი – აბა, იმათ რომ ვუყურო, სიცოცხლე ეზარებათ, ეგენი დამიწერენ წერილს? დირექტორი კი მთხოვს! ორშაბათისთვის უნდა მქონოდა მზად.

თინათინი – *(შემოდის, შემოყავს დოდო)* შემოდი, შემოდი1 *(გოჩას)* ჰკითხეთ, სად ბრძანდებოდა გაკვეთილის დროს! *(დოდოს ურჩევნია, მიწა გაუსკდეს)* დამჯდარა სკამზე ჩვენს სკვერში და ცას შეჰყურებს! *(დოდოს)* ამ ფანჯრის წინ რომ გამომეჭიმე გულის გასახეთქად, დამალულიყავი მაინც!

დოდო – რატომ უნდა დავმალულიყავი?

თინათინი – ამათი პატრონი როგორ უნდა იყოს ნორმალურ ჭკუაზე? რა გინდოდა მეცადინეობის დროს ბაღში? დაყრუვდი, გოგო?

დოდო – პატივცემულო დირექტორო, ზარის ხმა ვერ გავიგონე.

თინათინი – რომ ვერ გაიგონე, მაინც ვერ იფიქრე, ამ სიგრძე დასვენება რა უბედურებაა?

დოდო – ვერ მოვიფიქრე.

თინათინი – აბა რას ფიქრობდი?

დოდო – *(გულუბრყვილოდ გაიღიმა)* ძალიან ლამაზი ცა იყო!

თინათინი – შენ სრულ ჭკუაზე ხარ? *(დოდო ჩაკვდა)* სკოლას ამთავრებთ და არ უნდა დასერიოზულდეთ? იმის მაგიერ, რომ დღე და ღამე წიგნებს უსხდეთ, ჩიტებს დასდევთ?

დოდო – *(ისევ გაიბადრა)* ჩიტებიც გალობდნენ!

თინათინი – წადი ახლა კლასში, მომწყდი თავიდან! *(დოდო გავიდა)* ის დღე დაიქცა, მე რომ პედაგოგის დიპლომი ავიღე! *(ლონგინოზი გავიდა)* მე თავი მისკდება, ამათ კი ვერაფერი შევაგნებინე! *(მარიამის მაგიდას*

დახედა) გეთხოვა ხატვის მასწავლებლისთვის, პატარა ხელი გაეკრა, მეორე დღესვე ხომ არ ჩამოვხსნით?

მარიამი – ერთი კვირა დავდევდი და ვერ მოიცალა, პატივცემულო თინათინ!

თინათინი – მიდი, მიდი, ხვალ უნდა გამოვფინოთ! *(გოჩას მაგიდას მიუჯდა)* მე მოვიცალე თქვენთვის.

გოჩა – *(წიგნი გვერდით გადადო და რვეულები მიწია თინათინისკენ)* აი, რვეულები.

თინათინი – სულაც არ მინდა, რომ გურამ აბესაძე მაბეზღარად ჩათვალოთ, მას გული ეტკინა, რომ დაუმსახურებლად დაუწერეთ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი.

გოჩა – მე მას ავუხსენი, რითი დაიმსახურა.

თინათინი – მე მოვალე ვარ, ბავშვის პრეტენზიას გულისყურით მოვეკიდო.

გოჩა – კი ბატონო, აი, რვეულები, მეც აქა ვარ. *(თინათინი რვეულებს არჩევს)* მამამისს უყვარს ტელეფონი.

თინათინი – თქვენ თავიდანვე აითვალწუნეთ აბესაძე.

გოჩა – ასე რომ იყოს, „ხუთიანს“ დავუწერდი.

თინათინი – მოეშვით მაგ დემაგოგიას!

გოჩა – ამას დემაგოგია არ ჰქვია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმცროსი უფროსს სიმართლეს მოახსენებს.

თინათინი – მაშინ ვნახოთ, ვინ გეჯავრებათ... აჰა, პაატა მაჩაბელი... *(რვეული გაშალა)* „ხუთიანი“.

გოჩა – დაუმსახურებელი ნიშნის დაწერა ცოდვაა. პაატას ეკუთვნის მაღალი ნიშანი. მან ჭეშმარიტების გზისკენაც მიგვითითა.

თინათინი – ვნახოთ. ვნახოთ. აბესაძე... „ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე“. ყველას ეს თემა ჰქონდა? კეთილი. *(კითხულობს)* „როგორც ყველა საბჭოთა ახალგაზრდისათვის, ჩემთვის ყველა დღე ბედნიერია, მაგრამ მაინც გამოვყოფ ყველაზე ღირსსახსოვარ, ყველაზე ბედნიერ დღეს. ეს ის დღეა, როდესაც მე მიმიღეს კომკავშირის რიგებში და ჩავდექი კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა რიგებში“... სწორია, „რიგებში“, „რიგებში“ – არ ვარგა. მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს ერთადერით შეცდომაა მთელს ნაშრომში. ნახეთ, რა მშვენიერი დასასრულია: „და თუ დასჭირდა ჩვენს სამშობლოს, უყოყმანოდ შევეწირებით, როგორც კვდებოდნენ კოშევოი და მატროსოვი“... თქვენ, ამხანაგო გოჩა, აღიარეთ, რომ შეცდით. შეცდომა ვის არ მოსვლია?

გოჩა – არ შემვცდარვარ.

თინათინი – ოჰ, აღარ შემიძლია! ერთადერთი შეცდომა, ერთადერთი წითელი ხაზი! რატომ ჯიუტობთ?

გოჩა – შეცდომა ნამდვილად მეტი არ არის, მაგრამ სერიოზული ნაკლი აქვს ამ თხზულებას: მისი ავტორი გულწრფელი არ არის, ცრუობს.

თინათინი – რაში ცრუობს?

გოჩა – ყოველი ფრაზა ყალბია! მე მას ავუხსენი. ვიდრე გვიან არ არის, ისწავლოს მართალი სიტყვა, თორემ მერე, ცოტა გინახავთ, პატივცემულო თინათინ, ტრიბუნაზე შემდგარი ორატორი, პათოსით რომ ლაპარაკობს მაღალ იდეალებზე, სინამდვილეში კი არა სწამს – რა წმინდა!

თინათინი – რა ვუყო მერე მე, რომ ცხოვრებაში გვხვდებიან ყალბი ადამიანები, კარიერისტები, ბიუროკრატები, გაწყდა მათი სახსენებელი! ჩემმა სკოლამ რა ქნას?

გოჩა – აი, იმ ადამიანებს, თქვენ რომ ჩამოთვალეთ, სკოლის მერხებზე ვამზადებთ.

თინათინი – მე მინდა გაგაფრთხილოთ, თუ არ შევთანხმდით, აბესაძის ისტორია ჩვენი საუბრით არ დამთავრდება. ვთქვათ, მოვიდეს კაცი განათლებიდან, ამ ნაშრომს რომ ნახავს, რას ეტყვით?

გოჩა – იმას, რაც თქვენ მოგახსენეთ.

თინათინი – ადამიანო, თქვენ ლიტერატურის მასწავლებელი ხართ და გაქვთ პირდაპირი ამოცანა: ასწავლოთ ბავშვებს მშობლიური ლიტერატურა. ახლა, ქალბატონმა მარიამმა რომ ბავშვს ჰკითხოს ომის კანონი, პასუხის სიზუსტეს მიაქციოს ყურადღება თუ იმას, ბავშვი ამ დროს გულწრფელია თუ არა? ქალბატონო მარიამ, როგორი ბავშვია აბესაძე?

მარიამი – *(მხოლოდ ახლა აწია თავი კედლის გაზეთიდან და მყისვე ჩანთიდან ამოიღო პატარა ბლოკნოტი)* აბესაძე? მეათე მესამე, არა? *(ბლოკნოტს ფურცლავს)* ორჯერ გამომიკითხავს. ხუთი მინუსით, ხუთი... კარგი ბავშვია *(ბლოკნოტი შეინახა).*

თინათინი – *(გოჩას)* აბა, რაღა გინდათ? თქვენი მეთოდით თუ ვიმუშავეთ, ყველა ნამუშევარში „ორიანი“ დაგვიწერია!

გოჩა – საბედნიეროდ, არა.

თინათინი – ჰო, მართლა, მაჩაბელი! აბა, ვნახოთ, რითი მოგხიბლათ? *(რვეული გადაშალა)* სულ ეს არის ფრიადოსნის თხზულება? ჰმ, სამიოდე წინადადება!.. „ბედნიერია ადამიანი, რომელსაც უყვარს მოძმე და სამშობლო. მას ცხოვრებაში უამრავი ბედნიერი დღე აქვს, რადგან მოძმის ბედნიერებაც მისია და საკუთარიც. ილია ბედნიერი იყო იმ დღეს, როდესაც გაიგო გარიბალდელთა ბორკილების მსხვრევის ხმა. მე მხოლოდ ორი ბედნიერი დღე მახსოვს. ერთი – როდესაც პირველად დამოუკიდებლად დავწერე „აი, ია“, მეორე... საერთოდ, პატივცემულო მასწავლებელო, ბედნიერებაზე საქვეყნოდ არ ყვირიან“... ამხანაგო გოჩა, ახალგაზრდა ხართ და ემოციებს ჰყვებით. ჯერ ერთი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ახალგაზრდისათვის კომკავშირში მიღების დღე ბედნიერი იყოს?

გოჩა – მიმაჩნია.

თინათინი – მაშ, რას ვერჩით აბესაძეს?

გოჩა – ვიცნობ აბესაძეს. ის ლამაზი ფრაზებით კეკლუცობს. ამიტომ ვერჩი.

თინათინი – ჩვენ აუტკივარ თავს ვიტკივებთ. გვცალია ახლა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისათვის? ხელოვნურად დაბლა რატომ ვწევთ აკადემიურ მაჩვენებლებს? კარგად იცით, ყველა სკოლა ალამაზებს მაჩვენებლებს. სად, რომელი მასწავლებელი ატარებს ბავშვებს რენტგენის ქვეშ – გულწრფელია თუ არა მისი პასუხი? პასუხი ხომ არის გამართული? რად გაჩუმდით?

გოჩა – ჩემს დუმილს ნუ ჩათვლით თანხმობის ნიშნად.

თინათინი – კეთილი. ოცში გვაქვს დანიშნული პედაგოგიური საბჭო და იქ ვიმსჯელოთ თქვენი ექსპერიმენტების შესახებ. თუ მანამდე ზემოდან არ მიგვითითეს. ახლა მეათე მესამეში გაქვთ გაკვეთილი, ხომ? გაკვეთილების შემდეგ არავინ გაუშვათ. მგლის თავზე კიდევ ერთხელ უნდა ვცადო სახარების წაკითხვა. ქალბატონო მარიამ, გაკვეთილების შემდეგ მეათე მესამესთან კრება გვაქვს და უნდა დაესწროთ.

მარიამი – *(უმწეოდ დადო კალმისტარი)* კრება? გაზეთი რომ მაქვს დასამთავრებელი?

თინათინი – შინ წაიღეთ და იქ დაამთავრეთ, არც მე ვარ მოცლილი! *(გოჩას)* ჰო, გაკვეთილზე რაღაცას წერდა ვაჟა ბალანჩივაძე და ჩამოვართვი *(ჩანთა გახსნა, ქაღალდი ამოიღო და მიაწოდა გოჩას)* კლასში არაჯანსაღი ურთიერთობაა... საყვარულობანა გაუმართავთ. წაიკითხეთ, წაიკითხეთ, ქალბატონ მარიამსაც უთუოდ დააინტერესებს. *(მარიამმა ისევ გადადო კალმისტარი და თავი აწია).*

გოჩა – *(კითხულობს)* „პაატა, ჩვენ ძმებივით გავიზარდეთ და არ მინდა ერთმანეთს ვაწყენინოთ. ნუღარ მიმაგზავნი იმასთან. აღარ შემიძლია. მეც...“

თინათინი – ამ დროს გავაწყვეტინე წერა. იმედია, ამ სიყვარულის სამკუთხედს ამოხსნით, ერთუცნობიანი ამოცანაა.

ლონგინოზი – *(შემოვიდა)* პატივცემულო თინათინ, ერთ მოქალაქეს და მილიციელს თქვენი ნახვა სურთ. აი, ეს წიგნის ყდა და ფურცლები მოიტანეს, პაატას დარჩენია ჩხუბის ადგილზე.

თინათინი – პაატას უჩხუბია?

ლონგინოზი – დიახ, ტაქსის გაჩერებასთან.

თინათინი – *(გოჩას)* ა, ბატონო, თქვენი ფრიადოსანი! ხვალ უარესს უნდა ველოდოთ. ახლა ვაჟა ბალანჩივაძეს დაამტვრევს თავპირს. ხულიგნობს, ჩხუბობს და თან სავიზიტო ბარათებს ტოვებს, რომ სკოლაში მიაკითხონ!

ლონგინოზი – დიახ, ამითი მოუგნიათ, აქ ხომ ბიბლიოთეკის შტამპი აზის. შემოვიდნენ?

თინათინი – *(შეწუხებული და დაბნეული)* რა ვუპასუხო ახლა იმათ?

ლონგინოზი – არაფერი. თქვენ მხოლოდ უნდა მოუსმინოთ. ისინი მოვიდნენ, რომ მადლობა გადაუხადონ სკოლის დირექტორს, ასეთი კეთილშობილი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

ჩ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა

როცა განათდა, მიმდინარეობს ქართული ლიტერატურის გაკვეთილი.

გოჩა – *(აგზნებული)* და ეს ყველაზე ადამიანური გრძნობები, სიყვარული და მეგობრობა, ერთმანეთს შეაჯახა. ჯერ გავიხსენოთ, რომ რუსთაველის შემდეგ ასე ძლიერად, ასე წარმტაცად არც ერთ ქართველ მწერალს არ დაუხატავს, არ შეუმკია სიყვარული და მეგობრობა. ყაზბეგის გმირები, ამ მხრივ, სამაგალითონი არიან. მამაკაცები ტარიელობენ და ავთანდილობენ, ქალები კი ნესტანობენ და თინათინობენ. გავიხსენოთ მათია „ელგუჯადან“, მარტია და გივარგი, ჯაჯალა! კობა „მამის მკვლელიდან“, სულთი ჯახოტი!.. როდესაც ელგუჯამ მზადო გაიტაცა, გაგის ვინ შეატყობინა?

ლონდა – *(ყველას დაასწრო)* მარტიამ *(მთელი კლასი გოჩას შესცქერის).*

გოჩა – როდესაც გაგი დაედევნა ელგუჯას, თავდაპირველად მარტია სად იყო?

არქიმედი – გაგის ბანაკში.

გოჩა – როდესაც ბრძოლა დამთავრდა, სამ მკერდგაჩეხილ ძმადნაფიცს შორის ერთ–ერთი ვინ იყო?

არქიმედი – მარტია.

გოჩა – როგორ აღმოჩნდა ელგუჯას ბანაკში?

ბონდო – მისი შინაგანი სამყარო ვერ შეეგუა გაგის, ასე ვთქვათ, სიმხდალესა და უსამართლობის გამოვლინებას.

დოდო – *(თვალებზე ცრემლი მოსწოლია)* თქვი ბიჭო, ადამიანურად!

გოჩა – ყველამ კარგად ვიცით ელგუჯასა და მათიას ურთიეთრობა. ერთმანეთი ძმებივით უყვართ. აბა, გავიხსენოთ! მოიცა, ასე არა. ვინ იქნება ელგუჯა? *(რამდენიმემ ხელი აწია)* სულ თქვენ ხომ არ მიპასუხებთ? აბა, ყველამ მიიღოს მონაწილეობა! პაატა, შენ იქნები ელგუჯა. ვაჟა, მათია იქნები. როდესაც მათია მიდის ელგუჯას დავალების შესასრულებლად, აღმიდგინეთ ეს დიალოგი! *(პაატას)* ჰო, გაბედე!

პაატა – *(თავდაპირველად გაუბედავად)* მათიავ, ღვთის მადლმა, ძმაზედ უკეთესად გიყურებ...

გოჩა – ყოჩაღ! აბა, მათიავ!

ვაჟა – *(ასევე გაუბედავად)* შენს მოღალატეს მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიამც გადაუტყდების!

გოჩა – უჰ, ასე უნდილად ნათქვამს ელგუჯა არ დაგიჯერებს. გაიმეორე, მეტი სითამამე, უცხო არავინაა!

ვაჟა – შენს მოღალატეს მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიამც გადაუტყდების!

გოჩა – და ბოლოს რას ვხედავთ? მათია მიდის ელგუჯას მოსაკლავად. რა მოხდა? მათიას რამ ააღებინა იარაღი?

დოდო – სიყვარულმა.

გოჩა – სიყვარულმა. ნუთუ სიყვარულმა ასე ადვილად სძლია მეგობრობას? მათიამ იარაღი აღმართა მეგობრობის წინააღმდეგ. სიყვარული ზეიმობს! მაგრამ რა ვუყოთ მეგობრობას, რომელსაც ასე სასოებით ხატავს ყაზბეგი?

ბონდო – მეგობრობა ადვილად არ თმობს პოზიციებს.

გოჩა – მაშ, გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ამ ორი მეგობრის ურთიერთობა. აბა, ელგუჯავ!

პაატა – არიქა, არიქა, მათიაისი, თორემ სულ დავილევი!

ვაჟა – შენთვის ძმა დამირქმევია და, თუ შენს გულის სიყვარულს ვუღალატო, დედის ძუძუმც მომიჭრია!

გოჩა – ახლა მზადოც გვჭირდება. აბა, ლონდა!.. ერთ მთვარიან საღამოს მზადო ზის თავის სახლთან. უცებ ბუჩქები გადაიწია და ვიღაცა უცნობი ვეფხვსავით გადმოხტა.

ვაჟა – შენ და და მე – ძმა!

ლონდა – შენი არა მინდა–რა, გამიშვი!

ვაჟა – მე ძალადობას არ ვხმარობ. დიაცთან ძალადობა რა ვაჟკაცობის წესია.

გოჩა – ისე ლაპარაკობ, თითქოს არ გჯერა. მეტი გულწრფელობა!

ვაჟა – მე ძალადობას არ ვხმარობ. დიაცთან ძალადობა რა ვაჟკაცობის წესია.

ლონდა – მაშ რაი გინდა, რაი? რაისთვის თავს არ მანებებ?

ვაჟა – იმისთვის, რომ სიტყვა მაქვს, ელგუჯამ დამაბარა... ჰო, ელგუჯამ, ჩემთან ძმადნაფიცია და შენც და–ძმობას გეფიცები.

გოჩა – მათიამ შეასრულა მეგობრის დავალება და გახარებული გაბრუნდა ელგუჯასაკენ. „მაგრამ საკვირველი ის იყო“, – ამბობს მწერალი, – რომ ამ გაყრის შემდეგ მათიას ნამდვილი სიხარულის მაგიერ, რაღაცა სევდა მოაწვა“. მათია ვაჟკაცი იყო. ის შეებრძოლა სიყვარულის გრძნობას, რომლის უფლებაც მას არა ჰქონდა. მაგრამ სიყვარული განა ასე ადვილი დასაჩოქებელია? მასთან ბრძოლა მხოლოდ ნამდვილ ვაჟკაცს შეუძლია. გაიხსენეთ დათვთან ბრძოლა. რა გრძნობა დაეუფლა მათიას დათვის დანახვაზე? აბა, დოდო!

დოდო – მათიას არამცთუ შეეშინდა ამ მოულოდნელის სტუმრის, კიდევაც გაუხარდა. დათვს შეეძლო იმის სიკვდილი, მაგრამ ამხანად ეს სასიხარულოც იყო მათიასათვის.

გოჩა – აი, მეგობრისთვის თავგანწირვა! ასე ებრძოდა მათია თავის თავს და სიყვარულის მოძალებულ გრძნობას. მაგრამ ბოლოს მათიამ მაინც აიღო იარაღი. ეს სიყვარულმა აიღო იარაღი მეგობრის გასაგმირად.

მწერალს ეს ორი დიადი გრძნობა სასწორზე დაუდვია და აქამდე ვერც ერთს გადაუძლევია. ნუთუ ახლა ერთ–ერთი დაძლევს! რომელს შეველიოთ? აი, მწერალმა ოსტატურად იპოვნა გამოსავალი: მათიას, ელგუჯას ნაცვლად, ყაზახები შეეფეთნენ და მათთან ბრძოლაში დაიღუპა, მათთან ბრძოლაში გადაუტყდა მეგობრის მოსაკლავად აღმართული მახვილი. ახლა ელგუჯა? ისიც შეაკვდა მათიას მკვლელებს. აბა, პაატა!

პაატა – ძმა მომიკლეს და სისხლი უნდა ავიღო!

გოჩა – ელგუჯას ბოლო ფრაზა!

პაატა – მათიაუ, ვერ მისაყვედურებ, მარტო არ დაგაგდე!

გოჩა – ყოჩაღ! ისინი დაეცნენ ერთმანეთის გვერდით, როგორც შეშვენით ძმადნაფიცებს და თუმცა არც სიყვარული დამარცხებულა, მეგობრობა ზეიმობს. ზეიმობს ადამიანობა, ვაჟკაცობა, სინდისი.

დოდო – თუ არსებობს ახლა ასეთი სიყვარული და მეგობრობა?

გოჩა – არსებობს. ვიდრე არსებობს ადამიანი, სიყვარულიც იარსებებს და მეგობრობაც. ისე ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია. თუნდაც, თქვენ რომ გიყვართ მარტია და გივარგი, ელგუჯა და მათია, მზაღო და ჯაჯალა, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც ასეთივე კარგები ხართ.

ბონდო – ზოგს გირგოლა და გაგი უყვარს!

გოჩა – მართალია. იმიტომ უყვართ, რომ თავადაც ისეთები არიან. გირგოლები იყვნენ და იქნებიან. თქვენ ამან არ შეგაშინოთ. ელგუჯები და მათიები, ღმერთმა ამრავლოს, ჩვენს გვერდით არიან და ცხოვრებაც ამიტომაა ასე საყვარელი და მიმზიდველი. *(ყური მიუგდო)* რა ხმაურია?

ბონდო - *(კარი გააღო)* ზარი ყოფილა!

გოჩა – აბა, არ გემშვიდობებით, იქ შევხვდებით *(გავიდა).*

დოდო – როგორ არ მინდა ამ გაკვეთილის მერე სასამართლო!

გურამი – *(ვაჟას)* რა მოგივიდა, კი არ ჩამოგახრჩობენ *(ხმადაბლა)* ხვალ მამას დავარეკინებ. წამო, გავაბოლოთ. რა გრძელია ეს ორმოცდახუთი წუთი! *(გავიდა).*

ვაჟა – *(მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. გაოგნებული ზის. მერე პაატასთან მივიდა, გვერდით გაიხმო, თითქოს დარცხვენით)* მომეცი ჩემი წერილი. *(პაატაც გაოგნებულივითაა. ჯიბიდან წერილი ამოიღო და მისცა. ვაჟამ არც დახედა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და მერხში შეყარა. დოდოს ეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. ბიჭები გავიდნენ, დარჩნენ ლონდა და დოდო).*

დოდო – რეჟისორს არ ურეკავ?

ლონდა – ქვეყანა სამასწავლებლოში იქნება. რანაირად დავრეკო?

დოდო – დაუდარაჯდი.

ლონდა – მართალი ხარ *(გავიდა. დოდომ მერხიდან გამოგავა წერილის ნაკუწები. ჯიბეში ჩაიყარა).*

არქიმედი – *(შემოვიდა)* თქვენ იქნებით ტექნიკის საოცრების მოწმენი! *(მხოლოდ დოდო რომ დაინახა, პირზე შეაშრა სიტყვა)* ბიჭები სად არიან?

ოთახი არქიმედის ბინაში. სწრაფად შემოდიან პაატა, ბონდო, ვაჟა და არქიმედი, რომელსაც იღლიაში ამოუდვია ის პატარა ჩემოდანი, რომელიც პირველ სურათში ვნახეთ. არქიმედი სასწრაფოდ მართავს თავის მაგნიტოფონს.

ბონდო – მართლა ტექნიკის საოცრებაა!

ვაჟა – თუ არაფერია ჩაწერილი?

არქიმედი – ბოდიში მოიხადე! მაღაზიაში ნაყიდი არ გეგონოს! *(მიკროფონს თითი დაჰკრა)* ერთი კილომეტრიდან იწერს ფაჩუნსაც კი.

პაატა – ტრაბახს მოეშვი და ჩართე! *(არქიმედმა ჩართო. ყველა გაინაბა. მაგნიტოფონში ჯერ გაურკვეველი ხმაური ისმოდა, მერე ფეხის ხმა და ტელეფონის დისკის ხრიალი).*

ლონდას ხმა – ალო, გავაშელს სთხოვეთ, თუ შეიძლება?.. მამა! ერთი რამე უნდა გითხრა, თუ არ გეწყინება! დღეს დამაგვიანდება და სადილი რომ ვერ დაგახვედრო, ხომ არ გეწყინება?.. დირექტორმა დაგვტოვა, კრება გვაქვს, რომ მოვალ, ყველაფერს გიამბობ... დღეს არაფერი მიმიღია. იცი, რა, მაცივარში ძეხვი და კვერცხია. მაგას ხომ მოახერხებ? ერბოკვერცხი შეიწვი, ნუ დამელოდები, მშიერი არ დარჩე!

ლონგინოზის ხმა – აქ რას აკეთებ, ლონდა?

ლონდას ხმა – რეჟისორს ველაპარაკე, ბოდიში...

ლონგინოზის ხმა – გოჩა, იმას მოგახსენებდი, საგანგაშო აქ არაფერია... ისეთი ასაკია, მათი დუღილის დროა. კარგი ადამიანები დადგებიან. მეგობრობაც შეუძლიათ და სიყვარულიც. მართალი გითხრა, ყველა მიყვარს, თითქოს ჩემი შვილიშვილები არიან.

ბონდო – *(გაოცებით)* ეს ლონგინოზ მასწავლებელია?!

არქიმედი – ხმაზე ვერ სცნობ?

ბონდო – ხმაზე კი ვცნობ, მაგრამ მისი აზრები არ მეცნობა, *(ბავშვები სიბნელეში იკარგებიან, მხოლოდ მაგნიტოფონს ეცემა შუქი და სცენის მეორე მხარეს ვხედავთ იმას, რაც მაგნიტოფონიდან გვესმის).*

სამასწავლებლოში შემოდის თინათინი

თინათინი – დავიწყოთ?

გოჩა – *(წამოდგა)* დავიწყოთ.

გურამი – *(შემოდის)* შეიძლება?

თინათინი – რაო, აბესაძე, რამ შეგაწუხა? თქვი, ნუ გერიდება.

გურამი – გაუგებრობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, ვალდებული ვარ, გაგაფრთხილოთ, თქვენ რომ წაართვით ბალანჩივაძეს ქაღალდი, მაჩაბელმა ჩანთიდან ამოგაცალათ.

თინათინი – როგორ თუ ამომაცალა?

გურამი – ხმაურზე თქვენ რომ გარეთ გაბრძანდით, მაშინ გახსნა თქვენი ჩანთა და ამოიღო.

ლონგინოზი – მოჩვენებები ხომ არ გაწუხებს, ყმაწვილო? ამ ქაღალდზე ბრძანებთ?

გოჩა – *(ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი)* დამშვიდდი, აბესაძევ, ეს ქაღალდი თვითონ დირექტორმა გადმომცა. ჩანთიდან ამოიღო და გადმომცა.

ლონგინოზი – დავუშვათ, მართლა ამოიღო, რატომ არ დაუშალე? რატომ იქვე არ გაკიცხე?

გურამი – რა იცით, რომ არ გავკიცხე? ყველაფერს ხომ არ ვიტყვი?

ლონგინოზი – ახლა რა გრჯიდა, რომ ამხანაგი დააბეზღე?

გურამი – პირველ მერხზე ვზივარ და მე დამბრალდებოდა.

ლონგინოზი – წადი, ბიძიკო, წადი. შენ პაატაზე უკეთეს მდგომაროებაში ხარ, რადგან ეს საუბარი ჩვენში დარჩება *(გურამი გავიდა).*

გოჩა – პატივცემულო თინათინ, ეკუთვნოდა თუ არა აბესაძეს იმ თხზულებაში ორიანი? მატროსოვის სახელი მიხსენა! რა დაუსჯელად ვსპეკულიანტობთ წმინდა სახელებით! ეს გადაეფარება ამხანაგს?

ლონგინოზი – რამდენიმე წელიწადში მისგან მივიღებთ დიპლომიან კარიერისტს, რომელიც სადმე მოკალათდება და ადამიანების ბედს გადაწყვეტს!

გოჩა – ჩვენ ეს არ გვეხება, ბატონო ლონგინოზ! ჩვენ უნდა დავთვალოთ წერტილ–მძიმეები, ავწონოთ სასწორზე და ისე დავარიგოთ ნიშნები.

ლონგინოზ – არა! მთავარი გვავიწყდება. დედაენის შემდეგ სიმწიფის ატესტატში პირველ საგნად ადამიანობა უნდა ეწეროს. იმაში უნდა მიიღოს მაღალი ნიშანი! ჩვენ რომ ვიყოთ, თუნდაც ათი მილიონი, შეიძლება ასე არ განვიცდიდე, მაგრამ... *(ხმაში მღელვარება შეეპარა)* არა ვარ დიდი მამულის პატრონი, ერთი ბეწო ბაღჩა მაქვს და ეს დალოცვილი სარეველამ რომ დამიჯაბნოს, რისთვის მოვსულვარ ქვეყანაზე!

თინათინი – რატომ გგონიათ, რომ მე სარეველას მომხრე ვარ? მაგრამ ერთი დაჯექით ჩემს ადგილზე! განათლების განყოფილებაში პასუხი მე უნდა ვაგო და არა თქვენ!

ლონგინოზი – მაშინ ვიღამ აგოს პასუხი, ოდესმე ფელეტონს რომ დაგვიწერენ გაზეთში ერთ უგვანო ადამიანზე და მასში ჩვენს ყოფილ მოსწავლეს ამოვიცნობთ?

თინათინი – არავინ იცის, ოდესმე რა მოხდება.

ლონგინოზი – დიახაც ვიცით! მაგრამ ასეთ დროს ჩვენ არც ვწითლდებით და არც მორალურ, არც იურიდიულ პასუხს არ გვთხოვენ!

მარიამი – *(შემოვარდა)* ხომ არ დავიგვიანე? ამხანაგო გოჩა, წედან ვერ მოვასწარი მეთქვა. თეა თაბაგარი დღესაც მოუმზადებელი მოვიდა. მე არ დავუწერე ნიშანი, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, ბავშვი ხელიდან მიდის. *(ნელ–ნელა ქრება შუქი სამასწავლებლოში. ნათდება ის ადგილი, სადაც ბიჭები მაგნიტოფონს უსმენენ).*

გოჩას ხმა – მე ყველას გთხოვთ, ამ დღეებში თეას ნუ გამოჰკითხავთ, ბავშვმა მძიმე სულიერი ტრავმა განიცადა.

მარიამის ხმა – რა დაემართა?

გოჩას ხმა – მამამ მიატოვა *(მაგნიტოფონში ისმის გაურკვეველი ხმაური, ნაბიჯების ხმა. მერე არქიმედმა გამორთო მაგნიტოფონი. ბიჭები გაოგნებული სხედან).*

ბონდო – ხედავთ გურამ აბესაძეს?

არქიმედი – ეგ რომ ომს მოსწრებოდა, არ გაყიდდა კოშევოის და კუზნეცოვს?

ბონდო – ომი რად გინდა, ცხოვრებაში განსაცდელი ყოველთვის არის.

არქიმედი – ჰოდა, ჭკუა უნდა ვასწავლოთ!

ბონდო – არ შეიძლება. ჩვენ ეს ამბავი არ გაგვიგია. ლონგინოზ მასწავლებელმა სიტყვა მისცა.

პაატა – *(უცებ წამოდგა)* ბიჭებო! აქ გოგო არავინაა. რაც ახლა გავიგეთ, ჩვენში უნდა მოკვდეს.

მეორე მოქმედება

სამასწავლებლო. ლონგინოზი და გოჩა. დღის ბოლო. შემოდის პაატა.

გოჩა – რაო, პაატა?

პაატა – საქმე მაქვს თქვენთან, გოჩა მასწავლებელო *(შეჩერდა).*

ლონგინოზი – თუ ჩემი გერიდება, მე წავალ.

პაატა – მომწყინდა ამდენი ლანძღვა–გინება. მინდა, კარგად ვისწავლო, ოთხებზე, ხუთებზე.

გოჩა – მერე, ვინ გიშლის?

პაატა – მარტო ვერ შევძლებ.

გოჩა – *(ერთ წამს ლონგინოზს შეხედა, მერე პაატა გვერდით მოისვა)* როგორ მოვიქცეთ?

პაატა – ვინმეზე მიმამაგრეთ, ძლიერზე, მოწინავეზე, დამეხმაროს.

გოჩა – ვიზე? *(პაატა დუმს)* ვიზე მიგამაგროთ?

პაატა – თეა თაბაგარზე.

გოჩა – თეა როგორიდა მოწინავეა, ორიანებით ამივსო ჟურნალი.

პაატა – ეგ ორიანები არაფერს ნიშნავს, დროებითია. *(ადგა)* თუ არ გინდათ...

გოჩა – როგორ არ გვინდა!.. მაგრამ დაგვთანხმდება?

პაატა – დაავალეთ, აიძულეთ!.. კომკავშირის ხაზით დაავალეთ.

გოჩა – კეთილი. ხვალვე მოველაპარაკები *(პაატა უცებ გავიდა. ლონგინოზს)* მიხვდით?

პაატა – *(ისევ შემოვიდა)* გოჩა მასწავლებელო, იმას ნუ ეტყვით, რომ... მე... თქვენ...

გოჩა – *(აღტაცება ვეღარ დამალა)* რას ამბობ, პაატა!

პაატა – მადლობთ! *(გავარდა)*

გოჩა – რას იტყვით, ლონგინოზ ბატონო?

ლონგინოზი – აი, ასეთ დროს მეამაყება რომ მასწავლებელი ვარ!

თეას ბინაში. ჟურნალის მაგიდასთან, სავარძელში, ზის გურამი. ფეხი ფეხზე გადაუდვია და სიგარეტს ეწევა. მაგიდაზე კონიაკის ბოთლია, ორი სავსე ჭიქა და ხილი. მაგნიტოფონიდან ხმადაბლა ისმის ჯაზური მელოდია. თეა მაგიდისაგან შორს ზის და უხალისოდ უსმენს გურამს.

გურამი – იმის შემდეგ კიდევ ერთხელ შევხვდი, ბიჭვინთაში. მე, არა მიშავს, ვცურავ. გავედი შუა ზღვაში და კატერს წამოვეწიე. იქ არ იჯდა? მამასთან ერთად. მაშინვე გამოვედი ნაპირზე, ჩავიცვი და იმ საღამოსვე წამოვედი ბიჭვინთიდან. ამხანაგები გაგიჟდნენ, სად მიდიხარ, გვტოვებო? იქ დარჩენა აღარ შემეძლო. მეცოდებოდა, გესმის, ის გოგო! არ მიყვარდა და!.. მოდი რა, დალიე ერთი ჭიქა! ჩვენი კონიაკი კი არ არის, ფრანგულია.

თეა – არა, ნუ მთხოვ, შენ დალიე.

გურამი – სად არის ახლა ჩემი პაატა ან ვაჟა, რომ ამ ბოთლს წირვა გამოვუყვანოთ! კი არ იფიქრო, რომ ლოთი ვარ. უცებ მომინდა, გავმხიარულდე, მაპატიე, რომ მყუდროება დაგირღვიე. არ ვიცოდი, მარტო რომ იყავი, თორემ არ მოვიდოდი, ვიფიქრე, პაატაც აქ იქნეოდა. იცი, რა მოსაწყენია ერთფეროვნება? საზღვარგარეთ ჩვენი ტოლები რა დროს ატარებენ! ბელგიაში დედისერთა ბიჭების დღეა. გამოვლენ ქუჩებში და მანქანებს აბრუნებენ, ვიტრინებს ამტვრევენ, კაციშვილი არ უშლის, მეტი რა შერჩებათ! მოდი რა, დალიე! ერთი ჭიქა!.. შენ გაგიმარჯოს! ვისურვებდი, ეს სკოლა დაგვემთავრებინოს და მერე ისევ გაგვეგრძელებინოს ჩვენი მეგობრობა *(დალია. მაგნიტოფონის ხმას აუწია)* ახლა კარგი რამე იქნება. დოდო რომ შემოახედა, ხვალ ათასნაირ ჭორს გაგვივრცელებს!

თეა – დოდო ურიგო გოგო არ არის.

გურამი – ვინ ამბობს? მე ყველა მიყვარს. ჩემი უბედურება ის არის, რომ მე ყველა მიყვარს და ხშირად სანაცვლოდ სიყვარულით არ მპასუხობენ. თეა, ამ ზამთარს ბაკურიანში წავიდეთ, საკუთარი კოტეჯი გვაქვს. არ მითხრა, თხილამურებზე არ ვმდგარვარო!.. მოდი, ვიცეკვოთ!

თეა – შენ სასმელი მოგეკიდა.

გურამი – *(უცებ დაისხა და გადაკრა)* გინდა, სულ გამოვცალო? გამოვცალო და არც ფეხი ამერიოს და არც ენა. ეგრე კი არ არის საქმე! გურამ აბესაძეს არაფერი შეეშლება! დავამთავრებ თუ არა უმაღლესს, ერთ წელიწადში ხარისხი უნდა დავიცვა. ხუთ წელიწადში დოქტორი ვიქნები, ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი საქართველოში! მე, ხომ იცი, რომ ვიტყვი, იმას წყალი არ გაუვა! *(თანდათან ღიზიანდება)* ცხოვრება ბრძოლაა, ჩემო თეა! ავტობუსში რომ ადიან, ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ, უკეთესი ადგილი რომ დაიკავონ, ფანჯარასთან, ზამთარში მზისკენ, ზაფხულში ჩრდილში. ათი წუთისთვის! ცხოვრებას კი ჰქვია წუთისოფელი, მაგრამ მართლა წუთი კი არ არის. ვისთვის ოთხმოცი წელია, ვისთვის – ასი, ვისთვის – ოცი. უნდა იჩქარო, ფანჯარასთან რომ დაჯდე, თორემ ფეხზე დგომა მოგიწევს! *(ზარი).*

თეა – *(წამოხტა)* პაატა მოვიდა! *(გავიდა. მალე ბრუნდება პაატას თანხლებით)*

გურამი – ვაჰ, პრივეტ! თეას ჰკითხე, სულ შენს ხსენებაში ვიყავი. აქ მეგულებოდი და შემოვიარე. მოდი, დალიე, *(პაატამ მაგნიტოფონი გამორთო)* ეს რა ქნა, ახლა იყო კარგი!

პაატა – *(სავარძელში ჩაჯდა)* თეა, გეომეტრიას ვერაფერი გავუგე!

გურამი – რას ნიშნავს კომკავშირული ბრიგადა! ვალდებულება იკისრეთ და ოთხიანებსაც აღარ სჯერდებით. ხუთიანების მთელი ლიმიტი, რაც ლონგინოზს გააჩნია, თქვენ ამოწურეთ!.. მოდი რა, დავლიოთ. ნახე, რა კონიაკია!

პაატა – არა ვსვამ!

გურამი – მორჩი ზღაპარს! თუ გეცოტავება, ახლავე გავაჩენ.

პაატა – მომეშვი, თუ ძმა ხარ!

გურამი – ვაჰ, რა ხალხში ჩავვარდი! კრისტიან ბერნარდმა გულის გადანერგვის ოპერაცია რომ გააკეთა, ორგანიზმმა უცხო სხეული არ მიიღო. მე მეგონა, ეს მარტო ბიოლოგიაში ხდება. ცხოვრებაშიც ასე ყოფილა. მე თქვენ არ მიმიღეთ.

პაატა – მე რომ ვინმემ არ მიმიღოს, მოვეშვები.

გურამი – როგორ მოგეშვათ, მიყვარხართ, თქვე ოხრებო! მოდი, დალიე, მოჰკიდე ხელი, თორემ გავგიჟდები! ცოტა ხანს დავივიწყოთ ეს გეომეტრია. არ არის აუცილებელი, ყველა ჩვენგანი აინშტაინი გამოვიდეს. ვიყვნეთ! *(დალია)* ისე კი არ არის საქმე, ზოგს რომ ჰგონია! აბესაძე ვარ! ჩემი

გვარი მუდამ პირველი წერია! გინდა, არ გინდა, ანბანი ჩემით იწყება! არავის შეეშალოს!

პაატა – აი, სიმთვრალეში უფრო გულახდილი ყოფილხარ.

გურამი - გულში რაც მაქვს, მუდამ იმას ვამბობ! იმ დღეს გაზეთში ეწერა, ვიღაც მძღოლმა წყლიდან ქალი ამოიყვანა, გადახტა და ამოიყვანა! *(ტაში დაუკრა)* ვაშა! გაზეთში დაწერეს. მე ეს არ მაინტერესებს. შეიძლება გითხრან, მატარებლის ქვეშ დაუწექი და „პრავდაში“ გამოგხატავთო, შენ დაუწვები. მე არ დავუწვები. გესმის, რას ვამბობ? ეგ საკენკი მე არ მიზიდავს!

პაატა – მე ვიცი, შენ რა საკენკიც გიზიდავს.

გურამი – ზოგს ასი წლის სიცოცხლეს ახლა სიკვდილი ურჩევნია, თუ გაზეთში გამოხატავენ!

პაატა – სიცოცხლეს გააჩნია! ზოგი მაინც მკვდარია, თუნდა ყვავივით სამას წელს გაძლოს. შენ ცოცხალი ხარ და მიხეილ ხერგიანი მკვდარი? მწვერვალიდან არ ვარდებიან, ფრინდებიან! ილიკო გაბლიანის საფლავი ცაში ჰკიდია, მწვერვალის კალთებზე! იმ სიმაღლეზე მკვდარს არ აგიტანენ, თვითონ უნდა ახვიდე!

თეა – *(იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება, მათ შორის ჩადგა)* რა დაგემართათ, დაწყნარდით!..

გურამი – *(ოდნავ გონს მოეგო)* თუმცა მანდილი არ ჩამოუგდია, მე დაშნას ვაგებ. *(გაიცინა)* მართალი ხარ, პაატა. მე, უბრალოდ, არევის ხასიათზე დავდექი და გაგაღიზიანე, არ გეწყინოს.. მე დაგტოვებთ... თეა, თუ გჭირდება, კასეტას დაგიტოვებ.

თეა – არა, გურამ, წაიღე, თუ ხათრი გაქვს!

გურამი – *(კასეტა აიღო)* კიდევ ერთხელ მაპატიეთ. მეცადინეობაში ხელს არ შეგიშლით. ნახვამდის. *(გავიდა)*

პაატა – *(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ)* თეა... თუ იცი, ქვეყნად ყველაზე დიდი ბოროტება რა არის?

თეა – ძალმომრეობა, სიძულვილი...

პაატა – სიყალბე! ძალმომრეობა და სიძულვილით შეუნიღბავია და ადამიანი შეებრძოლება. თუ ქვეყნიერებას კატასტროფა ელის, სიყალბე დაღუპავს!

ეს–ეს არის თეას და პაატას მეცადინეობა დაუმთავრებიათ.
პაატა სურათების ალბომს სინჯავს.

პაატა – *(ერთ–ერთ ფოტოზე)* ბაკურიანში... მერე, თოვლი სად არის?

თეა – არ მოვიდა იმ ზამთარს თოვლი.

პაატა – თხილამურებზე რაღად დგახარ?.. ეს გაგრა. *(თეამ ფოტო გამოსტაცა. თეა და პაატა ერთმანეთს უყურებენ, იგრძნობა, გული ამოვარდნაზე აქვთ)* თეა...

თეა – გასინჯე რა, პაატა, სურათები?

პაატა – მოდი, მე წავალ! *(პასუხი რომ ვერ მიიღო, სურათებს მიუბრუნდა)* ფასანაური... მაშინ მეშვიდეში გადახვედი. საზეიმო საღამოზე ბაფთა გეკეთა, ლურჯი, პეპელას ჰგავდი.

თეა – შენ იმ წელს საშემოდგომო გამოგყვა ალგებრაში, მთელი მეოთხედი გააცდინე. დედა ავად გყავდა.

პაატა – გახსოვს, თეა? *(მერე ისევ სურათს დაუბრუნდა)* ეს ბიჭი ვინ არის?

თეა – *(დააკვირდა)* ჩვენი სახლის პატრონის შვილი. როგორი სასაცილო ბიჭი იყო! *(გამომეტყველება შეეცვალა)* ეგ... მამაა.

პაატა – *(პაუზის შემდეგ)* ვიცი.

თეა – *(გაზეპირებული გაკვეთილივით)* მოსკოვში წავიდა სამკურნალოდ... რაღაც სიმსივნე აღმოაჩნდა, არ ვიცით, რამდენი ხანი დასჭირდება მკურნალობას... დედა ძლიერ დარდობს.

პაატა – შეიძლება მორჩეს. თუ ავთვისებიანი არ იქნება. ხდება, თეა, რომ ასეთი ავადმყოფი იკურნება.

თეა – მამა კარგად გახსოვს?

პაატა – ის სურათი ახლაც თვალწინ მიდგას. მხოლოდ მაშინ გავიგე, მამას რამდენი ჯილდო ჰქონია. ხანდახან ჩემთვის განვმარტოვდები ხოლმე და მამას ვაბარებ ანგარიშს.

თეა – ეგეთ მამაზე ხატივით ილოცებს კაცი!

პაატა – ყველა მშობელი სალოცავია.

თეა – *(თვალზე ხელი მიიფარა)* ნუ მიყურებ, ძალიან მეტყობა?

პაატა – დღეს სკოლაში რომ არ მოხვედი, მივხვდი, რაღაც ფათერაკი შეგემთხვა.

თეა – გადავრჩი! ამ სიმაღლიდან რომ გადმოვვარდი, ეს თვალი მაგიდის კიდეს ჩამოვკარი, სკამმა კი სარკე მიამსხვრია. დედას გული გაუსკდა! მთელი ღამე არ გვძინებია.

პაატა – მა რა იქნებოდა?

თეა – მეც ავიტეხე ჭაღის გაწმენდა!.. იმ კარების მინა ქარმა დაამსხვრია, აქ ორპირ ქარში გრიგალი იცის.

პაატა – ჩვენთანაც ეგრეა. უნდა გაფრთხილდეთ.

თეა – პაატა, მე ახლა სადილს გავაცხელებ.

პაატა – არა, უნდა წავიდე. *(ადგილიდან არ დაძრულა)*

თეა – *(უცებ)* ნუ წახვალ! *(ისინი ერთმანეთს უყურებენ).*

პაატა – *(თითქოს ხსნა იპოვნა)* ეს რა ჩხრიალებს?

თეა – აბაზანაში ონკანია გაფუჭებული. *(პაატა გავიდა და მალე შემობრუნდა)* ასეა უკაცო ოჯახი, ხელოსანი ვერ დავიჭირეთ.

პაატა – ღამე როგორ გძინავთ? რამე რომ დაეცოს, ხომ წაგლეკათ? *(გავიდა, თეა გაჰყვა).*

თეას ხმა – შენ შეგიძლია? მე მოგეხმარები.

პაატას ხმა – მთავარი ჩამკეტიც მოშლილია. მილი რომ გასკდეს, რასა ფიქრობთ? ტილო აიღე... მე მოვხსნი, შენ ჭავლს დააფარე, ღონივრად,. ხომ არ გეშინია, რომ გაიწუწო? კარი მოხურე, იატაკი არ დასველდეს. *(სიჩუმე)* არ შეგეშინდეს. *(ვიღაცა კარზე ზარს რეკავს. კიდევ ერთბაშად წყლის ჭავლის ხმაური)* ხომ არ გეშინია?

თეას ხმა – არა... რა კარგია! უჰ დამახ...რჩო!

პაატას ხმა – ცოტაც... ცოტაც!.. ხელი უშვი და გარეთ გავარდი! *(კვლავ ზარი. წყლის ხმა ერთბაშად გაძლიერდა, ეტყობა, თეა გარეთ გამოვარდა. ისევ მიჩუმდა ხმაური. შემოდის გაწუწული თეა, იღიმება ნეტარებით და შვებით. ზარი).*

თეა – ახლავე. *(გავიდა, ისევ შემოდის, პირსახოცით თმას და სახეს იმშრალებს. აღებს კარს და სახტად რჩება: შემოდის თინათინი).*

თინათინი – გაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ხმაური შემომესმა. ბანაობდი? *(თეა სკამს არ სთავაზობს, დაბნეულია),* დედა შინ არ არის? *(დაჯდა)* დღეს უკვე ხუთ ბავშვთან ვიყავი. სამწუხაროა, რომ დედა არ დამხვდა.

თეა – საღამოს ცვლაში მუშაობს.

თინათინი – მე შენით კმაყოფილი ვარ, თეა, ბოლოსდაბოლოს შეისმინე ჩემი დარიგება. ახლა მშვიდად ვარ. *(სიტყვა გაუწყდა, რადგან პაატა გამოვიდა, რომელიც პირსახოცით თავს იმშრალებს).*

პაატა – *(სიცილით)* ხომ არ შეგეშინდა? *(და დაინახა თინათინი).*

თინათინი – *(რიგრიგობით შეათვალიერა პაატა და თეა, თავი რამდენიმეჯერ დაიქნია: „ახლა ყველაფერი გასაგებია“... ზარი).* თამამად გაუღეთ კარი, .ახლა უკვე სამნი ვართ.

თეა – *(ანგარიშმიუცემლად აღებს კარს, შემოდის დოდო).*

დოდო – საღამო მშვიდობისა! ამბავი უნდა მოგიყვეთ თავზარდამცემი!.. *(შეხედა თეას, პაატას... და დაინახა თინათინი. სიტყვა გაუწყდა).*

თინათინი – *(დოდოს)* ტყუილად გაქვს იმედი. ჩვენ ახლა ვერაფრით ვეღარ გაგვაკვირვებთ. *(თეას)* მე მზად ვიყავი, შენთვის თავი გამომედო. დედაშენს ერთი უბედურებაც ეყოფოდა... *(ეს ამბავი დოდოსთვის აღმოჩენა იყო)* ხელს აღარ შეგიშლით მეცადინეობაში! (*ირონიულად გადახედა მაგიდას – ჭიქებს, კონიაკს, ხილს, მიდის, კარებთან მოტრიალდა)* ხვალ ორივეს მშობელი მოვიდეს ჩემთან! ჯობია, ერთად ნუ მოვლენ, თქვენ თვითონ შეთანხმდით დროზე. *(გასვლისას შეჩერდა)* წყალი... *(დოდომ ჭიქით მიურბენინა).*

თინათინი – *(დალია. დოდოს შეხედა)* გამიკვირდა, რომ მართლა წყალი მომიტანე. *(გავიდა)*

პაატა და დოდო ქუჩაში მიდიან. საღამო.
ავტომანქანების ხმაური.

დოდო – მაინც რა მოხდა, დირექტორმა რა გითხრათ, არ იტყვი? შენს კოპებს რომ შეხედოს კაცმა, გულზე შემოეყრება. რაზე დაიბარა თქვენი მშობლები? მეშინია, თეამ თავს არაფერი აუტეხოს!

პაატა – მერე, მე რას მომდევ, თეასთან დარჩენილიყავი!

დოდო – ბიჭო, არაფერს მიმხელთ, თეასთან მუდოსავით ხომ არ ვიჯდებოდი, აქ მაინც ქუჩა და ხალხია! მითხარი, რა მოხდა და ახლავე წავალ თეასთან. *(შეაჩერა)* პაატა, გითხრა, წეღან რა უნდა მეთქვა? ოღონდ მერე შენც მითხარი. არ მომატყუო! ჩვენს დირექტორს მოუვიდა წერილი უკრაინის... სოფელი დამავიწყდა, ერთ–ერთი სკოლიდან. ბავშვები სწერენ ჩვენს დირექტორს, იმ სოფელში დაკრძალული ყოფილა ლეიტენანტი გობეჯიშვილი ვახტანგ გიორგის ძე, დაბადებული 1917 წელს... ხვდები? ვაიმე, ვერ ხვდები? ჩვენს დირექტორს ომის შემდეგ უძებნია ამ ლეიტენანტის საფლავი და ახლა იპოვნა. მიხვდი? ჯერ არავისთვის მითქვამს, პირველი შენ გეუბნები. არ მკითხო, საიდან ვიცი... გახსოვს, დირექტორის ჩანთიდან წერილი რომ ამოიღე და დახიე? ის ლეიტენანტი ჰყვარებია ჩვენს დირექტორს!

პაატა – გითხრა, შენ სათვალეს რად ატარებ? რომ არაფერი გამორჩეს, სულშიაც ჩაიხედო! თორემ მხედველობა კარგი გაქვს.

დოდო – ამდენი ხანია გავიდა და კიდევ ჰყვარებია!

პაატა – *(უცებ)* წადი თეასთან! *(გავარდა)*

დოდო – პაატა! *(გაეკიდა. მანქანის დამუხრუჭების ხმა. დოდო უკან გადმოხტა. მერე დაიხარა, ხელები უმწეოდ მოუსვა მიწაზე: სათვალე დავარდნია. ძლივს იპოვნა. გასინჯა, გასტეხია. ადგილზე გაშეშდა და იქით იხედება, საითაც პაატა წავიდა. ქუჩის ხმაური)* სადღა წავიდე ამ ბრმა თვალებით? შუქზე კი ვარჩევ, მაგრამ ჩემს ქუჩაზე... ვეღარც თეასთან წავალ. *(მილიციელის სასტვენის ხმა)* პაატა! კაფესთან რაღაც ჩოჩოქლია, მანქანის ქვეშ ხომ არ ჩავარდა? *(პაატა შემოვარდება – ფერდაკარგული)* პაატა? რა მოხდა?

პაატა – *(ჯერ გონს ვერ მოსულა. თითქმის ჩურჩულით)* წადი, დოდო, წადი!

დოდო – სადღა წავიდე, ბიჭო, სათვალე აღარა მაქვს!

პაატა – მე ვერ გაგაცილებ, დოდო, გულით რომ მინდოდეს, ვერ გაგაცილებ!

დოდო – რა დაგემართა, ბიჭო? აქეთ მოდი, შუქზე!

პაატა – არ მინდოდა, დოდო! თვითონ მაიძულა!

დოდო – იჩხუბე? წამო, გავიქცეთ!

პაატა – წადი თეასთან!

დოდო – მილიციელი შენს დასაჭერად მოდის? დამბლა დაგეცა? გავიქცეთ, ბიჭო!

პაატა – რომელ კლასში ვისწავლეთ? დოდო, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“!

ს წ რ ა ფ ა დ ბ ნ ე ლ დ ე ბ ა
მილიციის სამორიგეო. მორიგე მილიციელი.
შემოდიან ლონგინოზი და გოჩა.

ლონგინოზი – *(გოჩას ხმადაბლა)* შენ მე დამაცადე *(მილიციელს)* გამარჯობა, ამხანაგო უფროსო!

მილიციელი – გაგიმარჯოთ. რა გვარი ბრძანდებით?

ლონგინოზი – მე? ბუაჩიძე. ლონგინოზ ბუაჩიძე.

მილიციელი – *(ჩაიწერა)* მოპასუხე?

ლონგინოზი – რა ბრძანეთ?

მილიციელი – მეორე.

ლონგინოზი – ეს? გოჩა თარხნიშვილი.

მილიციელი - *(წერს)* თარხნიშვილი. რას უჩივით ერთმანეთს?

ლონგინოზი – ბატონო?

მილიციელი – ამხანაგო, კითხვა არ გეყურებათ? რა გაქვთ სადავო?

ლონგინოზი – ჩვენ?

გოჩა – ამხანაგო უფროსო. ჩვენ სხვა საქმეზე მოვედით. გუშინ რომ ბავშვი დააკავეთ, პაატა მაჩაბელი, იმის თაობაზე შეგაწუხეთ.

მილიციელი – ახლავე *(საწერად მოემზადა)* ბრძანეთ.

ლონგინოზი – ბატონო, ჩვენ ისე ბრძნულ აზრებს კი არ გამოვთქვამთ, ყველაფერს რომ იწერთ, მოგვისმინეთ.

მილიციელი – მოწმეთა ჩვენება უსათუოდ უნდა დაფიქსირდეს.

გოჩა – ჩვენ მოწმეები არა ვართ.

ლონგინოზი – დიახ, ჩვენ ბავშვის სანახავად მოვედით.

მილიციელი – *(წამოდგა, კარისკენ მიუთითა)* მიბრძანდით. *(კმაყოფილი ლონგინოზი მყისვე დაემორჩილა. გოჩამ შეაჩერა).*

გოჩა – მოიცა, ეს კაცი გარეთ გვაგდებს.

ლონგინოზი – *(მოტრიალდა)* გვაგდებს?! მე უმიზეზოდ ბავშვი არ გამიგდია გარეთ... ამას უყურეთ! მეგონა, პაატას სანახავად მივყავდით!

მილიციელი – ვიდრე ძიება არ დამთავრდება, ნახვა არ შეიძლება!

ლონგინოზი – ბატონო, ჩვენ დივერსანტები ხომ არ გგონივართ?

მილიციელი – არ ვიცი. კანონს ვერ დავარღვევ. თქვენ კი არა, დედას არ ვაჩვენეთ.

ლონგინოზი – დედა მოვიდა და ბავშვი არ აჩვენეთ?

მილიციელი – წესი ასეთია.

ლონგინოზი – უფროსი სად არის?

მილიციელი – უფროსი ახლა მე ვარ.

ლონგინოზი – ჰოდა, ამხანაგო უფროსო, ეს ახალგაზრდა იმ ბავშვის კლასის ხელმძღვანელია, მე მასწავლებელი ვარ. ორმოცდაათი წელიწადია ვასწავლი. შესაძლოა, თქვენი მთლად უფროსი ჩემი ყოფილი მოსწავლე აღმოჩნდეს. ბავშვი უნდა გვაჩვენოთ. გავესაუბრებით. თუ მართლა დამნაშავეა, ხელს კი არ დავაფარებთ. პირიქით, პასუხს ჩვენც ვაგებთ! ა, ბატონო, ჩვენც დაგვაპატიმრეთ!

მილიციელი – დამნაშავე რომელია, - მაგისი ნაცემი კაცი საავადმყოფოში წევს, ექვსი ნაკერი დაადეს ყბაზე.

გოჩა – ვისა სცემა?

მილიციელი – მოქალაქეს. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე.

გოჩა – რა გვარია ის მოქალაქე?

მილიციელი – *(ქაღალდები გადაქექა)* თაბაგარი, კონსტანტინე თაბაგარი. *(გოჩამ და ლონგინოზმა ერთმანეთს შეხედეს).*

ლონგინოზი – აუცილებლად უნდა ვნახოთ ბავშვი!

მილიციელი – არ შეიძლება! ახლა მიბრძანდით!

ლონგინოზი – *(გოჩას)* დაჯექი! *(თვითონაც დაჯდა)* მთლად უფროსს დაველოდებით! ანგელოზივით ბავშვია, რა უნდა მაგას მილიციაში? გაკვეთილზე მაგის ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდით. გაკვეთილს რომ ჰყვებოდა, ბავშვი წითლდებოდა!

მილიციელი – რას ასწავლით? *(ლონგინოზი „გაბუტულია“).*

გოჩა – ეს პატივცემული ამხანაგი ქიმიას. მე – ქართულს.

მილიციელი – ძალიან გააძნელეს სწავლა. ნეტა ვინ ადგენს პროგრამას! წეღან ჩემმა ცოლმა დამირეკა, მთელი დღე ბავშვთან ერთად ჩაჰკირკიტებს ალგებრის ამოცანას, თავი და ბოლო ვერ გაუგეს.

ლონგინოზი – *(წამოიჭრა)* მეუღლეს დაურეკეთ!

მილიციელი – ამოხსნით?

ლონგინოზი – მიდი! *(მილიციელი ნომერს კრეფს).*

მილიციელი – *(ტელეფონში)* მარუსა, მე ვარ, რა ქენით?.. მოიცა! *(ლონგინოზს მისცა ტელეფონის ყურმილი).*

ლონგინოზი – *(ტელეფონში)* ამოცანა წამიკითხეთ, ქალბატონო მარიამ! რა ბრძანეთ? მე თქვენი მეუღლის მეგობარი გახლავართ... სამსახურში შემოვუარე... არა, კოსტა არა ვარ... აბა, წამიკითხეთ!.. ჰო, დიახ... დიახ... რამდენი კომბაინერი?.. აჰა... ექვსი ათას შვიდასორმოცდათექვსმეტი კილოგრამი ჭარხალი. ჰო, შაქრის ჭარხალი, აჰა... *(გოჩას უმწეოდ გადახედა)* აჰა, ამოცანა გვეკითხება... აჰა, ხუთ წუთში დაგირეკავთ. *(დადო ყურმილი და წელმოწყვეტილი დაჯდა გოჩას გვერდით).*

მილიციელი – არ გამოდის?.. კაცო, რამდენი ბავშვია, სოფელი თვალით არ უნახავს. ამოცანები კი სულ კომბაინებზე და ჭარხლებზეა. ერთი მათემატიკოსი არ დაიჭირეს დღესა რო...

ლონგინოზი – *(უცებ სახე გაუნათდა, ტელეფონს ეცა და ნომერი აკრიფა. მილიციელს)* რომელ კლასშია თქვენი ბავშვი?

მილიციელი – მეცხრეში.

ლონგინოზი – რა ნომერია ამოცანა, მეკითხა მაინც!

მილიციელი – 367.

ლონგინოზი – *(ტელეფონში)* გამარჯობა, დავით. *(მილიციელს)* არ გეშლებათ?

მილიციელი – როგორ მეშლება? სამსახურში წამოსვლამდე მე ვიყვანდი.

ლონგინოზი – *(ტელეფონში)* დავით, მეცხრე კლასის ამოცანა, ნომერი 367. სასწრაფოდ მჭირდება ამოხსნის გზა და პასუხი. მჭირდება, დავით, ჰო, თუ ძმა ხარ... არა, შინიდან არ გირეკავ *(ყურმილი დადო)* ხუთ წუთში პასუხი იქნება *(დაჯდა)* მოწევა შეიძლება? *(მილიციელი სიგარეტს შესთავაზებს).* გმადლობთ, გვაქვს (*გოჩას გამოართვა. მილიციელი გავიდა)* როგორ ფიქრობ, გვაჩვენებს?

გოჩა – ბატონი დავითი თუ გვიშველის!

ლონგინოზი – ცოდვა კი ჩავიდინე, ამის დეგენერატ ბავშვს რომ ვუყვანთ ამოცანას!

მილიციელი – *(შემოვიდა)* მასწავლებლები ხართ, უკან როგორ გაგისტუმროთ. მიბრძანდით. ბავშვი მეზობელ ოთახშია.

ლონგინოზი – *(წამოიჭრა)* გმადლობთ.

მილიციელი – ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა უხეშად დაგხვდით. ზოგი ისეთი შემოეხეტება, ძარღვებს დაგიშლის. თითქოს ამ ფორმის ქვეშ ადამიანი არ იყოს!

პაატა, გოჩა, ლონგინოზი.

გოჩა – თქვი, პაატა, რა მოხდა. იქნებ გიშველოთ, გვჯერა, რომ დამნაშავე არა ხარ. დამნაშავე კი ხარ, მაგრამ ხულიგანი არა ხარ. ასე არ არის ბატონო ლონგინოზ?

ლონგინოზ – თავზე ხელი გადაუსვი, ძალიან გასახელა! ხულიგანი კი არა, მე რომ მკითხო, ათ წელს მივაკრავდი და კამჩატკაზე გავუშვებდი. ასე უნდა, თბილისის ცას რომ ვერ შეიფერებს კაცი! ბიჭო, სად გამიმართე მუშტიკრივი? ძალა თუ გერჩის, ჩაეწერე კრივის სექციაში, მოკრივე მაინც უჭირს რესპუბლიკას!

გოჩა – ბატონო ლონგინოზ, ჯერ გვითხრას, როგორ მოხდა...

ლონგინოზ – კი ბატონო, შენ მოუსმინე. მე მაგისაგან გაკვეთილზეც თავი მქონდა გალაყებული... მე გავალ, დავითს შევეხმიანები *(გავიდა).*

გოჩა – ახლა მითხარი, როგორ მოხდა. ის კაცი სად ნახე?

პაატა – დავიჯერო, დოდომ არ გითხრათ?

გოჩა – ვერ მოახერხა, როგორც კი შეხედავ, ტირის.

პაატა – *(დუმილის შემდეგ)* შემთხვევით დავინახე, ვიღაცასთან იყო.

გოჩა – მიხვედი და გაარტყი!

პაატა – როგორ გავარტყამდი, ქალი ახლდა!

გოჩა – მაშინ იმ კაცს ყბა ვინ გაუხეთქა?

პაატა – ვთხოვე, გამომყოლოდა. ზრდილობიანად ვთხოვე.

გოჩა – არ გამოგყვა?

პაატა – *(თქმა გაუჭირდა)* დამცინა.

გოჩა – და გაარტყი!

პაატა – ჯერ იმან გამარტყა, რომ აღარ მოვეშვი. ნასვამი იყო.

გოჩა – რომ გამოგყოლოდა, რა უნდა გეთქვა?

პაატა – არ ვიცი, მოფიქრებული ხომ არ მქონდა! მერე უცებ გამახსენდა ჭაღის გაწმენდა და ორპირ ქარში კარების დალეწვა.

ლონგინოზი – *(შემოვიდა)* რაო, ანგელოზი ვარო?

პაატა – პატივცემულო ლონგინოზ მასწავლებელო, ანგელოზი არა ვარ. დამნაშავე ვარ. *(სიგარეტის კოლოფი ამოიღო, უკანასკნელი ღერი ამოიღო)* მეპატიება. *(გააბოლა)* მე ხომ თქვენი მოწაფე აღარა ვარ.

ლონგინოზი – *(გოჩას ფული გაუწოდა. ხმადაბლა)* მიეცი ეს სამი მანეთი... იქნებ რამეზე დასჭირდეს.

პაატა – გმადლობთ. აქ უფასოდ გვაჭმევენ.

დირექტორის კაბინეტი. შემოდიან გოჩა და ლონგინოზი.

გოჩა – შეიძლება, პატივცემულო თინათინ?

თინათინი – მობრძანდით *(გოჩამ ქაღალდი წინ დაუდო. თინათინი კითხულობს. გოჩა და ლონგინოზი შეთქმულებივით გადახედავენ ერთმანეთს. თინათინმა გოჩას ქაღალდი უკან დაუბრუნა).*

გოჩა – რა?

თინათინი – ხელს არ მოვაწერ.

გოჩა – რატომ?

თინათინი – ხულიგანს თავდებად ვერ დავუდგები.

გოჩა – ხულიგანი არ არის!

თინათინი – მე მიკვირს თქვენი, ამხანაგო გოჩა, კლასში ამდენი თავსატეხი გაქვთ. რამდენიმე თვე და სიმწიფის ატესტატზე გამოცდები უნდა ჩააბარონ, კლასს მიხედეთ!

გოჩა – პაატა ჩემს კლასშია!

თინათინი – იყო! ახლა ვისთანაც არის, ისინი მიხედავენ.

ლონგინოზი – *(ცდილობს, არ აღელდეს)* პატივცემულო თინათინ, ათი წელია თამბაქოს აღარ ვეწევი. ასთმა მაქვს. *(პაპიროსი გააბოლა)* ეს ორი დღეა, ისევ დავეჩვიე.

თინათინი – მაგის შესახებ გაზეთებში ხშირად წერენ, მეოთხე გვერდზე.

ლონგინოზი – გმადლობთ რჩევისათვის! ახლა ასთმის გამო არ გაწუხებთ, ბავშვს შველა უნდა.

თინათინი – ბატონო ლონგინოზ, ამხანაგი გოჩა ახალგაზრდა მასწავლებელია, გამოცდილება აკლია. თქვენგან მიკვირს ამდენი ხნის პედაგოგი, ცოდნითა და პრაქტიკით დაბრძენებული, მთელი პედპერსონალი რომ ჭკუას გეკითხებათ...

ლონგინოზი – მაპატიეთ, პატივცემულო თინათინ, უნდა შეგაწყვეტინოთ. თუ ასეთი ბრძენი ვარ და ცოდნით თავგამოტენილი, ჩემს აზრსაც გაუწიეთ ანგარიში!

თინათინი – *(მცირე პაუზის შემდეგ)* პაატას მთელს სკოლას ვერ ვანაცვალებ. თქვენ არ იცით კიდევ ბევრი რამ. მე შემეძლო პაატასი და კიდევ ვიღაცის გარიცხვის საკითხი იმ დღესვე დამესვა, მაგრამ გავჩუმდი. სკოლის პრესტიჟს გავუფრთხილდი. თქვენ ეს არ იცით და არც გინდათ, იცოდეთ!

ლონგინოზი – მაშ, რა ვქნათ, ბიჭი დასაღუპად გავიმეტოთ?

თინათინი – ასეთი ძნელი კლასი მე არ მახსოვს. მადლობა ღმერთს, მეათეში არიან, მალე დაამთავრებენ და მოგვშორდებიან!

გოჩა – პატივცემულო თინათინ, ვთქვათ, როგორც ხულიგანი, პაატა, გაასამართლეს და ციხეში ჩასვეს. ამით პაატა რას ისწავლის?

თინათინი – რომ ხულიგნობა კანონით ისჯება.

ლონგინოზი – იცით, ვისა სცემა პაატამ?

თინათინი – მე ის ვიცი, რომ ჩემი სკოლის მოსწავლე ახლა მილიციაში ზის.

ლონგინოზი – თაბაგარის მამას სცემა.

თინათინი – თეას მამას?

ლონგინოზი – დიახ. თეას მამას, რომელმაც მიატოვა თეა და სხვა ქალთან წავიდა.

თინათინი – *(ჩაფიქრდა)* რამდენი კაცი ტოვებს ოჯახს, ამოვარდეს მათი სახსენებელი, და გავაჩინოთ ცემა–ტყეპა! კანონი აღარ არსებობს?

გოჩა – პაატა გამოესარჩლა ამხანაგს, სუსტს, დაჩაგრულს. აბესაძე ასე არ გააკეთებს. და ის ახლა კლასში მიზის!

თინათინი – ასე შორს ნუ წავალთ, ყოველ შემთხვევაში, აბესაძის გამო არ გამაწითლებენ სამინისტროში.

გოჩა – პატივცემულო თინათინ, გინახავთ, ერთ ხულიგანს მთელი ქუჩა რომ აუკლია? ხომ ბევრჯერ ყოფილა, რომ ადამიანებს გვერდით გულგრილად ჩაუვლიათ? რატომ?

თინათინი – მაგ საკითხის გადასაწყვეტად ახლა არ მცალია.

გოჩა – რომ ვერასოდეს ვიცლით, იმიტომ!

ლონგინოზი – ხულიგანიაო, კაცო! ახლა პაატა უნდა მიუსვან გვერდით მართლა ხულიგანს, რომელმაც ავტობუსში ქალს შეურაცხყოფა მიაყენა! არ უნდა განვასხვავოთ?

თინათინი – არიან იურისტები და მაგას ჩვენზე უკეთ განსჯიან.

ლონგინოზი – მაგრამ ჩვენ მასწავლებლები ვართ, ადამიანობის უზენაესი კანონმდებლები!.. ჩვენ ხომ მაგ ქაღალდში არ ჩავწერეთ, პაატა ჯილდოზე წარადგინეთო? დამნაშავეა! მაგრამ მასში ვხედავთ მშვენიერ ადამიანს, რომელიც დასაღუპად არ გვემეტება! *(პაუზა)*

თინათინი – მაშინ ეს სხვაგვარად უნდა დაიწეროს, ნუ გაამართლებთ პაატას. ეს არაპედაგოგიურია. ოღონდ იცოდეთ, თუ რომელიმემ, არათუ კლასში, სკოლის გარეთაც, უბრალო წესრიგი დაარღვია, პასუხს ორივე აგებთ.

გოჩა – კი, ბატონო, პირობას გაძლევთ. მთელი კლასი თავმდებია.

თინათინი – დაწერეთ, რომ პაატა მაჩაბელმა ჩაიდინა ხულიგნობა, რა ვქნათ, ვიხმაროთ ეს სიტყვა, რისთვისაც ღირსია სასჯელის და მთელი სკოლა გმობს მის უღირს საქციელს. მაგრამ გთხოვთ, დაგვიბრუნონ აღსაზრდელად. ვცადოთ ერთხელ კიდევ.

ლონგინოზი – ასე რომ დავტოვოთ უცვლელად, თქვენ ხელს არ მოაწერთ?

თინათინი – გადაწერა გეზარებათ?

ლონგინოზი – გვეძნელება! ჩვენ პაატა ხულიგნად არ მიგვაჩნია და ვერც დავწერთ. აქ გარკვევით წერია: პაატას უყვარს მეგობარი და გაუსწორდა იმ ადამიანს, რომელმაც მძიმე ტრავმა მიაყენა მის საყვარელ არსებას.

თინათინი – *(ქაღალდი გამოართვა)* ეგ ბოლომდე კი არ წამიკითხავს! უყვარსო? თქვენ ფიქრობთ, რა დაგიწერიათ? მთელს ქვეყანას გავაგებინო, რომ ჩემს სკოლაში ბავშვებს სიყვარულობანა გაუმართავთ?

გოჩა – პატივცემულო თინათინ, ხულიგნობა უფრო სამარცხვინო არ არის?

თინათინი – რას ამბობთ, გესმით? ყოველ კონფერენციაზე სამაგალითოდ უნდა ახსენებდნენ, რომ ჩვენს სკოლაში ამას ის უყვარს, სადმე გაგიგონიათ ასეთი სამარცხვინო ფაქტი?

გოჩა – ხულიგნობა?

თინათინი – ხულიგნობის ფაქტები სხვა სკოლებშიც არის. ამით ჩვენ ვერავის გავაკვირვებთ.

ლონგინოზი – პატივცემულო თინათინ, ჩვენ გადავეჩვიეთ, საგნებს თავისი სახელი დავარქვათ.

თინათინი – მაშ დავარქმევთ ნამდვილ სახელებს! *(გოჩას)* თქვენი კლასის საკითხი მოამზადეთ პედსაბჭოზე გასატანად, იქ ვილაპარაკოთ!

გოჩა – სიამოვნებით! მე სიამაყით მოვახსენებ პედსაბჭოს, რომ პაატას თეა უყვარს, რომ კლასში არის მეგობრული კოლექტივი და დიდი გულისტკივილით ვაუწყებ კრებას, რომ მყავს ერთი–ორი მოსწავლე, რომელთაც არავინ უყვართ, გარდა საკუთარი თავისა.

ლონგინოზი – ეს ქადალდი ამ სახით წავა მილიციაში. ხელს კლასის ხელმძღვანელი მოაწერს და მე. მე იმ დროს შევედი პარტიაში, როდესაც ყველაზე ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვის უყვარდა და რატომ უყვარდა! *(გავიდა. გაჰყვა გოჩა).*

განათლების სამინისტროში ერთ–ერთი პასუხისმგებელი პირის კაბინეტი. ლონგინოზი, გოჩა და კაბინეტის პატრონი. სამივე მხიარულ განწყობილებაზეა. ეტყობა, რაღაც სასაცილო ამბავი გაიხსენეს.

ლონგინოზი – ჩემო ერმილე, ახლა საქმეზე, რისთვისაც გეახელით. რაიონულ განყოფილებაშიც ვიყავით და ქალაქისაშიც. ვერ შევთანხმდით. ჰო, ჯერ ეს საკითხი გავარკვიოთ: მე და ეს ახალგაზრდა კაცი ვკამათობდით. ეს ისე, სასხვათაშორისო თემაა. ვთქვათ, შეგიყვარდა ერთი გოგონა.

პასუხიმგებელი პირი: – რაო?

ლონგინოზი – კაცო, სიტყვაზე გეუბნები.

პ/მგ პირი – რაღა დროს ჩემი გოგონაა!

ლონგინოზი – ვთქვათ, ჭაბუკი ხარ.

პ/მგ პირი – *(დაინტერესდა)* მერე?

ლონგინოზი – გიყვარს ეს გოგონა. ამ გოგონას მამა ჰყავს ერთი აჯამი, გულქვა, ლოთი. ყოველდღე სცემს, ყოველდღე ხედავ შენს საყვარელ არსებას მტირალს, დარდიანს, თვალებდალურჯებულს... რას იზამ?

პ/მგ პირი – *(ერთ წამს გაიაზრა)* დავუდარაჯდები ერთ ბნელ კუთხეში და თავს გავუხეოქავ!

ლონგინოზი – ეგ როგორ იქნება!

პ/მგ პირი – არა, ვუხათრებ! *(გაბრაზდა)* ძვალსა და რბილს გავუერთიანებ!

ლონგინოზი – *(ცივად მოუჭრა)* ეგ ხულიგნობა იქნება!

პ/მგ პირი – *(გაანჩხლდა)* რომელი ხულიგნობა, რას ლაპარაკობ? ხულიგნობა ის არის, ყოველდღე უმწეო გოგონა ჯვარს აცვა და ფიზიკურად და სულიერად დაამახინჯო. მე აქ სამართლიანობა აღვადგინე, სუსტსა და დაჩაგრულს გამოვექომაგე, უანგაროდ.

ლონგინოზი – ვითომ უანგაროდ?

პ/მგ პირი – თუნდაც იმიტომ, რომ მიყვარს! რაო, სიყვარული აკრძალულია?

ლონგინოზი – *(დაფიქრდა)* წავაგე, ჩემო გოჩა. ამ კაცს უნდა დავუჯეროთ, არაფერი შეეშლება.

პ/მგ პირი – აბა, რა? ჯერ ლოთობისათვის არსებობს კანონი. ოჯახმა ვერ გაიმეტა, შეეცოდა. დგახარ და სცემ ბავშვს!

ლონგინოზი – მაინც ვეჭვობ, იცი? დავიჯერო, შენი საქციელი ხულიგნობად არ ჩაითვლება?

პ/მგ პირი – ხულიგნობა ჩემო ლონგინოზ, იცი, რა არის? ქუჩაში რომ დგახარ უსაქმოდ, ამვლელ-ჩამვლელს რომ გააბეზრებ, მოხუცს შეურაცხყოფას მიაყენებ...

ლონგინოზი – შენი ჭირიმე, ჩემო ერმილე, შენისთანა სამართლიან კაცს დავეძებდით! ჩვენმა მოსწავლემ ჩაიდინა ის საქმე, შენ რომ სამართლიანი უწოდე. ახლა ის ბავშვი მილიციაში ზის. ჩვენ მისი დახსნა გვინდა. შუამდგომლობა შევადგინეთ, მაგრამ ხელი არავინ მოგვიწერა.

პ/მგ პირი – *(ენთუზიაზმი ჩაუქრა)* რატომ არ მოგიწერეს?

ლონგინოზი – ბავშვი, რა თქმა უნდა დამნაშავეა, მაგრამ მის საქციელში ვხედავთ კეთილ საწყისს და ეს გვინდა გადავარჩინოთ. ვიყოთ გულახდილები, ყველა მოზრდილს ეს გრძნობა არ გაგვაჩნია. ამიტომ შევადგინეთ შუამდგომლობა, რომელშიც ყველაფერს თავისი სახელი დავარქვით. იმ ბავშვს უყვარს გოგონა? იყოს სიყვარული! წედან შენც ბრძანე, სიყვარული აკრძალული არ არისო. გვეუბნებიან, სიყვარული ამოშალეთ, ხულიგნობა ჩაწერეთო!

პ/მგ პირი – არა, იცი, რა, ჩემო ლონგინოზ...

ლონგინოზი – გვესმის, ბავშვმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ხულიგანი არ არის. მის საქციელს ის დავარქვით, რაც ჰქვია. ბავშვმა რატომ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ, უფროსებმა არ ვიცით რას რა ვუწოდოთ?

პ/მგ პირი – იცი, რა... რაღაც უხერხულია... რომელ კლასში სწავლობს?

ლონგინოზი – მეათეში.

პ/მგ პირი – აბა, უყურე! ეგ რომ იყოს ვთქვათ მესამეკლასელი, საგანგაშო არც იქნება. ხომ იცი, მაგ დროს სერიოზული არაფერია და კიდეც რომ გახმიანდეს, ხალხს სიცილად არ ეყოფა. მეათეკლასელი კი უკვე აღარ ხუმრობს. ის გოგოც მოსწავლეა?

ლონგინოზი – ერთად სწავლობენ.

პ/მგ პირი – ჰოდა, დამიჯერე, რად გინდა, აუტკივარ თავს რომ იტკიებ? თქვენი დირექტორი გამოცდილი პედაგოგია და იცის... ბოლოსდაბოლოს რა გენაღვლებათ, თუ ბავშვის დახსნა გინდათ, ჩაწერეთ ხულიგნობა!

ლონგინოზი – ეგ როგორიღა დახსნა იქნება? ვის რაში უნდა რწმენაშერყეული ახალგაზრდა, რომელიც მერე ჩვენხელა მოიყრება და გულგრილად ჩაუვლის უმსგავსობას! ჩვენ ბავშვებს ვასწავლით ერთგულებას, კეთილშობილებას, ქალის პატივისცემას... ახლა იმავე ბავშვებს უნდა ვუთხრათ, რომ პაატა პირწავარდნილი ხულიგანია!.. ეს როგორ არ გესმის, როგორ არ გესმის!..

პ/მგ პირი – აბა, რა ვქნათ? *(წიგნი გადაშალა)* ა, ბატონო, 228–ე სტატიის მეორე ნაწილი. თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე.

ლონგინოზი - არა და როგორ გავიმეორო ის ბიჭი საციხედ?

თინათინის კაბინეტში ნაცემი, დასჯილი ბავშვებივით შედიან ლონგინოზი და გოჩა. ლონგინოზი კარებში გაჩერდა. გოჩამ თინათინს ქაღალდი წინ დაუდო.

თინათინი – *(წაიკითხა, მერე მათ ახედა და გაულიმა)* დარწმუნდით ჩემს სიმართლეში? *(ხელი მოაწერა)* ახლა ბავშვთა ოთახის ინსპექტორს მიუტანეთ ეს შუამდგომლობა და ის მისცემს მსვლელობას. ოღონდ თქვენ, ამხანაგო გოჩა, კლასი შეამზადეთ. ეს სასამართლო სამაგალითო უნდა იყოს მთელი სკოლისათვის! ასე არა სჯობს?.. კრილოვის არაკივით ყველამ ცალ–ცალკე თუ გავიწიეთ...

ლონგინოზი – მართალია, პატივცემულო თინათინ. ასე ხელიხელჩაკიდებულმა სკოლამ, ოჯახმა, საზოგადოებამ უნდა ვამახინჯოთ ადამიანი!

ამხანაგური სასამართლო სკოლის სააქტო დარბაზში. სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდა და ტრიბუნა ისე დგას, როგორც ჩვეულებრივი სხდომების დროს: მაყურებელიც დამსწრეა სასამართლოსი. ამიტომ მეათე მესამე კლასელები მაყურებელთა დარბაზში სხედან. სცენაზე, მაგიდასთან, კი არიან: თინათინი, ლონგინოზი, გოჩა, ბავშვთა სახლის ინსპექტორი, მარიამი და გურამ აბესაძე. მთელი სხდომის განმავლობაში მარიამს წინ რვეულები უდევს და ასწორებს. ტრიბუნაზეა დოდო. ჩვენ მისი სიტყვის დასაწყისს ვერ მივუსწარით. ახლა უკვე გულამომჯდარია.

დოდო – ჩვენ ვგმობთ პაატა მაჩაბელის უღირს საქციელს და ვთხოვთ, ვშუამდგომლობთ მილიციის...

თინათინი – *(მიაშველა)* ბავშვთა სახლის...

დოდო – ბავშვთა სახლის წინაშე, დაგვიბრუნონ პაატა გამოსასწორებლად! პირობას ვდებთ, აღარ ჩაიდენს იგი დანაშაულს... პაატა ჩვენთვის... *(ვეღარ შეძლო და დარბაზში ჩამოვიდა).*

თინათინი – ვის სურს სიტყვაში გამოსვლა? *(ვიღაცამ ხელი აწია),* სიტყვა ეძლევა მეათე მესამე კლასის მოსწავლეს ბონდო შარაბიძეს.

ბონდო – *(დადგა ტრიბუნასთან)* ამხანაგებო! მე მიჭირს სიტყვა ამ ტრიბუნიდან. მიჭირს იმიტომ, რომ საქმე ჩემს მეგობარს შეეხება. არ მინდა დავიჯერო, რომ პაატამ ხულიგნობა ჩაიდინა. ეს ჩემს შეგნებაში არ თავსდება. პაატა ჩვენთვის ყოველთვის იყო მაგალითი ვაჟკაცობის, პირდაპირობის, კეთილშობილების... *(ტაში)*

თინათინი – *(ადგა, დარბაზს მკაცრად)* აქ კონცერტზე არა ხართ! *(ბონდოს)* საქმეზე ილაპარაკე!

ბონდო – დოდომ ვეღარ დაამთავრა თავისი სათქმელი, თორემ იტყოდა იმას, რაც დაუბარა პაატამ დაჭერის წინ.

დოდო – *(წამოდგა, თითქმის ტირილით)* შინმოუსვლელთა ხეივანი მოაწყეთო!

ბონდო – დიახ! ადამიანი, რომლის დასაკავებლად მოდიან, არ გარბის დასამალავად და მეგობრებს უტოვებს ასეთ თხოვნას. მე, მაგალითად, ამისათვის იმ დროს არ მეცლებოდა. ან გავიქცეოდი, ან „ვაიმე დედას“ დავიყვირებდი. და დღეს სკოლის ეზოში კაცი აუღელვებლად რომ ვერ გაივლის, ეს პაატას დამსახურებაა და არა ვინმე კომკავშირული ხელმძღვანელის.

თინათინი – შარაბიძე, საქმეზე ილაპარაკე!

ბონდო – მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე, კომკავშირმა გამზარდა, კომკავშირი გაზრდის ჩემს შემდგომ თაობებს და საწყენია, რომ ზოგჯერ სახელს უტეხავს ის, ვინც მოწოდებულია მისი სიწმინდის დასაცავად.

თინათინი – აბესაძემდე ბევრი გვყავდა კომკავშირული ხელმძღვანელი, მაგრამ შინმოუსვლელთა ხეივანი დღემდე არავის მოჰფიქრებია.

ბონდო – ეს უბრალო დამთხვევაა. შეიძლება ახლა აქ თოფი ვისროლო და იქ ისრაელის თვითმფრინავი ჩამოვარდეს. არ მეკუთვნის არაბეთის ორდენი!

თინათინი – *(ადგა)* აქ თქვენი ამხანაგის ბედი წყდება და მეტი სერიოზულობა გმართებთ.

ბონდო – კი, ბატონო! ომი დიდი ტრაგედია იყო. საერთო–სახალხო უბედურება. ჩვენი სკოლის ბევრი მასწავლებელი ომიდან ვერ დაბრუნდა. ჩვენს შორის ერთსაც ვერ მონახავთ, ვისაც ახლობელი არ დაჰღუპვოდეს, ბიძა, პაპა, მამა, მეუღლე... ზოგსაც მეგობარი... ბევრი დღესაც დაეძებს იმათ საფლავებს! ჰოდა, ერთ დღეს პაატამ შეგვკრიბა და ფუნქციები გაგვინაწილა. ფიზიკურად ვერ მოასწრო პაატამ, მაგრამ ჩვენ მის მაგივრადაც ვმუშაობდით. ეს, რაც შეეხება შინმოუსვლელთა ხეივანს, ახლა მთავარი: მე არა მჯერა, რომ პაატა ხულიგანია, მაგრამ რაკი უფროსები გვეუბნებიან, ხულიგანიაო, უნდა დავიჯერო. თუ პაატასათვის უკეთესია, რომ ჩავთვალოთ ხულიგნად და მერე აღვზარდოთ მილიციის გარეშე, იყოს ასე. ძალიან გთხოვთ, კლასისა და სკოლის სახელით, დაგვითმოთ პაატა. ისე მოვიქცევით, როგორც გვირჩევთ *(დარბაზს დაუბრუნდა).*

თინათინი – *(წამოდგა)* რას გვეტყვის კომკავშირის კომიტეტი?

გურამი – *(ტრიბუნასთან დადგა)* მაპატიეთ, რომ კომკავშირის კომიტეტის სახელით ვლაპარაკობ, მე მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც ამირჩიეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვალდებული ვარ ამ მაღალი ტრიბუნიდან მოგმართოთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო აღმზრდელებო, ჩემო მეგობრებო! ჩემს წინ გამოსული ორატორი თითქმის ტიროდა, დიახ, სატირალია,

ამხანაგებო, რომ ჩვენს შორის ჩვენი კოლექტივის წევრი ახლა საბრალდებო სკამზე ზის! ჩაიდინა რა ხულიგნური საქციელი, ამით მან... *(შეფერხდა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და თვალი გააპარა)* ჩაიდინა რა ხულიგნური საქციელი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, ამით მან ჩირქი მოსცხო მშობლიურ სკოლას, ჩვენს აღმზრდელ მასწავლებლებს. მეგობრებო, მერწმუნეთ, რომ პაატა თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს! მაგრამ საქმე მოითხოვს ვიყოთ პირუთვნელები. როგორ მოხდა, რომ ჩვენს შორის აღმოჩნდა დამნაშავე? როგორ მოხდა, რომ კომკავშირელი ახალგაზრდა, იმ დროს, როდესაც მისი თანატოლები სასახელო საქმეებს ჩადიან, მილიციაში ზის? მე აქ პირდაპირ, თვითკრიტიკულად მინდა განვაცხადო, რომ ამ ტრაგედიაში კომკავშირის კომიტეტს მიუძღვის ბრალი. ამ ტრიბუნიდან პირობას ვდებთ, საზეიმო ფიცს ჩვენი აღმზრდელი პედაგოგების წინაშე, რომ მომავალში მსგავსი დანაშაული აღარ განმეორდება! ვთხოვთ ხელმძღვანელობას, უფროს ამხანაგებს, გადმოგვცენ პაატა მაჩაბელი აღსაზრდელად და ძალღონეს არ დავზოგავთ მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის, ვიქნებით ჩვენი საზოგადოებისათვის ღირსეული წევრები!

თინათინი – კიდევ ვის აქვს სიტყვა? *(ვიღაცამ ხელი აწია)* სიტყვა ეძლევა მეათე კლასის მოსწავლეს გოდერძი მორჩილაძეს. *(არქიმედი ავიდა ტრიბუნასთან და თან აიტანა თავისი მაგნიტოფონი).*

არქიმედი – *(ნაძალადევი ღიმილით)* ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე, ტრიბუნიდან ლაპარაკში გაწაფული არა ვარ და ჩემი სიტყვა ფირზე ჩავიწერე. თუ ნებას მომცემთ, ასე მოგახსენებთ ჩემს სათქმელს *(ხმები: „იყოს“, „მოვუსმინოთ“).*

თინათინი – ბრძანეთ. ოღონდ საქმეზე.

არქიმედი – ახლა რაღას გამოვასწორებ, უკვე ჩაწერილია.

თინათინი – გისმენთ *(არქიმედმა ჩართო მაგნიტოფონი და...)*

ბონდოს ხმა – მასწ. ერთიანი? ამდენი ვიშრომე და ერთიანი მეკუთვნის?

ლონგინოზის ხმა – ნამდვილად არ გეკუთვნის, მაგრამ სამწუხაროდ უფრო დაბალი ნიშანი არ არსებობს *(არქიმედი გულწრფელად დაიბნა და ფირი გადაახვია).*

არქიმედი – მაპატიეთ, ახლავე *(ჩართო).*

გურამის ხმა – ყოჩაღ, პაატა! ვაუკაცი ხარ. ჩემი სათქმელი თქვი, ის იყო, მე ვაპირებდი. არ დაგვლანძღა ყველა? ყოველ გაკვეთილზე ჭკუის სწავლება გაგონილა? მაგრამ შენც რა თავს იკლავ, ერთ ყურში შეუშვი, მეორედან გაუშვი!

არქიმედი – *(მაგნიტოფონი გამორთო)* მაპატიეთ, ჩემი სიტყვა შინ დამრჩენია! *(სწრაფად აიღო მაგნიტოფონი და დარბაზში ჩამოვიდა, ტაში).*

თინათინი – *(სწრაფად წამოდგა)* სიწყნარე! *(არქიმედს)* შენ ასე მაიმუნობაში უნდა ატარო დრო?

არქიმედი – რას ვიზამთ, პატივცემულო დირექტორო, ჯერ მოსწავლე ვარ, შრომას რომ დავიწყებ, მაშინ გადავიქცევი ადამიანად.

თინათინი – სიტყვა ეძლევა ბავშვთა ოთახის ინსპექტორს, ამხანაგ ვალერიან რაზმაძეს.

ინსპექტორი – *(დადგა ტრიბუნასთან, საქაღალდე წინ დაიდო, მაგრამ არ გაუშლია)* ბავშვებო! პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას. თქვენს განკარგულებაშია უამრავი სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, ლექცია–საუბრები. ჩვენ გვყავს შესანიშნავი ახალგაზრდობა, რომელიც უფროსი თაობის ღირსეული ცვლაა და მუშაობენ ჩვენი მშენებლობის სხვადასხვა მოწინავე უბნებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, აქა–იქ გვხვდებიან ხორცმეტები, რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას. ამის ერთი სამწუხარო მაგალითის მოწმენი ჩვენ ახლა ვართ.

ლონგინოზი – *(გოჩამ ვეღარ დააკავა)* ამხანაგო, რას ამბობთ, გესმით? ბავშვს ვღუპავთ! ჩვენს ბავშვს ვღუპავთ!

თინათინი – ბატონო ლონგინოზ, სირცხვილია, ბავშვები გვესწრებიან.

ლონგინოზი – მით უმეტეს, რომ ბავშვები გვესწრებიან!

ინსპექტორი – *(შემრიგებლური ტონით)* პატივცემულო ამხანაგო, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ასეა საჭირო?

ლონგინოზი – სცენაზე კი ვართ, მაგრამ ვის სჭირდება ასეთი სპექტაკლი? *(გოჩამ, როგორც იქნა, დასვა ლონგინოზი).*

ინსპექტორი – *(ვითომც არაფერი მომხდარა, განაგრძო)* მილიციის განყოფილებამ, ბავშვთა ოთახმა, განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექციამ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, გადმოგცეთ კოლექტივს პაატა მაჩაბელი აღსაზრდელად. ამის გარანტიაა ჩემ წინ გამოსული ამხანაგების სიტყვები, რომლებმაც ერთსულოვნად დაგმეს მისი უღირსი საქციელი. ბავშვთა ოთახი ყურადღებას არ მოაკლებს თქვენს ამხანაგს, რათა ჩადგეს იგი მოწინავე ახალგაზრდების რიგებში *(დაჯდა).*

თინათინი – მაჩაბელი რაღას იტყვის? თქვი, ამხანაგებს მოახსენე, დღეის შემდეგ როგორ მოიქცევი. *(პაატა სცენაზე ავიდა)* თვლი თუ არა თავს დამნაშავედ?

პაატა – *(თავდახრილი, თითქმის ჩურჩულით)* ვთვლი.

თინათინი – (გული მიეცა) აი, შენი ამხანაგები, მასწავლებლები. დადე პირობა, რომ მოიქცევი ისე, როგორც მოსწავლეს შეფერება.

პაატა – *(ისევ იმ პოზაში)* პირობას ვდებ.

თინათინი – სთხოვე პატიება შენს ამხანაგებს.

პაატა – მაპატიეთ.

ლონგინოზი – *(წამოიჭრა)* პაატა შენ მაგას გულით ამბობ?

პაატა – *(არ შეუხედავს)* გულით ვამბობ, პატივცემულო მასწავლებელო!

ლონგინოზი – მიპასუხე! გოჩა მასწავლებელს თვალებში შეხედე!

თინათინი – პატივცემულო ლონგინოზ, ბავშვს ათქმევინეთ ბოლომდე!

ლონგინოზი – მეც მათქმევინეთ! მე ახლა მკვლელობას ვესწრები, ადამიანის მკვლელობას და თანამოაზრედ ვერ გაგიხდებით! ეს პაატაა? არა! მე ის მიყვარდა, ეს - მეცოდება! ასეთ ხალხს ბეჩავს უწოდებენ, მას უღელსაც ადვილად დაადგამ! ჩვენ ახალგაზრდობა გვინდა ამაყი და თავისუფალი!

თინათინი – აბა, ახლა რა გამოვიდა? ბავშვის შველა შეგვიძლია და ვღუპავთ!

ლონგინოზი – ეგ ცოდვა ჩემს ბებერ მხრებზე იყოს! ჩაწერეთ ოქმში, რომ პაატა მაჩაბელმა არ აღიარა დანაშაული და თავი ხულიგნად არ მიაჩნია!

ინსპექტორი – *(ადგა და მივიდა პაატასთან)* მაშინ მე ვალდებული ვარ, მილიციას დავუბრუნო ბავშვი.

ლონგინოზი – დაე, სახალხო სასამართლომ იმსჯელოს მასზე მთელი სიმკაცრით!

თინათინი – საკითხის გამწვავება არც ბავშვს არგებს და არც სკოლას.

ლონგინოზი – ჩვენ მარტო განათლების განყოფილებას არ ვაბარებთ ანგარიშს, პატივცემულო თინათინ! ჩვენ გვყავს სხვა, უფრო უზენაესი განმკითხავი! *(ინსპექტორს მიჰყავს პაატა).*

პაატა – *(ინსპექტორს)* თუ შეიძლება, ერთ წუთს *(წინ წამოდგა. არავის უყურებს)* ბავშვი ფეხს რომ იდგამს, ბორძიკობს, იქცევა. ეს არავის უკვირს. გასაკვირი ის იქნება, დაბადებისთანავე მხედრული ნაბიჯებით გაიაროს. მადლობა ყველას, ვისაც არ უკვირდა ჩვენი წაბორძიკება და რწმენას არ კარგავს, რომ ოდესმე დამოუკიდებლად გავივლით! ნახვამდის. *(მიდის ინსპექტორისაკენ. გურამი წამოეწია).*

გურამი – შენ, არ გეწყინოს, ასე იყო საჭირო. ჩემს ადგილას შენც ასე მოიქცეოდი.

სკოლის დირექტორის კაბინეტი. თინათინი თავის მაგიდასთან. სწრაფი ნაბიჯით შემოდის ლონგინოზი და ქაღალდს წინ უდებს.

თინათინი – *(ხაზგასმული ზრდილობით)* დაბრძანდით, ბატონო ლონგინოზ!

ლონგინოზი – *(ცივად)* დასაბრძანებლად არ მცალია!

თინათინი – *(ქაღალდს დახედა, დაინტერესდა, ახლოს დაიდო და კითხვა დაიწყო. მერე გაკვირვებით შეხედა ლონგინოზს)* მაინც გადაწყვიტეთ! გგონიათ, სხვა სკოლაში ვარდებს დაგიფენენ?

ლონგინოზი – არა მგონია.

თინათინი – ან იქნებ სხვა სკოლაში მერხებს ანგელოზები უსხედან?

ლონგინოზი – ყველა სკოლის მერხებზე ანგელოზები სხედან... ყოველ შემთხვევაში, ნოლიდან პირველ კლასამდე.

თინათინი – მე დამღალა თქვენთან გაუთავებელმა კამათმა!

ლონგინოზი – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, პატივცემულო თინათინ!

თინათინი – კეთილი *(განცხადებას რეზოლუცია წააწერა. გაუწოდა)* გზას გილოცავთ. მაინც რომელ სკოლაში გადადიხართ?

ლონგინოზი – სამწუხაროდ, არცერთ სკოლაში!

თინათინი – ეს როგორ გავიგოთ?

ლონგინოზი – სრულიად უბრალოდ. პირდაპირ.

თინათინი – *(გაოცებით)* მასწავლებლობას თავს ანებებთ?

ლონგინოზი – თქვენ რომ ჩემთვის ახლობელი ბრძანდებოდეთ, გეტყოდით, რა ფასად დამიჯდა ეს გადაწყვეტილება. *(განცხადება აჩვენა)* აი, ეს ერთი ფურცელი, ვიდრე თქვენს ხელში აღმოჩნდებოდა, ათჯერ დავწერე და დავხიე. მიხვდებით, გრამატიკული შეცდომების გამო არ ვანადგურებდი ქაღალდს.

თინათინი – მძიმეა ჩვენი სამსახური. რკინის ნერვები უნდა, ჯანმრთელობა. მე მესმის თქვენი.

ლონგინოზი – თქვენ არ გესმით ჩემი. სამოცი წლისა ვარ და წნევის გასაზომი აპარატი არ ვიცი, როგორია. განა გულს არ შევუწუხებივარ? მაგრამ საამისო დრო არ მქონდა. სანგარში მყოფი მებრძოლი თავის ჯანმრთელობაზე არ ფიქრობს! ჩვენც ფრონტზე ვართ, ერთ-ერთ ყველაზე მეწინავე ფრონტზე, სადაც ჩემი ხალხის ბედი წყდება. მე არ ვაჭარბებ1

თინათინი – მე მესმის, მოზარდი თაობის აღზრდა ჩვენი ცხოვრების გადამწყვეტი უბანია. მერე, თქვენ ვინ არ გაფასებთ? მთელი პედკოლექტივი, ბავშვებს ნუღარ იტყვით! თქვენ რომ დაიჩურჩულოთ, ყველა ბავშვი მტკვარში გადავარდება, ჩხუბიც კი მოუვათ, პირველად ვინ გადახტება! ვისზე ხართ გულნატკენი? ახლა ხელფასიც მოგვემატა.

ლონგინოზი – ახალგაზრდობაში არასოდეს მიფიქრია პენსიაზე. იმიტომ კი არა, რომ ჯანი მომდევდა. ჯარისკაცი პოსტზე უნდა დარჩეს. სიკვდილამდე!

თინათინი – მაშ, მე არ ვიცი რამ გაიძულათ პენსიაზე გასვლა! ჩვენს პროფესიას დიდ სიძნელესთან ერთად დიდი სიხარულიც თან სდევს. სიხარული კი არა, ბედნიერება. თქვენ რომ ახლა მოგზაურის გუდა-ნაბადი აიკრათ და მთელი ჩვენი ქვეყანა მოიაროთ, ცის ქვეშ არ დარჩებით. ყველგან თქვენი აღზრდილი დაგხვდებათ. მერე რა აღზრდილები! რა პროფესიისა გინდა! გურამ აბესაძის სტატია წაიკითხეთ გაზეთში?

ლონგინოზი – რა გვარი ბრძანეთ?

თინათინი – გურამ აბესაძე.

ლონგინოზი – აი, სწორედ მაგის გაზრდისთვის ვანებებ თავს მასწავლებლობას!

თინათინი – ოო, ეგ ყმაწვილი თქვენ თავიდანვე აითვალწუნეთ. გამოტყდით, რომ ჩვენ ზოგჯერ ბავშვებს სუბიექტური არშინით ვზომავთ.

ლონგინოზი – ბოდიში! თქვენი არ ვიცი, მე ჩემმა მასწავლებლებმა სხვა არშინი ჩამაბარეს. მას სულ სხვა სახელი ჰქვია. *(მიდის)*

თინათინი – მოითმინეთ! თქვენ აკი ფრონტზე ხართ? პოსტს რომ ტოვებთ, ეს ხომ ღალატია?

ლონგინოზი – *(მობრუნდა)* ღალატია! მაგრამ თოფი მინდა, ნამდვილი თოფი! თქვენ ის წამართვით და ხელში სათამაშო თოფი მომაჩეჩეთ. ესეც ღალატია!

დასასრული

1975 წ.

ორშაბათი მძიმე დღეა

მოქმედი პირები

1. ნაპო – ელენეს ქმარი, 55 წლის
2. ელენე – ნაპოს ცოლი, 87 კილო
3. ლატავრა – ელენეს მეგობარი, ნაპოს მტერი
4. ნატა – ელენესა და ნაპოს შვილი
5. გოგი – ელენესა და ნაპოს შვილი

და კიდევ ერთი მამაკაცი, რომელიც ისე სწრაფად მოვარდა და გავარდა, სახელიც ვერ ვკითხე

მოქმედების დრო – გასული კვირის ორშაბათი
მოქმედების ადგილი – თბილისის ერთ-ერთი საცხოვრებელი მასივი

პირველი მოქმედება

სასტუმრო ოთახი, ავეჯით გატენილი, უგემოვნოდ მოწყობილი. ისმის ფრანგული სიმღერა: ან მირეი მატიე მღერის, ან შარლ აზნავური. ელენეს გაუღია ტანსაცმლის კარადა და რაღაცებს ათვალიერებს, ტანზე იზომავს, ალბათ, კაბებს. ზარი შემოსასვლელ კარზე. ელენემ კარადა მიხურა და კარი გააღო. შემოდის ლატავრა. ენერგიული და ტემპერამენტიანი ქალი ჩანს.

ლატავრა – *(კარიდანვე იყვირა)* ჰელენ! *(ისე აკოცა, თითქოს უკანასკნელად ორმოცდახუთი წლის წინათ ნახა. არადა, თვითონ ამდენივე წლისაა)* ვიფიქრე, ერთ წუთს შევირბენ-მეთქი: *(ხმა რადიოდან თუ ტელევიზორიდან: „ახლა გადმოგცემთ ნარკვევს – „დაწინაურდა კომკავშირელი მწველავი“. სხვა ხმა: „სოციალისტური შეჯიბრების საქმიანად და შინაარსიანად დანერგვის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ლენინგორის რაიონის დადიანეთის მეცხოველეობის ფერმის...“)* გამორთე, ქალო, მაგის ტყუილების მოსმენა მოგენატრა?

ელენე – *(გამოსართავი გამორთო)* ფრანგულ სიმღერებს გადმოსცემდნენ!

ლატავრა – არ გადამრიო! გაიგეს, რომ ჩამოხვედი? *(ჩანთა დადო)*

ელენე – ასე მეგონა, ისევ იქა ვარ!

ლატავრა – *(კითხვები დააყარა)* როდის ჩამოხვედი? რა კარგად გამოიყურები? ეს იქ იყიდე? *(ყელსაბამზე მიუთითა)* რა დონეა! კმაყოფილი ხარ? ფრანგული არ ისწავლე? მართლა ყარს დამპალი კაპიტალიზმი, მადმუაზელ ჰელენ?

ელენე – მადამ ჰელენ, ასე მომმართავდნენ პარიზში. მადმუაზელი გასათხოვარია.

ლატავრა – მერე, შენ რა გეტყობა მადამობისა? *(ელენემ გაიხარა)* მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე, გულმა აქეთ გამომწია, ვიფიქრე, ჩამოვიდოდა-მეთქი! როდის ჩამოხვედი?

ელენე – სული მოითქვი, ჩამოჯექი.

ლატავრა – ისე მოვიჩქაროდი, ლიფტში თითი მერვე სართულს დავაჭირე! მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე, დედამთილი მიწევს ამ საავადმყოფოში. ის ამათ საჭმელებს არ მიირთმევს, ხომ იცი, როგორა მყავს განებივრებული! ბრმანაწლავი გახეთქია. გენაცვალე, მე გული გამიხეთქა, თვითონ კი წევს ფაშასავით!

ელენე – გადარჩა?

ლატავრა – ყველაფერს ბედი უნდა, გენაცვალე! ბულიონს ვაკეთებ ახლა შილაფლავის მაგიერ! იმისი ბრმანაწლავი რას მიშავებდა, ენა უნდა ამოეჭრათ, ის უნდა გახეთქოდა! დეიდაშვილი აღმოაჩინა ქირურგი და გეუბნები, ბრმანაწლავი განგებ გაიხეთქა, ნამდვილად! შენ ხომ იცი, ოჯახში თითს არ ვანძრევინებ და ბრმანაწლავი რამ გაუხეთქა? იმ

დღეს თავს იწონებდა, ჩემი ალალი დეიდაშვილი განთქმული ქირურგი ყოფილა და ამ ახალ საავადმყოფოში დაუნიშნავთო. გულმა კი მიგრძნო, რომ რაღაცას მოიფიქრებდა. ისეა დაჩვეული მუქთას, ჯალათი რომ ნაცნობი აღმოაჩინოს, დანაშაულს ჩაიდენს და სახრჩობელაზე ავა! როდის ჩამოხვედი, ჰელენ?

ელენე – გუშინწინ.

ლატავრა – არ გადამრიო! კმაყოფილი ხარ?

ელენე – დარეხვილი!

ლატავრა – არ გადამრიო! მომიყევი, რა, მომიყევი?

ელენე – გოგო, ასე ზეზეულა როგორ მოგიყვე, ორი კვირა ვიყავი და ორი საათი მაინც არ უნდა მომისმინო?

ლატავრა – მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე, ცივ ბულიონს ხომ არ ვაკადრებ დედამთილს! აქეთობას გამოვივლი და კაპიტალურად მაშინ ვილაპარაკოთ. ახლა ასე, ექსპრომტად მითხარი, რა ნახე?

ელენე – პარიზი ვნახე!

ლატავრა – არ გადამრიო!

ელენე – აბა, საფრანგეთში ვიყავი და პარიზს არ გვაჩვენებდნენ?

ლატავრა – დედა, ეიფელის კოშკი!

ელენე – კი. იტყვი, რა ხელმა ააგო! მოსკოვში, გუმში რომ აუზია, რომ არ დაიკარგო, ისეა იქ ეიფელის კოშკი. ყველა მხრიდან ჩანს.

ლატავრა – რა დონეა! ჩვენთან რატომ არ უნდა იყოს ასეთი კოშკი? ჩვენს მეზობლად საკვამლე მილი რის ვაივაგლახით ააყუდეს და მშენებლებმა ძლივს გაასწრეს, გადმოწვა! დედა, რა გასაგიჟებელი ყელსაბამია! კიდევ რა ნახე, მომიყევი! თუმცა, ეგ მერე, აქეთობას რომ შემოვივლი, ახლა ერთი წუთით შემოვირბინე. რა იყიდე, ჯერ ის მაჩვენე! დაწვრილებით მერე. *(ელენემ ტახტისკენ გაახედა, სადაც უამრავი სამოსი და ნივთია)* აუჰ, დედა, შეგიმოსავს ქმარი!

ელენე – არა, ეგ ჩემი შარვლებია. ფრანგ ქალებს სულ შარვლები და შორტები აცვიათ. მე ახლა შორტებით ვერ გავივლი რუსთაველზე, იქ ევროპაა, გენაცვალე! ნაპოს სამუშაო თეთრი ხალათი და ცხვირსახოცები ჩამოვუტანე. ისეთი ცხვირსახოცებია, ჯიბეში არ ჩანს. სანამ ცხვირთან მიიტან, ხელში ქრება!

ლატავრა – რა დონეა! ჩვენთან რატომ არ უნდა იყოს ასეთი ცხვირსახოცები? ნესტოზე ვერ მოისვამ, ცხვირს გადაგატყავებს, შკურკასავითაა! კიდევ რა ნახე... რა იყიდე?

ელენე – *(ტახტისკენ წაუძღვა)* ნახე, ჯერ კი არ დამიბინავებია. მეზობელი შემოდის, მეგობარი... ყველას აინტერესებს.

ლატავრა – *(აღტაცებული)* დედა, რა კარგად მოგივლია საფრანგეთი! *(უცებ ერთს ეცა, თავზე შემოიხვია, ჩაცუცქდა და სარკისკენ გაიხედა. ელენემ სწრაფად მოაცალა თავიდან)*

ელენე – გოგო, ეს ორშაბათი-სამშაბათია!

ლატავრა – რაის ორშაბათი?

ელენე – ეს კომპლექტია, მთელი კვირის, ყოველდღე უნდა იცვალო!

ლატავრა – ეს ის არის? რა დონეა! შენს ქმარს კალენდარი აღარ დასჭირდება! *(უცებ გაიცინა)* გოგო, ვინ დადის იქითა ოთახში?

ელენე – მეზობელთანაა. ქმარი მოუვიდა სამსახურიდან.

ლატავრა – მერე, ასე ისმის?

ელენე – ორი დღის გადმოსულები ვიყავით გოგო, და გვესმის, ქალი კივის, მიშველეთო! მთვრალი კაცი ღრიალებდა და ცოლს, ეტყობა, ხერხავდა! ჩემ ბიჭს მეტი კი არ უნდა, ასეთ დროს შუაგულ ჩხუბში უნდა მოექცეს! ხმა ამათგან გამოდიოდა. გავარდა ჩემი ბიჭი და მეც გავყევი. ეს მეზობლები კი ჩვენკენ მორბიან, რა დაგემართათ, ერთმანეთს რაზე ხოცავთო! გარეთ ვართ და წიოკობა ახლა ჩემი ბინიდან გამოდიოდა, მაგრამ ვის უნდა ეწივლა, მე გარეთ ვიყავი! დღესაც არ ვიცით, რომელი სართულიდან, რომელი ბინიდან ისმოდა, ან რომელი სადარბაზოდან. საკმარისია, ერთ ოჯახში ჩართონ ტელევიზორი, რომ მთელმა სახლმა მოუსმინოს „მოამბეს“. აკუსტიკაა!

ლატავრა – რა გაუჭირდა შენ ქმარს ისეთი, რომ ამ მასივში გადმოგაგდო?

ელენე – ეგა თქვი, გოგო! რამდენი მიყრუებული სოფლიდან ჩამოვიდა და აქ, ვაკეში, გამომეჭიმა! მე კი...

ლატავრა – პარიზში ნამყოფი!

ელენე – ეგეც რომ არ იყოს, მთაწმინდაზე დავიბადე, ზემელზე გავიზარდე და აქ, ამ მასივში, უნდა მოვკვდე?

ლატავრა – პარიზში თუა მასივები?

ელენე – იქ მასივებს რა უნდა? ბულიონის ტყეა, ჭკუას დაკარგავ!

ლატავრა – რა დონეა!

ელენე – ნაპოს შემოსავალი რომ არ ჰქონდეს, ხმას როგორ ამოვიღებდი? რიგი უდგას, გოგო, ქალების, ისეთი ხელი აქვს!

ლატავრა – ვიცი, გამიგია.

ელენე – ელიტას რომ იტყვიან, ისეთი ქალები!

ლატავრა – *(ისევ „ორშაბათ-სამშაბათი“ აათამაშა ხელში)* მაშ, ეს მართლა ის არის?

ელენე – გენაცვალე, ლატავრა, პარიზია, გესმის? ტატი დავათვალიერეთ. ტატი არ იცი, რა არის? უნივერმაღია დიდზე დიდი, პიგალზე. რა გინდა, სულო და გულო! მერე იქ ყველაფერი იაფია, ჩვენნაირი ტურისტებისთვის პირდაპირ მისწრებაა! *(გაიცინა)* ჰმ! პიგალზე უნდა გითხრა. დიდი ქუჩაა. ერთი ტროტუარიდან მეორეზე ადამიანს ვერ იცნობ. ისე კი არა, რუსთაველზე გაღმა-გამოღმა ერთმანეთს რომ გამოელაპარაკებიან! ახლა, რა მაღაზიები და კიდევ, იცი, რა დაწესებულებებია? *(ისევ გაიცინა)* წითელფანრიანები!

ლატავრა – *(აღტაცებით)* რა დონეა!

ელენე – ჩვენი კაცები სულ ასე, ტყიდან გამოსული ველურებივით უყურებდნენ იმ ქალებს, ჯგუფ-ჯგუფად რომ იდგნენ და თავიანთ ლამაზ სხეულებს სთავაზობდნენ! ასე, დაფეთებულები იყურებოდნენ და პირიდან დუჟი გადმოსდიოდათ!

ლატავრა – ფუჰ! მართლა ველურები! არ მოგეჭრათ თავი?

ელენე – მოგვეჭრა რომელია! იქაური კაცები, აბა, იმათ კულტურას ვინ ასწავლის, ისე გაივლიდნენ, თითქოს მზეთუნახავები კი არა, აქ რომ დაგინახავს ხესთან მიმდგარი მთვრალი და თვალი მოგირიდებია, ისე!

ლატავრა – მეშჩანები ვართ, გოგო!

ელენე – ნაპოს რომ ეს ვუამბე, იმ ქალებზე, იმხელა ნერწყვი გადასცდა, კინაღამ დაიხრჩო!

ლატავრა – ჩემი ქმარი? იმ დღეს მოედანზე ოქროულობის მაღაზიის გვერდით ტანსაცმლის სალონი რომ არის, ვიტრინაში საფრთხობელასავით მდგარ შიშველ მანეკენს ახალი მოდის კაბის გადაცმას უპირებდნენ და ეს ჩემი ცოდვით სავსე რომ დაესო ასფალტზე, ძლივს მოვწყვიტე ადგილიდან!

ელენე – იქ ისეთი მანეკენებია, ჯულიეტა თავს რომ აღარ გვიყადრებს, აქაოდა, ქმარი გაუდიდკაცეს, მაგისთანას ათს აჯობებს ერთი იქაური მანეკენი! ცოცხალი მანეკენებიც უყენიათ, თვალს რომ ვერ მოსწყვეტ, ისეთი ქალები!

ლატავრა – არა, გენაცვალე, ჩვენა ვართ მეჩვიდმეტე საუკუნეში!

ელენე – *(ეშმაკურად გაიღიმა)* პიგალზე, იცი კიდევ რა მაღაზიებია და რეები იყიდება? *(თუმცა ოთახში მათ გარდა არავინაა, მაინც ყურში ჩასჩურჩულა)*

ლატავრა – *(სიცილით შეჰკივლა)* არ გადამრიო! რა დონეა! ნიმუშად არ ჩამოიტანე?

ელენე – იმ ქუჩაზე პოლიციელი არ დადის. რაც გინდა, ის გააკეთე, რა ჩემი საქმეაო!

ლატავრა – ეგ არის, გენაცვალე, დემოკრატია! საუკუნე გვინდა, რომ დავეწიოთ! რა დონეა! ეს საზღვარგარეთული ტურისტული საგზურები რომ არა, გეუბნები, შიშვლები ვივლიდით!

ელენე – *(დიდსულოვნად გაიღიმა)* შიშვლები იქ დადიან, თუ დადიან, ჩემო ლატავრა! ქუჩა თუ მაღაზია, პლიაჟი გეგონება.

ლატავრა – ეგ კულტურული სიშიშვლეა, გენაცვალე! ჩვენ ჯერ ახლა ვიცვამთ. მერე ჩაცმიდან გაშიშვლებაზე რომ გადავალთ, აი, მაშინ დავეწევით. მაგრამ, როგორ დავეწევით, ისინი ერთ ადგილზე ხომ არ დარჩებიან? არა, ჩვენი საშველი არ არის! *(ზარი კარზე)* უი, ნაპო მოვიდა და მე ისევ აქა ვარ! *(ელენემ კარი გააღო, უეცრად შეჰკივლა და შემოვარდა)* რა მოხდა?

ელენე – გოგო, კართან ბავშვია!

ლატავრა – *(მხნედ)* ბავშვმა შეგაშინა კაპიტალისტურ სამყაროში ნამყოფი ქალი?

ელენე – გოგო, ძუძუთა ბავშვია, შეხვეული დევს!

ლატავრა – რაო? *(გავარდა და ბავშვი შემოიყვანა)* მკვდარი ხომ არ არის? *(ყური დაადო)* მთვრალი ხომ არ არის? რანაირად ამოვიდა მეშვიდე სართულზე? *(ელენემ რაღაც შენიშნა და ბავშვს საყელოდან ქაღალდი ამოუღო)* წერილია? რა წერილია? *(ელენემ წაიკითხა და სავარძელში უღონოდ ჩაეშვა)* რა დაგემართა, ჰელენ? *(ელენეს ქაღალდი გამოართვა. კითხულობს)* „მე გუმანით ვგრძნობდი, რომ ჩემთან გულწრფელი არ იყავი, მაგრამ მაინც მოვტყუვდი, ვენდე შენს დაპირებებს და სოლიდურ ასაკს. შენც სხვებივით ფლიდი ყოფილხარ. ალბათ, ჩემსავით ბევრი მოგიტყუებია და ანგარიში რომ არ აგერიოს, გაგახსენებ: ბორჯომი, ონკოლოგთა სიმპოზიუმი, შარშანდელი აგვისტო. ზღაპრები კარგი გცოდნია და გიგზავნი შენს ნაშიერს, ეს გაართე ზღაპრებით“... რას ნიშნავს ეს?

ელენე – *(ძალაგამოცლილმა ბავშვზე მიუთითა)* აი, ამას ნიშნავს... ორი კვირის წინ მაინც გამოეგზავნათ ეს ბავშვი, პარიზიდან რამეს ჩამოვუტანდი!

ლატავრა – მოიცა, ჰელენ, კარგად გავიაზროთ...

ელენე – ამას გააზრება რად უნდა, ფაქტი სახეზეა.

ლატავრა – ვინ გამოგზავნა?

ელენე – *(ბავშვზე მიუთითა)* აბა, ნახე, აბრატნი ადრესი არ აწერია?.. ხედავ, ლატავრა, ნაპოს ოინებს? ამას ვიფიქრებდი, ეიფელის კოშკზე რო ავდიოდი?

ლატავრა – შენ ამ ამბავს ასე დატოვებ?

ელენე – *(ცოტათი მოღონივრდა)* მობრძანდება ვაუბატონი და ვნახოთ!.. არა, ნეტ! ეს... ეს... იმიტომაც გამგზავნა საფრანგეთში, რომ ბორჯომიდან ამანათს ელოდებოდა, ჩემთან პირშავად იყო და თავი მომიქონა! ამაზე მეტი თავის მოჭრა? მეზობლები რას იტყვიან, ბავშვის ჩხავილს რომ გაიგონებენ? ვის ავუხსნა, მითხარი? თავი სად გამოვყო? რა მჭირს მე ნაპოს საღალატო? პარიზის ქუჩებში რომ გავივლიდი, ყველა მე მიყურებდა, ქართველი ქალი მოდისო! იმათნაირი გალასტული თეძოები კი არ მქონდა! არადა, ჩემ გოგოზეც იეჭვებენ, კი!

ლატავრა – რა უნდა იეჭვონ, გოგო ყოველდღე ამათ თვალწინ დადის და ბავშვს ასე ზეპირად ხომ არ გააჩენდა?

ელენე – ეჰ, მოინდომონ, თორემ ბუზს ამშობიარებენ სპილოზე. არ იცი ხალხის ბუნება? არადა, რა ვუყო ამ უბედურს?

ლატავრა – უკან ჩავუდოთ ეს წერილი და სხვა ვინმეს დავუსვათ. ყველას ცოლი დაიჯერებს, პატიოსანი ქმარი სად გინახავს?

ელენე – ჯერ არა! მობრძანდება აქ ვაუბატონი, ცხვირით უნდა ვახოხო პარკეტზე! რამ გაამხეცა ასე, არ გამომივიდა რასპუტინი? არა, ნეტ!

ჩემმა ბიჭმა რომ გაიგოს, სახლიდან გააგდებს, ხომ მამაა, სახლიდან გააგდებს!

ლატავრა – მერე, როგორი თავმოყვარეა შენი ბიჭი! კიდევ კარგი, შინ არ არის! მაგრამ რო მოგვისწროს?

ელენე – იმის მოსვლამდე ბარე ორი სუფრა კიდევ უნდა გაიშალოს და ალაგდეს. მერე სანამ ყველას სახლებში არ დააბინავებს, ოჯახს არ გაიხსენებს. ოი, მამაკაცები?! გაწყდეს მაგათი სინსილა!

ლატავრა – ღვინო, დუდუკი, ქალები!. – ამის იქით მათი აზროვნება წყდება!

ელენე – სადღა აქვთ სადუდუკე სული? ღვინო, ქალები, დომინო! აი, მათი სალოცავი სამება!

ლატავრა – კი ბატონო, მაგრამ მაგ ქალებში ჩვენ არ შევდივართ?

ელენე – ჩვენ ცოლები ვართ. ცოლსა და ქალს შორის დიდი განსხვავებაა. ნაპო რომ ქალს შეხედავს, ხომ ხედები, რას ხედავს? მე რომ შემხედავს, თეფშები და სარეცხი ეჩვენება. შენი ქმარიც ასეთი იქნება. ყველა მამაკაცი ერთნაირია, ყველას სულში დურმიშხან წამალაძე ზის!

ლატავრა – ვინაა, ქალო, დურმიშხან წამალაძე? დედამთილის ავადმყოფობამ ისე ჩამომარჩინა, ერთი კვირაა, გაზეთი არ წამიკითხავს!

ელენე – „სურამის ციხე“ არ გახსოვს, გულისვარდო რო მოატყუა?

ლატავრა – ეგნატე ნინოშვილისა? როგორ არ მახსოვს!

ელენე – ეგნატესი, არა გოგო!

ლატავრა – მაშ, ვისია, არ გადამრიო!

ელენე – შენ რომ ეგნატე არ გეთქვა, ენაზე მადგა! „შენ მომიკალ გული, მე მოგიკალ შვილიო“ – არ გახსოვს? არა, ნეტ! დურმიშხანი ამათთან ანგელოზია! ყველა მამაკაცში შაჰ-აბაზი ზის, გაპონი!

ლატავრა – *(ცოტათი დაირცხვინა)* საპონი თუ შეიძლება, ჩემო ჰელენ, შენ ბევრი ჩამოგიტანია, ერთი ღერი მომეცი, შეხედე, რას მიშვრება ჩვენი საპონი!

ელენე – *(უსიტყვოდ მისცა საპონი, მერე, გაცეცხლებულმა ხელი სტაცა თეთრ ხალათს)* აჰა, თეთრი ხალათიც, მაინც საავადმყოფოში გიწევს სიარული, რაღა იმათი გაზინტლული ჩაიცვა! და საერთოდ, შენი იყოს, ის არ არის ფრანგულის ღირსი, ბორჯომში იყიდოს, იქაური არტელის გამოშვებული!

ლატავრა – არა, ჩემო ჰელენ, ეს ჩემ სახელზე არ გიყიდია.

ელენე – ვის სახელზეც ვიყიდე, ის ჩემთვის აღარ არსებობს! სად არის წერილი? *(წერილი ჯიბეში შეინახა)* შენ ნახე, ჯერ თავს მოიკატუნებს, თავის დაძვრენას შეეცდება... ამ წერილს შუბლში რომ მივახლი... ნეტა ის ქალი მაჩვენა! სულ ერთი წუთით, დაბრეცილად თვალს რომ მოჰკრავ ტელევიზორის გამოსახულებას, ისე. დავიჯერო, მე მჯობია?

ლატავრა – რას ამბობ, ჰელენ, შენ ვინ უნდა გაჯობოს?

ელენე – მაშ, რამ დააბრმავა ჩემი უბედური ქმარი!.. ხედავ? ზღაპრებით მაბრუებდიო! აქ კი მუდოსავით გდია!

ლატავრა – გენაცვალე, ეს კაცები დაგვიგულებენ ცოლებად...

ელენე – *(ისედაც ცეცხლია, ნავთის დასხმა უნდა?)* ქალი აღარა ხარ, ვითომ სკამი ყოფილხარ, ან ეგ ტახტი!

ლატავრა – რას ამბობ! რომ მოუნდებათ, სკამზე მაინც დაჯდებიან, ტახტზე, იცოცხლე, ნებივრობა უყვართ, ჩვენ არ ვარსებობთ! ეს შენი გოგო-ბიჭი მაინც დაოჯახებულიყვნენ, ხმის გამცემი გეყოლებოდა.

ელენე – მე არ ვაძალებ, ლატავრა. ბიჭი თავისნაირ თავქარიან გოგოს დამისვამს და ვზარდო მათი ღლაპები? ნატა კიდევ, რა ვიცი, ვის გადააწყდება? ვინც უნდა იყოს, მაინც მომავალი ნაპო ან ტოჩიკა იქნება.

ლატავრა – მართალი ხარ.

ელენე – მართალი გითხრა, ჩემი თავიც ბებიობისთვის ჯერ არ მემეტება.

ლატავრა – რატომ, ქალო, ახლა ახალგაზრდა ბებიებია მოდაში.

ელენე – თუ თავიანთვის იქნებიან, აჩინონ ბავშვები და ზარდონ, მე თავი გამანებონ! საფრანგეთში, რა, ბებიები არ არიან? მაგრამ რის ბავშვი, რის ჩვრები! აუღიათ ფეხი და ტურისტულად მოგზაურობენ, ზღვას არ იკლებენ და მთას!

ლატავრა – რა დონეა! *(ზარი)* მოვიდა! მე ერთი წუთით შემოვირბინე, მაგრამ როგორ მაინტერესებს, თავს რანაირად იმართლებს! გენაცვალე, ამხელა საბუთს წინ რომ დაუდებ, ხომ იქნება სამოცი სანტიმეტრი?

ელენე – *(გაკერპებული)* გაუღე! *(ლატავრა კარს აღებს, შემოდის ნატა)*

ნატა - დედიკო, მშია! *(ასე, ალბათ, ხშირად შემოდიოდა, მაგრამ ახლა სიტუაცია ცოტათი ეუცხოვა)*

ელენე – *(ისევ იმ პოზაში)* ახლავე, შვილო, ისიც გაიღვიძებს და ბარემ ერთად გაჭმევთ... ძუძუს.

ნატა – რა, დედი? *(შეშფოთებით შეხედა ლატავრას, რადგან დედას „ველარ სცნობს“)*

ლატავრა – *(ნატას გაულიმა და მიეფერა)* როგორ დამშვენდა ჩვენი ნატა, ვენაცვალე! გახსოვს, მუშტაიდში რომ დაგატარებდი? ამხელა იყავი და ამხელა ბანტი გეკეთა... მე ერთი წუთით შემოვირბინე, საავადმყოფოში მიმეჩქარება. ჩემ დედამთილს ბრმანაწლავი ამოაჭრეს და სადილი მიმაქვს. *(ეტყობა ნატამ იცის, რომ ლატავრა მოკლედ თქმას ვერ ახერხებს ხოლმე, ამიტომ გულგაწყალებული სავარძელში ჯდებოდა, რომ ლატავრამ შეჰკივლა)* არ დაჯდე!

ნატა – *(სავარძელში ბავშვი შენიშნა)* ვაი, ეს რა არის?

ლატავრა – *(სიტუაცია რომ განმუხტოს)* რა დედა გყავთ, ეს რეები ჩამოგიტანათ პარიზიდან!

ნატა – ეს რა არის? *(დედამ რომ არ უპასუხა, ლატავრას შეხედა)* ეს საიდან? ესეც პარიზიდან?

ელენე – *(ძვირად უჯდება სიმშვიდე)* ბორჯომიდან.

ნატა – რა, დედი?

ელენე – ბორჯომიდან გამოუგზავნეს, შვილო, მამაშენს, ბორჯომის წყალი დაცოტავდა და იოლად ამითი გავიდესო!

ნატა – ვერაფერი გავიგე, დედი, რა არის, რა მოხდა?

ლატავრა – ისეთი არაფერი, შვილო, ხომ იცი, მამაკაცების ამბავი, გული კი არ უნდა გაიხეთქოთ, ვის თავზე არ მომხდარა. შენ ხომ არა გგონია, ჩემი ქმარი ანგელოზია?

ნატა – არ გადამრიო! ეს... მამაჩემმა?

ლატავრა – მამაშენი იმდენად არა ტყუის, ის ქალია შუაზე გასაგლეჯი, ცოლშვილიან კაცთან რა ესაქმებოდა?

ნატა – *(ტირილი აუვარდა)* არა მჯერა!.. როდის, სად?

ელენე – ბორჯომში, შვილო.

ნატა – *(ჯიუტად)* ბორჯომში როდის იყო?

ელენე – შარშან უჩვენოდ სად ბრძანდებოდა?

ნატა – გაგრაში!

ელენე – იმიტომ ჩამოვიდა პელესავით შავი!

ნატა – მამამ ცურვა არ იცის!

ელენე – ქალებში ხომ იცის ცურვა!

ნატა – გამაგებინეთ სიმართლე! აქ როგორ გაჩნდა?

ელენე – აქ რომ გაჩენილიყო, შვილო, ხომ ჩვენც გავიგებდით? ბორჯომში გაჩნდა და გამოგვიგზავნეს მოკითხვის ბარათით.

ნატა – *(ბავშვის გახსნა დააპირა)* რას მაწვალებთ, გამაგებინეთ, ძმა მეყოლა თუ და!

ელენე – მამაშენი ჯანმრთელად იყოს, შვილო და არც ძმას მოგაკლებს და არც დას. *(ნატა ტირილით შევარდა მეორე ოთახში)*

ლატავრა – შენი ბიჭი რომ მოვა, ახლა იმისი გადარევა ნახე! *(გამოდის გოგი. ქალები გაოცდნენ)* გოგის ვენაცვალე, საიდან?!

ელენე – როდის მოხვედი, შვილო?

გოგი – *(გათენებამდე მიღებული სასმელი ჯერაც არ განელებია, სახე აქვს გადასწორებული)* როდის წავედი, რო?

ლატავრა – აქ იყავი?

გოგი – გამარჯობა, ქალბატონო...

ლატავრა – ლატავრა ვარ, გახსოვარ? დედაშენის მეგობარი! გახსოვს, მუშტაიდში რომ დაგატარებდი? ამხელა იყავი და რა საყვარლად დაბაჯბაჯებდი! ჰელენ, როგორ დავაჟკაცებულა, ნამყენია, გენაცვალე! *(გოგი კარამდე მიფარფატდა, შეჩერდა და უაზროდ გაშტერდა)*

გოგი – თენდება თუ ღამდება? *(პასუხი ვერ მიიღო)* თქვენც პახმელიაზე ხართ? ლუდს ამოგიტანთ. *(გავიდა. ერთ ხანს დაბნეულობა)*

ლატავრა – ბიჭი აქ ყოფილა! ჩვენ კი რაები არ ვიბოდიალეთ! მოგვეჭრა თავი? ვინ იცის, გვისმენდა და სიცილით იგუდებოდა!

ელენე – ტყუილად შიშობ, ლატავრა.

ლატავრა – „ორშაბათი-სამშაბათიო“, პიგალიო! რა, არ მოგვისმენდა?

ელენე – ვარიანტი არ არის.

ლატავრა – გოგო, მეზობლის ჩურჩული გესმის!

ელენე – ჩემი ბიჭი განსაკუთრებული ქმნილებაა. მაგან სხვანაირი ძილი იცის. ბალიშზე კი არ უდევს თავი, ბალიში უდევს თავზე! ზეწრიან-საბნიანად რომ ასწიო და ლიფტში დააწვინო, გვერდს არ შეიცვლის. მით უმეტეს, თუ ნასვამია!

ლატავრა – ჯარში თუ გაიწვევენ, მესაზღვრედ ივარგებს.

ელენე – კი. ან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის დარაჯად.

ლატავრა – ჰელენ, თუ იცი, რა წავიკითხე იმ დღეს გაზეთში! მოსკოვში, პუშკინის ძეგლთან, მისულა ვიღაც გიჟ-პოეტა, მამაპაპურად გათხლეშილი, თაიგული დაუდვია და იქვე ჩასძინებია. ამ დროს გაუვლიათ უკრაინელ პილოტებს, ხომ იცი, რეისიდან რეისამდე ქალაქში გაუვლიათ... რა ოინი მოუფიქრებიათ, თუ ხვდები? აუყვანიათ ეს შენი პუშკინისტი პოეტი, ჩაუსვამთ მანქანაში და აეროპორტისკენ გაუქანებიათ...

ელენე – უკრაინაში გადააფრინეს?

ლატავრა – აბა, ქალო! კიევშიც მდგარა პუშკინის ძეგლი და იქ დაუსვამთ!

ელენე – *(გახალისდა)* არ გადამრიო! თვითმფრინავის გუგუნმა არ გააღვიძა?

ლატავრა – არა, მოხსნა შენი ბიჭის რეკორდი! მაგრამ ჯერ სადა ხარ! მერე, როცა გაღვიძებია, მაშინ გამხდარა დასაბმელი!

ელენე – მა რა დაემართებოდა, სად მოსკოვი და სად – კიევი!

ლატავრა – საქმეც ეგ არის, რომ თავი ისევ მოსკოვში ჰგონებია, მაგრამ პუშკინს რომ შეხედა, თურმე, იმან გადარია! ამდენი ხანი როგორ მეძინა, რომ ჩემს ყურებაში ძეგლი დაიღალა და სკამზე ჩამოჯდაო! მოსკოვში პუშკინის ძეგლი ხომ ფეხზე დგას, კიევში – ზის! *(ლატავრას ელენე აჰყვა სიცილში)* აბა? არ არის მაგარი? მოხვედი ხასიათზე, ჰელენ? კიდევ კარგი, შეგესწარი, თორემ მარტო გადაირეოდი, შე საწყალო!

ელენე – გმადლობ, ჩემო ლატავრა, მარტო ნამდვილად გავაფრენდი!

ლატავრა – მა რისთვისა ვართ მეგობრები, თუ ერთმანეთი არ ვანუგეშეთ? მაგრამ ეს განა ყველას ესმის? თინა ხო გახსოვს, ლობჟანიძე? იმ დღეს, ვიფიქრე, ერით წუთით შევურბენ, მოვიკითხავ-მეთქი. მოვყევით მთისა და ბარისა. ქმარი ჰყოლია მივლინებაში, ცხაკაიაში თუ ზუგდიდში, თუ სულაც თელავში. საკუთარი „ჟიგულით“. ავარია არ მოსვლია? კი გადარჩენილა, საავადმყოფოში მოუთავსებიათ. ცოტათი დაშავებულა, ცოტათი შეშინებულა. მაგრამ ეს – არაფერი. თუ ხვდები, მანქანაში ვინ სჯდომია?

ელენე – ქალი?

ლატავრა – აბა! თანაც, თანამშრომელი! ვეუბნები თინას, ამისთანა ქმარს როგორ აკითხავ საავადმყოფოში-მეთქი, ან ის რა პირით გეჩვენება-მეთქი! თუ ხვდები, რას მეტყოდა? მადლობა ღმერთს, გადამირჩაო, სანთელი უნდა დავანთოო! მე ვეუბნები, თინიკო, შენი სიყვარული მალაპარაკებს, ქალი რატომ ეჯდა მანქანაში შენს ქმარს-მეთქი? აბა, მანქანას ხომ არ გამოუბამდაო? ამიგდო, გოგო! კიდევ გავუმეორე: რა უნდოდათ მანქანაში-მეთქი? მივლინებაში მიდიოდაო! ქალი-მეთქი? თუ ხვდები, რას მეტყოდა? ქალი – თანამშრომელი არ გაგიგონიაო? გულისხმაში ვერ ჩავაგდე! ვერ წარმოუდგენია, თუ ქმარი უღალატებს! აგერ, შენ, ლოლობრიჯიდასავით ქალს, ქმარმა რა დაგმართა და თინა ლობჟანიძე ვინ მიგდია?

ელენე – *(მეორე ოთახის კართან მივიდა)* ნატა, შვილო, გამოდი, ჭამე, ერთ დღეს რომ დავიხოცოთ, მამაშენს გაეხარდება კიდეც, თავისუფლად ინავარდებს, ბორჯომშიც თრევა აღარ დასჭირდება. მაინც ასაკშია და ენერგია დაეზოგება. გამოდი, ჭამე! ახლა გვინდა გამაგრება. იცოდე, მომავალში არც შენა ხარ დაზღვეული... ოი, კაცები.. *(ლატავრას)* ოტელომ შარი მოსდო საცოდავ დეზდემონას და უმიზეზოდ დაახრჩო. მე ამხელა ფაქტი წინ მიდევს, მაგრამ რა მოვუხერხო, როგორ დავახრჩო, ბუღასავით კისერი აქვს! *(ნატას)* გამოდი, შვილო, გამოდი, ჩვენს სისუსტეს ნუ ვაჩვენებთ მამაკაცებს!.. ჰო, გამოდი, ტირილს მოეშვი, ხომ ხედავ, მე...

ნატას ხმა – დამანებე თავი!

ლატავრა – ნატა, შვილო, დედას ნუ აწყენინებ, ხომ ხედავ, რამხელა ტრავმა გადაიტანა? პარიზიც კი სანანებლად გაუხდა!

ელენე – *(ერთბაშად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. მტკიცედ)* მაგრამ ბორჯომი უფრო სანანებლად გადაექცევა ერთ სულიერს! ლატავრა, გენაცვალე, შენი დედამთილი მოითმენს, ერთხელ ამათი სადილიც გასინჯოს, ახლა გემრიელ კერძებს ამზადებენ. ჩვენ ახლა სამმა ქალმა ჭერს ქუდი უნდა ვკრათ! *(ლატავრასაც ეს უნდოდა!)* გამოდი, შვილო, ანტაგონისტური სქესის ჯინაზე უნდა მოვილხინოთ! *(სერვანტიდან ბოთლი გამოიღო)* ფრანგული კონიაკია!

ლატავრა – *(ბოთლს დასუნა)* აუჰ, რა დონეა! *(დიდი ენთუზიაზმით ეცა თავის ჩანთას და მაგიდაზე ამოცალა)* ჩვენ უფრო შეგვერგება, დედამთილი მაინც არ დამიფასებს! ნატა! *(მაგრამ ნატა უკვე გამოსულა. თვალებს იმშრალებს. მაგიდას ფაცა-ფუცით აწყობენ)* ჩემი დედამთილი ახლა ჩემს წყევლაში იქნება!

ელენე – წყევლა უყვარს?

ლატავრა – ჩემს გასაგონად არ დავუწყევლივარ...

ელენე – გაიგონებ და კარგსაც მიიღებს!

ლატავრა – აბა? მე ხომ ვიცი, რომ მწყევლის? დედამთილი მა რისია? ხო ამბობენ, დედა რო შვილს წყევლის, მისი ძუძუები ილოცებიანო?

დედამთილი რო გლოცავს, აი, სწორედ მაშინ მისი ძუძუები იწყევლებიან!

ელენე – ლატავრა, შენ იურიდიულზე სწავლობდი, მახსოვს.

ლატავრა – მაშინ გამომიტყვრა ტოჩი და ცოლობა მთხოვა. ვიფიქრე, კარგი ბიჭია, ესეც არ დავკარგო-მეთქი, ხო გახსოვს, ბევრს მოსწონდა, რა ვიცოდი, ცარიელი ფუტლიარი თუ იყო. მივთხოვდი და გზა-კვალიც ამერია. რის იურისტობა, ოჯახის დედაკაცად ვიქეცი!

ელენე – რატომ გკითხე, თუ იცი? ნაპო ისეთია, თუ საბუთზე არ გამოიჭირე, აქეთ გაგამტყუნებს... რაღაცები ხომ გახსოვს?

ლატავრა – დარდი ნუ გაქვს! უნივერსიტეტი რომ მივატოვე, მესამე კურსი დახურული მქონდა.

ელენე – ესე იგი...

ლატავრა – ესე იგი, ბეზ პიტი მინუტ იურისტი ვარ! ისეთ ტრუბაში გავატარებ, თვითონვე ჩამოთვლის, ბორჯომის გარდა კიდევ რა კურორტები იცის. *(სამ ქალს პატარა მაგიდის გაწყობა არ გაუჭირდათ. სავარძლებს მაგიდასთან რომ აწყობდნენ, ბავშვი გაახსენდათ)*

ნატა – ამას რა ვუყოთ?

ლატავრა – დედა! კიდევ სძინავს!

ელენე – ამ უდარდელ ძილზე ეტყობა, რომ მამაკაცი იქნება. იქით ოთახში! აქ მხოლოდ ქალები ვართ. *(ნატამ ბავშვი მეორე ოთახში გაიყვანა)* ამ სახლს წყალბადის ბომბი რომ დაეცეს, არც ჩემი ბიჭი, არც მამამისი თვალს არ დაახამხამებენ, რა მოხდაო, არ დაინტერესდებიან! *(ბავშვის კვალზე)* ხედავ? პირწავარდნილი ნაპოა. *(რაღაც გაახსენდა და მკერდზე მუშტი დაიბაგუნა)* ლატავრა! იმ დღეს, საფრანგეთში წასვლამდე, ტელევიზორს უყურებდა. ჩემს პატიოსან ქმარზე გეუბნები. ვახ! ახლა ვხვდები მე – შტერი! „დათა თუთაშხიას“ აჩვენებდნენ. აი, დათას რო ქალი უყვარს, ბეჩუნი ჰქვია, არა? ვისთანაც ბავშვი ჰყავს. ჰოდა, დათა რო შეხვდა ბეჩუნის, ვუყურებ ნაპოს და ამხელა კაცი არ ტირის? ხვდები, ლატავრა? თავისი ბეჩუნი გაახსენდა, ბორჯომელი, ბეჩუნი ბორჯომსკაია!

ლატავრა – *(საქმის ცოდნით)* საინტერესო დეტალია. გამოვიყენებთ.

ნატა – *(ბრუნდება და ბოთლები გამოაქვს)* უჰ, უჰ, უჰ! ჩრდილოეთი პოლუსია ამ ბოთლებში! *(მასაც ცოტათი გადასდებია უფროსების მხნეობა)*

ლატავრა – ეგ რა მოიტანე, შვილო?

ნატა – *(ოდნავ გაიკვირვა)* ბორჯომი!

ელენე – შორს ჩვენგან! ბორჯომის ერთი ნაწარმი იმ ოთახშია და გვეყოფა, შვილო! *(ნატას სწრაფად გააქვს ბოთლები და ბრუნდება)* ჩვენ ბორჯომის ყოველგვარი გამოვლინების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ! იცოდეთ, ქალთა სოლიდარობას არ ვუღალატოთ, ახლა უნდა დავთვრეთ!

ლატავრა – ვაშა! *(კონიაკი ჩამოასხა და ჭიქა ასწია)* ჩაგრულო ქალებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! *(გადაკრა კონიაკი და ისე შემოსძახა, ეტყობა, სასმელი და მოლხენა მისთვის უცხო არ არის. ლატავრას სიმღერაში დაბარებულივით აჰყვა ელენე. მერე ნატაც შეუერთდა)*

რა უკვალოდ დამეკარგე,
რა უღმერთოდ ჯვარზე მაგე,
რა უცეცხლოდ დავიდაგე,
დამილეწე ხატი, ცრემლით ნაგები!
აღარც ლოცვა დამრჩა ბაგეთ,
ან ტაძარი რისთვის ვაგე,
დაიწვი და დაიდაგე,
როგორც ახლა ვიწვი და ვიდაგები!

ჩაბნელება

როცა განათდა, ოთახში არავინაა. მაგიდა საკმაოდ არეულია, კონიაკის ბოთლი – თითქმის ცარიელი, ერთბაშად სიცილი. სამივე ქალი იცინის, ეს ატეხილი სიცილია, ისტერიკას ჰგავს. აბაზანიდან გამოდიან ელენე, ლატავრა და ნატა. სახეზე წყალი შეუსხამთ, ცოტათიც გაწუწულან. ერთმანეთზე თითით აჩვენებენ და სიცილით ბჟირდებიან. ფეხაკრეფით მიდიან მაგიდისკენ. ნატა ასცდა მაგიდას.

ლატავრა – სად წახვედი, გოგო? *(ნატა გაჩერდა და სიცილი შეწყვიტა... სიცილი შეწყვიტეს უფროსებმაც)*

ელენე – ცუდად ხომ არ ხარ, გოგო?

ნატა – მანდეთ ვერ მოვდივარ, დედა!

ელენე – აი, შე მცირელიტრაჟიანო! *(წავიდა ნატას მოსაყვანად, მაგრამ შვილს ასცდა, ჩაცუცქდა და ისევ აუტყდა სიცილი)*

ნატა – დედი, ნახე, მიწა ტრიალებს!

ელენე – კი, დედა, ეგ ჯერ კიდევ გალილეიმ თქვა. *(ახლა ლატავრამ აიტეხა სიცილი)*

ლატავრა – ნაძლევს ჩამოვალ... ვაი, დედა! ნაძლევს ჩამოვალ, ეგ კანონი რო აღმოაჩინა, ფრანგული კონიაკით იყო მთვრალი! *(ახლა უკვე სამივე იცინის. მერე უცებ დასერიოზულდნენ, ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეს და თავიანთ სკამებზე დარიგდნენ, მაგრამ ნატას დაჯდომა გაუჭირდა, ერთი-ორჯერ ჩაცუცქდა, მაგრამ სკამს ასცდა)*

ელენე – *(შვილი დასვა)* ვიდრე ვისხედით, სიმთვრალეს ვერა ვგრძ...ნობდი. ეტყო...ეტყობა, წყალი რომ შევისხი...

ლატავრა – პირიქით, ჩემი ქმარი...

ელენე – *(თითი გააქნია)* ქმარი არ ახსენო!

ლატავრა – ჩემი მეორე... ნახე... ნახე, ელენ! *(ნატაზე მიანიშნა)*

ნატა – *(იდაყვებზე თავდაყრდნობილმა წაილულლუღა)* ახლა... ავდგეთ და ფუნიკულიორზე გავაგრძელოთ!

ლატავრა – იქ ავიდეთ, შვილო?

ელენე – *(უცებ სახე გაებადრა)* ჭონქაძე! დანიელ ჭონქაძე!

ლატავრა – *(გაოცებული)* რა ჭონქაძე, ქალო?

ელენე – „სურამის ციხე“ ვინც დაწერა! შენ ნინოშვილი თქვი. მაგან „გოგია უიშვილი“ დაწერა, ლიანდაგზე თავი რომ დადო!

ლატავრა – მართალი ხარ... რას ვამბობდი?.. იმას ვამბობდი... გამახსენე, ქალო!

ელენე – შენ ამბობდი?

ლატავრა – ჰო, რაღაცას ვამბობდი.

ელენე – ალბათ, უკვე თქვი.

ლატავრა – არა, აი, აქ, ენის წვერზე მადგა.

ელენე – *(ნატას)* შვილო, რას ამბობდა?

ნატა – *(თავი აიღო)* ვინა?

ელენე – დეიდა ლატავრა.

ნატა – *(ჩაფიქრდა. ერთბაშად გაახსენდა)* ამის დედამთილს ბრმანაწლავი ამოაჭრეს. *(უცებ გული აუჩვილდა, წამოდგა და ჭიქა აიღო)* რა უნდოდა ბრმანაწლავს ამის დედამთილთან! ვინ იცის, როგორა სტკიოდა, როცა აჭრიდნენ! ტკივილს გაუმარჯოს, დედა! ამ ტკივილის გაძლებას გაუმარჯოს! *(ჭიქა დადო, მაგიდას მუშტი დაჰკრა და აქვითინდა. ელენე მოეფერა)*

ელენე – შენ ხომ ვაუკაცი ხარ, შვილო, გამაგრდი! *(თვითონაც ატირდა)*

ლატავრა – *(შეხედა დედა-შვილს, მასაც გული ამოუჯდა)* რიგრიგობით ვიტიროთ, თორემ ჩვენი ცრემლი დედამიწას წალეკავს!

ნატა – *(ტირილი უცებ შეწყვიტა. თავი ასწია)* დედი!.. დედი!

ელენე – რა იყო, შვილო?

ნატა – გესმის? *(ქალები სმენად იქცნენ) ბავშვი ტირის! (ჩვენ ახლა გავიგონეთ ბავშვის ტირილი)*

ელენე – ახლა ამისი ტირილი მაკლდა ამ ოჯახში?

ლატავრა – მეზობელთან ისმის.

ელენე – როცა გგონია, რომ მეზობლიდან ისმის, ეს იმას ნიშნავს, რომ შენს ბინაში ხდება. ასეა ეს სახლი აგებული!

ნატა – ალბათ, ჩაისველა!

ლატავრა – *(ენთუზიაზმით)* მაშინ, უნდა გამოვუცვალოთ, ეგ არაფერშია დამნაშავე. *(სამივე წამოდგა)*

ელენე – რომ აღარ მახსოვს ბავშვის შეხვევა?

ლატავრა – სამი ქალი ვართ, მოვახერხებთ. თქვენ გააკავეთ, მე შევახვევ.

ელენე – რა ჩავუფინოთ?

ლატავრა – არაფერი მოჰყვა? ჩვენ გამოწერით რომ გვიგზავნიან, სათადარიგო ნაწილები მოსდევს ხოლმე.

ნატა – ჩაის ტილო?

ელენე – უხეშია... მამაშენის ცხვირსახოცები!

ნატა – *(გაეხარდა)* მამაჩემის... *(მერე მიხვდა)* რომელი დედა, შენ რომ ჩამოუტანე?

ელენე – ისეთი პატივცემული კაცის შვილია, პარიზულ ცხვირსახოცებზე ნაკლებს ვერ შევკადრებ.

ლატავრა – *(მოსალოდნელი პროცედურა ხიბლავს)* ახლა ვნახოთ, ჩემო ნატა, და გყავს თუ ძმა! *(გავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვის ტირილი შეწყდა. დრო და დრო გვესმის ქალების რეპლიკები)*

ელენეს ხმა – საფენებს კი გამოვუცვლით, მაგრამ რომ შიოდეს, რა ვაჭამო?

ლატავრა – ბულიონი ხო გვაქვს, ჩემი დედამთილის.

ნატას ხმა – ფრთხილად, არ გაგივარდეს!

ელენეს ხმა – უჰ, ამ მამაძაღლს შეხედე, რა უქნია!

ლატავრას ხმა – ტბაა, ქალო, ლუდი ხომ არ დალია?

ნატას ხმა – ბიჭია!

ელენე ხმა – სიწყნარე, ნაპოვეიჩ, დამშვიდდი! მომეცი, შვილო, ცხვირსახოცები!.. ლატავრა, ფეხები აუწიე!

ლატავრას ხმა – აუჰ! რა დონეა! რამსიგრძე აქვს ეს ფეხები ამ ოხერს, კალათბურთელი დადგება!

ელენე – რა ვიცი, მამამისი კია ლოტოს კოჭივით!

გოგი – *(შემოვიდა. უკეთეს გუნებაზეა. შარვლის ჯიბიდან ბოთლი მოუჩანს)* დილა კი არა, საღამო ყოფილა! ახლა რაღა დროს სამსახურია? ან, ორშაბათი რა მოსაგონი იყო? კვირა დღეს ეგრევე შაბათი უნდა მოსდევდეს, გამოშუშება ხომ უნდა მოასწრო? *(მაგიდას დახედა)* სად წავიდნენ? დაიძინეს? გაუმარჯოს კოლექტიურ ძილს! *(გავიდა)*

ელენეს ხმა – *(თითქმის ჩურჩულით)* ძილი ნებისა, ნაპოვეიჩ! *(ქალები ფეხაკრეფით გამოდიან და მაგიდასთან სხდებიან. ბავშვის შეხვევისა და დაძინების პროცედურას ისინი გამოუცნობ, სხვა სამყაროში გადაუყვანია)*

ლატავრა – *(ელენეს)* აღარ მახსოვსო, კაი ბებია ქალივით კი გაისარჯე!

ელენე – რა მალე ჩაიძინა, ნახე?

ლატავრა – გენაცვალე, სპირტის სუნით ავაქოთეთ იქაურობა და დათვრებოდა!

ელენე – არა, ამაშიც ეტყობა, რომ ნაპოს ფეხია!

ნატა – დილაზე რძეს ამოვუტან.

ელენე – *(ერთბაშად დაეშვა „სხვა სამყაროდან“)* ესე იგი, ამ ოჯახში უკვე ხუთნი ვართ! ხუთ სულსაც ვნატრობდი ამ ოჯახში, ლატავრა, ექვსსაც და შვიდსაც, მაგრამ არა ასეთი კონტრაბანდისტური გზით!

ლატავრა – ჰელენ, ახლა რომ ბიჭი დაბრუნდეს ცრემლი უნდა აჩვენო?

ელენე – ის ახლა ზარმაცების ხაშს მიირთმევს!

ლატავრა – ნაპოც სვამს?

ელენე – შენ გინახავს მამაკაცი, რომ არ სვამდეს? მაგრამ გოგი ნამეტანია!

ლატავრა – *(ტელეფონს ეცა. ნომერი აკრიფა)* ჰელოუ! ტოჩი ხარ? ტოჩიკ, დედაშენმა ხომ არ დარეკა?.. არა, კი მივედი, მაგრამ... ჯერ არ მივსულვარ. ერთი წუთით შემოვირბინე მეგობართან, პარიზიდან ჩამოვიდა, გესმის? ეიფელის კოშკიდან... მოიცა, მათქმევინე... აქვეა, გვერდით... *(ნირწამხდარმა შეხედა ქალებს და ყურმილი ნელა დადო)* დეგენერატი!

ელენე – დაგიკიდა? შენც დედამისი დაიკიდე და, აგერ, დაგვრჩა კიდევ ცოტა სასმელი და... მაინც რა იფიქრა, იეჭვიანა?

ლატავრა – მამაკაცის ტვინი რას იფიქრებს, მიხვდები? ეს ხომ ლოგიკას არ ემორჩილება?

ელენე – შენ როდისმე ეჭვიანობის საბაბი მიგიცია?

ლატავრა – მაგათ მიზეზი რად უნდათ? ეგენი ხომ ერთუჯრედიანი ცხოველები არიან! მაგრამ ღონივრები და ამით გვიმონებენ. ათასნაირი საზოგადოება არსებობს, ტყის დაცვისაო, ცხოველებისაო... ქალების დაცვის საზოგადოება არ უნდა არსებობდეს?

ელენე – ცოლების დაცვის საზოგადოება, თორემ ქალებს რა უჭირთ! სანამ ცოლად დაისვამენ, ქალების წინაშე მუცელზე ხოხავენ ეგ უბედურები!

ლატავრა – მართალი ხარ. ჩვენ ხომ ქალები აღარა ვართ, ცოლები ვართ, ცომი მიეწებოთ მაგათ თვალებზე! დავიჯერო, ფრანგი მამაკაცები ასეთ ცოფებს ყრიან პირიდან? მაგრამ ამათ კულტურა სად აქვთ? ველურები არიან!

ელენე – იმიტომაც არიან ბანჯგვლიანები!

ლატავრა – აბა! იმ დღეს, გოგო, რომელიღაც უცხოური ფილმი აჩვენეს ტელევიზორში. ეროტიკა თუ პორნო იყო. საწოლში იწვნენ, მთლად შიშვლები. ერთმანეთზე გადადიოდნენ! გეუბნები, სანამ ჩაცმა არ დაიწყეს, ვერ ვარჩევდი, რომელი იყო კაცი და რომელი ქალი, ორივეს ისეთი კრიალა სხეული ჰქონდა! არ არის დონე?

ელენე – ერთი, ჩვენების ტვინში ჩამახედა, მაჩვენა, რა პრინციპით არის მოწყობილი! მოდი, შენი ადგილი დაიკავე, გამომნელდა, ხომ იცი!

ნატა – მეც გამოვფხიზლდი. პირველად კი თავში რომ დამკრა, შემეშინდა, ასე არ დავრჩე-მეთქი!

ლატავრა – *(მიეფერა)* გენაცვალე, ამ ბავშვს გული ისე გავუხეთქეთ, ვინ იცის, გათხოვებაზე აღარც იფიქროს! ეს, ჩვენი ქმრები არიან ასეთი აბდლები, თორემ მაგათ ჯოგშიც გამოერევა შინაური ცხოველი. *(ელენეს)* ლიზიკო ხო იცი, ჩემი კარის მეზობელი? ქმარი იმან უნდა დაიტრაბახოს! არ სვამს, არ ეწევა, ქალისკენ არ გაიხედავს...

გოგი – რომელ სასაფლაოზე წევს? *(მოულოდნელად გამოსულა)*

ლატავრა – ვინა, გოგის ვენაცვალე!

გოგი – ქალბატონ ლიზიკოს ქმარი.

ლატავრა – სასაფლაოზე კი არა, მთელი ამ ბინისხელა კაბინეტშია გამოჭიმული!

გოგი – *(გაკვირვებით)* ცოცხალია?

ელენე – *(გონს ახლა მოეგო)* ბიჭო, შენ წედან ხომ წახვედი? *(ლატავრამაც შეიცხადა)* შემოიპარე და გვისმენდი?

გოგი – ჭკვიანი ბავშვი უფროსებს უნდა უსმენდეს.

ელენე – მერე, არა გრცხვენია?

გოგი – თქვენ ჭორაობდით და მე უნდა მრცხვენოდეს?

ელენე – რა ველაპარაკო ახლა ამას? სტუმრის რიდი მაინც გქონდეს!

გოგი – არ გინდა, დედიჯან ნისია ბაზარი! ჩუგუნი კი არ ვარ, შევწუხდი, თოხლი ხომ არ შემოგაკლდათ, ახლავე გავაჩალიჩებ! მამას გეფიცები, გაგებაში არ ვარ, რაზე მასლაათობდით. ისეთი ბუხოი ვარ...

ელენე – კარგი, კარგი, აქ, ქალებს პატარა სალაპარაკო გვაქვს და მოგვეშვი!

გოგი – მოვტვინე და მოვტყდი! *(გავიდა თავის ოთახში)*

ელენე – *(აფორიაქებული)* ლატავრა, გეფიცები ორი კვირა ვიყავი პარიზში და ფრანგულად თითქმის ყველაფერი მესმოდა, ეს ბიჭი რა ენაზე მელაპარაკება, აზრზე არა ვარ!

ლატავრა – ჩემებიც ეგრე ლაპარაკობენ. მოდაა, თუ რა ოხრობაა, თუ ქუჩურად არ ილაპარაკე, მორჩა, გოიმი ხარ! დაწყნარდი, გენაცვალე, ეს ისეთი გათიშული ბუხოია, გაგებაში არ არი, აქ ჩვენ რაზე ვბაზრობდით.

ელენე – დავიცენტრე, გოგო, წედან ხომ ნამდვილად წავიდა, ახლა რანაირად დაგვეჩითა?

ლატავრა – უჩინმაჩინის ქუდი ახურავს! *(გაიცინა)* მართლა, ამ სიცხეში ქუდი რათ ახურავს, გაციებულია?

ელენე – ჩვევა, გოგო! ლოგინიდან რო დგება, ჯერ ქუდს დაეძებს!

ლატავრა – ჰო, ლოგინზე გამახსენდა! იმას ვამბობდი, ლიზიკოზე, ეს ჩვენი დაქალი ისევ ლოგინშია, რომ ქმარი ბაზრიდან სანოვაგეს მოარბენინებს. სანამ სამსახურში წავა, ცოლი ლოგინშივე დანაყრებული ჰყავს!

ელენე – ბორჯომიდან ბავშვებს არ უგზავნიან?

ლატავრა – ბორჯომიდან კი არა, ადგილობრივი არა ჰყავთ. მე არ ვინდომეო, ლიზიკო ამბობს, მაგრამ მე მგონი, ქმარი... ისეთია...

ელენე – ამ ბავშვს არ აიყვანენ?

ლატავრა – კარგი მოიფიქრე, ვეტყვი! დღესვე ვეტყვი!

ნატა – რას ამბობ, დედი, თუ მართლა ჩემი ძმაა, სხვის ოჯახში რა უნდა?

ელენე – *(შეშინებული წამოდგა, გოგის ოთახის მიხურული კარი შეამოწმა, გამობრუნდა და ლატავრას საიდუმლოსავით უთხრა)* ხედავ, ლატავრა? ღალატი ჩვენსავე ბანაკში მზადდება! *(ნატას)* გოგო,

გამოვფხიზლდიო და ეგ არის ფხიზელი ლაპარაკი? მაგის ძიძაობას აპირებ?

ნატა – *(გაბეზრებით)* კაროჩე, რაა! *(გავიდა ოთახში, სადაც ბავშვია)*

ელენე – ლატავრა, გაფიცებ, მარტო არ დამტოვო! ეს გოგო, ხედავ, უნებისყოფოა, ბიჭს კიდევ, ვირის ნებისყოფა აქვს, მაგრამ მამამისს ფულით მოქრთამული ჰყავს... უშენოდ ძალიან...

ლატავრა – ნუ გეშინია, შენს გვერდით ვარ, ცოტნე დადიანივით! *(ზარი კარზე. ერთბაშად გაყუჩდნენ. ლატავრა ფეხაკრეფით მივიდა კართან, საჭვრეტ თვალში გაიხედა. ჩურჩულით)* ნაპოა!

ელენე – *(დოინჯი შემოიყარა)* გაუღე!

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. გავიხსენოთ პირველი მოქმედების დასასრული. მაშ, ასე:

ლატავრა – ჰო, ლოგინზე გამახსენდა! იმას ვამბობდი, ლიზიკოზე, ეს ჩვენი დაქალი ისევ ლოგინშია, რომ ქმარი ბაზრიდან სანოვაგეს მოარბენინებს. სანამ სამახურში წავა, ცოლი ლოგინშივე დანაყრებული ჰყავს!

ელენე – ბორჯომიდან ბავშვებს არ უგზავნიან?

ლატავრა – ბორჯომიდან კი არა, ადგილობრივი არა ჰყავთ. მე არ ვინდომეო, ლიზიკო ამბობს, მაგრამ მე მგონი, ქმარი... ისეთია...

ელენე – ამ ბავშვს არ აიყვანენ?

ლატავრა – კარგი მოიფიქრე, ვეტყვი! დღესვე ვეტყვი!

ნატა – რას ამბობ, დედი, თუ მართლა ჩემი ძმაა, სხვის ოჯახში რა უნდა?

ელენე – *(შეშინებული წამოდგა, გოგის ოთახის მიხურული კარი შეამოწმა, გამობრუნდა და ლატავრას საიდუმლოსავით უთხრა)* ხედავ, ლატავრა? ღალატი ჩვენსავე ბანაკში მზადდება! *(ნატას)* გოგო, გამოვფხიზლდიო და ეგ არის ფხიზელი ლაპარაკი? მაგის ძიძაობას აპირებ?

ნატა – *(გაბეზრებით)* კაროჩე, რაა! *(გავიდა ოთახში, სადაც ბავშვია)*

ელენე – ლატავრა, გაფიცებ, მარტო არ დამტოვო! ეს გოგო, ხედავ, უნებისყოფოა, ბიჭს კიდევ, ვირის ნებისყოფა აქვს, მაგრამ მამამისს ფულით მოქრთამული ჰყავს... უშენოდ ძალიან...

ლატავრა – ნუ გეშინია, შენს გვერდით ვარ, ცოტნე დადიანივით! *(ზარი კარზე. ერთბაშად გაყუჩდნენ. ლატავრა ფეხაკრეფით მივიდა კართან, საჭვრეტ თვალში გაიხედა. ჩურჩულით)* ნაპოა!

ელენე – *(დოინჯი შემოიყარა)* გაუღე! *(ლატავრამ კარი გააღო)*

ნაპო – *(შემოდის. ლატავრას დანახვაზე ცოტათი დაიბნა)* გამარჯობა...

ლატავრა – მე ელენეს მეგობარი ვარ, ალბათ, გეხსომებით. ერთი წუთით შემოვირბინე, ჩემ დედამთილს ბრმანაწლავი ამოაჭრეს და სადილი მიმქონდა...

ელენე – *(ლატავრას წაეხმარა)* როგორ არ გახსოვს, ლატავრა. შენ ქალების დამახსოვრება კარგი იცი.

ნაპო – *(ცოლს მყისვე დაეთანხმა)* როგორ არა, ვიცნობ. *(მაგრამ რატომღაც ხელი გაუწოდა და გაეცნო)* ნაპო. ახლა თქვენ დედამთილს ტკბილ სიზმრებს ნუ დაუფრთხობთ, დილაზე ინახულეთ. *(ელენეს მოეფერა)* როგორ ბრძანდება ჩემი ფრანცუზენკა ცოლი? *(ყურადღება არ მიუქცევია, ცოლი რომ ცივად შეხვდა)* დაბრძანდით, ქალბატონო ლატავრა, ერთად ვივახშმოთ.

ლატავრა – *(თითქოს თავს იმართლებს)* მაინტერესებდა, საფრანგეთი როგორ მოიარა.

ნაპო – *(გაიცინა)* ოჰ, ფრანგი მამაკაცების მერე მე აღარ მიყურებს.

ლატავრა – რას ბრძანებთ, ბატონო ნაპო, მე მოწმე ვარ, თქვენ მოსვლამდე სულ თქვენზე ლაპარაკობდა...

ნაპო – თქვენ უკვე გიქეიფიათ, მე კი მშიერი ვარ. *(მაგიდას მიუჯდა)* ვიხუმრე, ჩემო კარგო, ჩემი ცოლი ალენ დელონშიც არ გამცვლის. ისე კმაყოფილი ჩამოვიდა, პირობას გაძლევთ, შემდეგში ამერიკაში გავუშვებ, თუნდა იაპონიაში. რომელსაც მოისურვებს. ელენე, ჩემი თავი მოგიკვდეს, ახალგაზრდობაში ხელისგულზე ვერ გატარე და სიბერეში მაინც გამოვისყიდო დანაშაული!

ელენე – მთვრალი ხარ?

ნაპო – *(ეწყინა. ლატავრას)* შიშით ვერ მივფერებივარ, ტკბილ სიტყვას ვეტყვი, მთვრალი ხარო! *(ელენეს)* მე მოგიკვდე, თუ გულწრფელად არ გითხარი!

ელენე – შენი ფიცი რო მართლდებოდეს, დღეში ათჯერ მოკვდებოდი!

ნაპო – *(ცოტათი შეშფოთდა)* რა დაგემართა, ელენე? *(შენიშნა, რომ ნატა ოთახის კართან დგას)* შეუძლოდ ხომ არა ხარ, შვილო?

ლატავრა – არა, ბატონო ნაპო, დავიღალეთ, ქალები ვართ და სასმელმა გვაჯობა.

ნაპო – მერე, თქვე დალოცვილებო, სასმელმა უფრო არ უნდა გაგახალისოთ? ნატა, შვილო, მაცივარში კაი კახურია და ბორჯომიც გამოიყოლე!

ელენე – რა გამოიყოლოს?

ნაპო – ბორჯომი.

ელენე – ბორჯომი არა გვაქვს!

ნაპო – კაი, კაცო! რამ გააქრო ამდენი ბორჯომი? *(მიდის მოსატანად)*

ელენე – იქ ნახე, იქნებ იმ ოთახშია?

ნაპო – *(შედგა და მოხედა)* სადა, ელენე?

ელენე – *(იმ ოთახზე უთითებს, სადაც ბავშვია)* მაგ ოთახში.

ნაპო – *(გაიღიმა)* იქ რა უნდა? მე ვიცი, სადაც არის, დილას არა ვნახე? *(სამზარეულოში შევიდა)*

ელენე – *(ლატავრას, შეთქმულივით)* ხედავ? ამერიკაში მიშვებს! ახალი რომანი აქვს ჩაფიქრებული! გეფიცები, იქიდან რომ ჩამოვალ, ახლა საირმეს წყალს შეიყვარებს და ამ ოჯახში უკვე ექვსნი ვიქნებით!

ნატა – დედა!

ელენე – შენ გაჩერდი!

ლატავრა – შენ მე მაცალე!.. ისე, ალერსიანი ყოფილა. ჩემი ქმარი ამასთან გარეული ტახია! დამთქნარება რომ არ მოუნდეს, პირს არ გააღებს.

ელენე – ცოდვა ადევს კისერზე და თაფლად ამიტომ იღვრება. ოი! *(დაიგმინა და მუშტი მკერდზე დაიბაგუნა)*

ნატა – დედი, ახლა არ გინდა, რა!

ელენე – შენ გაჩერდი-მეთქი!

ლატავრა – თუ ხათრი გაქვთ, ორივე გაჩერდით და მე მაცალეთ! *(ნაპოს ბოთლები გამოაქვს და მაგიდაზე აწყობს)* ძალიან გიყვართ ბორჯომი?

ნაპო – უკვდავების წყალია! *(ჭიქები შეავსო)* ვინც ეს წყალი აღმოაჩინა, ვინც პირველად დალია და თქვა, ბოთლებში ჩამოასხით და ნაპოს გაუგზავნეთო, იმას გაუმარჯოს! *(დალია)*

ელენე – *(ლატავრას)* გესმის? ნაპოს გაუგზავნეთო ბორჯომი!

ნაპო – აბა, რა! ისეთი ავტორიტეტი მაქვს, სპეციალურად ჩემ სახელზე აგზავნიან ბორჯომიდან!

ელენე – *(ლატავრას)* ხომ გაიგე, სპეციალური ამანათი ყოფილა!

ნაპო – *(ირონიას ვერ ხვდება)* ენთუზიაზმს ვერ ვხედავ. ქალებო, სადღეგრძელოს არ დალევთ?

ელენე – *(ცივად)* ჩვენ ბორჯომის სადღეგრძელოს არ ვსვამთ!

ნაპო – *(გაიცინა)* მაპატიეთ, ეს ისე, ვიხუმრე და ჯარიმა დავლიე, რომ დავიგვიანე.

ელენე – შენ მაინც არ უპასუხე ლატავრას.

ნაპო – არ ვუპასუხე? რა მკითხა?

ელენე – ბორჯომი ძალიან გიყვარსო?

ნაპო – ახლა არ ვთქვი?

ელენე – ბორჯომი, თვითონ კურორტი!

ნაპო – *(ცოტათი დაიბნა, რადგან ეუცნაურა ცოლის ტონი)* მაპატიეთ, თქვენი შეკითხვა ვერ გამიგია. როგორ გითხრათ, ყოველ ზაფხულს გული იქითკენ მიმიწევს, მაგრამ ახლა მოდაში ზღვაა. ეს ჩემი ცოლ-შვილი, არიქა, გაგრაო და მეც მივდევ, მარტო ხომ არ გავუშვებ?

ელენე – შარშან ჩვენთან ერთად იყავი?

ნაპო – *(ისევ შეაკრთო ცოლის ტონმა)* თქვენთან ერთად როგორ უნდა ვყოფილიყავი? *(ლატავრას)* ამ დედა-შვილმა აიტეხეს ლვოვი, ვიღაცას უთქვამს, რაღაცები იყიდებაო და იმხელა გზაზე გაჭენდნენ! ბიჭმა კიდევ დაკრა ფეხი და მოსკოვში გაფრინდა, ჩვენ „დინამოს“ თასის ჩამოტანაში უნდა მივეხმაროო. მე რაღა მექნა! საგზური შემომთავაზეს და გაგრაში წავედი.

ელენე – *(გამომცდელად)* გაგრაში?

ნაპო – *(კვლავ გაოცდა)* ქალო, პირველად გესმის?

ლატავრა - შედეგიანი თუ იყო ამათი მგზავრობა?

ნაპო – ყველაზე პირნათლად ბიჭი დამიბრუნდა, თასი მართლა ჩამოიტანა. ამათი არ ვიცი, კაბებში ვერ ვერკვევი.

ლატავრა – თქვენ?

ნაპო – მე? რა მოგახსენოთ. ზღვა არ მიყვარს. ბოდიში და, ცურვა არ ვიცი. დიდი ლოდი რომ გამომაბა და წყალში გადამაგდო, იმ ლოდზე მალე ფსკერზე მე ჩავალ. ზღვაზე ჩემნაირმა კაცმა სხვა რა უნდა

გააკეთოს? აი, წელს ჯერ არ დაგვისვენია. ეს გოგო გამოცდებს აბარებდა და მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, მოეწყო...

ელენე – რა როგორც იქნა, მეორე წელს ჩაირიცხა!

ნაპო – იყოს, მეორე წელი, ფაქტია, რომ აბარებდა. ეს ქალბატონი ეიფელის კოშკზე ადიოდა...

ელენე – ეიფელის კოშკი შენი დასაცინი არ არის!

ნაპო – ვინ დასცინის? ბიჭი კიდევ სადღაც, მთაში გაძვრა. დავრჩით ასე. ზამთრამდე უნდა მოვითმინოთ და მერე, ალბათ, ბაკურიანში წავალთ.

ელენე – იქვე ბორჯომია!

ნაპო – ჰო, ვითომ ბორჯომში ყოფილხარ, ერთი კლიმატია. *(ლატავრას)* მაგრამ, დამიჯერეთ, ესენი მაინც ზღვას მომინდომებენ. ისე კი, ზამთარში ზღვაზე წასვლის წინააღმდეგი არა ვარ. წყალი ცივია და ვინ გიჟი იბანავებს? ზაფხულშია უხერხული, ამხელა კაცი მარტო მე დავდივარ მზეთუნახავივით ქათქათა იმდენ ზანგში! *(ჭიქა შეივსო)* მოდით, ძვირფასებო, ერთი სადღეგრძელოს ნება მომეცით. თქვენ, ალბათ, ყველა ადღეგრძელეთ, პირველ რიგში, სტუმარი. სულითა და გულით გიერთდებით. მინდა, ამ ოჯახის დედაბოძის სადღეგრძელო შევსვა. ჩემ ელენეს გაუმარჯოს! მაპატიეთ ეს სისუსტე, მომანატრა თავი ამ ქალბატონმა. რამდენი წელიწადი გაატარა ტარიელმა გამოქვაბულში, როგორ გაძლო ამდენი ხანი უნესტანოდ! ხომ კარგ ადგილას გავაგზავნე, მაგრამ ვიდრე არ ჩამოვიდა, ჩემი დამემართა! როცა გავიგე, რომ ალენ დელონი იტალიაში ყოფილა გადაღებაზე, ცოტათი კი დავმშვიდდი. გიცოცხლოს, ჩემო ელენე, ქალ-ვაჟი და ბედნიერ ბებიობას გისურვებ. კაცობას გეფიცები, მომავალში ამერიკაში გაგიშვებ, გინდა, ავსტრალიაში! გაგიმარჯოს, ელენე, ჩემო მიკლუხო-მაკლაი! *(დალია. ლატავრამ ტაში შემოკრა)*

ლატავრა – აუ, ავსტრალია ხურავს, რა მერინოსია!

ელენე – *(ლატავრას, შეთქმულივით)* შორია, ჩემო ლატავრა, ერთი თვე მაინც უნდა მოვწყდე ოჯახს.

ნაპო – მაგაზე ნუ იდარდებ, ნატა მშვენიერი დიასახლისი ყოფილა. ისე, ამბობენ, იაპონია ყველაზე საინტერესოა. იმ ერთ ქვეყანაში ევროპაც არის, აზიაც არის და, მგონი, ოცდამეორე საუკუნეც.

ლატავრა - აუჰ, რა დონეა!

ნაპო – აბა, ამხანაგებო, ელენე მიდღეგრძელეთ. ბევრი სადღეგრძელო მაქვს გუნებაში და დილამდე უნდა ჩავეტიოთ.

ლატავრა – *(ჭიქა ასწია)* გაგიმარჯოს, ელენე, გენაცვალე! შენ სკოლაშიც ყველას უყვარდი, თვალში რომ ჩავარდნოდი, თითს არავინ მოისვამდა. ახლა, ჩემო კარგო, ოჯახის პატრონი ხარ, დასაოჯახებელი შვილების დედა, ყველასათვის საამაყო. შენ რომ ვინმეს არ უყვარდე, ვინმემ რომ გიღალატოს, დედა არ მყავს და ბრმანაწლავმოჭრილ დედამთილს გეფიცები, შენი მოღალატე

ეიფელის კოშკზე უნდა აიყვანო და იქიდან გადმოაგდო უპარაშუტოდ! როგორ შეიძლება, კაცმა არ დააფასოს შენი კეთილი გული, შენი ადამიანობა...

ნაპო – *(გაურკვევლადაა)* რა მოხდა? ხომ არავინ გაწყენინა, ჩემო ელენე? *(ლატავრას)* ტურისტულ მოგზაურობაში ხომ არაფერი შეემთხვა?

ლატავრა – არა, ბატონო ნაპო, ისე, მაგალითისთვის ვამბობ... გაიხარე, ჩემო ელენე, შენი ცუდი ნუ გამაგონოს ღმერთმა! *(დალია)*

ნატა – *(მოვალეობის მოსახდელად თუ დაძაბულობის განსამუხტად, სწრაფად მივიდა მაგიდასთან და ჭიქა აიღო)* დედი, კარგად იყავი... *(მაგრამ მეტი ველარა მოახერხა, ჭიქა დადო და სწრაფადვე დაიკავა თავისი პოზიცია ბავშვის ოთახის კართან)*

ნაპო – დღეს ნატა არ მომწონს!.. *(მოულოდნელად ბავშვმა წამოიტირა და მალევე გაჩერდა. ნაპომ ყურები ცქვიტა. ქალები გაისუსნენ)* ელენე, გორგაძეებმა აპრილში არ მოიყვანეს რძალი?

ელენე – მერე?

ნაპო – ხუთ თვეში ბავშვი ეყოლათ?

ელენე – *(მიხვდა, რომ ახლაა მომენტი შეტევისთვის)* რატომ იკითხე?

ნაპო – ჩვილი ბავშვის ტირილი შემომესმა!

გოგი – *(ისევ შეუმჩნევლად გამოსულა)* მეც!

ელენე – რით ვერ გაიგეთ მამა-შვილმა, რომ, რაც მეზობლიდან ისმის, ის ჩვენ ოჯახში ხდება!

ნაპო – *(გაკვირვებული, უფრო გოგის მოულოდნელი გამოჩენით)* შენ აქა ხარ, შვილო?

ლატავრა – *(შეტევის ტემპი არ უნდა დააგდოს)* მეც ეგრე მგონია, რომ ბავშვი ამ ოჯახში ტირის!

ნაპო – ვაი, მაგას მოვესწრებოდე, ქალბატონო ლატავრა! ჩემთან, სამსახურში, ერთი თანამშრომელი გვყავს, ჩემი ხნისაა, შვილიშვილის შვილი ჰყავს! ცაში დაფრინავს, ისეთი ბედნიერია! მე და ელენე კი ამათ შევცქერით და არც ერთი არ ფიქრობს დაოჯახებაზე. ნატა გოგოა და ხო ვერ ვაიძულებ, არიქა, გათხოვდიო, ოჯახის შექმნის ინიციატორი მამაკაცია და ეს ამხელა მუტრუკი...

გოგი – ჰა, მამაჩემო, პიროვნების ღირსების შელახვა არ შეიძლება!

ნაპო – რა ვქნა, შვილო, შელახვა არ შეიძლება, მაგრამ შენი გალახვაც რომ აღარ შეიძლება?

გოგი – ჰოდა, ზავი, ბატონო ნაპო! ამ საკითხზე შემოდგომამდე მორატორიუმი გამოვაცხადოთ.

ნაპო – ეგ შემოდგომა რას მოგვიტანს?

გოგი – ღვინოს, ჩურჩხელას, დოვლათს! არა, მართლა, ცოლს მოვიყვან.

ნაპო – ეს ხუმრობს! ქალბატონო ლატავრა, ნუთუ დრო არ არის, რომ მეზობელმა ამ ოჯახიდანაც გაიგონოს ბავშვის ტირილი?

ელენე – უკვე გაიგონებდა!

ნაპო – *(მისთვის მხოლოდ ლატავრა არსებობს, რომ დაჩაგრული მამის გულისტკივილი ბოლომდე ჩაათაოს)* მე და ელენე ერთმანეთს შევაბერდით და ამხელა ბიჭი მე შემომცქერის!

ელენე – *(მშვენიერი შანსი მიეცა)* შენი ვაჟიშვილი იმიტომ შემოგცქერის, რომ იცის მამამისის სექსუალური პოტენციალი!

ნაპო – *(კომპლიმენტად მიიღო და ესიამოვნა)* ქალბატონო ლატავრა, ადამიანის მოვალეობა გამრავლებაა. მარტო ჩემი ოჯახის მომავალი არ მალაპარაკებს. იმედია, ყალბ პატრიოტიზმში არ ჩამომართმევთ, საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ელის, შობადობა მცირდება! ახალგაზრდობას ეს არ ესმის!

ელენე – სამაგიეროდ, ძველგაზრდობა ცდილობს ამ კატასტროფის აცილებას!

გოგი – აუ, დედაჩემი გლიჯავს! ნამიოკს ხვდები, მამაჩემო?

ნაპო – ჰო, ასე სისულელეებში გაატარე შენი დღე და მოსწრება! გუშინ რაში დაგჭირდა ფული, რომ გამომართვი? *(ლატავრას)* ყოველ დღე სამსახურში თავზე დამადგება და ფულსა მთხოვს! დღევანდელი დღე რო ჩააგდო, გამიკვირდა!

გოგი – *(ეწყინა)* მამაჩემო, საიდუმლოს შენახვა ეგრე ვიცით?

ელენე – რატომ აძლევდი ფულს? შენ წაახდინე ეგ ბავშვი!

ნაპო – *(ლატავრას)* სულ ასეა ამ ოჯახში! ინდონეზიაში რო მიწისძვრა მოხდა, ჩემი ბრალია და თუ დღეს მესამე მსოფლიო ომი არ არის, ამ ქალბატონის დამსახურებაა!

ელენე – *(უცებ მაგიდისკენ წავიდა და ჭიქა აიღო)* დღეგრძელობისთვის მადლობა არ გადამიხდია... *(ამან დააცხრო დაძაბულობა)*

გოგი – დედა ადღეგრძელეთ? ამ ჩხუბს ეს არ სჯობია? *(სწრაფად აიღო ჭიქა)* დედა! ვაჰ, რა ტკბილი სიტყვაა! ძეგლი უნდა აუგო აკვანში გაკრულ იმ ბავშვს, საქართველოში ვინც სულ პირველად დაიძახა ეს სიტყვა! ის ბედნიერი, ისა! მეც სულ ასე ბედნიერი ვიყო და ვიძახო ეს სიტყვა, და როცა ნატასა და შენს რძალს „დედას“ დაუძახებენ, ამ ჭერქვეშ ეს სიტყვა რომ არ გადაშენდება, შენი ბედნიერება იქნება, რადგან შენ იქნები დიდი დედა, დიდედა! *(დალია, ლატავრას)* ასეთი ანგელოზი შვილი ამ ოჯახში არ უნდა უყვარდეთ?

ლატავრა – რას ამბობ, ვის არ უყვარხარ, გენაცვალე?

ელენე – ახლა ხომ შემიძლია, მადლობა გადაგიხადოთ?

ნაპო – მიდი, გენაცვალე, მანდილი ჩამოაგდე, თორემ დავჭამეთ ერთმანეთი მამა-შვილმა!

ელენე – *(მიმართავს ლატავრას)* საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში, ასეთი წესი აქვთ: თუ ცოლ-ქმარს ერთმანეთი აღარ უყვართ, გულახდილად ეტყვიან: მიშელ, ან ტერეზა, შენს მიმართ მე გავცივდი, სხვა მიყვარს. მე შარშან კურორტზე სხვა შემიყვარდა, მასთან ბავშვიც მეყოლა. ამიტომ მე ვერ მოგატყუებ და ყველაფერი გულახდილად ვაღიარე.

ლატავრა - რა დონეა!

ელენე – აი, ეს არის ვაჟკაცობა! მაშინ კიდევ შეიძლება, აპატიო!

ნაპო – მოიცა, აქ რაღაც ხდება და მე ჭურში ვზივარ. რა ღალატი, რა გაციება, რა პატიება?

ელენე – ამას მაგალითად მოგახსენებთ.

ნაპო – ამ დაქალებს რა მაგალითები აგიტყდათ? ელენე, გამაგებინე! *(ლატავრას)* მართლა ხომ არა მცვლის ალენ დელონზე?

ლატავრა – ალენ დელონზე გამახსენდა. იმ დღეს „დათა თუთაშხიას“ აჩვენებდნენ, ნახეთ? მე სულ არ მომეწონა.

ნაპო – თუ ხათრი გაქვთ, სიტყვას ბანზე ნუ ამიგდებთ.

ლატავრა – არა, ბატონო ნაპო, ნამდვილად მაინტერესებს თქვენი აზრი. თქვენ მოგწონთ?

ნაპო – *(უცებ ვერ გადაერთო სხვა თემაზე)* მშვენიერი ფილმია. *(ლატავრამ და ელენემ ერთმანეთს შეხედეს)*

ლატავრა – მაინც რითია მშვენიერი?

ნაპო – *(გულწრფელად ჩაერთო კამათში)* ხუმრობთ, თუ მართალს ამბობთ? ათჯერ ვნახავ, არ მომწყინდება. თვითონ დათა ხომ არის და არის, ყველა კარგია!

ლატავრა – მართლა კია ყველა კარგი. ამხელა ვაჟკაცს რა ფაქიზად უყვარს ის ქალი!

ნაპო – ბეჩუნი! ერთ ფილმად ეგ სიყვარული ღირს! *(ლატავრამ თვალი ჩაუკრა ელენეს)*

ნატა – *(ფეხზე ძლივს დგას, უხერხულად)* წამოვწვები, რაღაც კარგად ვერა ვარ. *(პასუხს არ მოუცადა, გავიდა)*

ნაპო – *(თვალი გააყოლა ნატას)* ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა მოხდა? *(თითქოს მიხვდა. გოგის)* დღეს ჩემთან, სამსახურში, რატომ არ მოხვედი?

გოგი – გადავირევი კაცი! ახლა არ მლანძღავდი, ჩემთან ყოველ დღე რად დადიხარო?

ნაპო – მითხარი, რომელ მილიციაში გადააბრუნე ტაბელი?

გოგი – მწყევლი, მამაჩემო?

ნაპო – აბა, რად არის დედაშენი ნერვებაშლილი?

გოგი – *(იყვირა)* ნერვებაშლილი?

ნაპო – შენ აქეთ ყვირი?

გოგი – აბა, იქით ვიყვირო?

ელენე – *(ნაპოს)* დაწყნარდი, გოგი არაფერ შუაშია.

გოგი – *(ნაპოს)* ხედავ? მე არაფერ შუაში ვარ.

ნაპო – *(უფრო დაიბნა. გოგის)* ბოდიში.

გოგი – *(ნაპოს მხარზე ხელი გადახვია)* ასეთი პატიოსანი კაცი ქალებმა პროვოკაციაზე აგაგდეს?.. *(უცებ)* მოიცა! ნატა!

ელენე – რა გაყვირებს?

გოგი – ნატა ასე უგუნებოდ რად არის? ჰა, ცუდი გაბრაზება ვიცი, ერთ სულიერს ხო არ უნდა, ფასადი შევულამაზო?

ლატავრა – ვიზე ამბობ?

გოგი – იცის ნატამ!... ერთი დასტორღიალებს, მე კაცურად სიტყვა ჩავჩურჩულე. თუ სერიოზულად ფიქრობს, ჩემი თავი ენაცვალოს! *(მშობლებს)* ხომ არაფერი დაუჩივლია? არ დამიმალოთ! დილაზე საქმე მაინც არაფერი მაქვს!

ნაპო – *(თავისებურად გაიაზრა და დაასკვნა. წამოხტა)* ნატა!

ელენე – ნუ ყვირი ადამიანო!

ნაპო – როგორ, ჩემ ნატას ვინმემ აწყენინოს? გოგი, შენ გაჩერდი! ნატა მოვიდეს!

გოგი – ნატა, აქ მოდი! მამი, შენ გაჩერდი!

ნაპო – *(ელენეს)* დალოცვილო, უსიტყვოდ რომ გულს ასკდები, მე არ უნდა გამიმხილო? მამა ვარ!

ელენე – დამშვიდდით! ის ვიღაც ბიჭი არაფერ შუაშია. ნატას, უბრალოდ, თავი სტკივა.

ნაპო – *(საბოლოოდ დაიბნა)* აბა, ვეღარაფერი გავიგე. *(გოგიზე)* ეს ბიჭი არაფერ შუაშია, ის ბიჭიც არაფერ შუაშია...

ელენი – არის კიდევ ერთი ბიჭი, ბიჭუნი, და... ბეჩუნი...

ნაპო – *(უმწეოდ)* ქალბატონო ლატავრა... *(ლატავრა ადგა, ელენეს მოეხვია)*

ლატავრა – ჰელენ!

გოგი – *(ტაში შემოკრა)* რა ბრძანეთ, ქალბატონო? ჰელენ?! *(ნერვულად გაიცინა)* დედაჩემია და, არ ვიცოდი, თუ ჰელენ ერქვა! *(ნაპოზე)* ეს გლეხი კი ელენეს ეძახის! ჰელენ! როგორ ასწორებს! სხვანაირად არც შეიძლება. ქალმა საფრანგეთი მოიარა! სამი დღე-ღამე მდგარა ლუვრში ჯოკონდას წინაშე მუხლმოყრილი!

ელენე – შვილო, უცხოსი მაინც მოგერიდოს!

გოგი – უცხო რად არის, მაგისი გაზრდილი ვყოფილვარ!

ნაპო – გოგი!

გოგი – *(ლატავრას)* აბა, ჰკითხეთ, გუდამაყრისკენ გაუვლია? შატილში ასულა? ორ ნაბიჯზეა თუშეთი! ცხრა მთას იქიდან მოდიან სვანეთის სანახავად!

ლატავრა – თუშეთში იყიდი ამ ტანსაცმელს?

ელენე – *(უზომოდ ნაწყენი)* აი, ესა მკლავს, ლატავრა, ეს უმადურობა! საჭმელს ვიკლებდი, სასმელს, რომ კაპიკი კაპიკზე დამედო და ამათთვის რამე ჩამომეტანა! *(გოგის)* გავითვალისწინებ, შვილო, შენს შენიშვნებს. *(ლატავრას)* წარმოგიდგენია, – რად წახვედიო?! ხომ შეიძლება, ისე მოვმკვდარიყავი, პარიზი არ მენახა?

ლატავრა – ეიფელის კოშკზე ვერ ასულიყავი!

გოგი – ბედნიერებაა, დედი, რომ ნახე, მაგრამ უბედურებაა, რომ ბევრი ქართველი კვდება სვანეთისა და გუდამაყრის უნახავად!

ნაპო – *(გოგის, დატუქსვით)* შვილო, დედამ დაიმსახურა და ამ სიამოვნებას ყელში ნუ ამოადენ! მე შევპირდი, რომ მომავალშიც გავგზავნი, სადაც მოისურვებს...

გოგი – ცხვირსახოცებით მოგქრთამა, მამაჩემო?

ელენე – ეგ მერე. მაგ საკითხზე შემდეგ ვიკამათოთ... მე მგონი, მამა-შვილს ძალიან გაინტერესებდათ ნატას უგუნებობის მიზეზი. ნება მომეცით, მოგახსენოთ, ოღონდ, წინასწარ გთხოვთ, ნერვები მოთოკეთ და გული გაიმაგრეთ. *(ნაპომ და გოგიმ ერთმანეთს შეხედეს, გაქვავდნენ)*

ნაპო – *(ხმაჩამწყდარი)* რა მოხდა, ელენე?

ელენე – კიდევ კარგი, ლატავრა შემომესწრო, თორემ ნამდვილად გავგიჟდებოდი!

ნაპო – დროზე თქვი, ადამიანო, ჩვენს თავს რა ამბავია?

გოგი – *(იყვირა)* ნატა! შენ გაჩერდი, მამაჩემო!

ელენე – ნატას თავი დაანებე, გითხარი, ნატა არაფერ შუაშია... გოგი, შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და ვაჟკაცურად უნდა შეხვდე ყოველგვარ უბედურებას... შეუფერებელ საქციელს არ ჩაიდენ. რას ვიზამთ, ასე გვწერებია შუბლზე... მე და მამაშენი, ალბათ, დავშორდებით ერთმანეთს... თქვენ გულის გასახეთქი არაფერი გჭირთ. უბედურება, დამცირება ჩემს თავზე ტრიალებს! ჯერ არ ვიცი, შეიძლება მე წავიდე ამ ოჯახიდან, შეიძლება, მამაშენი წავიდეს, საითაც გული მიუწევს. ეს კია, რომ ორივეს ცხოვრება ერთ ჭერქვეშ აღარ შეიძლება... *(ცრემლებს ძლივს იკავებს)* შვილო გოგი, მამაშენს ისე უყვარხარ, ნატას მოვლა-პატრონობა რომ არ გაგიჭირდეს, თადარიგი დაიჭირა და დამხმარედ ძმა გაჩუქა! *(თავი ვეღარ შეიკავა)* ლატავრა! როგორ მომიხაროდა, პარიზიდან რომ მოვფრინავდი ქმარ-შვილში! ეს რა ცეცხლი წამეკიდა! *(ატირდა და აბაზანისკენ გაიქცა)*

ნაპო – ელენე, ელენე!.. გოგი!

ლატავრა – *(ელენეს კვალზე)* ვაი, შე საცოდავო, შენა!

ნაპო – ლატავრა! *(თავზარდაცემულმა ლატავრას ხელი მოჰკიდა და ცალკე გაიყვანა)* რა მეშველება!

ლატავრა – მე რითი გიშველოთ, ბატონო ნაპო?

ნაპო – თქვენ რომ მოხვედით...

ლატავრა – მე ერთი წუთით შემოვირბინე...

ნაპო – ჰო, ვიცი, თქვენ დედამთილს ბრმანაწლავი ამოაჭრეს... დავიღუპე, ლატავრა, ოჯახი მეღუპება!

ლატავრა – ბოდიში და მაგაზე ადრე უნდა გეფიქრათ!

ნაპო – როგორ უნდა მეფიქრა, თვალებში შევციცინებდი, ყოველნაირად ვცდილობდი...

ლატავრა – ბატონო ნაპო, ხომ იცით, ასეთი ჩეპე ბოლოს მაინც მუღავნდება ხოლმე.

ნაპო – მართალი ხართ. ვის დაუმალავ! არადა, ამხელა შვილები გვყავს, მეგობარ-ნაცნობებთან სირცხვილით თავი აღარ გამოეყოფათ! მეზობლებს ხომ ვერაფერს გამოაპარებ!

ლატავრა – მეზობლებმა, ალბათ, უკვე გაიგეს...

ნაპო – რას ლაპარაკობ! რანაირად?

ლატავრა – უცებ ისე შეჰკივლა!..

ნაპო – წყნარად იყო და უცებ შეჰკივლა?

ლატავრა – ტკბილად ვმუსაიფობდით, პარიზის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა, მერე მოულოდნელად დარეკეს...

ნაპო – ვინ დარეკა?

ლატავრა – რა ვიცი. კარი მაგან გააღო. გაიხედა და ისეთი სახით შემოვარდა, ტანზე დამბურძგლა. კიდევ კარგი, აქ ვიყავი!

ნაპო – ვინ იყო ის ჩემი ცოდვით სავსე? ერთი იყო, ბევრი?..

ლატავრა – აბა, რა ვიცი, მე რომ გავედი, აღარავინ იყო.

ნაპო – ახლა რა ვუყოთ? რას მირჩევთ?

ლატავრა – რთული საქმეა, ბატონო ნაპო... თქვენზეა, ბევრი რამ, დამოკიდებული.

ნაპო – ყველანაირად ხელს შევუწყობ... იქნებ, ასაკის ბრალიცაა. ჰო, ასაკის ბრალია.

ლატავრა – *(საყვედურით)* ასაკი რა შუაშია? ამ ასაკში ადამიანი უფრო არ უნდა დაღვინდეს?

ნაპო – მართალი ხართ, მაგრამ ამ ასაკში ზოგს ადვილად ემართება ასეთი ავადმყოფობა.

ლატავრა - ისეთი რა ავადმყოფობაა, ადამიანმა თავის შეკავება რომ ვერ შეძლოს?

ნაპო – ბევრიც ეცადოს, როგორ უნდა შეიკავოს თავი? ეს ნერვული სისტემის მოშლილობაა?

ლატავრა – *(გამოერკვა)* ბატონო ნაპო, თქვენ ჰელენზე ამბობთ? თქვენ გიჟი გგონიათ?

ნაპო – *(გამოერკვა)* მოიცა, თქვენ მაგ ნოტაციებს მე მიკითხავდით? თავის შეკავებაო, დაღვინებაო... ესე იგი, ღალატს მაბრალებთ? მაშ, ელენე ნორმალურია? *(გახარებულმა ლატავრას აკოცა. გამოდის ელენე. მრისხანე მზერა ესროლა ნაპოს. მერე ტაში დაუკრა)*

ელენე – ვაშა! აღარც შინაურები დაინდო!

ნაპო – *(გახალისდა. გოგის აკოცა)* მეგონა დავიღუპეთ! ეს რა შიში ვჭამეთ! ახლა დინჯად და დალაგებით მითხარი, ქალბატონო ელენე, რა ცოდვა მიმიძღვის, რა ჭორს ავყევით!

ელენე – სხვაგვარ პასუხს არც ველოდი! სერიალებშიც ასე ხდება, მაგრამ თქვენ მალე ჩიხში აღმოჩნდებით და თავს ვეღარ დაიძვრენთ!

ნაპო – ბრძანე, გენაცვალე, და იმედი მაქვს, „თქვენობიდან“ მალე ისევ „შენობით“ ლაპარაკზე გადახვალ.

ელენე - შარშან სად ბრძანდებოდი?

ნაპო – „შარშან“ მთელი თორმეტი თვეა, როდის?

ელენე – ზაფხულში!

ნაპო – გაგრაში.

ელენე – ტყუი!

ნაპო – შენს თავს ვფიცავ!

ელენე – გმადლობთ! ბილეთი მაჩვენე!

ნაპო – ბილეთი ახლა საიდან მოგიტანო?

ელენე – ლატავრა, გაგრის ბილეთი არა გვაქვს!

გოგი – თქვენ რა ნახალკას ტენით მამაჩემს? ამ კომედიას არ მოეშვებით?

ელენე – შენ გაჩერდი, თუ გინდა, ყველაფერი გაიგო! ამ კომედიას საინტერესო ფინალი აქვს.

ნაპო – მიდი, მიდი, გააგრძელე!

ელენე – შენ შარშან გაგრაში არ ყოფილხარ.

ნაპო – მა სად ვიყავი?

ელენე – ბორჯომში!

ნაპო – ბორჯომის ბილეთი მიპოვე?

ელენე – დიახ, სამოცსანტიმეტრიანი!

ნაპო – *(ისევ შეშფოთდა და ლატავრა ცალკე გაიყვანა)* ლატავრა, ჩემი ეჭვი მართლდება, ისევ დაიწყო უაზრო ლაპარაკი! *(ელენეს მოფერებით)* ელენე, შენი ჭირიმე, დამშვიდდი, მართალი ხარ, ბორჯომში ვიყავი, იქ ერთ ქალთან რომანი მქონდა. უნდა მაპატიო. აი, შენი მეგობარი თავდებად დამიდგება. ოღონდ შენ იყავი...

ელენე – *(ცივად)* მაშ, შენ აღიარებ...

ნაპო – ვაღიარებ. ახლა წამო, დავიძინოთ. დავიღალეთ, ამდენი განცდა, ამდენი ემოცია... კონიაკმა აღგზნება იცის...

ელენე – *(იყვირა)* არ მომეკარო! *(ნაპო, ალბათ გაგიჟდებოდა, რომ არ გაეგონა ბავშვის ტირილი, რამაც გააოცა. ყველა სმენად იქცა)*

ნაპო – ეს რა არის?

ელენე – ბორჯომის ბილეთი! ნატა, გამოიყვანე შვილო, შენი ძმა და უფროსი ძმა გაიცანი! *(ნატას გამოჰყავს ბავშვი)*

გოგი – ვა! ბავშვი! საიდან?

ელენე – მამაშენს ჰკითხე, დაწვრილებით ეგ აგიხსნის!

გოგი – *(ბავშვს დახედა)* ნამდვილი ბავშვია! *(მივარდა მამას და გადაკოცნა)* ყოჩაღ, მამაჩემო, ვაჟკაცი ხარ!

ნაპო – მოიცა, ნუ სულელობ! *(შიშმა გაუარა, ახლა გულწრფელადაა დაინტერესებული)* აქ საიდან გაჩნდა?

ელენე – აქ კი არ გაჩნდა, ბორჯომში გაჩნდა და აქ მოგიყვანეს, კართან დაგისვეს!

ნაპო – *(ლატავრას)* აჰა, ამან დარეკა. ეს როგორ დარეკავდა, სხვამ დარეკა და ამან შეაშინა. *(ერთ წამს ჩაფიქრდა, მერე გოგის ხელი მოჰკიდა და*

ცალკე გაიყვანა) ბიჭო, თუ შენი ნაეშმაკარია, მითხარი, არ გაგიწყრები, გაგიზრდი!

გოგი – ახლა, ქალებო, შებრძანდით, შებრძანდით, *(ხელი მოჰკიდა და ქალები გაჰყავს)* მამაკაცებს გვაცალეთ, მოვითათბირებთ *(ქალები გაიყვანა. დაბნეულ და ჩაფიქრებულ ნაპოს)* ბორჯომში?

ნაპო – *(იმედით)* ჰო, ეგრე თქვა დედაშენმა.

გოგი – შარშან... ზაფხულში...

ნაპო – მე მახსოვს, ბორჯომში იყავი.

გოგი – მე და გოჭო... მაგრამ ერთი დღით ვიყავით.

ნაპო – ერთი დღე, შვილო ტყუპებისთვისაც საკმარისია.

გოგი – გამორიცხულია, მამაჩემო.

ნაპო – მიდი, გოჭოსთან დარეკე, იქნებ იმასაც დაუსვეს ბავშვი!

გოგი – გამორიცხულია-მეთქი. ჩვენ მაშინ ისე დავთვერით, მაგისი თავი ვისა ჰქონდა? რო ჩამოვედი, ხო გიამბე?

ნაპო – ჰო, ჯიბეები გაგისუფთავეს.

გოგი – შენ მარტო შენი ფინანსების დარდი დაგხსომებია.

ნაპო – იქნებ სიმთვრალის გამო აღარ გახსოვს, რომ სექსი გქონდათ?

გოგი – ვარიანტი არ არის, ბოლო, რაც მახსოვს, ერთმა თქვა, ახლა საქმეო!

ნაპო – აჰა! რას გეუბნებდი?

გოგი – დამაცადე, მე საწოლისკენ წავედი...

ნაპო – *(უფრო მეტი ინტერესით)* მერე?

გოგი – მერე აღარაფერი მახსოვს. როცა გამომეღვიძა, ჩაცმული ვიწექი. ქუდიც კი ისევ თავზე მეხურა!

ნაპო – *(პაუზა)* იქნებ გოჭომ ივაჟკაცა?

გოგი – არა. ის მანამდე გაითიშა, უცებ, მაგიდასთან. მართლა გოჭივით, ბოლოკი ისევ პირში ედო! რა გაგვირიეს სასმელში, ასე რო გაგვთიშეს! თანაც, ისინი ბორჯომელები კი არა, ტურისტები იყვნენ.

ნაპო – ესე იგი, ეგ ვარიანტი მოიხსნა.

გოგი – ასიანი! შენც იფიქრე, მამაჩემო, ხომ უნდა გავარკვიოთ, ვისი ძეა? ნუ გეშინია, თუ შენი ბავშვია, ჩემ თავზე ავიღებ!

ნაპო – *(ფიქრს შეება)* ბორჯომი... ბორჯომი შარშან... არა, ბიჭო, გაგრაში არ ვიყავი?

გოგი – იქნებ გაგრაში იყო ბორჯომელი ქალი?

ნაპო – *(ისევ ჩაფიქრდა).* აჰ, არა!.. ერთი კი იყო ბორჯომელი, თვალშიც მომდიოდა, მაგრამ...

გოგი – ჰო, მიდი, ნაპო, აქ მარტო ჩვენა ვართ!.. თვალში მოგდიოდა, მერე?

ნაპო – *(გულდაწყვეტით)* რა მერე, არ გავკარებივარ, ჭამის დროს სლოკინი იცოდა! აბა, დისტანციურად ხო ვერ დაორსულდებოდა?

გოგი – ესე იგი, ეგეც გამოირიცხა... ვახ, ცაიტნოტში ვართ! მიდი, კიდევ იფიქრე, შენს ასაკში სკლეროზი გამორიცხული არ არის.

ნაპო – რას ამბობ! ასეთ საქმეში სკლეროზი არ არსებობს!

გოგი – რას ფიქრობ, რა ეროვნებისა იქნება ეს ბავშვი?

ნაპო – ტირილზე რას შეატყობ? ყველა ბავშვი ერთ ენაზე ტირის.

გოგი – აბა, აზრზე არა ვარ. ზღვისპირა ქალაქები რო თქვა, კიდევ შეიძლება, ვიფიქრო, ბორჯომში, კაპიტალურად, ბავშვობის მერე არ ვყოფილვარ. მოდი, ნაპო, რა ვქნათ, იცი? „კავკასიური ცარცის წრეში“ როა, ეს ბავშვი გავქაჩოთ, შენ იქით, მე – აქეთ. ვინც გადაძალავს, იმისი იყოს!

ნაპო – *(გაღიმა)* რას ამბობ, ბიჭო, თოთოა! შუაზე ხო არ გავგლეჯთ!

გოგი – შენი ბავშვი ყოფილა, მამაჩემო, შენ შეგეცოდა!

ნაპო – უგულო ხარ, ბიჭო, ჩვილ ბავშვზე ასეთი ხუმრობა შეიძლება?

გოგი – ხომ არ შეგიყვარდა?

ნაპო – შენ კი არა?

გოგი – ჩვენი რომ იყოს, შემიყვარდებოდა.

ნაპო – მერე, ჩვენ ბავშვს წინ რა უდგას?

გოგი – ბავშვისთვის ქალია საჭირო, მე ხომ არ გავაჩენ?

ნაპო – რა გაგიჭირდა ისეთი? ამდენი ქალია, არჩევა გიჭირს?

გოგი – ამდენი ქალი როა, საქმე სწორედ ეგ არის. მაგარ სუფრაზე რო მოხვედრილხარ, თვალები აგჭრელებია, არ იცი, რომელი გადაიღო, ხიზილალა, საცივი, ჩაქაფული...

ნაპო – ამასობაში მშიერი დარჩენილხარ!

გოგი – შენც გამოგიცდია, არა? სუფრაზე მარტო ლობიო რო დაგხვდება, ეგრევე დააცხრები, ფიქრი აღარ გინდა! მამაჩემო, საკითხს გადავუხვიეთ, ქალები გველოდებიან. *(სადაც ქალები არიან, იმ ოთახის კართან მივიდა)* გამობრძანდით, ქალებო! *(სწრაფად გამოვიდნენ ქალები, ჩანს, გამოვარდნაზე იყვნენ)* ჩვენ ყველა შესაძლო ვარიანტი ავწონ-დავწონეთ. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიმართ ბრალდება ცილისწამებაა. აქ რაღაც გაუგებრობაა!

ელენე – შენ ხომ არ გაუბერე? ამხელა ბავშვი, რომელიც ყოველ ხუთ წუთში ისველებს, გაუგებრობაა?

ნაპო – შეიძლება, პროვოკაციაა!

ელენე – *(ლატავრას)* წედან აღიარა, ახლა პროვოკაციაა!

ნაპო – ღმერთი, რჯული, ხატი!

გოგი – დავწყნარდეთ!.. მამაჩემო! *(გულზე ხელი მიიდო და თავი დახარა)* მაპატიეთ! თქვენი მეშინოდა და გიმალავდით. ეს ბავშვი ჩემია!

ელენე – უსინდისო ხარ!

გოგი – ვარ!

ელენე – უსინდისო ხარ, რომ იტყუები!

გოგი – არ ვიტყუები. გახსოვთ, შარშან ბორჯომში ერთი დღით რომ დავიკარგე?

ელენე – *(წამით შეყოვნდა)* მამის დახსნა გინდა, მაგრამ ეს ბავშვი არ შეიძლება, შენი შვილი იყოს!

გოგი – *(იწყინა)* რატომ? იმპოტენტი ვარ? მოწმეებს მოგიყვან!

ელენე – მაგრამ სოლიდური ასაკისა არ ხარ.

გოგი – ამ საქმეს სოლიდურობა რათ უნდა?

ელენე – *(წერილი ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დააგდო)* წაიკითხეთ.

გოგი – ბავშვის აღიარებითი ჩვენებაა?

ელენე – გეშინია, ხელი არ დაგეწვას?

გოგი – *(წერილი აიღო და კითხვა დაიწყო)* „მე გუმანით ვგრძნობდი, რომ ჩემთან გულწრფელი არ იყავი, მაგრამ მაინც მოვტყუვდი, ვენდე შენს დაპირებებს და სოლიდურ ასაკს“...

ელენე – *(გააწყვეტინა)* ახლა გაიგე? სოლიდური ასაკი! ადრესატი მამაშენია!

გოგი – *(კითხვას აგრძელებს)* „შენც სხვებივით ფლიდი ყოფილხარ“... ეს ბარათი მამას არ ეკუთვნის. მამა ფლიდი არ არის!

ელენე – *(ვეღარ ითმენს)* მიდი, ბოლომდე ჩადი!

გოგი – ნამეტანი ხელგაშლილი ყოფილა ის ქალი! ნახეთ, „სხვებივით ფლიდიო“! უანგარიშო კლიენტურა ჰყოლია, ხომ შეიძლება, სათვალავი და ადრესატი არეოდა?

ელენე – ტექსტის ანალიზს მოეშვი, ჩადი ბოლომდე!

გოგი – ჩავდივარ! *(კითხულობს)* „შენ, ალბათ, ჩემსავით ბევრი მოგიტყუებია და ანგარიში რომ არ აგერიოს, გაგახსენებ...“ *(უცებ ისტერიული სიცილი აუტყდა)*

ელენე – *(ლატავრას)* ჭკუაზე აღარ არიან ეს უბედურები!

გოგი – *(როგორც იქნა, სული მოითქვა)* გოგო, კითხვა არ იცი? წაკითხულიდან შინაარსი არ უნდა გამოიტანო?

ნატა – *(დაბნეული)* მე არ წამიკითხავს.

გოგი – აბა, ვინ წაიკითხა?

ლატავრა – რა შუაშია, ვინ წაიკითხა? რა ფილოსოფია მანდ წერია? ან რა წაკითხვა უნდა, გენაცვალე, ამხელა ბავშვს კიდევ სხვა რა ინსტრუქცია უნდა?

გოგი – უნდა! აბა, მოუსმინეთ! „გაგახსენებ: ბორჯომი, ონკოლოგთა სიმპოზიუმი. შარშანდელი აგვისტო“... გაიგეთ?

ელენე – რა გაგება უნდა? ბორჯომი, შარშანდელი აგვისტო!

გოგი – დედი, შენ ფრანგული გეხერხება და ქართული დაგავიწყდა! აქ წერია: „ბორჯომი, ონკოლოგთა სიმპოზიუმი“. რომელი ონკოლოგი ნახე მამაჩემი? რა უნდოდა პარიკმახერ კაცს ონკოლოგების სიმპოზიუმზე? გაგრა გაუბორჯომე, კარგი, შეგრჩეს. ახლა, ეს პარიკმახერი კაცი აკადემიკოსების გვერდით პრეზიდიუმში წამომიჭიმე! რა დაგემართათ? სხვა სადარდებელი არა გაქვთ?

ლატავრა – *(გოგის)* მაჩვენე ეგ ქაღალდი, რა წერია!

გოგი – *(ქაღალდი მისცა)* ვახტანგ მეექვსეს შემდეგ მეცნიერები თავს იმტვრევენ, „ვეფხისტყაოსანს“ ჩაჰკირკიტებენ და ერთი სტროფი ვერ გაშიფრეს. რას იტყვი, ნაპო, იქნებ ამათ ამოხსნან, იმ სტროფში რა წერია?

ლატავრა – *(ქაღალდი მაგიდაზე დააგდო)* დაცინვას კაცი არ მოუკლავს!

გოგი – მართალი ბრძანდებით. მაგრამ ეჭვიანობას და უნდობლობას კი შეუძლია ეგ საქმე! *(ნატა ნაპოს მიეფერა)*

ნატა – ნახე, დედა ტირის!

ნაპო – უთხარი, დამშვიდდეს. ხომ არა გგონია, რომ მეწყინა? პირიქით, ღალატი რომ დამწამა, ესე იგი, კიდევ ჯელი ვარ! *(ბავშვის ტირილი)*

ლატავრა – კიდევ ჩაისველა ამ მაიმუნმა? *(ქალებმა მოინდომეს ბავშვის აყვანა, ყველას ელენემ დაასწრო. ბავშვი აიყვანა და ხელებით რწევა დაუწყო, თან რაღაცას მორცხვად ღიღინებს)*

გოგი – *(უცებ შეჰყვირა და დაფაცურდა)* თამრიკო! თამრიკო!

ლატავრა – გენაცვათ, თამრიკო ვიღაა?!

გოგი – იქ იდო! სერვანტის უჯრაშია! *(შევარდა თავის ოთახში)*

ლატავრა – *(ელენეს)* ვინ თამრიკოა, ქალო, სერვანტის უჯრაში? *(ელენე ღიმილით პასუხობს და ბავშვს არწევს. გოგის ოთახიდან ისმის სიმღერა „იავნანა“ კინოფილმიდან „იავნანამ რა ჰქმნა?“ ყველა გახალისდა და გაბავშვდა, ჩვილის ირგვლივ აცეკვდნენ. ტირილი შეწყდა. გოგი გამოვიდა და ამ სცენას ღიმილით უყურებს)*

ნატა – დედი წყალი გავამზადო?

ელენე – ვაბანაოთ?

ლატავრა – ვაბანაოთ! ფრანგული საპონი გვაქვს!

ელენე – შამპუნი ჩამოვიტანე ისეთი, ტაშტში ბეგემოტი რომ ჩააწვინო, შვლის ნუკრს ამოიყვან!

ლატავრა – დედა, რა დონეა!

ნაპო – ბანაობის პროცესს მამაკაცებიც დაგვასწარით, თუ შეიძლება?

ელენე – შეიძლება. ესეც თქვენი ჯოგისაა. *(ზარი კარზე. ლატავრა აღებს. შემოდის შუახნის მამაკაცი)*

მამაკაცი – ბოდიში, პატივცემულნო, ბოდიშით! თუ შეიძლება, ეგ ბავშვი მომეცით, პატარა გაუგებრობა მოხდა.

ნაპო – თქვენ ვინ ბრძანდებით?

მამაკაცი – ვინ ვარ მე, რაში გჭირდებათ თქვენ. მოქალაქე ვარ, მაგალითად. დიდ ბოდიშს ვიხდი, პატივცემულნო, ეს მე დავდე ბავშვი ამ კართან ორიოდე საათის წინ.

გოგი – რომ გაგკრავ მაგ ჟანგიან ყბაში, ქუჩაში ლიფტს ჩაასწრებ!

მამაკაცი – რატომ ასე აგრესიულად, ახალგაზრდავ, მე ვიცი გასაკრავი ვინც არის, მაგალითად!

ლატავრა – ამ ბავშვის მამა, გასაკრავი კი არა, ეიფელის კოშკიდან უნდა გადმოაგდო!

მამაკაცი – მე რომ მკითხოთ, ამ ბავშვის მამა იმდენად არ ტყუის, რამდენადაც ამ მასივის დამპროექტებელი. თქვენი მეშვიდე მიკრორაიონის „ა“ კვარტალის მე-13 „ბ“ კორპუსი ყოფილა, მაშასადამე, მე ამავე, ანუ მეშვიდე მიკრორაიონის „ა“ კორპუსის, კორპუსის კი არა, „ა“ კვარტალის მე-13 „ბ“ კორპუსში, „ბ“ კი არა... *(ქაღალდს ჩახედა)* მე-13

„ა“ კორპუსში უნდა მიმეყვანა ეს ბავშვი. აი, პატივცემულო, ნახაზი, არის რამე განსხვავება?

ელენე – „ა“ კორპუსი ჯერ არ აშენებულა.

მამაკაცი – ხუმრობს ქალბატონი? აბა, „ბ“-დან დაიწყეს?.. დიდ ბოდიშს გიხდით, პატივცემულო, მე მხოლოდ ახლობელის დავალებას ვასრულებ. *(დაბნეული ელენე ბავშვს არ აძლევდა, მაგრამ ძალით გამოართვა)* კიდევ და კიდევ ბოდიში, პატივცემულნო! *(სწრაფად გადის. ყველა სახტად დარჩა. ისევ ზარი. გოგი კარს აღებს, ბრუნდება მამაკაცი)* ისევ ბოდიში, პატივცემულნო, წერილი დამრჩა, თუ არ დახიეთ. *(წერილი მისცეს)* ახლა კი დავიხსომე, როგორც იქნა, „ბ“ კვარტალის, ესე იგი, „ბ“ კორპუსის...

ნაპო – *(განწირულის ხმით)* „ბ“ კორპუსი ჩვენია!

მამაკაცი – ისევ ბოდიში, პატივცემულნო! ესე იგი, ჩვენ გვინდა... თავს აღარ შეგაწყენთ. *(გოგის, რომელიც გაცილებას აპირებდა)* ახლა გაუკრავადაც ჩავასწრებ ლიფტს, ახალგაზრდავ, თქვენი ლიფტი პერერივზე გასულა! (აქ დამთავრდა სიმღერა „იავნანა“. მამაკაცის წასვლის შემდეგ რამდენიმე წამს უძრავი სცენა, სრული სიჩუმე)

ნაპო – *(პირველად ეს დაუბრუნდა რეალობას. გოგის)* გამორთე, შვილო, ის ფირფიტა, წვალობს. *(გოგი გადის. ყველასათვის მოულოდნელი იყო ლატავრას სიცილი)*

ელენე – *(გაღიზიანებული)* შენ რაღა დაგემართა, გოგო?

ლატავრა – ცხვირსახოცები! ფრანგული ცხვირსახოცები გაჰყვა!

ელენე – *(უცებ მოლბა)* კიდევ დაგვრჩა. *(ცხვირსახოცები გამოიტანა)* იმ მაიმუნმა ავტოგრაფებიანად დაგვიტოვა! *(ცრემლიანი თვალებით დასცქერის, დასუნა)* ისევ სველია! *(ლატავრას)* უსუნე, ფრანგულ სუნამოს თუ არ სჯობია!

ლატავრა – *(დაყნოსა)* გენაცვალე, ამ დარგში კი ვჯობივართ ქართველები ყველას! *(ეტყობა, ყველას თვალწინ დაუდგა მოულოდნელი პატარა სტუმარი, სახეზე ღიმილი გადაეფინათ)* ახლა ის კაცი დაეძებს „ა“ კორპუსს... ჰელენ, მართლა არ აშენებულა „ა“ კორპუსი? თუ, მოატყუე?

ელენე – არ მომიტყუებია. დღესასწაულისთვის უნდა ჩაებარებინათ ეს კვარტალი და „ა“ კორპუსი დავიწყებიათ. სამაგიეროდ, „ა“ კორპუსი მერვე კვარტალს ორი აქვს!

ლატავრა – ახლა იმ კაცმა ბავშვი იმ „ა“ კორპუსში რომ მიიყვანოს?

ნაპო – *(იქუხა)* გოგი! გოგი! *(გოგი, ჩვეულებისამებრ, შეუმჩნევლად გამოსულა)*

გოგი – *(თითქოს ამ ხმას ელოდა, მყისვე)* რას მიბრძანებ, დიდო მეფეო!

ნაპო – გავარდი და იმ დეგენერატს დაეწიე, ჩვენა ვართ-თქო „ა“ კორპუსი! *(და უკვე „გავარდნილ“ გოგის დააწია)* საქართველოში სად არი გადასაგდები ბავშვი!

დასასრული
1980 წ. ივნისი

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან

მოქმედი პირები

ყარამანი
რაჟდენი
გენო
სიკა
მარო
გოჩა
ხათაბალა
ვაჟბედი
არჩილა
ვანო
კოტე
ელიკო
ილიკო
ნუცა
თამარი

თითქმის ყოველი სურათი იწყება და მთავრდება სიმღერით „კეკელა და მარო“. ეს, შეიძლება, მაყურებლისთვის მოსაწყენი იყოს, მაგრამ უნდა მოითმინოს, რადგან პიესის გმირებიც ითმენდნენ: რას იზამ, სოფლის რადიოკვანძში სხვა ფირფიტა არ ჰქონდათ.

პირველი სურათი – „კრება“

ეტყობა, ვიღაცა ყანაში მუშაობს. თოხს ურტყამს და თან საბერველივით რიტმულად ქშინავს: „ჰე!.. ჰე!..“ ეს სპექტაკლს ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს, რომელიც ხან ძლიერდება, ხან მინელდება, მაგრამ გვესმის მუდამ, განსაკუთრებით – კრების, ქეიფის თუ უშინაარსო საუბრის დროს. წყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სცენაზეა ყარამანი.

ცნობილი სიმღერა „კეკელა და მარო“.

ფარდის გახსნამდე რადიოკვანძიდან ისმის ქალის ხმა:

– ყურადღება! ყურადღება! საღამოზე, მზე რო ჩავა, კლუბში შედგება კოლმეურნეთა საერთო კრება. ყველა უნდა დაესწროს! ვიმეორებ: ყველა უნდა დაესწროს! კრების შემდეგ ნაჩვენები იქნება ახალი ინდური მხატვრული ფილმი „ბაიჯუ ბავარა“... ვიმეორებ... *(უცებ შეჰკივლა)*

– უიჰ! გოჩა!

კაცის ხმა – *(ეტყობა, მთვრალია)* გოგო!..

ქალის ხმა – კიდე დალიე?

კაცის ხმა – რო არ დავლიო, დარდი დამლევს!

ქალის ხმა – არ მომეკარო, თორემ ვიკივლებ!

კაცის ხმა – იკივლე რა, ვინ გაიგებს?!
ქალის ხმა – ფუჰ! სპირტითა ყარხარ! ასანთი რო გავკრა, აფეთქდები!
კაცის ხმა – ვაჰ, შენი ჭირიმე, გაკარი და მომიკიდე! სად იშოვნე ასანთი?
ქალის ხმა – რა გინდა, ბიჭო, რაა?.. უი, ღია დამრჩენია! *(მიკროფონი გამორთო)*

იხსნება ფარდა. კლუბი. მაგიდა პრეზიდიუმისათვის. ტრიბუნა და ხის გრძელი სკამები. დარბაზი გრძელდება კულისებში. პრეზიდიუმის მაგიდაზე დგას ილიკო და კედელზე ჩამოკიდებულ ბრეჟნევის ფერწერულ პორტრეტზე ახალ ვარსკვლავს ხატავს. ვაჟბედი გრძელი სკამის ბოლოს კედელთან მიმჯდარა და ვერ გაიგებ, სძინავს თუ ღვიძავს. *(ვაჟბედი კუზიანია და კოჭლი)*

გენო – *(შემოდის საქმიანი იერით. დარბაზს თვალი მოავლო. ვაჟბედს)* ე! შენ ერთი ხარ? ეს არის საერთო კრება?!
ვაჟბედი – *(ღვიძებია)* მა, კაცო, ერთი ვარ და კრებაც ხო საერთოა...
ილიკო – ერთსულოვანი დასწრებაა, ძია გენო.
გარედან სიმღერის ხმა: ჩვენი სოფლის მაღაზია
ფერდაზეა, მაღალზეა,
შიგ არაფერი აწყვია,
მაღაზია რაღაზეა.
გენო – *(ფანჯრიდან გადასძახა)* სხვა არაფერი იცი, ბიჭო?
ხმა – საპარადოი? როგო არ ვიცი? *(სიმღერა)*
ვენაცვალე ჩვენ თავკაცებს,
ეს რა დონეს მივაღწიეთ,
ათ წელიწად ვერ გამოვლევ,
რაც შარშან გამინაწილეს.
გენო – მზე აღარ ჩავიდა თქვენთვინა? კრება არ დავიწყოთ?
ხმა – ე! რა ჩუმათ ჩასულა მზეი! *(გენო ცივად გამობრუნდა)*
გენო – დროზე, ილიკო, რაიკომის მდივანმა არ მოგვისწროს!
ილიკო – მოგვისწროს, ძია გენო, ხო არ ვართმევ, ახალსა ვკიდებ.
(შემოდიან ვანო და არჩილა. არჩილამ შეაჩერა ვანო, რომელიც ჯდებოდა)
არჩილა – მოიცა, ვანო, ეს ის სკამი არ იყოს! *(ვანო მივიდა სკამის მეორე კიდესთან)* ერთი, ორი და... სამი! *(ორივე ერთდროულად დაჯდა სკამის თავსა და ბოლოში)*
გენო – *(ისევ ფანჯრისკენ წავიდა)* ციცო, ეგრე კარგათა დგანან ეგ ბალღები. როგორც კი რაიკომის მდივანი მაგ ზეწარს ჩამოხსნის, ხუთმა ყვავილები ლენინს დაულაგოს ფეხებთანა, გოჭოს გოგომ კი ეგ თაიგული მდივანს მიართვას. აბა, გიმნი ერთიც გავივარჯიშოთ!
ხმა – ჰიმნი რო არ იციან? თქვენა „ინტერნაციონალნი“ არ გვითხარი?
გენო – ეგ არი გიმნი! პარტიული. ლენინი ხომ პარტიაა!

არჩილა – ლენინი და პარტია ტყუპები არიან...

გენო – *(წყრომით მოხედა)* გაგატყუპებ მე შენა! *(ფანჯარაში)* აბა, ციცო! ერთი, ორი და სამი! *(დაიწყო სიმღერა. ხელებს დირიჟორივით აყოლებს. გარედან ბავშვების შეუწყობელი ხმები)* „აღსდეეექ ბეჩავო შრომის შვიილო... *(გენომ ხელით ანიშნა დარბაზში მყოფთ, ფეხზე ამდგარიყვნენ. ვანო და არჩილა სინქრონულად ვერ ადგნენ, სკამი წაექცათ და ვანო იატაკზე აღმოჩნდა, თუმცა სიმღერა არ შეუწყვეტია)... ქვეყაანავ მშიერ მონების... (გენომ უკმაყოფილოდ შემოკრა ტაში და სწრაფად გავიდა. ვანო და არჩილა სკამს ამაგრებენ)*

არჩილა – ეხლა ძეგლს რო მიტკალს ჩამოხსნიან, ლენინს თვალებში როგორღა უნდა შეხედო?

ვანო – რას მერჩი, კაცო?!

არჩილა – გიმნს დაწოლილი რათა მღეროდი?

ვანო – ეხლა, თუ სიმართლე გინდა, მაგ დროს ფეხზე არც უნდა ვდგებოდეთ.

არჩილა – ჰა, ჰა, ნუ გაუტიე სიკა მასწავლებელივითა!

ვანო – აი, ქალაქელი ბიჭი აქ არი და ვკითხოთ. ილიკო, „აღსდექ, ქვეყანავ მშიერ მონებისაო“ და მთელი საბჭოთა კავშირი ფეხზე დგება. რა გამოდის? მშიერი მონების ქვეყანა ვართ? ბოდიში! ეგ იქ ადგნენ, კაპიტალისტებში! ზანგები!

არჩილა – მართალი ხარ, ხო იცი! აბა, ვინ არი ჩვენში მშიერი და თანაც მონა? ჰა, ერთი თავმჯდომარე, მეორე – გენო ბუღალტერი...

ვანო – ეგ არი რა, სულა. *(სული მოითქვეს, ტანსაცმელი დაიფერთხეს, ილიკოს გახედეს)* რა არი ცოდნა, ჰა? რა მარჯვენა გაქ, დალოცვილო! *(არჩილას)* ნამდვილი მენდალივით არ დაჰკიდა?

არჩილა – ცოტა დიდი კი მოსვლია, მაგრამ ეკუთვნის, კაცო! აგე, რო თქვა, ორმოცი წელია, არ გვიომნიაო!

ვანო – რათ უნდა გვეომნა, კაცო!

ილიკო – *(მათკენ მოტრიალდა)* ახალი ანეგდოტი იცით?

არჩილა – ჰო, მიდი, მიდი, ცოტა გაგვანათლე, მანამ გენო შემოგვისწრებს.

ილიკო – ამანა რეიგანს უთხრა: თქვენა, კაპიტალისტები, უფსკრულის პირას დგახართო. რეიგანმაც უპასუხა: მართალი ხარ, კი ვდგავართ უფსკრულის პირასაო.

ვანო – ვა, აღიარა?!

ილიკო – ჰო, დაეთანხმა. ვდგავართ უფსკრულის პირას და თქვენ ჩამოგყურებთ, იქიდან რანაირად ამოგიყვანოთო! *(ვანოს და არჩილას სიცილი წასკდათ, მაგრამ უმალ პირზე ხელი აიფარეს)*

ვანო – შენა, არჩილავ, წეღანა მოისმინე უკანასკნელი ცნობები?

არჩილა – რამე იყო?

ვანო – გოჩასა ნუცა ჰყვარებია, რადიოკვანძში რო მუშაობს. იქ მიეჭრა. მართალ გეუბნები, რადიომა თქვა.

არჩილა – ე თავმჯდომარე ჭკუას ჩვენ გვარიგებს და შვილი კი ქვასროლია გამოუვიდა.

ვანო – ჭკუის დარიგებას მოეშვას, მაგან ის დაგვირიგოს, რაც შრომადღეებზე გვერგება... მაგრამა მაგისი ბრალიც რო არ არი! გენოსა ასე ჰყავ მუჭში გამოჭერილი თოხი ტარივითა. არ გახსოვს, სპასიბას დროსა როგორ შემოგვნატროდნენ ლიახვგადაღმელები?

არჩილა – ის ღვთისნიერი კაცი იყო.

ვანო – იმიტომაც გაუშვეს ღმერთთანა. აქედანა გენო ბომბავდა რაიკომსა, იქიდან რაიკომი ისროდა რევიზიებსა. ჩვენ ამ ორცეცხლშუა მოვყევით, სპასიბას კი გული გაუხეთქეს. კაცის გული პაკრიშკასავით არი, ცვდება, ცვდება და უცებ – ბუჰ! იმას ხელახლა მაინც გაბერავ, გულს რას უზამ? მე იცი რა გამკვირვებია? გენომ რაღა სპასიბა ამოიღო ნიშანში, თუ ეგეთი დიდი კაცი ჰყავ ზემოთა, თავმჯდომარეობა არ ერჩივნა?

არჩილა – რაჟდენასნაირი რბილი კაცი ურჩევნია ფარათა, როგორც უნდა, ისე ხმარობს. თითონ ქერის ორმოში ზის, თავმჯდომარეც ეგ არი და ბუღალტერიცა...

ვანო – პარტკომიცა.

არჩილა – პრარაბიცა. როგორი სასახლე წამოჭიმა?

რაჟდენი – *(შემოვიდა)* სულ ესენი ხართ?

ვანო – მოვლენ, რაჟდენ, მზე ეხლა არ ჩავიდა?

რაჟდენი – მიდი, ნუცას უთხარი, კიდე გამოაცხადოს!

ვანო – ვერ ავდგები.

რაჟდენი – რათა, კუტი ხარ?

ვანო – არჩილა გადაყირავდება.

რაჟდენი – *(არჩილას)* შენ მაინც წადი!

არჩილა – აბა, როგორა, ეხლა ვანო გადაყირავდება.

რაჟდენი – ოი, ნეტა ამ ახალმა მდივანმა ახალი თავმჯდომარე დაგისვათ, რო, რა სისხლიც დაგრჩენიათ, ეგეც ამოგწუოთ! *(გადის)*

ვანო – ჰო, ჰო, რა ნიშანდურწასმულებივით დარბიან!

არჩილა – შიშმა ეგრე იცის. ამ ახალ რაიკომის მდივანზე ამბობენ, ღვთის რისხვააო. თუმცა რას გასწავლი? როგორ იყო, ცხვრის თაობაზე რო დაგცოფა?

ვანო – სუ მუშტები მიბაგუნა მაგიდაზე.

არჩილა – შენ რაღა უთხარი?

ვანო – რა უნდა მეთქვა? მე ხო არ მიბაგუნებდა? მაგიდაც იმისი იყო და მუშტიცა.

არჩილა – რო დაგვესწრება, ნახე, რეები ვთქვა? კინოსა მთხოვენ, აპარატი ვერ შევაკეთებინე. მე ხო არ გავაშუქებ იმ მიტკალსა?

ვანო – შენ რა გიჭირს, დაშლილია თუ აწყობილი, ის აპარატი სახეზე გაქ. ჩემ ცხვარს რა ვუყო? გეფიცები, ნადირისაც მცხვენია, სუ რო მაგათ ვაბრალებთ! არადა, რო ყველაფერი ვთქვათ, ისევ რაჟდენა გაიჭყლიტება. ეს ყაჩაღი გენო დაღუპავს მაგასა და მეცოდება!

არჩილა – გენოს თანდასწრებით ხო როგორა გვცოფავს რაჟდენა, მარტო როა, ცვილივით არი. იმ დღეს ჩემთან შემოვიდა კლუბშია. აი, შენ რო

წახვედი. ისიც გრადუსებში იყო ცოტათი, გოჩას გაებრაზებინა. მე მივხვდი, თითონ კი არაფერი უთქვამს. „შირაკა სტრანა“ დამაკვრევინა, ერთი ათჯერ, ხო იცი, როგო უყვარს! რო მიდიოდა, მაკოცა, შენ გენაცვალე, არჩილავ, გულიდან ლოდი რო ამაცალეო! ისე შემეცოდა, ისე, რო ეთქვათ, იმ წუთში რაჟდენასათვის ანთებულ საკირეში გადავვარდებოდი!

ილიკო – *(დაამთავრა თავისი საქმიანობა)* ვსიო! *(ჩამოხტა მაგიდიდან)*

ვანო – ჰო, ჰო, როგორ ლაპლაპებს, ნამდვილია! *(ილიკო თავის „იარაღებს“ კრეფს და გასვლას აპირებს).* შენ კი არ დაგვესწრები? სათვალავში მაინც ჩაგვეთვლები.

ილიკო – დილაზე მივდივარ, ძია ვანო, მომზადება ხომ მინდა?

ვანო – ჰო, მომზადება კი გინდა.

ილიკო – აბა, გისურვებთ კრების მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებას! *(გადის)*

ვანო – მაგაზე ნუ იდარდებ, გენო მაგისი ოსტატია.

არჩილა – ნახე, ყარამანას ბიჭი რა მხატვარი დამდგარა?

ვანო – მერე, ყარამანს რა? ამოუხტებიან შვილები მუხრანბატონებივითა და ცარიელზე დასვამენ. მერე – ყარამან, ჩაიწყვიტე წელი, სანამ ხელახლა შემოგესევიან!

არჩილა – მართალი ხარ. მაგრამ ბრალი იმისი, ვისაც შემომსეველი არავინ ჰყავს! მომაწევინე, თუ კაცი ხარ. *(ვანომ კოლოფი მიაწოდა)* ერთი ღერიღა გქონია.

ვანო – მოწიე, მოწიე! მე უნდა გადავეჩვიო.

არჩილა – მეც უნდა გადავეჩვიო და ეს კოლოფი გადამაგდებინე. *(კოლოფი გაუწოდა)* სტოგრამა ჩამოსულა.

ვანო – ჰო. ეგ სად იყო?

არჩილა – ვარონეჟში. ძიენ კმაყოფილია. თხუთმეტათ, ოცათაც გავყიდეო.

ვანო – მეც მინდა წავიღო, მილპება, მაგრამ გატანა არ გინდა?

არჩილა – საქართველოს თუ გასცდი, მერე ადვილია.

ვანო – აქ არ მეშინია. ჩვენებთან საერთო ენას გამოვნახავ. აი, რუსული რო არ ვიცი...

არჩილა – აბა, იქ ხო სამშვიდობოსა ხარ! რუსეთი ისე მოვიარე, სამი სიტყვის მეტი არ მიხმარიაო. გაგაჩერებენ, დრასტი ხო იცი, მერე ეტყვი, ტი სვოი ბირი, – გზაც ხსნილი გაქ! *(სოფლელები თანდათან შემოდიან. რაჟდენა და გენო პრეზიდიუმის მაგიდისკენ წავიდნენ)*

რაჟდენა – დავიწყოთ, ამხანაგებო! *(გენოს)* სულ ესენია?

გენო – კოტე ექიმი სად არი?

რაჟდენა – ვანო, დიაგნოზა შენი მეზობელია, არ გააფრთხილე?

ვანო – დიაგნოზას აღდგომა გაუთენდა. კარბში წაიყვანეს, გააჭენა ხიდან ჩამოვარდნილა.

გენო – ჰოდა, კარგა მეყოლე! ეხლა იქ შეუბერავს და მაგისი კრებაც ის იქნება. რაჟდენ, ამ ახალ მდივანთან უნდა დავსვათ საკითხი: ჩვენი სოფელი ნამდვილი ექიმის ღირსი არ არის?

ვანო – რათა, გენო, კოტე ექიმმა თავისი ხელობა კარგა იცის.

არჩილა – ჰო, კოტემდე ვინმე რო მოკვდებოდა, მიზეზი არ ვიცოდით. ეხლა ყველას სიკვდილს უტყუარათ უსვამს დიაგნოზსა.

ვანო – მაშ, ეჭვ ვერ შეიტან.

გენო – ყორანაშვილი ილო სად მამიჩემთან წავიდა?

ხმა კულისებიდან – ილო ყორანაშვილი ვინ არი?

ხმა კულისებიდან – ტროყიაი. აგრონომი, კაცო.

გენო – დილას რო ატოცის გლახასავით დამადგა, შაბიამანი მინდაო, ხო გავაფრთხილე?

ხათაბალა – უშოვე შაბიამანი?

გენო – მაგ კითხვისთვის, ხათაბალავ, შენ დაგსჯი. ვითომ ილო შენა ხარ და კრებაზე იტყვი, რომ მდინარე ლიახვის სანაპირო შევისწავლეთ და არის პერსპექტივა, ექვს ჰექტრამდე გავზარდოთ სათესი ფართობი.

ხათაბალა – ექვსი ბევრი არ მოგვივა?

არჩილა – თქვი შენცა, მდივანი ხო არ დაიწყებს აზომვასა?

სიკა – სიცრუე უქნარების ხელობაა.

გენო – სიკა, შენმა ფილოსოფიამ შეგვიკლა!

სიკა – ჩემი არ არის. დოსტოევსკიმ თქვა, ოღონდ მე ცოტა შევარბილე.

არჩილა – დოსტოევსკი ვიღაა, კაცო?

ვანო – რა ვიცი, ცეკას მდივანი იქნება.

გენო – *(კულისებისკენ)* წინ წამოდით, ამხანაგებო, ადგილები თავისუფალია. *(სცენაზე მყოფებმა კულისებისკენ მიიხედეს. წინ არავინ წამოსულა)*

რაჟდენა – მარო, აქ დაჯექი.

მარო – აქ ვიქნები.

რაჟდენა – არჩილ...

არჩილა – ვერ ავდგები, ვანო გადაყირავდება.

რაჟდენა – *(კულისებისკენ)* დავკეტო კარები? გასაქცევათ რო დგეხართ, მოსცილდით მაგ კარებსა, ჰაერი მაინც გამაატარეთ! ვიწყებთ, ამხანაგებო! დაასახელეთ თავმჯდომარე... *(უცებ)* კრების თავმჯდომარე, ამხანაგებო! *(ყველას თვითონ დაასწრო)* გენო შავკაციშვილი. ვინ არი მომხრე? ერთხმად. *(ხელი მარტო თვითონ ასწია)*

გენო – ამხანაგებო! კრების ნორმალური მსვლელობისათვის საჭიროა, ავირჩიოთ მდივანი.

რაჟდენა – *(ხელი ასწია)* სიკა მასწავლებელი.

სიკა – სულ მე უნდა ვიყო მდივანი?

გენო – ამას კრება გადაწყვეტს. ვინ არის მომხრე? ერთხმად. *(მარტო გენომ და რაჟდენმა ასწიეს ხელი)* ამხანაგო სიკო, გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილი. *(სიკო უკმაყოფილოდ მიუჯდა მაგიდას)* ამხანაგებო! დღის წესრიგშია ერთი საკითხი: უფრო მაღლა ავწიოთ შრომის დისციპლინის დონე კოლწევრთა შორის და ჩვენი ამოცანები მოსავლის აღებისა და ჩაბარების დარგში და ნიადაგის კულტურული დამუშავების გზები მომავალი წლის მოსავლის გადიდების მიზნით, როგორც ჩვენი მშრომელი კოლწევრების

საყოფაცხოვრებო დონის კიდევ უფრო ამაღლების მტკიცე საფუძველი. ხომ არაფერს დაუმატებთ?

ხათაბალა – მაგას რაღა დამატება უნდა, აბესალომ და ეთერის არაკივით ჩაარაკრაკე.

გენო – მაშ, ასე, ამხანაგებო! როზა ლუქსემბურგის სახელობის სოფელ ნიკრეულას კოლმეურნეობის საერთო კრებას გახსნილად ვაცხადებ! სიტყვა ეძლევა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ამხანაგ რაჟდენა ჯულაბაშვილს. *(ტაში დაუკრა)*

რაჟდენა – *(ტრიბუნასთან დადგა)* არ შეიძლება, რო გულისტკივილით არა ვოქვა. ახალ მდივანს ველოდებით. შეიძლება, ჰა და ჰა, კიდეც მოვიდეს. რასა ჰგავს თქვენი საქციელი? ძლივ შეგაქუჩეთ. რამ შეგაჯავრათ კრება, ესეც ხო ყანა არ არი? მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან საბოლოო სიტყვაშიც გამოვალ. ყველამ უნდა ვოქვათ ჩვენი სათქმელი, გულახდილათ. ოღონდ ერთმანეთს ნუ გადავწვდებით. ყველა მეზობლები და ნათესავები ვართ. ხო იცით, ეხლა თვითკრიტიკას მოითხოვენ. ამიტომ ყველამ თავის თავზე ილაპარაკოს. *(უცებ გაჩუმდა. გარკვევით ისმის ხვრინვა)* ეგ რომელია?

ხმა კულისებში – ბიჭო, არ დაიხრჩო!

ხმა კულისებში – *(დაბნეული)* ჰა?

ხმა კულისებში – დააყე ეგ ორთქმავალი!

რაჟდენა – მეტი უნდა ვიმუშაოთ, ეს მოსავალი დავაბინაოთ და პირნათლად გამოვიდეთ სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. რა დასამალია და ბევრი ზარმაცი გვყავს, ზოგი დღედაღამ მუშაობს, ზოგი კიდე მამალი ფუტკარივით მარტო ბზუის.

ხმა კულისებიდან – მართალია!

გენო – *(წამოიჭრა)* რა ამბავში ხარ?

ხმა კულისებიდან – მართალია-მეთქი, კაცო, თავმჯდომარეს დავეთანხმე!

რაჟდენა – ზოგი კიდე ხელმრუდობას დაეჩვია. მე გვარს არ დავასახელებ, შეიძლება, ყველამაც იცის.

ხათაბალა – ორი ვაშლი მოწყვიტა, რაჟდენ, მაგაზე ღირს ლაპარაკი?

რაჟდენა - ორი რო შენც მოწყვიტო, უკვე ოთხი გამოვა. ამდენი ანგარიში გიჟმა კოლამაც იცის. ეს კი სახელმწიფოს დოვლათს აკლდება!

ვაჟბედი – *(მუშტით გული ჩაინგრია)* ჰაი დედასა!

გენო – *(ფეხზე წამოიჭრა)* რა მოხდა, ვაჟბედ?

ვაჟბედი – არაფერი... გავბრაზდი, რა!.. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს ორი ვაშლი მოჰპარო?

გენო – მოვუსმინოთ, ამხანაგებო, ძალიან საჭირბოროტო საკითხზე ლაპარაკობს თავმჯდომარე. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ერთი როა, არ გაგიგონიათ?

ვაჟბედი – *(ისევ დაირტყა გულზე მუშტი)* ჰაი დედასა!

ხათაბალა – *(ვაჟბედს)* კარგი, ბიჭო, ნეკნები ნუ ჩაიყრევინე!

რაჟდენა – ეხლა მეორე საკითხი. მე ძიენა მწყინს, არც ამის გვარს დავასახელებ, ყველამ კარგათ იცის ის კაცი, ამ კოლექტივის უღელი ერთათ გვიწევია, ომშიაც ერთათ ვყოფილვართ, ბოლოს და ბოლოს, მაგისი ილიკო მე არ მოვნათლე?

მარო – *(წამოდგა)* რა გინდა, თავმჯდომარევ, ჩემი ქმრისგანა?

რაჟდენა – შენ რა იცი, ვიზე ვლაპარაკობ?

მარო – ხელი დაადე და გვარს არ ვასახელებო, განა ეგეთი აბუეტები ვართ?

რაჟდენა – გაიგე, ადამიანო, მე გული მტკივა...

მარო – გული თუ გტკივა, ექიმს უნდა ეჩვენო, ეს ჩემი უბედური კაცი რას გიშველის?

რაჟდენა – რა გელაპარაკოთ, რადიო მთელი დღე აცხადებდა, კრებაზე ხალხი მაინც არ ესწრება...

მარო – სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, თქვი, ჩემმა კაცმა რა ხვლიკი შეგიწვა!

რაჟდენა – ეხლა სიტყვა ეძლევა ჩვენი კოლმეურნეობის ბუღალტერს გენო შავკაციშვილს.

გენო – *(მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა და ტრიბუნაზე კითხვა დაიწყო)* ამხანაგებო! იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ახალ-ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს სოციალიზმის მშენებლობის სფეროში, მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა კვლავ აღაშფოთა პირსისხლიანი აგრესორის, ისრაელის ახალმა ვერაგულმა თავდასხმებმა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანების სამართლიანი გულისწყრომა და მრისხანე აღშფოთება. მაგრამ მჯერა, რომ პირსისხლიანი აგრესორი, რომელიც ცივ ომს აღარა სჯერდება და უკვე ცხელზე გადადის ახლო აღმოსავლეთში, დაუსჯელი არ დარჩება, რადგან უძლეველია მშვიდობისმოყვარე ბანაკი, რომელსაც ხელმძღვანელობს მძლავრი საბჭოთა კავშირი და რომელსაც მხარში უდგანან მოძმე სოციალისტური ქვეყნები. არ ცხრება აშუშუს იმპერიალიზმი, რომელიც ეწევა ომის ესკალაციას სამხრეთ ვიეტნამსა და კამბოჯაში.

ხათაბალა – ეხლა ჩვენს სოფელშიაც ჩამოდი, გენო!

რაჟდენა – *(ზარს შემოჰკრა)* დაეცა, ხათაბალა, შესავალს აკეთებს!

გენო – კიდევ უფრო პირსისხლიანი და თავგასული ხდება პუტჩისტ პინოჩეტის აღვირახსნილი და თავგასული რეჟიმი ჩილეში. ჩვენი მშვიდობიანი მშრომელები და პირადად როზა ლუქსემბურგის სახელობის სოფელ ნიკრეულას მშვიდობიანი კოლმეურნეობის წევრები მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ და სოლიდარობას უცხადებენ პრეზიდენტ ალიენდეს ქვრივს და მტკიცე დემოკრატს ლუის კარვალონს...

ხათაბალა – *(ვანოს)* ვსიო, პინოჩეტის დღეები დათვლილია!

გენო – ასეთი რთული საერთაშორისო პოლიტიკური დაძაბული ვითარების პირობებში თითოეული ჩვენი კოლწევრის ვალია, კიდევ უფრო დავირაზმოთ ჩვენი რაიონის ახალი ხელმძღვანელობის გარშემო,

რათა მისი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ავაყვავოთ ჩვენი კოლმეურნეობა. ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობამ და პირადად მისმა თავმჯდომარემ ამხანაგმა რაჟდენ ჯულაბაშვილმა *(ფურცელი გადადო და მეორე აიღო)* გასულ წელს აჩვენა სამარცხვინო შედეგი... *(დაიბნა. დარბაზში სიცილი. რაჟდენა ფეხზე წამოიჭრა და გენოს გადახედა. გენომ სიკას წაართვა ქაღალდი და წყრომით თქვა)* ამას აუღია და ჩხაპნის რაღაცეებსა!

სიკა – რა ვქნა, აქ იდო და ცარიელი მეგონა!

რაჟდენა – კარგით, ხალხო, რა მოხდა, ქაღალდი შეეშალა კაცსა!

გენო – *(აგრძელებს)* ამხანაგმა რაჟდენ ჯულაბაშვილმა *(გადავიდა სხვა ფურცელზე)* დიდი მუშაობა გასწია ჩვენი კოლმეურნეობის კიდევ უფრო წინსვლის საქმეში. დაფასდა გლეხკაცის შრომა...

ვაჟბედი – *(მუშტი დაიბაგუნა მკერდზე)* ჰაი დედასა!

გენო – ახლა ილიჩის ნათურებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, თითქმის ყველა ოჯახში გვაქვს რადიო და ტელევიზორი. სულ მალე დამთავრდება წყლის გაყვანა და ყოველი ოჯახი მიიღებს სუფთა სასმელ წყაროს ანკარა წყალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავმჯდომარის პირადი ინიციატივით სოფელში საკუთარი რადიოკვანძის მოწყობა, რითაც ჩვენს მშრომელ კოლმეურნეებს შესაძლებლობა აქვთ, დროულად მოუსმინონ უკანასკნელ ცნობებს და დატკბნენ ქართული, რუსული, მოძმე რესპუბლიკებისა და მოწინავე პროგრესული კომპოზიტორების მელოდიებით. დღეს განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმი სუფევს ჩვენს სოფელში, რადგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად თარიღთან დაკავშირებით ვადამდე გავხსენით მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის შესანიშნავი ძეგლი. *(უცებ თავი ასწია და დარბაზს გახედა)* მაკრატელი! ციცო, ლენტისთვის მაკრატელი!

ხმა – აქა მაქ!

გენო – ამხანაგებო, აქ მიწერია „გავხსენით ძეგლი“. ვგულისხმობდი, რომ რაიკომის მდივანი მოგვისწრებდა და ლენტს გაჭრიდა. ამას ზეპირათ ვლაპარაკობ, აქ არ მიწერია. მართალია, ზოგიერთ ამხანაგთან პრინციპული კამათიც მომივიდა ბელადის ძეგლის დადგმის თაობაზე, მაგრამ ვფიქრობ, ისინი უკვე მიხვდნენ თავიანთი პოზიციის სიმცდარეს...

სიკა – *(წამოდგა)* მადლობელი ვარ, გენო, რომ მე მრავლობით რიცხვში მომიხსენიე, მაგრამ მე ისევ იმ პოზიციაზე ვდგავარ.

რაჟდენა – ახლა, ნუღა აქექავთ ძველ ნაგავსა!

გენო – ამხანაგო რაჟდენ, ეს საკითხი ნაგავი არ არის, ეს პრინციპული საკითხია, რომელიც პარტიული პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ! პასუხს მე ვაგებ რაიკომის წინაშე! *(სიკას)* მე საჩხუბრათ კი არ წამოვჭერი ეს საკითხი, შენ უპარტიო ხარ და დღევანდელობის მოთხოვნებს ღრმად ვერ სწვდები.

სიკა – სწორედაც ვწვდები! სოფელს უჭირს და აქ ძეგლს მიდგამ! ათი წელიწადია, საწყობი არა გვაქვს. მაგ ფულით ათს ავაშენებდით. ეს ჩვენი წმინდა გიორგის ეკლესია მეთოთხმეტე საუკუნისაა და საწყობად გადავაქციეთ. ხორბალი ყრია! ხორბალს რა უნდა ეკლესიაში, იქ სანთელი უნდა ენთოს!

გენო – და დავეწყოთ ეს პარტიულებისა და უპარტიოების ბლოკი და ეკლესიაში სანთელზე ვილოცოთ!

სიკა – ეკლესიაში შენი მიტანილი სანთელი არ აინთება. არც ხატი მიიღებს შენს სანთელსა!

გენო – ამხანაგო სიკა, ჩემი ხატი ეკლესიაში არ არის!

სიკა – შენი ხატი არც რაიკომშია!

რაჟდენა – *(თავზარდაცემული)* სიკა! სიკა!

სიკა – მე ჩემს სიტყვებს უკან არ წავიღებ. გინდა, ოქმშიც ჩავწერო?

რაჟდენა – რას ამბობ, გესმის? ჯერ ერთი, ძეგლის საკითხი დღის წესრიგში არა გვქონია. მეორე, გაგიჟდით, ხალხო? წერამ აგიტანათ? თეთრი დათვები მოგენატრათ? ბზობის ყვავივით გაგვაქრობენ! ხალხსა შიაო! დავიჯერო, მთელ საბჭოთა კავშირში ყველა მაძღარია, ამდენ ძეგლს რო დგამენ? ან რას გიშლის ეს ძეგლი?

არჩილა – მაა, კაცო, თავისთვინა დგას. ხელი კი აქვს გამოწვდილი, მაგრამ პურს ხო არა გვთხოვს!

რაჟდენა – *(გენოს)* თუ კაცი ხარ, ჩაათავე, რაც გიწერია და დავხუროთ ეს კრება. ოღონდ ფურცლები კიდე არ აგერიოს.

გენო – *(ფურცლებს დაუბრუნდა)* ამას გარდა წელს ძალზე ნაყოფიერათ იმუშავეს ნომერ პირველმა და ნომერ მესამე ბრიგადებმა. დაბალპროდუქტიული ძროხები შევცვალეთ მაღალპროდუქტიული ძროხებით და ერთ საფურაჟე ძროხაზე მოვწველეთ ათასი ლიტრი რძე. ამით საშუალება გვეძლევა, უფასოდ გამოვკვებოთ ნოლიდან ერთ წლამდე ბავშვები.

ხათაბალა – *(წამოდგა)* გავიგეთ, ხალხო, წინა კრებაზეც ხო მაგაზე ილაპარაკეთ?

რაჟდენა – ხათაბალა, ნუ იცი დამწვარზე მდუღარეს გადასხმა, კრება ძლივ დაწყნარდა, დაახრჩეთ ბარემ ეს კაცი!

ხათაბალა – თქვენ ახრჩობთ ბავშვებსა, ყელში ამოუყვანეთ ეგ უფასო რძე! ნოლიდან ერთ წლამდე ბავშვსა დედაც აძლევს უფასოთა თავის რძესა. თქვენ სხვა თქვით!

რაჟდენა – იტყვის, დააცადე! *(გენოს)* მიდი, რა, ჩაასხაპასხუპე!

გენო – *(კითხვას აგრძელებს)* მაგრამ მიღწევებთან ერთად გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც, გეგმა ვერ შეასრულა ნომერ მეორე ბრიგადამ ღორის დარგში. უნდა ეწარმოებინა ასოცი ღორი, აწარმოა ასი. ზოგიერთი კოლწევრი თავს არიდებს სამუშაოს. მაგალითად, საძაგლიშვილმა ვიქტორამ *(ახალი ფურცელი აიღო)* აი, ეს წეღანდელი ფურცელი, ამხანაგებო! გასულ წელს აჩვენა

სამარცხვინო შედეგი და გამოიმუშავა ოცდაშვიდი კაცდღე. ასევე ჩამორჩება მეცხვარიშვილი ბაგრატა – ოცდაცხრა კაცდღე, და სხვა.

ხათაბალა – *(წამოდგა)* შენა, გენო ბუღალტერო, ამ კაცდღეებს რო მაგრა ითვლი, მარცვლეულს რო თავი გავანებოთ, ფულადათ რამდენი გაანაწილეთ შრომადღეზე?

გენო – უნდა გაგვენაწილებინა...

ხათაბალა – უნდა კი არა, რამდენი გაანაწილეთ-მეთქი!

გენო – ეხლა, ხო იცით, რაც მოხდა?

ხათაბალა – ჰოდა, მე გამოვიმუშავე სამასი შრომადღე. სამასჯერ არაფერი და ოცდაცხრაჯერ არაფერი სულ ერთი არ არი? რაღათ უნდა იმუშაოს ბაგრატამ, განა ჩემსავით სულელია?

გენო – მაშ არავინ იმუშაოს, მარტო თავმჯდომარე ცოდო არ არი, ამოდენა საქმეს გაუძღვეს? ეს სოფელი მარტო მისია?

ხათაბალა – მეც მანდა ვარ. იქ ისრაელი რო დაბომბე და ალიენდეს ქვრივს ჩაედრასტე, ჩვენს სოფელშიც ჩამოიხედე, ეგება გავერკვეთ. სიმინდისკენ გაგივლია?

გენო – მერე?

ხათაბალა – ნორმალური სიმინდი, თითო ტაროც რო დაისხას, რამსიმაღლე უნდა იყოს?

გენო – მანეთნახევარი მაინც.

ხათაბალა – რა მანეთნახევარი, კაცო!

გენო – ისა... მეტრნახევარი.

ხათაბალა – ჰოო... მაშ რათ არი, რო ჩვენი სიმინდი ნოლიდან ერთ წლამდე ბავშვსაც ვერ დაფარავს? ვერც მარცვალს მოგვცემს და ვერც პირუტყვს აუვა. მუშახელიც არ გვყოფნის. ჩვენი მუშახელი გარბის! რათა? გენო ბუღალტერო, იცოდე, მოგეკითხება და ბელადის ძეგლი ვეღარ გიშველით!

რაჟდენა – *(სიკას, გამწარებული)* დახე, დახე, რა გულმოდგინედ იყვანს ასოებსა! ყველაფერი კი არ უნდა ჩაწერო!

ხათაბალა – ბალახის თიბვა აიღე: ტონაში ოთხმოც მანეთს აძლევთ მოძმე რესპუბლიკებიდან მოწვეულ მუშებს, შენსას კაპიკებსაც ამადლი, გაგონილა კუდით დაბმა ვირისა?

გენო – ეგ შარშან იყო, წავიდა! ახლა რაღა გალაპარაკებს?

ხათაბალა – შეშინებული ძაღლი ცხრა წელიწადს ხეს უყეფდაო...

რაჟდენა – ჰო, მოდი, ვიყეფოთ და სოფელიც აშენდება! მოდი, თქვი, რა გაქ გულშია, ხო ერთი ოჯახი ვართ?

ხათაბალა – რა ვთქვა? თქვენც ხო კარგა იცით და რაღა მე ვთქვა?

რაჟდენა – ჰოოდა, მანდ რო გაილექსე, აბა, ტრიბუნიდანა თქვი! *(გენოს)* ეხლა მომეცი სია... გამგეობამ იმსჯელა იმათზე, ვინც არ მუშაობს და კოლწევრებათ ითვლებიან. ჩვენ შეგვიძლია, დღესვე გავრიცხოთ, მაგრამ ამჯერათ უნდა გავაფრთხილოთ. აბა, კენჭს ვუყრი. საძაგლიშვილი ვიქტორა. ვინ არი მომხრე, რო ეს ამხანაგი გავაფრთხილოთ? დაუშვით ხელები. *(ხელი არავის აუწევია)*

მეცხვარიშვილი ბაგრატა... *(უეცრად შუქი ჩაქრა. ერთ წუთს სრული სიჩუმე)* არ აიშალოთ, ხალხო, მალე აინთება.

ხმა – მაშ, პირველი ხო არ არი?

ხმა – პატივცემულო თავმჯდომარეე, ბაგრატასა უნდა ვაპატიოთ, მგლოვიარეთ არი.

ხმა – ვინ მოუკვდა?

ხმა – სიდედრი არ მოუკვდა?

ხმა – ის ხო გაზაფხულზე დავასაფლავეთ?

ხმა – წლამდე რო ტრიალებს მიცვალებულის სული ოჯახში, არ გაგიგია?

ხმა – მერე, ისეთი ქალი იყო, კაი ათი წელი არ მოასვენებს ბაგრატასა.

ხმა – გენო ბუღალტერო, წედან რა კარგათა თქვი, ეს სოფელი არც თავმჯდომარისაა და არც ჩემიაო!

გენოს ხმა – დიახ, თქვენიც არი!

ხმა – მერე, შე დალოცვილო, ეგ ლოზუნგი ჭამის დროს რატო არ გახსოვთ?

რაჟდენას ხმა – ხო გიცანი, ვინცა ხარ, აინთოს შუქი, მოგირიგდები!

ხმა – რა მიცანი, მე როდი ვიყავი!

ხმა – პატივცემულო თავმჯდომარეე, ერთი შეკითხვაცა მაქ.

რაჟდენას ხმა – რომელი ხარ?

ხმა – ვარ რა, კოლწევრი.

რაჟდენას ხმა – გვითხარი, ვინა ხარ, ოქმში ხო უნდა შევიტანოთ.

ხმა – აბა, რას მატყუებ? ამ სიბნელეში ოქმი გაგონილა?

ხმა – თქვას, რა მოხდა? *(ხმადაბლა)* მიდი შენცა, შუქმა არ მოგისწროს.

რაჟდენას ხმა – თქვი, გისმენთ.

ხმა – შენმა გოჩამა რამდენი კაცდღე გამოიმუშავა?

გენოს ხმა – ამხანაგებო, მომენტით ნუ სარგებლობთ!

ხმა – ფერმაზე რატო არაფერი თქვით? ვანო, პირუტყვი რათ გაკლდება?

ვანოს ხმა – შენ ვინ დაგნიშნა ჩემ რევიზიათა?

ხმა – აჰა, ვანომა თქვა, რევიზია მიჭამსო.

რაჟდენას ხმა – ჩანგალა მომინახეთ, ეხლავე შუქი გააჩინოს, თორე დილაზე ბოძზე დავკიდებ!

ხმა – გაიგე, იმ დღეს ვანოს ცხვარს მგელი რო გამოუდგა?

ხმა – აი, რაიკომიდან რო იყვნენ, მაშინა? მერე, მერე?

ხმა – მააშ გამოუდგა მგელი, მირბის ცხვარი, მისდევს მგელი. მგელს კი ვანო გამოუდგა თავის მწყემსებითა. ცხვარმა მოიხედა და მწყემსებს დაუძახა: თქვენ ოღონდ ვანო დაიჭირეთ, მგელს მე თითონ გავექცევიო.

გენოს ხმა – ასანთი მაინც გაკარით, პაპიროსის მოწევა არავინ გინდათ?

ხმა – მოკლეთ, სოფელს პატრონი არა ჰყავს!

რაჟდენას ხმა – შენა ხარ ხათაბალა?

ხმა – მე ვარ. გინდა სახე გავინათო?

რაჟდენას ხმა – გაინათო, შენცა ნატა ვაჩნაძე ხარ! თქვი, რა გინდა.

ხმა – აბანო ვაშენეთ სურამის ციხესავითა. ნეტა არ გადაგვეხურა, წვიმაში მაინც ვიბანავებდით. პირუტყვებივითა ვცხოვრობთ! ჯეელობასა რო

ამტყუნებთ, ქალაქში გაიხვეტაო, მა რა ქნას? ჯერ გზები ნახე, არ გახსოვს, იმ დღეს კომბაინი რო ჩაგვეფლო?

ხმა – ეხლა ტყუი, ხათაბალა! ესენი სოფლის ინტერესებისთვის არ აკეთებენ გზებსა. გზა რო იყოს, ხო სუ ცოლშვილიანათ გავიკრიფეთ აქედანა?

ხმა – კინო ჩვენ არა გვაქ და შუქი!

რაჟდენას ხმა – შუქი არა გვაქ?

ხმა – აი, ფაქტი! იმ ცარიელა მავთულებზე, დაბლა მაინც იყოს, სარეცხს გაფენდნენ ჩვენი ქალები. ან იმ ერთი ფირფიტით რო გვეტრაბახებით, შეგვჭამა ამ „კეკელა და მარომ“!

ყარამანი – *(შემოდის მხარზე თოხგადებული, ანთებული ჭრაქი უკავია)* ვინ შეგჭამათ? ეხლა მაროს გადასწვდით? ჩემ ცოლს თავი დაანებეთ, თორე?!

ხმა – არა, ყარამან, კეკელაზე ლაპარაკობდნენ.

არჩილა – მე რო მიშუქებ მაგ ჭრაქსა, თავმჯდომარეს დაუდგი! *(ყარამანი ჭრაქს პრეზიდიუმის მაგიდაზე დგამს)*

რაჟდენა – ჩვენ რადათ გვინდა, იქ დადგი, ხალხი სიბნელეშია!

ხმა – არა, არა, მანდ იყოს, ოქმი ხო უნდა დაწეროთ?

მარო – თავმჯდომარევ! შენა წედანა ჩემ კაცზე... *(ამ დროს არჩილამ სიგარეტს მოუკიდა)*

რაჟდენა – არჩილ, კარებში მაინც მოწიე, აქა ქალებიც არიან! *(არჩილა გავიდა)*

მარო – კიდე ბანზე მიგდებ სიტყვასა? რაღაი დაიწყე, უნდა დაამთავრო კიდეცა, არ მიყვარს, რო ღობე-ყორეს ედებიან!

ყარამანი – *(გაცეცხლებული)* რაო? ჩემზე რამეს ამბობს?

რაჟდენა – რა, ტყუილს ვამბობ? სოფელში მშვიდობა უნდა იყოს. რა გახდა ის ოხერა ღობე? ერთი ტკაველა მიწისთვინა გაუთავებელი ომი გაგონილა? მეზობლები არა ხართ?

ყარამანი – ჰაი, შენა, შენა!..

რაჟდენა – გამო, ყარამან, აუხსენი კრებასა.

ყარამანი – *(დამუქრებით)* ვიტყვი!

გენო – სიტყვა ეძლევა ყარამან გორგიშელს. *(ტაში დაუკრა)*

ყარამანი – *(ბოროტად)* ტაშს რო მიკრავ, სათამაშოთ კი არ გამოვედი!

მარო – თოხი სადღა მიგაქ, კაცო, შენცა, არავინ მოგპაროს!

ყარამანი – *(ტრიბუნას ვერ შეეწყო)* იქიდან ვიტყვი.

გენო – წესია, ყარამან, მანდედანა თქვი.

რაჟდენა – ჰო, მიდი, გაგვაგონე შენი ხმა.

ყარამანი – ჩემი ხმა, თორე, ანა ვარდიაშვილი ვარ!

რაჟდენა – დაამთავრე შენი სათქმელი?

ყარამანი – *(ისევ აენთო)* რახან ეგრეა!..

გენო – მე ნუ მიყურებ, კრებას მიმართე.

მარო - დააცადე, კაცო, ძლივ ძაფი იპოვნა.

ყარამანი – მე პაპაჩემი მახსოვს... მამაჩემი ხო მახსოვს და მახსოვს... გაზაფხულზე მოხნავდნენ და დათესავდნენ. ვაზს შეწამლავდნენ.

ხეხილს დაამყნობდნენ, შემოდგომაზე მოსავალს მოიწევდნენ და ბეღლისაკენ უზამდნენ პირსა... ამას კრება რათ უნდოდა?

გენო – მაშ რათ მოხვედი კრებაზე?

ყარამანი – დამიძახეთ და მოვედი.

რაჟდენა – გააგრძელე!

ყარამანი – *(დარბაზს უმწეოდ გახედა)* სად გავჩერდი?

ხათაბალა – ბეღელში.

ყარამანი – ჰოო... დამიმთავრებია და ეგ არი. *(დარბაზში ხმაური)*

გენო – დაწყნარდით, ხალხო, ეხლაც ხო თავმჯდომარე არა ლაპარაკობს, რო აყაყანდით?!

რაჟდენა – ბეღლამდე ჯერ შორია, ყარამან! ამ მოსავალს დაბინავება არ უნდა? სად არი მუშახელი? შენი გოგო-ბიჭები სად არიან? ელიკო, ალიკო, ილიკო!

ყარამანი – ვიტყვი... მე კაცი დავბერდი და პირი არასოდეს შემირცხვენია. ჩემზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე...

რაჟდენა – *(წამოხტა)* შენს გოგო-ბიჭებზე ილაპარაკე!

ყარამანი – ჰოდა... ვაშლსა ძიენ ასხია და ჰექტარზე მოვიწევ...

რაჟდენა – *(მანაც დაიწყო ლაპარაკი. ერთმანეთს არ უსმენენ. ეს დუეტს ჰგავს: ერთდროულად ორივე თავისას „მირეკავს“)* ჯერ იყო, ალიკო გაუშვი ქალაქში და იქ დაასახლკარე...

ყარამანი – ...ამ ხნისა მოვიყარე და ჯერ მზეს არ დაუსწრია ჩემთვინა...

რაჟდენა – ...გეგონება, აქა გაწყდნენ გასათხოვარი გოგოები...

ყარამანი – ...შეიძლება კიტრი გეგმა გამიჭირდეს...

რაჟდენა – ...მერე ელიკო გააპარა...

ყარამანი – ...მეც ხო არა ვტყუი, გვალვამ დამიჩიავა კიტრი...

რაჟდენა – ...ახლა ილიკომა, დაჰკრა ფეხი და გეგონება, აქა ხატვას...

ყარამანი – ...ეხლა ეს კოჟრები ნახეთ, მუთაქებივით მასხედან...

რაჟდენა – ...რა ვქნათ მარტო ჩვენა, ბებრებმა?..

ყარამანი – ...მუთაქები რბილი მაინც არი, კირკიტა კაკლებივით მასხედან...

რაჟდენა – ...ამ მამულსა მოვლა არ უნდა? ერთიც ვნახოთ, გათენდეს დილა და დაგვემართოს... *(გენოს)* რა ჰქვია იმასა, უცებ რო არტყამს?

გენო – ინფარქტი. *(„დუეტი“ შეწყდა)*

რაჟდენა – ჰო, მითხარი, სოფელს ვის ვუტოვებთ? რათ ჩაგივარდა ენაი?

ყარამანი – ჩამივარდა კი არა...

რაჟდენა – მიპასუხე, ვის ვუტოვებთ ამ მიწასა?

ყარამანი – *(გამწარებით)* მეც მანდა ვარ!.. *(პაუზა. სრული სიჩუმე)*

რაჟდენა – მანდ კი არა ხარ, შაქრიასთანა ხარ!

ყარამანი – ჰაი, ჰაი, შე... *(მუშტი დაიბაგუნა მკერდზე. ვაჟებედმაც)*

გენო – რა ბაგუნი აგიტყდათ, სათქმელი არაფერი გაქვთ?

ყარამანი – *(თითქმის ყვირილით)* როცა ვთქვი, გიჟათ ჩამთვალეთ!

მარო – დაწყნარდი, ყარამან, ამათ კი არ უნდა აჰყვე! შენა აკვანშივე თოხზე ჯვარი დაიწერე, ესენი კი ტრიბუნაზე დაიზარდნენ. ამათ აჯობებ?

გენო – დაგვცინი, ქალბატონო მარო?

მარო – აი, ქალბატონოო, რო მითხარი, ეხლა კი ნამდვილათ დამცინე! ამ კაცს რო მისციებიხართ, კიდე კარგა ილაპარაკა! ოცდაათი წელიწადია, ჩემი ქმარია, და მაგდენი სიტყვა ერთათ ჯერ არ გადაუბამს. მე მოგახსენებთ ჩემ გოგო-ბიჭებზე. ქალაქში არიან!

რაჟდენა – რათა?

მარო – ვიტყვი, დამაცადე! შენა კაცო, გაზეთებს არა კითხულობ? არ იცი, რო ქალსა სიტყვა არ უნად შეაწყვეტინო?.. ჩემი ალიკო რო რკინიგზაში მუშაობს, იქაც ჩვენი ქვეყანაა...

რაჟდენა – კარგი, ეგ ერთი შვილი. დანარჩენი?

მარო – დანარჩენის ჭვალი დაადგეს მოშურნესა! ელიკო, საცაა კბილის სატექნიკოს დაამთავრებს. ილიკო კიდე, დედა ენაცვალოს, სამხატვროზე მოეწყო. ხო კარგა გესიამოვნა, ბრეჟნევს მედალი რო დაჰკიდა?

რაჟდენა – მესიამოვნა რა, მე დამკიდა?

მარო – კაცო, ბელადს რო ჰკიდია, ისა ჩვენიც არ არი? *(ჯიბიდან ამოიღო გაზეთის ამონაჭერი და ხალხს აჩვენა)* აი, ჩემი ილიკო! ფრიადებზე ჩააბარა და გაზეთში გამოხატეს. *(გაზეთის ამონაჭრით ყველა დაინტერესდა)*

რაჟდენა – ეს კარგია, მაგრამ სოფელი? პატრონი არ უნდა-მეთქი?

მარო – მეც მაგასა ვტირი, რო პატრონი უნდა და არა ჰყავს!

სიკა – სულ ამათ რო ვამტყუნებთ, მთლად ამათი ბრალიც არ არის.

მარო – მაგას შენ ამბობ, სიკა მასწავლებელო?!

სიკა – ეს ქოთანი მარტო ჩვენთან არა დუღს, მთელს კავშირში უჭირს სოფელს. სოფელს რომ უჭირს, ქალაქიც ღატაკია. ფეხქვეშ მიწა გვეცლება, ერთიანად ვიღუპებით ჩვენცა, რუსეთიც, ჩუვაშეთიც... ძმურად ერთმანეთზე გადაბმულები ვიღუპებით და თვალებსაც არ ვიფშვნეტთ. *(სცენა ერთ წამს გაქვავდა)* ყველგან ხომ გენო და რაჟდენა არ არიან?..

ხმა კულისებიდან – აბა, ჩვენი საშველი არა ყოფილა!

სიკა – საშველი არ იქნება მანამ...

ხმა კულისებიდან – მანამ რა?

სიკა – დიდმა ილიამ ბრძანა, ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთ დიდ ურემზე გამობმული. საითაც გაიწევს ეს ურემი, იქით მიაქვს სათრეველაცაო. მიდის ეს ურემი, ხრამში იჩეხება და სათრეველასაც თან გადაიყოლიებს.

ხმა კულისებიდან – რათა, კაცო, სათრეველა ცოდო არ არი?

სიკა – მაშინ სათრეველა იმ ურმიდან უნდა ჩაიხსნას... *(უცებ ატყდა ხმაური, ჩოჩქოლი, თითქოს კარი გაიღო და ქარი შემოვარდა. მერე ყველაფერი უცბადვე დაწყნარდა)*

რაჟდენა – *(შეშინებულმა ხმა ძლივს ამოიღო)* რა თქვა ამ კაცმა?

გენო – ვინა?

რაჟდენა – რა ვიცი, ვინ იყო... ხმა ვერ ვიცანი.

გენო – რა თქვა? სხვა რამეზე ვფიქრობდი.

რაჟდენა – ე ჭრაქიც რო ბჟუტავს... რას დაინახავ?

გენო – ჰო, პატრუქიც სულ ჩამწვარა ეს ოხერი! *(ყარამანს)* შენცა, ამას რომ დაატარებ, პატრუქს ვერ გამოუცვლი?

ყარამანი – ემანდ პატრუქ ცოტა დაუწი, თორე!..

რაჟდენა – გავაგრძელოთ ჩვენი საქმე, დილამდე აქ ხო არ ვიქნებით? მერე, მარო?

მარო – რათ გარბისო ჯეელობა. თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო! აბა თაფლი? ამ კარმიდამოს რა ვუყო, თორე მეც გავიქცეოდი, პუდრი და პამადა მე კი მაწყენდა?

ყარამანი – ი! გაწყენდა კი არა და!

მარო – ნეტა კი რამე გესმოდეს ცხოვრებისა, შე საცოდავო! რა უნდა წაიღო ამ ქვეყნიდანა? იმ დღეს სიკა მასწავლებელმა ძველი საფლავი რო აღმოაჩინა, ქრისტეზე ძველი...

სიკა – საუკუნე ჯერ არ დაგვიდგენია.

მარო – სულერთია! ჩვენი საუკუნე ხო არ არი? ოქრო-ვერცხლის ქამარ-ხანჯალი რო ჩაუტანებიათ, შენ რას ჩაგაყოლებენ, შე საწყალო? იმ შენ თოხ თუ წაიღებ, ჩიჩქნე იქაცა მიწა, ისე მაინც ვერ მოისვენებ!

გენო – ნუ გავიწყდებათ, რომ კრებაზე ხართ!

მარო – კრებაზე რა, ტყუილები უნდა ვილაპარაკოთ? პამადასა მარტო ქალაქელი ქალებისთვის უშვებს ჩვენი ქვეყანა? ან ჩემ ქმარს გალოსტიკი დაახრჩობს?

ყარამანი – გალოსტიკი კი არა და...

მარო – ნურც გაიკეთებ! ჩემ შვილებს კი მე მოვუვლი. აბა, გენო, ნასწავლი კაცი ხარ, რო გიმტკიცო, თხილიშეჭამანდი სჯობია მწვადსა მეთქი, დამიჯერებ? კრებაზე შეიძლება დამიჯერო, მაგრამა სუფრაზე...

რაჟდენა – *(წამოდგა)* ჩვენც ვუსმენთ რა! *(მაროს)* დაჯექი!

მარო – გენაცვა, რადიო ხო არა ვარ, რო გამამთიშო?

ხმა კულისებიდან – წეღანა, თავმჯდომარეე, რო ბრძანე, თვითკრიტიკასა გვთხოვენო, რატო სუ ჩვენ გვაკრიტიკებთ? თქვენ რა, მამა აბრამის ბატკნები ხართ? რომელი ერთი ჩამოვთვალო თქვენი კაიკაცობა? *(შუქი აინთო. ჟრიამული, მერე – დაბნეულობა)*

რაჟდენა – *(გახარებული)* აჰა, ხო დაგიჭირე!

ხმა კულისებიდან – რა დამიჭირე, ჯერ დავამთავრო! თქვენი კაიკაცობა რომელი ერთი ჩამოვთვალო? თქვენ რო ფეხი აგიწყოთ სოფელმა, ყველა რო თქვენსავით მუყაითათ მუშაობდეს... ჩვენ თვითონ არ ვარგივართ... *(ყველამ შენიშნა, რომ შემოსულა ელიკო, ხელში ჩემოდანი უკავია)*

რაჟდენა – თქვენ ვინა ხართ, შვილო? *(ელიკო თავდახრილია და ღიმილს იკავებს)* დიდი ხანია, აქა ხართ?

ელიკო – ახლა შემოვედი.

რაჟდენა – *(გაეხარდა)* სკამი შესთავაზეთ ქალიშვილსა! ჩემთანა გაქვთ საქმე, შვილო?

ელიკო – დიახ.

რაჟდენა – კეთილი და პატიოსანი... ამხანაგებო, კრებას დახურულათ ვაცხადებთ, დიდი მადლობა! *(ხალხი ნელ-ნელა იკრიფება სცენიდან. ყარამანმა ხელი მოჰკიდა რაჟდენას და თავისკენ მიატრიალა)*

ყარამანი – *(გაღიზიანებული)* ჰო, სიბერეში გამოვტუტუცდი! გამოვშტერდი! უმიზეზოთ ვეჩხუბები ამვლელ-ჩამვლელსა!

რაჟდენა – ბიჭო, რამდენჯერ დაზომეს ი ოხერა მიწა და შენ გამტყუნდი?

ყარამანა – მე გავმტყუნდი? შე უღმერთო, მე მჩაგრავ და იმას შეეკარი? აბა, შაქრია მომიყვანე, თუ სანტიმეტრებში არ გითხრას, ი ღობე იმის დროს სად იყო!

რაჟდენა – მე საიდან გაგიჩინო შაქრია, სად ვეძებო, წავიდა, წავიდა!

ყარამანი – რათ წავიდა?!

რაჟდენა – შენი შვილებიც წავიდნენ და ყველას სადა ვდიო? აი ეგ არი ეხლა შენი მეზობელი და დაუტკბი!

ყარამანი – *(აფეთქდა)* ვინ არი ჩემი მეზობელი?! აი!.. შენგანა მჭირს, რაცა მჭირს! *(სწრაფად გავიდა)*

მარო – თავი დაანებე მაგ საცოდავს, ცოდოა.

რაჟდენა – მე აღარა ვარ ცოდო? მე რას...

სიკა – ყარამანის ენით ღმერთი ლაპარაკობს და ჩვენ არ გვესმის! *(გავიდა)*

რაჟდენა – *(ერთხანს ვერა აწამა-რა)* ვაი, ვინც შენ დიპლომზე ხელი მოგიწერა, იმას მოუტყდეს პასტა-კალამი! ოი, სიკა მასწავლებელიო, ბავშვებს უყვართო! მე აქ დინამიტს მიდებს კოლმეურნეობაში. იტყვის და, კვირაძალის სიზმარივით უნდა დაუჯერო!

მარო – *(გასვლისას ელიკოს)* ავტობუსს მოყე, შვილო?

ელიკო – *(მორცხვად თავდახრილი)* დიახ.

მარო – რა ვიცი, ჩემი შვილებისთვინა არც ავტობუსია და არც ტრამვაი! *(გავიდა)*

რაჟდენა – *(ელიკოს)* გისმენ, შვილო... *(გაახსენდა)* ვანო, გოჩა მომიყვანე თუ ხათრი გაქვს. *(ვანო გავიდა. ელიკომ მოულოდნელად გადაიკისკისა. გენომ და რაჟდენამ ერთმანეთს შეხედეს)*

ელიკო – ძია რაჟდენ, ვერ მიცანით?

რაჟდენა – ვინა ხარ, შვილო?

გენო – *(სათვალე მოირგო)* გოგო, ელიკო ხარ შენა?

რაჟდენა – მართლა ელიკო ხარ?!

ელიკო – მე ვარ, ძია რაჟდენ.

რაჟდენა – გოგო, აქედანა შავგვრემანი გაგიშვით, ნაწნავებიანი...

ელიკო – ნაწნავებს ეხლა ვიღა ატარებს?

რაჟდენა – რუსს დამგვანებიხარ!

გენო – ჩვენ კი არა, მშობლებმაც ვერ იცნეს!.. ისე, კი გიხდება. ეხლა ჩამოხვედი?

ელიკო – ხათაბალას გოგოც ჩამოვიდა.

გენო – თამარ-ქალი?

ელიკო – რა შვილი ჰყავს, ენით ვერ აგიწერთ!

რაჟდენა – გენაცვალე, დედა მზეთუნახავი, მამა ბაშიაჩუკი! *(ვაჟბედი ამ დროს გადიოდა. ერთ წამს შეჩერდა. მერე სწრაფად გავიდა)*

მარო – *(შემოვარდა)* აკი ვოქვი! *(ელიკოს ეცა)* თავს რო ღუნავდი და გაგვათამაშე! ეხლა გადაეფინება გულზე ვარდი მამაშენსა! *(გენოს და რაჟდენას)* განა არა, ვფიქრობდი, ეს ჩამადანი ჩვენია, გოგო ვიღასია მეოქი! გენაცვათ, რას დამგვანებია ჩემი თურაშაულივით გოგო! *(ელიკო გაყავს)*

არჩილა – *(შემოვარდა)* რაჟდენ, რაჟდენ! *(სული ძლივს მოითქვა)*

რაჟდენა – რა იყო, შენ რაღა ბუზმა გიკბინა?

არჩილა – რაიკომის მდივანი აქ იყო!

რაჟდენა – სადა, ბიჭო?

არჩილა – შუქი რო აინთო, ფეთიანივით გავარდა.

რაჟდენა – სად გავარდა?

არჩილა – გარეთა.

რაჟდენა – მოიცა, საიდან გავარდა?

არჩილა – შიგნიდანა. აქედან. კრებიდანა.

რაჟდენა – *(გულჩაწყვეტილი)* მე რო განათლებული კაცი ვიყო, ჯიბეები სუ სავსე უნდა მქონდეს წამლებითა. რა ჰქვია იმას, უცებ რო არტყამს...

არჩილა – სიგარეტს რო მოვუკიდე და შენ გარეთ გამიშვი, ის კარებთან მდგარა. რო დავეჯახე, მაპატიეო, მითხრა. მაშინვე თავში დამკრა, რო ჩვენებური არ იყო.

გენო – სხვა რა გითხრა?

არჩილა – გენო მამიკითხეო! იდგა ეგრე მარგილივით აშვერილი და სმენათ იყო გაკრეფილი. შუქი რო აინთო, და ფეთიანივით გავარდა, უკან მივდიე. ძეგლთან ორი კაცი ელოდებოდა. ისინიც გაჰყვნენ. მანქანა სანდრას სახლთან დაეყენებინათ.

გენო – რა მანქანა იყო?

არჩილა – ვოლგა.

გენო – ნომერი თუ დაიხსომე?

არჩილა – რა მენომრებოდა, ავტოისნპექტორი ხო არა ვარ. შიშის ქარმა ამიტანა, გენო!

გენო – კარგ რამეს კი მოისმენდა! *(რაჟდენამ სახეზე წყალი შეისხა და თავი ფანჯარაში გაყო. ვიღაც შენიშნა)*

რაჟდენა – ნუცა!.. ცოტა ხანს მოდი! *(ნუცა შემოდის დარცხვენილი)* გოგო...

ნუცა – ძია რაჟდენ... მთელი სოფელი დამცინის!

რაჟდენა – რაზე დაგიცინის?

ნუცა – მიკროფონის გამორთვა რო დამავიწყდა. ისე უცებ დამადგა თავზე.

რაჟდენა – ეხლა სად არის?

ნუცა – აბა, მე საიდან მეცოდინება?.. ვანოს ელაპარაკებოდა.

რაჟდენა – სხვა დროს თუ კიდე შემოგეჭრას, გაუშალე და თხლიშე ლაზათიანი!

ნუცა – უიმე, როგორა ვთხლიშო!

რაჟდენა – მაშ მე მიყურე, რა დღე ვაყარო!

ნუცა – ნუ გაუჯავრდებით, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც რადიოში მოისმინეთ, მარტო ეგ იყო.

რაჟდენა – წადი, შვილო, დაწყნარდი, შენი რა ბრალია? *(ნუცა გავიდა)* ამ ბიჭს რა ვუყო? დედისერთაო, დედისერთაო, და აი! ეხლა რაღა ვუშველო? დედაც დაავადმყოფა და მეც ბოლოს მიღებს! წნელი სანამ ნორჩია, მანამ უნდა დაგრიხო. გაიზრდება და აღარ დაიგრიხება. რას იგრიხები? *(ეს უკვე გოჩას მიმართა, რომელიც მომნანიებელი დამნაშავის როლს თამაშობს. ვანოც შემოჰყვა. რაჟდენამ ბოლთას ცემა დაიწყო)*

გოჩა – *(არჩილას)* კრებაზე შეუკეთეს?

რაჟდენა – დაჯექი!

გოჩა – ბორჯომი არა გაქ, მამაჩემო?

რაჟდენა – ბორჯომი არა და სურამი ნამდვილად მოგიხდება!

გოჩა – რათა მამაჩემო?

რაჟდენა - ბიჭო, შვილო, გინდა მომკლა?

გოჩა – რა დავაშავე, ხალხო?

რაჟდენა – სარს რო კაბა გადააცვა, იმასაც გაეარშიყები. ესეც აღარ იკმარე, ეხლა რადიოთი დამიწყე სიყვარულის ახსნა!

გოჩა – რათა, ურიგოა გამოცდილების გაზიარებისთვის?

რაჟდენა – შინ ვიყოთ, მართლა გაზიარებდი და ალალიც იქნებოდა! ბიჭო, სუ შენზე უნდა იყოს ლაპარაკი? ეხლა კრებაზეც მოგდგნენ.

გოჩა – ვინა, ერთი მითხარი!

რაჟდენა – სად დალიე?

გოჩა – სოფელში.

რაჟდენა – ვისთანა?

გოჩა – თანასოფლელებთან.

რაჟდენა – გადამრევს ეს ბიჭი! გოჩა კი ხარ, მაგრამ ონისესავით მოგკლავ! ყველა ჭკუას მოეგო. აგე, ყარამანას ბიჭი...

გენო – ეგეც მოეწყობა, რაჟდენ.

რაჟდენა – მოეწყობა! მე არ ვიცი ჩემი გაჭედილი ხატისა? ატესტატი რო მისცეს, ისიც არ წაუკითხავს ბოლომდინა!

გოჩა – რას გიშავებ, მამაჩემო, დავლიე, რა მოხდა?

რაჟდენ – სუ უნდა სვა?

გოჩა – აბა, ამდენ ყურძენს ტყუილათა ვწურავთ? მე თუ არ დავლიე, შენ თუ არ დალიე, ვიღაცამ ხო უნდა დალიოს?

რაჟდენა – ვიღაცამ დალიოს!

გოჩა - მერე, ის ვიღაცა ცოდო არ არი, მარტომა სვას? ერთმანეთი არ უნდა გავიტანოთ?

გენო – კარგი ახლა, რაჟდენ, ნერვებს ნუ იშლი, ახალგაზრდაა, მაჭარივით დუღს.

რაჟდენა – ბერდება და აღარ დადუღდა ეს ოხერი?

გოჩა – დუღილს სითბო სჭირდება, მამაჩემო! აბა, მომეფერე? სითბო მინდა. ჩემთვის კი არავისა სცალია! გაზაფხულიდან გაზაფხულამდე ეს

ვაშლიო, ეს სიმინდიო, ეს ძროხაო!.. ბარემ მეც დამასილოსეთ და ეგ იქნება! *(გავიდა)*

არჩილა – არც ეგა ტყუის, რაუდენ... კინო რო მაინც გვქონდეს...

გენო – ამანაც დრო იხელთა და თავისი აპარატი გამიხსენა. არ არის ფული, ვეღარ გაიგე?

რაუდენა – იქნება ჩვენი შვილებიც არა ტყუიან... მათთვის რო ვეღარ ვიცლით? ამდენ გეგმას გვიგზავნიან და შვილების დაზრდის გეგმა რო არც ერთში არა წერია?!

ვანო – *(ფანჯარასთან მდგარმა ვიღაცა დაინახა)* დიაგნოზაც მობრძანდება!

არჩილა – ჩაბუჟბუჟებულია? *(ფანჯარასთან მივიდა)*

გენო – ეხლა მაგან თუ ფაფა გამოიღო პირიდანა, დილამდე ვეღარ გააჩერებ.

არჩილა – არა, გენო, ძიენ არ არი, ნორმაზეა. *(კოტე შემოვიდა)* გააჭენა როგორ არი?

კოტე – მარცხენა ქვედა კიდურის მოტეხილობა დაუფიქსირდა.

არჩილა - ქვედა კიდური რომელია?

კოტე – ფეხი. ზედა კიდურები აი, ეს არის. *(ხელები აჩვენა)*

ვანო – ესე იგი, კაცის გაძარცვა რო მინდოდეს, უნდა შევძახო, ზედა კიდურები მაღლა!

კოტე – მაგრამ თუ ის შეგეფეთა, ასქეიფას ქვრივი...

არჩილა – ქვაბიძირაი? ჰა, ვანო, რას დაიბენი, კაცო! იმასაც ზედა კიდურებზე ეტყვი, მაღლაო?

გენო – მაგ ლაზღანდარობას მოეშვით, ქალი არ გვისმენდეს.

კოტე – მართალი ხარ. მთავარი კი მავიწყდებოდა. იცით ჩვენი წესი. გააჭენამ აბრამის ტაბლა გამიწყო. გული კი აქეთ მქონდა, მაგრამ ხომ უნდა დალოცო ოჯახი, ჯანმრთელობა უსურვო, შვილები, შვილიშვილები უდღეგრძელო... მთელი მეზობლობა შემოლაგდა და გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა! კარგი ღვინო აქვს გააჭენას. თან ერთი მეუბნება, ეს მტკივაო, მეორე ღვიძლს იტკიებს... ყველას დავუსვი დიაგნოზი. ეს არაფერი. ახლა, მოვდივარ იქიდან. მოსკვიჩით გამომიშვეს, გააჭენას ბიჭი დაჯდა საჭესთან. ტირიფონაზე, ზედ ბოგირზე, პირდაპირ ჩვენზე მოდის ვოლგა. აი, ასე გავაჩერეთ მანქანები. არც ჩვენ ვიხევთ უკან, არც ისინი, ასე თხა და გიგოსავით ვართ. მერე ვოლგიდან გადმოვიდა შოფერი, თავი ხომ არ მოგძულებიათ, რაიკომის მდივანი მიზისო!

არჩილა – ენდე, რო არ მიჯერებდით!

გენო – *(კოტეს)* მერე?

კოტე – ჩვენს კრებას დასწრებია.

გენო – რა იცი?

არჩილა – მეც ხო ვნახე, ეგრე იდგა კარებში მარგილივით აშვერილი!

გენო – *(არჩილას)* ჩანებს მოუჭი! *(კოტეს)* საიდან ამტკიცებ?

რაუდენა – აი, რო ვირის აბანოში ჩაგვაყუდებენ სუ ყველასა, დამტკიცებაც ეგ იქნება! ხათაბალასაც ხო აბანო ენატრებოდა?! ამ სიკას რო ვერ მოვაშლევინე ენის ტარტალი, არ გამიბა პოლიტმეცადინეობა?

არჩილა – იქნება სიკაც არ იყო? ხო ბნელოდა? ეგეთი ხმა ჩვენ სოფელში რო არავის აქ!

ვანო – ისეთიც არაფერი უთქვამს. ურემიო, სათროკიალოო... გლეხი, აბა პარაშუტზე ხო არ ილაპარაკებს, ურემი გთხოვა. მე დაგიდგები მოწმეთა.

რაჟდენა – რას ამბობ, მაგათ მოატყუებ შენა? ჯერ რო არ გითქვამს და მარტო გიფიქრია, რათა თქვიო, გედავებიან. უკვე ნათქვამს გაპატიებენ?

არჩილა – აბა, სიკას ხო არ დავდუპავთ?

რაჟდენა – მარტო სიკასა? მე ხო წინ გამიძღოლებენ და გენო პარტკომსაც დავესკათ მომაყოლებენ!

ვანო – არჩილავ... ჩემ ცხვარზე რო წამოროტეს, მაშინ წახვედი კარებისკენა?

კოტე – დამშვიდდით, ხალხო, მთავარი ჯერ კიდევ არ მითქვამს. დილაზე გორიდან ამოიყვანეთ ფოტოგრაფი, რომ ერთი კარგი სურათი გადამიღოს. მერე ყველამ ეს ჩემი სურათები დაიკიდეთ თქვენი საწოლის თავზე...

რაჟდენა – რა, ნატა ვაჩნაძე ხარ?

კოტე – თქვენთვის გიორგი სააკაძე ვარ! ეს ახალი მდივანი მამაჩემის უახლოესი მეგობრის შვილი აღმოჩნდა, კვირისთვის დამიბარა.

გენო – ეგ ნაკმაზი ზოგი შენს წიწილებს დაუყარე.

კოტე – ცოტა ხანში მე რომ მიხილავთ რაიონის მთავარ ექიმად, გენო ბუღალტერი მაშინ მიხვდება, რომ სოფელში ჰყავდა ექიმი, რომელსაც არ აფასებდა. არ გინდა, გენო, მე ვიცი, ჩემზე ვინ რას ლაპარაკობს. შენ კი, ვანო, რა მალე შეშინდი...

ვანო – ცუდათა ვარ, კაცო, ძილი აღარა მაქ!

კოტე – რა, შეყვარებული ხარ?

ვანო – სიზმარში სუ ერთ ამბავში ვარ. ხან რომელი ცხვარი დამეტაკება და ხან რომელი!

კოტე – თქვენი ბედი, რომ ეს სოფელი მიყვარს და ღრძო გულიც არა მაქვს. წავიდე, ცოტას დავისვენებ, ვინ იცის, ვის როდის დავჭირდები. ასეთია ექიმი კაცის ბედი! *(გავიდა. ყველა თავის საფიქრალს მისცემია. სიმღერა „კეკელა და მარო“)*

მეორე სურათი – „ყარამანის სადარდელი“
სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას ელიკო მისჯდომია და დამშეული ჭამს. მარო შეფარვით აკვირდება.

მარო – გზა ვეღარ გამოიგნო იმ კაცმა?.. მოვა და გულს გაიხეთქავს. ტიფი იხადე, შვილო? ეგ თმები რატო გადაიკორტნე?

ელიკო – ავი ქმარი რომ შემხვდეს, თმებით ვეღარ მათრევს.

მარო – *(თავისთვის)* გენაცვა, რო გაჩნდა, მაშინ უფრო მძიმე იყო!

ელიკო – სიმსუქნე კაპიტალიზმის გადმონაშთია.

მარო – რატო ერთად არ ჩამოხვედით?

ელიკო – ვიზე ამბობ?

მარო – დილას შენი ძმა ჩამობრძანებულა!

ელიკო – ილიკო? ჩამოსვლას თუ აპირებდა, რატომ არ გამაგებინა?

მარო – ეჰ, შვილო, წახდა დროება! როცა სისხლით ნათესავებს ერთმანეთზე გული უგრილდებათ, იმის ნიშანია, რო წარღვნამდე შორი აღარ არის. ხორაგი რომ არ შემოგლეოდათ, მშობლების გზა-კვალსაც დაივიწყებდით.

ელიკო – კარგი რა, დედა! *(ჭამა დაამთავრა, ადგა, ხელები გაშალა და უძრავად გაჩერდა)*

მარო – ეგ იყო შენი ჭამა? *(ელიკო არ პასუხობს)* რა მე-შვე-ლე-ბა!

ელიკო – შენც ასე უნდა გააკეთო ხოლმე ჭამის შემდეგ, ელასტური ტანი გექნება.

მარო – გალასტული ტანი, შვილო, ვერც თოხს მოერევა და ვერც ჯანსაღ შვილს გააჩენს. *(შემოდის ყარამანი, ნასვამი. მარომ ელიკოსავით გაშალა ხელები და გაშეშდა. ყარამანმა თვალები მოიფშვნიტა: ნასვამი კია, მაგრამ რას აკეთებს მარო? ან ის უცხო ქალიშვილი, მგონი კლუბში ნახა, ვინ არის?)*

ყარამან – *(ფრთხილად)* დედაკაცო!.. დედაკაცო!

მარო – ჩუ! ჭამის მერე ესე უნდა.

ყარამან – *(პირჯვარი გადაისახა. დედა-შვილს წინიდან შემოუარა. ელიკომ თავი ვეღარ შეიკავა და მამას კისერზე ჩამოეკიდა)* დედაკაცო... ესა...

ელიკო – მამა, ჩემი საყვარელი მამა!

მარო – არ გაუჯავრდე, ეგრე უფრო უხდება.

ყარამან – ხვალ არ დამენახო, თუ შენც ესე არ შეიღებები!.. აი, რო ატყდით, ენდე, ქალაქი!

მარო – ძალიანაც კარგი! აბა, ჩლართიას გოგოს ჰგავდეს, გოდორივით რო დაგორავს? ყურები გამოიფხიკე, გაზეთებ მაინც არა კითხულობ? სიმსუქნე კაპიტალიზმის გადმონაშთია...

ყარამან – დედაკაცო, კოლექტივში შენა ბრიგადირობ, აქ მაინც მაბრიგადირე, შე დალოცვილო!.. ლოგინი გაშალე, მანამ შუქი ჩაქრება.

ელიკო – სად დალიე?

ყარამან – რეიგანი შემხვდა და უარი ვერ ვუთხარი.

ელიკო – თქვენ კიდევ სულ ასე ჩხუბობთ?

ყარამან – ეეჰ, შემჭამა, შვილო, რაც თქვენ წახვედით, სუ აფთრათ იქცა!

მარო – აფთრათ მე ვიქეცი?.. გოგო, სოფელში თავი აღარ გამოეყოფა. იმ ჩვენ მეზობელსა, შაქრიას ნასახლარზე რო დაფუძნდა, ცულით დასდევს...

ყარამან – იმას დავდევ ცულითა?

მარო – ღობეს ხო დასდევ?

ყარამან – იმიტომ, რო იმ ღობემ ფეხი აიდგა! *(ელიკოს)* გავიხედავ დილითა, ვნახოთ, ჩემკენ გადმოწეულა! ერთხელ წავუყრუე, მეორეთა, საქმეში ხარ? ლამის კიბემდე მოვიდეს!

მარო – აბა, რას ამბობ? რამდენჯერ გაზომეს და გაგამტყუნეს? *(ელიკოს)* ეხლა ამას პატივსა სცემენ და იციან, რო ამისთანა ვირ მუშასა მეორეს ვერ იპოვნიან, თორე სოფლიდან გაასახლებდნენ.

ყარამან – *(გამწარებით)* მე გამასახლებდნენ?! მამა-პაპის მიწაწყლიდან! მე, ყარამან გორგიშელსა?! რო ამ მიწაზე უცხო თესლი ჩაყარონ და მაამრავლონ?! *(მოტყდა)* მთავრობაში მივალ და ვიტყვი, რო იმ კომისიებს ქრთამით აუბეს თვალები... მაგრამ იმათშიც... მეპარება ეჭვი...

მარო – რაც ის დასახლდა, გოგო, აითვალწუნა, თვალში ეკლათ ესობა.

ყარამან – მე ის ვიცი, რო ჩემ მიწას მართმევს ეგა.

მარო – *(დაყვავებით)* გეჩვენება, ყარამან!

ყარამან – ეგ მიჯნა, სანამ შაქრია მანდ სახლობდა, ჩემკენ არ მოცოცავდა!

მარო – დაიჟინა, შაქრია და შაქრია! იმის გარდა მეზობელი არ უნდა!

ყარამან – *(ელიკოს)* აბა, შაქრია და ესა ერთია, ადამიანო?

მარო – ამან რაღა მარგალიტის საყელო ჩამოგახია, ან ამ გოგოს რო ეუბნები, ძალიან ახსოვს, ვინ იყო შაქრია!

ყარამან – ვინ იყო და, ლომოური იყო! *(ელიკოს)* არც შენ გესმის, შვილო? მა ვიღას შევჩივლო?

ელიკო – *(მოეფერა)* მამა, მამიკო!

ყარამან – *(ერთბაშად გული აუჩვილდა)* მომცილდი!.. შენზე ნაწყენი ვარ.

ელიკო – რას გიშავებ, მამი, მეც ხომ ცხოვრება მინდა?

ყარამან – რო აღარ ვიცი, რა არი ცხოვრება?.. თუ კულტურას უნდა, რო ეგრე თმაგაკრეჭილი და გადაყვითლებული დადიოდე, იარე, შვილო, მაგრამ იმას კი გუმანითა ვხვდები, ჩემი ალიკო, ილიკო და ელიკო რო გვერდითა მყვანდნენ, ის ღობე თავის ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა!

ელიკო – დაწყნარდი, შენ ხომ ჩემი კარგი მამიკო ხარ?

ყარამან – ჰო. შემოგელეოდათ ხორაგი და ეხლა გავკარგდი.

ელიკო – შენი გია ისეთი გახდა, ჩაყლაპავ!

ყარამან - ფეხი აიდგა?.. აბა, ვინ მაჩვენებს იმის თავსა? ალიკო აღარ ამოდის. ნეტა რა ეწყინა ჩემგან...

ელიკო – მოცლა რომ არა აქვს?

ყარამან – რო ვედარც მე ვიცლი? ეს რა ცხოვრებაა, მშობელმა შვილი ცოცხლივ დაკარგოს?.. შენ კი რა უნდა წაუღო, შენთვინ ძლივ მოერევი.

ელიკო – წუხელ სიზმარში გნახე. თუ მიხვდები, როგორა გნახე?

ყარამან – რა ვიცი... ნეტა იქ მაინც თუ ვიყავი მოსვენებული?

ელიკო – ჩექმები მიყიდე, მაღალყელიანი.

ყარამან – რა გიყიდე?

ელიკო – ჩექმები.

ყარამან – კარგათ მოგივიდა?

ელიკო – ხომ მიყიდი?

ყარამან – როგორ არ გიყიდი! ოღონდ ამაღამაც ნახე სიზმარი და გამიგე, ფული საიდან ვიშოვო. ჩვენი გენო ეგრე კი არ არიგებს ფულსა! არ გახსოვს, შარშან რა გვიყო?

ელიკო – ჰო, ყველა რომ ჩაიცვამს, მე იმათ ავუხსნა, რომ გენო ბუღალტერმა ჩემი ჩექმები სმეტაში არ ჩასვა მეთქი!

ყარმანი – გოგო, შვილო!.. ომში ვიყავი და ბერლინამდე ისე მივედი, ერთხელ დავინახე ჩექმა, გენერალს ეცვა. იმას ვიხვევდით ფეხზე, ტოლაღებსა. რა დრო დადგა, გენაცვალე! თმასა ბიჭივით იკრეჭავთ, ჩექმებს იცვამთ, ბარემ შარვალშიაც გამოეწყეთ და უნტერაფიცერი იქნები!

ელიკო – მთელი თბილისი შარვლით დადის.

ყარამან – ეხლა სუ ნუ გამამასხრე!

ელიკო – მართალს გეუბნები!

ყარამან – მოიცა! კაცებს რაღა აცვიათ?

ელიკო – იმათაც შარვლები.

ყარამან – მადლობა ღმერთს!.. ქვეყანას სუ ნუ გადააბრუნებთ. სულაც თქვენ გამო გამოგვყარა ღმერთმა სამოთხიდან, აღარ უნდა დაწყნარდეთ?

ელიკო – ხომ მიყიდი?

ყარამან – გიყიდი, შვილო, თავში ქვას ვიხლი და გიყიდი! ჯერ ეს სახლი გავყიდო, ჩექმასაც გიყიდი, დედაშენსაც ვუყიდი შარვალსა და ჩექმასა, მე თმაზე ბანტ გავიკეთებ და ავაშენებთ ქვეყანასა!.. ლოგინი გაშალე, დედაკაცო? პატარას წამოვწვები. ეს დალოცვილი მზე ადრე იღვიძებს და ნაცარგორაზე პაემანი გვაქ მასთან დათქმული.

სიმღერა „კეკელა და მარო“

მესამე სურათი – „სიზმარი“

იგივე ღამე. აივნის კიბეზე ჩამომჯდარი ყარამანი პაპიროსს ეძალება. გამოდის მარო, გვერდით მიუჯდა.

მარო – *(მორიდებით)* ყარამან... გაიგე, კაცო, სოფლის სამასხარაოთ ნუ გაიხდი თავსა!.. მეზობელია, მტრათ ნუ გადაიკიდე!

ყარამან – *(გულდაწყვეტით)* არავის გესმით ადამიანისა! მარტო სიკა მასწავლებელი ხვდება. ჭკვიანია და იმიტომ.

მარო – განა მე არ მესმის შენი? მაგრამ გენო ამბობს, ყარამანი ვერ ერკვევა თანამედროვე საკითხებშიო.

ყარამან – რაშიო?

მარო – აბა, რა ვიცი, რაშიო... *(დაყვავებით)* შე საწყალო, ან რა შავ ქვათ გინდა ეგ მიწა, მოვლის თავი რო აღარა გაქ? ვის უტოვებ? რომელ შვილს უნდა ეგ მიწა?.. გულზე დასაყრელად კი, აი, კიბის ქვეშ როა, ესეც გვეყოფა.

ყარამან – აი, ეგა მკლავს!.. მერე ამ მიწაზეცა, კიბის ქვეშ როა და გულზე დასაყრელად რო გვეყოფა, ამ მიწაზეც ამანა და ამისმა ლეკვებმა უნდა იარონ! რისთვის ვალბობდი ამ მიწას ოფლითა, დავიხოცებით და შენი შვილების მაგივრათა ეს ვაზი უცხომ უნდა ჰკრიფოს? ავკაფავ! ავკაფავ!.. მაგრამ როგორ ავკაფო ეს დალოცვილი?.. სულა ვფიქრობდი, გაიზრდება შენი შვილიშვილი, ამოვა, შეიყვარებს ამ მიწასა, აქ დასახლდება, მტერს არ გაალაღებს...

მარო – რას იზამ, ყარამან... დრომ მოიტანა. ყველას შვილები ქალაქში გაიკრიფნენ, აღარავის უნდა მიწასთან ომი.

ყარამან – ღმერთს ნუ სცოდავ, დედაკაცო! ომი მტერთან მოუგონებია ღმერთსა, მიწასთან კი, ალერსი და ფერებაა საჭირო. ესეც ამბობდა პაპაჩემი. ეს ხო მართლა მიწა არ არი? შენგან გამკვირვებია, დედაკაცო, ეს ხო ჩვენი მამაპაპის სისხლი და ძვლებია!

მარო – არ გედავები. ჩვენც რომ დავიხოცებით, ჩვენი შვილებიც ეგრე იტყვიან.

ყარამან – ვეღარ იტყვიან. აი, ამისი ლეკვები იტყვიან!

მარო – წამო ეხლა, წამო, სუსხი გამოუშვა და შეგცივა. ძილი აღარ გინდა, კაცო? არ გინდა, ჯანი დაგყვეს?

ყარამან – მეშინია.

მარო – რისი, ადამიანო?

ყარამან – რო დავიძინო და დილაზე ვეღარ გავიღვიძო... იმ პატარა მაიმუნის უნახავათა...

მარო – რასა სულელობ!..

ყარამან – ფეხი აუდგამს!..

მარო – *(ადგა)* წამო, წამო.

ყარამან – ჰო, წამოვალ... *(მარო შევიდა)* ნიკრეულა!.. რა ლამაზი სახელი გქვია, შე დალოცვილო! დილაზე რო გავიღვიძო და სხვა სახელი გერქვას... *(შემოდიან სიკა და ილიკო)*

ილიკო – *(მამა დაინახა)* ჩასძინებია!

სიკა – მაშ, ხვალ მიბრძანდებით?

ილიკო – რა ვქნა, სიკა მასწავლებელო, ლექციები რომ გავაცდინო, ჩამოვრჩები და გამომრიცხავენ.

სიკა – შენ ხვალ ვერ წახვალ. ვერც ლექციებს გააცდენ და ვერც გამოგრიცხავენ. იმიტომ, რომ არა სწავლობ, არც მოწყობილხარ. ნუ შემეკამათები! იმ სურათმა გაგცა, დედაშენმა კრებას დიდი სიამაყით რომ აჩვენა. ხომ არა გგონია, გაზეთს მარტო ქალაქელები კითხულობთ? ეგ სურათი შენ რუსთაველზე გადაგიღეს ამფსონებთან ერთად და გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდეს – „აი, ვინ გვარცხვენს“, სათაურიც მახსოვს. მეც ამოვჭერი ეგ სურათი და შევინახე, ოღონდ ტექსტიანად.

ილიკო – სიკა მასწავლებელო...

სიკა – ნუ გეშინია, ნამუსს შეგინახავ. არ იფიქრო, რომ ეს შანტაჟია, მე ხომ ჩემი ინტერესები არა მკარნახობს? ილიკო, დროს უქმად ფლანგავდე, დანაშაულია. ქვეყანას პატრონი და შემწე ენატრება. დადგება დრო და სამშობლო კაცობას მოგთხოვს და ეს რომ ვერ შეძლო, ხომ იქნები მოდალატე? ან მე რა პასუხს მაძლევ? რისთვის გასწავლიდი ცოტნე დადიანს? დილაზე გელოდები.

ჩაბნელება

დილა. იგივე ადგილი. სცენა სავსეა მზის შუქით. კიბის ძირას ყარამანი პირს იბანს. მარო თუნგიდან წყალს უსხამს. თეთრი კაბა აცვია, ლამაზია და ახალგაზრდა. სუფთად წვერგაპარსული ყარამანიც ასევე ახალგაზრდაა.

ყარამან – *(სიამოვნებით მოიწურა წყალი სახიდან)* უჰ, შენ გენაცვალე, მარო!

მარო – *(გაოცებით)* რა თქვი, ყარამან?

ყარამან – გავცოცხლდი, მარო, მარიამ ქალო!

მარო – ეს შენ მითხარი „გენაცვალეო“?

ყარამან – ჰო, რა გაგიკვირდა?

მარო – სახელიც დამიძახე?

ყარამან – ჰო, მარო არა ხარ?

მარო – რაც შენი ცოლი ვარ, ჩემთვის სახელი არ დაგიძახია!

ყარამან – მა რას გეძახდი?

მარო – „დედაკაცოს“. გადავეჩვიე ჩემ სახელსა.

ყარამან – მაშ, მარო დაგიძახე?

მარო – „გენაცვალეც“ მითხარი!

ყარამან – მა რას ვიტყვი, გენაცვალე, შეხე, რა დილაა!

მარო – უწინ არა თენდებოდა?

ყარამან – ალბათ, თენდებოდა... მაგრამ ესეთი მზე? ამ გალობასაც ყური უგდე! შენ სხვა დროს მოგისმენია? ეს რამდენი ბულბული ყოფილა ჩვენ სოფელში!

მარო – კარგი კაცო, პოეტათ ნუ გადაიქეცი! *(თუნგი მიაქვს)*

ყარამან – მოიცა! *(ჭაბუკური ნაბიჯებით წამოეწია)* მარო!.. რა ლამაზი ყოფილხარ, შენი ჭირიმე!

მარო – *(ცას ეწია)* მე – „შენი ჭირიმე“?!

ყარამან – მაპატიე, მარო... მარიამ!.. სუ მიწას ჩავბღუოდი და შენთვის ვერ ვიცლიდი! მოგიყვანე და მაშინვე უღელში შეგაბი! შენ გენაცვალე, ერთგულათ კი ეწეოდი, მაგრამ მადლობაც რო ვერ გითხარი! შენთვის ვერ ვიცლიდი!.. ეს რა ტანი გქონია, გოგო! გახსოვს, გერისთობაზე სათამაშოთ რო გამოგითხოვე, ისეთი ხარ, მარო!

მარო – შენა? ნაცარგორაზე რო ამიყვანე, გახსოვს? წმინდა გიორგის ეკლესიის წინ ხუთი საყდრისუბნელი ვაუკაცი რო დააკარი ბეჭებითა, ისეთი ხარ, ყარამან!

ყარამან – შენ მეგულებოდი იქა, თორე, განა მოვერეოდი, ისეთი ყოჩი ბიჭები იყვნენ. ეხლაცა, ჩემო მარო, ცხენი უნდა შევკაზმო და იმ გორაზე აგიყვანო, ღრუბლებთანა!

მარო – იქა, ბიჭო?!

ყარამან – ჰო! ესე მგონია, ამ ძარღვებში სისხლი კი არა, ლიახვი მოდიდდა!

მარო – სუ, ბიჭო, ბალღები გაიგონებენ! *(შინ შევარდა)*

ყარამან – ქალი კი არა, ჯეირანია!.. ჯეირანს სჯობია. ჯეირანს ესე ტკბილი ლაპარაკი სად შეეძლება? ან ესეთი წელი და თეძოები სად ექნება? *(მეზობლის კარმიდამოდან წალდის ჩაკუნი ისმის)* ჰეი, რომელი ხარ?

ხმა – დილა მშვიდობისა, ძია ყარამან, მე ვარ.

ყარამანი – ჰო... მოიცა, ვინ შენა?

ხმა – მახარე.

ყარამან – აბა მახარე?

ხმა – შაქრიას ბიჭი.

ყარამან – *(ყურებს არ დაუჯერა)* რას ამბობ! შენ ქალაქში არ გადასახლდი?

ხმა – დავბრუნდი, ყარამან ძია! აბა, ამისთანა მზესა და მიწას ქალაქში ვინ მომაქვავებდა?

ყარამან – სუ დაბრუნდი?

ხმა – სუ რომელია, სიდედრიც ჩამომყვა. აბა, ამდენ ბარტყსა მარტო ჩემი ქალი და დედა როგორ აუვლენ!

ყარამან – მერე ისა?

ხმა – ვინა?

ყარამან – აქ ხო სხვა სახლობდა?

ხმა – შენ რო გულზე მუწუკად გაჯდა? წავიდა!

ყარამან – *(ამაღლდა, გაიბადრა)* ჰა? სად წავიდა?

ხმა – რა ვიცი. საიდანაც მოვიდა.

ყარამან – ეს რა ესმის ჩემ ყურებსა! ხალხო, მეზობელი დამიბრუნდა! შენ გენაცვალე, მახარე, ეს რა ამბავი მახარე!

ხმა - პოეტი ყოფილხარ, ძია ყარამან!

ყარამან – ეჰეი! ნიკრეულას დარიც დამდგარა! მარო, მარო, ჩქარა ღვინო! ის ბერიკაცი რაღას თლის?

ხმა – აკვნებსა.

ყარამან – რასაო, ბიჭო, რასაო? *(ბავშვივით აღტაცებულია)* აკვნებსაო! დახე, რამდენია!

ხმა – ი! ორი კიდე უაკვნოთა მყავს. აბა, ჩემ ქალსაც შეხედე, დღე-დღეზე მოსაგებათ არი! *(მარომ დოქით ღვინო მოარბენინა და ყარამანს ჭიქა შეუსვო)*

ყარამან – ამ დილის მადლი შეგეწიოს, მახარე! *(ჭიქა მაროს შეატოვა და კულისებში გავარდა. ისმის რაღაცის ლაწა-ლუწი)*

მარო – რას ჩადი, ყარამან!

ყარამანის ხმა – ეხლაც იტყვით, ყარამანი ერთ გოჯ მიწაზე გაგიუდაო? ღობე აღარ უნდა ყარამანსა, ამისი მამგონი დაიქცეს! მახარეს ბიჭებმა ჩემ არემარეზეც უნდა იარონ! *(შემოვიდა)*

ხმა – შენც ხო გყავს შვილიშვილები, ყარამან ძია!

ყარამან – დავეტევით! ჩვენი ბალღები ვინ გაყო? *(მაროს ჭიქა გამოართვა)* მახარე, შენს დაბრუნებას გაუმარჯოს! მაგ აკვნებს გაუმარჯოს! მაგ ბერიკაცის მარჯვენა დალოცოს ღმერთმა! ბერიკაცო, მაგ აკვნებს ჩაუთქვი, ვინც მაგაში ჩაწვება, ამ მიწის ყადრი დაჰყოლოდეს! ბარაქა შენს მარჯვენას! გენაცვათ, ერთი აკვანი ჰყოფნიდა მთელ სოფელსა! მეზობლებო, კარში გამოდით, ყარამანს სადავო აღარავისთან აღარა აქვს! იხარე ჭერო, მოკვდი, მტერო! *(ჭიქა გამოცალა. შემოდის ვაჟბედი. აღარ კოჭლობს, აღარც კუზი აქვს)*

ვაჟბედი – დილამშვიდობისა, მეზობლებო!

ყარამან – აი, გაგიმარჯოს! *(გაიაზრა)* შენა ვინა ხარ?

ვაჟბედი – ვაჟბედი.

ყარამან – შენა ვაჟბედი ხარ?

ვაჟბედი – ჰო.

ყარამან – ბიჭო...

ვაჟბედი – გაგიკვირდა, კუზი რო აღარა მაქვს და აღარა ვკოჭლობ? მომირჩა, ძია ყარამან. ეხლა სოფელ-სოფელ დავდივარ, ხალხს ვეპატიჟები, ამაღამ ქორწილი მაქვს... *(შორს თამარი გამოჩნდა)* აგე, ჩემი ქალი!

ყარამანი– ეგ ხო თამარია!

ვაჟბედი – ჰო, ყარამან ძია, ქალაქს რო გამითხოვდა. თავმჯდომარემ მასალა მომცა, სახლი უნდა გავმართო. მთელი სოფელი მეხმარება. ახლა გავმრავლდები, ყარამან ძია, ვაჟბედი აღარ მოკვდება და აღარც უძეოდ გადაშენდება! *(გავიდა. თამარი დგას შორს, უძრავად. თითქოს მზის სხივებში ბანაობს)*

ყარამან – მარო, შეხე, რა ლამაზია ჩვენი თამარი!

თამარი – მე თამარი არა ვარ.

ყარამან – მაშ, ვინა ხარ?

თამარი – ნუთუ ვერა მცნობ? ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში მიცნობენ. მთელი დედამიწის ზურგზე. მე გაკვირდებოდი, ყარამან. რაც შენ დაიბადე, გაკვირდებოდი. მე თუ ლამაზი ვარ, შენი ბრალია. შენ დაიმსახურე ჩემი წყალობა. მითხარი შენი სამი ნატვრა, მე შეგისრულებ.

ყარამან – სამი ნატვრა?

თამარი – მოასწარ, ვიდრე მზეს ღრუბელი მოეფარებოდეს!

ყარამან – მარო, მომეხმარე! *(თამარს)* რაც უნდა ვინატრო, ყველა...

თამარი – ყველაფერს შეგისრულებ.

ყარამან – მარო, მიშველე!.. ეს ოხერი, მთელი ჩემი ცხოვრება ნატვრაში ამომდიოდა სული და ენა ეხლა რა ეშმაკმა დამიბორკა?

მარო – ჩქარა, ყარამან, ღრუბელი ახლოვდება!

ყარამან – შვილები დამიბრუნე!

თამარი – შეგისრულებ.

ყარამან – შენს სახელს ვენაცვალე! გაიგე, მარო, რა თქვა?

მარო – გავიგე, ადამიანო, მიდი მეორეცა!

ყარამან – აი, ესე მუხლ მოგიყრი, შენს მტვერს დავკოცნი, ჩემი მახარე გამიმრავლე, ვაჟბედას გაუფრთხილდი, ძიენ გაიტანჯა, გამიმრავლე!

თამარი – შეგისრულებ. მესამე?

ყარამან – მეტი რაღა შავი ქვა მინდა, თუ ეგენი შემისრულე?

თამარი – ღმერთივით რომ ილოცები, მტერი არ გყავს?

ყარამან – მტერი? რა ვიცი? მარო, მტერი მყავს?

თამარი – არც არავინ გძულს?.. ჩქარა, ყარამან!

მარო – მიდი, კაცო, მოასწარი!

თამარი – არც უკვდავება გინდა? რომ არასოდეს მოკვდე!

ყარამან – არა! მიწათ მინდა ვიქცე, ჩემი მამა-პაპის ძვლებს შევერიო, ჩემმა შვილიშვილმა დამკრას ბარი და მე მადლი მივაწოდო მიწისა, როგორც ეხლა ისინი მაწვდიან... *(თამარი გაქრა. სულ ახლოს თვითმცლელი მანქანისა და ხრეშის ხმაური)* მარო, შეხედე, ქალო!

ილიკო – *(შემოვარდა)* მამა!

ყარამან – ეგ რა არი, შვილო?

ილიკო – სახლი უნდა მოვადგა.

ყარამან – *(გაიხარა)* რათ გინდა, შვილო, ამხელა მიწა არ გვეყოფა?

ილიკო – გვეყოფა კი არა! ალიკოც ჩამოდის. სად დასტევ ამდენ შვილიშვილსა?

ყარამან – მოიცა, ალიკოც ჩამოდის?

ილიკო – მაშა!

ყარამან – გესმის, მარო? მახარე, იმ ბერიკაცს უთხარი, ერთი აკვანიც ყარამანისთვისა-თქო! განა მე უნდა ჩავწვე შიგა! აბა მე როგორ ჩავეტევი, ჩემი შვილიშვილებისთვისა. ჯერ ერთი, მერე ვნახოთ!

ელიკო – *(შემოვარდა)* მამა, ალიკო ჩამოვიდა!

ყარამან – *(მუხლი მოიყარა)* ღმერთო, ნუ მომკლავ! სადა ხარ, თამარ, მესამე ნატვრა მომაფიქრდა: მაცოცხლე ათიოდე წელი, ხუთიოდე მაინც, აკვნის რწევით გამაძღე! *(გულზე ხელი მიიდო. გულდაწყვეტით)* აი, აქა, გულია თუ რა ოხრობა, ძიენა მტკივა...

ჩაბნელება

როცა გათენდა, ყარამანი ისევ კიბეზე ზის. თავი მუხლებზე დავარდნია. გამოვიდა მარო, ჩვეულებრივი, ბებერი.

მარო – ადე, შე უბედურო, წამოხისფეხდი!.. რა ძილქუში დაგაწვა, კაცო! *(მაგრამ ყარამანი გონში ვერ ჩააგდო, შეშინდა)* ყარამან! ჰაი, ყარამან! *(ერთბაშად)* ელიკო, ილიკო! *(ელიკო და ილიკო გამოცვივდნენ)*

ელიკო – რა იყო, დედი?.. მამა!

მარო – ველარ ვაღვიძებ ამ უბედურს! *(ილიკო კიბეს მოსწყდა და გავარდა, დაადევნა)* გააღვიძე, თუ მთვრალი არ არი, ყარამანი გვიკვდება-თქო! *(ისევ ქმარს მიუბრუნდა)* ყარამან, ნუ დაგვღუპავ, კაცო, რა დროს სიკვდილია, ადამიანო?

ელიკო – რა დაემართა?

მარო – რა ვიცი, შვილო... გინახავს, ადამიანმა თავი ძალით ამოიჭამოს? რა ვუშველო? რა ხევსა და წყალს მივეცე? რა ამისი საქმე იყო, გოგო, კრება, რო ატყდა სამგლე გოჭივითა? გული უფრო არ გაულახვრეს?.. აქამდე სად არიან?

ელიკო – მოდიან! ბედი, რომ აქვე ცხოვრობს!

მარო – ყარამან! კაცო, აბა ერთი შემომხედე! *(შემოვარდნენ ილიკო და კოტე)*

კოტე – რა დაემართა?

მარო – ჩქარა, შვილო, კაცი ხელიდან მეცლება! *(კოტე ყარამანს სინჯავს, წნევას უსინჯავს)* გულზე რო უბაგუნებ, დროზე გაუკეთე ნემსი, კაცო!

კოტე – *(ნაწყენი)* ექთანი კი არა ვარ, მე ექიმი გახლავართ. ხომ უნდა დავადგინო შეუძლოთ ყოფნის მიზეზი?

მარო – თუ ხელში ჩაგაკვდა, მიზეზს რა თავში ვიხლი?

ელიკო – აცადე, დედი! *(კოტემ ნემსი გაუკეთა. მაჯა კიდევ გაუსინჯა)*

კოტე – ზედ კარიბჭესთან მივასწარით.

მარო – რა კარიბჭესთან?

კოტე – მიქელ-გაბრიელს მიჰყავდა. აბა, რომ მაჩქარებდით, ნემსიო, ხომ უნდა დამედგინა, რა ნემსი შემეყვანა? მართალია, სოფელში ვმოღვაწეობ, მაგრამ ბევრი ქალაქელი პროფესორი ვერ მაჯობებს დიაგნოზის დასმაში. მკურნალობისთვის კი მთავარი დიაგნოზია. ყარამან ძია!.. ყარამან ძია!.. *(ყარამანმა თავი აწია. უაზროდ შეხედა ყველას სათითაოდ)*

ყარამან – რა იყო? რამე მოხდა?

მარო – ადე, ყარამან, შინ შემოდი.

კოტე – ჰატ! განძრევა არ შეიძლება!

ყარამან – კოტე ხარ? აქ რა გინდა?

კოტე – *(გახარებული)* მიცნო, აი, მიცნო! *(ყარამანს)* ლიახვის პირას ვსეირნობდი და შემოგიარეთ.

ყარამან – დედაკაცო, სტუმარი გვწვევია, სუფრა გაშალე. *(წამოიწია)*

კოტე – არ ადგე, ძია ყარამან!

ყარამან – ამ მუხლებს რა ჭირი შეუდგა? კოტე, ჭრელათ ხო არა ვხედავ მზესა?

არჩილა – *(შემოვარდა)* გარეთ მეძინა და ჩოჩქოლმა გამაღვიძა. რა დაემართა?

კოტე – ჩუ! *(ხმადაბლა)* ციმციმ აიყვანეთ და ლოგინში დააწვინეთ.

ყარამან – რას მიპირებთ, ხალხო... კოტე, იმან დამარტყა, უცებ რო არტყამს?

კოტე – ნუ გეშინია, ძია ყარამან, აქ არა ვარ?

არჩილა – *(კოტეს ხმადაბლა)* მართლა დაარტყა?

კოტე – არა, მაგრამ... არტერიული ჰიპერტონია... უარყოფითი ემოციები, გადაღლა, ყველაფერი ერთად. ყურადღებას საჭიროებს. შეიძლება განვითარდეს აგზნების პათოლოგიური შეგუებითი დომინანტის ფორმირება თავის ტვინის სიმპათიკურ ცენტრებში.

არჩილა – ვაი, შენი თავის ტვინის სიმპატიურ ცენტრებში გავიარე! რა ვქნათ?

კოტე – ციმ-ციმ საწოლში! *(არჩილა და ილიკო ყარამანის აყვანას ცდილობენ)*

ყარამან – ვკვდები, ბიჭო?.. მოიცათ, სად მიგყევართ?.. აიმ ვაზის ძირში დამაწვინეთ.

მარო – რას ამბობ, გაცივდები, ადამიანო!

ყარამან – მიწა როგორ გამაციებს... მიწა თბილია... ჩვენ ვაციებთ მიწასა. გეხვეწებით, რა!.. იქ დამაწვინეთ და... მოვრჩები... არჩილა, შენ მაინც მამეხმარე! *(არჩილამ ყველა გზიდან ჩამოიცილა, ყარამანი ბავშვივით აიყვანა და ვაზის ძირას ფრთხილად დასვა)* აი, ესე... ეხლა... რა დამემართა?.. აბა, ალიკო? რო ვერა ვხედავ?

არჩილა – *(მაროს)* როგორ დაემართა?

მარო – ამ კიბეზე იჯდა და დროზე რო არ გამომეხედა, ეგრე უსიტყვოთ გაიპარებოდა.

არჩილა – დღესა დალია?

მარო – ჰო, ნასვამი მოვიდა.

არჩილა – ვისთან დალია?

მარო – რეიგანი შემხვდაო.

არჩილა – ნორმაში იყო თუ...

მარო – აბა, რა ვიცი, მაგას ხო ფეხი არ აერევა.

ყარამან – მახარეს დაუძახე, დედაკაცო, შაქრიასაცა.

მარო – ჰო, მოვლენ. *(ელიკოს)* მიდი, გოგო, შაქრიას გასძახე. *(არჩილას)* აესე, აბუეტივით ლაპარაკობს.

არჩილა – *(ერთბაშად)* გამაიტა ღვინო!

მარო – რას ამბობ, შენც აუქშიე? *(ელიკოს)* შედი, ნუ იწირპლები! *(ილიკოს)* მამაცილე თავიდან! *(ილიკოს ელიკო შეჰყავს სახლში)*

არჩილა – ეხლა მაგასა ძარღვები დაუვიწროვდა. ღვინო გაუფართოებს და, ჰაიდა, შენი ყარამანი ჩიტივით წამოხტება.

კოტე – რას ამბობ, ძია არჩილ, ჩამოყალიბებული ინსულტი აქვს. ღვინო როგორ იქნება?

არჩილა – რა სახელი თქვი, რა დაემართაო?

კოტე – ინსულტი. გაჟონვა.

არჩილა – გაჟონვა შენ გემართება ხოლმე, ზომაზე მეტ რო დალევ. ღვინო-მეთქი, ქალო, მაგისი წამალი მე ვიცი!

მარო – აი, ჩაგისკდეთ ეგ ტიალი მუცლები! *(შევიდა სახლში)*

არჩილა – *(კოტეს)* აბა, ამისთანა ქალის ხელში გაჟონვა კი არა, ღვართქაფი რო არ ჩაექცა ტვინში, არ გიკვირს?

კოტე – არა, ღვართქაფისაგან ღმერთმა დაიფაროს, პატარა გაჟონვა კი იყო... ისე, ბარაქალა დედაკაცი ჰყავს ყარამანს!.. არჩილ, რა არის ქალი?

არჩილა – როგორ თუ რა არის?.. ქალი... ბევრნაირია: ცოლი, სიდედრი, *(მოწონებით)* ისე ქალი!

კოტე – ისე ქალი მართლა კარგია! ავიღოთ ცოლი.

არჩილა – *(ენთუზიაზმი ჩაუქრა)* ავიღოთ.

კოტე – ქალი სანამ გათხოვდება, თაფლსა ღვრის პირიდან, იტყვი, რომ იმ პატარა გულ-მკერდში სად ეტევა ამხელა მეფუტკრეობის მეურნეობა. როგორც კი ქმრად დაგიგულებს...

არჩილა – გათხოვდება და ჰო, ჰო, ჰო! თაფლის მეურნეობას კი არა, იპრიტსა და ლუიზიტს რო გამოუშვებს ნაპორითა, კიდე როგორ არ ვიხოცებით აქამდინა!

კოტე – ცოლი მთელი ცხოვრება თავისკენ გეწევა, რომ როგორმე იმას დაემსგავსო, მერე ქოქოლას გაყრის, ეს უბედური რას ჰგავსო!

არჩილა – მართალს ამბობ, კოტე. მე და ჩემ ცოლს, ამ ხნისა მოვიყარეთ და, სუ ომი გვაქ. ვართ სნაიპერებივით ჩასაფრებულნი და, აბა, ბიჭი ხარ, თავი ამოყავი აკოფიდანა! ცოლი... *(ამ დროს შემოიტანა მარომ ხელადით ღვინო და ტაფით რაღაც შემწვარი. არჩილამ მყისვე იპოვა გამოსავალი)* ცოლი? ხელისგულზე ერბო-კვერცხი რო შეიწვა, ცოლის პატივისცემას კაცი ვერ გადაიხდის! *(ახლა „შენიშნა“ მარო)* ოჰ, მაროც მოსულა!

მარო – აჰა, ჩაცეცხლეთ! ვაი! თუ გიტიროთ? *(არჩილას)* შენ რა, შენი დამტირებელი შინ გიზის, ამაზე ვამბობ, ეგ თავინათქვამა თუ ვიტირო, მაშინ გამიწყრეს წმინდა გიორგი!

არჩილა – რა სჭირს ამ კაცს სატირელი, განა კვდება?

მარო – სწორეთ მაგას ვამბობ, რო ცოცხლივ სატირელია! *(წავიდა. ელიკოს შემოაქვს თეფშები, მწვანილი... ილიკოს – მუთაქა და ბალიში)*

ილიკო – აჰა, მამი, ესენი ამოიდე.

ყარამან – ამათა, შვილო?

არჩილა – შენ გენაცვალე, ყარამან, შაჰაბასივით არ მოეწყე? გმადლობთ, შვილებო! *(ელიკო და ილიკო გადიან)* ცოტა კი დაგვაფეთიანე! *(ჭიქები შეავსო. ყარამანს მიაწოდა)* აბა, გუთანი შევაბათ.

ყარამან – *(ჭიქა გამოართვა)* ამ ჭიქითა...

არჩილა – ჯერ ეგრევე დალიე, შიკრიკათ გაუშვი. ჰო, მიდი, მიდი, ცას შეხედე. *(ყარამანმა დალია. დააკვირდა. ეტყობა, ესიამოვნა)* ჰა, ყარამან, გაჟონა ძარღვებში?

ყარამან – გავთბი.

არჩილა – ეგეც ეგრე! *(ყარამანს ჭიქა შეუვსო)* შენ კიდე, კოტე, რო დაატარებ მაგ შპრიცსა კაი მორფინისტივითა, რა სჭირდა ეხლა ამ კაცსა სანემსეი?

კოტე – მე მაშინ ერთ ამბავს გეტყვით. ქალაქის პირველ საავადმყოფოში გავდიოდი ორდინატურას...

არჩილა – მოიცა რა, კოტე, ეგ ამბავი ჯერ შეინახე, რო დათვრები, მერე ხო მაინც უნდა მოჰყვე ტრაბახსა!

კოტე – შენა ძალიან სხვილათა ფქვავ, არჩილ! მომერიდე, ჩემი ახლობელია-მეთქი რაიკომის მდივანი, ვერ გაიგე?

არჩილა – იმანაცა ხატები არ დამიფრთხოს საყდარში! ის დამტვრეული აპარატი არ წამართვას!

ყარამან – მოიცა, კოტე... ის ახალი მდივანი შენი ახლობელია?

კოტე – რამე სათხოვარი ხომ არა გაქვს?

ყარამან – ჩემთვინ არა, შვილო, ჩემი წილი კალო უკვე გალეწილი მაქვს. სოფლისთვინა, მოზარდებისთვინა. ის ჩემი... მეზობელი... დროზე თუ არ ამოსდო ლაგამი, მერე გვიან იქნება. ბალბასავით გაიდგამს ფესვებსა, გულისხმაში ჩააგდე.

არჩილა – წედან რო ვთქვი, გარეთ მეძინა და ჩოჩქოლზე გამეღვიძა-მეთქი, განა მართლა მეძინა? რა ძილი, გული გახეთქვაზე მაქვს. დღესა კრებაზე რაიკომის მდივანი რო დაგვესწრო, ხო ყველაფერი მოისმინა. სიკამ რო თქვა, ურემიო და... ცოტა რო ვერ გამოუვიდა კომუნისტურათა, ისიც მოისმინა. ეხლა გენო კიდე დააბეზღებს სიკა მასწავლებელსა.

კოტე – თუ თვითონ მდივანმა მოისმინა, ეგ რაღა დაბეზღება იქნება?

არჩილა – არა, კოტე! მდივანი უჩუმრისპირათ გაიპარა. იქნება კაი კაცია და ვითომ არაფერი გამიგონიაო. გენო კი, რაიკომის ღონისძიებას დავასწროო, წერილს აფრენს, პარტიული სიფხიზლე რო გამოიჩინოს.

კოტე – ჰო, ეგ მართლა დაბეზღება გამოვა.

არჩილა – დაბეზღებას რა უშავს, დანოსია! ადრე ხო ლენინის ძეგლზე რამდენი აწვალეს! ეხლა რაიკომმაც რა ქნას? წერილი შესულია, ჩვენი კოლმეურნეობის პარტკომი ფაქტს ადასტურებს. ისინიც ადგებიან და ჩვენ სიკა მასწავლებელს... ჰე, იქ წასული უკან ვიღა დაბრუნებულა?

ყარამან – ვაჰ, შენი!

არჩილა – *(შიშით შეხედა)* შენ ნერვებს ნუ აიშლი! ყარამან, მოდი, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი.

ყარამან – თქვი, მაგრამა... დახე გენოსა! ვაჰ, რა დაუამებელი ძირმაგარაა! რაც თავი მახსომს...

არჩილა – შენ დაწყნარდი მეთქი!.. ეხლა... ამასწინებზე ქიწნისში ვიყავი ერთი კაი ოჯახის ქორწილში. თამადა იყო რო, ეგეთი ჯერ არ მინახავს. ერთი სადღეგრძელო თქვა, გულზე დამედო... აი, მინდორში ვართ. ცივა – რო გააქ და გამააქ ნეკნებში ქარაშოტსა. მე და შენ ერთმანეთთან მივედით, ერთმანეთს ჩავეხუტეთ და გავთბით, კაცო, შენცა და მეცა! აბა, კოტე, ექიმი ხარ და ამიხსენი, ეს რანაირათა? ცალ-ცალკე მეც ვიყინებოდი და შენცა. ერთმანეთს ჩავეხუტეთ და ორივენი გავთბით. საიდან გაჩნდა ეს სითბო? *(კოტემ ახსნა დააპირა)* მოიცა, მოიცა! აქ შენი სიმპატიური ცენტრები არაფერ შუაშია. ჰოო, აი, რამაც ეს სითბო გააჩინა, იმას გაუმარჯოს!

ყარამან – აი, გაგიმარჯოს! *(დალიეს)*

არჩილა – *(ცოტა გულნაკლულად)* იმისავით მაინც ვერ გამოვთქვი!

ოთახში მოწყენით სხედან ილიკო და ელიკო. მაროს შემოაქვს კალათი და ჩანთები.

ილიკო – რას აკეთებ, დედი?

მარო – თქვენი ხელით ჩალაგება რო მაინც გესწავლათ, რადა მიჭირდა?

ილიკო – არა, დედი, დილაზე როგორ წავალ, მამა ასეთ დღეშია!

ელიკო – არც მე მივდივარ.

მარო – მადლიანი კაცია მამათქვენი. მაგისმა ავადმყოფობამ კიდე ერთი დღით მაჩუქა თქვენი თავი!.. მერე, ლექციებს რო გააცდენთ, არ გაგიჯავრდებიან?

ილიკო – არა. იმდენი დამსახურება კი გვაქვს!..

მარო – მაშინ, დაწექით, არ გეძინებათ? საცაა, გათენდება.

ელიკო – მამას დაველოდებით.

მარო – კინაღამ ხელში არ ჩამაკვდა? ისე, დიაგნოზას რო დავცინით, მარიფათიანათ მოიქცა. ხელათ გაიგო, რა ნემსი უნდა გაეკეთებინა... არ დალიოს მაინცა!

ელიკო – კოტე იქ არ არის? ნემსის მერე ალკოჰოლი როგორ შეიძლება? *(ერთბაშად გაყუჩდნენ, რადგან გარედან სიმღერის ხმა შემოესმათ: სამი შეზარხოშებული მამაკაცი გულმოდგინედ ცდილობს, პარტნიორის ხმა გადაფაროს. მარომ პირჯვარი გადაიწერა)*

მეოთხე სურათი – „უძილობის ეპიდემია ნიკრეულაში“

ამ სურათის „მუსიკალური“ ფონია თოხის ჩაკუნი და ადამიანის ქშენა. კოტე ექიმის „კაბინეტი“. რაჟდენა ტანსაცმელს ისწორებს. გასინჯვა დამთავრებულია.

რაჟდენა – *(განაჩენივით ელოდება კოტეს დიაგნოზს)* ჰა, კოტე?

კოტე – დაბრძანდი, ბატონო რაჟდენ.

რაჟდენა – იქიდან უკვე მოკითხვას მითვლიან?

კოტე – საიდან დაასკვენი?

რაჟდენა – აბა, „დაბრძანდიო“, „ბატონო რაჟდენო“, როდის აქეთ გავხდი „დაბრძანდი ბატონო“?

კოტე – *(გაიცინა)* მე ყველა პაციენტს ასე მივმართავ. აქ პირველად ხარ და გეუცხოვა.

რაჟდენა – ვიცლიდი რო, სხვა დროსაც მოვსულიყავი? ეხლა ძიენ შემაწუხა. მითხარი, შილაფლავი უნდა ვაჭამო გენოსა?

კოტე – ნუ გეშინია. ფსიქიკურ-ემოციური სტრესები და უმაღლესი ნერვული სისტემის გადაძაბვა შეინიშნება.

რაჟდენა - ეგ რა არი ადამიანის ენაზე?

კოტე – ახლავე აგიხსნი: ცენტრალური ნერვული სისტემის გადაძაბვა და ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა ქმნის სისხლის ლიპიდური და ლიპოპროტეიდული შემადგენლობის დარღვევის ტენდენციას. ჩვენს შემთხვევაში უნდა გამოვრიცხოთ ფიზიკური აქტივობის შეზღუდვის...

რაჟდენა – აღარ გინდა, ყველაფერი გავიგე. ეხლა პირდაპირ მითხარი, კოტე, ცოდვამ მიწია?

კოტე – ჯერ ერთი, რაჟდენ, ზუსტი დიაგნოზი დავსვი, წამლებს გამოგიწერ და ერთ კვირაში ბურთს ითამაშებ. მეორე – განა რა ცოდვა აქვს რაჟდენა ჯულაბაშვილს?

რაჟდენა – ცოდვა ბევრი მაწევს ამ კისერზე, კოტე! ცეცხლის ალში რო ვატარებ ამ საცოდავ ხალხსა, ცოდვა არ არი? ცოდო არ არი ყარამანი, გენოს რო ვაჩაგვრინებ, ეს უჯიშო იმის ფეხის ნაბანადაც რო არა ღირს? ან განა ვერა ვხვდები, ყარამანს რა საკირე უნთია გულში და მე ბურთსა ვჩრი პირში ამ ღვთისნიერ ადამიანსა, ამ სოფლის ჭირი და ლხინი კალთით რო უტარებია? ეს ცოვდა არ არი?

კოტე – რაჟდენ, რომელი მღვდელი ვარ აღსარებას რომ მაბარებ, ხომ არა გგონია, მართლა კვდები? ან უცოდველი ამ ქვეყნად ვინ არის?

რაჟდენა – დღეს ისეთი დროა, ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და უცოდველი კრავიც აღარ არი, მაგრამ ყველას ცოდვა მაინც მე მომეკითხება, რადგან აქლემის საპალნე მე ავიკიდე და სოფლის თავკაცობაზე დავთანხმდი.

კოტე – სწორედ ეგეთი ფიქრები იწვევს სისხლის ლიპიდური...

რაჟდენა – მოდი, კოტე, რეცეპტი გამომიწერე და ჩემ საქმეს დავადგები.

კოტე – არა, რაჟდენ, წამალს მე თვითონ მოგიტან. ხვალ ხომ გორში უნდა ვიყო, მდივანმა რომ დამიბარა. ისე ხომ არაფერს დამაბარებ?

რაჟდენა – *(გასვლას აპირებდა)* ვისთანა?

კოტე – მდივანთან.

რაჟდენა – უთხარი, რო.... თუკი მართლა სიტყვა გეთქმის, გააგებინე, რო აქა ადამიანები ცხოვრობენ.

გენო – *(შემოვიდა)* ვაჰ? რაჟდენ! შენ – ექიმთან?!

რაჟდენა – ისე გაიკვირვე, გეგონება ვეტექიმთან შემომისწარი!

გენო – შე კაი კაცო, რა ყალყზე დადგომა იცი, გამიკვირდა, შენ რო ექიმთან დაგინახე.

რაჟდენა – სჯობია, ექიმთან შენი ფეხით მიხვიდე, ვიდრე თვითონ მოგაკითხოს. *(გავიდა)*

გენო – ყველას როგორ ვუგორო წითელი კვერცხი? რამე აწუხებს?

კოტე – სინდისი, ბატონო გენო.

გენო – *(გაიცინა)* ეგ თუ ავადმყოფობაა, მე შენი მუდმივი პაციენტი უნდა ვიყო.

კოტე – ვიცი და ყოველდღე მიკვირდა, რატომ არ მოდიოდი! რას უჩივი?

გენო – არაფერი მტკივა, კოტე, უძილობა დამჩემდა.

კოტე – მაგისი წამალი კი მაქვს.

გენო – არა, მაგისი წამალი გორშია.

კოტე – აქა მაქვს-მეთქი.

გენო – დავიჯერო ეგრე გაუგებარი ხარ? მდივნის კაბინეტშია ჩემი წამალი.

კოტე – ააა!

გენო – ხვალ რომ მიდიხარ, უთხარი რა?

კოტე – რა ვუთხრა, კაცო?

გენო – შენ მართლა გაუგებარს თამაშობ? ძველ მდივანთან ჩემი წერილი დევს. დაკვირვებით წაიკითხოს. რეაგირება ძველისაგან არ მოჰყოლია. მე პასუხს ვაგებ აქაურ კლიმატზე!

კოტე – შენ რა შუაში ხარ, გენო, უცებ სეტყვამ თუ წამოუშინა?

გენო – მე პოლიტიკურ კლიმატზე გეუბნები!

კოტე – კიდევ სიკა მასწავლებელზე, გენო?

გენო – სიკაცა, ხათაბალაცა და კიდევ სხვაც.

კოტე – *(პაუზის შემდეგ)* ისე, მართალი ხარ, ხო იცი.

გენო – შენ ვალდებულიცა ხარ, გვერდში დამიდგე, როგორც კომუნისტი.

კოტე – ყველაფერს ვეტყვი.

გენო – თუმცა, უმჯობესია, მე მიმიშვა. შენ დეტალებში გარკვეული არა ხარ. სთხოვე, რომ მიმიღოს. ანიდან ჰაემდე ყველაფერს დაწვრილებით ჩამოვუყალიბებ. კრებაზე ხომ იყავი? არა, შენ დაიგვიანე. მე რომ მომდგნენ, მე რა ვქნა, ჩემო კოტე, თავმჯდომარეს როდემდე ვუწმინდო, უკაცრავად პასუხია... პირი? ან აქ უნდა ჩავკვდე ნიკრეულაში? ან შენ ჯვარი დაიწერე ამ სოფელზე?

კოტე – ჩემს თავს მე მივხედავ, გენო.

გენო – ჰოდა, სთხოვე, რომ მიმიღოს. ხვალ საღამოს, კაკრაზ, ჩემი ცოლის დაბადების დღეა და გელოდები, რა! გემრიელად ვიჭუკჭუკოთ.

კოტე – გმადლობ, გენო.

გენო – რაჟდენამ ჩემზე რამე თქვა?

კოტე – რა უნდა ეთქვა?

გენო – კბილი გამკრა?

კოტე – არა, ისიც უძილობას უჩიოდა.

გენო – წავედი. არ მინდა, შენთან ვინმემ დამინახოს. *(გავიდა)*

კოტე – ეე, თუ სამართალია, დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს ამ კაბინეტს შენს მერე, გენო. მარტო კაბინეტს კი არა, მთელ სოფელსა. მაგრამ სად არის სამართალი? *(გენო ბრუნდება)*

გენო – კოტე, თუ კაცი ხარ, იქ რას აშენებენ?

კოტე – სადა?

გენო – ყველა ხელთუპყარი შეუკრებია სიკასა და მის მეზობლად რომ ელიაშვილების ნასახლარია, რაღაცას აშენებენ.

კოტე – ვიწროდ არის, იქნებ ფართოვდება?

გენო – არა, საცხოვრებელ სახლს არა ჰგავს.

კოტე – არ ვიცი. რაც არ ვიცი, არ ვიცი.

გენო – ეგრე რომ გემუშავათ კოლმეურნეობაში, ეს სოფელი სამოთხეს ემგვანებოდა-მეთქი. მაინც არ ემგვანებოდაო, გოჩამ შემომდრინა. ილიკო ხო სულ თავს გავიდა. რას აშენებთ-მეთქი და კომუნიზმსაო. სიკას დაგეშილები არ არიან? ჩვენ კი ამ სოფელს ნამდვილად ავაშენებთ და ნამდვილად სამოთხესაც დავამგვანებთ, რუსები რო იტყვიან, კაკ ნიბუდ! *(გავიდა)*

კოტე – რუსები რომ იტყვიან, პადლეც!.. თუ სამართალია, დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს ამ კაბინეტს შენს მერე, გენო. მარტო კაბინეტს კი არა, მთელ სოფელსა! მაგრამ სად არის სამართალი?.. მოიცა, მოიცა! აკი, ძაან ზემოთაო, სუ ზემოთა კაცი მყავსო! ყველას რო აშინებდი, ახლა საწყალი კოტეს პროტექცია რაღაზე დაგჭირდა? ჰა, გენო, გამოგიჭირე? *(ვანო და არჩილა ზურგშექცევით, ერთმანეთს არ აცლიან, ისე შემოდიან, თან გარეთ იყურებიან)*

არჩილა – ვერ დაგვინახა, ვანო! კინაღამ ზედ არ გადავაწყდით? გამარჯობა, კოტე ექიმო!

კოტე – გაგიმარჯოთ. თქვენც უძილობა გჭირთ?

არჩილა – საიდან იცი? შენ რა შორიდანვე სვამ დიაგნოზსა?

კოტე – დღეს პაციენტებს ვერ ავუდივარ. უძილობის ეპიდემიაა ნიკრეულაში.

არჩილა – გენოსაც უძილობა სჭირს? ე რა ბაცილა შემოიტანა ახალმა რაიკომის მდივანმა!

კოტე – *(ვანოს)* რას უჩივი?

არჩილა – გენოს უჩივის.

კოტე – აბა, ეგ ახალუხი აიწი. *(ვანომ მხრებამდე აიწია სამოსი)* ისუნთქე... ისუნთქე... არ ისუნთქო.

ვანო – შენც რა გენოსავით მეუბნები, არ ისუნთქოო!

კოტე – შენ რომ გისმენ, ასე მგონია, კამეჩსა ვსინჯავ. დროს რად მაკარგვინებ?

ვანო – გასასინჯათ როდი მოვედი, კოტე?

კოტე – აბა, ეს სტრიპტიზი რაღას მომიწყე?

ვანო – რა ვიცი, ეგრევე დამეტაკე მაგ დურბინდითა.

არჩილა – კოტე, შენთან სათხოვნელათ მოვედით. რაიკომის მდივანსა...

კოტე – ახლა არ მითხრა, არჩილ, გორის თეატრის დირექტორობა მინდაო!

არჩილა – არა, კოტე, კარიერა ჩვენს კარაბადინში არა წერია. შენ ხო იცი, ჩვენი შვილები, სიკა მასწავლებელმა თუ არ უთხრა, წყალსაც არ დალევენ. ამ ცხოვრების შემყურე მთლად თოკით დასაბმელები რო არ არიან, ეგეც სიკას ბრალია...

კოტე – ვიცი, არჩილ, ჩემგან რას მოითხოვთ?

არჩილა – რაიკომის მდივანს უთხარი, გენო კალაპოტში ჩააყენოს. თორე, ეს უბეში ჩასასმელი კაცი თუ იქ ჩასვეს, ფინთი სახელი რო ჰქვია, ამ ბალღებს ჩვენ ვეღარ გავაჩერებთ.

ვანო – ჰო, კოტე. და თუ გენოს ვერ გაუბედავს, რა ვიცი, ზემოთ დიდი კაცი ჰყავსო, მაშინ დააწინაუროს მაინცა და ამ სოფელს მოაშოროს.

არჩილა – ჰო, რა, ვჩქარობთ, კოტე, ვაითუ, შენ დიდ ადგილზე გადაგიყვანოს და სულ დაივიწყო ჩვენი ნიკრეულა.

კოტე – *(ჩაიცინა)* ეჰ, კარგები ხართ, კარგები! ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, თუ თქვენში მოკვდება. პირობას მაძლევთ?

ვანო – გენო ვიყო, თუ გაგოქვა!

არჩილა – მაღარიჩათ ხვალ საღამოზე ვანო ცხვარს გიკლავს.

კოტე – ჩხიკვის მამიდა ყვავი უფრია, ვიდრე ეს ახალი მდივანი – ჩემი ახლობელი.

არჩილა – ეგ როგორა, კოტე?

კოტე – მოვატყუე, არჩილ, გენოს გულის გასახეთქად ვთქვი.

არჩილა – მაშ არ იცნობ?

კოტე – შენ რომ იცნობ, ზუსტად ისე. არა, შენ უფრო, კარებში მაინც დაეტაკე.

ვანო – ვა, რა იმედით მოვდიოდით! ვფიქრობდით, ჩვენი კოტე ხვალ გორში ჩავა...

კოტე – გორში მართლა ჩავალ. რაჟდენას წამალი უნდა ჩამოვუტანო.

არჩილა – სიკას წამალს რაღა ვუყოთ?

კოტე – სიკას წამალს გორში რა უნდა, სოფელშია. ეს მისი დაზრდილები, თქვენა, მთელი სოფელი თუ მაგრათ დავდექით, ერთი გენო რას დაგვაკლებს?

ვანო – მთელი ცხოვრება სუ ერთი კაცის ნებაზე არ დავდივართ?

არჩილა – ჰა, ვანო, შენც გადაგედო სიკასი? კოტე მართალია.

ვანო – შეიძლება. მაგრამ ის არ არი მართალი, მდივანს არ ვიცნობო.

არჩილა – ეგეც მართალი იქნება, თორე კოტე ექიმი შენს ცხვარზე თავისი ნებით უარს იტყოდა?

ვანო – კოტე ექიმს იმ ცხვარს მაინც დავუკლავ.

კოტე – რა სჭირს, ავათ არის? გეხუმრე, ვანო, ოღონდ ხვალ ნუ დაკლავ, ხვალ გენოსთან ვარ დაპატიჟებული. ცოდო ვარ, ისე მოვკვდე, რო მაგ ქვაწვიას გოჭ-ქათამს გემო არ გავუსინჯო!

მეხუთე სურათი – „დაიწყო!..“

სამგლოვიარო მუსიკა. თავმჯდომარის კაბინეტში რაჟდენა, გენო, სიკა, არჩილი, ვანო, კოტე მისჩერებიან ტელევიზორის ეკრანს. ყველას სახე – დაღვრემილი, შეფიქრიანებული. გენო დრო და დრო თვალებს იწმენდს.

არჩილა – ვაა! ხო ვიცოდი, მაგრამ ამდენი ორდენი?.. ნახე, ნახე! ხელიდან არ გაუვარდეთ, კაცო!.. ე! ხმაური გაიგეთ?

გენო – ეგ სარელეო ხაზმა იცის.

არჩილა – ხაზმა კი არა, გეუბნებით, ხელიდან გაუვარდათ! ჩვენი წაპრანა უნდა წაეყვანათ, ციმციმ ჩაასვენებდა. *(ისმის ზარბაზნების ზალპების ხმა)*

გენო – საპატიო ზალპებია.

ვანო – უცებ ვიფიქრე, ამერიკამ ომი ხო არ დაგვიწყო, პატრონი რო მოგვიკვდა!

გენო – მდა! მართლა მშვიდობის ბურჯი იყო მთელს მსოფლიოში.

ვანო – ბურჯი რომელია, ვისაც დაინახავდა, ჩაუკოცნავ-ჩაუპროშტნავს არავის უშვებდა!

გენო – ვანო, ორი ჰექტარი თავი გაბია და არ უნდა იფიქრო, როდის რა უნდა თქვა?

კოტე – ახლა აირევა მსოფლიო.

გენო – არა, ბატონო კოტე! მაგან ისეთი ფუნდამენტი ჩაუყარა მშვიდობას! რომ იცოდეთ, მაგის ადგილას უკვე დგას კაცი.

არჩილა – ნეტა ვინ იქნება?

გენო – დღე არ გავიდოდა, ძილის წინ, მაგისი „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და, განსაკუთრებით, „ყამირი“ არ წამეკითხა! *(სიკა ადგა, გასვლა დააპირა)*

არჩილა – სიკა მასწავლებელო, როგორ ფიქრობ, ჩვენი საქმე როგორ წავა?

სიკა – რა გითხრა, ჩემო არჩილ, თუ მართლა პიროვნება დადგა და ხალხზე გულწრფელად იფიქრებს, უნდა შეცვალოს...

გენო – რა უნდა შეცვალოს?

სიკა – კომპასი. *(პაუზის შემდეგ)* ეს კი დაბეჯითებით ვიცი: ახალი ვინც მოვა, ამის მოთხრას დაიწყებს. ჩვენი ბელადები მოღვაწეობას ამითი იწყებენ და ამითი ამთავრებენ.

გენო – სიკა!.. ჩემი კეთილი რჩევაა, აი, ხალხი მოწმეთ მყავს, მოეშვი მაგ... როგორ ვთქვა...

სიკა - უიდეო გამოხდომებს.

გენო – აი, შენ თვითონ ამბობ!

სიკა – *(ქაღალდი წინ დაუდო)* დაწერე, ბატონო გენო!

გენო – რა დავწერო?

სიკა – რომ შენი ასეთი უიდეო კოლწევრი თავისას არ იშლის, და რაიკომს...

გენო – მე რა, ანონიმიმშჩიკი მნახე?!

სიკა – რატომ ანონიმშჩიკი? გვარსაც კარგად მოაწერ, რატომ უნდა დაიკარგოს შენი ღვაწლი პარტიის წინაშე? დრო მოვა, ჩვენი შვილები

განსჯიან, დღეს ვინ მეტყველებს იდეურად და უიდეოდ! ბარემ მითხარი, კიდევ როდის დამიბარებენ, გაკვეთილების ცხრილი რომ იმის მიხედვით ავაწყო? *(გავიდა)*

რაჟდენა – *(მუშტი დაარტყა მაგიდაზე)* რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, პოლიტიკაზე ენა დაიმოკლეთ, ყველამ! პარტკომია თუ გლეხი, არ ვიცი!

გენო – რაჟდენ, მაგ მუშტების ბრახუნს მოეშვი, მაგისი აღარ გვეშინია! როგორ, პარტკომი არ უნდა ზრუნავდეს ხალხის იდეურ წრთობაზე?

რაჟდენა – პარტკომი კრებაზე! ეხლა მაგისი დრო არ არი!

გენო – რო ყელყელაობ, დავუშვათ და ხვალ სხვა თავმჯდომარე დანიშნონ... აირჩიოს ხალხმა, როგორ უნდა შემოგვხედო თვალებში?

რაჟდენა – შენ რა ჩინჩხვრებს ეძებ, გენო? აირჩიეთ უკეთესი! აჰა, აი, ბეჭედი დამიდია! *(ჯიბიდან ამოიღო ბეჭედი და მაგიდაზე დადო)*

ვანო – რას ამბობ, რაჟდენ, შენ ბეჭედი, ჩვენ ბარ-თოხი დავალაგოთ და სოფელს ავაშენებთ!

რაჟდენა – მაშინ მოვრჩეთ უადგილო ყაყანსა და მიწას მიხედეთ, ვენახს, ოჯახს!

არჩილა – აგაშენა ღმერთმა! რა გვეპოლიტიკება? რაჟდენ... შიფერზე რო გთხოვე, ხო გახსოვს? წუხელ, მაგრა რო წამოუშინა, მე და ჩემი ცოლ-შვილი სუ ტაშტებით დავრბოდით!

ვანო – შენცა, პირველი ხო არ არი, ვეღარ დაიხსომეთ, საიდანა წვეთავს, რო ტაშტი იქ დაგედგათ?

არჩილა – განა ერთგან ჩამოდის?

რაჟდენა – გამოვგზავნი კომისიას და რამდენგანაც ჩამოდის, იმდენ ტაშტს მოგცემ. გენო, საწყობში ხო გვაქ?

გენო – გენო შავკაციშვილი ნიკრეულას კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თუ მეტაშტე? არა, ბატონო კოტე?

არჩილა – ადამიანო, მთელი ჩემი ცხოვრება ტაშტებით ვირბინო?

რაჟდენა – რა გიყო, მითხარი? მე ხო არ აუქშევ წვიმას შენი სახურავიდან? არ არი ფული, ვეღარ გაიგე? ხედავ, ამხელა კაცი მოკვდა, შენ კიდე, ტაშტებიო!

ვანო – მაინც რა ადრე მოკვდა ამხელა კაცი! ექიმები რას აკეთებდნენ?

არჩილა – შენცა რას ლაპარაკობ! ეს მეოთხედ მოკვდა და, ნამდვილათა. ექიმებს რა ექნათ?

კოტე – არა, სწორი დიაგნოზი რომ დაესვათ...

რაჟდენა – ამისმა დიაგნოზმა ხო შეგვჭამა! ბიჭო, რაც შენ გაგამწესეს ჩვენთან ექიმათა, ბოლოკის წითლათ შესაღებათა არავინ გაგისტუმრებია?

კოტე – ახლა, გროზნას სიმთვრალეში რომ კარები შეეშალა და ფანჯრიდან გადაალაჯა, მე რა მექნა?

რაჟდენა – ჩამოყარე?

კოტე – ჩამოყარეს ინსულტმა დაარტყა.

გენო – რაჟდენ!.. მე მიყივლია და გამგონემ გაიგონოს. დიქტატორული მართვის მეთოდები სტალინს არ აპატიეს. შენს თვალში ადამიანები ბუზებად

ჩანან. კოტესთანა ექიმს, ჩვენი სოფელი კი არა, კრემლიცა და თეთრი სახლიც ინატრებენ. მერე რა, რომ სოფელში მოღვაწეობს?

რაჟდენა – შენა ამ ბოლო დროს რა გვერდულა ლაპარაკი დაიწყე?

გენო – ბატონობას რო მიეჩვიე, ამ ხალხმა როდემდე გიგოროს წითელი კვერცხი?

რაჟდენა – გამაგიჟებს ეს კაცი! ჯერა ხო სულ ხელში მიკვდებოდა, ეხლა რა ტაბიკების მტვრევა დაიწყე, გენო?

გენო – დაგირეკავენ, რაჟდენ, გაუგებარი არაფერი დარჩება. *(ტელეფონი)*

რაჟდენა – *(ყურმილი აიღო)* რაჟდენა ჯულაბაშვილი გისმენთ... დიახ... ვინა?

გენო – *(წამოიწია)* მე მკითხულობენ?

რაჟდენა – *(ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო)* ვინა?.. გასაგებია.. *(ყურმილი დადო)*

გენო – რაიკომიდან დარეკეს?

რაჟდენა – არჩილავ... გადადი კლუბში და პრეზიდიუმის წევრების სურათები რო გაქვს, ანდროპოვი იპოვე და მოიტანე. *(არჩილა გადის. კოტეს)* ჩამოხსენი. *(კოტე მაგიდაზე ადის და ხსნის ბრეჟნევის სურათს. გაუჭირდა)*

კოტე – ეს რა მაგრა ზის, კაცო!.. *(ეჯაჯგურება)* მიეწება?

რაჟდენა – ოცი წელი მანდ ეკიდა და მა რა იქნება? *(კოტემ, როგორც იქნა, ჩამოხსნა)* გაციებულიყო მაინცა ეს საწყალი! *(რეჟისორს თუ მკითხველს შევახსენებ: ამ სცენის მსვლელობისას არ შეწყვეტილა თოხის ჩაკუნი და საბერველივით ქშენა)*

„კეკელა და მარო“

მეორე მოქმედება

მეექვსე სურათი – „სიყვარულო, ძალსა შენსა...“
ორი შეზარხოშებული მამაკაცი მღერის:
ნეტავ ფრინველად მაქცია, შენკე გამოვყვე ნიავსა,
მოვიდე, ყელს მოგეხვიო თავგაუშლელსა იასა,
საბნისა წვერი ავწიო, პირსა გაკოცო მზიანსა,
არცარა შენ დაგიშავდეს, არც მე ჩავვარდე ზიანსა.
ლიახვის პირას, კაკლის ძირში, პატარა „სუფრა“ გაუშლიათ გოჩას და ვაჟბედს. ისინი მოქეიფეებს არ ჰგვანან. გაღიზიანებულები ჩანან, უფრო – დარდს შეჭიდებულნი.

ვაჟბედი – აღარ დაასხა!

გოჩა – აღარც მე მინდა, მაგრამ რუსთაველი უნდა შევამოწმო: კოკასა შიგან რაცა სდგას, მართლა იგივე წარმოდინდების? *(ჭიქები შეავსო)* რა გინდა, მართალი უთქვამს.

ვაჟბედი – აკი გოჩასა წიგნი არ უყვარსო?

გოჩა – არც მუშაობა უყვარსო, მაგრამ აბა, ამ ხელისგულებსაც დახედონ!

ვაჟბედი – შენა ნორმალური არაფერი იცი, გოჩა. მთელი მსოფლიოს გიჟების შეჯიბრი რო მოაწყონ, ჩემპიონი იქნები.

გოჩა – ნიკრეულას ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ხო უნდა ჰყავდეს. ვაჟბედ, აი, გენოსი არ იყოს...

ვაჟბედი – ვისი?

გოჩა – ბოდიში.

ვაჟბედი – ეგ ერთი. მერე, რას ამბობდი?

გოჩა – ესე დავსვათ საკითხი: სიკა მასწავლებელი ნორმალურია? ყველა ყვავი ხო შავია? იმათში თეთრი ყვავი რო გამოერევა, ხო არანორმალურია? ადამიანი დღეს ეჩოა, ყველა თავისკენ ითლის. სიკა მასწავლებელი გამონაკლისია. ესე იგი, არანორმალურია. გამოდის, რო გიჟია! ჩემ თავს კი არ ვადარებ. მე გადარეული ვარ, ეგ გიჟია!

ვაჟბედი – გიჟებს გაუმარჯოს! *(დალია)*

გოჩა – აგაშენა ღმერთმა! ეგ კაცი კი არა, ქრისტეა! ეგ მაჩერებდა ჩემ ქერქში, თორე, აქაურობას სუ თავდაყირა დავაყენებდი! ყველა რო ეგეთი იყოს, მშობელიცა, მასწავლებელიცა, თავმჯდომარეცა... ხო მამაჩემია, მაგრამ თავმჯდომარეობა არ არი მაგისი საქმე, მიუშვი ყარამანივით ნაკვეთში და ამუშავე!

ვაჟბედი – მამაშენი პატიოსანი მაინც არი.

გოჩა – სიკა მასწავლებელს გაუმარჯოს! იმიტომ, რო მაგან თავისი საგნის გარდა სხვა რამეც გვასწავლა, თურმე, და ჩვენ აზრზე არ ვიყავით. მაგან რო მითხრას, გაზაფხულზე ლიახვი რო მოანგრევს ნაპირებსა, ეგრევე გადავეშვები! *(დალია)* ჰო, ჰო, ჰო, გენომ რო გაიგოს, მაგ სურამის ციხესა რისთვის ვაშენებთ...

ვაჟბედი – რაო, ვინ გაიგოსო?

გოჩა – ბოდიში.

ვაჟბედი – ეგ ორი. ეხლა, იმან რო გაიგოსო, რა მერე?

გოჩა – თოკით დასაბმელი შეიქნება.

ვაჟბედი – მაგას არ იცნობ? ათასი თოკიდან არი გამომძვრალი.

გოჩა – რამდენი ხანი იჯდა?

ვაჟბედი – მაგას გეუბნები, არ იჯდა. დაუპირეს. ეგ კიდე ყველას აშინებდა იმ დიდი კაცითა. სუ ბოდიშებით გამოუშვეს.

გოჩა – იქნება ის დიდი კაცი სულაც არ არის მაგისი ნათესავი?

ვაჟბედი – ვისა აქ ათი თავი, იმ კაცსა ჰკითხოს, გენოს იცნობო?

გოჩა – ვისაო, ვაჟბედ?

ვაჟბედი – ბოდიში. ორით ერთია. ჰოდა, იქაურობა გადაჭამა, გაამოსო, უთხრეს და ჩვენთან გამოუშვეს საბალახოთ. მაგის ოხრობაც არ იყოს!

გოჩა – შენ გენაცვალე, ვაჟბედო, ღვინომ კრიჭა არ გაგიხსნა? ეხლა, რა განსხვავებაა ჩვენსა და იმას შორის? ჩვენა სუ იმათი სადღეგრძელოები ვოქვით, სუფრაზე რო არ გვესწრებიან. ამ

ხოლერას კი ესეთი სადღეგრძელო ჯერ არ დაულევია. რათ დალევს, ღვინოს რაზე გააფუჭებს, თუ ვინმეს არ წაელაქუცა? გეუბნები, მშობლებსაც არ მოიგონებს, რაკი იმათ ვერ გააგებინებს... მე მაგ... მე იმის... *(უცებ ჭიქა შეავსო)* აღარ შემიძლია, ამ ნაცვალსახელებმა გული შამიღონეს, აჰა, ჯარიმასა ვსვამ. გენოს დედა ვატირე! *(დალია)*

ვაჟბედი – ეხლა დადექი, შენებურათ არ გაუტიო! *(გოჩა ჭიქებს ავსებს)* აღარა, გოჩა, დავთვრებით, ამის ოხრობაც არ იყოს!

გოჩა – გახსოვს, წუხელ ხევში თავს რო იხრჩობდი? რა ძალა გქონია, ძლივ დაგაკავე! მაგრა კი მამდე ყბაში, რა იყო ხატის ღვინო ხო არ დალიე, ეგრე რამ გაგამწარა? *(ვაჟბედი მიწაზე გაწვა)* ეეჰ, ვაჟბედ, იმიტომ უფრო მიყვარხარ, რო ერთბედ ქვეშა ვართ. შორს არი, ვცოფდები, ჩამოვა და დამბლადაცემულივითა ვარ.

ვაჟბედი – შენ რა გჭირს სადამბლაო!.. ჩემი ჩამოვიდა... ბავშვიანათა.

გოჩა – ჩემი გაკრეჭილი და შეღებილი ჩამოვიდა! ვინ იცის, იქ რაებს ჩადის? მოდას აჰყვება და, მიდი! – ყავა, სიგარეტი და კონიაკი!.. წუხელ თვალი არ მომიხუჭავს. გადავწყვიტე გულიდან ამოვირეცხო. აი, სოდა რო დაგილევია და გულმუცელი ამოგიტრიალებია, ეგრე!

ვაჟბედი – ცოდოა.

გოჩა – ვინ არი ცოდო?

ვაჟბედი – ცოდოა, ცოდო. ცოდვაა მეთქი! ცოდვას ჩაიდენ.

გოჩა – აბა, ტარიელივით ლიახვის პირას ჩამოვჯდე და ვიტირო?

ვაჟბედი – ეგ განწმენდაა. დავუშვათ, შენ გიყვარს იქსი...

გოჩა – ბიჭო, ნაცვალსახელებმა შემიკლეს და ეხლა იქს-იგრეკი დამიწყე?

ვაჟბედი – დამაცა, თორე, კიდე მოგდე ყბაში! ვთქვათ, გიყვარს იქსი. იმას კი არ უყვარხარ. ძალიან ძნელია, არა? მაგრამ უბედურებაა, იქსს უყვარდე და შენ არავინ გიყვარდეს.

გოჩა – წუხელ ხევში თავს მაგიტომ იხრჩობდი?

ვაჟბედი – აი, წუხელა, მანამ შენ გადაგეყრებოდი, ხათაბალას სახლისკენ ჩავიარე. თვითონ ფეხებმა წამიყვანეს იქითკენა... ნანას უმღეროდა ბავშვსა. რა ტკბილი იავნანა სცოდნია იმ დალოცვილსა!

გოჩა – ვისა, ბიჭო, ხათაბალასა?

ვაჟბედი – *(გულმოკლულმა გაიღიმა)* ჰო, ხათაბალასა... როგორ ვნატრობდი, რო ის სიმღერა ჩემ ჭერქვეშ ემღერა! ჩემი ქოხი სასახლესავით როგორ გაბრწყინდებოდა, ზეცის კარიც გაიღებოდა ჩემთვისა!.. მაგრამ ჩემთან ეგრე ტკბილათ ვერ იმღერებდა, ჩემ ბავშვს ეგეთ იავნანას ვერ უმღერებდა, ამის ოხრობაც არ იყოს!.. ნუ დამძრახავ, გოჩა, განა არ ვიცი, რო მე საცერქვევით ანაბერტყი ვარ, ის კი მზის მონათალია, მაგრამ ვინ დამიშლის რო მიყვარდეს?

გოჩა – უნდა გაკოცო, ვაჟბედო, ეგეთი რო ხარ! *(კოცნის)*

ვაჟბედი – დაასხი!

გოჩა – ასხია.

ვაჟბედი – *(წამოჯდა)* ჩვენც ხო კარგათ გვასხია! იმათ გაუმარჯოთ, ვის გამოც ესე კარგა გვასხია! *(დალია)* გვესხას, მაგის ოხრობაც არ იყოს!

გოჩა – მსხმოიარე არა სჯობია? ყველა მსხმოიარეს გაუმარჯოს!

ვაჟბედი – მიდი რა, მე რო მიყვარს, ის სიმღერა!

გოჩა – *(ეტყობა, მასაც „ის სიმღერა“ მოაწვა ყელში)*

განა ლაღი ვარ, რო ვმღერი, გულისა დარდსა ვიქარვი,
ვინაც ჩემს იტყვის: „ლაღია“, ჩემსავით ლაღიმც ის არი...
(სიმღერაში ელიკოც ჩაერთო, რომელიც ნუცასთან ერთად შემოვიდა. სიმღერა შეწყდა. მოქეიფენი ფეხზე წამოხტნენ)

ელიკო – რად გაჩერდით? გამარჯობა, ვაჟბედ... სად გარბიხართ? ეგ არის თქვენი სტუმართმოყვარეობა?

გოჩა – კონიაკი არა გვაქვს, ქალბატონო, არც ყავა!

ელიკო – ყავა და კონიაკი იქაც მეყოფა.

გოჩა – ზედ გეტყობა.

ელიკო – რა მეტყობა, ჩამოწუწული მაქვს? ჩვენებური ღვინო მომენატრა.

გოჩა – ყარამანის ქალიშვილი ღვინოს გარეთ ეძებს?

ელიკო – ღვინოს ამფსონები აძლევენ ეშხსა.

გოჩა – მაშინ ფეხი არ მოიცვალოთ და ეხლავე აქ გავჩნდებით, არა, ვაჟბედ?

ვაჟბედ – დავლიოთ, მაგის ოხრობაც არ იყოს! *(ბიჭები სწრაფად გადიან)*

ელიკო – ეხლა რო გაცვივდნენ, რა იციან მაგათა, ღვინო სად იშოვონ! *(კაკლის ძირას მიწვა. ნუცა გვერდით მიუჯდა)* უჰ, ნუცა! რამდენჯერ მომნატრებია ეს ბალახი, ეს ჰაერი! იქ ასფალტი დუღს!

ნუცა – *(ცას ახედა)* იწვიმებს.

ელიკო – რად მოიწყინე?

ნუცა – არა...

ელიკო – ახალი არაფერია?

ნუცა – *(უხალისოდ)* რა უნდა იყოს?

ელიკო – მეგონა, შემოდგომაზე ქორწილს...

ნუცა – გაჩერდი, ელიკო!

ელიკო – ხათაბალას თამროს ბავშვი რო ნახო, გათხოვება სულ რომ არ გინდოდეს, ბეჰემოტს გაჰყვები.

ნუცა – განა ბეჰემოტთანაც გამოგივა ეგეთი ბავშვი?

ელიკო – გამოგივა, თუ მოინდომებ.

ნუცა – რაღა ბეჰემოტი უნდა დაუსვა მამაშენს სიძეთა, ამდენი უცოლო ბიჭი დაჰყმუის მგლებივითა... უ, ის დეგენერატები!.. შენ კი გულში არავინ ჩაგვარდნია? რა ვიცი, ქალაქია!

ელიკო – *(გაიღიმა)* ჩამვარდნია და ვეღარ გამომიდევნია.

ნუცა – რათ უნდა გამოდევნო?

ელიკო – დებილია, გოგო, საზოგადოებაში ვერ გამოაჩენ!

ნუცა – შეუხედავია?

ელიკო – შეუხედავიო?! *(წამოხტა, ხის ტანს მიეტოლა, ფეხის წვერებზე აიწია, მონიშნა და თხემიდან ორი მტკაველი კიდევ დაამატა)* ამ სიმაღლეა.

ზუსტად ამ ტოტის ქვეშ ჩაჯდება კალაპოტივითა! მაგრამ რა გინდა? ჩემი შესანახი იქნება.

ნუცა – ეხლანდელი ბიჭები ყველა ეგეთია. შენ რა გიჭირს, კარგი სპეციალობა გექნება. ყველა კბილებს უჩივის.

ელიკო – ეჰ, მე რომ სპეციალობა მექნება, მანამდე, შეიძლება ვირი ხეზეც კი ავიდეს!

ნუცა – რათა ხუთწლიანი არ არის?

ელიკო – ექვსწლიანია.

ნუცა – მერე ერთმა წელმა ქნა? ხო მესამე კურსზე ხარ?

ელიკო – ეჰ, ნუცა!.. მესამეზე კი არა, დიპლომზე! იქ რო ეგრე ადვილი იყოს მოწყობა!

ნუცა – არ გადამრიო!

ელიკო – არავისთან წამოგცდეს. რა ვქნა, შემრცხვა და ჩვენები მოვატყუე. ვეღარც დავბრუნდი. ის ქალაქი მორფივით არის. ერთი თუ მიეჩვიე! არადა, ეს სიკა მასწავლებელი გულთმისანია, ვინ არის? ისე დამკითხა, ვინ გასწავლისო, რა საგნებს გიკითხავენო... ეგეც კარგა ვერ ვუპასუხე, გოგო!

ილიკოს ხმა – გოჩა! გოჩა! *(შემოვარდა ილიკო)* გოჩა აქ არ იყო?

ელიკო – მოვა, სად წავა? შენ რაღამ გიკბინა?

ილიკო – სიკა მასწავლებელი მიჰყავთ!

ელიკო – სადა, ბიჭო?

ილიკო – გორიდან არიან, სამნი. წაპრანას მანქანა მზად იყო, დისევში უნდა გადამემალა დეიდაჩვენთა.

ელიკო – ახლა სად არის სიკა მასწავლებელი?

ილიკო – გენოსთან. ვეხვეწე, ნუ გამოცხადდები მეთქი! მაინც წავიდა. *(ელიკო გაიქცა. ილიკოც გაჰყვა. ნუცამ ერთხანს მათ კვალს უყურა. მერე კაკალთან მივიდა. ხეს მიეტოლა და თხემიდან ორი მტკაველი გადაზომა. შემოდის გოჩა, კალათი შემოაქვს)*

გოჩა – საით გარბოდნენ ელიკო და ილიკო? *(ჩანთიდან სანოვაგეს და დოქს ალაგებს)* ვაუბედა სადღა დამეკარგა?

ნუცა – სიკა მასწავლებელს იჭერენ!

გოჩა – ჰა?! *(ნუცა დაბნეულ გოჩას ეცა, მკერდში ხელები ჩაბღუჯა, ხესთან მიიყვანა და მის ტანს დაატოლა. გოჩა „კალაპოტივით“ ჩაჯდა ტოტის ქვეშ. უცებ ხელები უშვა. გოჩა გაიქცა)*

ნუცა – *(გაანჩხლებით)* დებილო! ლოთო! შე ლოთო! მუხლებში რო ვერ იმართები!

მეშვიდე სურათი – „გენო პოლიტიკური კლიმატის სადარაჯოზე“

გენო კაბინეტში. წერს. მარცხენა ხელით შუბლზე სველი ტილო მიუდვია. იატაკზე – დამტვრეული სკამი. რაჟდენა კედელთან დგას. ბოლოს მორიდებით მიუახლოვდა

რაჟდენა – გენო... *(გენომ არ უპასუხა. რაჟდენამ ბოლთა დასცა და ახლა მეორე მხრიდან დაადგა თავს)* გენო...

გენო – რა იყო, რა მკვდრის სულივით შემომტრიალებ? *(რაჟდენამ სკამი აიღო და აწყობა დაუპირა)* ხელს ნუ ახლებ, ნივთმტკიცებაა!

რაჟდენა – *(ვეღარ მოითმინა)* რა იყო ეხლა, შე ყარყუმო, სოფელი გინდა გადაიმტერო?

გენო – შენი მწყერიფრენია შვილი სოფელი არ არის!

რაჟდენა – სკამი გესროლა თავში, რა, მუშტი დაგარტყა თუ შეგაგინა?

გენო – ვაუბედა რო არ ჩამდგარიყო შუაში, შენს გოჩას ციმბირის გზას გაუყენებდნენ! მარტო ერთი ფეხი მომხვდა ასკოლკასავით, მთელი სკამი საწყალს იმ კუზზე დაელეწა. მაშ არ ვუყვარვარ სოფელსა? კაცმა ჩემთვის თავი გასწირა! შენი შვილი ვაუბედის სხეულის დაზიანებისთვისაც აგებს პასუხსა!

რაჟდენა – ნასვამი იყო და, ხო იცი, როგორ უყვარს სიკა მასწავლებელი!

გენო – სიმთვრალე დანაშაულს ამძიმებს – ეს ერთი. მეორე – ძალიან რო უყვარს თავისი მასწავლებელი, ეხლა გვერდით მოუსვამენ და დატკბნენ ერთმანეთის ცქერითა.

რაჟდენა – ეხლა ეგ ქაღალდი დახიე, ეს სკამი ჩამოვწეროთ და სადამოზე შერიგების სუფრას მივუსხდეთ... გენო, ხო იცი, ეგ ერთი შვილი მყავს... ხო ნახე, როგორ გამოსწორდა? ათი კაცის საპალნეს ეწეოდა, კალატოზობაც კი სცოდნია, კაცო!

გენო – კალატოზობა, თორე, დარბაზებს მიშენებენ!

რაჟდენა – სოფელს ხო უშენებენ?

გენო – მაგასაც გაარკვევენ, ვის უშენებენ და რას აშენებენ.

რაჟდენა – ადამიანო, მაგ დაფეხვილ სკამს უნდა გადაგვაყოლო? რა თამარ დედოფლის სავარძელი ეგ იყო?

გენო – ეგ სკამი შენს ოჯახში რომ მდგარიყო და შენს პატიოსან შვილს სტოგრამას თავზე რომ დაეფშვნა, უბრალოთ, ხულიგნობა იქნებოდა. მაგრამ ეს სკამი ჩემს კაბინეტში იდგა და შენმა შვილმა კოლმეურნეობის პარტიულ ხელმძღვანელს ესროლა. მიხვდი რა განსხვავებაა? ეს სკამი ამ შემთხვევაში პოლიტიკურ ელფერს იძენს და მე გაჩუმების უფლება არა მაქვს. გაიგე?

რაჟდენა – მაინც ვერ გავიგე, ეს უბედური სკამი ჩემს ოჯახში როგორ იხულიგნებდა და მერე აქ პოლიტიკაში ჩაებმებოდა. ეს შენს კაცობაზე იყოს. მოკლეთ, მაგ ქაღალდს ხევ, თუ არა?

გენო – მაშ, სულ მაგ ჭკუაზე ვარ!

რაჟდენა – გენო, რამდენი წელიწადია, ერთად...

გენო – თავს არ დამანებებ, კაცო? ხედავ, თავის მოსაფხანი დრო არა მაქ!

რაჟდენა – სწორეთაც დრო გაქ, მაგრამა, რაც უნდა მოიფხანო, ის არა გაქ! *(მიდიოდა, კარებთან მობრუნდა)* ეგ ქაღალდი, კაი დედმამიშვილი ხარ და სადმე გააგზავნე! ისწავლიან ორი სიტყვის გადაბმასა და კალამს ხელიდან აღარ აგდებენ. ამ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მამგონის დედა ვატირე! *(გავიდა)*

გენო – რატო ღმერთი არ გაიცინებს, ამ ღვთის გლახის დასაცინი რო გავხდები! *(წამოხტა და ფანჯრიდან გადასძახა)* შენთან დოსტოევსკი ვარ, შე უბედურო! *(მაგიდას დაუბრუნდა და წერა განაგრძო. უცებ წამოდგა, დამტვრეული სკამი უფრო დაამახინჯა, სკამის მოტეხილი ფეხი ორად გატეხა და ისევ წერა განაგრძო)*

კოტე – *(შემოვიდა. ერთხანს უყურა)* ხელს ხომ არ შეგიშლით?

გენო – *(სახე გაებადრა, მიეგება)* მობრძანდი, ბატონო კოტე! მე თვითონ გთხოვე, ხელი რაზე უნდა შემიშალო?

კოტე – ვიფიქრე, „იდიოტსა“ წერ.

გენო – *(გაოცდა. წყენით)* ბატონო კოტე, ეგ არ გეკადრებათ, რაიკომის მდივანს ვწერ. მით უმეტეს, შენი ახლობელია!

კოტე – დოსტოევსკი ვარო, ვიღაცას რომ უყვიროდით, მაგაზე გეხუმრეთ, დოსტოევსკიმ „იდიოტი“ არ დაწერა?

გენო – ეგ კი ვიცი ზეპირათ, მაგრამ იდიოტი და რაიკომის მდივანი ერთმანეთთან უცებ ვერ დავაკავშირე.

კოტე – *(ოთახი შეათვალიერა)* ეს არის ბრძოლის ველი? *(სახეზე დააკვირდა)*

გენო – ხომ ღრმა ჭრილობაა? იმიტომ შეგაწუხეთ, დაზიანების კატეგორია დამიდგინოთ. მილიციაც მოვა და ამ სკამს დავაფიქსირებინებ. ეყო ამ სოფელს ბუნტი! ყველას თავის ადგილს მივუჩენ! *(ქაღალდი მიაწოდა)* წაიკითხეთ. ასლი მილიციის უფროსს ჩაბარდება. *(კოტე კითხულობს)* ამ ფეხს შეხედე, შუბლზე რომ გადატყდება, რა ძალით უნდა ესროლა?

კოტე – შუბლიც მაგარი გქონია, გენო, რომ ეს ფეხი გადატეხა, ნახე, რა მასალაა! ბოდიში, ისე გამეცინა. გოჩა ახლა სად არის?

გენო – თავისნაირი ლაწირაკები შეკრიბა და წაპრანას მანქანით სიკას დასახსნელად გავარდნენ. რა დრო დადგა, ხედავ?

კოტე – *(კითხვა დაამთავრა და ქაღალდი დაუბრუნა)* მაგარია.

გენო – ვაუბედაც უნდა ნახო და იმისი სხეულის დაზიანების კატეგორიაც დაადგინო.

კოტე – ვაუბედი უკვე ვნახე.

გენო – ხო მაგრაა?

კოტე – საკმაოდ.

გენო – ძმაკაცმაც კი არ დაინდო! ცოდო არ არის უშვილძირო, სოფლის სამადლოდ გაზრდილი კაცი? მაგანაც უნდა იჩივლოს!

კოტე – არა, შემთხვევით მოხდაო.

გენო – რა შემთხვევითაო?!

კოტე – სახელდახელოდ გაკეთებულ კიბეზე ფეხი დამიცდა და არმატურის ქვეშ მოვყევიო.

გენო – რა არმატურა, კაცო, აქ რა უნდა არმატურას?

კოტე – მშენებლობაზეო.

გენო – რის მშენებლობაზეო?!

კოტე – რა ვიცი, სიკას მეზობლად რომ რაღაცას აშენებენ.

გენო – მაგასა ეს სკამი კუზში მოხვდა, თავში კი არა, რო ეგეთი მიქარვები დაუწყია! *(ერთხანს სიჩუმე)*

კოტე – გენო, მართალია, მე და შენ აქ არ დავბადებულვართ და დავზრდილვართ, მაგრამ ამ სოფელზე გული შემვარდნია. ყველა ერთი კერისანი ვართ და ერთმანეთს თუ არ გავუფრთხილდით, სკამებიც რომ არ ვისროლოთ, ყველას მაინც ინფარქტი მოგვიღებს ბოლოს.

გენო – ჩემო კოტე, მეც მაგ აზრისა ვიყავი, მაგრამ როდემდე ვაყარო კედელს ცერცვი? რა მოაჭკვიანებს გოჩას, ტანისამოსიანათ გიჟია, ან სიკას რა გადმოუბრუნებს იმ ანარქისტულ ტვინსა? შენ შენი დასკვნები გაამზადე და ჩემი მანქანით გავქანდეთ რაიკომში... რას ჩაფიქრდი?

კოტე – მე რაღად გინდივარ?

გენო – ამ ქაღალდებს შენ რომ შეუტან, საქმის მსვლელობას დააჩქარებს. *(კოტე კვლავ ჩაფიქრდა)* ჰა, რას ორჭოფობ?

კოტე – მომეცი ეგ ქაღალდები. შენი წამოსვლა არ არის საჭირო, იქ ბაზარი არ ატყდეს. ნახევარ საათში შენმა ბიჭმა გამომიაროს და გორისკენ გამაქროლოს.

გენო – ალბათ, ეგრე სჯობია. ჰო, მართალი ხარ. აჰა. *(ქაღალდები მისცა. კოტე მიდიოდა, რომ:)* საექიმო დასკვნები?

კოტე – სკამი ვნახე, ეგ შუბლიც, ნახევარი საათი დროც იმიტომ მოვითხოვე...

გენო – ვაუბედაც...

კოტე – არ უნდა ლაპარაკი.

გენო – შენ იცი! *(კოტე გავიდა)* ჰა, რაუდენ, ამ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დედა ატირე? შენი წონა ჭკუა გენო შავკაციშვილს ნეკა თითში აქვს, შე უბედურო!

მერვე სურათი – „წაეწყო!“

სამგლოვიარო მუსიკა. თავმჯდომარის კაბინეტში: რაჟდენი, გენო, არჩილა, ვანო, ილიკო. მისჩერებიან ტელევიზორს. ყველას სახე, ადრინდელთან შედარებით, ნაკლებ დაღვრემილი, ნაკლებ შეფიქრიარებული. შემოდის ხათაბალა.

ხათაბალა – ისევ ბრეჟნევის დაკრძალვას იმეორებენ?

ილიკო – არა, ეს პრემიერაა.

ხათაბალა – *(ეკრანს შეხედა)* ვა, ესეცა?

ვანო – დახე, კაცო, ამასაც რამდენი ორდენი ჰქონია!

რაჟდენა – არჩილა, კრებაზე ხო არა ხარ, რო გძინავს? *(არჩილამ თავი ასწია. მთვრალი ყოფილა. თავი ისევ ჩამოუვარდა)*

ხათაბალა – *(არჩილას მიხედა)* ბიძაშვილები მოუვიდნენ? *(ისევ ეკრანს მიხედა)*

გენო – ისე, მაგარი ხელმძღვანელი იყო!

ილიკო – რა მოასწრო რო! ეგ იყო, აბანოებში და რესტორნებში ხალხს დასდევდა, სამუშაო საათებში აქ რა გინდათო!

რაჟდენა – ვაცხონე მაგისი გამჩენი! აქ რო ბირჟაზე უსაქმოთა ყრიან!.. იმ დღეს ტაოტი ხო წავუსვით ლოდებზე, მეორე დღეს ბირჟა სხვაგან გადაიტანეს. ლიახვზე რა, ახალ სუფთა ლოდებს ვერ იპოვნიან? ან ამდენი ტაოტი სად მაოხრია? გუშინ ბირჟაზე ერთი ათჯერ ჩავიარ-ამოვიარე. ესა და არჩილა მთელი დღე ლოდებზე ეყარნენ. აფსუსი არ არი, ბრეჟნევი საფლავში იწევს და თქვენა მზეს უყურებდეთ-მეთქი?

ვანო – აბა, რაჟდენ, მზეს როდი ვუყურებდით, ჩრდილში არ ვეყარენით?

არჩილა – *(თავი არ აუწევია, ისე)* ჰო. მზე მოგვადგებოდა, ჩრდილში გადავჩოჩდებოდით.

გენო – მოიცათ, უნდა ჩაასვენონ!

ვანო – ესეც ხელიდან არ გაუვარდეთ! *(სცენაზე მყოფნი გაყუჩდნენ, დაიძაბნენ)* ჰა! ჰა!.. გადავრჩით!

ხათაბალა – უსწავლიათ.

არჩილა – *(ისევ იმ პოზაში)* მა რა, ცოტა ივარჯიშეს რო...

რაჟდენა – თუ ავათ იყო, რათ დადგა, და თუ დადგა, რაღათ მოკვდა?

ვანო – იქნებ ავათაც არ იყო, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგებს კაცი!..

გენო – კომენტარებისაგან თავი შევიკავოთ! *(ტელეფონი. გენომ რაჟდენას დაასწრო ყურმილის აღება)* გენო შავკაციშვილი გისმენთ!.. კოლმეურნეობის პარტკომი... აქ არის... *(ყურმილი რაჟდენას უკმაყოფილოდ გადასცა)*

რაჟდენა – გისმენთ... დიახ, მე გახლავართ... რომელზე?.. დიახ, ორივე... გასაგებია... ვინა? ვინა?.. გასაგებია.. *(ყურმილი დადო. შეფიქრიანებული. პაუზა)* არჩილავ!.. მივედით, ბიჭო! *(არჩილამ თავი ასწია)* გადადი კლუბში და პრეზიდიუმის წევრების სურათები რო გაქ, ჩერენკოვის...

გენო – ჩერნენკო! კანსტანტინ უსტინოვიჩ!

რაჟდენა – ...იპოვე და მოიტანე! *(არჩილა გავიდა)* ილიკო, ჩამოხსენი!

ხათაბალა – რა კატასაც დაიჭერენ მაგ ჩამოხსნა-დაკიდებით, მაგასაც ვნახავთ!

გენო – *(გაღიზიანებული, მაგრამ ძველებური ენთუზიაზმი დაკარგული აქვს)* ხათაბალა, შენა სიკასავით თუ უკუღმა აზრი არ გამოთქვი, მუცლიგვრემა დაგემართება!

ხათაბალა – გაგონილა, მთელი სიცოცხლე ამ სურათების გადალაგებაში ვიყოთ? საქმე აღარ უნდა აკეთონ?

რაჟდენა – ეს ხალხი გამაგიჟებს! თქვენი შიშით კაცი ვედარ უნდა მოკვდეს, რო ეგ პოლიტიკური ყაყანი არ ამიტეხოთ? *(ილიკოს)* რა ჰქენი შენცა, ვედარ ჩამოხსენი?

ილიკო – ვინ გაკვანძა ესე უბედურათ!..

ვანო – შეხედეთ, გულზე რამდენი ალაგი დარჩა საცოდავს, ილიკო სამ ვარსკვლავს მაინც დაატევდა!

რაჟდენა – *(ილიკოს)* ნელა, ეგ ლურსმანი არ გამააყოლო, თორემ ეგ კედელი ახალს კი ვედარ გაუძლებს! *(ილიკომ, როგორც იქნა, ჩამოხსნა)* მანდვე იდექი. *(სურათი გამოართვა)* გაციებულიყო მაინც ეს საწყალი! *(არჩილამ სურათი შემოიტანა)* ეგ არა, კაცო, ეგ ხო უფრო ადრე მოკვდა!

გენო – ეგ სუსლოვია, არჩილ!

არჩილა – არმად ნაშოვნი არმად წავაო! *(გენოს კი შეხედა, მაგრამ რა იგულისხმა?)*

რაჟდენა – სუ გეუბნები, მკვდრები ცალკე უნდა გელაგოს!

არჩილა – მელაგოს რა, კლუბი ვარ თუ პახარონი ბიურო?

რაჟდენა – აჰა, ესეც გაიყოლე. *(უკმაყოფილო არჩილას სურათები გააქვს. გენოს)* ჰო, რო არ დამავიწყდეს, ხვალ რაიკომში გვიბარებენ.

გენო – რო დაველაპარაკე, რატომ მე არ მითხრეს?

რაჟდენა – აბა, რა ვიცი, ხვალ რო მივალთ, იმათა ჰკითხე.

ილიკო – ძია რაჟდენ, საწყობის გასაღები გვინდა და... კომისია შევქმნათ, რომ ხელმრუდობა არავინ დაგვწამოს.

რაჟდენა – საწყობში რა გინდა?

ილიკო – საწყობის შენობა ხომ ავაშენეთ? ეხლა, რაც ეკლესიაშია, ყველაფერი იქ უნდა გადავზიდოთ.

რაჟდენა – გენო, გასაღები ვისა აქ?

გენო – *(ტელეფონის ზარის მერე უფრო ემატება გაღიზიანება)* ვისგან ითხოვეს ნებართვა საწყობის აშენებისა?

ილიკო – ნებართვა რად უნდოდა, ძია გენო, ფული არ დახარჯულია, არც კაცდღეზე ვითხოვთ შრომის ანაზღაურებას.

გენო – ამ სოფელს ჰყავს თუ არა პატრონი?

ილიკო – ძია გენო, სულ მაგას არ გეკითხებოდით?

ხათაბალა – გენო, რატო ბრაზობ? ახალგაზრდებმა მოიწადინეს და საწყობის მშვენიერი შენობა ააშენეს, მადლობის მეტი რა ეთქმით?

გენო – ეს სიკას იდეაა!

ხათაბალა – აღარ მოეშვები სიკასა? ხო ამაიჭამე?

გენო – იმან თავისი თავი თვითონ ამაიჭამა! ამ ეკლესიას კი ხვალ ხატებით მოგირთავენ!

ხათაბალა – თუ გაეხარდებათ, მორთონ რა! იმ ხატებსაც ხო წარამარა არ ჩამოხსნიან ბელადებივითა, მუდმივათ ეკიდება. *(არჩილამ შემოიტანა ჩერნენკოს სურათი)*

რაჟდენა – *(შვებით)* ჰო, ეგა რა!

არჩილა – მერე, რაჟდენ, ეს უფრო არა ჰგავს მკვდარსა? გაყინული თვალები აქ! *(სურათი მიაწოდა ილიკოს, მანაც დაკიდა)* ნუღა ჩამოხვალ, რა იცი, იქნება ამადამაც გამოაცხადონ.

მეცხრე სურათი – „გენო კოტეს კლავს“

ისევ თავმჯდომარის კაბინეტი. არჩილა მაგიდასთან მოკალათებულა და ტელევიზორს მისჩერებია. შემოდის ვანო. კედელზე სურათს შეხედა.

ვანო – მანდ რა ფაშასავით ჩამჯდარხარ, არჩილ!

არჩილა – კაცო, რა ხათაბალაში გამხვიეს, თვითონ გადაიკარგნენ და მე აქ ყარაულად დამსვეს! რო გამააცხადონ, კიდე არ შემეშალოს, შენა სცნობ პოლიტბიუროსა?

ვანო – რაჟდენა სადღაა?

არჩილა – მეხუთე ბრიგადაში მივდივარო. დიდი ფაციაკალო შეუდგათ ჩვენ უფროსებსა!

ვანო – ეგენიცა, რა, ვეღარ მიეჩვივნენ? ყველა მდივანი ეგრე არ იწყებდა?

არჩილა – რა ვიცი, ამაზე ამბობენ, სხვანაირი ღვთის რისხვააო. გენო სადღა დაჭენაობს?

ვანო – შენ რო იცოდე, ეხლა, ამ მინუტში, ისეთ თონეშია ჩაყენებული და ისეთ ფიჩხებს აყრის ეს ახალი მდივანი იმ მოტვლეპილ თავზედა...

არჩილა – მაიცა, კაცო, ნელ-ნელა მითხარი, ერთბაშად გული არ გამიხეთქო!

ვანო – ილიკო დაბრუნდა გორიდანა!

არჩილა – გორიდანა? რო არც იმისი წასვლა ვიცოდი?

ვანო – საიდუმლოდ ვინახავდით. ერთი საათი მდივანთან ყოფილა.

არჩილა – ილიკოი?

ვანო – ილიკო კი არა, გენო. კაცსა ცოდვა რო არ მოასვენებს, თავისი ფეხით შესულა! ილიკომა, ველოდე, ველოდე, მაინტერესებდა, იქიდან რა ფერზე გამოვიდოდაო, გავბეზრდი ლოდინითაო. მაიცა! *(ფანჯარას ეცა და გადასძახა)* კოტე! კოტე! თუ ხათრი გაქ, ცოტა ხანს შემოდი, თუ არსად გეჩქარება! *(არჩილას)* ეხლა კოტე მოვა და დალაგებით ის გიამბობს. ისეთ რამეს მოისმენ!..

არჩილა – ჩემო ვანო, მე აღარაფერი გამიკვირდება. არც ისა, გენომ რაიკომის მდივნის კაბინეტიდან მენდალი რო გამოიტანოს. ეგ ისეთი ოხერია, საცერში გავარდება!

კოტე – *(შემოდის)* მარტო თქვენა ხართ? *(ვანოს)* ამხანაგმა გენომ დაიგვიანა!

ვანო – კოტე, ერთი ამ კაცს, ერედვში რო ვიყავით, ის უამბე.

კოტე – ერედვში? ჰო, ვანოს... *(ვანოს)* შენი ვინ იყო, დიცში რომ წამიყვანეს?

ვანო – კაცო, ერედვს გეუბნები!

კოტე – ერედვამდე დიცი იყო! *(არჩილას)* ვაი, რაც მე მლოცეს! აესე, ხელჩართულ ბრძოლაში მიქელ-გაბრიელს კაცი გამოვტაცე!

არჩილა – სწორ დიაგნოზს დაუსვამდი.

ვანო – ზუსტათ ეგრე იყო. ეხლა ჩავსხდეთ მანქანაში და ერედვისკენ გავუტიოთ!

კოტე – სუფრა რომ გაგვიშალეს?

ვანო – ჰო, მაგრამ ერედვში უკეთესი არ გელოდებოდა?

კოტე – მართალი ხარ. *(არჩილას)* ჩავსხედით მანქანაში და დიციდან ერედვში წავედით. ვანოს ნახევარძმის ორმოცი იყო. სუფრაზე ჩვენ პირდაპირ არ გამოტყვრა ყარამანას მეზობელი? შაქრიას მამულში რო ცხოვრობს! ეს ვინ ყოფილა, ორ ჭიქაზე არ დათვრა? სულ დაროშა, ტვინში რა საფქვავიც ჰქონდა! გული განა სიყვარულით გადაგვიშალა, ქადილითა! ჯერ სადა ხართო!.. ეგეთი ვანო აქამდე არ მენახა, ჭიქა შეჭამა სიბრაზითა!

არჩილა – რაო, რა მინდაო?

ვანო – ყარამანი შაქრიას რო მისტირის, მალე თვითონ ყარამანის მამულიც ჩემი იქნებაო!

არჩილა – *(გაცოფდა)* რანაირათაო?

ვანო – კაცი გვყაოო!

არჩილა – ჭკუაზე აფრაკად ყოფილა ის რეგვენი! მერე, თქვენც დაიჯერეთ?

კოტე – რეგვენი რომ იყო, იმიტომ დავიჯერეთ, თორემ ჭკვიანი მალავს, რაც გულში აქვს.

არჩილა – ამას იქ სხვებიც ხო მოისმენდნენ?

კოტე – ვინ სხვები, გარშემო სულ იმისნაირები უსხდნენ, თვალებში გვიყურებდნენ და რაღაცნაირად გვიცინოდნენ!

არჩილა – თქვენ რაღა უთხარით?

კოტე – რა უნდა გვეთქვა? ის კი ვიფიქრე, ბედი, რომ გოჩა იქ არ იყო, თორემ კიდევ მოგვიწევდა ერედვში ჭირის სუფრაზე მისვლა!

არჩილი – ვა!

ვანო – გინდა, ეგ „ვა“ უფრო მაგრა გათქმევინო?

კოტე – მიდი, ვანო, ეგ შენ უთხარი, უფრო დეტალურად გახსოვს.

ვანო – *(არჩილას)* გულისაბედაშვილს ვენახი რო ჩამოართვეს, ზედმეტი გაქო, გახსოვს?

არჩილა – როგო არ მახსოვს?! კოლმეურნეობის სასარგებლოთაო. მერე რო ქოთანას მისცეს!

ვანო – კი არ მისცეს, მიჰყიდეს. ფული ვინ ჩაიჯიბა?

არჩილა – ვინა?

ვანო – ეხლა რო გორში თონეში ზის!

არჩილა – ვა!

ვანო – აი, ხო გათქმევინე მაგარი „ვა“?

არჩილა – მართლა ყაჩაღია ეგ შობელძაღლი! ეხლა ეგ ამბავი მდივანმა არ უნდა იცოდეს?

კოტე – იცის. ილიკომ ყველაფერი ჩამოაწიკწიკა დეტალურად და მდივანს შეუგზავნა.

არჩილა – აჰა, იმიტომ იყო რაიკომში!

კოტე – ახლა კი არა, ორი კვირის წინ შეუგზავნა. დღეს შეამოწმა. მდივნის მდივანმა გოგომ უთხრა, მდივანს მაგიდაზე უდევსო.

ვანო – აი, მაგ ფიჩხებს გეუბნებოდი წედანა, გენოს უკეთებს-მეთქი!

არჩილა – *(ხელის გულები მოიფშვნიტა)* ვაი, მაგ დღეს მოვესწრო და ისეთ სუფრას გავშლი!..

ვანო – შენ კიდე არ იცი მთავარი1

არჩილა – მაგაზე მთავარი კიდე არი? მიდი, რა, ბოლომდე გადით! ერთსა ვნატრობ, ეს ახალი მდივანი ისეთი ღვთისნიერი გამოდგეს, ხარება რო გვყავდა!

ვანო – ხარება კი არ ერქვა... მაიცა!..

არჩილა – ჰო, ხარება ჩვენ დავარქვით... მიდი, კოტე, ფიქრის ძაფი არ გაგიწყდეს.

კოტე – გენოსა წინა რაიკომის მდივანთანაც ხომ ვპირდებოდი პროტექციას?

არჩილა - პურმარილიც აკი აკისრებინე?

კოტე – როგორ მაწვებოდა, არ იცით, რა ქენი, რა ქენიო! ბოლოს ვუთხარი, მიდი, გელოდება-მეთქი!

არჩილა – კაი, კაცო! მერე შენ სადღა გარბოდი? ის მდივანი ხო ორივეს ოთხში ამოგიღებდათ?

კოტე – ღმერთი მფარველობს ეგეთ კაცთან ომში! ამადამ რომ ვუთხარი, დილაზე სხვა მდივანი დახვდა კაბინეტში! ახლა კიდე... ნეუნას რო ცოლი დაუბრუნდა და ცხვარი დაკლა...

არჩილა – ეგ ხალხი ჭკუაზე აღარ არი, ის აფთარი ქალი უნდა დაეკლა, ცხვარს რას ერჩოდა?!

კოტე – ჰოდა, ვინ ვიყავით იქა... მე, რაჟდენა, გენო, ხათაბალა და ვანო, მოკლედ, სოფლის ელიტა დაგვპატიჟა. რომ შევზარხოშდით, ბაქიობის ანგელოზმა ჩამოიარა...

არჩილა – მაგაში პირველობას შენა და გენო ვის დაუთმობდით!

ვანო – გენო ამანა ზურგზე დადო!

კოტე – ყველამ თავისი თქვა, მარტო რაჟდენა იყო ჩუმათა, ეგ კაცი რაღაც დეპრესიაშია ჩავარდნილი...

არჩილა – მოკლეზე გადადი, კოტე!

კოტე – გენომ რომ ყურები გაგვილიცლიცა ტრაბახითა, ცეკაში როგორ ედრასტებიან პირზე კოცნითა, ავდექი და მეც დავახეთქე, შემოდგომიდან, შეიძლება კრემლის საავადმყოფოში თავი ამოვყო-მეთქი! რანაირათაო? – გენომ ყურები დაცქვიტა. რანაირათა და მამაჩემის ნათლული გენსეკის რეფერენტად დაუნიშნავთ-მეთქი! ყველამ ხუმრობაში ჩამომართვა, მარტო გენომ დაიჯერა, თურმე!

გენო – იქნება იმანაც გაგაშაყირა?

კოტე – პირველად მეც ეგრე მეგონა. ერთი კვირის თავზე დაწვრილებით გამომკითხა, საიდან სადაო? მეც ავდექი და დეტალურად დავუხატე. ომის დროს თბილისში მოხვდნენ ევაკუირებულები, ჩვენმა ოჯახმა

შეიფარა. ეს რეფერენტი მაშინ სამი წლისა ყოფილა. იმის მერე დავნათესავებულვართ...

არჩილა – კაი, კაცო, მართალს ამბობ მაგასა?

კოტე – აჰა, შენც დაიჯერე, არჩილ?.. ვუამბე ათასნაირი ზღაპარი, აქედან, ყოველ შემოდგომაზე როგორ ვუგზავნით „ივერია“ ვაშლსა, ატენურსა, მაგრამ იმას ორნახადი რომ ურჩევნია, მეხვეწება, აქ ჩამოდიო, მაგრამ უარზე ვარ, მანდაურ ზამთარს ვერ ავიტან-მეთქი, და რა ვიცი! კიდევ იმედი მქონდა, რომ მიხვდებოდა, მაგრამ საქმეში ხარ? იმ დღიდან ნალოსავით ამეკიდა! ამ დილას კი ლოგინში დამადგა, რაიკომის მდივანი მიბარებს და მამაშენის ნათლულს რა ჰქვია, იმისი სახელი რომ ვახსენოო!

არჩილა – კაი, კაცო! რა უთხარი?

კოტე – ივან ნიკალაევიჩი-მეთქი.

არჩილა – და ეგრე გაუშვი მდივანთანა? კაცო, ერთხელ გადარჩი, კიდე როგორ შეგეშალა?

კოტე – არ შემშლია, არჩილავ! პირველად, შეიძლება, ვინანე, მაგრამ დილას რომ თავზე დამადგა! კაცობას გეფიცებით, თუ გულგარეთ ვამბობდე, ეგ კაცი სოფელს უნდა მოშორდეს! მე ხომ ვიცი, რომ ცოტა თავქეიფას მეძახიან, მაგრამ რაც ყარამანა გავიცანი, რაჟდენა... რა ვიცი, აეს თქვენი სიკა მასწავლებელი ხომ... რადაცამ გაიღვიძა ჩემში, სახელი ვერ დამირქმევია. ვხვდები კია, მაგრამ ხმამაღლა ვერ გამომითქვამს!

არჩილა – გენოს ნადდად მოისვრიან აქედანა, მაგრამ შენც რომ მიგაყოლონ...

კოტე – მიმაყოლონ!.. ჯერ კიდევა მაქვს ღმერთის იმედი და თუ ღმერთმაც გამწირა, ალალი იყოს თქვენზე ერთი ფეხმოტეხილი კოტე ექიმის კარიერა! სოფლისა და ქვეყნის ღალატს ვერ დამწამებენ და სხვა იარლიყი, რაც უნდა, მომაკერონ!

ვანო – მოიცა, კოტე! რა, ჩვენ არაფერს დაგვეკითხებიან? სოფელი, რა, უენოა?

კოტე – სოფელს ენა როდისა ჰქონია, ვანო1

არჩილა – რას ამბობ, კოტე! ვანო, არ გახსოვს? *(კოტეს)* ერთხელა რაიკომის ახალ მდივანს ველოდებოდით. ამის წინის წინასა... მოკლედ, ველოდებით, რა! რეპეტიცია გავიაროთო, ხათაბალამა, როგორც თეატრშია, ვინ რა უნდა თქვას, რა თავშისაცემი დაგვიგროვდაო. ყარამანა ხმის ამამღები მაინც არ იყო და ის დავსვით ვითომ მდივნათა. მამწყდით თავიდანო, მაგრამ დავიყაბულეთ, ეგრე იჯექი ბიუსტივითაო. ერთმა თქვა, მეორემა, მაგრა გახურდა კრებაი. ეს ყარამანა გვისმენს. გენომ რო ლოზუნგები დაგვაყარა და სუ პრავდის მოწინავეები ჩაგვიბულბულა, აქამდე ენაჩასლაპულმა ყარამანამ მუშტი რო დასცხო მაგიდასა, ყველას სული ფეხის თითებში გაგვეპარა! ისეთ ოქროპირათ გადაიქცა შენი მუნჯი ყარამანა, ვერც ყურებს ვუჯერებდით და ვერც თვალებსა! ვანო, რეები თქვა, არ გახსოვს? ტაშით დავიხეთქეთ ხელისგულები!

ვანო – ვუყურებ ამ ყარამანასა და სახეზეც ვეღარა ვცნობ, ნამდვილი მდივანი მეგონა, კაცო, ეგ არი თქვენი სოციალიზმი და კომუნიზმიო! ყველანი შიშმა აგვიტანა, მაგის დედაკაცს ხო ვასულიერებდით, ქმარი გამომიცვალესო!

არჩილა – მერე ნამდვილი მდივანიც მოვიდა და ყარამანა ისევ დამუნჯდა.

კოტე – რეპეტიცია გამოგადგათ?

არჩილა – რა გამოგვადგა, ყველამ პირზე ისევ ხავსი მოვიკიდეთ, რაჟდენა ვერ გავიმეტეთ, გენო კიდე, ვიცოდით, თავისთვის ფონს იპოვიდა...

ვანო – ჰო, ვითომ არაფერი, ისევ ქადაგად დაეცა და ისე დაგვიხატა ჩვენი სოფელი, მდივანი ნანობდა, თან რატო არ წამოვიღე გარდამავალი დროშაო!

არჩილა – კაცო, გენომ რა ძიენ დაიგვიანა?

ვანო – მოგენატრა?

არჩილა – ილიკოს ქაღალდი მდივანს მაგიდაზე უდევსო და...

ვანო – ეგ ქაღალდიც რო არ იყოს, რა ჰქვია, კრემლის კაცს... ივან...

კოტე – ნიკალაევიჩი.

ვანო – ჰო, კოტეს მამის ნათლულსა, ამ გაშაყირებას აპატიებს?

არჩილა – აგე, გენოი! *(ფანჯარას მიაწყდნენ)* დადა, დადა! ნატერფალზე ცეცხლს აჩენს!

ვანო – ვაიმე! აქეთ მოდის და ცხელ გულზე რაღა ჩვენ შევეფეთოთ?

კოტე – გვიანია.

არჩილა – ღმერთო, აგვაცილე სატანის რისხვა!

გენო – *(კარი გააღო და იქვე გაჩერდა, უცნაური ღიმილით, ბოროტი და დამცინავი ცეცხლით ანთებული თვალები მიაპყრო ოთახში მყოფთ)* ბატონო კოტე, პირადად თქვენთან მინდა საუბარი! *(არჩილამ და ვანომ კიდევ ერთხელ შეხედეს გენოს, ერთმანეთს, და გაცვივდნენ ოთახიდან. გენომ მათ გზა დაუთმო, თვალი გააყოლა, მერე მივიდა კოტესთან, გამომეტყველება არ შეუცვლია და წაიღიღინა ისეთ მოტივზე, რომელიც არ ესადაგება ტექსტის შინაარსს)*

ეს ბიჭი კარგათ თამაშობს,
ამშვენებს არემარესა,
ამან რო ფეხი იტკინოს...

აინ მომენტ! *(გაოგნებულ კოტეს უცებ თავი ანება და ტელეფონის ყურმილი აიღო)* ქეთო! ქეთუსია!.. არა, მთვრალი არა ვარ, მაგრამ ახლა უნდა დავთვრე! სუფრა გაშალე... ორნი მოვდივართ. ბატონი კოტე და თავმჯდომარე... რა რაჟდენა, რის რაჟდენა! ორნი-მეთქი!. ვსიო! *(ყურმილი დადო. კოტეს ელაპარაკება, მაგრამ მას კი არ უყურებს, ისევ „რაიკომშია“)* ჩვენ ერთად, ასე ხელიხელჩაკიდებულებმა უნდა ვიღვაწოთო! ეგრე თქვა, ვიღვაწოთო! პაჩოტით გამომაცილა. შენმა ივან ნიკალაევიჩმა ხო სულ დახატა!.. ხვალისთვის დანიშნა კრება. რაჟდენა მეცოდება, მაგრამ რა ვქნა, კუდი როდემდე ვუწიო!.. *(გენო ვერ ხედავდა, რომ კოტე აღარ*

უსმენდა, რომელსაც ჯერ თვალები გაეყინა, მერე მუხლები დაუდუნდა და უხმაუროდ გაიშოტა იატაკზე)

მეათე სურათი – „საქართველოს გაუმარჯოს!“
ისევ თავმჯდომარის კაბინეტი. მაგიდასთან ზის გენო.
შემოდის რაჟდენა. კართან გაჩერდა.

გენო – მოდი, რაჟდენ.

რაჟდენა – *(დარცხვენილივით)* რამდენი თვეა, ეს კაბინეტი ჩემი აღარ არი, მაგრამ... დასაძინებლად რო ვწვებოდი, ფიქრშიც აქ ვიყავი.

გენო – კაბინეტის სიყვარულმა ეგრე იცის?

რაჟდენა – არა, გენო. შინ ყოველ დღე გულნაკლული ვბრუნდებოდი. ვგრძნობდი, რო ვერც მთავრობის გულს ვიგებდი და ვერც ხალხისას. არადა, შენც ხო კარგათ იცი, მთავრობის ერთგულიც ვიყავი და ხალხის ყოფითაც მეწოდა გული!

გენო – მე უფრო ძნელ პერიოდში მიწევს თავმჯდომარეობა. მთავრობამ ძალიან მიუშვა. დროებით შეითავსეო! ორად რანაირათ გავიჭრა? ჯეელობამ ხო აიწყვიტა და მიდი, დააბი!

რაჟდენა – რო მახსენდება, გენო, გორში რო ჩავიდოდით პარადზე, ხალხი რო ერთსულოვნობით დარაზმული, დროშებითა, ლოზუნგებითა, „გაუმარჯოს! გაუმარჯოს!“ რო ყვიროდა, იყო ერთი ვაშა და ურა! მერე დავბრუნდებოდით და ერთ კაი ლხინს გავაჩაღებდით!.. აღარ დადგება ის დრო? *(შემოდიან ილიკო და გოჩა)*

გენო – *(უმისამართოდ)* მე მარტო ილიკო დავიბარე.

გოჩა – დიდი კაბინეტია და ოთხივე დავეტევით. თანაც, ორი ორზე უფრო სამართლიანია.

გენო – *(ილიკოს)* რა დაწერე, ბიჭო, კლუბის კედელზე? მაგიტომ გაგიშვით სამხატვროზე? თქვი, რა დაწერე?

ილიკო – რა დავწერე?

გენო – მაგას გეკითხები, რა დაწერე?

გოჩა – შენ თვითონა თქვი, ძია გენო.

გენო – მაგანა თქვას!

გოჩა – ერთით ნოლი, ძია გენო! ამან დაწერა და არ შეეშინდა, შენა გამეორებისა გეშინია.

რაჟდენა – ბიჭო, ვის ებრძვით, ცეცხლს ეთამაშებით? მაგათთვის სუ იოლია ყმაწვილების კალოს გალეწვა, შენ ოღონდ საბაბი მიეცი!

გენო – *(ილიკოს)* ეხლავე აიღე საღებავი და გადაშალე ის ლოზუნგი!

ილიკო – ისეთი რა დავწერე, ძია გენო, მართლა კი ნუ გადაგვრევთ! საქართველოს გაუმარჯოს-მეთქი! მკვდარზე ვამბობთ, გაუმარჯოსო, ეს ცოცხალმკვდარი მაინც არის!

რაჟდენა – შენც რო პანიკას ატეხავ ხოლმე, გენო, მართლაც რა დაწერა ამ ბიჭმა ისეთი, რა, სადღეგრძელოში არ გვითქვამს, საქართველოს გაუმარჯოსო?!

გოჩა – გენაცვალე მამაჩემო, ჯიგარი ბიჭი ხარ! *(გენოს)* ეხლა ჩვენა გვაქვს შეკითხვა: ეკლესიას კლიტე ვინ გამოუცვალა?

გენო – მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და გამიშვით, ცხვარი მიდისო! ბიჭო, მეოცე საუკუნე თავდება და ეკლესიას მისტირი?

გოჩა – შენ გიყვარს შენი პარტიული მოძღვრების ლოზუნგები. მე ჩემი მოძღვრის დარიგებას მოგახსენებ, გორში რო გვითხრა, მაშინ, შენი შუამდგომლობით რომ დაიჭირეს. ზეპირათ ვიცი, გულში ჩამეჭედა. იქ შენი ნათესავებიც იყვნენ, მაგრამ იმათი არ მორიდებია. შეიძლება მე ვერ მოვესწროო, მაგრამ, მჯერა, დადგება დრო და ახალი საქართველო უნდა ააშენოთო, მართლა ახალიო. ახალგაზრდობამ უნდა ააშენოს წმინდა ზნეობითა და ხელებითაო, სხვანაირად არაფერი გამოგივათო. *(შემოვარდნენ არჩილა და ვანო)*

გენო – მობრძანდით!

არჩილა – ჩა... ტელევიზორი ჩართეთ! *(გენომ ტელევიზორი ჩართო. სამგლოვიარო მუსიკა. ილიკო დაბარებულივით შეხტა მაგიდაზე და ხან ჩერნენკოს სურათს უყურებს, ხან ტელევიზორს)*

არჩილა – ხო ვამბობდი, მკვდარი იყო, რო დადგა. რაჟდენ, ეხლა ვისი სურათი შემოვიტანო?

რაჟდენა – თუ კიდე არ შეგეშალა!

არჩილა – არა, კაცო, ეხლა ცოტა-ღა დამრჩნენ.

რაჟდენა – *(ტელეფონზე მიანიშნა)* იტყვის, დააცადე.

გენო – *(არჩილას მხარზე ხელი მოუთათუნა)* მე ჩამოგყვები საწყობში.

ვანო – ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა?

გენო – მართალსა ბრძანებ, ვანო, შეცდომა იყო მაგისი დანიშვნა.

არჩილა – ბრალი ისტორიის მასწავლებლებისა, ამდენ მომსვლელ-წამსვლელის დახსომება არ გინდა? *(ტელეფონი)*

რაჟდენა – მიდი, გენო, აიღე! *(გენო ტელეფონისკენ წავიდა. ილიკომ სწრაფად ჩამოხსნა სურათი)*

არჩილა – *(ილიკოზე)* ესეც როგორ დასპეცდა!

მეთერთმეტე სურათი – „ჩემო კარგო ქვეყანავ...“
სიმღერა „კეკელა და მარო“
ერთბაშად რადიოკვანძიდან ნუცას ხმა:

– ყურადღება! ყურადღება! სოფელ ნიკრეულას კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტკომი...

გენოს ხმა – უტიტულოთ.

ნუცას ხმა – უტიტულოთ მოგმართავთ გენო შავკაციშვილი.

გენოს ხმა – ამხა... ბატონებო და ქალბატონებო! ძველად ჩვენი წინაპრები, ვიდრე საქმეს შეუდგებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ. ჩვენც

შევიდეთ ეკლესიაში, რომელიც შვიდი საუკუნეა, ამშვენებს ჩვენს სოფელს, დავანთოთ სანთლები და შევუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს! *(ხალხის ჟრიამულმა იმატა. „კეკელა და მარო“ შეწყდა)*

ნუცას ხმა – უი, გოჩა! რატო გააჩერე?

გოჩას ხმა – ეგ „კეკელა“ აიღე და ეს დადე. *(რაღაცის ტკაცუნი)*

ნუცას ხმა – ვაი, გატყდა!

გოჩას ხმა – ეგ კარგი ნიშანია... ნეტა სიკა მასწავლებელი აქ რო იყოს, რას გვირჩევდა?

ნუცას ხმა – უი, ღია დამრჩენია!

სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ...“

პირველი სურათის დეკორაცია. კლუბი. ანთებული სანთლით და პირჯვრის წერით შემოდის გენო. მას მოჰყვება ყველა მოქმედი პირი, გარდა ყარამანისა *(ის ისევ მუშაობს, გვესმის თოხის ჩაკუნი და „საბერველის“ ქშენა).* სანთელი არ უკავიათ მხოლოდ გოჩას და ილიკოს. გენო ტრიბუნასთან დადგა და დარბაზს გადახედა. იგულისხმება – კულისებში ხალხი, ხოლო გარედან ისმის ჟრიამული, უმეტესად, მოზარდებისა და ბავშვებისა.

გენო – ზოგიერთი ახალგაზრდისა ვერაფერი გამიგია. სულ უკუღმა როგორ უნდა აკეთო საქმე? ადრე – ეკლესია, ეკლესიაო! ეხლა სანთლის დანთება ეთაკილებათ!

ილიკო – ზოგიერთი ძველგაზრდისაც ვერაფერი გაგვიგია. ადრე – ეკლესია არ გამაგონოთო! ახლა პირველი შერბის ეკლესიაში და ჩემხელა სანთელს ანთებს.

გენო – თქვენი საქციელი პროტესტია?

ილიკო – ღმერთი, რჯული, ეგ არ გვიფიქრია. უცებ დავიბენით.

გენო – მაშინ, ჩემო კარგებო, მე აგიხსნით. პოლიტიკა ის კი არ არის, ხათაბალას რაც ენაზე მოადგება, ეგრევე რო მიახლის. ზოგჯერ კაკლის ხეზე უნდა თქვა, წიწმატიაო, ზოგჯერ კი – კაკალი. აგე, ლენინმა რა დაწერა, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკანაო“. ისე, რო, გენო შავკაციშვილს არაფერი შეშლია. მე პარტიის რიგებში ყოფნის დროს ბევრჯერ მიმიხლია მთავრობისათვის, რაც გულში მდებია, მაგრამ ბევრჯერაც მოვფერებივარ, ისევ სოფლის ინტერესებისთვის, თქვენთვის, ჩემო მშრომელო და პატიოსანო თანასოფლელებო! თქვენ არ იცით, რამდენჯერ მივლია ბეწვის ხიდზე და რამდენჯერ კიდე ჩემთვის გულში კაცურათ მიტირია, რატო დავუთმე ვიღაც პარტოკრატსა-მეთქი. აი ეს არის პოლიტიკა. ხან უნდა შეუყვირო, ხან უნდა მოეფერო. *(კანტიკუნტი ტაში)*

ხათაბალა – რა ვიცი, ჩვენთვის მარტო ყვირილი გემეტებოდა!

გენო – *(ხუმრობაში გაატარა)* კაი მოსაფერებელი კი ხარ, ხათაბალა! ეხლა საქმე! ბატონებო და ქალბატონებო! ეხლა დრო დადგა, ჩვენი სოფელი არ ჩამორჩეს საერთო ეროვნულ მოძრაობას. დილაზე

ყველა, როგორც ერთი, გორში ჩავალთ, იქიდან – ქალაქში. ავტობუსები იქნება. ილიკოს ლოზუნგები მზათა აქვს. ჩავალთ ქალაქში და ფეხს არ მოვიცვლით, სანამ მთავრობა არ გადადგება! *(უკვე დიდი ტაში)*

რაჟდენა – გენო, გაზაფხულია, ეხლა გლეხკაცს ქალაქში რა უნდა?

გენო – *(პათეტიკურად)* ჩვენ სხვანაირი გაზაფხულისთვის ვიბრძვით, რაჟდენ, ნამდვილი გაზაფხულისთვის! *(უფრო დიდი ტაში)*

რაჟდენა – *(იხტიბარგატეხილი)* რა ვი, მე ისე გამიგია, რო გაზაფხულზე შემოდგომისთვის უნდა იბრძოლო.

ხმა – რაჟდენა მართალია! *(ყველამ კულისებისკენ მიიხედა. მოულოდნელობით გახარებული შეძახილები: „სიკა მასწავლებელი!“ „სიკა მასწავლებელი ჩამოსულა!“ ტაში)*

გენო – შენ არ იყავი, ახალგაზრდებს რო გეშავდი?

სიკა – *(შემოვიდა)* სწორედაც რომ ვგეშავდი. მაგრამ ადრეული ხილი კბილებს მოგჭრის, არც ნაგვიანევი ვარგა.

რაჟდენა – მეც მაგას ვამბობდი, სიკა მასწავლებელო! ჯეელებს ოფლს ნუ დააღვრევინებ, თორე სისხლზე მზათ არიან! სისხლი დაიღვრება და ვერც გავიმარჯვებთ.

სიკა – გამარჯვებით გავიმარჯვებთ, ეს ძნელი არ არის. იმიტომ, რომ ეს საპყრობილე თვითონაც ირღვევა და ინგრევა. მაგრამ უფრო ძნელია გამარჯვების შენარჩუნება.

გენო – შენა, სიკა მასწავლებელო, იქა ხო არ შეგაშინეს?

სიკა – იქ არ შემშინებია. აქ რომ მოვედი, მაშინ შემეშინდა. ტრიბუნაზე რომ დაგინახე.

ხათაბალა – ტრიბუნაზე პირველათა ხედავ?

სიკა – პირველად რომ დამენახა, არ შემეშინდებოდა.

რაჟდენა – ეხლა რა ვქნათ, სიკა მასწავლებელო?

სიკა – მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველ ხალხს რუსთაველმა გააძლებინა. განა მოძველდა იმისი სიტყვა? მაგრამ მეცხრამეტე საუკუნიდან ილია შეეშველა იმ სულგანათლებულს და დღესაც გვპატრონობს. დავიხსომოთ, ხალხო, სადაც გაგვიჭირდება, იმას დავეკითხოთ და არ წავაგებთ, თორემ ჩვენმა ხალხმა რამდენჯერაც გადაუხვია იმის გზასა, იმდენჯერ იკბინა თითზე. თითზე კბენა კი საქმეს როგორ შველის, ეს ყველამ იცის.

გენო – *(აქამდე ირონიულად უსმენდა)* მაინც რა გზაა ეგ გზა?

სიკა – ქრისტეს გზა! თუ ჩვენ ზნეობრივად არ განვიწმინდეთ, არ განვსპეტაკდით, თავისუფლება რომც გვაჩუქონ, ვერ მოვიხმართ, ერთმანეთს დავჭამთ და მტერს გავალაღებთ. ამ ძველს დავანგრევთ, – სიძულვილი ბევრი დაგვიგროვდა, ახალს კი ვერ ავაშენებთ, – სიყვარული გვაკლია, ხალხო!

რაჟდენა – შენი ჭირიმე, სიკა მასწავლებელო, ჩემს გულში ზიხარ!

გენო – მაშ ვიყოთ ასე! გოჩა, ნუღარ მოიყვანს წაპრანა ტრაქტორსა. იდგეს მანდ ძეგლი და ყოველ აპრილ-ნოემბერში ყვავილები ვუფინოთ!

სიკა – ეგ ძეგლიც შენი მოგონილია და ყვავილების დაფენაც.

გენო – შეხედე ამ ხალხს, ყალყზე დგას. დააგუბე ლიახვი! რო გადაგივლის, შენცა და ქვეყანასაც წალეკავს!

სიკა – მეც მაგისი მეშინია. ამიტომ დროით უნდა დაიჭირო თადარიგი, კალაპოტი უნდა გაუწმინდო, გეზი მისცე. როცა თავის დროზე ლიახვს კალაპოტს უწმენდნენ, ზოგ-ზოგები ამ კალაპოტში ისევ ქვა-ხრეშს ყრიდნენ! *(ტრაქტორის გრუხუნი. ვიღაცეები: „წაპრანა! წაპრანა მოვიდა!“)*

გენო – აი, წაპრანაც მოვიდა ტრაქტორითა, საქმეზე გადავიდეთ! ჩავაბათ ტროსი ძეგლსა და ამით აღვნიშნოთ ძველი სისტემის ნგრევა! *(ტაში)* ხოლო დილაზე, როგორც შევთანხმდით, გორში და იქიდან ქალაქში, ჩვენი ძმების მხარდასაჭერათ! *(ტაში)* გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს! *(აღფრთოვანებულთა ტაში)*

გოჩა – *(ტრიბუნაზე ავარდა)* ხალხო! ცოტა ხნის წინათ გენო შავკაციშვილმა ცხრაპირი ტყავი გააძრო ილიკოსა, კლუბის კედელზე ლოზუნგი რათ დაწერე, ეხლავე გადაღებეო! ეხლა კი ამ ლოზუნგს პირველ ხმაზე თვითონა ყვირის! *(დარბაზში გნიასი)* ვის დავუჯეროთ, ამას თუ სიკა მასწავლებელსა? *(ხმები: „სიკა მასწავლებელს!“ „სიკა მასწავლებელი მართალია!“ მქუხარე ტაში)*

გენო – *(ტრიბუნაზე გოჩა შეავიწროვა)* მაშინ ადრე იყო, ხალხო, უდროო დროს მამალი რო ყივის, თავს აცლიან! მე ამ ახალგაზრდებს ვუფრთხილდებოდი. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! *(გაუბედავი ხმები: „გაუმარჯოს!“)* არ ვარგა! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! *(უფრო გაბედულად – „გაუმარჯოს!“)* არ ვარგა! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! *(თითქმის ერთსულოვანი: „გაუმარჯოს!“)* კარგია! აბა, ბიჭებო, ერთი, ორი და სამი! *(დაიწყო სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ „სხვებიც აჰყვნენ. გადიან ყიჟინით, საშინელი ხმაურით, რადგან სიჩქარესა და სიბნელეში ყველა ძელსკამი გადააყირავეს. სცენაზე დარჩნენ სიკა, ილიკო და გოჩა)*

გოჩა – ჩვენ რა ვქნათ, სიკა მასწავლებელო?

სიკა – გადით, დაესწარით ბედის ირონიის ზეიმს: ლენინმა შემოიტანა ტრაქტორი, რომ იმავე ტრაქტორს, წაპრანას მესაჭეობით, ძირს დაენარცხებინა მისივე ძეგლი!

ილიკო – დილაზე ქალაქში...

სიკა – უნდა წახვიდეთ, რადგან ქალაქს თქვენი იმედი აქვს.

ილიკო – თქვენა?

სიკა – მეც უნდა წამოვიდე, რომ გენოსნაირებს თქვენი თავი არ დავანებო. *(გოჩა და ილიკო კმაყოფილები გადიან. ახლა დავინახეთ კარებში მდგარი ყარამანი, მხარზე თოხგადებული, ხელში ჭრაქი უკავია. სიკასთან მივიდა)*

ყარამან – რა ხდება? სად გარბიან? რა გვინდაო? *(სიკამ არ უპასუხა. გარედან ჟრიამული. ტრაქტორის გუგუნი. გენოს ხმა: „ფეხებში ჩააბი, ფეხებში!“ ტაში)* რა გვინდაო?

სიკა – ყარამან ძია... დილაზე სახლი უნდა დავანგრიო. არ მომეხმარებით შენ და შენი ბიჭი?

ყარამან – რა უნდა დაანგრიო?

სიკა – სახლი.

ყარამან – ჰოო. ძველი კია. სიკა მასწავლებელს ცხრილით მოუზიდავს წყალსა მთელი სოფელი... მოიცა, რათ მამასხრებ?

სიკა – ეგრე რატომ გგონია, ყარამან ძია, აკი ძველიაო?

ყარამან – შენ რო მართლა დამნგრეველი იყო, ქვიშა და ცემენტი მაინც გექნებოდა გამზადებული.

სიკა – *(უცებ აკოცა)* შენ გენაცვალე, ყარამან! *(გარედან მძიმე ვარდნის ხმა, რომელმაც დარბაზი შეაზანზარა. ტაში და ყიჟინა)*

ყარამან – რა ხდება? *(გარედან შემოჭრილი ხმაურით დაბნეულ-შეშინებული კვლავ სიკას ეკითხება. პასუხი რომ ვერ მიიღო, მაყურებელს მიაჩერდა)* რა გვინდაო? *(სიკამ გადაბრუნებული სკამების წამოყენება დაიწყო. ყარამანმა ჭრაქი დადო და სიკას მიბაძა, ის კითხვა კი არ ასვენებს)* რა გვინდაო?

ძლიერდება სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ...“

ეპილოგი

სოფლის მოედანი – „ბირჟა“. ორი-სამი ჯიხური, დაკეტილი, რომელთა ფასადებზე გენოს პორტრეტებია, ყველა – საღებავით ჯვარგადასმული. არჩილა და ვანო დახოცილები წვანან, ერთმანეთთან თავშექცევით, ერთი პირქვე, მეორე გულაღმა. მარო, ელიკო და ნუცა, ჩემოდნებით, ჩანთებით დატვირთულნი, ისე გარბიან, თითქოს მოსდევენ და წინ, სადაც ხსნა ელოდებათ, ვიღაცას რაღაცას ანიშნებენ. დახოცილებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. სინათლის სხივი დასტრიალებს ხან არჩილას, ხან ვანოს, თითქოს ეფერება.

დიქტორი – ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაუკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა, ყაყაჩოების ცეცხლია?!
შავჩოხიანო ვაუებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ, ოჟა ჯურხაის ფარისა?!

სიმღერა ხომ არ მოგესმათ, პატარა კახის ხმალისა?!
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ ადექით და მარქვით ომახიანად...

(არჩილა შეინძრა და წამოიწია.წამოჯდა. ვანოს დახედა, შეანჯღრია)

არჩილა – ვანო, ჰა, ვანო! *(ვანო შეინძრა. არჩილამ სისველე იგრძნო, ხელი ჯერ ბალახზე, მერე ვანოს შარვალზე შეიწმინდა)* ვანო!

ვანო – ჰა? *(წამოიწია, ისევ დაეცა)* წელქვეით ვერაფერსა ვგრძნობ.

არჩილა – როგორმე გვერდი იცვალე, გუბეში წეხარ. *(ვანომ გაჭირვებით იცვალა გვერდი)*

ვანო – როგორ დაგვბომბეს იმ შობელძაღლებმა! რამე გახსოვს?

არჩილა – მესამეთაც რო მესროლეს, მერე გონი დავკარგე.

ვანო – დიდი ყანწი იყო ის ოხერა, ლიტრაზე მეტი ჩადიოდა! როგორ დაგვათრო იმ კრუხის პალომ!.. დოქი რო ეფარებოდა, აღარა ჩანდა.

არჩილა – ის დოქი აკოფივით ჰქონდა და რაღაცას მამაძაღლობდა. ჩვენ კი ბანგი გვასვეს.

ვანო – მააშ, დედის ხსენი აღარ შემარჩინა იმ ოხერმა!

არჩილა – აქამდე რანაირათ მოვედით, ლიახვში რო არ ჩავიხვრჩით?.. ვანო, აბა თუ იტყვი, ვინ მოდის?

ვანო – იგრე ვარ, რო დავინახო, მაინც ვერ ვიცნობ, ზეპირათ როგორ გითხრა?

არჩილა – სიკა მასწავლებელი! გაუთავისუფლებიათ!

ვანო – ამ ყოფაში რო დაგვინახოს, სირცხვილია, არჩილა!

არჩილა – მიდი, გაიქეცი!

ვანო – იმ ჯიხურამდე მაინც მივხოხდეთ!

სიკა – *(შემოვიდა)* გამარჯობა მეზობლებო!.. რა ყოფაში ხართ?

არჩილა – გვაპატიე, სიკა მასწავლებელო!

სიკა – რა ხდება სოფელში? შაჰ-აბასმა ჩამოიარა?

არჩილა – უარესმა.

სიკა – *(ვენოს სურათებს შეხედა)* მთელ გზაზე, ყველგან ასეა ჯვრებით გადახაზულები.

არჩილა - გენოი? ჰო, ყველგან გადაჩხაპნეს, მაგრამ მაინც ერთხმად აგვარჩეინეს.

სიკა – ხალხი სად არის?

არჩილა – ქალები, ალბათ, ისევ თურქეთში წავიდნენ. კაცები...

ვანო – კაცები ჩვენა ვართ.

სიკა – რაჟდენა რასა იქს?

არჩილა – გოჩა ხო ოჩამჩირეში...

სიკა – ეგ ვიცი.

არჩილა – ჰო, მაშინ ხო შვებულებით გამოგიშვეს ცოტა ხნითა. წავიდა საწყალი რაჟდენა, ეგება, მკვდარი მაინც გამოვიხსნაო, გაყიდა სახლი. გაქრა. გზაში თუ ჩაკლა ვიღაცამ.

სიკა – ყარამანი?

არჩილა – ჩაბარდა პატრონსა! სიკვდილის წინ სუ შაქრიას სახელი ეკერა პირზე... მგონი ჭკუაზეც აღარ იყო...

სიკა - სხვები?

არჩილა – ვაუბედა ამ გაზაფხულზე, ლიახვი რო მოანგრევდა ნაპირებსა... *(დაბალი ხმა ეკლესიის ზარისა)*

სიკა – ვინა რეკავს?

არჩილა – არავინ. ეგ დაგვრჩა გოჩას სახსოვრათა. რაუდენამ რო სახლი გაყიდა, ნაწილი ფულისა სოფელს დაუტოვა ეკლესიის ზარისთვისა. თითონა რეკავს, ნიავი რო წამოუბერამს.

სიმღერა, მხოლოდ ლექსის ორი ტაეპი:
„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“

დასასრული

<u>შენიშვნა:</u> *ეს პიესა დაიწერა 1963 წელს. რადგან „დათბობის“, უძრაობისა თუ დაჩქარება-გარდაქმნის „ეპოქებში“ ყაჩაღი ყაჩაღად რჩებოდა, პიესაში მცირედი კორექტივები შემქონდა. ბოლო სურათები დავამატე 1989 წელს, ხოლო ეპილოგი – 1998 წელს.*

რო ყიოდა, რა აყივლებდა

არჩილამ საშემოდგომო ბაზრობაზე ოთხი ვარია იყიდა. უთენია მიატოვა სიმწრით ჩამთბარი ლოგინი...

ავჩქარდი. ჯერ უნდა მოგახსენოთ, როგორი დილა თენდებოდა. ეს ერთი კვირა ისეთი ამინდი დაიჭირა, კომუნალურ ბინებში, დიდი თუ პატარა, ფარული იმედით ბარე ოცჯერ რომ ამოწმებს გათბობის ბატარეას, ცხელი წყალი ხომ არ გამოუშვესო. მაგრამ ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი გრაფიკი ისეთი შეუვალი გახლდათ, თუ მრთლა ჰაერის გამყინვარებას არ დააფიქსირებდნენ სინოპტიკოსები, შვიდი ნოემბრის დღესასწაულამდე თბილისის მოსახლეობის ოცნებას ახდენა არ ეწერა. ამბავი კი, რომელზეც თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო, ოქტომბრის ბოლო კვირას დაიწყო...

ჰოდა, ასეთ დილაუთენია რომ მიატოვა არჩილამ სიმწრით ჩამთბარი ლოგინი, აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი გმირი იმ ხნისა იყო, როდესაც ადამიანის სხეული ძნელად და უმნიშვნელოდ-ღა ცვლის ლოგინის ტემპერატურას.

არჩილას ფიქრადაც არ ჰქონია ქათმების ყიდვა. მეტიც: მისი ოჯახის ბიუჯეტის პერმანენტულ გეგმაშიც არ იჯდა ცოცხალი ვარიების ყიდვა. მადლობა ღმერთს, მაღაზიებში წააწყდები დაკლულ-გაპუტულ ქათამს, ჩვენებურსაც და, იშვიათად, უცხოურსაც. საქმე ის გახლავთ, რომ ორი დღის წინათ გაზეთ „თბილისში“ ამოიკითხა განცხადება – „ყველაფერი თბილისელებისთვის“. ამა და ამ დღესაო, იუწყებოდა არჩილის საყვარელი გაზეთი, რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეები ჩამოიტანენ და გაყიდიან – რა გინდა, სულო და გულო! – ჩურჩხელას, სულგუნს, სიმინდის ფქვილს, ლობიოს, ყურძენს, ხილს, ბოსტნეულს, ხორცეულს... ერთი სიტყვით, გასაყიდი პროდუქტების სიას გაზეთის გვერდის ნახევარი ეკავა. იჩქარეთ, თბილისელებო, ბაზრობისკენ ჰერი, ჰერიო! და არჩილამაც იჩქარა. ჯერ კიდევ საფუძვლიანდ და ზანტად იწვა ბინდი, რომ დიღმის საკოლმეურნეო ბაზრისწინა მოედანზე გამოცხადდა ჩანთებითა და პარკებითა. არ იფიქროთ, რომ მთელი ბაზარი უნდა დაეხვეტა არჩილას. თადარიგიანი ცოლი ჰყავს და, თუ ლობიო შეხვდებოდა, სალობიოე პარკით მოამარაგა, სიმინდის ფქვილისთვის სხვა პარკი ჩაუდო, წმინდა მიტკლისა, ყელში ზონარგაყრილი, ცოტათი გაცრეცილი და ზოგან ამოკემსილიც, მაგრამ მაინც ქათქათა და დაუთოებული. ყურძნისთვის ცელოფანის პარკიც ივარგებდა, თუ ყველი შეხვდებოდა, ამისთვისაც მზად იყო...

მოვლენებს გადავასწრებ: არჩილას ეს პარკები აღარ დსჭირდა. მიზეზსაც ახლავე მოგახსენებთ: როგორც კი გამოცხადდა ბაზრობის ადგილზე, აღმოაჩინა, რომ სხვებს უფრო უფხიზლიათ, უჩქარიათ და მოსულან მანქანითა თუ ქვეითად, ჩანთებითა, ტომრებითა, კალათებითა, ბოცებითა, ჟანგბადის დაფუყული ბალიშებითა, მოსულან მოწიფული შვილებითა, ცოლებითა, ქმრებითა, დედ-მამითა, სიდედრ-სიმამრითა, დედამთილ-მამამთილითა... მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის გახლდათ, რომ თუმცა დახლები კი იყო აჭრელებული მრავალგვარი ტრანსპარანტითა, რომლებიც თბილისელებს ულოცავდნენ საშემოდგომო დღესასწაულს და უსურვებდნენ ბედნიერებას და სარფიან ვაჭრობას, მაგრამ

არსად ჩანდნენ თვით კოლმეურნეები და მათ მიერ ჩამოტანილი დოვლათი, გამრჯე მარჯვენით მოწეული და ძვირფას დედაქალაქელთათვის ნობათად მორთმეული. ალიონის სუსხსა და ბინდბუნდში ელნათურები ძლივსა ბჟუტავდნენ და არჩილამ გაიფიქრა, რომ ისინიც სიცივისაგან მობუზულიყვნენ. მართალია არჩილა ცოლმა გვარიანად გამოაწყო და ჩაათბუნა, მაგრამ სუსხი უფრო გვარიანი გახლდათ და იოლად ძვრებოდა მის სხეულში ათასი უხილავი ქინძისთავითა და არჩილას უცებ თვალწინ დაუდგა თავისი თბილი ლოგინი, დაუდევრად აკეცილი საბნითა და ფაფუკი, შუაში ოდნავ ჩაღრმავებული ბალიშითა. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ წამს მისი გალილისფრებული ცხვირის ნესტოებმა ქვეშაგების თბილი და ტკბილი სუნიც კი იგრძნეს.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს მოუწია არჩილას და ამ მილეთის ხალხს ლოდინი. თუ დროს დაინიშნავდი, ალბათ, ერთი საათი, ისე კი, არჩილასთვის რომ გეკითხათ, კაი ხუთი საათი მაინც. განა განგებ გაზვიადებით, არა, ასე ეგონა, იმდენი იკავკავა საცოდავმა. თავი რომ შეექცია, ტრანსპარანტები წაიკითხა წერტილ-ძახილისნიშნებიანად, ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე – მარჯვნიდან მარცხნივ. გახედავდა გზას და ისევ დაიწყებდა კითხვას... თვალებზე ხელი რომ აგეფარებინა, უკვე ზეპირად გეტყოდათ, სად, რომელ ტრანსპარანტზე რა ტექსტი ეწერა. ამ კითხვა-თავშექცევაში ერთი კი ნამდვილად აღმოაჩინა: იმათ, ვისაც ეს ზღვა ხალხი ასე მოუთმენლად ელოდებოდა, თბილისელები ძალიან ჰყვარებიათ, რომ იტყვიან, არჩილაზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ, მაგრამ რად იგვიანებენ?.. ნეტავ ვინ იგონებს ამდენ ტრანსპარანტსა? კი ჰგვანან ერთმნეთს აზრითა, მაგრამ მაინც ხომ განსხვავდებიან? ან რა ხელი აუდის ამდენის დაწერასა? თან ამდენ წითელ მიტკალს ვინ უშვებს, განა მარტო ბაზრობისთვისა, საშვიდნოემბროთაცა... მერე რა ლამაზათ გამოყავთ ასოები? ისე კი, ზოგჯერ მეტისმეტი მოგვდის, სიტყვამ საქმეს როგორ უნდა გადააჭარბოს? თან ეს სიტყვა როცა უადგილო ალაგასაა? გლდანის მასივი პირველად რომ გააშენეს, უზბეკებმა სახლები რო წამოჭიმეს, არჩილა თვალისა და გულის გასახარებლად წავიდა. გლდანის გადასახვევთან, ხელმარცხნივ, ვეება ტრანსპარანტი წამოეჭიმათ, დიდი ლურჯი ასოებით თავმოწონებული. წაიკითხა და, და ცოტა არ იყოს, გაოცდა: „მივცეთ სამშობლოს მეტი ფოლადი!“ – ეწერა რუსულ-ქართულად, და არჩილა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე კანონმორჩილი რომ იყო, ერთი შეფიქრიანდა: რანაირად უნდა მისცეს არჩილამ სამშობლოს ფოლადი, მით უფრო ახლაშესახლებულმა გლდანელმა, ან ოდესმე მიუცია კი თუნდაც ერთი კილო, რო ახლა მოუმატოს? იქნებ იმას, ვინც ეს ტრანსპარანტი წამოჭიმა, ეს ადგილი რუსთავის გადასაახვევი ეგონა?

ამ ფიქრში იყო არჩილა, რომ ვიღაცამ იყვირა, მოდისო! როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ვინმე უცებ რაღაცას წამოიყვირებს, თავდაპირველად, ყველა მას მიაჩერდება. ახლა კი, ყველამ, უკლებლივ, თითქოს ეს იყო სამხედრო მეთაურის ბრძანება – „სწორება მარცხნივ!“ – ყველამ თვალი მიაბჯინა მოსახვევს, საიდანაც მალე გამოჩნდა სატვირთო ავტომანქანა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... ყველა – ტრანსპარანტით დამშვენებული.

არჩილას გაწვრთნილი თვალები ტექსტებს მიაკვდა. „გორელების ნობათი დედაქალქის მშრომელებს“, – ეწერა ერთზე, მეორეზეც იგივე ტექსტი, ოღონდ გორის ნაცვლად – სხვა ქალაქი, მესამეზე – სხვა და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით,

მთელი საქართველო, აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, დაძრულა დედაქალაქისკენ და ნობათები

ჩამოიტანეს!

ჩამეიტანეს!

ჩამაიტანეს!

და აირია უზარმაზარი სკა ფუტკრისა, აბზუილდა, მერე ადამიანთა ყაყანში გადაიზარდა. ერთბაშად ჩამოთბა. ხალხი აედევნა მანქანებს, გაჩერებას ვინ აცდიდა, უფრო მარდები ზედ ახტებოდნენ და, როდესაც მანქანები გაჩერდნენ, ისე მიესივნენ, თითქოს მათი გადაყირვება ეწადათ. აბა, მა რისთვის გაიტეხეს ძილი!

გაოგნებული არჩილა თავის ადგილზე უძრავად იდგა. არა, ზუსტად ვერ ვთქვი. საბრძოლო ყიჟინით აღტაცებული ადამიანების მუჯლუგუნების გაკვრაზე ტანით ირყეოდა, სიცივისგან გაფიჩხული ფეხები კი თითქოს ასფალტს შეჰყინვოდა და უშედეგოდ ცდილობდა, გაერკვია, სად იყო – თბილისში? საქართველოში? ველურ კანიონში, სადაც ოქროს ციებ-ცხელების სახადით შეპყრობილი არსებები განძის დაუფლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... ცოტათი მიამგვანა კურსკის გარეუბანს, სადაც შორეულ ორმოცდასამში მისმა ნაწილმა მტერთან გააფთრებული ბრძოლა გადაიხადა. ერთი სიტყვით, ბევრი ვარიანტი გადაჩხრიკა მეხსიერების შრეებში, მაგრამ ახლოს არ გაიკარა ფიქრი, რომ ის იმყოფებოდა საშემოდგომო-სადღესასწაულო ბაზრობაზე.

როგორც იქნა, არჩილა რეალობას დაუბრუნდა. რომელ მანქანასთანაც მივიდა, ყველგან ბოლო აღმოჩნდა. ვერც ის გაარკვია, სად რის გაყიდვას აპირებდნენ. ამდენი დოვლათის ჩამომტან-გამყიდველთა უზრუნველი პოზები და სიფათები ოდნავაადაც არ ესადაგებოდა ტრანსპარანტებზე დაწერილი ტექსტების შინაარსს, აკი მოგახსენეთ, არჩილამ ყველა დაიზეპირა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. ეს ყოველწლიური ღონისძიება-და დარჩენოდათ ადამიანებს, სადაც შეეძლებოდათ, დაგროვილი ენერგია დაეხარჯათ: ყველა თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის მზად იყო. გულახდილად უნდა ითქვას: ჩვენ გადაჭარბებულად, უსაფუძვლოდ ვაიდეალებთ ჩვენ შორეულ წინაპრებს, თორემ ამდენი და ასეთი ბრგე ვაჟკაცი, საომრაად დამკლავებული და პირზე დუჟმორეული, შორიდანაც რომ დაენახა, თავის დროზე, შაჰ-აბასის ლაშქარს, ისპაჰანამდე უკანმოუხედავად ირბენდა და მარათონულ რბენაში მსოფლიო რეკორდსაც დაამყარებდა, რომელსაც, დღეს კი არა, კიდევ კაი ხანს ბუზს ვერავინ აუფრენდა.

მე არ დამაბრალოთ, ასე არჩილამ გაიფიქრა. ძველი კაცია, ძველსა და ახალს შორის ხიდივითაა და ხშირად უყვარს მათი ერთმანეთთან შედარება.

არჩილა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მეძებარ ძაღლს: ყნოსვა, სმენა და თვალი დაძაბა, სად დაჩეხავდნენ ხორცს, სად გაიჩხრიალებდა ლობიო, სად გაიელვებდა ყველის სითეთრე... მაგრამ არც ეს საქმე იყო იოლი! კიდევ კარგი, ვერ დაინახა, ვერ იყნოსა, ვერ გაიგონა! საარჩილედ ვინ გახდიდა ხორცსა, ლობიოსა, ყველსა?.. მარტო აღტაცებაში მოდიოდა ავტომშენებელთა ნახელავით: ამდენი გიორგი სააკაძე და მაია წყნეთელი მისეოდა ავტომანქანებს და მაინც ვერ მოეხერხებინათ ვერც გადაბრუნება და ვერც დაშლა.

არიქა, არჩილ! იქ ერთი მანქანა დგას, არც ჩოჩქოლია, არც საბრძოლო ყიჟინა, სამიოდე ადამიანი მისჩერებია ძარას... ბიჭოს! რკინის გალიაში უთვალავი ქათამი ირეოდა და ცნობისმოყვარე რამდენიმე ქალაქელს ბუნტყლსა და ბუმბულს

სკინტლის სუნთან ერთად აყრიდა ცხვირ-პირში. არჩილამ ცოტა იფიქრა, იყოყმანა, შინ ხელცარიელი მისვლა ბრძოლის ველიდან ლაჩარის გაქცევას მიემგვანებოდა (თანაც, ერთ წამს თვალწინ ისევ დაუდგა ვადაზე ადრე მიტოვებული თბილი ლოგინი). რათა, რისთვისა? ამდენ ლოდინსა, ძაგძაგსა და ცოლის იმედს გამართლება და შდეგი ხო უნდა ჰქონოდა? და იყიდა ოთხი ქათამი. შესახედავაად ვარიები იყო, მაგრამ, დედლებიაო, დაარწმუნეს მექათმეებმა. ასარჩევიც არ იყო, ყველა ერთმანეთსა ჰგავდა, ერთი ზომისა და ფერისა, რა თქმა უნდა, ინკუბატორისა იქნებოდნენ. კარგები ამირჩიეო, – რაღაცა სხვა ხმით უთხრა გამყიდველს, თვითონაც რომ ეუცხოვა და, მგონი, წინა მყიდველის ხმას დაემსგავსა. გამყიდველმაც, – კი, ჩემო ძიაო, და ხელში რომლებიც შეაფრინდნენ, ისინი გადმოაწოდა. ასე გახდა არჩილა საშემოდგომო ბაზრობის ბედნიერი და სრულუფლებიანი მონაწილე. ყველისა და ყურძნისთვის განკუთვნილ პარკებში ფრთხიალით ჩატენა აკრიახებული ვარიები, ნამდვილად ჩატენა, ლამის ჩაახრჩო, თითქოს ფერმიდან იპარავდა, მერე ჩანთაში მოათავსა და ბაზრობიდან ისე გამოძუნძულდა, თითქოს იქ რაღაც უსირცხვილო საქმე ჩაედინა და ახლა კვალის დაფარვას ლამობდა. მოძუნძულებდა და უკან მოსდევდა ტომრებ-ჩანთებ-კალათებაკიდებული მოალაფვების ბედნიერი სახეები.

ცოლს კი მხნედ წარუდგა. კიდევ უფრო გაწყვიტა ბაზრობის პრეისკურანტი და ჯოჯოხეთური ალყიდან თავდახსნილი გმირის იერით ამოულაგა ნავაჭრი. ცოლი ჰყავდა არჩილას, ალბათ, ევადან დაწყებული – დღევანდლამდე, ყველაზე თვინიერი და თანამგრძნობი. ვიცოდიო, არ უნდა გამეშვი, მაგრამ შენსას მაინც არ დაიშლიდიო, მიდი, ჩაწექი, გამოშუშდიო. არჩილას რა ეწოლ-ეშუშებოდა! თითო ვარია შვიდჯერ მაინც წაღმა-უკუღმა დაათვალიერებინა, თითქოს ახლა თვითონ ყიდდა, სანამ ცოლმა საბოლოოდ არ დაასკვნა, რომ თითო ორ მანეთად ნამდვილად ნაპოვნი იყო და სულაც რომ ენატრა, ვარიებს მაინც ვერ წამოიდგენდა. არჩილას გულზე მოეშვა.

ორი მაშინვე დაკლეს (რომლებიც ფერად-ხორცად მომსუქნო იყვნენ), მეზობლის ბიჭს დააკვლევინეს, – ბაზრობის იმედით იმ დღეს თადარიგი არ დაეჭირათ.

დედლებად ნაყიდი ვარიები წიწილები აღმოჩნდნენ, ქალმა რომ გაპუტა, ბუმბულში ძლივს იპოვა ხორცი. მაგრამ მაინც ნასიამოვნები დარჩა, რადგან მაღაზიაში ნაყიდი და უსულგულოდ გაპუტული კი არა, ცოცხალი, სოფლური ქათამი აქვთ სადილად! გენაცვალე, ამათ შეწვას რა უნდა, ძვლიანად იჭმება. აიმ ორს კი დაზრდიან, დაასუქებენ ლამაზათა, სიმინდითა და ხორბლითა. მერე არჩილას დაბადების დღეც მოვა და დაკლავენ.

მაპატიეთ, ვარიებზე იმდენი ვილაპარაკე, არჩილა და მისი თანამეცხედრე კი რიგიანად ვერ გაგაცანით. როცა ისინი მახსენდებიან, ერთადერთი შორისდებული წამომცდება ხოლმე – ეჰ!.. აბა, სხვა რა წამოგცდება, როდესაც ორი უმწეო და ღვთის ანაბრად დარჩენილი ადამიანი დაგიდგება თვალწინ? „ღვთის ანაბრად დარჩენილი“ ძველი გამოთქმაა. ახლა, რაკი ბეჯითად და საბოლოოდ დაგვარწმუნეს, რომ ღმერთი აღარ არსებობს, აბა, ვიღას ანაბრად დარჩენილან არჩილა და ანეტა? ისევ ერთმანეთის ანაბრად და იმედად. არ იფიქროთ, რომ უშვილძიროდ გადაეგნენ ამ უშველებელ ქვეყანაზე. ვაჟიშვილი ჰყავთ სანაქებო, ტელევიზორშიც რამდენჯერ აჩვენეს და გაზეთშიც დაბეჭდეს დიდ-დიდი წერილები სურათებითა. ბამზე მუშაობს, მშენებელი ინჟინერია, კარგი ხელფასიც აქვს, კარგი „ჟიგულიცა“ და კარგი ცოლ-შვილიცა ჰყავს. ხომ ვერ გაამტყუნებ? აქვე,

თბილისში, სხვა უბანში რო ცხოვრობს მავანის ვაჟი და რძალი, ისინიც ვედარ იცლიან მოხუცებული მშობლების სანახავად, ის ბიჭი ქვეყნის ბოლოდან წამდაუწუმ ხომ ვერ ჩამოაკითხავს, არიქა, არჩილასა და ანეტას ხომ არ მოვენატრეო? ათასი საქმე აქვს, ათასი ვალდებულება და გეგმა შესასრულებელი... არა, მშობლების ხამუშ-ხამუშ მონახულებაც შედის შვილის გეგმაში, მაგრამ ვალდებულების ეს პუნქტი ითმენს თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე გადატანას, ამაზე არავინ ითხოვს პასუხს და არც ადმინისტრაციულ თუ მორალურ სასჯელს ითვალისწინებს. მერე, როცა დრო მოვა, როცა ის გულქვა მევალე ჩამოივლის და არჩილას სასთუმალთან შეჩერდება, მერე ხო ჩამოვა, ჩამოფრინდება, დიდი ამბით გაისტუმრებენ არჩილასა იმ დიდ გზაზე, საითკენაც მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობაა, რამდენიმე პასუხისმგებელი პირიც მობრძანდება კრიალა მანქანებითა, მეზობლებიც იტყვიან, ეს რა შვილი ჰყოლიაო არჩილას... და არავინ ჩაუფიქრდება, თუ რა მოურჩენელი და განუკითხავი სატკივარი იმალება ამ ერთი, აღტაცებით ნათქვამ სიტყვაში – „ჰყოლიაო“!

და დარჩნენ ოჯახში სამნი: არჩილა, ანეტა და ტელევიზორი „რეკორდი“. არ გაგიკვირდეთ, რომ ტელევიზორი ოჯახის წევრად წარმოგიდგინეთ. ეს „რეკორდი“ გახლავთ მათი შვილიც, რძალიც, შვილიშვილიც, ახალი ამბების მომტანიც, გამრთობიც და მეზღაპრეც. ამ „რეკორდმა“ მართლაც რომ რეკორდი დაამყარა გამძლეობაში. პირველად რომ გამოვიდა, მაშინ შეიძინეს და დღემდე ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას. ისიც მართალი იქნება, თუ ვიტყვით – თვინიერად და ხმაამოუღებლად, რადგან ზოგჯერ ხმა ეკარგება. ღმერთმა ხელი მოუმრთოს მეზობლის ბიჭს (ვარიები რომ დაუკლა), იმან ასწავლა არჩილას, როცა ტელევიზორი ხმას გაკმენდს, აი, აქ უთავაზე მუშტიო და არჩილაც ზუსტად აიმ ადგილზე ურტყამს ოჯახის ერთგულ მოამბეს და „ქაჯანაც“ მყისვე ენას იდგამს. უნდა ნახოთ, რა დიდი ამბით ემზადებიან ძილისპირულის საყურებლად! ხომ ყოველდღე აჩემებულ ადგილზე სხდებიან, გვერდიგვერდ, მაინც ერთმანეთს ეკითხებიან, ხო არ გეფარებიო, მანდედან თუ კარგად არ ჩანს, აქეთ გადმოჯექიო. ასეა: ცოლ-ქმარს შორის თუ შავმა კატამ არ გაილაღა და წაღმა-უკუღმა სირბილი არ მორთო, ცხოვრების მარათონულ დისტანციაზე უკვე აღმართს რომ შეუდგებიან, უღელტეხილამდე, თუ ერთმანეთი აიტანეს, მერე, დაქანებაზე, თავდაღმართზე, როცა წლების სიმძიმის ქვეშ მუხლები უსუსტდებათ და ეკეცებათ, მეუღლის მხრებზე დაყრდნობა დიდი შვება და ნუგეშია. სწორედ ამ ხანში სიტყვა „მეუღლე“ იძენს თავის პირველყოფილ სიწმინდესა და სისავსეს. სწორედ ამ ხანში ისევ ღვივდება ნაღვერდალი გასპეტაკებული სიყვარულისა, რომელიც უღელტეხილამდე ყოველდღიური ჯახირისა და ვნებების ნაცარქვეშ იყო მინავლებული. თუ ძილი ძალიან არ დასჯაბნიდა, გვიანობამდე უსხდნენ ტელევიზორს და ბავშვებივით ხარობდნენ, როდესაც დიქტორი სანდომიანი ღიმილით გადმოსძახებდა, – „ღამე მშვილობისაო!“ თითქოს შვილმა ან რძალმა ბამიდან გააგონა ხმა. „აი, იცოცხლე, გენაცვალეო!“ – დაუმატებდა ანეტა და ვლმოხდილები, ნასიამოვნები გაემართებოდნენ თავიანთი ქვეშაგებისკენ.

არჩილა გვიან მოეკიდა ოჯახს. ომიდან რომ დაბრუნდა, ცალუღელად დიდხანს იარა. ზომაზე მეტად გულჩვილი და მგრძნობიარე იყო. ავისა თუ კეთილის განცდა ღრმა კვალს ტოვებდა მის არსებაში. იოლად ვერ ახერხებდა სულის გაქარვებას და განიავებას. ამიტომ იყო, რომ თუმცა ომიდან ხელ-ფეხი მრთელი ჩამოიტანა, გული ვერა და ვერ გაიმრთელა. არ იყო მეომრად დაბადებული! ამის გამო

არასოდეს უსარგებლია ომის ვეტერანის შედავათით. თუ შეეძლო, რიგში დგებოდა, თუ არა, იმას იყიდდა, რასაც ურიგოდ აძლევდნენ, ან სულაც ხელცარიელი ბრუნდებოდა შინა. „როგორ გადავახტე თავზე ამდენ გაჭირვებულს? ვის ავადმყოფი ელოდება, ვის – ჩვილი, მერე რა, რო ომში ვიყავი? ვინც იქ ჩაწვნენ, იმათ ჭირისუფლებს რას ვერჩი, რო ეს ოხერი პამიდორი თუ რძე იმათზე უწინ ავიღო?“ – ფიქრობდა არჩილა და გული მოსდიოდა, როცა ვინმე ნაომარი ჭარმაგი ხალხის თავზე ისე აღმართავდა ვეტერანის მოწმობას, თითქოს, გერმანია მარტო იმას გაებრუნებინოს! თუ ამდენი ძალა გერჩის, დადექი რიგში, ჩვენზე მოხუცებიც დგანან, ბავშვიანი ქალები... სწყინდა არჩილას და იმ დროს საკუთარ თავზეც მოსდიოდა გული. რატომ – თვითონაც დანამდვილებით არ იცოდა. არა ვარ მართალი! კი იცოდა. თითქმის იცოდა, მაგრამ ვერც ამხელდა, თავის თავსაც ვერ უტყდებოდა.

როცა ადამიანს ქმნის, ბუნება მასში დებს ენერგიის განსაზღვრულ მარაგს. ამ ენერგიის წვის შედეგად მუშაობს ადამიანის გული და ტვინი. ჩაიწვის ენერგია – გულიც ჩერდება და ტვინიც. სწორედ ამ წვის შედეგს აფორმებენ დამკრძალავ ბიუროში. ეს ენერგია, საბუღალტრო ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ხარჯთაღრიცხვა“, ადამიანში დაყოფილია „მუხლებად“. ყველა „მუხლი“ უნდა დაიხარჯოს მიზნობრივად. საბუღალტრო კანონების მსგავსად, არ შეიძლება დაუხარჯავი ენერგიის გადატანა „სხვა მუხლში“, ყველა უნდა დაიწვას და დაიხარჯოს დანიშნულებისამებრ, რომ ადამიანმა მიქელ-გაბრიელს თვალი თამამად გაუსწოროს და თავი ბედნიერად ჩათვალოს. ბუნების ეს კანონი, რაღა თქმა უნდა, ჩვენ მოხუც ცოლ-ქმარზეც ვრცელდება. მათ დაძაბუნებულ, „საწვავშემოხარჯულ“ სხეულში ერთი „მუხლი“ დარჩა პირთამდე სავსე, მისხალიც რომ არ მოჰკლებია ენერგიისა. ერთი შვილიშვილი ჰყავთ, თამუნია, ისეთი, მომეცი თვალი და მაყურებინაო! ენამზიანი და ენაშაქრიანი, ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული! წელს წავიდოდა სკოლაში, უკვე ნოლკლასელია ქალბატონი! მხოლოდ ერთხელ ნახეს. უფრო სწორად, ორჯერ. ამ სამი წლის წინათ. ჩამოვდივართო, მოიწერეს. ოჰ, იმ მოლოდინის დღეებს რომ იხსენებენ! ადრე არაფრად აგდებდნენ არჩილას პენსიას, მაშინ კი ასახელა პატრონი. გავარდა არჩილა, ნამდვილად გავარდა, თუმცა ძვირფასი სტუმრები ერთი კვირის შემდეგ ჩამოდიოდნენ. ახსოვდა, ლენინის მოედნის ქვეშ, გასასვლელში, ერთი დედაბერი ყიდდა ფერად-ფერად, გულში ჩასახუტებელ და დასაკოცნ ნაქსოვ, ყელიან ფაჩუჩებს. თუ ღმერთმა ერთხელ გადმოგხედა, მერე ხო თავის მოწყალებას აღარ მოგაკლებს. პირველი გადმოხედვა შვილის წერილი იყო. ახლა კი ის დედაბერი დაბარებულივით იქ არ დახვდა? ბევრი კი არჩია არჩილამ, მაგრამ ბევრიც იყიდა. კაცი იფიქრებდა, ათი შვილიშვილი ჩამოსდიოდა. მერე იქვე, „ბავშვთა სამყაროში“ შევარდა... რაღა გავაგრძელო, ისე დაიტვირთა, არჩილა შინ ტაქსით დაბრუნდა.

ორი დღის შემდეგ ბედნიერი პაპა და დიდედა მზად იყვნენ ათი ტყუპი შვილიშვილის დასახვედრად.

კიდევ ხუთი გრძელზე გრძელი დღე-ღამეცა და... იმ საღამოს ახლა ყოველ დღე იხსენებენ. ვინა თქვა, ცა ისე მაღალია, ხელით ვერ მისწვდებიო!

მაგრამ...

„რაო, რა თქვა ბიჭმა, რითი ჩამოვედითო?“

„ტრანზიტითაო, ქალო, ბილეთი წინასწარ ჰქონიათ აღებული...“

ბილეთი წინასწარ ჰქონიათ აღებული და შემოიარეს, მიიკითხ-მოიკითხეს, იმ ღამესვე დასხდნენ თვითმფრინავზე და გაგრისკენ გასწიეს. ისე ჩქარა გასწიეს, ჩვენი მოხუცები ჯერაც ვერ გამორკვეულიყვნენ, რომ ისინი გაგრაში უკვე დაბინავებულიც იქნებოდნენ.

ეს იყო პირველი ნახვა.

ზუსტად ორი კვირის შემდეგ ისევ გამოეცხადდნენ შვილი, რძალი და თამუნია. გაგიკვირდება, ტანი როგორ აუყრია და ისე გაშავებულა, ანეტამ შეიცხადა, ზანგის გოგოში ხო არ შეგეცვალათო, ისინიც ხო ჩამოდიან დასასვენებლად, მაგრამ პაპა-დიდედის დანახვაზე ისე შეიჭახჭახა, ნამდვილად ჩვენი მაიმუნი იყო.

„კაცო, ეს ტრანზიტი რაღა უბედურებაა, ვინ უღმერთომ გამოიგონა?!“

„წინასწაარ ჰქონიათ ბამამდე აღებული ბილეთები, დრო რო არ დაეკარგათ და ადგილზე დროით ჩასულიყვნენ, ვეღარ გაიგე, ადამიანო?“

არ იფიქროთ, რომ არჩილა, ჩვეულებრივ, უკმეხად პასუხობდა ცოლსა. არა, შაქარზე ტკბილი და ხავერდზე რბილი ქმარი იყო. მაგრამ იმ დღეს, სანამ დაიძინებდნენ, ანეტამ ათჯერ მაინც ჰკითხა ტრანზიტის თაობაზე და ის პასუხად რიგით მეათე იყო.

და კიდევ, არჩილა ვიღაცაზე თუ რაღაცაზე იყო გულმოსული, მაგრამ ამისი დაზუსტება თავის თავთანაც არ უცდია და ცოლთანაც ხომ სიტყვაც არ ჩამოუგდია. მერე, შუაღამე გადასულზე, როცა ანეტა მიხვდა, რომ ქმრის საწოლი ერთბაშად დაძველებულიყო, რადგან გაუთავებელი ჭრიალი აღარ შეწყვიტა, არ ვიცი, თავისთვის, იქნებ, არჩილას გასაგონად თქვა: „რას ვიზამთ, აბა... ეს ქოთანი მარტო ჩვენსა ხო არა დუღს!...“

რაღა თავი შეგაწყინოთ, იმ საღამოსვე გადაკოცნეს ერთმანეთი, დაარიგეს, თავს გაუფრთხილდითო... უფროსი თაობა ცოტათი კრიჭაშეკრული ჩანდა, სამაგიეროდ, თაფლად დაიღვარა შუათანა თაობა, რაც შეეხება უმცროსს, იმას რაღა დაღვრა უნდოდა, თვითონ იყო თაფლი და ბადაგი. მაგრამ ინციდენტი მალევე მოხდა. გამოძახებულმა ტაქსმა რომ მოაყვირა და მამამ უთხრა, აბა, ბებია-პაპას აკოცეო, კოპები დაისხა, მერე, სად ჰქონდა გამზადებული, ცრემლები გადმოყარა, დილაზე წავიდეთო! რომ ვეღარ დაიყოლიეს, ამ მაიმუნმაც რომ აღარ დაიშალა, ულტიმატუმი წაუყენეს: „მაშინ, ჩვენ წავალთ და, თუ ასე გინდა, შენ აქ დარჩიო!“ „დავრჩებიო!“ უფრო გაჯიქდა. მაშინ კი ფიზიკური ძალა გამოიყენეს, აიყვანეს ამხელა გოგო, ჩააქანეს კიბეზე და ისე შესვეს მანქანაში, როგორც პოლიციელებმა მეამბოხე დემონსტრანტი. და გაუყენეს ციმბირის გზას. სულელი გოგო, ტრანზიტისა არა გაეგებოდა-რა!

და დარჩნენ არჩილა და ანეტა. დარჩათ. დარჩათ სურათები სამზარეულოში, ტელევიზორთან, იმ პატარა ზანგი ქალბატონისა, და ის კუთხეც, რომლის „მოწესრიგებაც“ მოასწრო ორიოდ საათში – საწოლში ჩაძინებული თოჯინითა, ფერადი ფლომასტერებითა, უცნაურსახიანი გამოჭრილი ქაღალდებითა... ყველაფერი ხელუხლებლად დატოვეს, როგორც გამოჩენილი პიროვნების მემორიალური მუზეუმის ექსპონატები.

მხოლოდ ერთის კვალი გააქრეს, რომლის დანახვაც ჩვენს მოხუცებს, რბილად რომ ვთქვა, უიმედობის, უფრო – უმწეობისა და უმადურობის ცეცხლით ფერფლავდა. ეს იყო ანეტას ხელითა და გულით ნაფერები მურაბიანი ქილები, რა თქმა უნდა, ანეტასივე დამზადებული, თავსახურზე რომ ეწერა გულმოდგინედ

გამოყვანილი: „ბებოს შინდი“, „ბებოს ატამი“, „ბებოს ვარდი“... მიტკლის პარკში ჩაწყობილი და ფაქიზად თავმოკრული.

„არა, დედი, მაგისი თრევის თავი სადა გვაქვს, ამდენ ბარგს რაღა ვუყოთო!“ – ეს რძალმა თქვა, რძალმა, მისით რომ თავი მოსწონდათ ჩვენ მოხუცებს! ბიჭმა სცადა მეუღლის უტაქტობის ჩაფარცხვა, მაგრამ თვითონ უარესად შეტოპა: „ნუ წუხდები, დედი, თქვენთვის დაიტოვეთ, მურაბები იქაც ბლომად იშოვება,“ და რომ საფუძვლიანად დაემშვიდებინა, დაუმატა: „იმპორტული გინდა თუ სამამულო წარმოებისა.“

გაიგეთ, ხალხო? „ვის აქვს ამის თრევის თავიო!“ „იქაც ბლომად არისო!“ სადა, ადამიანო, ბამზე? იმპორტული და სამამულო წარმოებისა ვერ უნდა განასხვავო ბებიას წარმოებისგანა?!

მათუსალასი რა მოგახსენოთ, ყვავის მიერ დამყარებულ სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდს კი ადამიანი ადვილად მოხსნიდა, რომ არა... არა, ალკოჰოლისა და თამბაქოს უზომო მოხმარება აქ არაფერ შუაშია... რომ არა ერთმანეთის მიმართ უტაქტო, გაურანდავი, წინდაუხედავად ნასროლი სიტყვა და ტლანქი საქციელი.

მესამე ნახვის ნატვრაში გაილია სამი წელიწადი. და ეს დაუხარჯავი „მუხლი ხარჯთაღრიცხვისა“, წედან რომ მოგახსენებდით, ანუ ენერგიის დაუხარჯავი მარაგი, ბუნებამ რომ ჩადო არჩილასა და ანეტას არსებებში, გახლდათ სწორედ შვილიშვილის სიყვარულის დაუკმაყოფილებელი გრძნობა, რომელიც აწვალებდა, აწუხებდა მოხუცებს, ერთდროულად აცოცხლებდა და კლავდა კიდეც.

და აი, ოჯახში, რომელიც სამი სულიერისგან შედგებოდა (არჩილა, ანეტა და „რეკორდი“), საშემოდგომო ბაზრობის შემდეგ გაჩნდა კიდევ ორი არსება, უმწეო და სუსტი, სიყვარულსა და მოფერებას რომ ითხოვდნენ ღვთის ანაბარა მიტოვებული მოხუცებისაგან, და არჩილამაც და ანეტამაც უშურველად იწყეს იმ დაუხარჯავი „მუხლიდან“ ენერგიის წვა და ხარჯვა, რათა საზრდო მისცემოდათ მათს, თითქმის დაცლილ სხეულებში გულსა და ტვინს.

ამ ორ სიცოცხლემისჯილ ვარიას ბინა მიუჩინეს აივანზე. ძირს დაუგეს არჩილას ძველი პიჯაკი, ზემოდან წამოახურეს ხის ყუთი, რომელშიც ოდესღაც ლიმონათის ბოთლები ელაგა. ეს – ღამით. დღისით კი ვარიებისთვის თავისუფალი მოძრაობის მწვანე შუქი ენთო აივანზეც, ორივე ოთახშიც, სამზარეულოშიც, სააბაზანოშიც. ეგ იყო, აშკარად ემჩნეოდათ, რომ ქალაქის კომფორტულ პირობებს შეჩვეულნი არ იყვნენ. მკვეთრად თუ შემიტრიალდებიდნენ, გაპრიალებულ პარკეტზე იქცეოდნენ, ზოგჯერაც უადგილო ადგილას, უკაცრაული პასუხია, ცოტა უზრდელურ ავტოგრაფებსაც ტოვებდნენ, მაგრამ ანეტას თითქოს უხაროდა კიდეც, ცალყბად გაუწყრებოდა და ალერსით დასწყევლიდა. დაბუდების წინ რიგრიგობით აიყვანდა, დამჭკნარ ყბასა და მხარს შორის მოიმწყვდევდა, გაიტრუნებოდა, რომ უფრო ეგრძნო სითბო და საამო ფრთხიალი უმწეო არსებისა, ნეტარი ჟღურტული და სუნი ბუნების ამ საოცარი შვილისა. ნურას უკაცრავად, ზოგმა აგდებულად რომ იცის განსჯა – ქათამიო, ქათმის ჭკუაო! როგორ გეკადრებათ! ადამიანს შეიძლება შეეშალოს, გადაავიწყდეს ძილის გრაფიკი, ან ალიონი გამოეპაროს, ქათამს – არა! არც საბუდარის გზა აერევა, ზოგი კაცი რო დათვრება და შინისკენ გზას ვეღარ გაიგნებს! ესენი? რას ამბობ, თვითონვე ჩაწვებიან ქვეშაგებში (ქანდარა ვერა და ვერ მოუწყო არჩილამ, ყუთი „დაბალჭერიანი ხრუშჩოვკა“ გამოდგა). თუ მოშივდებოდათ, ატეხდნენ ისეთ საყვარელ კაკანსა,

ყურთასმენას დაატკბობდა. არჩილა რისი მაქნისი იქნებოდა, წინდაწინ რომ არ მოემარაგებინა მანანის ბურღული, ხორბალი, სიმინდი... ერთი სიტყვით, ცხოვრებამ არჩილას ბინაში ახალი შინაარსი და ეშხი შეიძინა.

დღეში რამდენიმეჯერ, დილა-საღამოს ხომ – განსაკუთრებით:

„დასვი ახლა, ცოდოა, ნუ დააჩვევ ხელში ჭერასა!“ – ეს ანეტა ტუქსავდა ქმარს და როგორც კი არჩილა დასვამდა, მაშინვე თვითონ აიყვანდა. საკვირველია, ხომ ორი ჰყავდათ, მაინც ვერ იყოფდნენ, ერთმანეთისთვის ვერ ემეტებოდათ, თითქოს ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ! ბავშვებად იქცნენ მოხუცები! და დღეში რამდენიმეჯერ, დილა-საღამოს ხომ – განსაკუთრებით, ვინმე უცხოს მათ კართან რომ ყური მიეგდო, პირჯვარსაც გადაისახავდა და დაბეჯითებით იტყოდა, ამ ბინის ჭერქვეშ ოქროსქოჩრიანი ბიჭი დაბადებულა, თორემ ასეთი ალერსი და მოფერება ჩვეულებრივ ბავშვს ამ ცისქვეშეთში ვისა რგებიაო!

მართლა კარგები დახდნენ. ბუმბული დაეწმინდათ – თეთრი, ქათქათა. მოსუქდნენ. ბიბილოები წითლად უღუოდათ და ასაკთან შედარებით ჯანიანი კანჭები აშკარად მოწმობდა, რომ მამლები იყვნენ. ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, ტყუპისცალებივით. ეგ იყო, ერთი უფრო თამამი დადგა. საკვებს რომ მიირთმევდნენ, პირველი ის შეაფრინდებოდა ჯამს, გადააყირავებდა, ფეხებით გაქექავდა საჭმელს და პირველი იწყებდა დანაყრებას.

რაღა თქმა უნდა, არჩილას დაბადების დღე უსისხლოდ და მშვიდობიანად ჩაივლიდა.

ზამთარმა რომ თავისი ქნა და საწვიმარ მილებზე ყინულის ლოლუები დაკიდა და ღამღამობით ფანჯრის მინებზე ჭირხლის ფუნჯით მხატვრობა დაიწყო, არჩილამ და ანეტამ კიდევ გამონახეს ძველმანები და ვარიები საბუდარში აგვისტო თუ არა, სექტემბერი მაინც გამოამწყვდიეს.

ერთხელაც მძინარე მოხუცებს მოულოდნელად ჩაესმათ უცნაური ხმა. ძილში ადამიანს ხმაურის, შიშისა თუ სიხარულის გამძაფრებული გრძნობა აქვს. შეიძლება ეს ხმა მორიდებული და სუსტიც იყო, მაგრამ ყურისძირში ჭექად ჩაესმათ:

– ყიყ!.. ყიუყ! – და შემდეგ გაურკვეველი, თითქოს ვიღაცა იხრჩობოდა.

ეტყობა, არჩილამ და ანეტამ ერთდროულად გაიგონეს ეს ხმა, რადგან, ერთმანეთს რომ შეხედეს, ორივე წამომჯდარიყო საწოლზე და კითხვის ნიშნად გადაქცეულიყო.

არ გასულა დიდი დრო, რომ:

– ყიყჩ-ხუ! ყიყ-ყუ!

ეს ხომ ყვინჩილა იყო! რომ ვთქვა, სახე სიხარულისა და აღტაცებისაგან გაებადრათ, ძალიან ცოტა იქნება. ყვინჩილა კი დაჟინებით ცდილობდა, გამზრდელები დაერწმუნებინა, რომ მათ არაფერი მოსჩვენებიათ, რომ ეს ნამდვილად მათი ნებიერი ყიოდა და ქვეყნიერებას გათენებას ამცნობდა.

– ყიუყჩ! ყიყ! – არა, ქართულში ამ ბგერების შესატყვისი ასოები არ არის, რადგან ეს არ იყო ნამდვილი ყივილი. ბავშვი ენას რომ იდგამს, ისეთ ბგერებს გამოსცემს, ვერც იმათ მოუძებნი გრაფიკულ გამოსახულებას ვერც ერთ ენაზე.

იმ დილიდან არჩილას ოჯახის ჭერმაც აიწია და კედლებმაც განზე გაიწიეს, რადგან ოქროსქოჩრიანმა ბიჭმა ენა ამოიდგა.

მაგრამ სულ მალე ჭერმაც და კაედლებმაც თავისი ადგილი მონახეს.

კაცო, ჩვენ რომ ასე გვიხარია, ახლა მეზობლებს აღარ ეკითხები? ყველას ხო არ ეჩქარება უთენია სამსახურში წასვლა? ჯანდაბას ჩვეულებრივი სამუშაო დღე, შაბათ-კვირას მაინც ნუ იყივლებს, ხალხს რას ვემართლებით, ძილი და მოსვენება არ უნდა? მაგრამ ყვინჩილა სამუშაო და უქმ დღეებში ვერ ერკვეოდა და ერთ კვირაში ისეთი ხმა დაიყენა, უკვე გრაფიკულადაც ადვილად გამოისახებოდა და, რაც მათავარია, ნაძალადევში შემოძახილის ექო მთაწმინდის კალთებიდან მყისვე ბრუნდებოდა.

– ჩუ! ჩუ! – ტუქსავდნენ მოხუცები და სირცხვილისაგან იწურებოდნენ. თავდაპირველად კი შეფიქრიანდა ყვინჩილა ამ უცნაურ და მოულოდნელ „ჩუ“-ზე, ხანგრძლივი პაუზაც გააკეთა, მაგრამ მერე, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ის გაცილებით მნიშვნელოვანი საქმისთვის იყო მოწოდებული, ვიდრე აღმზრდელებს ჰგონიათ, და ისეთი შემოსძახა, მთაწმინდიდან დაბრუნებული ექო ლოტკინის გორამ აისხლიტა. და გააბა ყივილი, თითქმის უპაუზოდ, თითქოს გაცდენილი დროის ანაზღაურება უნდაოდა.

მეზობლებს უბოდიშებდნენ, ვინ იცის, ჩვენ გამო როგორ წუხდებითო, დილის ძილი რა ტკბილია და ჩვენ გამო, ვინ იცის დანატრულდითო.

მერე რა მოხდაო, წყენას არ იმჩნევდნენ მეზობლები, მამალი რის მამალია, თუ არ იყოვლაო... ახლა, კულტურული ხალხია, ზრდილობიანი, მა რას იტყოდნენ!

რაც კი დარჩენოდათ ძველმანი, ზედ გადააფინეს, ყუთი მთლად გაახვიეს, უკუნეთი დააყენეს საბუდარში, ღამე ეგონება და აღარ იყივლებსო.

საქმეში ხარ?

– ყიყლიყოო! – რომ იტყვიან, საათს გაასწორებდი პირველ შეძახილზე.

არჩილა და ანეტა ლოგინიდან აღარ ამდგარან, არც წამომჯდარან, მაგრამ იგრძნეს და დაინახეს:

ზედა სართულზე სასოწარკვეთილი ადამიანები უილაჯოდ შეწრიალდნენ ქვეშაგებში...

ზედა სართულზე კი არა, ქვემოთაც, მარჯვნივაც, მარცხნივაც, ყველა სადარბაზოში...

ქუჩის გადაღმა სახლშიც ფანჯარა გაიღო და ვიღაცამ გატანჯული თვალები მიაპყრო არჩილას აივანს...

მარტო ქუჩის გადაღმა კი არა, ყველა ფანჯარა განათდა და მილიონი წყვილი თვალი სამდურავს გზავნის არჩილას აივნისკენ...

ეს კი, ეს უსინდისო, სამგლე, სამელიე და სადანე:

– ყიყლიყოო!

ცხოვრების მარათონის ბოლო წრეზე ისე გავიდნენ არჩილა და ანეტა, ადამიანისგან კი არა, ბედურასა და ჭიანჭველისაგან არ დაუმსახურებიათ სამდურავი. ეს რა დღეში ჩაყარა იმ საშემოდგომო ბაზრობამ!

ადამიანის ძილს რას ვერჩით, კაცო, ღმერთს დაუწესებია, რომ ადამიანმა ღამით უნდა იძინოს. რა ყივილი აუტყდა, ამას ვინა ჰკითხავს, როდის გაიღვიძოს? მერცხლისა არ იყოს, რო ჰგონია, ჩემ ჭიკჭიკს მოყავს გაზაფხულიო, გაზაფხულს მოყავს მერცხალი! რა, მამალმა რო არ იყივლოს, არ გათენდება?

ასე ფიქრობდნენ მორიდებული მოხუცები. კარგად კი იცოდნენ, რომ ეს ჭიკჭიკი და ყივილი ბუნების კანონი იყო, მაგრამ მაინც ასე ფიქრობდნენ, რადგან აღარ იცოდნენ, მოსვენებადაკარგული ადამიანებისთვის თვალი როგორ გაესწორებინათ.

არჩილა და ანეტა ასე რომ წუხდნენ და ბჭობდნენ, თავიანთნაირ ადამიანებს გულისხმობდნენ, ვერც კი წარმოედგინათ, რომ სხვა ჯილაგის წარმომადგენლებიც არსებობდნენ. აი, ის, ქუჩის გადაღმა სახლიდან რომ გამოიხედა ერთმა, სათვალე ეკეთა, რათ ეკეთა? საჩივარს ხომ არ წერდა? თუნდაც არჩილას მამალზე! ან იქნებ „დანოსსა“ წერდა მეზობელზე, რომელმაც ავტომანქანა შეიძინა? რა ფულით შეიძინა? იქნებ სამსახურში უფროსი ჩაგრავს? ხელფასს არ უმატებს, აიმ მლიქვნელსა და ენატანიას კი, გვარს არ დაასახელებს, – კომპეტენტურ კომისიას თუ გამოგზავნიან, ადგილზე დარწმუნდებიან, – იმ არაფრის მაქნისს აწინაურებს და ფულის ტომარაში სვამს. რათა? რათა და იმის ცოლს... კომპეტენტური კომისია ამასაც დაადგენს... და ა.შ.

ხვალინდელმა დღემ – უკვე დღევანდელმა! – ხომ ქანცი უნდა გააცალოს: პროკურატურაში, მიღების მოლოდინში, ფეხზე უნდა ჩამოწყდეს, მერე – ცენტრალური გაზეთის რედაქციასა და ზემდგომ ორგანოებში ასლები უნდა მიიტანოს... ნეტავი, დრო დარჩეს, სამსახურში რომ შეირბინოს დასასვენებლად. ამ ყველფერს დიდი დრო და ენერგია მიაქვს – მერე? მშვიდი ძილი აღარ უნდა?

ასეთი ადამიანი ერთი და ორი კი არ არის, მათი რიცხვი, რომ იტყვიან, ლეგიონია! ესენი არჩილას მამალს კი არა... ძმას არ დაინდობენ.

არც იმათი რიცხვია მცირე, ვინც პატიოსანია, მგრამ არეული ცხოვრების რიტმისაგან ისეა დაღლილი, ნეტა დამაძინა და იმდენ ხანს მაძინა, რომ გამოვიღვიძო, ცხოვრება დალაგებული დამხვდესო!

ამათ რაღას ვერჩით?

ეს კიდევ – „ყიყლიყოო!“

„რა ვქნათ, არჩილავ?.. ვინ გვაპატიებს შუაგულ ქალაქში მამლის ყოლასა? ამ მილეთის ხალხს ხო არ გადავიმტერებთ?

„მა რა ვქნათ?“

„დავუძახოთ მეზობლის ბიჭსა და...“

„შვილიშვილი რო ჩამოგივა, რა პასუხს გასცემ?“

„ტრანზიტითა?“

ეს სიტყვა ანეტას ზედ გულზე მუწუკივით აჯდა და კიდევ ასი წელიწადი რომ ეცოცხლა, გულიდან მაინც ვერ მოიშორებდა.

„იმას ხო არ უნახავს... ან რას მიახარე შენცა?“

„კარგი. ხო ერთი ყივის, რა იცი, რომელი ყივის, ერთმანეთს არა ჰგვანან?

„დავუდარაჯდეთ.“

დაუდარაჯდნენ და დამნაშავეს ფაქტზე წაასწრეს. ყივილი არ დამთავრებინეს, რომ ხელი სტაცეს და შეაგდეს სიკვდილმისჯილის საკანში – სააბაზანოში ტაშტი გადააფარეს.

„მაინც ნუ ავჩქარდებით, ანეტო, არ შეგვეშალოს და უსამართლობა არ ჩავიდინოთ“.

„სიმართლე თუ გინდა, მამალმა უნდა იყივლოს!“

„მე რას მიჯავრდები, ქალო, მე გიჩივი, თუ მე ვყივი?“

„შენ რა შუაში ხარ, ადამიანო, შენ რას გემართლები?“

„ჰოდა, კიდე დავუდარაჯოთ და...“

რაღა დადარაჯება უნდოდა, ფრთები შემოჰკრა, ტაშტი ამოაპირქვავა და ისეთი შეჰყივლა, ასე, ალბათ, არც ერთ მამალს არ უყივლია, – სააბაზანოს სხვანაირი აკუსტიკა აქვს.

მეზობლის ბიჭს რომ დაუძახეს, თითქოს ამას ელოდაო, კარი რომ გაუღო, თვალებგაბრწყინებულს ალესილი დანა ეჭირა.

.....

მეორე დილით, არჩილა პურის საყიდლად რომ გადიოდა, კიბის თავში იმ ბიჭის დედა შეეფეთა. ღიმილით მიესალმა მოხუცს და ანუგეშა:

– დაგენანათ, არა? აბა, რო ყიოდა, რა აყივლებდა?!

როცა გამოთბა და ხეშიც წყალი ჩადგა, აივანზე ყუთს გადაფარებული ძველმანები მოაცილეს. ძალამოკრებილი მზის სხივები უხვად ჩადიოდა საბუდარში. ცალადდარჩენილი მამალი მართლა რომ ავ თვალს არ ენახვებოდა.

ეგ იყო, არა ყიოდა.

მისთვის თავისუფალი მოძრაობის მწვანე შუქი ენთო აივანზეც, ორივე ოთახშიც, სამზარეულოშიც, სააბაზანოშიც. დაჰყვებოდა კვალში ანეტას და ხელებში შესცქეროდა. ნამდვილი ადამიანივით იქცეოდა.

მშვიდათა სძინავთ არჩილასაც და ანეტასაც, ზემოთა მეზობელსაცა და ქვემოთასაც, მარჯვნივაცა და მარცხნივაც, მთელ ქალაქსა.

ბოლოს და ბოლოს, ყველამ მოისვენა.

ის კი, რო ყიოდა, რა აყივლებდა?!

1987 წ.

საქართველო დღეგრძელების ქვეყანაა

„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. რენე დეკარტის ამ დებულებას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, სანდრო მარადიშვილი არ უნდა არსებობდეს მაგრამ რომ არსებობს?! არსებობს რომელია, მისი ცხოვრების ვერც ერთ პერიოდს თუმცა შეგნებულს ვერ დავარქმევდი, მაგრამ რაც კიტრისაგან ქაბაბის გარჩევა შეიძლო, სულ ხელმძღვანელ თანამდებობაზეა. არა, ძალიან მაღალ თანამდებობაზე არა, საშუალოზე, ჩამოწერილი მანქანა რომ ემსახურებოდა, ათიოდე-ოციოდე ხელქვეითი რომ ჰყავდა. ეს მამამისის დამსახურება იყო, ცხრა მთავრობის გაწამაწიაში გამობრძმედილ, გაწალდულის, რომლის არსებობაშიც, შვილისგან განსხვავებით, ეჭვს ვერ შეიტანდით. იმდენი დამსახურება კი ჰქონდა მიწიერი ღმერთების წინაშე, რომ ადვილად შეეძლო, პირმშო უმაღლეს გვამთა მარაქაში გაეყვანა, მაგრამ არაო! ცხოვრება დიალექტიკააო, არიგებდა შვილს ამ კანონის პირველაღმომჩენის მგზნებარებით, ყველაფერი იცვლება, ხშირად წინანი უკან აღმოჩნდებიან, უკანანი კი – წინ. ასეთ ქართატეხას უმტკივნეულოდ იტანს მხოლოდ შუა ნაწილი კოლონისა, მეტიც, უმტკივნეულოდ კი არა, ცვლილებებსაც ვერ გრძნობს. ვინც პირველობისთვის იბრძვის, ის ბედის სასწორზე დებს თავის მომავალს, ბედი კი მაცდური და ულმობელია, რადგან მუდმივი არაფერია. გენიოს ყოჩებსაც მოსცარვიათ ხელი, დალოცვილო, ნაპოლეონიც კი დასაჯეს...

ნაპოლეონის გარდა კიდევ ვიღაცის დასახელებასაც აპირებდა შვილის ბედზე მზრუნველი მამა, მაგრამ იგრძნო, რომ პატარა სანდრიკა მთლად დაიბნა ნაპოლეონის ხსენებაზე, რადგან ვერ მიხვდა, ისეთი რა უნდა დაეშავებინა გემრიელ და მის საყვარელ ნამცხვარს, რომ ასე სასტიკად დასაჯეს. ვერც გაამტყუნებდი ბავშვს, მაშინ პატარა გახლდათ, ის-ის იყო, უმაღლესში მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად წვრთნიდა მამიკო.

ალბათ, იკითხავთ, ამხანაგი სანდრო მარადიშვილი თუ ვერ აზროვნებდა, როგორდა მართავდა დაწესებულებას თუ ორგანიზაციასო! თუ იკითხავთ, სირცხვილი თქვენი, რომ ასეთი მოკლე მეხსიერება გქონიათ. ჯერ ერთი, ზემდგომი ორგანოები მა რისთვის მოუგონებიათ, თუ არ უკარნახებენ ქვემდგომებს, მათ მაგივრად არ დასახავენ ამოცანებს და მის შესრულებაზეც არ იზრუნებენ? მეორეც, რამდენი დაწესებულება ვიცოდი, სადაც, ხატოვნად თუ ვიტყვით, ლეკიანობა რომ დაბრუნებულიყო და დირექტორი გაეტაცათ, სამსახურში მის არყოფნას მოლარე თვის ბოლოს თუ გაიგებდა, როცა ხელფასის უწყისებზე შეფი ხელს რომ ვერ მოაწერდა. აი, დამლაგებელი თუ დაავადდებოდა და სამსახურს გააცდენდა, მაშინ ყველა შეწუხდებოდა და დაწესებულებაში ჩვეული რიტმი ფერხდებოდა. ამხანაგი სანდრო კი, როგორც მოგახსენეთ, არც თავში იყო და არც ბოლოში, მამის შეგონების ერთგული, კოლონის შუაში იყო.

ხუთი წელიწადი ვიმუშავე მის ხელქვეითად. ეს იყო დიდი ხნის წინათ. ვერ ვიტყვი, რომ მკაცრი იყო. მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდა გადაჭრით: სამსახურში არ დაიგვიანოთ, ადრე არ წახვიდეთო.

ჩვენამდე ქალაქის მმართველობაში მუშაობდა. „მუშაობდა“ ხმამაღალი ნათქვამია, უფრო ზუსტი ვიქნები, „დადიოდას“ თუ ვიტყვი. იქაც საშუალო თანამდებობა ეკავა. ჩვენთან რომ აგზავნიდნენ, მორიდებით წაულუღლუღებია, ამ სფეროს რომ არ ვიცნობო! ამაზე გულიანად უცინია ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს. სული რომ მოუთქვამს, დაურიგებია, საქმეს ვინ გთხოვს, ერთი ეგ არის, ხანძარს ნუ გაუჩენ იმ დაწესებულებასო. მორჩილი აღმასრულებელი იყო ამხანაგი სანდრო, როგორც გითხარით, ხუთი წელიწადი ვიმუშავე მის

ხელქვეითად და ხატზე დავიფიცებ, ჩემი დირექტორი ერთხელაც არ შემიმჩნევია ხანძრის გაჩენის მცდელობაში. ერთი ჩვევა კი ჰქონდა: ლუარსაბ თათქარიძესავით ხელქვეითების დაწიოკება უყვარდა. კვირაში ერთხელ სრულიად უმიზეზოდ. მისი რისხვა ყველაზე ხშირად თავს ატყდებოდა გამორჩეულად ჩუმ და უპრეტენზიო, მაგრამ ყველაზე მუყაით და მოწესრიგებულ თანამშრომელს. ამ კომიკურ პროცედურას ჩვენს მოსაწყენ ყოველდღიურ საქმიანობაში ხალისი შემოჰქონდა და თვითონ თავდასხმის ობიექტი თანამშრომელიც ისე მიეჩვია, რომ თავის სამუშაო მაგიდასთან მოყუჩებული, სულგაკმენდილი ელოდებოდა, როდის შემოვარდებოდა დირექტორი და ალალივით დაქოჩრავდა მას...

მოიცა! რატომ გავიხსენე ეს ადამისუამინდელი ამბავი და ამხანაგი სანდრო მარადიშვილი? ჯერ კიდევ მაშინ საკმაოდ ხანდაზმული იყო და ჩვენ, მათი თანამშრომლები, შვილებად და შვილიშვილებად ვერგებოდით. მას შემდეგ კოლონამ ბევრჯერ იცვალა მიმართულება და წინანიც ბევრჯერ უკან მოექცნენ და უკანანიც იმდენჯერვე დაწინაურდნენ. სანდრო მარადიშვილზე აღარაფერი მსმენია. მაშ, ახლა რატომდა ამოვქექე მეხსიერების ნაფტალინში ღრმად ჩამარხული ეს ბანალური ისტორია? მაპატიე, მკითხველო, დრო რომ წაგართვი! მე ახლა ისეთ ასაკში ვარ, ლაპარაკს რომ ვიწყებ, ფიქრის ძაფი მიწყდება და მავიწყდება, რა უნდა მეთქვა. ღმერთო, გამახსენე! ღმერთო!..

გამახსენდა! ვერის ბაღთან თამრიკო შემხვდა. ერთად რომ ვმუშაობდით ამხანაგი სანდროს დაწესებულებაში. როდის? ზუსტად აღარ მახსოვს, ის კი ვიცი, რომ იმ დროს ერთმანეთს „ამხანაგობით“ აღარ მივმართავდით და „ბატონო“ კაი ხნის დამკვიდრებული იყო. ისეთი გაოცებული და გაოგნებული სახე ჰქონდა, დავიბენი. რითი შეიძლება დღეს გაოცდეს ჩვენი მრავლისმნახველი თანამემამულე? ხომ არ შეეფეთა შუაგულ ქალაქში, სახინკლედან გამოსულ მთვარალ მამონტს, ან, სულაც უარესი, ხომ არ შეესწრო ავტობუსში მამაკაცების ჩხუბს, ამ მანდილოსანს პირველად მე დავუთმე ადგილი, არა – მეო“ როგორც გაირკვა, ელდანაცემი თამრიკოს გაოცების მიზეზი არც ერთი ყოფილა და არც – მეორე. ხო არა ვკვდები, ბიჭოო (როგორი „ბიჭიც“ მე ვარ, ისეთი „გოგოა“ თამრიკო), მოჩვენებები ხო არ დამეწყოო! ვაკიდან მოვდივარ, იქ ხო ოფისებია, ერთ-ერთიდან კაცი გამოვიდა, ნაცნობი, ბიჭო, წინ ჩამიარა და მანქანაში ჩაჯდა. ვინ იყო, იცი? გადაირევი! ოფისიდან ქალი გამოვარდა და პაპკა მიაწოდა, ეს დაგრჩათ, ბატონო სანდროო! გაიგე, ბიჭო, ბატონო სანდროო!

რა მოხდა, მერე, თამრიკო, ახლა ხო „ბატონობით“ მივმართავთ ერთმანეთს!

მაგას არ გეუბნები, ბიჭო, მას შემდეგ ხო მთელი საუკუნე გავიდა!

ნუ გიკვირს, ჩემო თამრიკო, საქართველო დღეგრძელების ქვეყანაა!

ქრისტეს შობიდან მეორე დღეს

ტრაგედია ორ მოქმედებად

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ე ბ ი

ბაჩუკი
ნიკუშა
ცისია
გელა
ვახტანგი
სერგო
იზა
ვენერა
კოტე
თომა
ოთარი
მამა ფარნავაზი

მოქმედების ადგილი თბილისი,
დრო – 1989 -1991 წლები

პირველი მოქმედება

წირვა ეკლესიაში დასასრულს უახლოვდება. მამა ფარნავაზი ექსტაზში შესული, მაგრამ დაღლილი და წირვის აღსრულებით დაცლილი, მიმართავს მაყურებელს, როგორც ეკლესიაში მისულ მრევლს:

– განუსვენე, უფალო, მონათა შენთა მიცვალებულთა, და დააწესენ იგინი სამოთხესა, სადა არიან კრებულნი წმიდათანი, და მართალნი ჰბრწყინვენ, ვითარცა მნათობნი, რომელნი შეივედრენ, შეიწყალენ სახიერ, და აღჰხოცენ ცოდვანი მათნი ნებსითნი თუ უნებლიეთნი... ღმერთო სულთაო და ყოველთა ხორციელთაო, რომელმან სიკვდილი განიქარვე, და ეშმაკი დაჰსთრგუნე და ცხოვრება სოფელსა მიანიჭე, შენ, უფალო, განუსვენე სულთა მონათა შენთა ირაკლის, სოფიკოს, დათოს, საბას, გიორგის, გიორგის, ლევანს, თორნიკეს, ვახტანგს, მარინეს, ცისიას, ნიკოლოზს, ქეთის, დათოს, გიორგის, სულხანს, ლაშას, იმედოს ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი... ყოველნი ცოდვანი, ამათ მიერ ქმნილნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან შეუნდვენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ჰსცხონდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ მხოლო ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა და შენი სიმართლე არს საუკუნო, და სიტყვა შენი ჭეშმარიტ... სულთა თანა აღსრულებულთა მართალთასა სულთა მონათა შენთა ბესიკის, ბადრის, ნინოს, ზურაბის, არჩილის, გიორგის, თამარის, ამირანის, გიორგის, თეიმურაზის, ვახტანგის, ქეთევანის, ავთანდილის, დავითის, ვეფხიას განუსვენე, მაცხოვარო, და ღირს ჰყავ სანატრელსა მას ცხოვრებას, კაცთმოყვარე! ბრალთა მათთა მიტევება მიეც, და დააწესე ნათელსა შინა... შენა ხარ წყარო ცხოვრებისა, ქრისტე, მიცვალებულთა მონათა შენთა მოჰმადლე მოწყალე შვება სამოთხისა, და ფუფუნებით სასუფევლისა. ამისთვის გევედრებით, მონათა შენთა სულნი აღსრულებულნი განსვენებასა ღირს ჰყვან, მოწყალე... კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე... *(წირვის დროს ისმის გალობა. მისი ადგილი ტექსტში მრავალწერტილით არის მინიშნებული. მამა ფარნავაზი ერთ წამს მაყურებელს მიაჩერდა, მერე თითქმის ლასლასით გავიდა. შემოდის ბაჩუკი, სანთელი დაანთო, პირჯვარი გადაიწერა)*

ბაჩუკი – ღმერთო, მომიტევე, შემინდევ მე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიცა გცოდე შენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობით თუ უმეცრობით, საქმით ანუ სიტყვით, ანუ გონებით. ყოველივე შემინდევ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან! *(იქნებ შეესმა ეს სიტყვები, მამა ფარნავაზმა გამოიხედა, დაინახა ბაჩუკი და მივიდა მასთან).*

მამა ფარნავაზი – ბაჩო ხარ შენა, შვილო ჩემო?

ბაჩუკი – ბაჩო ვარ, მამაო ფარნავაზ.

მამა ფარნავაზი – როგორ გამოცვლილხარ!

ბაჩუკი – დავბერდი, მამაო, სულისა და ხორცის გაყრის ჟამი დამიდგა.

მამა ფარნავაზი – უფალს ნუ სცოდავ, შვილო!

ბაჩუკი – მე უკვე შევცოდე, მამაო, უკვე იმდენი ცოდვა ვიტვირთე, განა ისეთი რაღა უნდა ვთქვა, რომ ეს ტვირთი უფრო დამძიმდეს?

მამა ფარნავაზი – უცოდველი არავინაა უფლის გარდა. სინანული კი მომაახლებელი არს ღვთისა და განმაშორებელი ცოდვათა.

ბაჩუკი – მაგისთვის ვეახელი უფლის სახლს, მამაო.

მამა ფარნავაზი – მე გისმენ, შვილო ჩემო, სინანული განწმენდა არს სვინდისისა, რომელიც მამხილებლად ბოროტისა გაუჩენია ღმერთს. სინანული აღადგინებს და აღამაღლებს სულსა.

ბაჩუკი – ძმის მკვლელი ვარ, მამაო!

მამა ფარნავაზი – შენ, ჩემი ბაჩო, ჩემი ბაჩუკი?!

ბაჩუკი – წირვის დროს თქვენ რომ სახელები ჩამოთვალეთ, იმათ რიცხვშია ჩემი ნიკუშა ყიფიანი.

მამა ფარნავაზი – მოხედენ ხმასა ლოცვისა ჩემისა, მეუფეო და ღმერთო ჩემო, რამეთუ შენდამი ვილოცო, უფალო!

ბაჩუკი – მამაო ფარნავაზ, თქვენს წირვას ვუსმენდი და მეშინოდა, თქვენთვის გულს არ ეღალატა...

მამა ფარნავაზი – ძალიან ბევრი და ლამაზი სახელებია გარდაცვლილთა. ყოველ წირვაზე ახალ-ახალი სახელები ემატება და, იცი, შვილო, რამდენი? და ყოველი სახელის ამოთქმისას გულიდან თითო წვეთი სისხლი ამოჰყვება! *(ხელები აღაპყრო და პირჯვარი გადაისახა)* აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი!

ბაჩუკი – მაპატიე, თუ მაგ დაწყლულებულ გულს უფრო გატკენ!

მამა ფარნავაზი – მიამბე, შვილო ჩემო, მე ისეთ რამეს მოვესწარი, ახლა აღარაფერი გამიკვირდება! მიამბე, როგორც აღსარებად მოსულმა, როგორც ჩემმა ბაჩუკიმ, ჩემმა ძველმა პატარა მეგობარმა.

მილიციის განყოფილებაში მორიგის ოთახი. კედელზე გორბაჩოვის პორტრეტი. რაიონის რუკა. მაგიდასთან - უფროსი ლეიტენანტი კოტე. გაზეთს კითხულობს. სახე შეჭმუხნული და დაბნეული აქვს. გაზეთს თავი ანება და კედელს თვალები მიაბჯინა. მერე ტელეფონის ნომერი აკრიფა.

კოტე – ზახარიჩ!.. კოტე ვარ... შენ კი არა, ჩემს ხმას მე თვითონაც ვეღარა ვცნობ. წაიკითხე დღევანდელი „იზვესტია“? რა ხდება, გამაგებინე! ვინ მოდის? მეორედ მოსვლა? ნელ-ნელა გაგიუება გამიგია, მაგრამ ესე ერთბაშად?.. ომსკში ლენინის ძეგლი მოუპარავთ, აქაც რომ მოიპარონ, ჩვენ რაიონში ხუთი ძეგლია, რომელ ერთს დავუდარაჯდე? ან ყვავილები რო მოიპარონ, იანვარში რო დაალაგეს... როგორა, ზახარიჩ, ჯერ ალაგების ბრძანება არ მოსულა... შენს რაიონში შვიდი ძეგლია? ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს! *(სერჟანტ თომას შემოჰყავს ბაჩუკი და ნიკუშა)* აი, ორი ბულბული კიდე მომიყვანეს. კარგი, მერე დაგირეკავ. *(დადო ყურმილი. ჯერ ბიჭებს შეხედა, მერე თომას მიუბრუნდა)* აეხლა შენა მაგრა დაგსჯი!

თომა – რათა, უფროსო?

კოტე – ამ ბავშვებს წიგნი ხელიდან რო გამოგლიჯე და აქ მოიყვანე!

ბაჩუკი – რატომ დაგვცინით, ბატონო?

კოტე – *(გაბრაზდა)* „ბატონო“ არ გამაგონო! მაგ „ბატონობით“ გინდათ ქვეყანა თავდაყირა დააყენოთ!

ბაჩუკი – რატომ გვიყვირით, ჯერ ხომ უნდა გაიგოთ, რა გავაკეთეთ?

კოტე – თქვენი გაკეთებული საქმე ვინ ნახა, ბიჭო!

ბაჩუკი – მე ბიჭი არა ვარ, ბაჩუკი მქვია.

კოტე – აჰა, ბაჩუკი. ეს აბდუშაჰილი იქნება!

ბაჩუკი – *(ნიკუშას)* რომ ჩაგჩიჩინებ, აი, ასეთი განათლებული უნდა იყო!

კოტე – გვარი!
ბაჩუკი – ახმეტელი.
კოტე – სწავლობ, თუ უსაქმურად დაეხეტები?
ბაჩუკი – უსაქმურობისა რა მეტ...
კოტე – არ მინდა! გეტყობა, რაცა ხარ, სახეზე!.. სად სწავლობ?
ბაჩუკი – ორმოცდა...
კოტე – არ მინდა! საბუთი! *(ბაჩუკიმ მოწმობა მისცა. კოტემ დახედა)* ბაჩუკი ახმეტელი. სწორი გითქვამს. ასეთი გვარი, ამხელა რეჟისორი! არცხვენ, ბიჭო? *(უცებ ნიკუშას)* აბა, ერთი შენი საბუთიც. *(ნიკუშამ გაუწოდა)* ნიკა ყიფიანი. დათო ყიფიანი ვინაა შენი? ნათესავია?
ნიკუშა – არა.
კოტე – აი, წესიერი კაცი! არ მოიტყუა... ერთ სკოლაში სწავლობთ?
ნიკუშა – ერთ კლასში.
კოტე – მერე რას გასწავლიან? *(თომას)* იხულიგნეს?
თომა – *(მხრები აიჩეჩა)* ხულიგნობა... როგორც ასეთი, არ ჩაუდენიათ.
კოტე – ვიღაცას ჩანთა გაუხსნეს?
თომა – არა, უფროსო.
კოტე – *(გაბრაზდა)* აბა, რა ოხრობა ჩაიდინეს? *(თომა მორიდებით მივიდა და კოტეს ჩასჩურჩულა. კოტეს მრისხანებისგან თვალები გადმოცვენაზე აქვს)* ჰა?! *(წამოხტა)* რა გიყოთ ახლა მე თქვენ? მაგისთვის საქართველოს დაგატოვებინებ!
ბაჩუკი – რატომ უფროსო? მაშინ მთელი საქართველო უნდა გაასახლოთ ცეკატეკიანად!
კოტე – არ მინდა! *(თომას)* უყურე ამ თავხედს!
ბაჩუკი – მე თავხედი...
კოტე – არ მინდა!
ნიკუშა – გაჩერდი, ბაჩო...
ბაჩუკი – *(შეუტია)* შენ გაჩერდი!
ნიკუშა – ბოდიში მოვუხადოთ და გაგვიშვებენ.
ბაჩუკი – თავხედი მიწოდა და ბოდიში იქით მოვუხადო?
ნიკუშა – აბა, თუ აქაურობა მოგწონს, შენ დარჩი. მამაჩემმა რომ გაიგოს, არ იცი, რა ამბავს...
ბაჩუკი – ე! სულაც შენ წამოიწყე და ახლა ქვეშიდან გამოდიხარ?
ნიკუშა – ვაიმე, მე წამოვიწყე? შენ არ ააგდე...
ბაჩუკი – შემოხვალ კამერაში და... არ ჩამიშვა ამ ახვარმა?
კოტე – შევარცხვინე თქვენი ძმაკაცობა! პატარა გაგიჭირდათ და ერთმანეთს თხასავით წირავთ, თქვენ იმედზე ჩემი მტერი იყოს!
თომა – უფროსო *(ნიკუშაზე)*, ეს წესიერი ბიჭი ჩანს, *(ბაჩუკიზე)* ეს არის თავხედი!
ბაჩუკი – *(თომას)* თქვენ სულ მალე ბოდიშს მომიხდით!
თომა – კი, ცეკას მდივანი რომ გახდები!
ბაჩუკი – თქვენი სამასხარო გახდა ცეკა? *(ნიკუშას)* ხედავ, ბიჭო, რა დონე ყოფილა მილიციაში?
კოტე – *(გამწარებით თომას)* რა ცეკა აგიტყდათ, თავი ხომ არ მოგძულებიათ?
ცისია – *(შემოდის. ხელში ბლოკნოტი და გაზეთი უჭირავს)* გამარჯობა! *(ოთახი მიმოათვალიერა)* კარგ დროს მოვედი. მე გაზეთ „თბილისიდან“ ვარ, კორესპონდენტი. ტეკადან დაგვავალეს ნარკვევი მილიციის ერთ-ერთი განყოფილების მუშაობაზე. არჩევანი თქვენზე შევაჩერე, ვიცი, რომ მოწინავეთა რიგებში ხართ და სამინისტროშიც თქვენზე დადებითი აზრია შქმნილი. დრო რომ არ დავკარგოთ *(დაჯდა და ბლოკნოტი გაშალა)*... დღის განმავლობაში რამდენი დანაშაული დააფიქსირეთ?.. თუმცა, ამ

ახალგაზრდებიდან დავიწყოთ, რამდენადაც ვხვდები, ესენი თქვენი თანამშრომლები არ უნდა იყვნენ. რაზე დააკავეთ?

კოტე – იცით, რა... არ შეიძლება, დილაზე მობრძანდეთ, უფროსიც იქნება...

ცისია – უფროსსაც ვნახავ. მაშ რაზე დააკავეთ?

კოტე – *(თქმა უჭირს)* როგორ გითხრათ... ცოტა ძნელია.

ცისია – იჩხუბეს?

კოტე – არა.

ცისია – ვინმე გაძარცვეს?

კოტე – არა, იცით...

ცისია – აჰ, გეუხერხულებათ.

კოტე – დიახ.

ცისია – დაზარალებული სად არის?

ბაჩუკი – დაზარალებული ჩვენა ვართ.

ცისია – *(საკმაოდ მკაცრად)* თქვენთვისაც მოვიცლი, მომისმინეთ! *(კოტეს)* გოგონა სად არის?

კოტე – ვინ გოგონა?

ცისია – ამათი მსხვერპლი, ვინც გააუპატიურეს.

კოტე – საქმე ნეტა ეგრე იყოს, უფრო ადვილად გეტყოდით!

ბაჩუკი – ხომ ხედავთ, ქალბატონო, თვითონაც არ იციან, ბრალი რაში დაგვდონ!

ცისია – ქალბატონს ნუ მიწოდებთ, გათხოვილი არა ვარ.

კოტე – *(გამწარდა)* დღისით, მზისით, ამ ვაუბატონებმა გადაჭრეს ლენინის მოედანი, ძეგლთან მივიდნენ და...

ცისია – *(შეშფოთებით)* რატომ? ხომ არაფერი...

კოტე – არა, როგორ გეკადრებათ!.. ყვავილები დადეს.

ცისია – ყვავილები დადეს?

ბაჩუკი – *(ცისიას)* მერე, ეს დანაშაულია? ასე არ ვაკეთებთ მთელ საბჭოთა კავშირში ჩვენი დღე და მოსწრება?

კოტე – მოიცა, ვინ ჭამს მაგას!.. გამომივიდნენ ბრეჟნევი და ბაბრაქ ქარმალი!

ბაჩუკი – *(ცისიას)* ხედავთ? საბჭოთა საქართველოში დანაშაულად ითვლება, ყვავილებით შეამკო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი!

კოტე – ბიჭო, ვის აშაყირებ?

ბაჩუკი – ესე იგი, მთელი საბჭოთა კავშირი ყვავილებს რომ ვალაგებთ ბელადის ძეგლთან, ვშაყირობთ?!

კოტე – ის სხვაა, ორგანიზებულად როცა მიხვალ, შვიდ ნოემბერს, ან ოცდაორ აპრილს, გინდა პიონერის დღეს... დღეს რომელი თარიღი ნახე?

თომა – *(გახარებული, ბაჩუკის)* აჰა, გაები?

ბაჩუკი – *(ცისიას)* ჩაწერეთ, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც დიდ ლენინს თაიგული მიართვეს, დააპატიმრეს... *(კოტეს)* რომელი განყოფილებაა თქვენი...

კოტე – *(ისე წამოხტა შეშინებული,, სკამი გადაუყირავდა)* ახლა, დაუკრეფავში ნუ გადადიხარ!

თომა – მართალი ხარ, უფროსო! დაუკრეფიათ სადღაც სკვერში რაღაც ფოთლები და აჭია-ბაჭია ყვავილები, განა მართლა თაიგული იყო! ხალხი იდგა და იღი... *(ენაზე იკბინა)*

ბაჩუკი – რა, იღი?

თომა – იცინოდა! რომელი გაზონი გაანადგურეთ?

ბაჩუკი – მე მოსწავლე ვარ, და იცით, ყვავილებს რა ცეცხლი უკიდია.

ცისია – მოითმინეთ, ახალგაზრდავ! ქალიშვილი თუ გიყვართ, ყვავილები მიგირთმევიათ?

ბაჩუკი – *(დაიბნა)* არ მახსოვს... არა. მოიცათ, იმასაც რაღაც თარიღი უნდა მოვუძებნო და ისე მივართვა?

ცისია – ამას რა უნდა ელაპარაკო! *(ნიკუშაზე)* ეს ყმაწვილი წყნარად არის, ეტყობა, ზრდილი და წესიერია. *(ბაჩუკიზე)* ამისთანები კი უნდა ამოიძირკვონ საზოგადოებიდან!

ბაჩუკი – ძალიან ცუდად იწყებთ მოღვაწეობას, ქალბატონო!

ცისია – *(ნიკუშას)* რა გვარი ხართ?

ნიკუშა – ძალიან გთხოვთ, ჩემს გვარს ნუ ჩაწერთ, ეს ერთი მაპატიეთ!

კოტე – *(პირადობის მოწმობას ჩახედა)* ნიკო ყიფიანი.

ცისია – ყიფიანი? გიორგი ყიფიანს იცნობ?

ნიკუშა – *(დარცხვენით)* ვიცნობ.

ცისია – ახლოს?

ნიკუშა – დიახ, ახლოს.

ცისია – თქვენი ვინ არის?

ნიკუშა – მამაა ჩემი.

ცისია – მოიცა! თქვენ გიორგი ყიფიანის შვილი ხართ?

ნიკუშა – *(გაშინაურებული ღიმილით)* ალბათ, მამაჩემს ამაში ეჭვიც არ ეპარება!

ცისია – *(კოტეს)* ხომ ეტყობა, როგორ ოჯახშია გაზრდილი?

კოტე – *(წამოხტა)* ყი... ყიფი... ეტყობა კი არა, სახეზე აწერია! თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ეს ყმაწვილი უნდა გავუშვათ!

ცისია – წინააღმედგი კი არა, მე უნდა მეთხოვა თქვენთვის. ახალბედა ჟურნალისტი ვარ, რედაქტორი ახლავე გადავიმტერო?

კოტე – *(ნიკუშას მოწმობა დაუბრუნა)* თავისუფალი ბრძანდებით! მარტო ერთს დაგარიგებ, თუ არ გეწყინება: მშობლებს არ ირჩევენ, მაგრამ მეგობრებს კი – ირჩევენ.

ნიკუშა – რატომ ფიქრობთ, რომ ეს ჩემი მეგობარია? ერთად ვსწავლობთ, თანაკლასელებს კი, სამწუხაროდ, არ ირჩევენ! *(ბაჩუკიმ მისკენ გაიწია, მაგრამ თომამ გზა გადაუღობა)* დაწყნარდი, ჯიგარო. აბდუშაჰილი, ერთხელაც იქნება, წააქცევს ბაში-აჩუკს!

ბაჩუკი – მიხვალ სკოლაში!

ნიკუშა – მე კი მივალ სკოლაში, მაგრამ შენი მისვლა მეეჭვება! *(კოტეს, ცისიას)* კარგად ბრძანდებოდეთ! *(ბაჩუკის)* შენ რომ სკოლაში მოხვალ, მე, სულ ცოტა, მესამე კურსზე ვიქნები! *(სწრაფად გავიდა. ბაჩუკიმ სცადა, დასდევნებოდა, მაგრამ თომამ შეაკავა)*

ცისია – *(კოტეს)* გთხოვთ, დააფიქსიროთ! *(ბაჩუკის)* თქვენი გვარი? *(ჩასაწერად მოემზადა)*

ბაჩუკი – *(გაანჩხლებით)* მე და ის ყმაწვილი ერთ საქმეზე დაგვაკავეს. თუ გაზეთში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შვილის გამოქვეყნება არ შეიძლება, იგივე უნდა ვრცელდებოდეს უბრალო მოსამსახურის შვილის მიმართაც!

ცისია – ერთი თქვენი დირექტორი მაჩვენა! მაჩვენა კი არა, ხვალვე ვნახავ! ზეგ კი უკვე აღარ იქნება დირექტორი, ამის პირობას გაძლევ.

ბაჩუკი – თქვენ სულ მალე „პრავდის“ დირექტორობას მიაღწევთ!

ცისია – *(კოტეს)* ძალიან გთხოვთ, ეს ყმაწვილი პოლიტიკურებში ჩაამწყვდიეთ. ხომ გყავთ პოლიტიკურები?

კოტე – პოლიტიკურები? ერთი გვყავს, მთვრალი იყო და ყვიროდა, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსაო!

თომა – დამოუკიდებელ საქართველოსაო, უფროსო.

კოტე – არ მინდა! ახლა შენ სულ ნუ დახატავ!

ცისია – ჰოდა, ახლა ორი გეყოლებათ და ერთმანეთს გაუმართონ მიტინგები!

კოტე – ბოდიში, თქვენი სახელი?

ცისია – თუ შეიძლება, დამარეკინეთ რედაქტორთან, ახლავე აქ უნდა მოვიყვანო. თუმცა, ახლა ტეკაში იქნება. *(ჩანთისკენ ხელი წაიღო)* საბუთი გაჩვენოთ?

კოტე – როგორ გეკადრებათ, ზეპირად მითხარით.

ცისია – *(ჩანთიდან ამოიღო მოწმობა და გახსნა, აჩვენა)* გურანდუხტი მქვია. მაგრამ გურანდას მეძახიან შემოკლებით. *(საბუთი ისევ შეინახა)*

კოტე – რა კარგი სახელია, ნამდვილი ქართული სახელი! ჰოდა, ქალბატონო გურანდა, სულ გაზეთებში ხართ გათქვეფილი, ამიხსენით, რა გველის?

ცისია – ვისა?

კოტე – ჩვენა. ქვეყანას... თომა, შენ ეს ყმაწვილი მიაბრძანე!.. შვილები მყავს... რა ელით? *(ტელეფონი. ყურმილი აიღო)* გისმენთ მორიგე...

ხმა ტელეფ. – გამარჯობა.

კოტე – გაგიმარჯოთ.

ხმა ტელეფ. – გიორგი ყიფიანი გაწუხებთ. ახლა შემატყობინეს, ჩემი შვილი დაგიკავებიათ.

კოტე – *((ფეხზე წამოხტა)* დიახ, გაუგებრობა მოხდა და უკვე გავუშვით.

ხმა ტელეფ. – გმადლობთ... თქვენი გვარი?

კოტე – ალავიძე. კონსტანტინე ალავიძე.

ხმა ტელეფ. – წოდება?

კოტე – უფროსი ლეიტენანტი.

ხმა ტელეფ. – ასაკი?

კოტე – ორმოცდაათისა ვხდები.

ხმა ტელეფ. – თქვენ უნდა მიბრძანდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში, კადრების სამმართველოში, დილაზე. მე ახლა მინისტრს დაველაპარაკები. ორმოცდაათი წლისთავზე მიიღეთ ჩემგან საჩუქრად.

კოტე – დიდი მადლობა, ბატონო გიორგი!

ხმა ტელეფ. – არ დაგავიწყდეთ, დილაზე, ცხრა საათზე... ჰო, ერთი სათხოვარი მაქვს: ჩემს შვილთან ერთად მეორეც დაგიკავებიათ. მაგაზე საქმე რომ გახსნათ, ამბავი გახმაურდება და ჩემი ნიკუშაც გაისვრება. ეგ ისეთი სალახანაა, ქვეყანას შეყრის. ამიტომ გთხოვთ...

კოტე – არ უნდა ლაპარაკი! ახალგაზრდები არიან, ცოტა უქრით... არა, თქვენს შვილზე არ ვამბობ... მაგრამ ეს რომ გამოვუშვათ, თქვენს ვაჟს არაფერი დაუშაოს, დაემუქრა...

ხმა ტელეფ. – ვიცი, ეგ რა ნაძირალაც არის. ამიტომ ხვალვე ერთ საქმეში გაყოფს თავს და იქ უკვე ჩემი ბიჭის სახელი აღარ იფიგურირებს.

კოტე – გასაგებია, ბატონო გიორგი.

ხმა ტელეფ. – დიდი მადლობა. *(„ხმამ“ ყურმილი დადო)*

ბაჩუკი – *(ცისიას)* გთხოვთ, დააფიქსიროთ ეს სატელეფონო საუბარი!

კოტე – *(ყურმილი დადო)* ახლა წადი და გაფრთხილებ, როზა ლუქსემბურგის ძეგლსაც რო გაეკარო, უსროკოდ ვერ გადამირჩები! *(მოწმობა მისცა)*

ბაჩუკი – რატომ მიშვებთ? მართალი აღმოვჩნდი? თუ მართალი ვიყავი, რატომ დამაკავეთ?

კოტე – გაუგებრობა მოხდა, ბატონო!

ბაჩუკი – მაშინ გავარკვიოთ: თქვენ დაგვიჭირეთ, რომ ბელადს ყვავილები მივართვით...

კოტე – *(ილაჯგაწყვეტილი)* წადი რა, შვილო, შენი ვალი გვმართებს?

ბაჩუკი – დიახ, თქვენ თავხედი მიწოდეთ.

კოტე – ბოდიში, ბატონო!

ბაჩუკი – *(თომაზე)* იმან ორჯერ მიწოდა თავხედი.

თომა – ბოდიში! ბოდიში!

ბაჩუკი – *(გაიღიმა)* ეგ მომწონს! აი, ხომ გაგაფრთხილეთ, ბოდიშს მომიხდით-მეთქი! ცეკას მდივანი ჯერ არა ვარ და მაინც მომიბოდიშეთ!

ცისია – *(მოთმინება დაკარგა)* ახლა, ნამუსიც კაი საქონელია!

ბაჩუკი – კარგად ბრძანდებოდეთ! *(გავიდა)*

კოტე – ვა, ეს რა ჭირს გადავეყარე! *(თომას)* შენ კიდე, არ უნდა იცოდე, ვინ დაიჭირო?

თომა – შუბლზე ხომ არ აწერია, უფროსო!

კოტე – *(ცისიას)* გენაცვალე, ძალიან გთხოვთ, ამ ამბავს ნუ გავაბაზრებთ. ჩათვალეთ, რომ დღეს ჩვენთან არა ყოფილხართ. ხვალ კი სიამოვნებით, მთელი დღე თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

ცისია – აბა, ეს დღე რომ მეკარგება?

კოტე – ხვალა, თქვენი ჭირიმე, ხომ გითხარით! დავიღალე!

თომა – *(ცისიას კოტეზე)* ამ კაცის კისერზეა მთელი განყოფილება. გეუბნებით, ეს რომ არ იყოს... ეს რომ აქედან გადაიყვანონ, თან თუ არ წამიყვანა, სულაც წავალ ორგანოდან. მე მკითხეთ, ყველაფერს აგიხსნით...

კოტე – შენ გაჩერდი, ნუ არდვევ სუბორდინაციას!

თომა – ბოდიში უფროსო! *(გაზეთი აიღო, კუთხეში მიჯდა და „ჩაულრმავდა“)*

ცისია – *(წამოდგა, გაიღიმა)* კი ბატონო, სიმართლე გითხრათ, ყიფიანის გადამტერება არც მე მინდა. არა-და, რედაქტორს რა მივუტანო?

კოტე – ხვალ თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

ცისია – *(ღიმილით)* ხმალი არა, კალმისტარი. *(ხელი გაუწოდა)* ნახვამდის!

კოტე – დილამდე. *(ცისია გავიდა. კოტემ გააცილა. გამობრუნდა. გაიღიმა)* ხვალ ამ ლამაზ ჟურნალისტს ჩემს მაგივრად ლავრენტი დახვდება. მე კი აქედან ეგრევე სამინისტროში!

თომა – უფროსო, ერთი სათხოვარი მაქვს. რომ მიხვალთ, არა? ჩემზეც გადაუკარით...

კოტე – ვისა, ბიჭო! მაგ ორ კუბამეტრ თავში მომპასის ოდენა ტვინი არ უნდა გედოს? ეხლა, მინისტრს ვუთხრა, ჩვენთან ერთი მლაჩი ლეიტენანტია და დაეხმარე-მეთქი?

თომა – სწორედ ეგა მკლავს, უფროსო, მე რომ მლადში ვიყავი, ზოგი ეხლანდელი პოლკოვნიკი დაბადებულიც არ იყო. ნათესავებში თავი ვეღარ გამომიყვია!

კოტე – *(დიდსულოვნად მოლბა)* აი, ჭაბაურის ადგილი თუ დავირტყი, ერთი ვარსკვლავი ჩემზე იყოს. მეტი რა გინდა?

თომა – ეგ მინდოდა, უფროსო! კანიაკს უმატებენ ვარსკვლავებს სიძველისთვისა და კანიაკს აღარა ვჯობივარ?

კოტე – ამ გახსენებაზე, მოდი, თითო გადავკრათ. *(სეიფიდან კონიაკი და ჭიქები გამოალაგა. თომა ისევ გაზეთს „ჩაჭრმავებია“),* მოდი, გამოცხადდი კაპიტანთანა, ნახე, ოთხი ვარსკვლავი აქვს. დიდი კაცის შვილები რო უფრო ხშირად დავიჭიროთ, შეიძლება, მთლად უფროსობასაც გამოვკრათ ხელი! ერთი უმაღლესის დიპლომი რომ მქონდეს! ჭაბაურს ხვალვე მოვუხაზავდი! *(ჭიქები შეავსო)* მოდი, ცოტა გავხურდეთ. ეს რა ცივი გაზაფხული დაგვიდგა!.. ამ ჭიქითა, თომა... მოდი-მეთქი! *(გაზეთი გამოსტაცა)*

თომა – მაპატიე, უფროსო, ერთმა წერილმა გამიტაცა მაგ გაზეთში...

კოტე – გაზეთი თავის დროზე უნდა იკითხო, როცა ვლაპარაკობ, უნდა მომისმინო.

თომა – უფროსო, ეგ გაზეთი მართლა თავის დროზე რომ წაგვეკითხა, ეს იაღლიში არ მოგვივიდოდა.

კოტე – რა იაღლიში?

თომა – *(გაზეთი დაიბრუნდა და წაიკითხა)* სუსურუკუს უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გუშინ საფრანგეთიდან ინგლისში წავიდა...

კოტე – წავიდეს, მაგათი ჭკუაც!..

თომა – *(ისევ გაზეთს ჩაჰყურებს)* ჰოდა, ჩვენი ჭკუაც! მაგ დელეგაციაში იმყოფება სუსურუკუს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გიორგი ყიფიანი.

კოტე – იყოს, მერე მე რა ვქნა? *(გაიაზრა)* მოიცა, ეხლა რაღანაირად დარეკა? ჰა? გაგვაბითურეს? არა, ამერიკიდანაც რეკავენ, მაგრამ აქედან ვინ გააგებინა...

თომა – უფროსო, ნუ აღელდები. გვარები გვიწერია, სკოლაც. დილაზე ჟურნალისტი რომ მოვა, ერთად დავეცეთ და ავიყვანოთ!

კოტე – შენც გარეკე, რა! დილაზე რო სამინისტროში ვარ წასასვლელი? მაგრამ იქ რაღა ჯანდაბა მინდა? ვა, ეგეთი არტისტობა თეატრშიც არ მინახავს! ვაი, რა დღეში ჩავყრი, გაჩენის დღეს ვაწყევლინებ!

თომა – კიდე კაი, მოწმედ ჟურნალისტი გვყავს!

კოტე – დილაზევე! ძილი-მილი არ გამაგონო! მოიცა! ეხლა გავარდი და დაზვერე, შორს არ იქნებიან წასულები, დილამდე ვერ მოვისვენებ!

სკვერში ზის ნიკუშა.
გელა წამოეპარა და თვალებზე ხელი ააფარა.

ნიკუშა – გელა, ნუ მაიმუნობ!

გელა – ვაჰ! კოდელი მკითხავი ხარ? საიდან მიხვდი, რომ მე ვიყავი?

ნიკუშა – უდროო დროს და უადგილო ადგილას გამოცხადება მხოლოდ შენი ამპლუაა. *(გელა ნიკუშას გვერდით ჯდება)* მანდ ნუ ჯდები, შეღებილია.

გელა – შენს გვერდით სკამი მუდამ შეღებილია.

ნიკუშა – შენნაირებისთვის კი.

გელა – ბოლობოლო, გამაგებინეთ, რას გიშავებთ?

ნიკუშა – მე რას მეკითხები? ფუნჯიც შენ გიჭირავს და საღებავიც.

გელა – ესე იგი, მე თვითონ ვჭრი ტოტს, რომელზეც ვზივარ!

ნიკუშა – ეგრე რომ იყოს, ურიგო არ იქნებოდა. მარტო შენ ჩამოვარდები.

გელა – ესე იგი, ტოტებს სხვებსაც ვუჭრი!

ნიკუშა – ბრაკონიერი ხარ!

გელა – რა უმადურები ხართ! ათი წელიწადი ერთ ტაფაში ვიწვოდით, რამდენი ტკბილმწარე ერთად...

ნიკუშა – *(შეაწყვეტინა)* კარგი ახლა, გულს ნუ ამიჩვილებ!

გელა – გული სადა გაქვს, ბიჭო!

ნიკუშა – აახვიე, რა, თავმოყვარეობა არა გაქვს?

გელა – თავმოყვარეობაცა მაქვს და თქვენი სიყვარულიც. ბიჭო, ცხვირი პირს მოშორდება?

ნიკუშა – ახლა, თუ ბევრს გაახურებ, დარწმუნდები, რომ მოშორდება!

გელა – *(დამფრთხალი სწრაფად გავიდა)* ვაჰ, ჩემი დედა!..

ნიკუშა – მართლა შენი დედა!.. *(პაუზა)* ეს მერამდენედ გაფრთხილებ, ნიკუშ, ამ დებილმა ჭკუით როგორ უნა გაჯობოს? ვერ გიტანს და მაინც სიყვარულს გეფიცება, შენ კი მტერს ამრავლებ. ამის უფლება შენ არა გაქვს! *(გარედან ხმა ახლოვდება, პათეტიკით)*

ხმა – თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი. *(შემოდის ბაჩუკი)*

ნიკუშა – შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.

ორივე – შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა! *(ერთმანეთს გადაეხვევნენ)*

ბაჩუკი – გმადლობ, ნიკუშ, პატიმრობიდან რომ დამიხსენი!

ნიკუშა – მე კი დაგიხსენი, მაგრამ შთამომავლობა შენ უფრო მეტ პატივს მოგაგებს, ჩემზე მეტ ხანს რომ იტანჯე საპყრობილეში.

ბაჩუკი – მთელი ათი წუთი!

ნიკუშა – აბა! ეს იცი, რა ათი წუთია? კაცო, როგორ გაიგო გიორგი ყიფიანმა, ლონდონიდან რომ დარეკა?

ნიკუშა – შენ ეგა თქვი! ოპერამდე ვირბინე, ყველა ტელეფონი ყურმოგლეჯილი იყო! *(ფეხაკრეფით შემოდის ცისია, ბიჭებს უკნიდან ეპარება)*

ბაჩუკი – ვა, რა მაგრები იყვნენ! ის უფროსი ხომ ჩემპიონი იყო!

ნიკუშა – ჟურნალისტიც მაგარი შეგვხვდა.
ბაჩუკი – მერე, რა ლამაზი!
ნიკუშა – რა ფრანციცული!
ბაჩუკი – ეგეთი ლამაზი ჟურნალისტი მსოფლიოში არც ერთ გაზეთს არ ეყოლება.
ნიკუშა – მგონი, სადღაც მინახავს.
ბაჩუკი – ძალიან ლამაზი კია, მაგრამ ძალიან დებილიც უნდა იყოს. რა უცებ წაება!
ნიკუშა – ჰო, ეგეთი დებილი ჟურნალისტი მსოფლიოს არც ერთ გაზეთს არ ეყოლება!
ცისია – თქვენნაირი დებილები მსოფლიოს არც ერთ სკოლას არ ეყოლება, საბავშვო ბაგა-ბაღებსაც კი!
ორივე – *(წამოცვივდნენ)* ვა, ცისიაც მოსულა!
ბაჩუკი – გოგო, იმ მილიციელს საბუთს რომ უჩვენებდი, რომ ჩაეხედა, შენი თავი ჯანდაბას, ჩვენც ხომ გვღუპავდი?
ცისია – ერთუჯრედიანებო! ფილოსოფიურზე ვაპირებ და ექსპერიმენტი ყოველთვის მიმართლებს. ის საბუთს არ ჩახედავდა. ვგრძნობდი, რომ სიტუაციას მე ვფლობდი და პარტისტორიაც რომ დამეძრო, ისიც გაჭრიდა. თქვენ კი, რამდენჯერაც უჩემოდ წათრეულხართ, ცხვირი იმდენჯერ წაგიმტვრევიათ.
ორივე – *(მუხლებზე დაეცნენ. „ხანუმადან“ წაიმღერეს)* გვაპატიე, ცისი...
ცისია – ეს პირველი შემთხვევაა?
ნიკუშა – არა, მაგრამ უკანასკნელი იქნება.
ბაჩუკი – ყოველშემთხვევაში, დღეს.
ცისია – ხვალ?
ბაჩუკი – ხვალისა ხვალემ იდარდოს.
ცისია – არა, თქვენი გამოსწორება არ იქნება.
ბაჩუკი – რას იზამ, დიდ ადამიანებს ახასიათებთ ნაკლოვანებანი.
ცისია – ჯერ არ შემხვედრია სულელი, თავი დიდ ადამიანად რომ არ მიაჩნდეს. უჩემოდ ფეხს არსად აღარ გაადგამთ. ქალს მილიციელიც კი არ უსტვენს. თქვენ მილიციასთან კონტაქტის უფლება არა გაქვთ. მოტვინეთ ეს დარიგება?.. ეჰ, რა ტყუილად ვაყრი კედელზე ცერცვს! თქვენი ყურები ჩემი სიტყვების სასაფლაოა!
ნიკუშა – *(თითქოს თავისთვის)* ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული,
ბაჩუკი – ვის უნახავს, საფლავებში როგორ მოქრის ნაკადული.
ორივე – როგორ მოქრის, როგორ მოქუხს, ვით სიცოცხლე უშიშარი,
და როგორ დუმს სასაფლაო, ვით იესოს ლურჯი ტანი?
ცისია – რომელი საათია?
ბაჩუკი – ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი
თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
ორივე – აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია, რომელი საათია?
ცისია – შეცდომა ქვეყნად რაოდენია,
არ გეცინება და იცინი კი,
კაცები მგონიხართ, გმირი, გენია
და აღმოჩნდებით უცებ ცინიკი.
ნიკუშა – ახლა, ხომ გვაპატიე, ხანუმჯან, დღევანდელი საქმე წარმოებით მოისპო. ვეღარც დირექტორი გაიგებს და მფარველადაც გიორგი ყიფიანი გვყავს.
ცისია – ჩემი პირველი ფიქრიც ეგ იყო, რომ დირექტორს არ გაეგო.
ბაჩუკი – რამდენი თვეა, რაც მოგვიყვანეს და უკვე რაღაცნაირად შემიყვარდა.
ცისია – სხვებს არა ჰგავს და ამიტომ ჯიგარია!
ნიკუშა – მფრინავი თეფშით არის ჩამოსული. მაგას დიდი ხანი არ გააჩერებენ.
ცისია – და თქვენი ბავშვური საქციელით მაგის მოხსნას აჩქარებთ!
ბაჩუკი – კარგი, რა, ამდენ ჭკუას რომ გვარიგებ, ცოტა შენთვისაც შეინახე.

ნიკუშა – ჰო, რა, ლიმიტს ერთბაშად ნუ ამოწურავ. შენ ეს გვითხარი, წედან საათი რატომ იკითხე?
ცისია – მიტინგამდე ჩემთან წავიდეთ.
ნიკუშა – ბაჩო, რომ გეშინოდა, ამას ჭკუის ამოუწურავი მარაგი ჰქონია.
ბაჩუკი – *(შეშფოთებით)* ნიკუშ! ის მილიციელი! ჩვენ გვეძებს ეგ ფელიქს ედმუნდოვიჩი!
ცისია – *(მანაც დაინახა)* დავითესეთ!
ბაჩუკი
} – ბეჟალი რობკიე გრუზინი! *(გაიქცნენ)*
ნიკუშა

სამასწავლებლო. ვენერა ზის მაგიდასთან. მის წინ რაღაც ქაღალდებია. უყურებს რადიორეპროდუქტორს, საიდანაც გადმოსცემენ უკანასკნელ ცნობებს:
„ამავე დროს სტუდენტებს მიმხრობილი გარკვეული პირები წარმოთქვამდნენ სპეკულანტურ ლოზუნგებს და ბოლო ნაწილში გამოსვლებს უღირსი ელფერი მიანიჭეს. რატომღაც ცალკეულ მოქალაქეებს საჯაროობა ესმით, როგორც დემაგოგია, როგორც იმის უფლება, რომ ხმამაღლა გაჰყვიროდნენ იმას, რაც მოესურვება“
(გაღიზიანებული ვენერა თითქმის მიიჭრა რეპროდუქტორთან და გამორთო. დაუბრუნდა თავის ადგილს, მაგრამ ფიქრით სხვაგანაა.)

იზა – *(სწრაფად შემოდის. ჩანთიდან ქაღალდები ამოალაგა და საწერად მოემზადა)* გამარჯობა, ვენერა. დირექტორი არ მობრძანებულა? ჰა?
ვენერა – *(ფიქრიდან ძლივს გამოერკვა)* ჰა?
იზა – კაბინეტის კარები, მგონი, ღიაა. ეკა მასწავლებელი ეყოლება, თუმცა მათი ჟღურტულის ხმა არ გამიგონია.
ვენერა – ო, სალამი, ქალბატონო იზა. მე მითხარით რამე?
იზა – ნეტა რაზე ჭიკჭიკებენ?
ვენერა – ვინა, ქალბატონო იზა?
იზა – შეყვარებული ნიბლიები.
ვენერა – თუ ხათრი გაქვთ, არ მინდა, მაგ ინტრიგებში გავერიო.
იზა – შენ რატომ გენდომება, შენ ხომ არ ჩამოგაჭრეს საათები!
ვახტანგ – *(შემოდის)* გამარჯობა.
ვენერა – *(წამოხტა)* სალამი, ბატონო ვახტანგ! თქვენ... მარკები... თუმცა, თქვენ ხომ გუშინ...
ვახტანგ – ბევრი დაგრჩათ?
ვენერა – ზოგი კატეგორიულად...
სერგო – *(შემოდის)* ფეხით მოვდივარ, გზებია გადაკეტილი! (*ვახტანგს ხელი ჩამოართვა. ვენერასა და იზას წინაშე თავი ჯენტლმენურად დახარა)* სალამი, ქალბატონებო! *(ვახტანგს)* წუხელ მიტინგზე იყავით? მთელი თბილისი იქ იყო. თბილისი კი არა, საქართველო! რა სიტყვები ითქვა! არა, ჩვენი დაჩოქება არ იქნება! სხვათაშორის, ჩვენი მოსწავლეც გამოვიდა. ლამაზი გოგონა რომ არის მეათე პირველში, ცისია ჯიშიაშვილი. უჰ, გადარია ხალხი!
ვენერა – *(თითქმის თავისთვის)* ამ ხალხს კიდევ გადარევა უნდა?
სერგო – რა ბრძანეთ, ქალბატონო ვენერა?
ვენერა – ბატონო სერგო, თქვენ... მარკები... აჰ, უჰ, თქვენ ხომ გუშინ...
სერგო – სხვა მარკებია?

ვენერა – არა, თქვენ ხელი გაქვთ მოწერილი.
სერგო – მაგ მარკებით რომ უხვად გვამარაგებთ, სად არის შეპირებული ყველი?
ვენერა – რა ვქნა, ყოველდღე ვაკითხავ, ბაზაში არ შემოუტანიათო.
სერგო – ჰო, სანამ ბაზაში შეიტანენ, მერე იქიდან გამოიტანენ, მერე აქ შემოიტანენ... იქ კი დამშეული ცოლ-შვილი მელოდაება სანოვაგით დატვირთულს. მაშინ წახდა ცხოვრება, ქალაქიდან სოფელში რომ დავიწყეთ ყველისა და პურის ზიდვა!
იზა – *(ვენერას ხმადაბლა)* კრებაზე კი რანაირად ჭიკჭიკებს!
სერგო – *(გაიგონა, მაგრამ არ შეიმჩნია. ვახტანგს)* ახლა იქიდან როგორ წამოვედით! ერთი, ოცდაათი სატვირთო ავტომანქანა გვინათებდა გზას და ეს ზღვა ხალხი ყველა ერთმანეთს ეხვეოდა, ტიროდა, მღეროდა... ამას თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა! ერთი, თუ ის გოგონა მოსულია, უნდა შემოვიყვანო, ვალაპარაკო.
ვენერა – რას ითხოვენ, რა გვინდაო?
სერგო – თქვენ რა, ჭურში ზიხართ, ქალბატონო ვენერა? მართლა, მთავარი დამავიწყდა. ჩვენი გელა თავაძის მამაც გამოვიდა მიტინგზე...
ვახტანგ – ყველაზე პატრიოტული სიტყვა მაგანა თქვა.
სერგო – თქვენც იქ იყავით, ბატონო ვახტანგ?!
ვახტანგ – არა, მაგრამ ვხვდები. ზოგს რატომ ჰგონია, რომ ხალხს სკლეროზი სჭირს?
ვენერა – რამდენი ხანი იჯდა?
სერგო – არ იჯდა. დაკავებული იყო. ქრთამის აღება არ დაუმტკიცდა.
ვენერა – რა ვიცი, ქვეყანა გადაჭამაო, კორუფცია ააყვავაო, მეგონა დახვრეტდნენ.
სერგო – გამართლდა, ქალბატონო ვენერა. ისე კი, ბატონო ვახტანგ, დიდებული კარიერა დაკარგა. ასე ახალგაზრდა ამხელა რაიკომის მდივანი იყო!
ვენერა – ეტყობა, მართლა ჭურში ვზივარ, ბატონო სერგო, მთელი ცხოვრება ერთ კაცზე ამბობდნენ, წმინდანიაო, და დახვრიტეს, ამაზე ამბობდნენ, დასახვრეტიაო, და გაამართლეს. მტყუან-მართალის საზომი დავკარგეთ.
სერგო – ეგ მარკები არ დაკარგოთ, მაგას მიხედეთ, ქალბატონო ვენერა! *(თავისი ხუმრობა მოეწონა და გაიცინა)* როგორ მონატრებია ხალხს თავისუფლება, ბატონო ვახტანგ! ახლა რომ გამოვიარე, მოშიმშილეებს კიდევ დამატებია ხალხი. თქვენ რა, ბატონო ვახტანგ... ბოდიში, პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის.
ვახტანგ – არ მომწონს, რომ ჩვენი სკოლის პარტორგანიზაციას ასეთი უპრინციპო ხელმძღვანელი ჰყოლია.
სერგო – რატომ უპრინციპო?
ვახტანგ – არა მგონია, შარშან ასე გელაპარაკათ.
ვენერა – *(გული მიეცა)* მართალს ბრძანებთ, ბატონო ვახტანგ, ვუსმენ და ყურებს არ ვუჯერებ.
იზა – *(ხმადაბლა)* კარგი ხარ, ვენერა!
სერგო – *(ესეც გაიგონა, მაგრამ არ დაიმჩნია)* ქალბატონო ვენერა, ყოველ კაცს მთვარესავით გაუნათებელი მხარე აქვს, რომელსაც სხვებს არ აჩვენებს. მარკ ტვენის სიტყვებია.
ვახტანგ – ახლა მაგ მთვარემ რატომ მოინდომა, თავისი გაუნათებელი მხარე დაგვანახოს?
სერგო – გაუნათებელი აღარ იქნება, მას ხომ მზის სხივები სწვდება?
ვახტანგ – მაგრამ ის მხარე, ახლა რომ ჩრდილში მოექცა, თავისი ლაქებიანად ხალხს რომ ახსოვს?
სერგო – ვიცი, წედან რომ თეიმურაზ თავაძეზე თქვით, მე გადმომკარით. თუ ხალხს ახალი მოეწონა, ძველს ადვილად ივიწყებს.
ვახტანგ – ამით დავამთავროთ ჩვენი პოლიტმეცადინეობა.

სერგო – სპორტზე გადავიდეთ!
გელა – *(შემოვიდა. კარებში გაჩერდა)* სალამი, პატივცემულო ვახტანგ, სალამი პატივცემულო მასწავლებლებო!
სერგო – გამარჯობა, გელა, გინდა რამე?
გელა – არა, ისე შემოვიხედე.
ვახტანგ – კარგად ვართ, მადლობა მოკითხვისათვის. *(გელა გავიდა)*
სერგო – *(ვახტანგს)* ბოდიში, პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის. თამაშს უყურეთ? ამდენი წაგება გაგონილა? თავმოყვარეობა არ აქვთ?
ვახტანგ – მათგან რას მოითხოვთ?
სერგო – როგორ თუ რას მოვითხოვ? მე ნერვებს ზედ ვაფლითავ, ლამის ტელევიზორი დავამტვრიო, ეგენი... უბრალოდ, ტაბელს აბრუნებენ.
ვახტანგ – ჩვენ კი არ ვაბრუნებთ ტაბელს? ისინი ჩვენზე ფლეთენ ნერვებს, მათ ბავშვებს რიგიანად რომ ვერ ვასწავლით. ასეა ყველგან, ტაბელს ვაბრუნებთ და არაფერს ვაკეთებთ.
სერგო – რაც თავი მახსოვს, სულ ეს საყვედური მესმის.
ვახტანგ – იმიტომაც მოვედით დღემდე, სკოლაში ყველს რომ ელოდები!
სერგო – ეს უკვე დირექტორული ილეთია, ლუარსაბივით ხელქვეითების დაწიოკება და ხელფასების დამადლება!
ვახტანგ – მთელს საბჭოთა კავშირში არ მეგულება მასწავლებელი, რომელიც, რა ხელფასსაც იღებს, იმაზე მეტს არ იმსახურებდეს.
სერგო – მაგას გულით ამბობთ?
ვახტანგ – ჩემგან პირველად გესმით?
სერგო – არა, მაგრამ არც მასწავლებლის ლანძღვა მესმის პირველად. გადადიან და გადმოდიან ჩვენზე, დაბალი ღობე გვნახეს!
ვახტანგ – ეგ უკვე ჩვენი ბრალია. დაბალ ღობედ ჩვენ თვითონ ვიქეცით.
სერგო – რა თქმა უნდა! ყველაფერი ჩვენი ბრალია. მთავრობას უნდა მივწეროთ, რომ ხელფასები ჩამოგვაკლონ...
ვახტანგ – თავს ნუ შეიწუხებთ, მაგაზე თვითონ მთავრობა ზრუნავს. ისე ერთმა ჩვენმა პედაგოგმა უკვე მისწერა. ოღონდ ხელფასის გადიდება მოითხოვა. *(იზამ ერთ წამს გახედა ვახტანგს, მერე ისევ „წერა“ განაგრძო. ტელეფონი. ვენერა ასაკისათვის უჩვეულო სიმარდით მივიდა ტელეფონთან)*
ვენერა – ალო... გისმენთ!.. *(ყურმილი დადო)*
ვახტანგ – არ გიპასუხეს?
ვენერა – გაითიშა. *(თავის ადგილს დაუბრუნდა)* ქალბატონო იზა, ოცდაათი კაპიკი მომეცით. *(იზა ჩანთიდან იღებს ფულს და ვენერას წინ დებს)* ხელი მოაწერეთ... მარკა აიღეთ. *(იზა ისევ მიბრუნდა და მისი მითითება შეასრულა).*
ვახტანგ – ქალბატონო იზა, იკითხეთ მაინც, რა მარკებია?
იზა – *(ვენერას, გაღიზიანებული)* რა მარკებია?
ვენერა – *(დაბნეული)* რა ვიცი.
იზა – *(მარკას დახედა)* დოსაფისა ყოფილა.
სერგო – *(ვენერას)* არ უნდა იცოდეთ, რა მარკებს არიგებთ?
ვენერა – არავის უკითხავს, ქალბატონ იზას გარდა!
ვახტანგ – ქალბატონო იზა, დღეს სამინისტროში გამომიძახეს.
იზა – *(დაიბნა, გაღიზიანდა)* რა მექნა, ბატონო ვახტანგ, გელოდეთ, გელოდეთ და ჩემი კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეთ!
ვახტანგ – და მიმართეთ ზემდგომ ორგანოს.
იზა – აბა, რა მექნა?
ვახტანგ – უფრო ზემოთაც რომ მიჩივლოთ, თქვენს თხოვნას მაინც არ დავაკმაყოფილებ!

იზა – გენაცვათ, მოსვლის დღიდანვე ნიშანში არ ამომიღო? რატომ მჩაგრავთ, ბატონო ვახტანგ? მე თქვენამდე შვიდი დირექტორი გამოვიცვალე და მეცხრესაც მოვესწრები!

ვახტანგ – აი, ის მეცხრე დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას. მერვე ცოტა მაგარია, ვერ მოტეხთ!

კოტე – *(შემოვიდა. თომა კარებთან გაჩერდა)* გამარჯობათ. *(სერგოსთან მივიდა)* თქვენთან საქმე მაქვს.

სერგო – ჩემთან?

კოტე – დიახ. თუ შეიძლება, თქვენს კაბინეტში...

სერგო – აჰ, თქვენ დირექტორი გნებავთ?

კოტე – თქვენ დირექტორი არ ბრძანდებით? მითხრეს, სამასწავლებლოშიაო.

სერგო – მართალი უთქვამთ, ეს ახალგაზრდაა დირექტორი.

კოტე – *(დაბნეული მიდის ვახტანგთან)* ბოდიში.

ვახტანგ – არაფერია. წამობრძანდით, ზოგჯერ მეც არ მჯერა, რომ დირექტორი ვარ. *(ვახტანგი და მილიციელები გავიდნენ)*

ვენერა – ბატონო სერგო, არც ახლა გვიჯერებთ, რომ დირექტორობა თქვენ უფრო შეგშვენით?

სერგო – მე ამ სკოლაში მტერიც მყავს, ქალბატონო ვენერა.

დერეფანი. ვახტანგი დაწინაურდა, მილიციელები პროფესიულად აკვირდებიან ყველაფერს. უცებ:

თომა – *(მაჯაზე მოჰქაჩა კოტეს)* უფროსო! *(მიახედა)* აგე, ჟურნალისტი!

კოტე – ეგ ხო მოწაფეა!

თომა – მაგას გეუბნები! მაგანაც გაგვაბითურა?

კოტე – მიდი, დააკავე! *(თომა ადგილს მოსწყდა)*

დირექტორის კაბინეტში შედიან ვახტანგი და კოტე.

ვახტანგ – დაბრძანდით. *(კოტე დაჯდა. ვახტანგი თავის მაგიდასთან მოთავსდა. პაუზა)* თქვენ, მგონი ორნი იყავით.

კოტე – *(თავდაჯერებით)* სამნი ვიქნებით. ცოტა მერე კი – ხუთნი.

ვახტანგ – საინტერესო არითმეტიკული ამოცანაა. ამიხსენით, თუ შეიძლება.

კოტე – გთხოვთ, გამოიძახოთ ყიფიანი და მარჯანიშვილი.

ვახტანგ – ამ გვარის მოსწავლე მე არა მყავს.

კოტე – *(დაიბნა, ფურცელს ჩახედა)* ახმეტელი!

ვახტანგ – იქნებ ყიფიანიც გეშლებათ და მესხი გინდათ? მყავს ასეთი მოსწავლე.

კოტე – რას ბრძანებთ, ეგ გვარი ძილშიაც არ მავიწყდება! *(ტელეფონის ზარი. ვახტანგმა ყურმილი აიღო)*

ვახტანგ – ბატონო.. *(სიყვარულით გაიღიმა)* შენა ხარ, ახტაჯანავ?.. ჰო... ჰო... კი ბატონო, ადვილი სამსახურია... გავიგე, გავიგე. *(ყურმილის დადებას აპირებდა, რომ გაახსენდა)* რაკი მანდეთ ხარ, დამიზუსტე, ბორჯომის მატარებელი რომელზე გადის. *(ყურმილი დადო)*

კოტე – დილის ცხრაზე და საღამოს ხუთზე.

ვახტანგ – გმადლობთ. ამრიგად, თქვენ გინდათ ახმეტელი და ყიფიანი. ახლავე. *(კარებისკენ გაემართა)* ისინი უკვე მოვიდოდნენ. არასოდეს იგვიანებენ. წესიერი ბავშვები არიან.

თომა – *(შემოიხედა)* უფროსო, შემოვიყვანო?

კოტე – მაგას რა კითხვა უნდა, ბიჭო! *(თომას შემოყავს ცისია. კოტე ზეიმობს)* ამხანაგო ვახტანგ, ახლა უკვე სამნი ვართ, რომ გეუბნებოდით!

ვახტანგ – ჰო, იმ ორსაც მოვიყვან და ხუთნი იქნებით! ბრწყინვალე ამოცანაა! *(ცისია შენიშნა, ხელი ჩამოართვა)* ჩვენ, მგონი, ერთხელ უკვე... მოიცათ, არ მითხრათ... ქალბატონი გურანდა, „თბილისის“ რედაქციიდან.

ცისია – *(თვალებგაბრწყინებული)* დიახ. *(კოტემ კუშტად შეხედა თომას)*

ვახტანგ – კარგი წერილი იყო, ყველას მოგვეწონა. დაბრძანდით, მე ახლავე. იცნობდეთ, ჩვენი რაიონის მილიციიდან არიან.

ცისია – ჩვენ ერთმანეთს უკვე ვიცნობთ. *(ვახტანგი გავიდა. პაუზა)*

კოტე – ბიჭო, ეს მერამდენედ უნდა ჩამაგდო უხერხულში?

თომა – უფროსო, ყველა დეტალი ჩემს ეჭვებს ამაგრებდა! *(ცისიას)* დილას რატომ არ მობრძანდით განყოფილებაში?

ცისია – ვიყავი! მაგრამ ერთი ფეხით გამასწარით... ისე, რომ იცოდეთ, მე ეს სკოლა დავამთავრე და ყველას ვიცნობ. მარტო დირექტორია ახალი. ამბობენ უუმური კაციაო.

ვახტანგ – *(შემოვიდა)* ისინი ახლავე გეახლებიან. *(დაჯდა)* მოულოდნელი სტუმრობაა: ორი მილიციელი და გაზეთის წარმომადგენელი. რამე დააშავეს ჩემმა ბიჭებმა?

კოტე – მოზარდის დაკითხვას უნდა ესწრებოდეს ან მშობელი, ან პედაგოგი. ასეთია წესი.

ვახტანგ – ამ შემთხვევაში კანონს გადაჭარბებით ვიცავთ: პრესის წარმომადგენელიც გვესწრება. *(შემოდიან ბაჩო და ნიკუშა)*

ბიჭები – შეიძლება?

ვახტანგ – შეიძლება კი არა, თქვენ გელოდებათ თამადა. დასხედით. ესენი მილიციიდან არიან. ეს ახალგაზრდა ქალბატონი კი გაზეთიდანაა.

ბიჭები – ვიცნობთ. სამივეს ვიცნობთ. გვქონდა ბედნიერება.

ვახტანგ – რაო, ბიჭებო, მასახელეთ?

ბაჩუკი – გაუგებრობა მოხდა. გუშინვე გავარკვიეთ და ბოდიშიც მოგვიხადეს.

კოტე – *(ნიკუშაზე)* აის ყმაწვილი, ჩუმად რო ზის, გუშინაც ასე მამა აბრამის ბატკანივით იყო. ეგ ყოფილა, რაც ყოფილა!

ვახტანგ – გამაგებინეთ, რა მოხდა?

კოტე – ეხლავე, ბატონო დირექტორო! ორივე დავაკავეთ ერთ საქმეზე...

ბაჩუკი – თქვას, რა საქმეზე!

კოტე – ვიტყვი, დამაცადე! *(ნიკუშაზე)* ამან თქვა, რომ გიორგი ყიფიანის შვილია. მოგვატყუა!

ვახტანგ – საბუთები არ გაუსინჯეთ?

კოტე – საბუთის მიხედვით მართლა გიორგი ყიფიანის შვილია.

ვახტანგ – მაშ ტყუილი რადაა?

კოტე – ჩვენ გვეგინა, რომ იმ ყიფიანის შვილია. *(თითი ჭერისკენ ასწია)*

ნიკუშა – *(შეტევაზე გადავიდა)* მე გითხარით, რომ იმ ყიფიანის შვილი ვარ? *(თითი ჭერისკენ ასწია)*

ვახტანგი – დააცადე, უფროსი ლაპარაკობს!

კოტე – *(ცოტათი დაბნეული)* არა, მაგრამ ჩვენ ასე ვიფიქრეთ.

ცისია – სიმართლე გითხრათ, მეც ასე ვიფიქრე.

ნიკუშა – რატომ იფიქრეთ? *(ცისიას)* თქვენ მკითხეთ, შენი ვინ არისო გიორგი ყიფიანი. მე გიპასუხეთ, რომ მამაა ჩემი. კარგი მამა მყავს და რა უფლება მაქვს, მამობა წავართვა?

ცისია – მაგაზე არ გედავებიან.

ნიკუშა – მე მეტი არაფერი მითქვამს. სხვა რა დავაშავე?

კოტე – შენ იცოდი, რომ ჩვენ ის გიორგი ყიფიანი ვიგულისხმეთ *(თითი კვლავ ზემოთ ასწია).*

ნიკუშა – თქვენ რა იგულისხმეთ, ამაზე პასუხი მე ვაგო?

კოტე – მოიცა, ეხლა გამახსენდა! რომ გკითხეთ, გიორგი ყიფიანი შენი ვინ არისო, მე მაშინაც თითი ზემოთ ავწიე.

ბაჩუკი – ნიკუშ, ახლა შენ ტყუი. თითით მაინც უნდა დაგეზუსტებინა, იმ გიორგი ყიფიანს გულისხმობთ თუ იმ გიორგი ყიფიანს-თქო. *(თითი ჯერ ზემოთ ასწია, მერე – ქვემოთ.)*

ნიკუშა – მამაჩემი ჩემთვის მუდამ ის გიორგი ყიფიანია! *(თითი ზემოთ ასწია)* მერე რა ვუყოთ, რომ ზემოთ ძრომა არ ეხერხება!

ვახტანგ – მერე, მერე?

კოტე – რა მერე? გავუშვით, რა გვექნა?

ვახტანგ – თუ დამნაშვე იყო, რატომ გაუშვით?

კოტე – თქვენ არ გაუშვებდით?

ვახტანგ – სახლამდე კი არ მივაცილებდი? *(გაიცინა. კოტეც აჰყვა. სხვებიც გახალისდნენ)*

კოტე – ცოტა ხანში გვირეკავს, ესა, მამა აბრამის ბატკანი, გიორგი ყიფიანი ვარ და მეორეც გაუშვითო.

ვახტანგ – და მეორეც გაუშვით!

კოტე – თქვენ არ გაუშვებდით?

თომა – თან ისეთ რამეს შეჰპირდა უფროსს, დროზე რომ არ დაგვედგინა, დიდ სირცხვილს ვჭამდით!

კოტე – თომა, შენ ხო გითხარი მომპასი და კუბამეტრი?

ვახტანგ – რას შეჰპირდი, ნიკუშ?

კოტე – არ არის საჭირო!

ვახტანგ – როგორ დაადგინეთ, რომ მოგატყუათ?

კოტე – გაზეთში წავიკითხეთ, რომ გიორგი ყიფიანი საბჭოთა კავშირის პარლამენტართა შემადგენლობაში საფრანგეთიდან ინგლისში გაფრინდაო. რა უნდა, პატარა ანალიზი და მორჩა!

ვახტანგ – იოლად გადარჩენილხართ! ეს ყიფიანი *(თითით ნიკუშაზე ანიშნა)* გვირაბს გათხრიდა და ახმეტელს დაიხსნიდა.

კოტე – ბოდიში მომითხოვია და, ისე ვატყობ, თქვენ დამნაშავეებზე ხელის დაფარება გყვარებიათ.

ვახტანგ – მართალი ხართ. სწორედ ამან გადაგარჩინათ, რომ თქვენს შესახებ თქვენს მინისტრს არ ვწერ. რას ჰქვია გიორგი ყიფიანის შვილია? თუ დანაშაული ჩაიდინა, პასუხიც უნდა აგებინოთ! სამართალს ემსახურებით თუ ვიღაცის სავარძელს?

კოტე – მოითმინეთ, ამხანაგო, რატომ ცხარობთ? ჩვენ აქ განა საჩხუბრად მოვედით? *(ცისიას)* რას იწერთ, რომ იწერთ, აქ ჩვენ შინაურულად ვლაპარაკობთ! *(ვახტანგს)* მე მინდა, გაგაფრთხილოთ, ჯერ ბავშვები არიან და, რომ გაიზრდებიან, შეიძლება ისეთი ტყუილი დაგვიხეთქონ, ქვეყანა გადარიონ, ისედაც უკვე ირევა. რა საჭიროა ესეთი სიტყვები?

ვახტანგ – როგორი?

კოტე – აი, რაც თქვით. ჩვენ არავის ვეპადხალიმებით. აქ, უბრალოდ, პატივისცემის ამბავია. მე ვიცი, რო თქვენს სკოლაში კაი ხალხის შვილები სწავლობენ. ვინმემ რო გთხოვოთ, ან ნიშანი აუწიე, ან ოქროს მედალზე...

ვახტანგ – თქვენი სახელი?

კოტე – კოტე.

ვახტანგ – ბატონო კოტე, მე კიდევ ერთი სისუსტე მჭირს: ასაკით ჩემზე უფროს ადამიანს ერთ შეცდომას ვპატიობ.

თომა – ამან სიტყვის მასალად თქვა ბატონო...

კოტე – *(გაბეზრებით)* არ მინდა რა, შენი ვექილობა! ბატონო დირექტორო, თუ თქვენ გულწრფელი ხართ, რომ გეწყინათ, ნიშანზე და ოქროს მედალზე...

ვახტანგ – მე გაგაფრთხილეთ, რომ ასაკით უფროსს მხოლოდ ერთ შეცდომას...
კოტე – *(ხელები ასწია)* ბოდიში! საოცარი ახლაგაზრდა ბრძანებულხართ. გაზეთებში რო წერდნენ, არა მჯეროდა. ახლა ვრწმუნდები.
ვახტანგ – რაში?
კოტე – რომ მფრინავი თეფშებით მართლა ჩამოდიან მთვარიდან.
ცისია – დაჭერის მოტივი მართლა კურიოზი იყო, ბატონო დირექტორო!
კოტე – არ არის საჭირო, გენაცვალე, ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს.!
ცისია – ჩემს რედაქტორს რომ ვუამბე, ჯერ სიცილით მოკვდა, მერე...
კოტე – რა, მერე?
ცისია – მერე გაბრაზდა და წერილი გაამზადეო. სათაურიც კი მიკარნახა.
კოტე – რა სათაური?
ცისია – უმჯობესია, არ იცოდეთ.
კოტე – *(დამდურულივით წამოხტა)* კარგად ბრძანდებოდეთ! *(კარებში გასვლისას თომას)* იმიტომაც ბერდები ეგრე მლაჩად! *(მილიციელები გავიდნენ)*
ცისია – *(ვახტანგს ხელი ჩამოართვა)* გმადლობთ.
ვახტანგ – რისთვის?
ცისია – ბორჯომის მატარებელი საღამოს ხუთ საათზე გადის.
ვახტანგ – *(გაიცინა)* კიდევ კარგი, ჩემი ტელეფონი დაკავებული არ იყო!
ცისია – სამაგიეროდ ვენერა მასწავლებელი გადავრიე, ყურიდან ავაგლიჯე ყურმილი.
ვახტანგ – თქვენ კი რა ჩაიდინეთ, სიამის ტყუპებო?
ბაჩუკი – ძველი დირექტორი სიავის ტყუპებს გვეძახდა.
სერგო – *(შემოვარდა)* ვახტანგ, რადიო ჩართე! სამხრეთ ოსეთი გარბის! *(რადიო ჩართო, ისეთი იდილიური მუსიკა ისმის, სამყაროს შექმნას რომ წარმოიდგენ)* გაგიუდები კაცი!
ვახტანგ – სად გარბის?
სერგო – რუსეთში. ჩვენმა ხელისუფლებამ მათი გადაწყვეტილება ბათილად სცნო. *(რადიოს მისჩერებია)* კაცო, სამასწავლებლოში სხვა რადიოა? *(ზარი)*
ვახტანგ – აბა, ყმაწვილებო და ქალიშვილებო, შეესიეთ მეცნიერების მწვერვალებს! *(მოსწავლეები გადიან)* დაბრუნდით! *(ბავშვები ისევ შემოვიდნენ და შეაჩერდნენ ვახტანგს)* ახლა წადით! *(ბავშვები სწრაფად გადიან)* დაბრუნდით! *(ახლა უკვე დაბნეული ბავშვები შემობრუნდნენ და თავდახრილები ელიან ახალ ბრძანებას. პაუზა)* შევარცხვინე თქვენი რაინდობა, სიამის ტყუპებო! ჯერ ქალიშვილი უნდა გაატაროთ! *(ცისია თავაწეული, მედიდურად გავიდა „ტყუპებს“ შუა. გაჰყვნენ ბიჭებიც)*
სერგო – კარგები არიან ეს მაიმუნები!
ვახტანგ – კარგები კი არიან, მაგრამ, ნეტავ, რას უმზადებს მომავალი? *(ტელეფონი. სწრაფად აიღო ყურმილი.)* ბატონო!.. არა, ჯერ არაფერი, ველოდები... გმადლობ, ჩემო ბადრი. *(ყურმილი დადო)* სიბნელეში დამწყვდეულ ხარებს ჰგვანან, დღის სინათლე უცებ რომ იხილეს.
ოთარი – *(შემოდის. ორივეს ხელი ჩამოართვა, მომცრო „დიპლომატი“ დადო მაგიდაზე, დაჯდა. ვახტანგს)* ვახტანგ საყვარელიძე თქვენ ბრძანდებით?
ვახტანგ – დიახ.
ოთარი – მივხვდი. მითხრეს, ახალგაზრდაო, მაგრამ ასე ახალგაზრდა თუ იყავით... მე ცეკადან ვარ. ინსტრუქტორი.
ვახტანგ – მივხვდი. მე თქვენ გელოდით. ყოველდღე: როგორც გათენება-დაღამებას ელოდება კაცი.
ოთარი – *(დიდსულოვნად გაიღიმა)* ჩემი მოსვლა როგორ გესახებათ, დაღამებად თუ გათენებად?
ვახტანგ – დაღამება-გათენების საკითხი ცენტრალურ კომიტეტში არ წყდება. ეს დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს.

ოთარი – დღეს აღარა, საჯაროობის პირობებში, თორემ ადრე ბევრისთვის კი წყდებოდა! *(გაიცინა. „დიპლომატი“ გახსნა და ისევ დახურა)* მე თქვენთან მინდა სამი საკითხი დავაზუსტო.

ვახტანგ – *(გაეცინა)* დღეს აქ ვინც მოდის, ყველა არითმეტიკით იწყებს.

ოთარი – ოღონდ, მინდა, პარტორგანიზაციის მდივანი გვესწრებოდეს.

ვახტანგ – აკი გითხარით, გელოდებოდით და თადარიგი დავიჭირე *(სერგოზე ანიშნა).*

ოთარი – სასიამოვნოა!.. *(ჩაახველა)* გარდაქმნა, რომელიც პარტიამ წამოიწყო, ასე ვთქვათ, ზემოდან, დროული და მისასალმებელია. მაგრამ, დასამალი არ არის, რომ ადგილებზე, ზოგან, რა თქმა უნდა, ეს გარდაქმნა მახინჯ ფორმებს ღებულობს.

ვახტანგ – წეღან რადიო დაახლოებით მაგას ლაპარაკობდა.

ოთარი – დიახ. ეს მახინჯი ფორმები განსაკუთრებით თავს იჩენს ახლაგაზრდებში. სკოლებში გაკვეთილები ცდება, მოსწავლე ახალგაზრდობა ქუჩაში გავიდა...

ვახტანგ – და, საერთოდ, თავს გავიდა.

ოთარი – მართალი ბრძანდებით. სადირექტივო ორგანოებიდან ასეთი ინსტრუქციაა: დედაქალაქში მოსალოდნელია ახალი მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვა. გევალებათ, დააკავოთ ბავშვები. არც ერთი მოსწავლე მიტინგზე! შემოიღეთ კონტროლი! ჩვენ შევამოწმებთ, დავადგენთ, რომელი სკოლის მოსწავლეები იქნებიან მომიტინგეებთან და იმ სასწავლებლის ადმინისტრაციას სასტიკად დავსჯით!

ვახტანგ – *(გულუბრყვილობას თამაშობს)* მაპატიეთ და ერთი ვერ მოვიცალე გამევლო, მაინც რას ითხოვენ იმ მიტინგზე?

ოთარი – რას მოითხოვენ, არ იცით?

ვახტანგ – არა, რატომ ვამბობ, იცით? თუ სისულელეს მოითხოვენ, ხალხი მიხვდება და სულელებს აღარ გაეკარება. ამას რად უნდა დირექტივა? თუ ჭკვიანურს მოითხოვენ, თქვენც ყური დაუგდეთ და გაითვალისწინეთ. მაშინ მიტინგებიც აღარ გაიმართება.

ოთარი – ასე მარტივად არ დგას საკითხი.

ვახტანგ – მე მგონი, პირიქით, ვართულებთ საკითხს. სამართლიან და თავმოყვარე მთავრობას მიტინგს არ უნდა უმართავდნენ. და თუ გაუმართავენ, ამისი არ უნდა ეშინოდეს.

ოთარი – მაგ ლოგიკით გამოდის, რადგან მიტინგები იმართება, ეს ხელისუფლება უსამართლოა?

ვახტანგ – სამართლიანია, ბატონო! ამიტომ მჯერა, თუ მომიტინგეები სისულელეს ქადაგებენ, მსმენელი მალე შემოეცლება.

ოთარი – რა შემოეცლება, დღითი დღე ემატება!

ვახტანგ – დავიჯერო, ჩვენს ხალხს ამდენი სულელი ჰყავს? იქნებ მომიტინგეებიც რაღაც გონიერს ლაპარაკობენ და ხალხი ამიტომ ეტანება?

ოთარი – თქვენ პარტიული ბრძანდებით?

ვახტანგ – ამას რა მნიშვნელობა აქვს? ჩვენ ხომ პარტიულებისა და უპარტიოების ბლოკი ვართ? *(ოთარმა დაკვირვებით შეხედა: გულწრფელია თუ ასულელებს? ტელეფონი)* ბატონო!.. (*ყურმილი გაბრაზებით დადო)* ზარი აქ იყო და ყურმილში ვიღაც ქალი ზესტაფონს გაჰკიოდა! *(ოთარს)* მაპატიეთ, ჩვენს სკოლაზე ბრძანებდით.

ოთარი – დიახ. *(„დიპლომატი“ გახსნა, ქაღალდები გადასინჯა)* თქვენი სკოლის სამი მოსწავლე ძლიან აქტიურად მონაწილეობს მიტინგებში. უკაცრავად, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მინდა, გვესწრებოდეს.

ვახტანგ – ის ახლა გაკვეთლიზეა.

ოთარი – აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი წყდება.

ვახტანგ – რას ვიზამთ. ბატონო სერგო, მოიყვანეთ გელა თავაძე. *(სერგო გავიდა)* თქვენ სამი საკითხის დასაზუსტებლად მობრძანდით.

ოთარი – დიახ.

ვახტანგ – პირველი მოათავეთ?

ოთარი – ჯერ მოვიდეს თქვენი მდივანი.

ვახტანგ – კეთილი. ეს ფორმალურობაც დავიცვათ. არა, ნუ შემეკამათებით! მე ვიცნობ ჩვენს მდივანს. მან რომ დაუშალოს იმ სამ მოსწავლეს, ისინი ღამეც აღარ დატოვებენ მიტინგებს.

ოთარი – ეგეც დისიდენტობს?

ვახტანგ – არა! მაშინ ხომ თავაძეც გეწერებოდათ მაგ სიაში. უავტორიტეტოა. *(შემოდიან სერგო და გელა)*

გელა – *(ხაზგასმული მოწიწებით)* გამარჯობათ. (*ვახტანგმა ხელით ანიშნა, დამჯდარიყო)*

ოთარი – ეს სამი მოსწავლე გახლავთ ცისია ჯიშიაშვილი, ბაჩუკი ახმეტელი და ნიკო ყიფიანი. *(გელას)* თქვენ მათ ახლოს იცნობთ?

გელა – ერთ კლასში ვართ.

ოთარი – დამიხასიათედ ისინი.

გელა – *(შეათვალიერა ვახტანგი და სერგო)* როგორ გითხრათ, არ ვიცი, რაზეა საუბარი.

ოთარი – ქალაქში რაც ხდება, იცით. მოგწონთ?

გელა – როგორ გითხრათ... მე პირადად, არ მომწონს.

ოთარი – მერე? თქვენ ამ ახლფაზრდების წინამძღოლი ხართ. „პირადად“ რას მიქვია, ვერ აუხსნი შენს ამხანაგებს, შენს პოზიციას ვერ გააცნობ?

გელა – ბევრიც გავაცანი, მაგრამ...

ოთარი – რა, მაგრამ?

გელა – აქ იგნორირებას მიკეთებენ.

ოთარი – ვინ?

გელა – როგორ გითხრათ...

ოთარი – გასაგებია. ამაზე გაგესაუბრებიან, სადაც საჭიროა.

ვახტანგ – ნუ გიკვირთ, ჩემო ბატონო, ახალგაზრდობა ისეა გაზრდილი, თუ უფროსმა არ უკარნახა, თავის გვარსაც კი დარწმუნებით ვერ გეტყვით. მით უმეტეს, თქვენ ცოტა სახიფათო კითხვები დაუსვით.

ოთარი – *(გელას)* კარგი, თავისუფალი ბრძანდებით. *(გელა სწრაფად გადის)* ამხანაგებო, ვითარება ძალზე სერიოზულია. ბატონ სერგოს დიდი შრომა მართებს. *(სერგოს)* თქვენი უშუალო პასუხისმგებლობაა, ასწავლოთ ამ ბიჭს თანატოლების ხელმძღვანელობა, ჩვენ ცას არ გამოვეკერებით. ჩვენს მერე ამისნაირებმა უნდა მართონ ქვეყანა.

ვახტანგ – ახლა რაღა, სკოლას ამთავრებენ. რაც ამ ბიჭს შეეხება, ქვეყნის მართვას არა, მაგრამ იმას კი დაგპირდებით, რომ თავისი გვარის დამოუკიდებლად წარმოთქმას შევასწავლით.

ოთარი – მოდით საკითხს ნუ გადავუხვევთ. გითხარით, მდგომარეობა კრიტიკულია. ეს მიტინგები, რაც შეიძლება მალე, უნდა აღიკვეთოს. ეს არ არის შეუძლებელი. ყველა სკოლის დირექტორმა რომ არ გააკაროს თავისი ბავშვები მომიტინგეებს, ყველა წარმოება-დაწესებულებების დირექტორებმა – თავისი მუშა-მოსამსახურეები, იმ ორატორებს მსმენელი აღარ ეყოლებათ.

ვახტანგ – ენა ადვილად იტყვის! თქვენ ერთხელ მაინც, წამით მაინც, შეჩერებულხართ მომიტინგეებთან? ნუ მიპასუხებთ, მხოლოდ თქვენს გულში ჩაიბრუნეთ თვალები! *(ხანგრძლივი პაუზა)*

ოთარი – მე ამ ხმაურის შედეგს ვერ ვხედავ. აიკლეს პროსპექტი. რომელიღაც ბრძენს უთქვამს, გვარი დამავიწყდა: ქათამი ერთ კვერცხს დადებს და ისეთ კრიახს ატეხს, თითქოს პლანეტა დადო!

ვახტანგ – რად მინდა ქათმის დადებული პლანეტა ან საზამთრო, მისი ხელობა კვერცხის დებაა და ისიც თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. იმიტომ კრიახობს, მოხედე ამ კვერცხს, ძაღლმა და ღორმა არ შეჭამოსო.

ოთარი – მაგითი რა გინდათ, თქვათ?

ვახტანგ – ისა, რომ ქათამმა ჭკუით არ უნდა გვაჯობოს. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს!

ოთარი – სწორედ მაგას გეუბნებით. ხომ გაგაცანით ზემდგომი ორგანოების დირექტივა?

ვახტანგ – *(გაცხარებით)* ამაზე გრიგოლ ორბელიანს აქვს ერთი ფრთიანი გამოთქმა, იმას ვერ შემოგკადრებთ. ბატონო, დაგუბებულმა ნიაღვარმა გადმოხეთქა და თქვენ გვეუბნებით, შეაკავეთო. ვერ შევაკავებთ! ჩვენი საქმეა, სწორი კალაპოტი მივუჩინოთ, სწორ კვალში ჩავაყენოთ, შორს ნუ ვდგავართ, ნურც ცალ-ცალკე! ყველანი ერთი ცეცხლისანი ვართ! ბატონო სერგო, თქვით რამე, ვტყუი?

სერგო – რომელსაც გისმენთ, ისა მგონია მართალი! დავიბენი, მოლას დღეში ვარ... *(ზარი)*

ოთარი – აი, უკვე ერთი აკადემიური საათი გავიდა ამ კამათში და ვერ შევთანხმდით. *(ქაღალდებს ჩახედა)* თუ შეიძლება, პედაგოგ იზა ღლონტს სთხოვეთ, არსად წავიდეს.

ვახტაგ – იმას ბოლო საათები აქვს. ახლა ოლიმპიადისთვის ემზადება.

ოთარი – რომელი ოლიმპიადისთვის? *(სერგო გავიდა)*

ვახტანგ – მოსწავლეთა. ბავშვისთვის წერს რეფერატს. იმ დღეს დავუშალე და ისტერიკები დაიმართა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მავიწროვებო!

ოთარი – რამდენადაც ვიცი, ყველა სკოლაში ასე აკეთებენ.

ვახტანგ – მეორე საკითხზე გადავდივართ?

ოთარი – პირველი საკითხი რომ ამოვწუროთ, გაცნობებთ, რომ იმ სამი მოსწავლის საქმე ძალზე სერიოზულად არის. შეიძლება მათი იზოლირება გადაწყვიტონ კომპეტენტურმა ორგანოებმა. ამას საიდუმლოდ გიცხადებთ. *(სერგო და იზა შემოდიან)*

ვახტანგ – რას აშავებენ?

ოთარი – შემჩნეული არიან აკრძალული ლიტერატურის გავრცელებაში. განსაკუთრებით ის გოგონა. ეს კი ძალზე უარყოფითად იმოქმედებს თქვენი და თქვენი პარტორგანიზაციის მდივნის სამსახურებრივ მდგომარეობაზე. იმას კი, აქ რომ იყო, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, უბრალოდ, გადაირჩევენ. თუმცა, პირად საქმეში ჩაუწერენ და ეს მის კარიერაზე იმოქმედებს.

ვახტანგ – უკვე გადაგიწყვეტიათ.

ოთარი – არის ასეთი პროექტი.

ვახტანგ – მაშინ თქვენ რაღად შეწუხდით?

ოთარი – დამიჯერეთ... გულწრფელად განვიცდი. არც ის ბავშვები მემეტება, თქვენც... მომეწონეთ...

ვახტანგ – მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობა...

ოთარი – ასეა. *(ზარი. ახლა შენიშნა სერგო და იზა)* დაბრძანდით.

ვახტანგ – მაშინ ასე შევთანხმდეთ. მეც მაკისრია მოვალეობა, ამას ცოტა სხვა სახელი ჰქვია, და მას, რაც უნდა მოხდეს, შევასრულებ! და ვერც იმ სამ ბავშვს დავუთმობ კომპეტენტურ ორგანოებს! *(ტელეფონი)* მაპატიეთ. *(ყურმილი სწრაფად აიღო)* შენა ხარ?.. კაცო, ამდენი დაგვიანება?.. უკვე?.. მგონი თუ ნაღდად?.. ნაღდად! ქსივი ეგეთია? აბა, თქვენ იცით, უთხარი,

ცეკადან დარეკილია-თქო! *(დადო ყურმილი. ერთხანს „იქ“ არის, საიდანაც დაურეკეს)*

ოთარი – *(იზას)* თქვენი საჩივარი სამინისტრომ ჩვენ გადმოგვიგზავნა რეაგირებისთვის.

ვახტანგ – რა ოპერატიულობაა, ბატონო სერგო!

ოთარი – ამხანაგი მორჩილაძე ყველა საკითხს ჩვენ გვითანხმებს... *(იზას)* თქვენ ადასტურებთ, რაც აქ წერია?

იზა – *(მოგვიანებით)* დიახ.

ოთარი – *(ვახტანგს)* რამდენადაც ვიცი, თქვენ გაეცანით ამხანაგ ღლონტის საჩივარს.

ვახტანგ – ნოველასავით იკითხება!

ოთარი – თქვენ თვითნებურად არღვევთ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამას და თქვენი შეხედულებისამებრ ანაწილებთ საათებს.

ვახტანგ – მართალია. და ქალბატონ იზას დააკლდა საათები.

იზა – ოთხი საათი!

ოთარი – ვის მოუმატეთ?

ვახტანგ – საჩივარში გიწერიათ!

ოთარი – *(კითხულობს)* ახალგაზრდა მასწავლებელს ეკა ქუთათელაძეს, რომელთანაც...

ვახტანგ – *(უხეშად)* მაგ სიბინძურეს ნუ წაიკითხავთ! კიდევ ვის მოუმატე?

ოთარი – *(კითხულობს)* სერგო ღამბაშიძეს.

ვახტანგ – რა ბნელი ზრახვითაო?

ოთარი – *(კითხულობს)* რათა მხარდაჭერა მოეპოვებინა პარტკომის მხრიდან.

სერგო – *(უხერხულად)* ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ცარცის მტვერი ათი კილო მექნება გადაყლაპული. ვიცი სკოლის ინტრიგები...

იზა – რა ინტრიგები, ბატონო სერგო, ხომ შეამოწმეს ეკა ქუთათელაძის მუშაობა? რაიონმა, ქალაქის განყოფილებამ? რა დასკვნები ჩაგვიწერეს? და ასეთ პედაგოგს დამატებით საათებს ვაძლევთ?!

ვახტანგ – მე მათ ავუკრძალე ჩემს სკოლაში შემოსვლა...

იზა – ჩემს სკოლაშიო, გესმით? ამისი სკოლა ყოფილა!

ვახტანგ – თუკი ვამაყობთ, რომ ეს თეატრი ამ რეჟისორისაა, ის – იმ რეჟისორის, სკოლაც ხომ ხელოვნებაა, უფრო რთული, უფრო სინთეზური, რომელიც არანაირ ჩარჩოსა და მოდელში არ თავსდება. იმათ კი ნაფტალინიდან ამოიღეს რაღაც თარგი და ვერ ჩაჯდა, ბატონო, ეკა ქუთათელაძის გაკვეთილები ამ თარგში!

სერგო – *(ოთარს)* თუ სიმართლე გნებავთ, ამ ხნის კაცი, დრო რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ ეკა მასწავლებელს.

ვახტანგ – *(აგზნებული)* ბატონო სერგო! *(უჯრიდან ქაღალდის გრაგნილი ამოიღო)* სტუმარს გააცანით, თქვენ ზეპირად იცით. *(ოთარს)* ეგ ცხრილი სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბადის მიხედვით არის შედგენილი. დამამთავრებელი კლასი ავიღოთ, ბატონო სერგო! ინგლისურს კვირაში რამდენი საათი აქვს დათმობილი?

სერგო – რვა.

ვახტანგ – რუსულს?

სერგო – ოთხი.

ვახტანგ – ქართულს?

სერგო – სამი.

ვახტანგ – სადა ვცხოვრობთ? ინგლისში თუ რუსეთში? ახლა საქართველოს ისტორია დათვალეთ. მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასებს სულ ოცდაათი საათი მიუგდეს! სახელმძღვანელოში დავით აღმაშენებელზე ნახევარი

გვერდი გაიმეტეს, ეს არის საქართველოს განათლების სამინისტრო? კი ბატონო, დიდია ტოლსტოი და პეტრე დიდი, მაგრამ მე მინდა, ჩვენი ბავშვები ვლადიკავკასიდან ტფილისამდე ილიასთან ერთად ვამგზავრო, ლელთ ღუნიასთან ერთად დიდხანს ვამასლაათო, იმისი ნესტრით დავუჩხვლიტო გულები, ნულიდან მეათე კლასამდე, სანამ ჩვენს ხელში იქნებიან! *(პაუზა)*

ოთარი – რასაც ამბობთ, ეგ მართალია... მაგრამ... ამხანაგო ვახტანგ, თქვენ მთვარიდან ხომ არ ჩამოხვედით?

ვახტანგ – რაკეტაზე გადამსხდრები რომ ჩავუქროლებთ ჩვენს წინაპრებს, ბავშვებს ცოტათი მაინც დავამახსოვროთ წინაპართა სახეები! *(მოლბა)* ბატონო ოთარ, ეშმაკს ძალიან უნდა, რომ ჩვენი სულები იყიდოს, ნუ ვიზამთ, ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, ვისი გორისანი არიან!

ოთარი – *(სერგოს და იზას)* თქვენი დირექტორი ნამდვილად მფრინავ თეფშს მოჰყოლია.

ვახტანგ – ეგ დღეს უკვე მითხრა ერთმა. ასე რომ, მე საათები ეკა ქუთათელაძისა და სერგო ღამბაშიძისთვის არ მომიმატებია. მე მოვუმატე ქართულისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლებს. ხოლო ერთი რომ ძალიან ლამაზი და ახალგაზრდა ქალიშვილია და მეორე – პარტორგანიზაციის მდივანი, ამაში მე დანაშაული არ მიმიძღვის! *(ტელეფონი)* ბატონო სერგო, თუ ხათრი გაქვთ, უპასუხეთ. ახლა, ალბათ, სამტრედია ენდომებათ, იქაური ხართ.

სერგო – *(ყურმილში)* გისმენთ... სკოლაა... ახლავე. *(ვახტანგს ყურმილი გაუწოდა)*

ვახტანგ – *(სწრაფად გამოართვა)* ჰო... *(გაიბადრა)* გმადლობ... კარგად დააკვირდით? იქნებ სულ პატარა მაინც... ესე იგი, დარეკვამ არ გაჭრა?.. რამდენი? ორმოცდათერთმეტი. ზუსტად ოთხი? ბიჭი რომ ყოფილიყო, ასი გრამით მძიმე იქნებოდა... მოკითხვა ნინოს და პატარა ქალბატონს! *(დადო ყურმილი, დაღლილივით. სახაზავით მაგიდაზე მოზომა. კმაყოფილი დარჩა)*

სერგო – *(ვახტანგი გადაკოცნა)* გილოცავ, ჩემო ვახტანგ! *(ოთარმა და იზამაც მიულოცეს)*

ვახტანგ – მაპატიეთ ამ საქმიანი თათბირის დროს ეს პატარა ლირიკული გადახვევა.

ოთარი – აი, თუნდა მაგ ბავშვისთვის უნდა იზრუნოთ და კარიერა არ გაიფუჭოთ.

ვახტანგ – სწორედ მაგ ბავშვზე ვზრუნავ და იმათზეც, ახლა მასთან, პალატაში რომ გალობენ.

ოთარი – დინების საწინააღმდეგოდ ნუ მიდიხართ!

ვახტანგ – თუ ეს დინება ზღვაში დამნთქავს, მის საწინააღმდეგოდ ყოველთვის ვივლი.

ოთარი – *(საათზე დაიხედა)* რა გაეწყობა! ყველაზე მძიმე დღეში მე ვარ, ღირსეულად ვერ მოგილოცავთ შვილის შეძენას... რითაც მოვედი, იმითი ვბრუნდები. ძალიანაც მომწონხართ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით. დირექციის მხრიდან თვითნებობას ნამდვილად აქვს ადგილი, ამხანაგ იზა ღლონტის საჩივარში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, ამას თუ დავუმატებთ იმ სამი მოსწავლის საქციელს, ბრძანების პროექტი ძალაში დარჩება.

იზა – *(წამოხტა)* მაპატიეთ და რა პროექტზეა ლაპარაკი?

ვახტანგ – ქალბატონო იზა, თქვენი ოცნება ასრულდა: მალე მეცხრე დირექტორი გეყოლებათ!

იზა – მეცხრე? რა მეცხრე? *(ოთარს)* მე მერვე დირექტორსაც კარგად ვეწყობი! დამიბრუნეთ ჩემი განცხადება!

ოთარი – ამხანაგო იზა, თქვენი საჩივარი ზღვაში წვეთია იმასთან, რაც თქვენს სკოლაში ხდება. ამას ხომ უნდა რეაგირება? ჩვენ იქ რისთვისა ვზივართ?

იზა – ისხედით, ბატონო, მაგ სკამებს არავინ გედავებათ! მაგრამ ამ კაცს რას ედავებით? მაგ განცხადების მერე რამდენი ვიფიქრე და რამდენჯერ გავიხმე ეს მარჯვენა! ჩემს ნაჯღაბნს რომ დააფრიალებთ აღმა-დაღმა, ახლა პედკოლექტივსაც დაეკითხეთ, ყველა მატროსოვივით გადაეფარება თავის დირექტორს!

ოთარი – ქალბატონო იზა, საჩივარი თქვენგან შემოვიდა ოფიციალურად და ჩვენი ვალი იყო, რეაგირება მოგვეხდინა. ხოლო იმ მატროსოვებს რა აზრი აქვთ თქვენს დირექტორზე, ოფიციალურად არავინ იცის, ჰაერზე კი ჯერ არც ერთ ინსტანციაში არ დაუდვიათ რეზოლუცია.

იზა – *(გულამომჯდარი)* მაპატიეთ, ბატონო ვახტანგ, აღარ შემიძლია! *(გავარდა. გარედან ისმის მისი ისტერიული ყვირილი: „პროექტიო! კაცის დაღუპვის პროექტი რაღა ოხრობაა!“ მძიმე პაუზა)*

ოთარი – რა ვქნა, მეც მყვანან უფროსები და მათ ტყუილს ვერ მოვახსენებ.

ვახტანგ – ტყუილი ყველაზე დიდი ცოდვაა.

ოთარი – რამდენი შემხვედრია, მოუნანიებიათ, რომ გვეგონა, ბუზს არ აიფრენდნენ, გვაპატიეთო, მუხლებზე დავარდნილან... ჩვენც ადამიანები ვართ... *(გარეთ გაურკვეველი ხმაური, რომელიც სწრაფად ახლოვდება)*

ვახტანგ – მუხლებზე დავარდნა ხატის წინ შეიძლება. ყველა სხვა შემთხვევაში მონობას ნიშნავს... რა ხდება, ბატონო სერგო?

ოთარი – კარგად ბრძანდებოდეთ! *(სწრაფად გავიდა)*

სერგო – ბატონო ვახტანგ, თქვენს მხარეს ვარ გულით, მაგრამ გონებით... ამ ჩვენს კეთილ ზდაპარს ტრაგიკული ფინალი უჩანს.

ვახტანგ – ხატოვანი გამოთქმები გიყვარს. წელან მარკ ტვენი ახსენე. „ეს შეჩვენება მიმაჩნია მე ჩემს დიდებად“, - ურიელ აკოსტაა.

ოთარი – *(შემოვარდა და თან შემოჰყვა გნიასი)* ამხანაგებო, ეს რა ხდება? არ მიშვებენ, მთელი სკოლა ფეხზე დგას! უბრძანეთ, გამატარონ! *(შემოვიდნენ ცისია, ბაჩუკი და ნიკუშა)*

ცისია – ამ სკოლაში სხვა დირექტორი ფეხს ვერ შემოადგამს!

ბაჩუკი – ეს ჩვენი სკოლის მოსწავლეთა დადგენილების პროექტია!

ნიკუშა – *(ოთარს)* ასე გადაეცით ზემოთ, პროექტების სახელოსნოში!

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ძველი ციხის ნანგრევები. შემოდის ცისია. აგზნებულია და „სადღაც“ არის. შემოდის გელა. შორიდან დროდადრო ისმის სიმღერა.

გელა – რატომ ადექი, ცისია?.. ეს რა კარგი წესი შემოიღო დირექტორმა, ყველას დაბადების დღე აღვნიშნოთ ბუნების წიაღში, რომელიმე ისტორიული ძეგლის ფონზე... ამას შემეცნებითი ღირებულებაც აქვს და კოლექტივიზმის

გრძნობასაც გაგვიღვიძებს... ნიკუშას გაუმართლა, ისტორიაში შევა: პირველი პრეცენდენტი მისი დაბადების დღე იყო. ბედი აქვს ყურუმსაღს!... ჩემი დაბადების დღე ქვათახევში უნდა ვიზეიმოთ!

ცისია – გელა... შენ რა მკითხე?

გელა – მე? *(გაახსენდა)* რად ადექი-მეთქი.

ცისია – მარტო ყოფნა მომინდა.

გელა – ესე იგი, მე მყუდროება დაგირღვიე.

ცისია – საოცრებაა! როგორ მიხვდი?

გელა – ცხოვრება საოცრებებით არის სავსე.

ცისია – მართალი ხარ. მაგრამ კიდევ უფრო გამაოცებ, თუ წახვალ!

გელა – უცებ შეგეცვალა გუნება. ვერ წარმომედგინა ერთად – ცისია და პესიმიზმი?

ცისია – ეგ შენი ფანტაზიის სიმწირის ბრალია.

გელა – თამაშობ, მაგრამ, ვიცი, არ გეჯავრები. მე ვამაყობ შენი მეგობრობით.

ცისია – რითი? *(გაიცინა)*

გელა – შენი მეგობრობით.

ცისია – მთლად მწირი ფანტაზია არა გქონია!

გელა – და ეს შენი მეგობრობა მავალებს, გაგაფრთხილო... ცისია... აღრიცხვაზე ხარ, ბაჩოც და ნიკუშაც.

ცისია – ვიცი. მაგრამ ფული გვაკლია.

გელა – ფული რად გინდა?

ცისია – აბა, მანქანას ვინ გვაჩუქებს?

გელა – რა მანქანას?

ცისია – მე და ბაჩუკი-ნიკუშა ჩამოწერილი „მოსკვიჩის“ აღრიცხვაზე ვართ და თვის ბოლოს ველოდებით. მერე ვიგრიალებთ აღმა-დაღმა მთელს საქართველოში!

გელა – როგორ გიყვარს სიტყვის ბანზე აგდება! ძალიან კარგად იცი, რა აღრიცხვაზე გაფრთხილებ.

ცისია – შენს თავს გეფიცები, წარმოდგენა არა მაქვს.

გელა – არ გინდა ცისია, მიწის ქვეშ რა ხდება, ისიც ვიცი. მე ვერ ავიტან, თავს იღუპავ და მე ამას ვერ ავიტან! *(პაუზა)*

ცისია – რითი შეგიმსუბუქო ეგ ტანჯვა?

გელა – მეც თქვენსავით თანავუგრძნობ ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ათიათასობით ადამიანს თუ ერთი გამოაკლდება, ამით არაფერი დაშავდება, გადარჩება კი ის ერთი, რომელიც ჩემთვის სიცოცხლეს ნიშნავს.

ცისია – სიცოცხლე შენ არ გესმის, რა არის. სანთელივით უნდა დაიწვა და სხვას გზა გაუნათო, ეს არის სიცოცხლე.

გელა – ეგ დიდი სიბრძნეა, მაგრამ მე მირჩევნია, ის სხვა შენ იყო და განათებულზე იარო.

ცისია – როგორ განათდება, ჰიქმეთი გახსოვს? მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ის თუ არ დაიწვა, ბნელს რა გაანათებს?

გელა – ყველა თუ დავიწვით, ბნელი კი განათდება, მაგრამ იმ განათებულზე გამვლელი რომ აღარ დარჩება?

ცისია – გამვლელი გამოჩნდება.

გელა – როდის? მანამდე ან ვირი იქნება, ან ვირის პატრონი.

ცისია – ორივე იქნება. ზოგს რომ ვუყურებ, ვირის უკვდავებაში ვრწმუნდები. ვირს კი ყოველთვის გამოუჩნდება პატრონი.

გელა – კედელს რომ ცერცვი აყარო, პატარა კვალი მაინც დააჩნდება. თუმცა ვიცი, რომ შენში კვალი ვერ დავტოვე, მაინც კმაყოფილი ვარ. აგე, შენს საძებრად წამოსულან.

ცისია – შენ ერთდროულად რამდენიმე საქმეს ასწრებ. აი, ახლა სიკვდილ-სიცოცხლის არსზე ვსაუბრობდით და ამავე დროს გარემოსაც ბეჯითად ზვერავდი.

გელა – ყველას თავისი ცერცვი აქვს შესაყრელი. მე მაინც გირჩევ: მოერიდეთ ერთად ყოფნას. ცოტა ხანს მაინც, ვიდრე „მოსკვიჩის“ საქმე გაირკვევა... იცი, რომ ორივეს უყვარხარ? ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი აღარ არის.

ცისია – ვიცი. მარტო მაგათ კი არა, მთელ ქვეყანას ვუყვარვარ.

გელა – მჯერა. მაინც ვისკენ იხრება შენი გულის სასწორი?

ცისია – ბიჭო, გულთან სასწორის ხსენება შეიძლება?

გელა – მართალი ხარ, არ შეიძლება. ახლა მითხარი.

ცისია – საიდუმლოა.

გელა – ეგ საიდუმლო ჩვენ ორში დარჩება.

ცისია – ჩვენ ორში დარჩება, თუ შენ არ გეცოდინება. *(შემოდიან ბაჩუკი და ნიკუშა, რომელსაც შამპანურის ბოთლი უჭირავს)*

ნიკუშა – ვა, გელა? საიდან? ბაჩო, ეს ყმაწვილი საიდანღაც მეცნობა!

გელა – ვითვალისწინებ, რომ იუბილარი ხარ და გპატიობ. ყველა აიშალა? ჩემი დაბადების დღე ქვათახევში უნდა აღვნიშნოთ. ბაჩო, შენი დაბადების დღე როდისღაა?

ბაჩუკი – ჩემი დაბადების დღეს შენ ვერ მოესწრები.

გელა – რატომ, მკლავ, ბიჭო?

ბაჩუკი – რასა ბრძანებ, გელა, უბრალოდ, გვიან არის და ჩვენ იმ დროს უკვე უმაღლესში ვიქნებით, ანუ დავიფანტებით. ჩემთვის სადღა გეცლება?

გელა – მოსკოვში რომ ვსწავლობდე, მაინც მოგილოცავ. რომელია შენი დაბადების დღე?

ბაჩუკი – ქრისტეს შობიდან მეორე დღეს.

ნიკუშა – ეგრე ვერ მიხვდება, ბაჩო! *(გელას)* ლენინის შობიდან რვა თვისა და ოთხი დღის შემდეგ.

გელა – *(გაიცინა)* ორივე კაი მატრებაზები ხართ! თქვენ გამო ცხრა პირი ტყავი გამაძრეს, მაგრამ თქვენზე ალალი იყოს. *(გავიდა)*

ნიკუშა – გადამაგდებინეთ ეს ბოთლი!

ბაჩუკი – *(წაიმღერა)* გადამაგდე და დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი... *(ბოთლს წაეტანა)* შიგ შამპანურია. დამისხი!

ნიკუშა – *(უსხამს, თან მღერის)* დამისხი, დამალევინე ე ღვინო ოხერ-ტიალი...

ბაჩუკი – *(ჭიქით ხელში)* ღმერთო, მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიცა გცოდე შენ საქმით, ანუ სიტყვით, ანუ გონებით...

ცისია – სულ მაგას ჩაგჩიჩინებ, ბაჩო, ნუ გიყვარს მრავალსიტყვაობა!

ბაჩუკი – რა მრავალსიტყვაობა, გოგო, ჯერ ნახევარიც არ მითქვამს.

ცისია – მანდ გონება ზედმეტია. რაც არ გაქვს, ღმერთს იმითი რა უნდა სცოდო?

ბაჩუკი – შენს შემყურეს მართლა არც უნდა მქონდეს გონება, მაგრამ ფაქტს სად გაექცევი? კარგი სადღეგრძელო უნდა მეთქვა, მაგრამ ვინ გაცდის? ნიკუშ, ცისიას გაუმარჯოს!

ცისია – ბიჭო დღეს მეშვიდეთა სვამ მაგ სადღეგრძელოს, მაგ ტვინში სხვა არხზე გადასაყვანი სენსორი არ დაგიყენა გამჩენმა?

ბაჩუკი – დამიყენა, მაგრამ რაც შენ გადაგეყარე, სხვა დანარჩენი მოიშალა.

ცისია – „პირიმზეში“ მიიტანე, იქ კარგად აკეთებენ.

ბაჩუკი – ნიკუშ, ამ როკაპს გაუმარჯოს! ზაფხულამდე გავუძლოთ და მერე იმ უმაღლესს როგორ გავეკარები, სადაც ეს საბუთებს შეიტანს?

ნიკუშა – პირიქით, ბაჩო, ჩვენც სწორედ იქ უნდა ჩავაბაროთ.

ბაჩუკი – კიდევ ხუთ წელიწადს ამას ვუყუროთ?

ნიკუშა – არც ვუყურებთ! რაც მეტი ამისთანა დებილი მეტოქე გვეყოლება, იოლად გავძვრებით. ამას პირველივე გამოცდაზე მუსრს გაავლებენ. აქ რომ ათი წელიწადი ვათრიეთ, ახლა, პასპორტშიც ხომ არ ჩავიწერთ?

ცისია – რა ჯენტლმენები ხართ ბიჭებო?

ბაჩუკი – რა ლედიცა ხარ, ისეთი ჯენტლმენები ვართ.

ცისია – თქვე რეგვენებო, ქალი რომ ქალობდეს, კაცი უნდა არსებობდეს!

ბაჩუკი – ნიკუშ, პასპორტი არ წამოგიღია? აჩვენე, რა გვიწერია: „მუუსკოი როდ“!

ნიკუშა – ჰო, წაიკითხეთ და აღივსეთ შურით, საბჭოთა ქვეყნის ვართ ვაუკაცები! *(ცისიამ სიმღერა წამოიწყო: „შირაკა მაია სტრანა რადნაია“. ბიჭებიც აჰყვნენ.)*

ცისია – ხანდახან რომ ჩავფიქრდები, ცრემლებს რომ გზა მივცე, ერთი პატარა ვერე გამოვა. ზოგს რა ბედი ერგო, მე ვინ დამსაჯა ამ ორი შტერი მუუსკოი როდის მეგობრობით?

ბაჩუკი – ცისია, ახლავე გაფრთხილებ: ატესტატებს რომ დაგვირიგებენ და დამწიფებულებს გამოგვიშვებენ, ჩემს თეთრ პერანგზე არ დავინახო შენი ავტოგრაფი!

ნიკუშა – ეგღა გვაკლია, ბაჩო, ჩვენს შვილებს ჩვენივე თავისმოსაჭრელად შემოვუნახოთ ამისი ბატისფეხური!

ცისია – რასა ბრძანებთ! უთენია რიგს დავიკავებ და მუხლებზე დაგივარდებით! დამისხი, სამადლობელი უნდა ვთქვა.

ნიკუშა – მე არ დამილევია. *(ჭიქა შეივსო)* როცა ჩვენს წინაშე დგახარ, ჩვენმა აზრებმა მხოლოდ შენს გარშემო უნდა იტრიალოს, როგორც დედამიწამ მზის ირგვლივ...

ცისია – ეგრე რა! იმიტომ მიყვარხარ, რომ შენზე კრიტიკა დადებითად მოქმედებს.

ნიკუშა – შეხე, ცისია, ბაჩუკი დაიბოღმა! რა ჩემი ბრალია, რომ ენაც მიჭრის და გონებაცა? დღეს მე და ბაჩო მართლა მეშვიდეთა ვსვამთ შენს სადღეგრძელოს. შენ რომ გიყურებ, ლადო მახსენდება: „სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი ქალების ეშხი დაგვიფარავდა“! *(დალია. ჭიქა შეავსო და ცისიას გაუწოდა)*

ცისია – სულ ქალების იმედით როგორ უნდა იყოთ, თქვე საცოდავებო? მართლა კი არ მეზიზღებით, ბიჭებო! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ათი წელი ერთ მერხზე! თქვენ კი არა, ის მერხიც მიყვარს! რა ვუყოთ, რომ თქვენ იმასთან ერთადერთი უპირატესობა გაქვთ, ლაპარაკი მაინც შეგიძლიათ. იმას გაუმარჯოს, რამაც ჩვენ გამოგვზარდა, სუნთქავს, მაგრამ ენა არა აქვს, ენა არა აქვს, მაგრამ გვაგებინებს, აქა მტკივა, დამენაყეთ და წამლად დამედეთო! *(მცირე პაუზის შემდეგ წამოიწყებს „ქარი გიმღერის ნანასა“... ცისიას ცრემლი მოერია)*

ნიკუშა – ჰო, ახალი ვერე გვინდა! *(ცისიამ ჭიქა გამოცალა და დარდიმანდი მოქეიფესავით ჭიქა ისროლა. გაიღიმა. ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს და წაიმღერეს ცნობილ ჰანგზე: „ცისია, ცისია, ქალი ლამაზი...)*

ცისია – მართლა კარგო ბიჭები ხართ. თქვენთან რომ ვარ, ერთი ლექსი მახსენდება:

„ჩვენ სიყვარულში მარად მოვრიგდით,
შევტრფით, შევხარით ერთურთს გაჩენას,
ნეტავი მომკლა განგებ ორი დღით
და თქვენი თავი ისე მაჩვენა“.

ნიკუშა – ორი დღის შემდეგ, ცისია, თვალებს რომ გაახელ, ჩვენ ვეღარ დაგვინახავ. მანამდე მე და ბაჩო, ორთაჭალჰესთან მტკვარი ღრმაა, ხელებშეკრული შევალთ და აღარ გამოვალთ. *(ცისიამ მოწყენილი თვალები მოავლო ბიჭებს და ნელი ნაბიჯით გავიდა. ნიკუშამ გახედა ბაჩუკის. ის გულაღმა გაწოლილა. თვითონაც წამოწვა)* ბაჩო... ბაჩუკი!

ბაჩუკი – ჰა?

ნიკუშა – შენ კარგად იცი, მშიშარა არა ვარ. გახსოვს, ამ ზაფხულს ზედაზენზე ბანდა რომ დაგვხვდა, დანებით...

ბაჩუკი – ცისია გვყავდა გვერდით და...

ნიკუშა – ცისია ახლაც გვერდითა გვყავს, მაგრამ მეშინია... დანიანების კი არა, ხვალისა, ზეგისა... ალბათ, ერთი ეპოქა რომ მთავრედება და სადღაც გამოუცნობში რომ უნდა შევტოპოთ... რა ბედი გვქონია, ბაჩუკი, ათი წელი ვიჯახირეთ სკოლაში და ღმერთმა ახლა გადმოგვიგდო ასეთი დირექტორი!.. აეხლა ახლაგაზრდებს რომ გვამტყუნებენ, კი, ცოტა უხეშები ვართ, ვმაიმუნობთ, რაღაცას მივედ-მოვედებით, განა არა ვგრძნობთ, აეხლა, ვახტანგმა რა უნდა მითხრას, რომ არ შევუსრულო? თუ სამინისტრომ და ცეკამ მაინც გაუხურეს...

ბაჩუკი – არ უნდა ლაპარაკი! მთელი სკოლა დავსხდებით იმათ კიბეებზე.

ნიკუშა – მეც ეგ უნდა მეთქვა. ჩვენა, ბაჩო, ერთმანეთში არც უნდა ვლაპარაკობდეთ. რაც უნდა მითხრა, წინასწარ ვიცი და რაც უნდა გიპასუხო, ეგეც ხომ იცი... ვახტანგი რომ...

ბაჩუკი – თათარი იყოს, ან რუსი...

ნიკუშა – ან სომეხი, მოკლედ, არაქართველი და მთავრობისაგან მოითხოვოს...

ბაჩუკი – ჩემი ერის ისტორიისა და ლიტერატურის სწავლებას მეტი პატივი ეცითო...

ნიკუშა – კი ბატონო, კი შენი ჭირიმე, შენ ოღონდ მოითხოვეო...

ბაჩუკი – და ერთ კაი ორდენსაც ჩამოჰკიდებდნენ!

ნიკუშა – ჰო, ეგრეა... ცისია სად გაქრა?

ბაჩუკი – ნიკუშ, რაღაც უნა გითხრა... დიდი ხანია, ვაპირებ, მაგრამ, ბოლო მომენტში...

ნიკუშა – ვეღარ ახერხებ.

ბაჩუკი – ჰო.

ნიკუშა – მეც ეგრე ვარ ბაჩუკი. ამ საღამოსაც რამდენჯერმე დავაპირე, შენთვის მეთქვა...

ბაჩუკი – ვიცი, ნიკუშ, სიამის ტყუპები ტყუილად კი არ შეგვარქვეს... ნუ იტყვი... *(სიჩუმე)* აქამდე სად არის? *(წამოჯდა)*

ნიკუშა – *(წამოჯდა, გასძახა)* ცისია! მართლა ცისაა ეს დალოცვილი! აქედან ჩემთან წავიდეთ, ბაჩო, თქვენთან ყოფნა მინდა!

ბაჩუკი – ცისია რას იტყვის? კაცო, აქამდე სად არის? ცისია!

ნიკუშა – *(ფეხებზე წამოიჭრა)* ცისია!

ბაჩუკი – *(კულისებში გავარდა ყვირილით)* ცისია! გოგო! *(შემოვარდა)* სად გაქრა? *(ბიჭები აქეთ-იქით დარბიან. ხმები: „ცისია, ცისია“! მერე შემოცვივდნენ დაფეთებულ-აქოშინებულები)*

ნიკუშა – *(განწირული ხმით)* ცისია!

ბაჩუკი – ფეხი ხომ არ დაუცდა და ხრამში...

ნიკუშა – ხომ დაიყვირებდა?

ბაჩუკი – თუ უეცრად გადავარდა... ცისია!

ნიკუშა – ცისია! *(ზარდაცემული ბიჭები ერთბაშად გაშეშდნენ. ციხის ნანგრევებიდან აზიდული გოდოლის თავზე მთელი ტანით ამართულა ცისია და ცისკენ ხელები აღუპყრია)*

ცისია – განმარინე მე, უფალო, კაცთაგან უკეთურთაგან და კაცთაგან ცრუითაგან მიხსენ მე! *(ბიჭებს)* ერთი საათი დაგეკარგეთ და თქვენ აქ დედაკაცებივით ჭორაობდით!

ნიკუშა – მანდ რა ეშმაკმა აგიყვანა, რომ ჩამოვარდნილიყავი, მერე?

ცისია – ერთი მეტოქე აბიტურიენტი მოგაკლდებოდათ, ნიკუშას ვენაცვალე!

ბაჩუკი – ფრთხილად ჩამოდი, ფეხი არ დაგიცდეს.

ცისია – ახლა ხელები რომ გავშალო და გადავფრინდე, მიწამდე ერთი წუთი ხომ მაინც ვიფრენ? ვინ იცის, ეს ერთი წუთი ფრენა სჯობია, თუ ას წელიწადს მიწაზე ღოღიალი?

ნიკუშა – მიდი, სინჯე!

ცისია – მერე შენ რა? შთაბეჭდილებას რომ ვეღარ გაგიზიარებ?

ბაჩუკი – *(თითქმის მუდარით)* ჩამოდი, ცისია! ნიკუშას ერთი ჭკვიანური აზრი მოუვიდა.

ცისია – ნიკუშას აზრი მოუვიდა და ისიც ჭკვიანური?

ბაჩუკი – ჩამოდი და გეტყვი.

ცისია – მითხარი, იქნებ ჩამოსვლად არა ღირს?

ბაჩუკი – ჩემთან წავიდეთო.

ცისია – ყოჩაღ, ნიკუშ!

ბაჩუკი – მერე, თქვენები არ გადაირევიან?

ცისია – როგორ გეკადრებათ! იმათ იციან, რომ მე ვარ ბაჩო-ბაჩუკისთან და ნიკა-ნიკუშასთან. ჩვენი ავტობუსი ხომ ჩემს ქვემოთ გაივლის?

ბაჩუკი – ჰო.

ცისია – მაშ თქვენ წადით და მე დაგეწევით. აქედან მოკლეზე გადავალ.

ნიკუშა – გოგო, ფეხი რომ დაგიცდეს, მიწამდე სული არ დაგყვება!

ცისია – მერე რა მოხდა? თამარ დედოფალი მოკვდა, ღმერთის სწორი, და მე ვინა ვარ, იმის ფერხთა მტვერიც კი არა.

ბაჩუკი – თამარ დედოფლამდე სულ ცოტა გიკლია!

ცისია – თქვე დებილებო, რა მხარგრძელებიცა ხართ, ისეთი თამარ დედოფალი კი ვიქნები! *(ნიკუშამ უცებ გულზე ხელი იტაცა, შებარბაცდა და ჩაიკეცა)*

ბაჩუკი – *(მივარდა)* ნიკუშ! ნიკუშ! შემომხედე! *(მაჯა მოუსინჯა, ლოყაზე ხელი არტყა. ცისია სწრაფად ჩამოვიდა გოდოლიდან, მერე გაუჩინარდა და შეშინებული შემოვარდა)*

ნიკუშა – *(წამოდგა, ტანსაცმელი დაიფერთხა)* ახლა წავიდეთ, როგორც ნორმალურ ადამიანებს შეჰფერით!

სამასწავლებლო. ვახტანგი, ვენერა, იზა, ცისია, ბაჩუკი, ნიკუშა.

ხმა რეპროდუქტორიდან: გუშინ, ოთხ აპრილს, დღის სამ საათზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე გაიმართა სტუდენტი ახალგაზრდობის მიტინგი, რომელიც მოაწყო ამ სასწავლებლის ეგრეთწოდებულმა პრესკლუბმა. შეიკრიბა დაახლოებით ორი ათასი კაცი. არაფორმალურ გაერთიანებათა სახელით სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც მოუწოდა დამსწრეებს, რომ ხელი შეეწყოთ რესპუბლიკაში მასობრივი გაფიცვებისა და მანიფესტაციების გამართვისათვის. ამავე დღეს, საღამოს შვიდ საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა კიდევ ერთი სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია ეროვნული დაუმორჩილებლობის, საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ. შემდეგ მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა გაემართა საქართველოს მთავრობის სასახლისაკენ, სადაც დაახლოებით ათი ათასამდე კაცის მონაწილეობით შედგა ახალი მიტინგი. დღეს დილის ხუთი საათისათვის ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა. საერთო ატმოსფერომ აშკარად მიიღო ანტისაბჭოთა ხასიათი. *(რეპროდუქტორი დადუმდა)*

სერგო – მდაა! ახალგაზრდობა აღარ ხუმრობს!

ვენერა – არც ხუმრობით დამთავრდება ეს საქმე!

სერგო – რა გინდათ, ქალბატონო, სუ ასე თავწახრილები ვიყოთ?

იზა – მე ვეთანხმები ვენერას. ეს არეულობა სიკეთეს არ მოგვიტანს. კი ბატონო, ბევრი რამ არ მოგვწონს, მაგრამ შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს.

სერგო – აუჰ, ეგ რა თქვით, ქალბატონო იზა! ეს ჭირი ოდესღაც ხომ იყო შეუჩვეველი და მერე მივეჩვიეთ? გვაცალეთ, ლხინსაც გავუსინჯოთ გემო!

იზა – მე კი გაცლით, ისინი გაცლიან?

სერგო – ვინ ისინი?

იზა – ისინი!... დაგავიწყდათ ცხრა მარტი?

სერგო – ახლა სხვა დროა, პერესტროიკა, ქალბატონო! ბატონო ვახტანგ, თქვით რამე, გუშინ ხომ იყავით დაბარებული ცეკაში თუ სამინისტროში... ნუთუ ცარიელი სიტყვებია პლურალიზმი, საჯაროობა?

იზა – აი, ეგ საჯაროობა პირდაპირი მნიშვნელობით არ აგვიხდეს, ჯარს ჩაგვიყენებენ და ეგეც შენი საჯაროობა!

ვახტანგ – ახალგაზრდებს ვაცალოთ, ბოლომდე თქვან თავისი სათქმელი. გისმენთ, ყმაწვილებო.

ცისია – ჩვენ უკვე გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია. ჩვენი ადგილი იქ არის, რუსთაველზე, სადაც ნაღდი საქართველოა შეკრებილი. ეგ ის ადგილია, სადაც ერთადა ვართ მამები და შვილები. ჩვენი განზე დგომა ღალატი იქნება და თქვენ ამას არ მოგვიწონებთ.

ნიკუშა – რაც შეეხება იმ ანდაზას, იზა მასწავლებელმა რომ თქვა, არა მგონია, ის ქართველს ეთქვას, ვიღაცამ შემოგვაპარა. ჩვენი წინაპრები მაგას რომ მიჰყოლოდნენ, დღეს საქართველო არ იქნებოდა.

ბაჩუკი – ქართველმა ესა თქვა: ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა.

იზა – სიკვდილი არ გვინდა, ჩემო შვილებო! *(ტელეფონი. ყურმილი აიღო)* დიახ... გასაგებია... კი ბატონო, გადავცემ. *(ყურმილი დადო),* აბა, რას ვამბობდი?!

სერგო – ვინ დარეკა, ქალბატონო იზა?

იზა – თეიმურაზ თავაძემ.

სერგო – ჰო, მართლა, სად არის გელა?

იზა – ავად გამხდარა, დირექტორს გადაეცით, მაღალი სიცხეები აქვსო!

სერგო – გუშინ აქ არ იყო საღსალამათი?

იზა – მაგას ვამბობ-მეთქი! რაღაც იყნოსა მამამისმა და სახლში გამოკეტა. ათასი თოკიდან გამომძვრალია, გეუბნები, ეშმაკს ფეხს მოაჭამს! თქვენი ჭირიმე, ნუ წახვალთ, შვილებო, შედით გაკვეთილებზე! *(ტელეფონის ნომერი აკრიფა)* ალო, საიდან არის? *(უკმაყოფილოდ დადო ყურმილი)* ქვეყანა ხომ არის არეული, ეს ატეესი სულ ჭკუიდან გადამიყვანს! *(ვენერა ცდილობს ყურმილის დაუფლებას, მაგრამ იზამ არ დაანება. ხელახლა აკრიფა ნომერი)* ალო, გიზო ხარ? ქალაქში დიდი ამბებია და სახლიდან ფეხი არ გაადგა, გესმის? მეც მალე მოვალ, ერთი გაკვეთილი მაქვს. *(ყურმილი დადო. ახლა ვენერა კრეფს ნომერს)*

სერგო – ძველი პედაგოგი ბრძანდებით, ქალბატონო იზა, მაგრამ ბავშვის ფსიქოლოგიას კარგად არ იცნობთ... რომ აუკრძალეთ, უფრო წავა. თქვენ უნდა გეთქვათ, ახლავე ჩაიცვი და მიტინგისკენ ჰერი, ჰერი!

ვენერა – *(ტელეფონში)* ქეთი! კარგია, რომ შინ დამხვდი! ხომ არსად მიდიხარ? გასაღები მანდ დამრჩა და ჩემს მოსვლამდე... კაი, გენაცვალე... ნახევარ საათში მოვალ. *(ყურმილი დადო)*

სერგო – ქალბატონო ვენერა, თქვენი ქეთი ვერ მიხვდება, რომ ატყუებთ? ნახევარსაათიანი გაკვეთილი გაგონილა?

ვენერა – ერთი თქვენც!..

სერგო – ქეთის რომ ეთქვა, გასაღებს მეზობელს დავუტოვებო, რას იზამდით?
იზა – ქვეყანა ბრუნდება და თქვენ მაინც ხუმრობის ხასიათზე ხართ? რა გიჭირთ, ცოლ-შვილი რაიონში გახიზნეთ და...
სერგო – ქალბატონო იზა, არავის ესაქმება, მე გავხიზნე თუ გამოვხიზნე! ორმოცდათექვსმეტში მე ტრიბუნაზე ვიდექი იქ, სანაპიროზე!
იზა – ტრიბუნაზე ბევრს უყვარს დგომა, გააჩნია, ვინ რას ლაპარაკობს.
ვენერა – ეს დემოკრატია და პერესტროიკა თუ არეულობას ნიშნავდა, რა თავში ვიხლიდით!
ვახტანგ – ნუ გავიწყდებათ, რომ ბავშვები ჩვენს პასუხს ელოდებიან. გადაიხედეთ, ეზოში რა ხდება! *(გარედან ისმის: „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ იზამ და ვენერამ ფანჯარაში გადაიხედეს)*
იზა – ჩვენი პასუხი რადად უნდათ, ყველაფერი უკვე გადაუწყვეტიათ. ეკა მასწავლებელიც მათთანაა!
სერგო – პედაგოგი თავის მოსწავლეებთან არ უნდა იყოს?
იზა – კი უნდა იყოს, ოღონდ ბავშვები უნდა იყვნენ სკოლაში, მერხებზე!
ვენერა – სკოლა რომ ამოიცნონ, ხომ ყველას დაგვსჯიან?
იზა – ამოცნობა არ უნდა, იმხელაზე დაუწერიათ, ესა და ეს სკოლა თქვენთანაა!
სერგო – მეც მიმიშვით ფანჯარასთან. კოტე მახარაძესავით რეპორტაჟს რომ გადმოსცემ, დამანახეთ ჩემი თვალით! *(ფანჯარასთან მივიდა. იზა და ვენერა ფანჯარას მოსცილდნენ)* ქალბატონო ვენერა, თქვენ მართლა ნახევარ საათში იქნებით შინ. გაკვეთილებისთვის ვისა სცხელა, ბარიკადებზე ასასვლელად მზად არიან!
იზა – ბატონო ვახტანგ, ძალიან გთხოვთ, ყველა ამორეკეთ საკლასო ოთახებში! მაგათ სწავლა არ უნდათ და იპოვნეს გასართობი!
ვახტანგ – ქალბატონო იზა!
ცისია – თქვენ ღმერთი არ გწამთ, იზა მასწავლებელო!
იზა – ჩემი ღმერთები თქვენა ხართ, ახალგაზრდები!
ბაჩუკი – აბა, თუ ღმერთები ვართ, ისმინეთ, ცოდვილნო! რომელნი მაცდურობასა და უმეცრობას იქმს, ჩაყრიან საკირის ცეცხლში, სადაც იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა, ხოლო მართალნი მზესავით გაბრწყინდებიან თავის მამის სასუფეველში.
იზა – თანახმა ვარ ჩავიწვა საკირის ცეცხლში, ოღონდ თქვენ გაბრწყინდით, აქა ჯერა! სასუფეველი თქვენთვის ადრეა!
ცისია – ბატონო ვახტანგ, იზა მასწავლებელმა ჩვენ დაგვლოცა და ჩვენც მივდივართ, ნუ დაგვაკავებთ!
იზა – *(კარებში ჩადგა და მუხლებზე დაეცა)* ბატონო ვახტანგ, არ გაუშვათ, ისინი კი უამათოდ არ წავლენ! *(გარედან ყიჟინა და ტაშის ხმა)*
სერგო – *(ფანჯარას მოსცილდა)* აქ რაღა ხდება? აჰ, დღევანდელი ანჟელა დევისი!
იზა – ვენერა, მხარი დამიჭირე! გადაგვიარონ, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით! *(ვენერამ დაიჩოქა და გვერდით დაუდგა)*
სერგო – *(რაღაც იაზრა)* მოიცა, მგონი... *(ფანჯარას ეცა და გადაიხედა)* ქალბატონო ვენერა, მანქანა მოვიდა!
ვენერა – რა ვქნა ახლა მე? როდის იყო მანქანით დავბრძანდებოდი?
სერგო – შეპირებული ყველი მოიტანეს! *(იზა და ვენერა ერთ წამს იმავე პოზაში გაქვავდნენ)*
იზა – თქვენ მასხარობისთვის ყოველთვის შესაფერის დროს პოულობთ!
სერგო – აბა, იყავით ასე ქადაგადდაცემულებივით! *(რაღაცას ეძებს. იზა და ვენერა ფანჯარას ეცნენ, გადაიხედეს. მერე კარადასთან მიირბინეს, გამოაღეს)*
ვენერა – *(რაღაცას ეძებს)* სად ჯანდაბაშია ჩემი პარკი? თქვენ ხომ არ აიღეთ?
იზა – რა თავში ვიხლი თქვენს პარკს? *(თავისი პარკიანად ოთახიდან გავარდა)*

ვენერა – აჰა, ვიპოვე! *(იზას კვალს გაჰყვა. სერგოსაც უპოვნია, რასაც ეძებდა: პარკი უჭირავს და ვახტანგს საცოდავი ღიმილით უყურებს, ერიდება მისი დატოვება)*

ცახტანგ – წაბრძანდით, ბატონო სერგო, თორემ ამანათრბენში ქალები გაჯობებენ.

სერგო – ვეტყვი, რომ თქვენთვის ცალკე გადაინახონ. *(სწრაფად გავიდა)*

ვახტანგ – არ გაგიკვირდეთ, ყმაწვილებო, მასწავლებელიც ადამიანია.

ცისია – გზა დაგვილოცეთ, ბატონო ვახტანგ!

ვახტანგ – გზა მართლა გრძელი და ძნელი გაქვთ გასავლელი. ეგ გზა რუსთაველზე არ მთავრდება.

ბაჩუკი – ვიცით. მაგრამ მაინც გავივლით.

ვახტანგ – არ დაგავიწყდეთ: ჭკვიანი მგზავრი დილითვე უნდა ფიქრობდეს, სად გაათიოს ღამე.

ნიკუშა – ყველი გვაქვს! ჭერსაც როგორმე მოვნახავთ.

ბაჩუკი – მშვიდობით, ვერვინ დაგძრახავთ მხდალი მოსწავლის ყოლაზე!

ცისია – წავედით.

ვახტანგ – წავედით.

ცისია – *(გაკვირვებით)* თქვენც?

ვახტანგ – დიახ, მეც.

სერგოს ბინა. სერგო ფანჯარასთან მიმდგარა. გარედან გაურკვეველი ხმაური შემოდის. ვიღაცა მეგაფონით ლაპარაკობს. სიტყვების გარჩევა ჭირს. ზარი კარებზე. გასვლა დააპირა, ისევ ფანჯრისკენ წავიდა. კვლავ ზარი. გავიდა. იქ, ალბათ, მეორე ოთახია. კარებზე ჯაჭვის ხმაური. შემოდიან სერგო და აღელვებული იზა.

იზა – მაპატიეთ, ბატონო სერგო, გავითოშე, პატარას გავთბები.

სერგო – მეც ახლა შემოვედი. რა სიცივეა, ასეთი აპრილი?

იზა – რა თბილი ტანსაცმელიც მქონდა, მოშიმშილეებს წამოვუღე. ეს კი იკადრეს, მაგრამ ხაჭაპურს ხელი არ დააკარეს, ეს რა კერპი ახალგაზრდობაა! მთელი დღე ვაცხე, ბატონო სერგო! ამდენი დღე, ხომ დაიავადმყოფობენ თავს? იცოცხლე, ჩემი ხაჭაპურების მუშტარი ბევრი გამომიჩნდა! ამათზეც მადლია, რა საყვარლები ყოფილან!

სერგო – მოედანი სავსეა ტანკებითა და ჯარით.

იზა – ნუთუ ისვრიან?

სერგო – გიზო აქ არის?

იზა – ხელში ჩავუკვდი, მაინც გამომექცა! გული შემომკვნესის, ბატონო სერგო, ნუთუ ბავშვებს ესვრიან? დამამშვიდე, ბატონო სერგო, ყველა წყენას დავივიწყებ, ხომ არ ესვრიან ამ საცოდავ ბავშვებს?

სერგო – არა მგონია, უბრალოდ შეაშინებენ.

იზა – შეაშინონ! იქნებ ჭკუას მოეგონ. *(კარზე ზარი)* რეკავენ! *(სერგო გავიდა. ისევ ჯაჭვის ხმაური. სერგო შემოუძღვა ვენერას)*

ვენერა – *(იზას)* თქვენც აქა ხართ?

იზა – მოედანი სავსე ყოფილა ჯარითა და ტანკებით!

ვენერა – იპოვეთ?

იზა – ვიპოვე, მაგრამ არ წამომყვა! ბატონო სერგო, თუ შეიძლება, ფანჯარა გააღეთ?

ვენერა – ჩემი კი ვერ ვიპოვე! ტანკები რად უნდათ ამ ბავშვებს?! *(გულამოსკვნილი ატირდა. სერგომ ფანჯარა გამოაღო)*

სერგო – ქალბატონო ვენერა, დამშვიდდით... რა დაგემართათ?

ვენერა – ვიღუპებით, ნამდვილად ვიღუპებით! მულმა დამირეკა, პირველ საავადმყოფოში მუშაობს. საავადმყოფოები გაუფრთხილებიათ, ამაღამ დიდი რაოდენობით ტრავმირებული გვეყოლებაო, ქირურგები გამოუძახებიათ, სასწრაფოები სტარტზე ჰყავთ! *(ქუჩიდან ისმის ის, რაც მაშინ, ცხრა აპრილს, გამთენიისას ფირზე აღინუსხა: მომიტინგეებს მიმართავს კათოლიკოსი. შემდეგ – ირაკლი წერეთელი. მთელი გამზირის „მამაო ჩვენო“. მოტორების ჯერ შორეული გუგუნი. უსინათლო გოგონას სიმღერა „დაუკარით...“ ვიღაცა სალამურს უკრავს და ფერხული. მოტორების გუგუნმა გადაფარა ყველაფერი. ამ ხმაურს თან ახლავს ოთახში მყოფთა დაწყვეტილი ფრაზები, როგორც გარეთ მომხდარის კომენტარი)* ვაიმე, წამოვიდნენ! *(ვიღაცის ხმა გარკვევით: ლიუდი, ია, ბივში ტანკისტს, ია ზნაიუ... სდელაიტე კარიდორ“)* ღმერთო, შენ დაიფარე ჩვენი შვილები!

იზა – არაფერს დაუშავებენ, მარტო შეაშინებენ, არა, ბატონო სერგო?

სერგო – ჰო, ახლა სხვა დროა... რა სურათია, ყველას სანთელი უკავია!

ვენერა – მაინც ამდენი ჯარი რად უნდათ, ავღანეთი ხომ არ არის ეს თბილისი? *(უსინათლო გოგონას სიმღერა გრძელდება. ქალები ლამის გადაცვივდნენ ფანჯრიდან)*

იზა – ნუ გეშინია, უბრალოდ შეაშინებენ.

ვენერა – *(უცებ შემოტრიალდა)* ვაიმე, ხოცავენ!

იზა – *(არაადამიანური ხმით)* ურჯულოებო, რას სჩადით!

სერგო – *(ქალები ფანჯარას მოაცილა)* ნუ ყვირით, ქალბატონებო! *(ფანჯარა მიხურა)*

ვენერა – გვიშველეთ, ბატონო სერგო!

სერგო – დამშვიდდით, ხომ არ უსვრიათ? უბრალოდ, გაფანტავენ!

იზა – სროლა რად უნდათ ამ საცოდავ ბავშვებს, ისე არიან შიმშილისაგან ქანცგაცლილები! დაბრმავდით, თვალებო, დაყრუვდით, ყურებო!

ვენერა – *(წამიერად გული გაიმაგრა)* ქალბატონო იზა, ჩვენი ადგილი ჩვენს შვილებთანაა! *(ქალები გაცვივდნენ, სერგო გაჰყვა. კარის გაღება-დახურვისა და ჯაჭვის ხმა. მობრუნებულმა სერგომ ოთახში შუქი ჩააქრო, კედელს აეკრა და ფანჯარა ფრთხილად გამოაღო. საბრძოლო მანქანების გუგუნში ზოგჯერ გამოკრთება არაადამიანური გადაძახილი: ვიღაცა ვიღაცას ეძებს – ან მეგობარი მეგობარს, დედა – შვილს, მამა – შვილს და ა.შ. ზოგჯერ ასეთიც: „რა გვიყვეს ამ სკვითებმა!“ და გაუტეხელიც: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“. და უცებ, თითქოს ვიღაც უხილავმა ოთახში ფანჯრიდან თავი შემოყო და გადმოიძახა: „სვაბოდუ ზახატელი? ვოტ ვამ სვაბოდა!“*

ხმა სულ ახლოდან – *სერგო, კარი გამიღე! (სერგომ ფანჯრიდან გადაიხედა, მერე სწრაფად გავიდა. კარის გაღება)* მომეხმარე! *(გვერდით ოთახში რაღაც მძიმე ტვირთი შემოიტანეს. კარების გაჯახუნება. სერგო შემოვარდა და ფანჯარას ეცა)*

სერგო – სად მიდიხართ, ბატონო ვახტანგ, დაჭრილი ხართ! *(გავარდა)*

სამასწავლებლო. ვახტანგი, შუბლშეხვეული, სრულიად შეცვლილი, დაბერებული მიჰყუდებია კედელს. აქვეა სერგო, იზა, ვენერა. უსმენენ რეპროდუქტორს.

რეპროდუქტორი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან. რვა აპრილს ღამით, ქალაქ

თბილისში მთავრობის სახლის წინ მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა თექვსმეტი კაცი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

იზა – *(იკივლა)* რაის ჭყლეტა, რას ბოდიალობს ეგ უბედური, არ ვუყურე, როგორ ჩეხავდნენ ბავშვებს?

ვენერა – *(რეპროდუქტორი გამორთო)* ენა ჩაგივარდეს მუცელში!

სერგო – რა გიკვირთ, ქალბატონო იზა, ორმოცდათექვსმეტში ხალხი რომ დახოცეს რუსთაველზე და სანაპიროზე, მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების მიერ იყო პროვოცირებულიო.

იზა – დედა, ეს რა გადავიტანეთ!.. რა ვიცი, თუკი გადავიტანთ!

სერგო – ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ვისი შვილიც დაიღუპა, იმათ ეს სიტყვები გულზე ტყვიასავით არ მოხვდებათ?

იზა – ჩემი, სხვისი ვის გაუყვია, ყველა ჩვენი შვილები არ არიან? *(ყველა გაისუსა და მიაჩერდა ვახტანგს, რომელიც ფეხზე ძლივს დგას)* ბატონო ვახტანგ, თქვენ რომ დაწვეთ... ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

სერგო – *(მორიდებით)* ბატონო ვახტანგ, მართალს ამბობს ქალბატონი იზა... *(ქალებს)* რაც ამან ჩაიდინა, კინოშიც არ მინახავს! რამდენი ახალგაზრდა გამოჰგლიჯა იმ ველურებს!

იზა – სად მოვძებნოთ ეკა მასწავლებელი?

სერგო – მე და ბატონმა ვახტანგმა ყველა საავადმყოფო შემოვიარეთ.

ვენერა – იქნებ რომელიმე ოჯახმა შეიფარა?

იზა – რუსთაველის მოედანს მოსწყდომია ხალხი. მთელი ლენინის მოედანი სავსეა, ელბაქიძის აღმართი...

სერგო – ყვავილებითა და სანთლებით...

ვენერა – მთელი საქართველოს ყვავილები დაუკრეფიათ, მაგრამ იმ ადგილას ვის მიუშვებენ! *(შემოდის გელა)*

იზა – ახალი მთვარე გამოჩნდა!

გელა – შინ ვეღარ გავჩერდი. ახლაც სიცხე მაქვს.

ვენერა – ახლა ყველას გვაქვს სიცხე.

გელა – ის მოდის, იმ დღეს რომ იყო ცეკადან. დავწინაურდი, რომ გაგაფრთხილოთ.

სერგო – რაც დაგვმართეს, კიდევ რამე გვჭირს გასაფრთხილებელი?

გელა – არა, ახლა ცუდი ამბები წავა. ცისია უნდა დაიმალოს. ბიჭებიც.

ოთარ – *(სწრაფად შემოდის)* გამარჯობათ, ამხანაგებო! *(არავინ უპასუხა)* ბატონო ვახტანგ!.. *(ტელეფონისკენ წავიდა)* სასწრაფოს არ გამოუძახეთ?

ვახტანგ – არ გინდათ!.. იმათ ისეც ბევრი საქმე აქვთ.

ოთარ – ჰო, გმირები ყოფილან! ამას ვგრძნობდი, რომ გაფრთხილებდით!.. ძალიან ვწუხვარ.

ვახტანგ – გმადლობთ. ახლახან რადიოდანაც მოგვისამძიმრეს.

ოთარ – ბატონო ვახტანგ, ახლა მაინც დავუტკბეთ ერთმანეთს. მე აქ მოვედი, როგორც აბდუშაჰილი, რომ გაგაფრთხილოთ. ახლა უკანასკნელ დღეებში განვითარებული ამბების ყველაზე აქტიური მონაწილეების დაჭერები წავა. თქვენი მოსწავლე გოგონა, ცისია ჯიშიაშვილი, მათ სიაშია. ჯერჯერობით, ნუდარ ივლის სკოლაში, სულაც თბილისიდან გავიდეს. ვიდრე ვნებათაღელვა ჩაცხრება.

ვახტანგ – უმჯობესია, თქვენ თვითონ ურჩიოთ.

ოთარ – აქ არის ის გოგონა?

ვახტანგ – ახლავე მოვა. ჩემი მას არ ესმის. წუხელაც ბევრი ველაპარაკე, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. *(იზამ და ვენერამ ცრემლები უხმოდ გადმოყარეს)*

ოთარ – აი, რას მივაღწიეთ ჩვენი ლოიალობით!

გელა – მე დავიყოლიებ! *(კარებისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს საკმაოდ დაბეგვილ ბაჩუკის შემოაქვს ცისიას გადიდებული პორტრეტი. ქალები აქვითინდნენ. დაბნეული გელა ხან წინიდან შემოუვლის ცისიას პორტრეტს, ხან ოთახში მყოფთ მიაჩერდება: რა ხდებაო!)*

ვენერა – ვაი შენს დედას, შვილო!

იზა – რა ხელმა გაიმეტა ეს ანგელოზი! *(სერგო დაფაცურდა, ბაჩუკის მიეხმარა პორტრეტის ჩამოკიდებაში. ცნობილი სიმღერა „ტიტები“)*

ოთარ – ეს ის გოგონა არ არის?

სერგო – ახლა, ბატონო ოთარ, აღარც სკოლაში მოვა, თბილისიდანაც წავა და იქ იქნება, ზემოთ, სასუფეველში! *(სანთლები დაანთეს)*

გელა – *(თავისკენ შემოატრიალა ბაჩუკი)* როგორ მოხდა? ერთად არ იყავით? ნიკუშა სად არის?

ოთარ – *(იზას)* თუ შეიძლება... ერთი სანთელი... მე არ ვიცოდი. *(იზამ მისცა სანთელი და მანაც პორტრეტთან დაანთო. ბაჩუკიმ თავი ველარ შეიკავა, ვახტანგს მკერდზე თავი მიადო და აქვითინდა)*

ვახტანგ – როდესაც ტანკით გადაგივლიან და მაინც ასეთ სიმღერას შექმნი, არ გადაშენდები!.. მთავარია, არ გაბოროტდე! ბაჩუკი, გამაგრდი, სწორედ ახლა არ უნდა ვიტიროთ! მტერი თვალებში შემოგვცქერის, ერთი სული აქვს, ცრემლი დაინახოს, ნუ მივანიჭებთ ამ სიხარულს! *(გელა სწრაფად გავიდა)*

ვენერა – *(ოთარს)* რატომ არაფერს ეუბნებით? ხომ ამის დასარიგებლად მოხვედით? გაბედეთ, ნუ გეშინიათ, აღარ შეგეკამათებათ!

იზა – დაჭერები დაიწყებაო! ვერავის შეაშინებენ მაგ რეპრესიებით! ცხვრები ვიყავით და გაგვაცხარეს. აწი გვიყურონ!

სერგო – შერცხვებათ, ქალბატონო იზა! არ შეგიხედავთ სახეებზე სალდათებისთვის, რუსთაველი რომ აქვთ გადაკეტილი? ოდნავი დარცხვენა ან სინდისის ქეჯნა! ველური, გამოთაყვანებული პირუტყვებივით შემოგჩერებიან!

იზა – ამის ხელის ნაბანად არ ღირს მთელი ის ნიჩბიანი ბანდა!

ოთარ – მე მესმის თქვენი გულისწყრომა. ხელისუფლებაც ძალიან განიცდის. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ტრაგედიას მაინც ვერ ავცდით. მაპატიეთ, უნდა წავიდე. *(სერგოს)* დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ჩვენთან უნდა მობრძანდეთ. საშვი დაშვებული იქნება. *(წასვლა დააპირა)*

სერგო – მოითმინეთ! ვერ მოვალ. ჩემს მაგიერ ეს მოუსმენს თქვენს ახალ დირექტივებს. *(უბიდან წიგნაკი ამოიღო და მისცა)*

ოთარ – *(თვალები გაუფართოვდა)* ეს რა არის?

სერგო – არტახი, სუნთქვას რომ მიშლიდა.

ოთარ – დაფიქრდით. ემოცია ასეთ საქმეში ცუდი მრჩეველია.

სერგო – მე მთელი ღამე ვიფიქრე. დილას ბრძოლის ველს რომ გადავხედე, რამდენი ლამაზი ქალბატონის ფეხსაცმელი დარჩათ ნადავლად იმ მამაც სალდათებს!.. არ უნდა აეკრიფათ მეეზოვეებს. ის ადგილი ნაკრძალად უნდა გამოგვეცხადებინა. *(ოთარი სწრაფად გავიდა)* ღმერთო, ის ფეხსაცმელები თვალებიდან არ მცილდება! *(შენიშნა, რომ ვახტანგი უეცრად ჩაიკეცა)* ბატონო ვახტანგ!

იზა – *(ვახტანგთან ჩაიმუხლა და თავქვეშ ხელი ამოუდო)* ბატონო ვახტანგ, ვენერა, ჩანთა გახსენი, მანდ წამლები მაქვს!

ვახტანგ – *(მაინც გაიღიმა)* ქალბატონო იზა... ნუ გეშინია... მეცხრე დირექტორს არ მოვუშვებ!

იზა – რასა ბრძანებთ, ჩემო დირექტორო, თქვენი ჭირიმე, იმ სისულელეს ნუღარ გამიხსენებთ, ეშმაკს წაუღია მეცხრე დირექტორი!.. ჩემი შვილიც თქვენა ხართ და დირექტორიც! მე ცხრამდე დათვლა არც ვიცი! *(„ტიტები“ გრძელდება)*

საავადმყოფოს პალატა. ორსაწოლიანი. ერთზე წევს ნიკუშა. თავი შეხვეული აქვს, მხოლოდ ცხვირპირი უჩანს. შეხვეული აქვს ხელებიც. საწოლში ნახევრად წამომჯდარს კალთაში ჯამი უდევს. საწოლთან უზის კოტე, რომელსაც მარცხენა ხელი შეხვეული აქვს და კისერზე ბანტით ჩამოკიდებული. ნიკუშას წვნიანს აჭმევს.

ნიკუშა – დავიღალე!..
კოტე – დაისვენე, სად გვეჩაქარება?
ნიკუშა – აღარ მინდა.
კოტე – დილას არაფერი გიჭამია, გეძინა.
ნიკუშა – ახლაც მეძინება.
კოტე – არ შეიძლება, უნდა ჭამო, გააღე პირი, ერთიცა და აჩუას გიყიდი. *(ნიკუშამ თავს ძალა დაატანა და კოვზიდან მოსვა)* აი, კაი ბიჭი ხარ!
ნიკუშა – რა გვიყვეს ამ სკვითებმა!
კოტე – სკვითი აღარ წამოგცდეს. დათვი რომ მოგერევა, მამა უნდა დაუძახო.
ნიკუშა – მამას ვერ დავუძახებ, მე ჩემი წარმომავლობა ვიცი!
კოტე – მაშინ უნდა მოითმინო. მოთმინება კაი საქონელია.
ნიკუშა – ორი საუკუნეა, მაგ მესაქონლეობას მივდევთ... მსხვერპლი დიდია?
კოტე – არავინ დაღუპულა, ჩვენნაირები კი არიან.
ნიკუშა – ფეხმძიმე გოგონა გამომყავდა... ნეტა თუ გადარჩა?
კოტე – გადარჩა.
ნიკუშა – თქვენ რა იცით?
კოტე – ეს კოვზიც მიიღე და გეტყვი. *(ნიკუშამ „მიიღო“)* მე გამოვიყვანე.
ნიკუშა – ესე იგი, მე რომ წავიქეცი, იქ იყავით?
კოტე – იქა ვბრძანდებოდი. ალბათ, არ გამიჯავრდები, რომ ჯერ ის გოგონა გამოვიყვანე.
ნიკუშა – მეც თქვენ გამომიყვანეთ?
კოტე – აბა, ეგეთ ბიჭს იმათ დავანებებდი?
ნიკუშა – მოიტა კოვზი! *(სწრაფად მოსვა)* მე რანაირად ვიყავი?
კოტე – ბარემ ერთი კოვზიცა და ყველაფერს გეტყვი. *(ნიკუშამ მოსვა)* აჰა, ეს ერთიცა და გათავდა. *(ჯამი და კოვზი გადადო, პირი ტილოთი მოსწმინდა)* არაფერი გახსოვს?
ნიკუშა – რაღაცა რომ შემომასხურეს, მერე თანდათან დავიკარგე. თავში რომ ჩამარტყეს, არცა მტკენია.
კოტე – რას ერჩი, ადგილობრივი ანესთეზია გაუკეთებიათ! შენ მკვდარი მეგონე და გაგიარე, რომ შენი ხმა გავიგონე, ვიღაც გოგონას სახელს ყვიროდი. დამენანე. შენს ჩხუბს თვალი შევასწარი და მომეწონე... კარატეზე დადიოდი?
ნიკუშა – დანამდვილებით იცი, რომ მსხვერპლი არ ყოფილა?
კოტე – ნამდვილად.
ნიკუშა – *(ლოგინში ფრთხილად გაწვა და გაიტრუნა)* გმადლობთ.
კოტე – მადლობას რატომ მიხდი?
ნიკუშა – ეგ რომ მითხარით. და კიდევ, რომ მაჭამეთ... თქვენ ისეთი სამსახური გექნებათ, სადაც უქრთამოდ არაფერს აკეთებთ.

კოტე – *(გაოცებული, მაგრამ წყენით –არა)* საიდან დაასკვენი?
ნიკუშა – თითო სიტყვის თქმაში თითო კოვზს თხოულობდით.
კოტე – შენ სადღა მუშაობ, თუ სწავლობ?
ნიკუშა – ვსწავლობ. წელს ვამთავრებ.
კოტე – აბა, მოწყობილხარ უმაღლესში!
ნიკუშა – რა იცით? რაც ამ თავში მირტყეს, შიგ კიდევ რამე დარჩებოდა?
კოტე – ეტყობა, დარჩა, რომ მაინც დალაგებით ლაპარაკობ. სად აპირებ?
ნიკუშა – ისტორიკოსობა მიზიდავს, არქეოლოგია. დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ამაზე ოცნებაც კი არ შემეძლო!
კოტე – ჰოდა, რიხინ-რიხინით მოეწყობი. ჩვენს გოგონებს გადაუწყვეტიათ, წელს უმაღლესში საბუთები არ შევიტანოთო!
ნიკუშა – ეგ რას ნიშნავს?
კოტე – იმასა, რო ბიჭებს ადგილებში არ შევეცილოთ, ყველა მოეწყოს უმაღლესში, რო ოკუპანტების ჯარში არ წაიყვანონო.
ნიკუშა – ვა, უყურე ჩვენს გოგოებს!.. ეგ საიდანღა გაიგეთ?
კოტე – ერთმა მოიტანა ეგ ამბავი. ქალაქში ასე ლაპარაკობენო. ვიღაცეები კი მაინც შეიტანენ საბუთებს, მაგრამ...
ნიკუშა – ჭორიც რომ იყოს, მაგ ლამაზი ჭორის მოგონებასაც ლამაზი სული და გონება უნდა. მარჯვენა არ მემორჩილება, კეთილო კაცო, პირჯვარი მინდა გადავიწერო!
კოტე – რა გქვია?
ბაჩუკი – *(შემოვიდა)* ნიკუშ!
ნიკუშა – ბაჩო! *(ბაჩო საწოლს მივარდა)*
ბაჩუკი – სად გაკოცო, ბიჭო! *(აკოცა)*
ნიკუშა – მოიცა, მეც გაკოცო! *(აკოცა)* მთელი ხარ?
ბაჩუკი – როგორა ხარ?
ნიკუშა – მე და ეს კაცი დომინოს ვთამაშობდით და ახლა ვისვენებთ.
კოტე – ამ ორ კაცს ერთი ხელი შეგვარჩინეს! *(თავის საწოლზე დაჯდა)*
ბაჩუკი – ბიჭო, რამე მაინც დაგიტოვეს მთელი?
ნიკუშა – ასე უკეთესია. გაუეჟილს გატეხილი სჯობია. ცისია არ გინახავს?
ბაჩუკი – როგორ არა.
ნიკუშა – რატომ არა მნახა?
ბაჩუკი – გადამალეს. გარეთ არ უშვებენ.
კოტე – *(ბაჩუკის თავზე დაადგა)* შენ ახმეტელი არა ხარ?
ბაჩუკი – *(ახედა)* დიახ... თქვენ...
კოტე – გამარჯობა. ეს ყიფიანია? *(ნიკუშას)* ვერ მიცანი, ბიჭო?
ბაჩუკი – *(კოტე იცნო)* ნიკუშ, აბა, ვინ არის, თუ მიხვდები? იმ დღეს ბელადის ძეგლთან რომ ჩაგვავლეს!
კოტე – დავაპურე, ვაჭამე და ვერ მიცნო!
ნიკუშა – თქვენ თვითონ რატომ ვერ მიცანით?
კოტე – (*ბაჩუკის)* მარტო ნესტოები უჩანს და რანაირად უნდა მეცნო?
ბაჩუკი – მერე, ნიკუშა ძაღლია, რომ ყნოსვით ეცნეთ?
კოტე – მთელი ზღაპრები ვუამბე, ხმით მაინც ვერ მიცნო?
ნიკუშა – უფროსო, იქ სხვანაირი ხმა გქონდათ, აქ ადამიანურ ჰანგზე მეტყველებდით.
კოტე – ნეტა თხუთმეტდღიანი აგვეკიდებინა თქვენთვის, ზა ხულიგანსტვო, ამ დღეში ხომ არ ჩავარდებოდით? *(ბაჩუკის)* შენ იოლად გადარჩენილხარ!
ბაჩუკი – ჰო, იოლად გადავრჩი!
ნიკუშა – მაგას ეგეთი ბედი აქვს. მაგის ორიანს მე მიწერდნენ და ჩემი ოფლით მოპოვებული ხუთიანებით ეგ ჩანთას ისქელებდა!

კოტე – კაცო, ეგ რა დირექტორი გყოლიათ? პროკურორი უნდა იყოს, ბოდიშები იქით მახდევინა!

ნიკუშა – აბა რა? ტყუილ-უბრალოდ დაგვიჭირეთ.

კოტე – ეხლა რო ვფიქრდები, იოლად გადამირჩით! ვინც ესეთი ქვეყანა შექმნა, იმის ძეგლთან რო ყვავილებს მიიტან, დასაჭერი კი არა, დასახვრეტი ხარ!

ბაჩუკი – თქვენც კარგად დაუმშვენებიხართ!

კოტე – არ გაგიგონიათ, გამშველებელს ყველაზე მეტი მოხვდაო?

ნიკუშა – ბაჩო, ამ კაცმა მითხრა, გოგოებს წელს უმაღლესში საბუთების შეტანაზე უარი უთქვამთ.

ბაჩუკი – ჰო.

ნიკუშა – ეშმაკები არიან. იციან, გამოცდებზე ჩვენთან მეტოქეობაში ჩაფლავდებიან და ლამაზად გაერიდნენ კონკურსს.

ბაჩუკი – ჰო.

ნიკუშა – ჰოოდა, ჩვენც მერმისს შევიტანოთ საბუთები.

ბაჩუკი – რათა, ნიკუშ?

ნიკუშა – ცისიას მოვუცადოთ, ახლა კი გვაბრაზებს, მაგრამ უჩვენოდ გაიტანჯება!

ბაჩუკი – მოვუცადოთ, ნიკუშ.

ნიკუშა – ბაჩო, დანა ხომ გაქვს?

ბაჩუკი – აბა, მე დანას როდის ვატარებ?

ნიკუშა – ნუ მაიმუნობ! დანა კი არა, ჯაყვაა. თანაც უკვე დავძმაკაცდით. ამოიღე და აქედან მოაჭერი. *(შებინტული მკლავი აჩვენა)* ჰო, ნუ გეშინია, ჭრილობა კი არ არის, სისხლი წამსკდეს. მიდი, არა მტკივა.

ბაჩუკი – *(ბინტის ნაწილი შემოხსნა)* ეყოფა?

ნიკუშა – მოჭერი.

ბაჩუკი – ახლა რაღა ვქნა?

ნიკუშა – რაც დამიტოვე, შემიკარი. *(ბაჩუკმა შეუკრა)*

ბაჩუკი – *(ბინტის ნაჭერზე)* ამას რაღა ვუყო?

ნიკუშა – ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულს მიართვი და უთხარი: „განაღამცა ვიწინაშე, აჰა რიდე, რომე მთხოვე“.

ავტომატების სროლის ხმა, დროდადრო – ქვემეხებისაც. უფრო ზუსტად, ომის საშინელი „სიმფონია“, რომელსაც ასრულებს ყველა სახის იარაღი. შემდეგ – რამდენიმე მოკლე ჯერი, ბოლოს – სრული სიჩუმე. მიწისქვეშა გადასასვლელი ქაშუეთის ეკლესიასთან. ცივი, მკრთალი სინათლე. ამ სიჩუმეში გადაძახილი:

- ბაჩო! ბაჩო!
- *(სიხარულით)* ნიკუშ!
- გილოცავ, ბაჩო!
- რას მილოცავ?
- დღეს რა რიცხვია?
- ოცდაექვსი.
- ქრისტეს შობიდან მეორე დღე! ბაჩოს დაბადების დღეა, შე სკლეროზიანო!.. ბაჩო!
- გმადლობ, ნიკუშ!
- ახლა რა ქენი, იცი? მიწისქვეშა გადასასვლელში შევხვდეთ. აქედან არ გესვრიან. სკოლის კედელს გამოჰყევი და პირდაპირ კიბეზე ჩაგორდი! აბა, მე წამოვედი! *(კანტიკუნტი სროლა, ალბათ, უმისამართო. ყოველი სროლის შემდეგ შეშფოთებული ხმები):*
- ბაჩო!

- მთელი ვარ!
- ნიკუშ!
- შენს თავს მიხედე!

(გადასასვლელის გვირაბში საპირისპირო მხარეებიდან შემოდიან ნიკუშა და ბაჩუკი. ერთმანეთისაკენ გაიქცნენ, გადაეხვივნენ, გადაკოცნეს. ავტომატები კედელზე მიაყუდეს. ნიკუშამ შამპანურის ბოთლი ქვაზე დადო, ჯიბიდან ორი ჭიქა ამოიღო).

ბაჩუკი – შუქზე მოდი, კარგად დაგინახო. *(ერთმანეთს დააკვირდნენ. კომპლიმენტი არცერთს არ უთქვამს).*

ნიკუშა – მე რომ არ მეთქვა, დაპატიჟებას არ აპირებდი?

ბაჩუკი – დედას გეფიცები, არ მახსოვდა!

ნიკუშა – ჩემზე ერთი თვით ახალგაზრდა ხარ. ჩემხელა რომ მოიყრები, ხო სულ გამოთაყვანდები? *(შამპანური გახსნა)*

ბაჩუკი – რა დრო დადგა, ნიკუშ, შამპანურის ხმაც კი გულში ტყვიასავით მხვდება!

ნიკუშა – *(ჭიქები შეავსო)* ამ სადემარკაციო ხაზზე ამ ჭიქით ჩემს ბაჩოს გაუმარჯოს, ოცი წლის ბაჩოს!

ბაჩუკი – რა ოცი წლისა, ნიკუშ, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, ასე მგონია, კიდევ ოცი წელი გავიდა!

ნიკუშა – ნუ მაწყვეტინებ, ბაჩო, თორემ ამ ავტომატს სულ შენზე დავცლი!

ბაჩუკი – ეგ ჭიქა დაცალე, ნიკუშ ისა სჯობია.

ნიკუშა – ბაჩო...

ბაჩუკი – ჰო, მიდი, გასაგებია. *(ნიკუშამ დალია. ბაჩუკიმ ჭიქა აწია)* ნიკუშ...

ნიკუშა – დალიე, ბაჩო, დიდი დრო არა გვაქვს. *(ბაჩუკიმ დალია)*

ბაჩუკი – დილამდე ბრძოლა აღარ იქნება.

ნიკუშა – დილამდე ერთი დამთქნარება ღამე დარჩა.

ბაჩუკი – მაშ, ნიკუშ, ხომ ზამთარია, მაგრამ ღამე მაინც რა ჩქარა გარბის!

ნიკუშა – გარბის, ბაჩო, ამ ბათქაბუთქით დავაფეთეთ! *(„მაგიდის“ აქეთ-იქით მუხლებზე ჩასხდნენ, კედელზე ზურგით მიყუდებულნი)*

ბაჩუკი – ნიკუშ, ადამიანს ზოგჯერ, ათასში ერთხელ, ამ ოხერ გოგრაში ხომ გაუვლის გიჟური ფიქრი? მაინც როდისმე წარმოიდგენდი, რომ შენ –იქით, მე –აქეთ?

ნიკუშა – ბაჩო, მე ის მაგიჟებს, რაც თავი მახსოვს, სულ ერთნაირად ვფიქრობდით, ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით... ახლა რა ეშმაკი ჩაგვიჯდა სულში!.. ბაჩო, *(ჭიქა აწია)* იმ ბიჭებს... ვინც აღარ არიან... იქითაც და აქეთაც! *(დალიეს)*

ბაჩუკი – ნიკუშ... ილიას და აკაკის... ტყვიები მოხვდაო...

ნიკუშა – გახსოვს, პანჩოს რომ შევაგინე, გინება კი არა, მოსაკლავი მყავდა, სწორედ იმ დროს ეკა მასწავლებელმა ჩაგვიარა. ვიფიქრე, ვერ გაიგონა. მეორე დღეს მაგისი გაკვეთილი გვქონდა, საგანგებოდ მოვემზადე, რომ ცოდვა გამომესყიდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, „განდეგილი“ გვქონდა! ვიწიე და ვიწიე ხელი, არ გამომიძახა. გაკვეთილის მერე მითხრა: მაგ ენის პატრონთან, ეგეთი გინება რომ შეუძლია, ილიაზე როგორ ვისაუბრებო!.. ახლა... საუბარი კი არა...

ბაჩუკი – გინება კი არა... გვიყურებენ, ქართველები ერთმანეთსა ვხოცავთ და არცა გვრხვენია!

ნიკუშა – ომი რომ დამთავრდება, ეგ ნატყვიარები ეგრე უნდა დატოვონ.

ბაჩუკი – არა, ნიკუშ... მაშინ რუსთაველზე ვეღარ გავივლი! ეგ კი არა, ჩვენ ხომ გადავწყვიტეთ, ცისიას შემდეგ... მაგრამ რომ მოხდეს სასწაული და ვიღაც გოგო შემიყვარდეს, იმას პაემანს რუსთაველზე ვეღარ დავუნიშნავ! ლადო, ლადო რომ წამოახედა ახლა საფლავიდან!.. ადამიანსა ვნატრობ, ვიღაცას,

ქალი იქნება თუ კაცი, ბერი იქნება თუ ერი, შუაში ჩაგვიდგეს, ჩაგვივარდეს და გონზე მოგვიყვანოს!..

ნიკუშა – *(ჭიქები შეავსო)* ბაჩო... ცისია რომ ცოცხალი იყოს, სად იქნებოდა... შენთან თუ ჩემთან?

ბაჩუკი – ჩემს ნატვრას რომ ეგ მოაყოლე, გცოდნია, სადაც იქნებოდა. *(ორივემ მოლაპარაკებულებივით ერთდროულად დაიჩოქეს, ჭიქა აწიეს)* ცისიას!

ნიკუშა – ბედნიერ ცისიას! *(დალია)*

ბაჩუკი – მართლა ბედნიერს! *(დალია)*

ნიკუშა – ნეტა შეიძლებოდეს, ახლა ქაშუეთში შევიდეთ და სანთლები დავანთოთ ცისიას სულის სადიდებლად!

ბაჩუკი – გახსოვს, ცხრა აპრილის ღამე, შენ რომ ტანკს გადაუდექი...

ნიკუშა – შენც იქ არ იყავი?

ბაჩუკი – ჩვენსა და ტანკს შორის ცისია რომ ჩადგა!

ნიკუშა – ის გიჟი, ისა! ის გიჟი! ჩვენ რომ იმის წინ დადგომა გვეცადა, მეწინავეობას არ დაგვანებებდა და ტანკს ჩაუვარდებოდა!

ბაჩუკი – ხომ ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ იმ ღამეს!..

ნიკუშა – იმ ღამეს ყველა ლამაზი ვიყავით!

ბაჩუკი – ამ დღეებში სულ ის გათენება მიდგას თვალწინ.

ნიკუშა – მერეც, მერეც... ხომ სულში ჩაგვაფურთხეს, ხომ დედა გვიტირეს და თვალწინ ქალები დაგვიხოცეს, იმ მწუხარებაშიც კი მაინც რა კარგები და ბედნიერები ვიყავით!..

ბაჩუკი – ნიკუშ... შენა... დამიზნებით გისვრია?

ნიკუშა – გახსოვს, ბაჩო, ატესტატები რომ დაგვირიგეს, ერთმანეთს ავტოგრაფებს ვაწერდით თეთრ პერანგებზე. მე და შენ ერთდროულად მოგვაფიქრდა, ნამდვილად ღმერთმა ჩაგვაგონა, და ერთმანეთს „ცისია“ წავაწერეთ. მერე ყველამ მოგვბაძა. ასეა, ბაჩო, სიამის ტყუპები ვართ, როგორც შენ ფიქრობ, მეც –ისე... *(ჭიქები შეავსო)* მოდი, ქვეყნიერებას კიდევ ერთხელ დავუმტკიცოთ, რომ მართლა სიამის ტყუპები ვართ. ერთდროულად დავიწყოთ სადღეგრძელო, თუ დაემთხვევა ჩვენი ფიქრები, ხომ არ გადავჯიშდით ამ დაღვრილი სისხლის სუნზე. ბაჩო, სამამდე დავთვლი. ამ ჭიქით გაუმარჯოს... ერთი, ორი, სამი!

ორივე

ერთდროულად – საქართველოს! *(ერთმანეთი გადაკოცნეს)* საქართველოს გაუმარჯოს! *(ვახტანგურად დალიეს. სიმღერაც ერთდროულად წამოიწყეს)*:

ლალე, ლალე, დივლი დალა-ლალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენ კი გენაცვალე.

ბაჩუკი – გახსოვს, ვედეკინდმა რომ თქვა, საქართველოში უნდა დავიმარხო, მე ის მიკვირს, სანამ თქვენ გაგიცნობდით, როგორ ვცოცხლობდიო! ჩვენ კი ... რა გვემართება?

ნიკუშა – ეჰ, კარგები ვიყავით, კარგები... სანამ ამას დავიჭერდით ხელში! *(ავტომატზე აჩვენა)*

ბაჩუკი – უმაგისოდაც რომ არ ივარგებს?

ნიკუშა – მართალია, მაგრამ ერთმანეთზე მისაშვერად კი არა... გელა არსად გინახავს?

ბაჩუკი – გელას გარეთ რა უნდა? მამა დამალავდა.

ნიკუშა – ჰო, მამა დამალავდა. მერე გამოჩნდება, როცა ყველაფერი დამთავრდება.

ბაჩუკი – როცა გამარჯვებული გამოვლინდება...

ნიკუშა – გამარჯვებული არ იქნება...

ბაჩუკი – იქნება!
ნიკუშა – გელა იქნება.
ბაჩუკი – მაგას ვგულისხმობდი. *(ავტომატები აიღეს)* ქაშუეთის უკან ბაღით ჩადი ძნელაძეზე. იქიდან ამოდი, იქითა მხრიდან.
ნიკუშა – შენც ისევ იმ გზით გაბრუნდი. *(ერთმანეთს კოცნიან და სხვადასხვა გზით მიდიან)* ბაჩო!.. *(ერთმანეთს მიუტრიალდნენ)* შენზე ერთი თვით ბებერი ვარ და გულმავიწყობა მეპატიება. საჩუქარი უკან მიმქონდა! *(უბიდან წიგნი ამოიღო. ისევ ერთმანეთთან მივიდნენ. ნიკუშამ წიგნი მისცა)*
ბაჩუკი – *(წიგნი გამოართვა, ყდა გადაშალა, წაიკითხა)* „ცხოვრება სიხარულშია, სიხარული – მშვიდობაში, მშვიდობა – სიყვარულში, სიყვარული კი ღმერში. 1991 წლის 26 დეკემბერი“. *(ერთმანეთი კვლავ გადაკოცნეს და წავიდნენ სხვადასხვა მხარეს. გვირაბის თავსა და ბოლოს შეჩერდნენ. ერთმანეთისკენ მობრუნდნენ და კვლავ ერთდროულად ხმადაბლა წაიმღერეს):*
ლალე, ლალე, დივლი დალა-ლალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე!...
ნიკუშ, ახლა რომ ავიდეთ, მე აქეთ დავდგე და შენ – იქით, და ეს სიმღერა ხმამაღლა შემოვძახოთ... არ აგვყვებიან?
ნიკუშა – გვესვრიან, ბაჩო!
ბაჩუკი – გვაპატიე, საქართველოვ, შენს გზააბნეულ შვილებს!

ისევ ეკლესია. მამა ფარნავაზი და ბაჩუკი.

ფარნავაზი – მოიცა, მოიცა!.. ახლა თვალწინ წარმომიდგა შენი ნიკუშა, ერთი-ორჯერ აქაც გახლდა.
ბაჩუკი – ყველგან ერთად დავდიოდით. მაგრამ ეკლესიაში სიარული მარტოს უყვარდა: ღმერთთან საუბრისას მოწმე არ გინდაო.
ფარნავაზი – მაღალი, ახოვანი, ლამაზი...
ბაჩუკი – დიახ, მამა ფარნავაზ!
ფარნავაზი – განუსვენე, უფალო, მონასა შენსა, სული წრფელი განგვიახლე უგუნურებით აღსავსე გვამსა ჩვენსა!
ბაჩუკი – მე ახლა ფიტული ვარ, რომელსაც ამ გვამს შიგნით აღარც სული მაქვს, აღარც გულ-ღვიძლი და სისხლიც დაშრეტილი მაქვს! ასეთი ვიღას რას ვარგებ, ან მშობელს, ან ქვეყანას?
ფარნავაზი – შენ მე მითხარი, რომ დამიზნებით არ გისვრია.
ბაჩუკი – მაგრამ ხომ ვისროდი?
ფარნავაზი – მე მესმის შენი, შვილო. ბრმანი ვიყავით და უფლის წყალობით აღგვიდგა თვალისჩინი. მერე მოგვიცვა უკეთურობამ და ზაკვამ და შურმა, და განვუდექით უფალს! ეგ სინანული არის საწყისი განწმენდისა და იმედი, რომ უფალი კვლავ ყურად იღებს ჩვენს ლოცვასა და ვედრებას. *(მაყურებლისაკენ, როგორც მრევლისაკენ)* შვილნო ჩემნო, გულისხმა ყავით ღაღადება ჩემი! თუკი თქვენს შიგნით არ იქნება მშვიდობა, ვერც სხვას მიანიჭებთ მას! საქართველო დედაა ჩვენი! დანო და ძმანო! თუკი ოცდაათ ვერცხლად გაყიდული იესო, ორგულთაგან დამცირებული, განკიცხული, მშიერ-მწყურვალი, სასტიკად ნაცემი და ეკლის გვირგვინდადგმული მაინც დედაზე ფიქრობდა, ჩვენ რა გვემართება, რომ ვამცირებთ და ღირს პატივს არ მივაგებთ დედას ჩვენსას! გულგრილობა შედეგია სულიერი ნგრევისა, რაც ცოდვებს იწვევს. ღვთისმშობელო ქალწულო, შენ გევედრებით, ბოროტთა ზრახვანი განაქარვენ, ერისა შენისა მწუხარება სიხარულად გარდასცვალენ და მოუწოდე ყოველთა ერთობისათვის და

მშვიდობისათვის! შეგვავედრე შენგან შობილსა ქრისტესა ღმერთსა, რამეთუ შენ ხარ სასო და მეოხი ყოველთა ქრისტიანეთა!

დასასრული

1992 წელი

წმინდა იყო განზრახვა ჩემი

3 მოქმედებად

მთავარი როლები

ილია ჭავჭავაძე

აკაკი წერეთელი

ვაჟა-ფშაველა

იაკობ გოგებაშვილი

კიტა აბაშიძე
„მოგზაურის რედაქციის“ წარმომადგენელი

როლები

ოლღა ჭავჭავაძისა

არტურ ლაისტი

იაკობ მანსვეტაშვილი

კოვალევსკი

ნოე ჟორდანია

იანოვსკი

შაუმანი

ეპიზოდები

„კვალის“ რედაქციის წარმომადგენელი, ქრისტეფორე მამაცაშვილი,

შამანაური, თედო ლაბაური, თებრო, პავლე, მოსე, ახალგაზრდა

სემინარიელი, გლეხები, მეურმეები, ბიჭუნები.

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?..

(კოლაუ ნადირაძე)

მუსიკისა და ხმაურის მიხედვით წარმოვიდგენთ: ეტლი რბის ქვა-ღორღიან შარაზე. ეჟვნების ჟღარუნი.
ერთბაშად – ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი. გავარდა თოფი. ქალმა შეჰკივლა. კიდევ რამდენიმეჯერ გავარდა თოფი.

– რას სჩადიხართ, ილია ვარ! – სროლასა და სროლას შორის მოისმა მამაკაცის ხმა.
– შვილებო, თქვენ ხომ ჩვენები ხართ? რა დაგიშავეთ, რისთვის გვხოცავთ? – ეს იგივე ქალია. მისი ხმა უეცრად შეწყდა.
უკანასკნელი გასროლის ხმას გადაება მეორე მამაკაცის ხმა.

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის! აწინა ერობა დაიშალის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის, ერი დავარდნილ, გალახულ არნ, დავრდომილ-კრთომილ! დაცემულ ვინ აღადგინის? ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს!...

ეს ხმა უცებ მოვარდა. როგორც ელდა, როგორც ქარიშხალი. მერე, ასევე უცებ დაგვშორდა. ოღონდ ბოლო ფრაზა ექოსავით რამდენიმეჯერ განმეორდა და ბოლოს მიწყდა.

ღმერთიც ვერ გადამაჯერებს: ლელთ ღუნიას ეს სიტყვები ნამდვილად ჩაესმა ილიას იმ წამს, როდესაც მისმა სულმა დატოვა ნაგვემი და ნატყვიარი სხეული.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ორი ბიჭუნა ტანსაცმელჩამოძონძილი, გამურული, ნარბენი, თვალცრემლიანი.

I ბ ი ჭ უ ნ ა – *(გაზეთების დასტას გვაწვდის)* **იყიდეთ გაზეთი „ისარი“! გუშინ, ოცდაათ აგვისტოს, გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე!**

II ბ ი ჭ უ ნ ა – *(გაზეთების დასტას გვაწვდის)* **მკვლელობის შემდეგ არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ ილიას მოურავი სამი სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვევით მისულა ბოროტმოქმედების ადგილზე. ილიაცა და მისი მხლებლებიც უსულონი იყვნენ თურმე, ილიას მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს აქეთ-იქით ახლიდა ქვებს. დაჭრილი ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუსვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მიმავალ ურემზე დაუსვენებიათ და ისე წაუღიათ საგურამოში.**

სცენის სიღრმეში განათდა აკაკის სახე:

– **ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას, და ნუ მეტყვით, რაც არ მჯერა!.. ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედის წერა?**

სცენის სიღრმეში განათდა ვაჟას სახე:

– **გვყარაულობდი თვალფხიზლად, შენ იყავ ჩვენი საფარი, –**

მოგკალით ჩვენისვე ხელით მოძმეთთვის ნაამაგარი, მოჰკვდი თვის სატრფოს კალთაზე...

ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი?

ეგების შესწვდა ვარსკვლავთ კაშკაში,

გადაეფარა მიწას წყვდიადი

და დამწუხრებულს, კაეშნით მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?

ნათდება ადამიანთა კონტურები, ჩოჩქოლი, ძრწოლა.

– რა ვთქვათ, რითი ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? იმათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ კი ტყვიებით დავუხვრიტეთ!

– ასე დავაფასეთ მისი ღვაწლი და სამსახური! მეტი ბარბაროსობა, მეტი გახრწნილობა შეუძლებელია! ამაზე შორს ვეღარ წავალთ!

ვ ა ჟ ა – *(ისევ განათდა სცენის სიღრმეში).* თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?

– მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! ორმოცდაათი წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით, მის დიად ნიჭს, საკვირველ ჭკუას და დიდ ენერგიას ვცემდით თაყვანს, მისი ამაგით და განუზომელის ღვაწლით ჩვენი ქვეყნის წინაშე ვიყავით მოხიბლულ-მოჯადოებულნი და ვინ, რომელმა მხეცებმა და სულმდაბლებმა დაგვასხეს თავს ლაფი და გამოგვჭრეს ყელი?

– დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი!

– დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელი ხალხის ნაყოფით ცხოვრობს! დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპების მომხრეს! დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა-ქებას!

(დავიხსომოთ ეს ხმა: იგი რამდენიმეჯერ კიდევ შემოგვესმება, როგორც წყევლა)

სცენის სიღრმეში, პატარა შემაღლებულზე, განათდა გრძელი მაგიდა და მის სიგრძივ სამი სკამი. ასე გაწყობილი გვინახავს სასამართლოს პროცესზე. ამ სკამებთან დგებიან, ან სხდებიან მოქმედების მსვლელობისას ისინი, ვინც მოცემულ სიტუაციაში მოსამართლისა და ბრალმდებლის „როლებს“ კისრულობენ. ადამიანთა კონტურები კი მაგიდას ორივე მხარეს მისჯარვიან. მათი ჩოჩქოლი ერთბაშად „გაიყინა“, რადგან

შემოდის ქალი, რომელიც ჰგავს მთაწმინდაზე, ილიას საფლავზე გამოხატულს. ეს ოლღაა. იგი სცენის შუაგულს გაჩერდა.

ო ლ ღ ა – ოცდაათ აგვისტოს დილის ცხრა-ათ საათზე, ზუსტად არ მახსოვს, მე გავემგზავრე ტფილისიდან ჩემს მეუღლესთან, თავად ილია ჭავჭავაძესთან ერთად საკუთარი ეტლით. კოფოზე მეეტლე თედოსთან ერთად იჯდა მსახური იაკობი. ამ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. განსაკუთრებით დიღმის ველზე და მე ჩემი შლაპა დავკარგე, რის გამოც თავზე მოსასხამი წამოვისხი. გზაზე ჩვენ ორ-სამჯერ გავჩერდით და უკანასკნელად ცხენებს წყალი დავალევინეთ სოფელ წიწამურთან ახლოს დუქანთან. რა მოხდა მერე, მე გადაჭრით აღარ მახსოვს. ვინ დაგვესხა თავს, რამდენი იყვნენ ისინი, რა ეცვათ მათ, როგორ დამჭრეს მე, რა დაემართა ჩემს ქმარს ამ დროს, ვერაფერს გეტყვით... ჩემს პატარა ბოხჩაში მქონდა ქმრის წერილები და ფსალმუნი. *(ადამიანთა კონტურები ისევ ამოძრავდნენ, ოლღა გაქრა).*

– მოწმეთ მოვუსმინოთ! *(წინ გაუბედავად წადგა ორი გლეხი)*

I გ ლ ე ხ ი – ჩვენ მეურმეები გახლავართ. გზად რო გავიარეთ, კნეინა ძალზე ყვიროდა და შველას ითხოვდა...

II გ ლ ე ხ ი – იქნება ვერც დაგვინახა, თავ-პირი აღდგომის კვერცხივით სულ წითლადა ჰქონდა შეღებილი...

I გ ლ ე ხ ი – იქნება მარტო ხმა ჩაესმა, დაგვიძახა: აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთ, ვითომ ეკლესია აგიშენებიათო.

კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე – ეს თქვენი ურემი იყო, მოურავმა მოკლულები რომ წაასვენა საგურამოში?

I გ ლ ე ხ ი – მოურავი იქ არ... *(მეორე მეურმემ მუჯლუგუნი წაჰკრა)*

II გ ლ ე ხ ი – არა, ჩვენ დიღმისაკენ მივდიოდით... საქმეზე.

I გ ლ ე ხ ი – ჰო, მივდიოდით.

კ ი ტ ა – და გზა გააგრძელეთ? არ მიეშველეთ? *(პასუხად დუმილი)* ვერ იცანით ის კნეინა, ან მოკლულები ვინ იყვნენ?

I გ ლ ე ხ ი – *(გვიან)* როგორ ვერ ვიცანით.

კ ი ტ ა – ასე უმწეოდ მტვერში ეყარნენ და არ აიყვანეთ, არ წაიყვანეთ?

II გ ლ ე ხ ი – ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, შველას ვინ ითხოვდა...

I გ ლ ე ხ ი – ჰო, ყვირილზე საქონელი ავაჩქარეთ. თავს რო წავადექით...

კ ი ტ ა – იცანით!

I გ ლ ე ხ ი – *(გვიან)* როგორ ვერ ვიცანით.

კ ი ტ ა – მერე?

II გ ლ ე ხ ი – *(გაბრაზებით)* რა მერე? ჩვენზე უწინ სხვებს უცვნიათ და უკან გაბრუნებულან!

კ ი ტ ა – რატომ? *(პასუხად დუმილი)* თქვენ ხომ საშველად მიაშურეთ? იცანით და აღარ მიეშველეთ? რატომ?

II გ ლ ე ხ ი – რა რატომ?.. თქვენც ხომ კარგად იცით, რატომაცა?

I გ ლ ე ხ ი – გვეშინოდა...

კ ი ტ ა – რისი?

I გ ლ ე ხ ი – *(გაუბედავად)* გვეშინოდა...

კ ი ტ ა – ვისი?

I გ ლ ე ხ ი – *(გვიან)* რა ვი...

II გ ლ ე ხ ი – მაგ დღესა... მეორე დღესაცა, ცოტა მოჰკლეს საგურამოში, ჭოპორტში, მცხეთაში?

I გ ლ ე ხ ი – ილიას მებაღე კი არ მოჰკლეს? ილიას მკვლელობის ამბავი სულ წვრილად სცოდნია...

კ ი ტ ა – საწყალი ილია! ორმოცდაათი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა თავის სამშობლოს, ხალხს, გლეხკაცობას, როგორც მისი ოთარაანთ ქვრივი თავის „განძსა და ანდერძსა“, ჰქომაგობდა გაბროსა და კაკოს, ზაქროსა და თქვენისთანა მეურმეს. სიცოცხლე გამწარებულ და სიცოცხლე მოშხამულ კაცთ, და ასე გადაუხადეთ სამაგიერო?

„მ ო გ ზ ა უ რ ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი– ბატონ კიტა აბაშიძეს უნდა შევახსენოთ, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე ყოველთვის გამოდიოდა და ლაპარაკობდა ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე, მაგრამ საქმით ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ თელავდა და ჯიჯგნიდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გლეხი მიწასთან გაესწორებინა. ამის შემდეგ განა შესაძლებელია, რომ ამისთანა მემამულე გლეხკაცობას ჰყვარებოდა? *(მეურმეს)* სთქვი, რა დღე დაგაწია თავადმა, როცა იმის ტყეში ხე მოსჭერი? სთქვი!

კ ი ტ ა – *(მეურმეს)* სთქვი! ილიას ნათელს არ ეშინია არც სიცრუისა და არც სიმართლისა.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – *(მეურმეს)* სთქვი, თავზე ხელი გადაგისვა?

I მ ე უ რ მ ე – თავზე ხელს როგორ გადამისვამდა, დამტუქსა.

„მ ო გ ზ ა უ რ ი “ – აი, ბატონებო, ამას გლეხი ლაპარაკობს!

I მ ე უ რ მ ე – დამტუქსა და მითხრა: ჩემო მიხავ, ზოგი კაცი ფიქრობს, ჭავჭავაძეს ტყე რათა აქვს შეკრულიო, ტყეს მოვლა და გონიერი მოხმარება უნდაო. ტყე

არი ჩვენთვის წყალიცა და ჰაერიცაო. ამ სოფლებს ამ ტყის მაგნიტი ინახავსო. ხო იცი, ერთი უშვილო კაცი ვარ, გადავბრუნდები და მოვკვდები, ეს ყველაფერი თქვენ შვილებს და შვილიშვილებს უნდა დარჩეთ და მე რო ეს ტყე გავაკაფინო, თქვენი შთამომავლობა დამწყევლისო.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – თავადის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს. გლეხი კია გულუბრყვილო, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვაბრიყვებს ეს „უმანკო“ სიტყვები!

ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი – მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, როგორც განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიუდგომელმა მოწმემ, გამოვთქვა სიმართლე.

კ ი ტ ა – ბატონ არტურ ლაისტის აზრი ჩემთვის ფრიად ძვირფასია.

ლ ა ი ს ტ ი – უკანასკნელის ორი წლის განმავლობაში, როგორც ყველგან საქართველოში, გლეხები სჩეხდნენ საგურამოს ტყეს და ქალაქში ჩაჰქონდათ გასაყიდად. სჩეხდნენ განუკითხავად. სიკვდილის რამდენიმე კვირის წინათ ილიამ მოსთხოვა გლეხებს – თვითონვე დაეფასებინათ გაჩეხილი ტყე, გაეწერათ თავიანთის შეხედულებით და მოეკრიფათ ფული...

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – აგაშენათ ღმერთმა, ფული აკრიფაო! განა ჩვენ სხვა რამეს ვამტკიცებდით?

ლ ა ი ს ტ ი – „მაგრამ ეს ფული მე არ მინდა, იგი გაუნაწილეთ თქვენის სოფლის ღარიბებსაო“! როგორც მოგახსენეთ, მე ამ საუბარს ვესწრებოდი *(პაუზა)*

ხ მ ა „კ ო ნ ტ უ რ ე ბ ი დ ა ნ“ – ილიას მეეტლე აქ არის, ვკითხოთ თედო ლაბაურს, რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა, ვინ იყვნენ მკვლელები?

(ადამიანთა კონტურებს გამოეყო თედო ლაბაური)

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – თქვენ ერთადერთი გადარჩით უვნებელი ეტლის მგზავრებიდან. როგორ მოხდა?

თ ე დ ო – ავაზაკები პირველად იაკობამ შენიშნა, ბატონის მსახურმა, ჩემ გვერდით იჯდა. ესროლა ბოროტმოქმედებს და ეტლიდან გადახტა. იმათაც დაუწყეს სროლა და მოჰკლეს. შემდეგ გააჩერეს ეტლი და რამდენიმეჯერ ესროლეს ილიას.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – რამდენი იყო ბოროტგანმზრახველი?

თ ე დ ო – ბოროტგანმზრახველი ორი იყო. თეთრ ჩოხებში გამოწყობილი და აფიცრის ეპოლეტებიანი. არ მახსოვს, რა ხნისანი იყვნენ, ცნობით ვერავინ ვიცანი. მოგვცვივდნენ და ეს საქმე დაგვმართეს. ჰო, ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ. *(ისევ აჩოჩქოლდნენ ადამიანთა კონტურები)*

ხ მ ე ბ ი – ყველას ერთი და იგივე გულის შემზარავი საკითხი აკერია პირზე: ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, უნდა გაიგოს, – ვინ და რისთვის ჩაიდინა ესეთი ბოროტმოქმედება ქვეყნის წინაშე?

– ვინ მოჰკლა ილია? – აი, საშინელი სიტყვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებლივ პასუხს თხოულობს!

– ვინ მოჰკლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ?

– ხომ სთქვა ილიას მეეტლემ, მკვლელები ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენო!

კ ი ტ ა – არა, ბატონებო! თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ქართველთა ხელით არის მოკლული. ქართველი ერი, კარგა ხანია, თავის უარყოფისა და თავის მკვლელობის გზაზედ დგას, და საოცარის დაჟინებით, უცნაურის სისასტიკით სპობს ყოველივეს, რაც იმის სიცოცხლის წყაროს შეადგენს. ქართველი ერის საიდუმლო ძალამ, საუკუნეების იდუმალმა შრომამ, რამდენისამე მოდგმის შემონახულმა სულის საუნჯემ ერთი დიდი კაცი შეჰქმნა, დიდი კაცი, რომელიც ერის სულის საუკეთესო გამომხატველი იყო, იმის სულის კეთების სალარო იყო, გენიოსობის განხორციელება იყო. ქართველმა ერმა ამისთვის დასაჯა იგი!

ხ მ ე ბ ი – ამაზე შორს ვეღარ წავალთ, – ის-და დაგვრჩენია, მხოლოდ ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვიჟლიტოთ!

– როგორ უნდა გაიმეტო საქართველოს ჭირისუფალი, მისი დედაბოძი და უკვდავება, და ვინ? – ქართველმავე!

– საით მივდივართ, რად ვითხრით ჩვენივე ხელებით სამარეს?

კ ი ტ ა – უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობას ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი, კერძოდ, ყოველი ერი საზოგადოდ, იყოს ყოველისფრით კმაყოფილი, როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად და იყოს განთავისუფლებული მონობისა და მტარვალობისაგან. ბოლო მოეღოს პიროვნების, მისი აზროვნებისა და ქმედების დამონება-დათრგუნვას! – ამ დიდებული აზრის მოციქული იყო ილია, და ქართველმა ერმა ამისთვის განაძევა იგი!

ზემოდან დაეშვა ნათლის სვეტი. ეს ილიაა.

ი ლ ი ა – მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა! მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა: არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა, ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა, არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

ვთხოვდე: „შეუნდე – არ იციან, ღმერთო, რას იქმან.“

სვეტი გაქრა. ისევ ადამიანთა კონტურები, ხმები:

– ვინ ჩაიდინა ასეთი საზარელი და უღვთო ბოროტმოქმედება? ეს საკითხი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, საკითხადვე რჩება!

კ ი ტ ა – ილიას ერტყა ბრწყინვალე შარავანდი ქართველი დიდი პატრიოტისა, ეროვნულის მგოსნისა, ქვეყნის მესვეურისა და მესაიდუმლესი. დასელების აზრით, უსათუოდ საჭირო იყო ამ კერპის დამსხვრევა, ამ ძველის ღმერთის შემუსვრა!

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – დასელები აქ არაფერ შუაშია. ხალხის საბედნიეროდ, ილიასთანების სავალალოდ, ბევრი მისგვარი ცრუ კერპი დაამსხვრია დღევანდელმა ცხოვრებამ!

კ ი ტ ა – ვინ უწოდა ილია ჭავჭავაძეს ჯაშუში და უსასტიკესი მემამულე მთელს საქართველოში? ვინ სდევნიდა მას გარეულ ნადირივით და იმის გასაშავებლად არ ზოგავდა არავითარ საშუალებას, არ ერიდებოდა საზიზღარ ცილისწამებას, ჭორებს და სიცრუეს?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ახლაც გიმეორებთ: ჩვენ არა გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მიჰყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა!

ხ მ ა „კონტურებიდან“ – ამას ამბობთ გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინების მოციქულზე? „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღის“ ავტორზე? – არიან ისეთი ადამიანებიც, რომელნიც საზიზღარ ცილისწამებას ახლაც არ იშლიან!

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – თავადმა ჭავჭავაძემ არ იცოდა, რას ერქვა გაჭირვებული კაცის შებრალება!

ხ მ ა „კონტურებიდან“ – ვერაფერი გამიგია, ზოგნი ილიას ამუშავებენ და მუშებისა და გლეხთა მტრად თვლიან. სინამდვილეში ხომ ყველამ ვიცით, ყველა მუშებისა და გლეხების დამცველ მწერლებს ფართოდ უღებდა რედაქციის კარებს?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – იგი მთელი თავის არსებით მოწოდებული იყო, რომ თავისი თავი ყოვლად პატიოსან, უმანკო არსებად დაესახა!

ისევ დაეშვა ნათლის სვეტი – ილია.

ი ლ ი ა – მე არ ვიცი, როგორ აღმოვთქვა, რა სიხარული ჰდუღს და გადმოდის ეხლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენს ბრწყინვალე გვამს, აქ მობრძანებულს ჩემდა სასმენად... ჯარო და ჯამაათნო, ღვთის გულისათვის მაინც იკითხეთ: ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა? ქვეყანას ღერძი გასტეხია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისეც უბედურს საქართველოს?.. თუ

პირადად ჩემს საწინააღმდეგოდ გაქვთ რამე, საქვეყნო საქმეს რას ერჩით? მე თუ ასე მოგაბეზრეთ თავი, წავალ, მხოლოდ...

სცენის ერთ კუთხეში, წინ, პავლე ფშავლიშვილი იარაღს ისხამს. შემოდის თებრო, მისი და, პავლე დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დაიბნა.

თ ე ბ რ ო – ეს რა არის, პავლე?

პ ა ვ ლ ე – ჩუმად!

თ ე ბ რ ო – ადამიანის ფერი არ გადევს, ქვეყანა არეულია, აქ დარჩი, ერთ ძმას როგორ ვერ შევინახავ?

პ ა ვ ლ ე – შენს ძმას ხიფათი არ ელოდება, მაგრამ ერთი ადამიანის მზე კი გაშავდება.

თ ე ბ რ ო – ღმერთო, შენ გადმოგვხედე! არა კმარა ამდენი სისხლი?

პ ა ვ ლ ე – მე ეხლა ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად მივყევარ...

თ ე ბ რ ო – ვისი? ჩვენს ილიაზე ამბობ მაგასა?

პ ა ვ ლ ე – გული ძალიან მიტირის, თებრო!.. მისი მოკვლა არ მინდა, კარგად იცი, ჩემზე ბევრი სიკეთე აქვს. მაგრამ ამხანაგები არ მეშვებიან.

თ ე ბ რ ო – ვინ ამხანაგები?

პ ა ვ ლ ე – რა ბედენაა, ვინ ამხანაგები? ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია. დიდი ხანია. მე კაცის სისხლში უკვე ხელები მაქვს გასვრილი. ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლიც ჩვენ მოვკალით. ეხლა კი ჯაშმა ილიას სახლში, ილიას პურ-ღვინოზე, საიდუმლო სერობა მოაწყო...

თ ე ბ რ ო – არ გაგიშვებ! აქვე თავს მოვიკლავ!

პ ა ვ ლ ე – აღარაფერი ეშველება, გადაწყვეტილია-მეთქი. ორი დღე ვყარაულობდით წიწამურთან, დანიშნულ დღეს არ ჩამოვიდა. გუშინ იყო ილიას მსახური, იაკობა. დღეს მოდისო, გვითხრა. ათ სააათზე გამოვიდოდნენ ქალაქიდან.

თ ე ბ რ ო – იაკობაც თქვენსავით ღვთის პირიდან გადამდგარია? ღმერთო ჩემო!

პ ა ვ ლ ე – არა. იმან არაფერი არ იცის, ალალად გვითხრა. ეს ჩვენა ვართ, ხუთნი, კიდევ გიგლა და შაქრო გირმისაშვილები...

თ ე ბ რ ო – ნათათრალი ბიჭები?

პ ა ვ ლ ე – ჰო. ეგენი გზაზე იდგებიან და ეტლი რო გამოჩნდება, თეთრ ხელსახოცებს დაგვიქნევენ.

თ ე ბ რ ო – ეხლავე წავალ, მცხეთის დუქანთან დავდგები და უკან გავაბრუნებ.

პ ა ვ ლ ე – თუ მაგას იზამ, ორივეს დედაბუდიანად ამოგვხოცავენ!

ი ლ ი ა – ...მხოლოდ ჩემი თხოვნაა, ზოგიერთები, ცრუ პროპაგანდის ქვეშ მოქცეული პირები, კარგად ჩაუფიქრდით საქმის ნამდვილ ვითარებას, ნუ აჰყვებით უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას...

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ეს არც ცრუ პროპაგანდაა და არც უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა.

ი ლ ი ა – ბრძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ. აბა, გულზედ პატიოსანი ხელი დაიდეთ და გვითხარით. ოღონდ მხილება ავისა და ბოროტისა უნდა იყოს საფუძვლიანი და არა მოჭორილი. თანაც, რაც უნდა დიდი დანაშაული იყოს, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად დამნაშავეს არ ეპატიოს, თუ რომ საკუთარის კერის მფარველობის გამოა მომხდარი.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – აი! თავადი ჭავჭავაძე, როგორც ყოველთვის, ახლაც გვალაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზად არის, იარაღით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები!

ი ლ ი ა – ერთში მართალი ბრძანდებით. მე იმდენად ვაფასებ ჩემს თავს, რომ არავის ამოვასვრევინებ ლაფში იმას, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ხოლო იმის თაობაზედ, რომ მე საკუთარი კერა ვახსენე, და ამით თქვენი რისხვა დავიმსახურე, გთხოვთ დაიხსომოთ: სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: ენა, მამული და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით? რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ამ წმინდა სამების გაუპატიურებას. აი, ეს გახლავთ ის საკუთარი კერა, რომლის მფარველობის გამო ჩადენილი დანაშაულის პატიებას გთხოვდით. მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს. მე როგორც მესმის, ისევ ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ეს თავად ჭავჭავაძის ჩვეულებრივი ოინბაზობაა!

ი ლ ი ა – შეიძლება უარესი სახელიც მომიძებნოთ ბაზრის მდიდარ ლექსიკონში!

ნ ა ც ნ ო ბ ი ხ მ ა, *რომელიც წყევლას ჰგავს:* დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშობელი ხალხის ნაყოფით ცხოვრობს!

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – *(უცებ შეჰყვირა).* მართალია! ილია ... ძაან სასტიკი მებატონეა. გულქვა, აჯამი!

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი!

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – შამანაური ვარ, მიხა. კვირიკეს კოშკში ვცხოვრობ.

ი ლ ი ა – შენც ქვა უნდა დამიშინო, მიხა?

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – რა ვქნა, ბატონო, ეს პატიოსანი ხალხი ჭეშმარიტებას დაეძებს და მა არ დავეხმარო? დიდმა შოთამა ბრძანა, სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო...

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ბრძანეთ, ოღონდ ფაქტებით.

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – ფაქტებიო?! იგეთი ფაქტები ვიცი, მყინვარწვერს რო დაჰკრა, შუა გააპობს! თქვენა კარგათ მოგეხსენებათ, რომა დროებით ვალდებულ გლეხებს, ხელმწიფის კანონითა, ბანკის საშუალებით უნდა გამოესყიდათ მამული თავიანთი ყოფილი მებატონეებისაგან. გამოსასყიდი საფასური ხაზინაში უნდა შეეტანათ, ხაზინიდან კი ფული მებატონეებს მიეცემოდათ.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ეგ ყველას კარგად მოეხსენება. ფაქტებზე გადადით!

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – ფაქტებზედაც გადავდივარ! ამ სამუშაოების ჩატარება ევალებოდათ მომრიგებელ შუამავლებს. მე იმ დროს ახმეტის შუამავალთან ვმუშაობდი თარჯიმნათა. მთელი ეს სამუშაოები ჩემ ხელში გადიოდა. ვადგენდით ნასყიდობის სიგელებს. მაშინდელმა ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საკრებულომ გადმოგვიგზავნა ათასცხრაასსამოცდაოთხ წელს შემდგარი ბატონყმობის გადავარდნასთან დაკავშირებული სიგელები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელ მეკომურ გლეხს სად, რა ზომის, რა მიჯნებშუა, სარწყავი თუ ურწყავი მამული მიეცა... ერთი ასეთი სიგელი შემდგარი იყო ერთი მხრივ თავად ილია ჭავჭავაძის და მეორე მხრივ გლეხებ გონდაურების სახელზე. ასეთი გვარია...

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – თავადმა ჭავჭავაძემ ალბათ ამისგან გადაიღო გლახა ჭრიაშვილი.

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – მაპატიოს იმ სულგანათლებულმა!.. რადგან ილია უშვილო მოკვდა და მემკვიდრე არ დარჩა, საგონებელში ჩავცვივდით: ამ გონდაურების ფული ვის სახელზე უნდა გადაგვერიცხა? გაგონილი გვქონდა, რომ ილიამ მთელი თავისი ქონება წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა. მაშ, ილიას მამულის პატრონი მემკვიდრეც ის უნდა ყოფილიყო. ამიტომ საზოგადოებას ოფიციალურად შევეკითხეთ, ხო წესიერად გერიცხებოდათ ახმეტური გონდაურების ღალაო? რა ღალა, რის ღალაო! ოფიციალურად მოგვწერეს პასუხი. ბაიბურში არა ვართ, გონდაურები ვინ არიანო! უფრო მეტად ჩავცვივდით საგონებელში: სად გაქრა ღალა? დავიბარეთ გონდაურები. ჩვენაო, გაგვიმარტეს, არავისი ღალა არა გვმართებსო. დღიდან ბატონყმობის გადავარდნისა მესაკუთრე გლეხები ვართ და დროებით ვალდებულ გლეხებთან რა საერთო გვაქვსო? ეს რანაირადაო, შევეკითხეთ. რანაირადაო და ილია,

სრულიად ახალგაზრდაო მოსულა ჩვენს მამებთან და უთქვამსო: ძმებო, ბატონყმობის გადავარდნა და თქვენი განთავისუფლება მე თქვენზე მეტად გამეხარდაო. ნიშნად ჩემი სიხარულისა, ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჯი მე არ მინდა, იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთო. ჩვენ ოფიციალურად შევამოწმეთ გლეხების განცხადება და სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა: გონდაურებს იმ დღიდან ღალა არავისთვის არ უძლევიათ. ჰკითხეთ გონდაურებს, ახმეტაში შვიდი-რვა კომლია. თუ ესეც არ იკმაროთ, ჰკითხეთ გიორგი ივანეს ძე ცისკარიშვილს, მაშინ ის იყო ახმეტაში მომრიგებელ შუამავლათა, ახლა ზემო ალვანშია მასწავლებლად.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ეს არასერიოზული განცხადებაა. თავიდან სულ სხვანაირად დაიწყო.

შ ა მ ა ნ ა უ რ ი – თავიდან სხვანაირად იმიტომ დავიწყე, რომ ბოლომდე ლაღად გავსულიყავი.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ეგ წმინდა წყლის ჭორია.

ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი – წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა!.. ვინც არ მიცნობს, მაქვს პატივი, ქრისტეფორე მამაცაშვილი გახლავართ. ილიას ერთხელაც ჰკლავდნენ. ჰკლავდნენ და ვერ მოჰკლეს. ამიტომ მგონია, რომ ვერც ეხლა მოჰკლეს. ევროპის რუსეთში რომ გლეხები გაათავისუფლეს, ჩვენშიც დაარსდა თავადაზნაურთა კომიტეტი იმისთვის, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო გლეხთა განთავისუფლების საქმე საქართველოში. მაშინდელმა საგუბერნიო მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულ პირებს, გაეგზავნათ მისთვის წერილობითი აზრი, თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხობა, უმიწოთ თუ მიწიანად. მარტო ორმა – იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილებმა უპასუხეს დიმიტრი ყიფიანს, რომ გლეხები მიწიანად უნდა განთავისუფლდნენო.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – გთხოვთ, დაიხსომოთ: მარტო ამ ორმა! სად ბრძანდებოდა თავადი ილია ჭავჭავაძე?

ქრ. მ ა მ ა ც. – აქ ბრძანდებოდა, საქართველოში. მაგრამ მე მოგახსენეთ, რომ დიმიტრი ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულ პირებს. ილია ჭავჭავაძე კი წარჩინებულთა რიგს არ ეკუთვნოდა არც ასაკითა და არც მდგომარეობითა. ამიტომ მას შეკითხვაც არ გაუგზავნეს. გამოკითხვის შედეგად, ხმის უმრავლესობით, კომიტეტმა დაადგინა გლეხების განთავისუფლება უმიწოდ და მოიწვია თავადაზნაურთა საგანგებო კრება ამ დადგენილების განსახილველად. აი, ამ კრებას კი დაესწრო ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია

ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა: გლეხებს მიწა უნდა მივცეთო! კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ილიას მოსაკლავად გაიწია. გაგიჟებული თავადი ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. ეს ამბავი ილია წინამძღვრიშვილმა შემატყობინა გომბორში, მაშინ იქ ვმუშაობდი, და დამიბარა, ჩქარა ჩამოდი, ეს ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყათ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი, ანტონ ფურცელაძეც, სხვებიც და მუდმივ შორი-ახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით, რომ დაგვეცვა.

შ ა მ ა ნ ა უ რ ი — ვაი, რომ მაინც ვერ გავუფრთხილდით!

ქრ. მ ა მ ა ც. — მეორე დღეს კრებაზე გამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი მუხრანსკი. უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობა, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილიამ ხელი სტაცა გენერალს და თავისაკენ მიაბრუნა: ვინ არიან ეს კაცუნებიო! მუხრანსკი შეშინდა: — შემცდა, უნდა მეთქვა, რამდენიმე კაციო.

კ ი ტ ა — ნება მომეცით, გაგახსენოთ, რას ჰქადაგებდა ილია თავისი „ივერიის“ ფურცლებზედ: ბატონყმობის მოსპობა შუა გზაა. უფრო უკეთესი მასზედ, რაც იყო, და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. ამაზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას.

გ ლ ე ხ ი — დათიკა წამალაძე გახლავართ, ბატონებო. ეს აღმასრულებელი ფურცელი შედგენილია ათასრვაასსამოცდათორმეტი წლის თერთმეტ ენკენისთვეს. მაშინ ილია ჩვენში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა. თავადმა ხიმშიაშვილმა მცემა და დედ-მამა შემაგინა. სიმართლის ძებნას როგორ გავბედავდი, მაგრამ გამეგონა, რომ მოსამართლე ღვთისნიერი კაციაო, და იმას მივმართე. აი, ილიას განაჩენი. *(მაგიდაზე ქაღალდი დადო).*

კ ი ტ ა — *(კითხულობს).* თავადი გიორგი ივანეს ძე ხიმშიაშვილი ცნობილ იქნას დამნაშავედ. სამი თვით დაპატიმრებულ იქნას დუშეთის საპატიმროში და მასვე გადახდეს სასამართლო ხარჯები.

შ ა მ ა ნ ა უ რ ი — სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო! მაშ, თუ არ დაკარგავს, რას ვერჩოდით ამ ქრისტე-კაცს?

ქრ. მ ა მ ა ც. — „რა გავაგრძელო, თავადიშვილი, კარგი რა არის, ავი რა იყოს?“ „ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“ — ენა ვის მოუბრუნდება სალანძღავად იმ კაცისა, რომელმაც ეს დაგვიწერა?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ილია ჭავჭავაძეს არც ერთ თავის ნაწარმოებში არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი ნამდვილი „მე“, რომელიც სინამდვილეში არსებობს. სიტყვა მისი სხვაა, საქმე სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი. *(ისევ დაეშვა ნათლის სვეტი – ილია)*

ი ლ ი ა – ეს ღმერთმა იცოდეს, ადამიანის გულთამხილავმა ნამუსმა.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – საზოგადოებამაც უნდა იცოდეს, რას ემსახურება სინამდვილეში თავადი ჭავჭავაძე და რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს!

ი ლ ი ა – ერთი მიბრძანეთ, ვის რა გველი შევუწვი?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – როგორც მოგეხსენებათ, 1905 წლის დასაწყისში ქართლ-კახეთის სოფლებსაც მოედვა ის აგრარული მოძრაობა, რომელიც არსებითად ბატონყმობის ნაშთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყველა ადგილობრივ რედაქციებს, და მათ შორის ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქციასაც აუარებელი წერილები და კორესპონდენციები მოსდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ამოძრავებული გლეხკაცობის შესახებ.

ორი ბიჭუნა ტანსაცმელშემოძონძილი, გამურული, შემოვარდა სცენაზე. აგზნებულები ჟურნალის დასტას გვაწვდიან.

I ბ ი ჭ უ ნ ა – წაიკითხეთ „მოგზაურის“ ახალი ნომერი! „ილიას ბრაზით გული უსკდება, ჯავრი მოსდის, როცა მის მიერ ნასროლ ტალახზე და ბეზღობაზე გლეხები ია-ვარდის თაიგულს აღარ ესვრიან და ბრმათ აღარ აღმერთებენ. გაქრა ძველი დრო, დიდებულო მგოსანო!“

II ბ ი ჭ უ ნ ა – „სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია შვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ჰქვია? ვისი-მეთქი, გეკითხები! რატომ აწერე ისე ხელოვნურათ „ბატონების“ სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები! რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა? ნუთუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ!“

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ჩვენ დავბეჭდეთ წერილი „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“.

ი ლ ი ა – წერილს კი ერქვა „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, მაგრამ უფრო მე ვყავდი მიზანში ამოღებული და ჩემი ადამიანური ღირსება.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – რატომ აგრე გგონიათ, ბატონო ილია? და თუნდაც აგრე იყოს, „ბურჯი საქართველოსი“ რისთვის ხართ, თუ ყველაზედ მეტი არ მოგეთხოვოს?

ნუთუ მარტო ის გარემოება, რომ წერილში მოხსენებული იყო მემამულე ილია ჭავჭავაძე, საკმარის საბუთს იძლეოდა იმისას, რომ წერილი არ დაბეჭდილიყო?

კ ი ტ ა – საკმარისზე მეტ საბუთს იძლეოდა! ილია ხომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას? ყოველ ერს ჰყავს ორიოდე ისეთი მოღვაწე, რომელზედაც არ შიძლება ყველა იმის დაწერა, რაც კი ენაზე მოადგება ვიგინდარა ავადმყოფს! ნუთუ ქართველებმა ქვეყანა ამითაც უნდა გავაოცოთ?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ კითხვის ასე დაყენება უსამართლობას ნიშნავდა... რედაქციამ სხვანაირად დააყენა საკითხი: ჩვენ გვაინტერესებდა მოთხრობილი ამბების სინამდვილე, და როცა ამ უკანასკნელში დავრწმუნდით, წერილის დაბეჭდვაც თავისთავად გადაწყდა.

ი ლ ი ა – როგორ დარწმუნდით? ავტორმა სამარცხვინო საქციელები დამწამა და საბუთად მარტო ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში მეორემაო. მართლა უამბო თუ არა ან ერთმა, ან მეორე გლეხმა, ეგ მაღლა ღმერთმა იცოდეს და დაბლა თითონ ავტორის სინდისმა. განა შეიძლება, შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობრივად ჯვარს აცვას? განა მე არ შემიძლიან, დავწერო და დასაბეჭდად წავიღო, რომ ერთმა გლეხმა მიამბო, ვითომც რედაქტორი თქვენი ჟურნალისა ერთს ვიღაცის სახლში შესულა, ერთი მანეთი მოუპარავს და გაპარულა? ნუთუ ის ყოვლად უსაბუთო ბრალდება უნდა დაბეჭდოს გაზეთმა თუ ჟურნალმა?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – რადგან თავადი ჭავჭავაძე ასე დაჟინებით მოითხოვს, აი, საბუთებიც. *(ჟურნალის რამდენიმე პირი დადო მაგიდაზე).*

ი ლ ი ა – ჩემი კეთილისმყოფელი ავტორი ოთხ ბრალსა მდებს, რომელთა შორის ერთი თითქმის კაცის კვლაა.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ერთ გლეხს თავად ჭავჭავაძის კალოზე სანადელო ყანის ძნა მიუტანია ერთი დღის დაგვიანებით და თავადს უშვერი სიტყვებით ულანძღია და უბრძანებია: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, და როცა მოურავს დრო ექნება, ახლად გადმოითვლის და გადმოჰყოფსო“. გლეხკაცსაც ძნა ისევ უკან ჩაუტანია. ამ გლეხს ულოდნია ერთი დღე, მეორე დღე, მესამე, მაგრამ სად არის მოურავი? ძნა საქონელმა დაშალა და გააოხრა.

ი ლ ი ა – პატივი დამდეთ და გამახსენეთ, რა გვარის გლეხს დავმართე ეგ ბოროტება?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – თუ საჭირო იქნა, გვარსაც დავადგენთ. ისე, ახალსოფლელი გლეხი ყოფილა.

ი ლ ი ა – მე ღმერთმა მიბრალა და იმისთანა წინდაუხედავი და საზრისმოკლებული ბრალმდები მომივლინა, რომ თვითონვე თავისის ხელით ყელს იჭრის! მე და ჩემს მეუღლეს ახალსოფელში არც ერთი მტკაველი მიწა არ გაგვაჩნია. იგი სოფელი მთლად ეკუთვნის თავად ზაალ გურამიშვილს, იმის ნაყმევთან მე რა ხელი მაქვს? მეორე ბრალი?

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – როცა გლეხთა მოძრაობამ საგურამომდეც მიაღწია, თავადმა ჭავჭავაძემ ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი სთხოვა ბუნტის ჩასაქრობად. ჩვენ არ ვიცით, რა „უტყუარ და უცილობელ საბუთებს“ წარმოგვიდგენს თავადი ჭავჭავაძე.

ხ მ ა „კონტურებიდან“ – ერთი რამ მაკვირვებს ბატონ ილია ჭავჭავაძისა და ამას ვერ შევრიგებივარ. რას ნიშნავს მისი სიტყვები: „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა... ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“ თუკი ეს დიდებული სიტყვები 1860 წელს ილია ჭავჭავაძისაგან ნამდვილის გულით იყო ნათქვამი, ახლა, როცა ნატვრა აუსრულდა, ეს ტკბილი და უძლეველი ხმა გაიგონა თავის მხარეში, ამ ხმას ხიშტებით და ჯარით რატომ მიეგება?

– გესმის, გესმის „საზარელი“ ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა მართლა გრგვინავს დასათრგუნათ მონობისა. დღეს „გაღონებს“ თურმე ეს ხმა, გიორკეცებს დარდებს გულში და ღმერთსა სთხოვ ეგ „მწარე“ ხმა არ გაისმას „თქვენს მამულში“. საშვალებაც მოგინახავს, რომ აღმოფხვრა ეგ ხმა „მწარე“, საგურამოელი გლეხი გასტანჯე და გაამწარე.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – გაგვცეს პასუხი თავადმა ჭავჭავაძემ!

მ ო ს ე – პასუხს მე გაგცემთ!.. საგურამოს მოურავი გახლავართ, მოსე მემარნიშვილი. ეს მე მომკლეს ცოლთან ერთად ბერბიჭაშვილმა, ინაშვილმა, ფშავლიშვილმა... ჩემ ჭერქვეშ. ორი თვით ადრე ჩემი ბატონის მკვლელობამდე... ხმა გავარდა, რომ მთავრობა აპირებდა საგურამოში ჯარის დაყენებას. ილია ჭავჭავაძისაგანა ეს ბარათი მივიღე *(კითხულობს).* მოსე, თუ ვინიცობაა მანდ, საგურამოში, ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე. მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ. *(ბარათი მაგიდაზე დადო).*

კ ი ტ ა – აი, გაზეთი „ზაკავკაზიე“, წაიკითხეთ წერილი „უკანასკნელი აკორდი“. ცხრაასხუთში აჯანყებული გურიის მიწასთან გასასწორებლად გაგზავნეს გენერალი ალიხანოვ-ავარსკის ექსპედიცია. ილიამ განაცხადა: ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ გურიის გადასარჩენად. ახლა წყდება ყოფნა-არყოფნის საკითხი. უნდა მივიდეთ ხელისუფლების წარმომადგენელთან, ავუხსნათ საქმის ვითარება, გამოვიყენოთ ყოველი სამშვიდობო საშუალება და თუ არაფერი გამოგვივიდა, ყველა ჩვენგანი დავიხოცნოთ გურულ ძმებთან ერთად! გაიგზავნა დეპუტაცია გენერალ მალამესთან. გურიის გზაზე, სოფელ ნატანებთან, ალიხანოვი შეაჩერეს და მის ნაცვლად გურიაში მოსალაპარაკებლად გაგზავნეს კრიმ-გირეი. აი, ბატონებო, საქმის ნამდვილი ვითარება!

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი – რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლივ შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მაშინ იგლოვს ქართველი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა. ჩვენ არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ბატონ იაკობ გოგებაშვილს ჩვენ დიდ პატივს ვსცემთ. გურიის დღეებში მან დააარსა „განმათავისუფლებელი ფონდი“ და პირველმა შეიტანა შეწირულება.

ი ა კ ო ბ ი – იმ ფულს არ შეშვენის შეწირულების სახელი. ეს წმინდა ვალის გადახდაა.

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ – ბარაქალა თქვენს დიდბუნებოვანობას! ან ვინ უარყოფს თქვენს დიდ ღვაწლს, თქვენს მიერ შედგენილ სახელმძღვანელოების – „დედაენის“, „ბუნების კარის“, „რუსკოე სლოვოს“ დიდ მნიშვნელობას საქართველოს სკოლებისათვის?

ი ა კ ო ბ ი – უარყოფენ. გულახდილად გეტყვით: თუ მართლა გავაკეთე რამე, ეს ილია ჭავჭავაძის დამსახურებით და ხელშეწყობით. როდესაც მე შევეცადე დამეცვა საქართველოს შელახული უფლებები, დამეცვა მისი კულტურა, ენა, ყვავ-ყორნებივით შემომესივნენ პედაგოგების ქურქში გამოხვეული რუსი მოხელეები და ამათ გვერდში ამოუდგნენ ჩინ-მენდლების მოყვარული ქართველები. სწორედ ამ დროს ჩემი ერთადერთი იმედი და მფარველი იყო ილია ჭავჭავაძე. თქვენ რომ ჩამოთვალეთ ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, თუ მათ ფართო გასავალი მიეცა საქართველოს სკოლებში, ეს მოხდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით. ფიზიკურად მე ძალიან სუსტი

ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე, გამოტეხით გეტყვით, მუდამ მიშლიდა ხელს, გავმკლავებოდი ჩემს მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე გვერდში მედგა და მე, სუსტ ადამიანს, მამხნევებდა – საქართველოს საკეთილდღეოდ მუშაობაზე არასოდეს ხელი არ ამეღო და ყოველგვარი დაბრკოლებები გადამელახა.

ი ლ ი ა – ჩემო იაკობ!... კარგად იცი, ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები, ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის.

ი ა კ ო ბ ი –ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ოთარაანთ ქვრივი კაბაგადაცმული ილია ჭავჭავაძეა!

ი ლ ი ა – მაგრამ ამ შემთხვევაში იმოდენად ვარ გაწბილებული, შეგინებული და ესე უწყალოდ შეურაცხყოფილი, რომ შენი სიტყვებით გულში მადლი ჩამეფინა, ვითარცა მზის შუქი, და ამიტომაც უდიდეს მადლობას მოგახსენებ, ჩემო იაკობ. მაგრამ რა ამბავია ამოდენა ჩემი ქება-დიდება? ეს შენ ხელგაშლილ გულუხვობას უნდა დავაბრალოთ და არა ჩემს ხელმოკლე ღირსებას. მომიტევე, რომ ამას გიბედავ. ჩემი ღირსება ერთს თხილის ნაჭუჭშიც თავისუფლად მოთავსდება, შენს მიერ შემოთვლილ ქება-დიდებას კი საძნე ურემიც ვერ დაიტევს.

ხ მ ა „კონტურებიდან“ – კურთხეულ იყოს შენი სახელი, ქართველი ერის ღირსეულო შვილო!

ი ლ ი ა – ერთი მკითხეთ, რად უნებებია ამ ჩვენს ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოცხობა? ღმერთმა ესეთი კაცობა მშვიდობაში მოახმაროს იმ ერთგვარ ჯგუფის სადღეგრძელოდ, რომელიც არავითარ საზიზღარ ცილისწამებას არ ჰთაკილობს, ოღონდაც კი ჭუჭყი რამ მოსცხოს მის არამასიამოვნებელს და არათანამოაზრეს.

„მ ო გ ზ.“ – ჩვენ სავსებით გვესმის თავად ჭავჭავაძის გაბრაზება. წეღან მოგახსენეთ, რომ მას არასოდეს დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი ნამდვილი შინაგანი „მე“, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში.

ი ლ ი ა – ვაი, ახალო დროვ, რა კარგი ყოფილხარ! უწინ ბრიყვნი იძახდნენ: უსაბუთოდ არამც თუ გინება, ქებაც კი შეუწყნარებელიაო.

„მ ო გ ზ.“ – ერთი მაგალითიც საკმარისია თავად ილია ჭავჭავაძის პრაქტიკული მოღვაწეობის დასახასიათებლად, თუ როგორ ექცევა, ან რა დამოკიდებულება

აქვს მას გლეხებთან. გურამიანთკარელი გლეხი ამბობს, იმ ზამთარს დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი ისე გაიყინა, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო. სოფელ-ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში...

ი ლ ი ა – მიუვალ ღელეშიო, ესე გავიგონე.

„მ ო გ ზ.“ – თუ თავის გასამართლებლად გჭირდებათ, გავიმეორებ: მიუვალ ღელეში, ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით იყინებაო. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა. დაგვისია თავადმა მოურავები...

ი ლ ი ა – ჩემს დღეში ერთის მეტი მოურავი არა მყოლია!

„მ ო გ ზ.“ – დავუშვათ, ეს კორექტურული შეცდომაა.

ი ლ ი ა – დავუშვათ, მაგრამ ქვემოთ კიდევ ისეთს შეხვდებით, რომელსაც კორექტურას ვეღარ დააბრალებთ.

„მ ო გ ზ.“ – დაგვისიაო თავადმა მოურავები, ბიჭები და აგვიკრძალა წყლით სარგებლობა. თანაც გვითხრეს: ვისაც წყალი უნდა, იმან თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო და სასმელ წყალს მუქთად დაგითმობთო. იძულებული ვიყავით, დავთანხმებულიყავით და მთელი ზამთარი ვაძლიეთ ეს ხარკიო...

ი ლ ი ა – მტყუანს ტყუილის კარამდე უნდა მიჰყვეო! ჯერ ამაზე შევწყვიტოთ სიტყვა, თორემ მერე ისეთი ღრმა საფლობი დაგვხვდება, რომ ფონს ვეღარ გავიგნებთ. კორესპონდენტი წერს, რომ დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინა ისე, რომ მთლად უწყლოდ დარჩენილან გურამიანთკარელები. ეს მთლად თავიდან ბოლომდე ტყუილია. საქმე ის არის, რომ გურამიანთ-კარს შიგ სოფელში თეზამის წყალი ჩამოუდის. თუ თეზამის წყალი გაიყინა, საბედნიეროდ, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცი წლის წინათ გამოიყვანეს სტაროსელსკიანთ მილებითა, როგორც თავიანთვის, ისე სოფლისათვის. ეს წყარო კარგა მოზრდილია, კოდიც კი უდგა საქონლის სასმელად. ეს წყარო თავის დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არასდროს არ გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ ბუნება წყაროს წყალისა. ვთხოვ ბატონ რედაქტორს „მოგზაურისას“ და მის განებივრებულ ავტორს, მიბრძანდნენ და იქავ, ადგილობრივ შეამოწმოს ჩემი ნათქვამი. აქ მომხრედ მყავს ისეთი დაუქრთამავი მოწმე, როგორიც ბუნებაა. სოფელ-ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ადგილზე ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინებაო. ესეც მტკნარი სიცრუეა. თუ ჩემი ცრუპენტელა ავტორი მოწყალებას მიიღებს და გურამიანთ-

კარის ზემოთ იმ სოფლიდან სამი ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში, მიუვალ ღელეში, პატარა წყაროს მიპოვის, დიდი მადლობელი ვიქნები და თუ არ ითაკილებს, სამახარობლოსაც მივართმევდი. ამ სახით ავტორი გვარწმუნებს, რომ გურამიანთკარელებს, მაშინ, როცა ცხვირწინ შიგ სოფელში აქვთ კარგა მოზრდილი წყარო, რომელიც არც გაყინულა და არც იყინება, დაუწყიათ სარგებლობა იმ წყაროთი, რომელიც არ არსებობს და მარტო ავტორის ჭკუიდან მოჩუხჩუხებს. დაგვრჩა ეხლა ერთი ბრალიც, რომელიც ამ ზამთარს წყლების გაყინვას მოჰყოლია ვითომც... ვნახოთ, იქნება ავტორის მიერ შეთითხნილ ტრაგედიას ბოლოც ისეთი ჰქონდეს, როგორც დასაწყისი.

„მ ო გ ზ.“ – ჩვენს სოფელში იყო ერთი ღატაკი გლეხი. ასე, რომ ჩვენ – ღატაკებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავისის ცოლ-შვილით. ერთ დღეს იმ კაცს აევსო ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში, გზად მიმავალი დაინახა ილია ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, – რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. „ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ავღანტალდი და, ხომ იცი, ავადა ვარო“. „შენთან ბევრი ლაპარაკი არ ღირსო“, და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსაო.

ი ლ ი ა – ეხლა სულაც არ გამიკვირდება, რომ იმავ ავტორმა ხვალ დამწამოს შარა-გზაზე ხალხის ძარცვა და ამის საბუთად მოიყვანოს, ერთმა გლეხმა ასე მიამბოო. განა წარმოსადგენია, რომ კაცს, რომელიც სულ ორი კვირაა, რაც აღანტალდა ქვეშაგებიდამ, ნახევრად შიშველს ორი კოკა სოფელ-ზევით, მთაში, სამ ვერსტზედ, მიუვალ ღელეში პატარა წყაროზე აევსოს, სავსე კოკები ზურგზე აეკიდნოს და სოფელში ჩამოეტანოს, საცა მშვენიერი წყაროა, როგორცა ვთქვი? მე თუ არ მინდობს ავტორი, ამ საცოდავ ავადმყოფ კაცს რას ერჩოდა, ასე უჭკუოდ რომ ატარა? ან ავადმყოფმა კაცმა ორი სავსე კოკა როგორა ზიდა, როცა სახედრისა და ცხენისათვისაც ძნელი სატარებელია ასეთი მძიმე საპალნე? მაგრამ ჩვენი ტყუილისმცხობელი ავტორი ამასაც არ ჰკმარობს და მოგვითხრობს, რომ ამ არყოფილს მტვრევას კოკებისას არყოფილი გლეხ-კაცის ზურგზე თურმე ილია ჭავჭავძე... ბრძანეთ, ბრძანეთ, გისმენთ!

„მ ო გ ზ.“ – ბალკონიდან ოთხას-მანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა, გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულ მოურავს.

ი ლ ი ა – აბა, ტრაგედია აქ არის და! აი, რა საშინელი უსამართლობა დაანახა ქვეყანას! ცალკე ოთხას-მანეთიან ქურქში გახვეული თავადი და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი! თუმცა მე ორმოც-თუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არა

მქონია, ავტორი, ალბათ, მე გამიფრთხილდა, არ გაცივდესო, და წამომასხა. ამ გაფრთხილებისათვის დიდი მადლობელი ვარ და ვთხოვ ჩემს მწე-მქებარე ავტორს: მობრძანდეს, ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოც-თუმნიანი კი არა, თუნდა ას-თუმნიანი ქურქი წამოისხას, იქიდამ გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემი ბალკონიდამ ტყიდან გზად მომავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი! მაინც რით ათავებს ავტორი ამ მოჭორვილს ამბავს კოკების მტვრევისას?

„მ ო გ ზ.“ – ეს ყველას კარგად მოეხსენება!

ი ლ ი ა – თუ ღმერთი გწამთ, გაგვახსენეთ!

„მ ო გ ზ.“ – უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მაგრამ აქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ავად და ერთ კვირაში გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლე.

ი ლ ი ა – ხედავთ, ბატონებო, რა ღმერთი გამწყრომია! კაცი თუ ჩემის ხელით არ მომიკლავს, კაცის სიკვდილის მიზეზად ხომ ვარ გამომჟღავნებული? ნუთუ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა მაგალითი, რომ ბეზღობას ამისთანა რამ მოეხდინოს სადმე? გამგზავნეთ გურამიანთ-კარს იქაურ მღვდელთან კაცი, წერილობით დაგიმოწმებთ: გურამიანთ-კარს იმ ზამთარს მამაკაცი გლეხი არ გარდაცვლილა არამც-თუ ჩემის მიზეზით, არამედ სხვა მოზეზითაც.

ლ ა ი ს ტ ი – ნება მიბოძეთ, ბატონებო, ორიოდ სიტყვა დავუმატო ჩემს მიერ ნათქვამს. მე საგურამოში ოცი წლის განმავლობაში, არათუ კვირაობით, არამედ თვეობით ვყოფილვარ და შემიძლიან დავამოწმო მხოლოდ მისი სამართლიანი და მეგობრული განწყობილება გლეხებთან. ოცი წლის განმავლობაში არ მინახავს არც ერთი ქალი ან კაცი, რომ ილია ჭავჭავძის სამოსახლოში წყლისთვის მოსულიყოს. ან რად მივიდოდა, როდესაც ილიას სამოსახლო მთაზეა გაშენებული, ხოლო სოფელი კი ძირს და მშვენიერი წყალი ჩაუდის? როდესაც 1884 წელს მე პირველად მიველ საგურამოში, უპირველესი შთაბეჭდილება ჩემი იყო ილია ჭავჭავაძის მიერ გლეხებისადმი მეგობრული და გულკეთილი მოპყრობა. ამის შესახებ მე ვრცლად ვწერდი ჩეს წერილებში, როგორც სასიამოვნო მოვლენაზე ქართველების ცხოვრებაში.

„მ ო გ ზ.“ – ეგ როდის? ოთხმოცდაოთხ წელს? ეტყობა, ძველი კერპების თაყვანისცემას ჯერ კიდევ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი. შემდგომ წლებში გამოავლინა თავადმა ჭავჭავაძემ თავისი სულიერი ავლადიდება!

ლ ა ი ს ტ ი – ბატონი ბრძანდებით. მოგახსენებთ: 1899 წელს, მე მგონია, ეს „შემდგომი წლებია“, ტფილისში ჩამოვიდა ძველ ისტორიის მკვლევარი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემანი. მან ინახულა საგურამო. ილია ჭავჭავაძემ აღტაცებაში მოიყვანა იგი. მისმა დამოკიდებულებამ გლეხებისადმი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შთაბეჭდილებანი მან მოათავსა თავის წერილებში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა ბერლინურ ჟურნალ „დი ჰელტე“-ში და ახლა, როდესაც იმავე პროფესორმა გაიგო, დიდად პატივცემული პოეტის მხეცურად მოკვლა, ბერლინურ „ფოსიშე ცაიტუნგ“-ში გამოაქვეყნა თავისი მოგონებანი განსვენებულის შესახებ. ერთი რამ გამკვირვებია, ბატონებო! რატომ ამხობთ ქართველები თქვენსავე ხატს, რომელზეც სხვა ერის შვილები მოწიწებითა და სასოებით ილოცებდნენ? რომ ნათლად გამოირკვეს ილიას შრომა აზროვნულს და საზოგადოებრივს ცხოვრებაში, საჭიროა დაიწეროს მთელი ისტორია საქართველოსი უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. ის რაც, ათი ათას ქართველს არ შეეძლო მიეცა თავის ერისათვის, მისცა მხოლოდ მან ერთმა. თუმცა შემთხვევა მქონდა გამეცნო ლიტერატურასა და მეცნიერებაში ცნობილი ბევრი ევროპელი, მაგრამ იშვიათად შემხვედრია ისეთი კაცი, როგორიც იყო ილია.

ხ მ ე ბ ი „კ ო ნ ტ უ რ ე ბ ი დ ა ნ“ – ივერიის ძეს მთელი თავისი საშინელებით გვეყუდება გონების წინაშე თავზარდამცემი კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღვწი და სანთელივით დნები ჩვენს უცნაურ ქვეყანაში?

– ჩვენში მუდამ ასე ყოფილა: სამშობლოს საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიათ და სამარცხვინო ბოძზე მიუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად!

– მაგრამ ილია? ეს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ადამიანი საქართველოსი! დედის შემდეგ ჩვენს გონებას ძუძუ აწოვა მან და აგვიხილა თვალები!

კ ი ტ ა – ილიას სიყვარული ქვეყნისა მიდიოდა თავის თავის უარყოფამდე! იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, ევროპულშიც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექციოს პირად გრძნობათა გამოხატვისათვის. მან პირად გრძნობათა გამოხატვა განაძევა ლიტერატურიდან და ერის სულის დასურათებასა სცდილობდა, ერის ვაების ხმას გვაგონებდა!

ხ მ ა „კონტურებიდან“ – ახლა ვის გსურთ გააწევინოთ დიდი ილიას მაგიერობა უნუგეშო საქართველოსთვის?

„მ ო გ ზ.“ – დიდად სცდებით, ვინც ამ უსასტიკეს დანაშაულს, როგორიც ილიას მოკვლაა, უკავშირებთ ჩვენს იდეურ ბრძოლას ილიას წინააღმდეგ.

„ხ მ ე ბ ი კონტურებიდან“ – რომელ იდეურ ბრძოლაზე ბრძანებთ? თქვენი კორესპონდენციები ბრბოს მისისიანება და აშკარა „ჰკა მაგას“ დაძახება არ არის?

– ვინ მოუშხამა პოეტს უკანასკნელი წუთები ისედაც მოშხამული სიცოცხლისა?

„მ ო გ ზ.“ – „მოგზაურმა“ ბოროტმოქმედება და ტირანია ალაგმა მხოლოდ!

ჟ ო რ დ ა ნ ი ა – რა ვუყოთ, რომ ბრძოლის დროს მებრძოლნი ხშირად გადააჭარბებენ?

„მ ო გ ზ.“ – ნუთუ ჭკვაში მყოფელ კაცს შეუძლია ამტკიცოს, რომ ოდესღაც „მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილი წელს წაიკითხა ვიღაცამ და იმის გავლენით მკვლელობა ჩაიდინა?

კ ი ტ ა – „მოგზაურსა“ და ძმათა მისთა ის კი არ ედებათ ბრალად, ვითომ ვიღაცეებს ჩააგონეს, ილია მოსაკლავიაო, არამედ ის, რომ განუწყვეტელ აგიტაციით ისეთი ფსიხიური ატმოსფერა შეჰქმნეს ახალ-მოძრაობის ბანაკში, რომ ილიას მოკვლა სარევოლუციო აქტად მიიღეს.

ჟ ო რ დ ა ნ ი ა – სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა!

კ ი ტ ა – თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ნოე ჟორდანია?

„მ ო გ ზ.“ – ბატონი კიტა აბაშიძე ჩვეული ოინბაზობით ცდილობს თავის დაძვრენას. ჩვენ იძულებულნი ვართ, თქვენს უწმინდურ ზრახვით ფარდა ავხადოთ: „მოგზაურმა“ ამხილა პიროვნება, რომელიც თქვენ საქართველოს ბურჯად მიგაჩნდათ. განა სცადა კი ვინმემ ან მაშინ, ან მის შემდეგ იმის დამტკიცება, რომ იქ მოთხრობილი ამბები განზრახ გამოგონილი იყვნენ? რით აიხსნება მის ქომაგთა და მოსარჩლეთა ორწლიანი სამარისებური დუმილი? არა თუ ვერ ბედავდნენ გამოსარჩლებას, არამედ თვით ილიას მიერ დაწერილი პასუხის დაბეჭდვაც კი თავის ორგანოებში ეძნელებოდათ. ამის თავი და თავი მიზეზი იყო შიში ამოძრავებული ხალხის წინაშე...

ორი ბიჭუნა, ტანსაცმელჩამოძონძილი, ავანსცენაზე შემოვარდა. ჟურნალ-გაზეთების დასტას აფრიალებენ.

I ბ ი ჭ უ ნ ა – სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!

II ბ ი ჭ უ ნ ა – ვის, ვის, ვის?

I ბ ი ჭ უ ნ ა – წოდებას, წოდებას, წოდებას!

II ბ ი ჭ უ ნ ა – როგორ თუ წოდებას? განა წოდება უნდა მოკვდეს?

I ბ ი ჭ უ ნ ა – დიახ, მოკვდება წოდება. დადგა დრო განკითხვისა!

II ბ ი ჭ უ ნ ა – სიკვდილი წოდებას! იმეორებდა იდუმალი ხმა და თითქო თვით უჩინარი სიკვდილი, საზარელი ცელით შეიარაღებული, დანავარდობდა ელვასავით მძიმესა და გახურებულ ჰაერში!

„მ ო გ ზ.“ – ...და თქვენ ვერ გამოიჩინეთ პირდაპირ ისეთი რაინდული გამბედაობა, რომლითაც ილია უკანასკნელ წუთებამდე აღჭურვილი იყო. პირველხარისხოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ პრესას და ქართულ საზოგადოებრივ აზრს ხელმძღვანელობდა, თავის გარშემო აღარავინ გამოაჩნდა ისეთი ვინმე, რომელსაც მისი გამოსარჩლება საჭიროთ ეკისრა. ილია გარიყული შეიქნა. ჭეშმარიტათ შესაბრალისია ის მდევი მწერალი ასეთ კაცუნების კომპანიაში!

ხ მ ე ბ ი „კონტურებიდან“ – მე ილიას არა ვგლოვობ. ილიას რა სჭირს საამისო? გლოვა საქართველოს სჭირდება!

– საქართველოს სინდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა სამარეს ილიასთან ერთად?

ვაჟას სახე ერთ წამს განათდა სცენის სიღრმეში:

– ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ, ურემი კი შინ მისატანი დაგვრჩა.

კ ი ტ ა – აი, რა მივანიჭეთ ჩვენს თავს მით, რომ ჩავიდინეთ საარაკო საზიზღრობა – სიცოცხლე მოვუსპეთ დიდებულ მგოსანს, რომლის დაბადების სამოცდაათი წლისა და ძლევამოსილ მოღვაწეობის ნახევარ საუკუნის იუბილეს უნდა ვდღესასწაულობდეთ... უნდა გვედღესასწაულა, თუ რომ სულმოკლეობა არ ჩაგვედინა და ორი თვით კიდევ გადაგვედო ჩვენი შემარცხვენელი აქტი. დავსტირი ჩემი სამშობლოს სირცხვილს!

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ხმა, რომელიც წყევლას ჰგავს:

– დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა-ქებას!

ავანსცენაზე ორი მსახიობი.

I მ ს ა ხ. – „რუსკიე ვედომოსტი“, 2 სექტემბერი, 1907 წელი, პეტერბურგი. მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე. მკვლელებმა ხელი აღმართეს სამოცდაათი წლის მოხუცზე, ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, პირველხარისხოვან პოეტსა და გამოჩენილ პუბლიცისტზე, და ბოროტებს ხელი არ აუკანკალდათ, როდესაც შეწყვიტეს განაწამები და გაჩანაგებული საქართველოს საუკეთესო შვილის სიცოცხლე.

II მ ს ა ხ. – „რუს“, 2 სექტემბერი, 1907 წელი, პეტერბურგი. ვინ მოკლა მოხუცი, რომლის პოეტური შემოქმედება იქცა მთელი ქართველი ხალხის საკუთრებად? მოკლე ცნობა იმის შესახებ, თითქოს მკვლელობა მოხდა აგრარულ ნიადაგზე, აშკარად საეჭვოა. მაშ რა მოხდა?

დაეშვა სვეტი ნათლისა. დინჯი ნაბიჯით შემოდის აკაკი, მიუახლოვდა სვეტს. შეჩერდა, ახედა.

ა კ ა კ ი – გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით...

ი ლ ი ა – სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია.

ა კ ა კ ი – ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა.

ი ლ ი ა – არ მეგონა, რომ გლეხკაცობა ასე გამიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს.

ა კ ა კ ი – ძველი სენი გვჭირს და ეს სენი დააქცევს ჩვენს ქვეყანას, თვარა სხვა ვერაფერი. შური, ჯიბრი და ბრაზი – სწორეთ გამოცანაა ქართველების ცხოვრება. ჩვენი ისტორია ვერ წარმოადგენს მისთანა შემთხვევას, რომ ქართველები დამარცხებულიყვნენ და მიზეზი ზურგში დაცემული მახვილი არ იყვეს. ვინ იყვნენ ეს მოღალატენი? ქართველისავე შვილები. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს სენი სისხლში ჩაუდგა ქართველს და საშვილიშვილოდ გადადის.

ი ლ ი ა – თუ კაცმა ვერ სცნო ჩემი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა იყო განზრახვა ჩემი.

ა კ ა კ ი – შენ შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე. შენი ღვაწლი და საქმენი თავისთავად იღაღადებენ. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ.

ი ლ ი ა – ჩემო ძმაო, შენ ერთადერთი აკაკი ხარ. შენ ჩემს გულს ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ტანჯული ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული.

ა კ ა კ ი – გამოჩენილნი კაცები იმით უფრო არიან შესანიშნავნი, რომ მათი, არა თუ სიცოცხლე, სიკვდილიც-კი სამოძღვრო და საგულისხმოა ქვეყნისათვის. როგორც შენი სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა. და, აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე. ერთობა, თანასწორობა, ძმობა, სიყვარული.

ი ლ ი ა – აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა! დაე, დაგვძრახონ, რომ საქმე ჩვენი საქართველოს ხალხის ცხოვრება იყო, მისი გამომჯობინება – ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი.

„ივერიის“ რედაქციის სამუშაო ოთახი. სვეტი ნათლისა – ილა ეგებება იაკობ გოგებაშვილს.

ი ლ ი ა – ოო, მწყემსი ჩვენის დედაენისა! რა ამბავი ჩამოგვიტანე აჭარიდამ?.. სანამ გამგეობას მოახსენებდე... *(ჩამოსხდნენ)*

ი ა კ ო ბ ი – ბათუმის სკოლა დიდ ხარჯს მოითხოვს და შიშ ქვეშ აგდებს წერა-კითხვის საზოგადოების არსებობასა. საუკეთესო ღონისძიებად მიმაჩნია დაარსება კომიტეტისა, რომელიც გამართავს ლოტორეა-ელეგრას, კონცერტებსა, სპექტაკლებსა და ამით შეეწევა საზოგადოებასა. მეორე საგანი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სახლის აშენებაა. ეხლანდელი შენობა მოუხერხებელია სკოლისათვის. მასწავლებელს უნდა გაეზარდოს ჯამაგირი და დაენიშნოს თანაშემწე. სკოლას ძლიერ ეჭირვება ბიბლიოთეკა...

ი ლ ი ა – საზოგადოებამ უნდა ყველაფერი იღონოს... ყველაფერი. იქაც ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“. ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი. ჩვენი ძველი საქართველო.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – *(შემოდის შემკრთალი, შეთქმულივით)* ბატონო ილია!

ი ლ ი ა – *(სვეტი შეირხა)* მობრძანდი, ყმაწვილო!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – შუამავლად ვარ თქვენთან მოგზავნილი. სულ მალე გეახლებათ სემინარიის რექტორი!

ი ლ ი ა – მოძღვარი სერაფიმი!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რაც ხდება სემინარიაში. ჩვენ გავიფიცენით. სამი უცილობელი მოთხოვნა წარვადგინეთ, სადაც ჯერ არს:

მოგვაცილონ ზედამხედველები ივანოვი და პოკროვსკი, უვიცი მასწავლებელი ბულგაკოვი, დაგვიბრუნონ ქართული ენა, შემოიღონ ქართული ლიტერატურის და ისტორიის სწავლება, შეწყდეს სემინარიელთა დევნა!

ი ლ ი ა – ვიცი, ყმაწვილო... ტფილისის სემინარია ჰდუღს და ტოკავს!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – სასწავლებელი გულგატეხილობისა და შერყეული რწმენის მეტს არაფეს იძლევა! რა გავლენა უნდა ჰქონდეს იმას, ან რა კეთილს მოინდომებს ჩვენთვის, ვისაც ჩვენი გადაგვარება სურს? *(პაუზა)*

ი ლ ი ა – რა ნებავს ჩემგან სემინარიის რექტორსა?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – ახალგაზრდობაზე თქვენი დიდი გავლენა უნდა გამოიყენოს...

ი ლ ი ა – მსხვერპლი უსათუოდ იქნება... მაგრამ დათმობაზე წასვლაც აღარ შეიძლება.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – ჩვენ უკან აღარ დავიხევთ!

ი ლ ი ა – ჩვენთან არს ღმერთი! თქვენს მოძღვარს დავხვდებით. ხოლო თქვენს მასწავლებლებს გადაეცი ჩემგან: სირცხვილ არს მწყემსისგან შიში სიკვდილისა! ლოცვანი ცოტა ხანს გვერდით გადადონ, მიმართონ ეგზარხოსს, მეფის ნაცვალს, თვით მეფეს, არა უშავს, ერთი-ორი მათრახი თქვენს ანაფორებსაც მოხვდეს-თქო!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – *(გაიღიმა. გახარებული)* სიტყვა-სიტყვით ასე გადავცემ!

ი ლ ი ა – თქვენ კი დამილოცნიხართ. ვინძლო, ქვეყანას ემსახურებოდეთ ღმერთისათვის და ღმერთს ადიდებდეთ ქვეყნისათვის, რადგან ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა! მხოლოდ იცოდეთ, თუ სიყვარულს ქვეყნისას წინ წარიმძღვარებთ, დიდი და ეკლიანი გზა გიდევთ წინ. ეს გზა გზაა საკუთარი თავის განწირვისა. თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავლეთ გზანი დიდების შოვნისანი!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – მიწამდე თავს გიხრით! ღმერთმა დღეგრძელგყოთ ჩვენი ერის მწედ და მფარველად! *(სწრაფად გავიდა)*

ი ლ ი ა – გუშინ სასწავლო ოლქის კანცელარიის გამგე სოკოლოვსკი აქ ბრძანდებოდა და გადმომცა, რომ თვით ბატონ იანოვსკის სურს ჩემთან საუბარი. ეხლა მამა სერაფიმი. დღეს დიდი და ფრიად საპატიო სტუმრიანობა მელის.

ი ა კ ო ბ ი – მძიმე დრო დაგვიდგა, ლამის ერთიანად გადაგვთელონ. ჩვენი გაჭირვების ტალკვესი შენა ხარ, გაგვიძეხ, ბერო მინდიავ!

ი ლ ი ა – ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, რომელთაც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება! ერის ენას, მაგ ერის განძს რომელიც სდევნის და სძაგს ყოველი, რაშიც კია ერის ღირსება და პატიოსნება!.. მოძღვარი

სერაფიმი უკვე მობრძანდება და სულიერი მამა აღსარების ჩამორთმევას მოწმეთა თანდასწრებით არ ინებებს. გთხოვ, შებრძანდე ჩემს კაბინეტში და ბატონ იანოვსკის აუდენციისათვის განემზადო. *(იაკობი სწრაფად გადის)* მობრძანდით, წმინდა მამაო, ვნახოთ, რა აღდგომის კვერცხი ბრძანდებით! *(შემოდის სერაფიმი)*

ს ე რ ა ფ ი მ – ჯვარი აქაურობას, მადლი უფლისა თქვენზედა, ბრწყინვალე თავადო!

ი ლ ი ა – ყოვლად უსამღვდელოესო სერაფიმ! რას მივაწერო ჩემი სულიერი მოძღვრის ესეთი მოულოდნელი მობრძანება? გთხოვთ, დაბრძანდეთ! თავს ბედნიერად ვრაცხ, მეუფეო, გიხილოთ მხნედ და ჯანმრთელად!

ს ე რ ა ფ ი მ – *(დაჯდა).* მე ყოველთვის ვაღიარებდი, რომ ქართველი ხალხის აზრთა მფლობელი მაინც თქვენ რჩებით და როგორი მიწერილობებიც არ უნდა გამოდიოდეს სინოდიდან და მისი უდიდებულესობის კაბინეტიდან, ისინი ვერ გატარდებიან ქართველი ხალხის ცხოვრებაში, თუ მასზე არ იქნება თქვენი თანხმობა და თანაგრძნობა.

ი ლ ი ა –რა გინდ თავმოსაწონიც უნდა იყოს ჩემთვის თქვენი აზრი ჩემს მნიშვნელობაზე ქართველთა შორის, მაინც ჩემს თავს ნებას მივცემ, განვაცხადო, რომ კვარცხლბეკი, რომელზედაც მე აგყავართ, მეტის მეტად მაღალია და ჩემი სუსტი ძალისთვის მიუწვდომელი. ჩემი მოკრძალებული როლი მჟღავნდება ჩემს ცდებში, ვიყო რაიმეთი სასარგებლო ხალხისათვის, რომელმაც ესოდენ მრავალი შფოთისა, წამებისა და განადგურების შემდეგ მოიპოვა მშვიდობა და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს საფარ ქვეშ.

ს ე რ ა ფ ი მ – ეგ თავმდაბლობა კიდევ უფრო გამაღლებთ თქვენ, ბრწყინვალე თავადო! ჩემთვის ფრიად სასიხარულო იქნებოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ თქვენ გულწრფელი ბრძანდებით იმისათვის, რათა გაიგოთ ჭეშმარიტი თვალსაზრისი ქართველებისა და რუსების, როგორც ქრისტიანული ეკლესიის წევრების ურთიერთობის შესახებ.

ი ლ ი ა – ჩემს თვისტომთ, ქართველებს, მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მოევლინა მათ მხსნელად და დამცველად. ის სიმშვიდე, მშვიდობიანად გასრულქმნილების ის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ, მეტად დიდი მონაპოვარია და ვაფასებთ მას ჩვენი გულის და სულის ყველა ძალებით.

ს ე რ ა ფ ი მ – გულწრფელნი ვიყვნეთ. სიყვარული, სამწუხაროდ, იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქრისტეს მიმდევრებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ეროვნებებს ეკუთვნიან.

ი ლ ი ა – გეთანხმებით, სამწუხარო სიმართლეს მეტყველებთ. მე მთლიანად ვარ გამსჭვალული იმ აზრით, რომ ჩემ თანამემამულეთა ზნეობრივი, რელიგიური წარმატებების ჭეშმარიტი გზა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საერთო რუსულ კულტურასთან ერთობაშია. მაგრამ სამწუხარო სწორედ ის არის, რომ არა ყოველნი ჩვენზე მზრუნველთაგანი არიან ამაში დარწმუნებული. მიზეზთა მიზეზი ის არის, რომ საქართველოსი არ ეყურებათ და ამიტომ მისი არც გაეგებათ. თვით ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნისა.

ს ე რ ა ფ ი მ – გეთანხმებით. გაუგებრობისა და ეჭვიანობის გამო საუკეთესო ადამიანები რუსეთისა უკვე ვეღარ უწვდიან მეგობრობის ხელს ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი. ასე არ მოხდებოდა, თუ ქართველი ხალხის ბელადი და მწყემსი თავის მიზნად დაისახავდა ჭეშმარიტების, სიწმინდის მიღწევას, უანგარობის განვითარებას და არა ისეთ პირობით საგანს, როგორიც მშობლიური ენის სამოქალაქო ხმარების სფეროს გაფართოებაა.

ი ლ ი ა – ოი! თქვენს ნეტარ ბაგეთ უთუოდ წამოსცდა ეგ სიტყვები! მშობლიური ენის სამოქალაქო ხმარების სფეროს გაფართოება სრულიადაც არ არის პირობითი საგანი! ენის შეზღუდვა არის ერის დევნის ერთ-ერთი ფორმა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია ამის წაქეზება!

ს ე რ ა ფ ი მ – საკითხის ეს ნაწილი სრულიად კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან რუსეთის სემინარიის აღზრდილები დიდად უკეთესნი არ არიან ტფილისისაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღვთისმეტყველებას მშობლიურ ენაზე სწავლობენ.

ი ლ ი ა – მთელს საკითხს ენის შესახებ იქამდე ნუ დავიყვანთ, თუ რომელ ენაზე უნდა ისწავლებოდეს ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში ღვთისმეტყველება, ან რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს ღვთისმსახურება მრევლში. კარგად მოგეხსენებათ, არა მარტო ზენაარს ცხოვრებას ეტანება სულთასწრაფვა ერისა, აქ, დედამიწაზეც ბევრი საქმე გვაქვს. თქვენივე გამოჩენილი პედაგოგი ვესელი ბრძანებს: ერს რომ თავისი ენა წაართვათ, ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ, ერის აზრი, მის სულიერი ძალღონე, ნიჭი გაიხსნასო.

ს ე რ ა ფ ი მ – ჩემთვის დიდად სამწუხაროა, რომ იქმნება დაბრკოლება ქრისტეს ამოცანის საქმეში, რომელიც ითვალისწინებს ყველა ტიპის რჩეულთა ერთ ოჯახში თავმოყრას.

ი ლ ი ა – ჩვენც იმიტომ ვართ ქრისტეს მმოსავნი, რომ ასეთ დიდებულ აზრს ჰქადაგებს. მაგრამ ზოგს მის მიმდევარს ავიწყდება, რომ ერთ ოჯახში თავმოყრა

ერთს მკვიდრ საძირკველზე უნდა იყოს დამყარებული – ერთსულოვნებაზე და არა ერთგვაროვნობაზე! დრო დაამტკიცებს, რომ ენათა სხვაობა არ უშლის ხელს სახელმწიფოში მოქალაქეთა სულთა ერთიანობას. თვით ქვეყნიერების შემქმნელ ღმერთს სრულიადაც არ სურდა ერთგვაროვნება და დაასახლა ქვეყნიერება სხვადსხვა ტომებით და ხალხებით, არა საერთო კაცობრიული ერთიანობის დასანგრევად, არამედ სიკეთის, სიმშვენიერის და ჭეშმარიტების მისაღწევად. ეს ჭეშმარიტება და სიმშვენიერე კი მიიღწევა თვითეული ხალხის მეცადინეობით შემოქმედისაგან საამისოდ მინიჭებულ მის ძალთა და ნიჭთა შესაბამისად. ასეთს შემთხვევაში არ არსებობს მეორე და დიდი რაოდენობრივის გაგებით. ყველასათვის მისაწვდომია გასრულქმნილების გზები. პატარა ძველი საბერძნეთი ეხლაც აკვირვებს მსოფლიოს თავის გონების და გრძნობის ნაწარმოებთა სილაღით. ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს ნაირგვარობა არის განგების შეცდომა და ზოგიერთებს წილად ხვდათ მისი გამოსწორება? ასეთი სურვილი ხომ ანტირელიგიურია და თქვენ, ღვთისმსახურებმა, უნდა დაჰგმოთ იგი!

ს ე რ ა ფ ი მ – *(წამოდგა)* მადლობას ვსწირავ ღმერთს, რადგან მე საშუალება მომცა გამეგო თქვენი გულის კეთილშობილება და გამომერკვია თქვენი ჭეშმარიტი აზრი...

ი ლ ი ა – ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, თუ თქვენ ირწმუნეთ ჩემი გულწრფელობა რუსთა და ქართველთა დამოკიდებულებაზე ჭეშმარიტი თვალსაზრისის დადგენაში. ბევრი ჩინოვნიკი თავის ქვეყანას უმტკიცებს, რომ ის საქართველოში ვულკანზე ზის, რომ ის თავგანწირულს გმირობას სჩადის, რომ მარტო ის არის მოწოდებული, მაღლა ეჭიროს რუსული დროშა ამ მხარეში, სადაც ამ დროშის გამარჯვებისათვის ქართველები რუსებთან ერთად ძმურ ერთობაში თავს დებდნენ ბრძოლის ველზე. ქართველის მთელი სიამაყე, მისი ეროვნული ღირსების მთელი გრძნობა თავის შინაარსს ეძებდა და ეძიებს იმ აზრში, რომ ის ისეთივე მოქალაქეა დიდი რუსეთის სახელმწიფოსი, როგორც რუსი. გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ასეთი მდგომარეობა არის ნაყოფი დროებითი, გარდამავალი გაუგებრობისა და დაეჭვებისა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაიფანტებიან იმ ჭეშმარიტი რუს ადამიანთა განათლებული მცდელობით, რომლებსაც სწამთ, რომ დიდი იმპერიის ყველა სხვადასხვა ნაწილების საუკეთესო ურთიერთობის საწყისად შეიძლება გამოდგეს არა შიში და ძალდატანება, არამედ თანაგრძნობა და სიყვარული. სიყვარულს კი ჩვენთვის, ქართველებისათვის, აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ს ე რ ა ფ ი მ – სასიამოვნოდ დამრჩება შეგნება იმისა, რომ ქართველებს შორის არიან ისეთი კეთილშობილი პიროვნებები, რომლებიც გაცილებით სასიამოვნონი არიან მრავალ ცუდ რუსებზე. ვიმედოვნებ, რომ კვლავაც მნიშვნელოვანი საგნების განმეორება არ დააკნინებს მათს მნიშვნელობას და არ მოგვეჩვენება მოსაბეზრებლად. გულითადად ვესალმები თქვენს მეუღლეს და თქვენ ორივესათვის ვემუდარები ღმერთს ყოველივე სიხარულს და წარმატებას. დედაღვთისმშობლის მადლი გფარავდეს!

ი ლ ი ა – ამინ! *(სერაფიმი სწრაფად გადის).*

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს უფროსს. საიდუმლოდ: მოწყალეო ხელმწიფევ იუსტინ ვასილის ძევ! ჩემი წინა მოხსენების დამატებით გაცნობებთ ჩემდამი რწმუნებული კომიტეტის დადგენილებას „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემლის, თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შესახებ. მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს ამაღლებულებას, რომ თავადი ჭავჭავაძე, მთლიანად უგულებელყოფს რა ცენზურის მითითებებს, ჯიუტად და შეუპოვრად ცდილობს, დაბეჭდოს სტატიები, რომლებიც აღაგზნებენ უკიდურესად მგრძნობიარე ახალგაზრდებს. გაზეთმა „ივერიამ“ მოიხვეჭა დამოუკიდებელ ლიბერალურ ორგანოს რეპუტაცია, რასაც ხელს უწყობს მისი რედაქტორის, თავად ილია ჭავჭავაძის პოპულარობა, როგორც სამოქალაქო წუხილის გამომხატველ პოეტისა. „ივერია“ აშკარად ცდილობს, მოსწავლე ახალგაზრდობას ჩაუნერგოს რუსი მღვდლისა და მასწავლებლის სიძულვილი. ცდილობს, დამტკიცოს სასულიერო სასწავლებლის უსარგებლობა, აბუჩად იგდებს საღრმთო წერილს, აღშფოთებას გამოხატავს რუსული ენის სწავლების შემოღების გამო, პირდაპირ მოუწოდებს მოსწავლეებს ურჩობისა და ბრძოლისაკენ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გაკკელი.

ხ მ ა, რ ო მ ე ლ ი ც წ ყ ე ვ ლ ა ს ჰ გ ა ვ ს – დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა-ქებას!

გოგებაშვილი და იანოვსკი სხედან. ისინი უხმოდ შეჰყურებენ ნათლის სვეტს, რომელიც „ბოლთას სცემს“. სვეტი შედგა.

ი ლ ი ა – ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი ძნელად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბიჯებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს!

ი ა ნ ო ვ ს კ ი – მე არ მესმის თქვენი განრისხების მიზეზი. ახალ სენაკის სკოლაში ასეთი რამ არ მითქვამს, არც ბატონ მარკოვისთვის მიმიწერია ოფიციალური ქაღალდი. ამას „დროება“ მაბრალებს.

ი ლ ი ა – ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ბატონი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარყოფს იმას, რაც მართლა საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. თქვენ უეჭველად კეთილის განზრახვით ხართ აღძრული და ჰგსურთ იმ ადგილს და საზოგადოებას, საცა მოწვეული ბრძანდებით სამსახურისათვის, სიკეთე მიანიჭოთ. მაგრამ თქვენგან ამორჩეული გზა, ჩვენის ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც თქვენს განზრახვას და არც თქვენს სიკეთის სურვილსა.

ი ა ნ ო ვ. – რა გზა ამირჩევია ისეთი, რომ ქართველების წყრომა დავიმსახურე?

ი ლ ი ა – თქვენ ბრძანდებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. საერთო სკოლა სკოლაა ერისა. ეს ის მოედანია, საცა ერის გრძნობამ და გონებამ ფეხი უნდა აიდგას. თქვენს პროექტში კი ვერა ვხედავ ამის სურვილსა.

ი ა ნ ო ვ. – ჩვენ გვამოძრავებს სიკეთის სურვილი, რომ ქართველი ახალგაზრდობა დიდ გზაზე გავიდეს. ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა, რომ საქართველო იყოს განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი...

გ ო გ ე ბ. – საჭიროდ ვრაცხ, დავუმატოთ: განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური – საკუთარის ენით, კულტურით...

ი ლ ი ა – მაგას ნუ ამბობთ, ბატონო იაკობ, თორემ სეპარატიზმს დაგვაბრალებენ!

გ ო გ ე ბ. – ეროვნულ პრინციპს, ეროვნულ მიმართულებას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკურ სეპარატიზმთან.

ი ლ ი ა – ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა დავთრები დაკარგულია, საცა თავი და ბოლო არეულია.

გ ო გ ე ბ. – სეპარატიზმს დაგვაბრალებს მხოლოდ ცილისმწამებელი, პროვოკატორი, მტერი – გამსჭვალული ბოროტი წადილით.

ი ლ ი ა – მერედა სად ნახე უმტრო საქართველო?

ი ა ნ ო ვ. – იმით ვიმშვიდებ თავს, რომ მახვილი მაგ ისრისა ჩემკენ არ არის მომართული.

ი ლ ი ა – დარწმუნებული ვართ, რომ უმართებულო და უკადრისს ფარ-ხმალს არასოდეს არ ხმარობს იმისთანა კაცი, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

ი ა ნ ო ვ. – დიდი მადლობელი გახლავართ ასეთი ნდობისათვის. იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენ გვამოძრავებს მხოლოდ სიკეთის სურვილი. იმპერატორმა კარელ მეხუთემ სთქვა: როდესაც მე რომელსამე უცხო ენას ვსწავლობ, მგონია, ახალი სული მემატებაო.

გ ო გ ე ბ. – ეგ იმპერატორმა სთქვა. ეგ შესაძლებელია მხოლოდ მისთვის, ვისაც გონება ღრმად აქვს განვითარებული, ვინც მშვენივრად იცის თავისი დედაენის ბუნება, ვისაც კარგად ესმის დედაენის გენია, აგებულება და ახალის ენის სწავლების დროს ყოველს ნაბიჯზედ ადარებს მას ლექსიურის და გრამატიკულის მხრით თავის დედაენას. ჩვენს რვა-ცხრა წლის ბავშვს რა გზით და რა მეთოდით შევაგონებთ რუსულის ენის სულა და გულსა, როდესაც მას თავის დედაენის სული და გული ჯერეთ ნაგრძნობი არა აქვს?

ი ა ნ ო ვ. – რუსული ენის შესწავლას მე იმ საბუთით ვხედავ საჭიროდ, რომ ზოგან საერო სკოლაში თავადაზნაურთა შვილებიც სწავლობენ, რომელთაგანაც გიმნაზიებში შესვლა არამცთუ სასარგებლოა, არამედ საჭიროცაა. უმაღლეს სასწავლებელში შესვლას გლეხის შვილებიც ნატრულობენ და ჩვენ რა საბუთით არ უნდა გავუმართოთ ხელი?

ი ლ ი ა – გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელება თუმცა დიდად სასარგებლოა, მაგრამ სხვა საქმეა, როცა კეთილად აგებულ საერო სკოლას კურსიც უფრო ხანგრძლივი აქვს და უმცირეს სასწავლებლიდან უმაღლესადმე ერთი და იგივე ენა მოქმედებს სწავლებისათვის. ჩვენში კი საერო სკოლის ენა ერთია, უმაღლესისა – სრულიად სხვა.

ი ა ნ ო ვ. – მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ აქაურ ბავშვებს სწადიათ რუსული ენის ცოდნა.

ი ლ ი ა – ჩვენცა გვსურს და ძალიანაც! და არა მარტო იმისთვის, რომ იგი საჭიროა, ვითარცა სახელმწიფო ენა...

გ ო გ ე ბ. – და დარწმუნებული ვართ, მას მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა.

ი ლ ი ა – რუსულს ენას იმისთვისაც ვეტანებით, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილ კაცს სულის საზრდო მისცეს. იგი ღონეა, ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის.

გ ო გ ე ბ. – იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე. ამიტომ სურს ჩვენს ხალხსა, იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი იმდენად საგრძნობია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიც რუსულს ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულ სიმპატიას.

ი ლ ი ა – მაგრამ საქმე ის არის, ისე მოვაწყოთ სწავლება, რომ რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს. იმ პროგრამით კი, რომელსაც

თქვენ გვთავაზობთ, ჩვენებური სკოლა ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს და დედაენასაც დაგვავიწყებს. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედაენისთვის სრულსა და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებლებში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. უდედაენოდ გონების გახსნა ყოვლად შეუძლებელია!

ი ა ნ ო ვ. – გამოდის, რომ ჩვენ ვაბრკოლებთ დედაენის შესწავლას...

ი ლ ი ა – საერო სკოლის პირდაპირი დანიშნულება ის არის, რომ ბავშვს შეასწავლოს ჯერ დედაენა, და მერე, ამ დედაენის საშუალებით, შეისწავლოს ის ადგილი, ქვეყანა, ერი, რომელსაც ეკუთვნის ბავშვი დაბადებით და ცხოვრებით. ამისათვის სამი წლის კურსიც კი საერო სკოლისა საკმაოდ არ მიგვაჩნია. თვითონ რუსეთშიც საერო სკოლის ოსტატებმა აღიარეს, რომ სამი წელი დედაენის შესწავლასაც არ ჰყოფნის. თქვენი პროექტის დედააზრი კი ის არის, რომ სწავლების უკვე ექვსი თვის შემდეგ ჩვენი ბავშვები შეაჩვიონ რუსულ ენას. ასეთი სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არა, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა და დათრგუნვისა იქნება.

ი ა ნ ო ვ. – დამშვიდდით, ბატონო ილია, ასე ვერ მივაღწევთ სასურველ შეთანხმებას.

ი ლ ი ა – ჩვენი თანხმობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ვირწმუნებთ: „როგორც არ არის ადამიანი, რომ თავისი თავი არ უყვარდეს, ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული. აი, ეგ სიყვარულია ის უტყუარი გასაღები გულისა, რომელსაც სკოლა უნდა ხმარობდეს“. „კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი. ამით ნუ გეშინიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციულს პატრიოტობას“. „ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა“. შემინდეთ ეს გრძელი სიტყვა. ქართველი ვარ და ტიტინი მიყვარს.

ი ა ნ ო ვ. – აი, წამოგცდათ, ნამდვილი ზრახვა გულისა. თქვენი ცდა მუდამ იმაში მდგომარეობს, რომ გარს კედელი შემოივლოთ და არა-რა რუსული არ შეიწყნაროთ.

გ ო გ ე ბ. – ეს უსაფუძვლო ბრალდებაა, ჩემო ბატონო!

ი ლ ი ა – ბატონი იანოვსკი იმეორებს „ლისტოკის“ ავტორის სიტყვებს. იმ ავტორს უბეში გველი ჩასჯდომია და ზოგიერთი კი ამ მაბეზღარას კალთას აფარებს.

ი ა ნ ო ვ. – მე არავის სიტყვებს არ ვიმეორებ. არც პირფერობა შემიძლია, რომ სიცრუე ვთქვა და გასიამოვნოთ.

ი ლ ი ა – ნუთუ ამდენ ხანს მე და ბატონი იაკობი კედელს ცერცვს ვაყრიდით? მაგრამ ნათქვამია: მთქმელს გამგონი უნდა და კარგი გამგონიცა. თუ მთქმელსა და გამგონს ერთმანეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე, არც განკითხვა და არც სამართალი. ნუ შემრისხავთ, რომ მე ერთი ხერხი ვიხმარე: არა-რა რუსული არ გინდათ შეიწყნაროთო, რომ მისაყვედურეთ, რაც წელან სიტყვები წარმოვთქვი, მე არ მეკუთვნის. იგი წარმოთქვეს პედაგოგიის დედაბოძებმა და განთქმულმა მეცნიერებმა პესტალოცმა, დისტერვეგმა, უშინსკიმ. რომლის ტოლიც რუსებს ჯერ აქამომდე არ გყავთ. ამ პატივსაცემ პიროვნებების ნათქვამებზე მე პასუხს არ ვკისრულობ.

ი ა ნ ო ვ. – *(ერთ წამს დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა)* ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, ფაქტებს მივმართო. თქვენ, თავადო ჭავჭავაძევ, თქვენთან ერთად დიმიტრი ყიფიანმა, აკაკი წერეთელმა სამეგრელო მოიარეთ. სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში იკრიბებოდით და არჩევდით საკითხებს, თუ როგორ მიგეღწიათ იმისათვის, რომ ხალხი აღელვებულიყო თერთმეტი იანვრის ცნობილი ცირკულარის საწინააღმდეგოდ...

ი ლ ი ა – სულელნი განა წინათ კი არა ყოფილან? მაგრამ სულელს თავის დღეში სულელი ჰრქმევია. ეხლა კი სულელობას კაი ბაზარი დაუდგა და კაი ფასადაც გადის. ვისაც ეს განძი ბლომად აქვს, საპალნეებით ეზიდება გასასაღებლად, მუშტარიც ბლომად ჰყავს! ეს რა ხანია, გვარწმუნებენ: ქართველი ქართველი არ არისო! კახელი, იმერელი, მეგრელი, გურული, ქიზიყელი, ფშაველი, ხევსური ქართველი არ არისო! სხვადასხვა ადათი აქვთ და სხვადასხვანაირად იცვამენო. როგორ მოგწონთ ეს „კოსტუმების“ თეორია? როგორ მოგეწონებათ, რომ ტულის გუბერნიის გლეხკაცსაც თუ ჩამოვართმევთ რუსობას, ვინაიდან ტულის გუბერნიაში სხვანაირ ქუდებს ატარებენ და მოსკოვისაში სხვანაირს? თქვენც კარგად იცით, ძაღლის თავი სადა მარხია და საიდან მოდის მძორის სუნი! აქ მარტო ერთი პასუხია: ქართველები ცოტანი არიან საქართველოში, აქაურს სასწავლებლებში, და ვის რად უნდა ეს ქართული ენა, რატომ ვაიძულოთ კახელი, მეგრელი, გურული თუ ფშაველი, რომ შეისწავლოს ქართული ენა?

ი ა ნ ო ვ. – თქვენთვის ცნობილია, რომ თვით რუსეთშიც არ ეთანხმებიან...

ი ლ ი ა – დიახ, ეს მასხარაობა პატიოსანმა რუსეთმაც შენიშნა, მაგრამ, საუბედუროდ, გასავალიც კაი აქვს. სენაკის სკოლის ამბავი, ვიცით, ვისი ოინბაზობა და ორპირობა არის...

ი ა ნ ო ვ. – თქვენია, ქართველია.

ი ლ ი ა – ეგ თქვენი მოწონებული ქართველი ბაზარში ისპანახის შემოტანის ამბავს უფრო მეტის პატივით ეპყრობა, ვიდრე საკუთარის დედის სახელს. იგი ჩრჩილია, რომელიც ჩვენს ოჯახს სჭამს.

ი ა ნ ო ვ. – დავუბრუნდეთ ჩვენს საკამათო საგანს. თქვენ მომეტებულად სარგებლობთ ახალგაზრდობაზე თქვენი უზომო გავლენით.

ი ლ ი ა – გონიერ კაცს ვერ წაართმევენ პატიოსანს უნარს, თავი გამოიდოს მართლის სარჩელისათვის.

ი ა ნ ო ვ. – იქნებ გაიხსენოთ თქვენი სასტიკი სტატიაც ბატონ კატკოვზედ?

ი ლ ი ა – ვერც ბეზღობის მხილებისათვის წაართმევენ კაცს პატიოსანს უნარს, როცა ამას ითხოვს განგებ შეგინებულ-გალანძღული გრძნობა ადამიანისა და ერის ღირსებისა. არა მგონია, არ იცოდეთ, რომ ბატონ კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის განაპირა ქვეყნებში და არ დარჩენია არც ერთი რუსეთის ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადადგომის სურვილი არ შეეწამებინოს.

ი ა ნ ო ვ. – მაპატიეთ, მაგრამ უნდა გამოვთქვა ჩემი გულწრფელი წუხილი, რომ ქართველმა ძმებმა ვერ გაიგეთ და მტკივნეულად განიცადეთ ბატონ კატკოვის გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენციის სურვილები.

ი ლ ი ა – ჩვენ ერთი სიკვდილის შვილები ვართ, მაგდენის გაგების უნარი სადა გვაქვს!

ი ა ნ ო ვ. – ეგ ირონია აქ უადგილოდ მიმაჩნია.

ი ლ ი ა – გამოდის, რომ ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყოთ, როცა ჩვენს ერს დედაბუდიანად სთხრიან?

ი ა ნ ო ვ. – აქ ერის რა მოთხრაზეა ლაპარაკი, როდესაც კორესპონდენტი წერს, რომ რუსების წარმოდგენების დროს თეატრი არ თბება, ცუდად არის განათებული და მაყურებელიც არ დაიარებაო?

ი ლ ი ა – თქვენ მართალი ბრძანდებით. დიახაც სასაცილოა, რომ საზიზღარი არ იყოს ამისთანა ბეზღი, ამისთანა საბუთებზე აშენებული! „ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენა აქვთ, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო!“ ქართველებსა თუ სომხებს რომ სციოდეთ და თეატრი გაათბონ, აქ გადადგომა რა შუაშია? „რუსების წარმოდგენებზე მაყურებელი არ დაიარებაო!“ მე რომ კორესპონდენტის ადგილას ვიყო, აქაურ რუსებს შევწამებ ორგულობას, თეატრში რომ არ დაიარებიან. აქ ქართველი თუ სომეხი რა შუაშია? მაგრამ კორესპონდენტს კარგი დრო შეურჩევია. საქართველოში ახალი უფროსი მოდის და მაბეზღარს უფიქრნია: იქნება ღმერთმა მიპრიანოს და ახალმა მმართველმა მომიკითხოს, ვინ არის ასეთი ერთგული რუსეთისაო და

კუჭის გასაძღომი ადგილი მომცეს რამეო! ჰოდა, ნახეთ, ქართველები და სომხები თეატრს ათბობენ, მათში სეპარატისტობა, გადადგომის სურვილი მოქმედებსო! ბეზღობის ასეთის პატივში ყოფნა საზოგადოებაში ნიშანია თვით საზოგადოების წყობის სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა!

ი ა ნ ო ვ. – *(დაბნეული და შეშინებული)* ბატონო თავადო!..

ი ლ ი ა – ბატონ კატკოვის რომელ კეთილ სურვილზე ბრძანებთ? იქნებ იმაზე, მოწყალედ რო გვირჩია, ქართული დროშები გოდფრუას ცირკს მიჰყიდეთო? ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია. თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია. ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბატონმა კატკოვმა ბანი მისცა. ბატონი კატკოვი იმას მაინც მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად.

ი ა ნ ო ვ. – ბატონო თავადო!...

ი ლ ი ა – მაპატიეთ! სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო!“ პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა!“ მაგრამ გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის!

ი ა ნ ო ვ. – *(ადგა)* ჩვენ საბოლოოდ გადავუხვიეთ ჩვენთვის მთავარ საპოლემიკო საკითხს.

ი ლ ი ა – ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? ჩვენი გულწრფელი რჩევაა: მოხელეთა ამორჩევაში განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად. აქ არამც თუ მოხელისაგან მოითხოვენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თვითონ აქაურებისთვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდამ, იქიდამ, სადაც ჩვენი ხალხის მწყემსნი იზრდებიან. ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა ხდაა. მოდი და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ უყვარს სულთა მხდელი? სულთა მხდელს კაცი ვერ შეიყვარებს!

ი ა ნ ო ვ. – თქვენს აზრს საფუძვლიანად შვისწავლით და ანალიზს გავუკეთებთ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი შეხვედრა ნაყოფიერი და ურთიერთსასარგებლო იყო.

ი ლ ი ა – არ იფიქროთ, რომ ავზნენი ვიყვნეთ და ფანატიკოსობა გვჭამდეს. ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ჭეშმარიტების სიყვარული და ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა.

ი ა ნ ო ვ. – დარწმუნებული ვარ. *(გასვლას აპირებს)*

ი ლ ი ა – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ყოველგვარი ცდა – შეზღუდონ ხალხის ენა, არის ძალღონისა და დროის ამაო ხარჯვა. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, მოვიყვან ერთის რუსის მწერლის ნათქვამს: „ჩვენ რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ თანასწორი ძმები ვართ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს შეემსჭვალოს და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა, მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაყლაპოს“.

ი ა ნ ო ვ. – *(გაიღიმა)* ჭეშმარიტი ბრძანებაა, რომლის წინაშეც უმორჩილესად ვიხრი ქედს.

ი ლ ი ა – ყოველი ჩემი თვისტომიც უმორჩილესად იხრის ქედს ემაგისთანა ბრძანების წინაშე. აი, ვინ არის ჭეშმარიტი პატრიოტი რუსეთისა! აი, ესეთებს, მზადა ვართ, სულსა და გულს ვაწვდიდეთ საუკუნიდან საუკუნემდე!

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – ტფილისის ჟანდარმთა სამმართველის უფროსის მოხსენებიდან პოლიციის დეპარტამენტისადმი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანია ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავადაზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“. თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან ბინაზე იკრიბებიან საიდუმლოდ, სადაც არკვევენ სხვადასხვა ხასიათის და სოციალურ კითხვებს.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – პოლიციის დეპარტამენტი ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს.

იმის გამო, რომ დეპარტამენტს აქვს ცნობები ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველის, თავად ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის

შესახებ, პოლიციის დეპარტამენტი გთხოვთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, მასზე ფარული მეთვალყურეობა დააწესოთ.

ისევ გრძელი მაგიდა და სკამები, ისევ ადამიანთა კონტურები.

კ ი ტ ა – თუ კარგად გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის მაშინდელს მდგომარეობას, როცა ერს თითქმის აღარავითარი იდეალი აღარ ებადა, აღარავითარი მისწრაფება აღარ ჰქონდა, როცა ყოველივე ამაღლებული გრძნობა ჩამქრალი იყო, – წარმოიდგინეთ, რა ძნელი საქმის აღსრულება ჰხვდა წილად ილიას და რა დიდი გმირობა იყო საჭირო, რომ ასეთი როლი ეკისრა კაცს!

„მ ო გ ზ.“ – კარგი დრო იყო ის დრო! ბურჯნი საქართველოსანი ოლიმპზე ფუფუნებასა და მცონარეობას მისცემოდნენ, „საზოგადოება“ კი ქვემოდან შეჰყურებდა სასოებით და გუნდრუკს უკმევდა მათ. „საქართველოს გაუმარჯოსო“, გაისმოდა ყველგან და ასეთი ძახილი უშინაარსო, უგუნური და ცინიკური, დიდ საქმეთ და გრძნობათ მიაჩნდათ მაშინდელ მოღვაწეებს!

ხ მ ე ბ ი „კონტურებიდან“ – ეს საზარელი უარმყოფელობაა, ბატონებო! როგორც ასპინძის ომი მოიგეს ქართველებმა და მის გმირად ირაკლი დასახეს, ასევე უმადურობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ განვლილი ნახევარი საუკუნე ილია ჭავჭავაძის ხანაა და ხალხის გამოღვიძების მიზეზადაც იგივე ითვლება!

– ამ მიწაზე ქართველები ცხოვრობდნენ ილიამდეც, მაგრამ საქართველო აღარ იყო!

დაეშვა ნათლის სვეტი.

ჟ ო რ დ ა ნ ი ა – ჩვენ ყველანი ერთნაირად როდი ვუყურებთ ილია ჭავჭავაძის წარსულს. ჩვენ ცოტა სხვანაირად ვაფასებთ იმის მოღვაწეობას. იგი მაინც თავადაზნაურობის აპოლოგეტი იყო და ასეთად დარჩება.

ი ლ ი ა – აჰ, ჩვენი ბრძენი მარქსისტი ჟორდანიაც აქა ბრძანდება? კიდევ რაღას მიაკონკებთ ჩემს ამდენ ბრალსა?

ჟ ო რ დ. – ილიამ „ივერია“ დააარსა არა იმიტომ, რომ ის მწერალი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის ბანკის მმართველი იყო. ახალ ორგანოს უნდა დაეცვა ბანკი და ბანკირები მოწინააღმდეგეთაგან. „ივერია“ – ეს ბანკის დამატებაა. ეს მისი განყოფილებაა.

ი ლ ი ა – ვიცი, ამ სახარებას მგლის თავზე ვკითხულობ, მაგრამ ვითმინე, ვითმინე და ბოლოს აივსო ფიალა მოთმინებისა! სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირადაც გვყოფნის და ლხინადაც! „ივერიის“ ფურცლებზე ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელს თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა! „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში. ჩვენ ვაგროვებდით თითოეულ ნაპერწკალს, რომელიც

ყოველს ქართველის გულში ჟოლავდა და ერთ დიდ ცეცხლს ვანთებდით ჩვენის გაციებულის გულის გასათბობად. აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულიშვილობა, მისი წარსული, მისი აწყმო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინა ვართ და რანი ვართ?“ – ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული. დანაშაული ჩემი ეს არის და შეგიძლიათ, ღვთის გმობად ჩამითვალოთ.

ჟ ო რ დ. – „ივერია“, როგორც მისი რედაქტორი, ცხოვრებას კუდში მისჩანჩალებს. გაზეთის ფურცლებზე რატომ არ აქვს ადგილი მუშას?

ი ლ ი ა – ეხლანდელს დროში ადამიანის ლოღიკამ გზა შეიცვალა, მიმართულება შეეშალა, არ გამიკვირდება, რომ გამოვიდეს მეორე და თქვას: „შექსპირი რა კაცია, რა მწერალია, რომ იმდენი რაღაცეები დაუწერია და აბა, თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს „რაბოჩი ვაპროსიო!“ მაშ ჰომეროსიც მჩვარში გასახვევია, რომ ბატონ-ყმობის სიმწარეზედ ხმა არ ამოუღია თავის „ილიადაში“! ეგ რა ადლი დაგიჭერიათ ხელში? როცა დრო დადგა, ჩვენ დავწერეთ მუშაზედ. ადელხანოვის ჩექმის ქარხნის მუშათა გაფიცვაზედ ბათომში, როტშილდის ქარხნის მუშათა გაფიცვაზედ და მათ გასაჭირზედ, ჭიათურის რკინისგზის შტოს მკეთებელ მუშებზე... ცოდვა მოჰკითხეთ...

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებელი შინაგან საქმეთა მინისტრს. 15 მაისი, 1896 წელი.

იმის გამო, რომ მავნებლური მიმართულებით ხასიათდება გაზეთი „ივერია“, რომელიც ტფილისში თავად ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ქართულ ენაზე გამოდის, შეწყდეს აღნიშნული გაზეთის გამოცემა რვა თვით.

ჟ ო რ დ. – რედაქციის მიზანი, მისი სატრფიალო საგანი მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, კვალდაკვალ მიყოლა უნდა იყოს, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება. თავად ილია ჭავჭავაძის გაზეთი კი მთავარ ამოცანად ისახავდა ბანკის ხელმძღვანელობაში თავისის კანდიდატურის დაცვას, კენჭისყრის გამრუდებას და საზოგადოების თვალისახვევას, ყველა ცალკე ადამიანი საზოგადოებისთვის უნდა იღწვოდეს, საზოგადო გამოკეთებას და გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს და არა მარტო თავის თავსა! საკაცობრიო ტრაპეზზე ვაჟკაცურად უნდა მიჰქონდეს თავი ზვარაკად!

განათდა ოლღა. ილიას ხმა:

– ჩემო კარგო ცოლო და მეგობარო! საშინლად დავიღალე უშენობით და შევწუხდი. ხშირად მომდის ფიქრი, დავანებო თავი ყველაფერს და წამოვიდე. მეორე გზით კი მრცხვენიან, რა პირით მოვიდე? ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმე უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. ორშაბათს ვაპირებ იმასთან მისვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ხელში ვუკვდებოდი, მეგონა, ამით იქნება დავიყოლიო-მეთქი. იმასაც კი ამბობენ, რომ სახელმწიფო საბჭოში ქრთამით ბევრი რამ რიგდებაო. აბა, ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრ ბანკსა! მომწყინდა აქ ყოფნა და დავიღალე მით, რომ ესე დიდხანს განვშორდი ჩემს საყვარელ სამშობლოს. ძლივს შეგვიშვეს ბანკში. დილიდამ ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე და რაც საჭიროა, ვსწავლობ. ორი ნაწილის დაწყობა შევისწავლე. ოღონდ შენ ნუ მოიწყენ, გულს ნუ გაიტეხ და კაი დედაკაცობა გამოიჩინე და ყველაფერი ჩემთვის ადვილ ასატანელი იქნება. შენ უნდა გამიტკბილო ცხოვრება, შენ უნდა გადამაყრევინო ჯავრი და მწუხარება, ხედავ, რა ვაი-ვაგლახში გავაბი ჩემი თავი, აქეთ-იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირ მწუხარებას, ჭირსა და ვაგლახს ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ დამეშალა, ღონიდამ დავიცალე. ჩემის საკუთარის ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხლობ. ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე, შენი მშვიდობა, ჩემი უზრუნველი ცხოვრება, ჩემი სახელი, ჩემი კარიერა. ვისაც თვალი აქვს, დაინახოს, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, ვისაც ჭკუა აქვს აწონოს, და ვისაც არა აქვს-რა, იმან პატარა გოშიასავით უკანიდან ყეფა დამიწყოს! (ოლღა გაქრა)

ჟ ო რ დ. – რა მოსაგონი იყო ეს სათავადაზნაურო ბანკი, იგი უფრო და უფრო ასუსტებს და არღვევს თავადაზნაურობას!

„მ ო გ ზ.“ – გლეხობა? გლეხებთან პირადი ანგარიში მოსვენებას არ აძლევს თავად ჭავჭავაძეს, მაშ რის ბანკირია, თუ რწყილს არ გაატყავებს და შემთხვევით არ ისარგებლებს?

ი ლ ი ა – ჩვენი ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგებას იძლევა, ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს ანდომებს. ეს ხომ ყველა რიგიანს და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად მიაჩნდეს?

ჟ ო რ დ. – ეგ ისევ თვალებში ნაცრის შეყრაა! რომელ საზოგადო ჭირზეა ლაპარაკი? ჩვენებური ბანკი ორ დედააზრზეა აგებული: ერთი მხრივ ის არის ბურჟუაზიულ-ფინანსური, მეორე მხრივ თავადაზნაურულ-წოდებრივი დაწესებულება.

ი ლ ი ა – ერთი შეხედეთ, რაც ბატონმა ჟორდანიამ გერმანიაში სწავლა გაათავა, მას მერე დოინჯი აღარ ჩამოუღია და სულ ჩვენი ჭკუის სწავლებაშია! აბა, ჰკითხეთ „კვალის“ სახელოვან მარქსისტს, რას ნიშნავს სიტყვა „ფინანსური?“ აშკარაა, მნიშვნელობა მისი არა სცოდნია. „ფინანსური“ დაწესებულება განაგებს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საქმეებს. ბანკი კი საკრედიტო დაწესებულებაა და რა აქვს მასთან საერთო? არც სიტყვა „ბურჟუაზიული“ ესმის, მარტო ყური მოუკრავს. ანბანი პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებისა ვერ გაუგია. დალოცვილი ამისათვის რაღა გერმანიაში მირბოდა? სირცხვილი გერმანიასაც, ასე ცარიელი რომ გამოუსტუმრებია. ეხლა „თავადაზნაურულ-წოდებრივობის“ თაობაზე. სახელს თუ შეუცდენია ჩვენი მარქსისტი, რომ ჩვენს ბანკს თავადაზნაურთა ბანკი ჰქვია. ქუთაისის ბანკს, სხვათა შორის, მიხეილის სახელი ჰქვიან, დიდი მთავრის პატივსაცემად. და განა იგი ბანკი მთავრისაა?

ა კ ა კ ი – დალოცვილო, მარტო სახელით ხომ არ იქნება? მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტია და მაშ იქ სხვა გვარის ვეღარავინ შესულა, თუ არა მარტო ლაზარევები? აქ მიხეილის საავადმყოფოა და მაშ ვისაც მიხეილი არა ჰქვია, სხვას არ მიიღებენ?

ი ლ ი ა – ბატონ ჟორდანიას გასამტყუნებლად ერთის ისეთის ბრძენის მოწმობას მოვიყვან, რომელსაც იგი ვერსად გაექცევა. აი, ეს მოწმობაცა: ხსენებული ბრძენის სიტყვით, ჩვენი ბანკი ხელიდან გამოეცალათ თავად-აზნაურთ და, მაშასადამე, თავად-აზნაურობის აღარ არისო, და ამით პირველი და უკანასკნელი ნიშანი თავადაზნაურულ წოდებრიობისა იმთავითმე დაეკარგა ბანკსაო. ესე იგი, წოდებრივი არასოდეს ყოფილაო. იცით, ამის მთქმელი ბრძენი ვინ არის? თვითონ ბატონი ჟორდანია! აი, თავისივე ხელით თავის გატყეპა ამას ჰქვიან! სინამდვილეში ჩვენში ბანკის დაწესებულებას შეადგენს და განაგებს ყოველის წოდების კაცი განურჩევლად, ეს იქნება გლეხი, ვაჭარი, თავადი, აზნაური თუ მღვდელი. ბანკმა ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველ წოდების კაცი მიიწვია, მოდით, ერთად ვიშრომოთო...

„მ ო გ ზ.“ – აი, გესმით, რას ჰქადაგებს თავადი ჭავჭავაძე? ბანკმა ყოველი წოდების კაცი მიიწვია, მოდით, ერთად ვიშრომოთო, ძმები ვართო!

ჟ ო რ დ. – მგელმა და თხამ ერთად სძოვონო, სად არის ლოდიკა?

ი ლ ი ა – ლოდიკა იქ არის, სადაც თქვენ არა ხართ!

ვ ა ჟ ა – ნუთუ ავია, დასაგმობია ის მშობელი მამა, რომელიც ერთნაირად უცქერის, ერთნაირად ეპყრობა ჯანსაღს და მახინჯს თავის შვილებს?

გ ო გ ე ბ. – ეს აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური.

ჟ ო რ დ. – ახლა ხომ მიაღწიეთ ეკონომიურ მდგომარეობის გამოსწორებას? ადამიანებს დაგირავებული მამულები ეყიდებათ და ღატაკდებიან.

ი ლ ი ა – ბატონმა ჟორდანიამ თავისი მჭევრმეტყველების ზარბაზანი დამიმიზნა, რომ ზურგზე ბოლი ამადინოს, მაგრამ ბოლომდის მივყვეთ სახარების კითხვას. თუ ბანკი მამულს უყიდის ვისმე, მარტო იმას, ვინც ვალის დაბრუნების პირობას არ ასრულებს. მაშ, როგორ ჰნებავს გერმანიაში გამეცნიერებულს ვაჟბატონს, ბანკმა თავისი ხელით საფლავი გაითხაროს? რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა და მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხებს არ უბრუნებს პირობისამებრ? ნუთუ სახელოვანი მარქსი, რომლის მიმდევრობასაც ჰჩემობს ბატონი ჟორდანია, ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის მიერ გასესხებულ ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ? კრედიტი ორპირ მახვილია. ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისთვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრებაა. და ვინც გაჰფლანგავს და ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელი და საფლავის მთხრელი. აქ კრედიტი რა შუაშია, როცა კაცი თავის თავის მტერია? დანისა რა ბრალია, როცა კაცი მით ყელს იჭრის, დანა ხომ გაჩენილია, რომ საქმე უკეთოს?

ჟ ო რ დ. – ვინც ბანკის კრებებს დასწრებია, ყველა დამეთანხმება, რომ კრების თითქმის ყველა გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძის გავლენით წყდებოდა.

ი ლ ი ა – საინტერესოა, რა სახის გავლენაზეა აქ ლაპარაკი? თუ ჭკუის გავლენაზე – ჩემს მოკამათეთ ვერავითარი ზარბაზანი და არტილერია ამ შემთხვევაში ვერ უშველით. როგორც ვნახეთ, ბატონ ჟორდანიას საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია. აქაო და, ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც

იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ, დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას ნუ დამწამებთო. ბატონ ჟორდანიას კი, ამ ჭოჭინაზე შემდგარ მეცნიერს, სხვისი ნაღეჭის ცოხნაც არ შესძლებია!

ჟ ო რ დ. – რა საბუთები აქვს თავად ჭავჭავაძეს, რომ ასეთი უშვერი ლანძღვა-გინებით დააჯილდოოს მოკამათე?

„მ ო გ ზ.“ – ძალიან შემცდარი ბრძანდებით ბატონო ნოე, რომ აჰყევით თავად ჭავჭავაძეს და პოლემიკა გააბით მასთან.

ჟ ო რ დ. – თუმცა მისთვის სხვის პიროვნებას ნულის მნიშვნელობა აქვს. მან ერთხელ ეს სახალხოდ აღიარა.

კ ი რ ვ ა ლ ი ძ ე – გიორგი წერეთელის დაკრძალვაზე ასმა კაცმა ამირჩია, რომ ქართველი საზოგადოების სახელით სიტყვა მეთქვა განსვენებულისათვის.

ჟ ო რ დ. – ილიამ ბრძანა, კირვალიძე რა კაცია და რა ხალხის წარმომადგენელიაო. მერე იტყვის, მოსამსახურეები რა ხალხიაო, კიდევ მერე – მუშები ვინ არიანო, ბოლოს იტყვის – გლეხები ვინღა არიანო!

ი ლ ი ა – მე მარტო ის ვთქვი, რომ კირვალიძე ვერაფერი წარმომადგენელია საქართველოს ერისა...

„მ ო გ ზ.“ – მაშ რომელმა ქართველმა მისცა რწმუნების სიგელები, როდესაც თავადი ილია ჭავჭავაძე ვერის ბაღში სხვადასხვა ჭრელ-ჭრელ სიტყვებს ეუბნებოდა მთელი საქართველოს მაგიერ საფრანგეთის მწერალს ბარონ დებაის და რუსეთისას – ბატონ მარკოვს?

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – დავით გურამიშვილის დეპეშა ნიკო ნიკოლაძეს.

დღეს ტფილისში ჩამოდის ფრანგ ჟურნალისტების ჯგუფი, ასზე მეტი კაცი. აქ დარჩებიან სამს დღეს. რომ არ განმეორდეს ის ისტორია ჩვენის წარსულის გაყალბებისა, ილიამ გადაწყვიტა, მათთან დაამყაროს ურთიერთობა და მიიწვიოს ისინი თავისთან საგურამოში. ილია სთვლის, რომ შენი აქ ყოფნა აუცილებლად საჭიროა და ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ ჩამობრძანდეთ ტფილისში.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – შენი ჭირიმე, ნიკო, უსათუოდ ჩამოდი! მეტი არის განგიმარტო, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ

აქაური ავი და კარგი. ეს ჩემზე უფრო უკეთ იცი. იქნება არ გამეორდეს ოინები იმ ერთის გუნდის მეცნიერებისა, რომლებსაც ამოძრავებს ორი ერის ერთმანეთზე გადაკიდების უკადრისი სურვილი, ჩვევად აქვთ ჩვენი ძაგება და სახელის გატეხა და ხერხები იციან უცხო კაცის გაბრიყვებისა. რომ ჩლუნგთა, ზნედაცემულთა, ღატაკთა და მხდალ-ლაჩართა დაღით ბეჭედდასმული არ გაისტუმრონ ქართველის სახელი ევროპაში... შენი ილია ჭავჭავაზე.

ჟ ო რ დ. – თავად ილია ჭავჭავაძის მიერ ნულად ჩათვლილი კირვალიძის დასაცავად „კვალმა“ ასერთი კაცის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოადგინა, რომლითაც დასტურდება, რომ ბატონი კირვალიძე დიდი ავტორიტეტია ეთიკისა და მართებულობის საკითხში და საქართველოს ერის წარმომადგენელია.

ი ლ ი ა – ამის პასუხად მე დავწერე, რომ ამისთანა შემთხვევაში, საცა ეთიკაზე და მართებულობაზეა ლაპარაკი, ხმა უნდა აწონილ იქმნას და არა დათვლილ. ახლაც ვიმეორებ, რაც გინდ ბლომად ნულები გაამწკრივონ, მაინც ნული გამოვა.

ჟ ო რ დ. – ხომ გესმით, თქვენ ვინა ყრიხართო, ნულები ხართო! მარა რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მაშ, ყველა წყალწაღებული ყოფილა. იმედია, ამას არ დაივიწყებს ასე ყბად აღებული ქართველი ხალხი!

ი ლ ი ა – რისი რქმა გსურთ ამითი, ბატონო ჟორდანიავ? რომ ვერას გახდით, საქართველოს ერთან მაბეზღებთ განა? იმედია, ამას არ დაივიწყებს ქართველი ხალხიო, ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს? მთელი თქვენი მეცადინეობა იმაზეა აკინძული, რომ როგორმე დაამტკიცოთ ჩემი უვარგისობა, კონსერვატორობა, ჩემგან გუნდრუკის კმევა თავად-აზნაურობისათვის. დროა, თქვენ მიერ ბალღების საცთუნებლად ხმარებულს სიტყვებს ფერუმარილი ჩამოვაცალოთ და ნათხოვარი ფრთები ჩამოვაკვეცოთ!

„მ ო გ ზ.“ – ძნელია იმ პირებთან სერიოზული ლაპარაკი, რომლებსაც გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობა მამაშვილურად აქვთ წარმოდგენილი!

ი ლ ი ა – ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და, ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარ სწოვს! თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხსა – ორივე. ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის – საქართველოს შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის –

სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო! ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის – საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?

„მ ო გ ზ“. – აი, თქვენ აშკარად ამბობთ, რას ემსახურებით, რა შეადგენს თქვენი სულისკვეთების საგანს. ის დიდი მოძრაობა, რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, რომელიც მიმართულია დღევანდელ უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკუღმართობის მოსასპობად, თავად ილია ჭავჭავაძეს მეტად აღონებს და ძლიერ აწუხებს.

ი ლ ი ა – ძლიერ მაწუხებს, თრთოლვას მგვრის უბედური ქართველი ხალხის მომავალი! დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა ვუბრუნოთ, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ!

„მ ო გ ზ.“ – ჩვენ ეხლა კარგად გვესმის, თუ ასე ძალზე რისთვის იჭაჭებოდა თავადი ჭავჭავაძე, როცა საქართველოს ავტონომიის საკითხს აყენებდა. ეხლა კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავდა იმის სიტყვები, რომ ყველა კანონებს აქ, ადგილობრივ უნდა ვწერდეთო! კაი თქვენ დაგემართებათ, კარგ კანონებს კი დაუწერდით მუშა-ხალხს!

ი ლ ი ა – ეს კანონი ჩვენ უკვე მაშინ დავწერეთ, თერგი რომ გადმოვლახეთ: ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზეც უნდა იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი, ყველასთან თანასწორი. მართალია ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ დაუდვა მეცნიერული საბუთი. ამ გზაზედ წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა. მაგრამ დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. აქ არის სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა მეოცესა. მაგრამ ადამიანში ეროვნული გრძნობა ძლიერ ღრმად არის შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო“, ეს თავის მოტყუებაა, კარგად ჩაიხედონ გულში!

„მ ო გ ზ.“ – ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზათ არიან, ხალხს უღალატონ, გაყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიულ-ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება. აი, რა

რეზოლუციას ადგენენ ჩვენი ქებული ავტონომისტები: „ამიერკავკასიის ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს თვითგამორკვევის სრული თავისუფლება. ქართველები მოვალენი არიან, მოითხოვონ, რომ ეს უფლება მაჰმადიანებსაც მიეცეს! *(პაუზა)*

ი ლ ი ა – ეეხ!.. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!... საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თქვენ მამალსავით ხეზე შემომსხდარხართ, და თქვენს გულნამცეცა კორესპონდენტებს აქეზებთ: ჩვენ აქ ვიყივლებთ, თქვენ მანდ ძირს იყეფეთ და სოფელი აშენდებაო. როცა ამ გზით ქვეყანა ააშენოთ, მე წილს ნუ დამიდებთ, არ დაგემდურებით!

ადამიანთა კონტურები გაქრნენ. სცენაზე მხოლოდ ნათლის სვეტია – ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ხმლიანს მტერს გავუმკლავდით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, და ხერხით მოსული თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. ცოდო არ არის, სახელი ქართველისა დედამიწის ზურგიდამ აიგავოს? ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს? ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდრად გაიხადოს? ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დავდგით ქრისტიანობის საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლშვილი გავწირეთ, უსწორო ომი ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელასც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს საქართველოს სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით, მოდით, შევერთდეთ ერთის მშვენიერის, ჩვენდა ღირსეულის სურვილით, ერთმანეთით გავღონივრდეთ, ერთმანეთს შევეწიოთ მსხვერპლის მიტანითა ჩვენის საყოველთაო კეთილდღეობისათვის. ვიქნეთ ერთგული და ერთსულ ჩვენის მრავალტანჯულის სამშობლოსათვის! სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს საქართველოს ეხლანდელს შვილს... ხართ კი ყოველ ამისათვის მზად?

მ ე ს ა მ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

გ ა ნ ა თ დ ა ო ლ ღ ა – უღრმესად პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორი! მე ისეთი უბედურება დამატყდა, უეცრათ სიტყვას ვერ ვპოვებ, რომ გამომეთქვა. იმ ურჯულოებმა ჩემი ნუგეში და თვალის სინათლე მომიკლეს, მე დამასახიჩრეს, მარცხენა თვალით თითქმის არ ვხედავ, თავზე დიდი ჭრილობა მაქვს. ჯანი გავარდეს, ამას ისა სჯობდა, მეც მოვეკალ და მღირსებოდა ილიასთან დასაფლავება. ეხლა დავრჩი ყრუ და უძლური. ნუ დამივიწყებთ. თქვენი ამბით მოსულდგმულეთ. მომეცით ნება, ჩემი დაუვიწყარი ილიას პორტრეტი მოგართვათ, გადავაღებინე და ვინახავდი. დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი. უბედური ოლღა ჭავჭავაძისა.

ხ მ ა, რომელიც წყევლას ჰგავს – დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპების მომხრეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით მათ ქებათა-ქებას!

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – პეტერბურგი. აკადემიკოსი კოვალევსკი. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, რომელთანაც თანამოაზრეობას სახელმწიფო საბჭოს აკადემიური ჯგუფი თავის პატივად თვლიდა. როდესაც რუსეთის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ნდობით მე ამირჩიეს სახელმწიფო საბჭოში, იქ შევხვდი თავად ჭავჭავაძეს, რომელიც, მხურვალე მომხრე იყო ეგრეთ წოდებულ მეცნიერების წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობისა. პროფესორ ტაგანცევთან ერთად თავადი ჭავჭავაძე გამოდიოდა სიკვდილით დასჯის გაუქმების წინადადებით. იგი ეკუთვნოდა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც მოითხოვდა ფართო აგრარულ რეფორმას გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოების მიზნით. მისი მზერა მიპყრობილი იყო ნათელი მომავლისაკენ, რომელიც აშენებული იქნებოდა თავისუფლებისა და საყოველთაო სოლიდარობის საწყისებზე. და განა გასაკვირია, რომ იგი ყოველი ასეთი წამოწყებისას მარტო რჩებოდა.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – პეტერბურგი. აკადემიკოსი მილერი. ეთნოგრაფიული განყოფილება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა, რომელიც თავის მოღვაწეობას უძღვნიდა ხალხების მატერიალური და სულიერი ყოფის მეცნიერულ შესწავლას, იშვიათად განიხილავდა მწერალთა მოღვაწეობას

ეთნოგრაფიის ამოცანების თვალსაზრისით. ჩემს ხსოვნაში ერთადერთი ასეთი ხასიათის სხდომა ჩატარდა 1899 წლის 25 მაისს და მიეძღვნა პუშკინს. დღევანდელი სხდომა ეძღვნება ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მოღვაწეობის განხილვას. თუ ჩვენ ჩავუკვირდებით ორივე პოეტის – რუსის და ქართველის – სულიერ ნიშნებს, ჩვენ მათ შორის აშკარა მსგავსებებს აღმოვაჩენთ. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი არ არის მათი პოეტური შემოქმედების ღვთიური მადლის აწონვა-შეფასება. ჩვენ აღვნიშნავთ მათ შორის მსგავსებას ამ მადლის გამოყენებაში, მშობლიურ ხალხთან მათს დამოკიდებულებაში, ხალხის ყოფის შესწავლით დაინტერესებაში, ხალხის სულიერ გამდიდრებისაკენ სწრაფვაში. პირველი და მთავარი, რაც ანათესავებს ამ ორ პოეტს – რუსსა და ქართველს – ხალხის სიყვარულია და მხურვალე სურვილი, – იხილონ ისინი თავისუფალი.

გ ა ნ ა თ დ ა ო ლ ღ ა – ჩემო კარგო და ნეტარო ჩემი გულისა დაო მარჯორი: თქვენი წერილი მებოძა და თქვენს ნახვასავით გამახარა. თქვენს დარიგებას კეთილად ავასრულებ, ვეცდები, გული დავიმშვიდო. გთხოვთ, მიიღოთ ეს ორი წიგნი ნემენცურს ენაზედ დაწერილი – ჩვენი სასიქადულო შოთა რუსთაველზედ, და მეორე ლეისტის მიმოხილვა ვრცელი საქართველოზედ. და ეს ხელსაქმე წმინდა ქართული, რომელიც ჩემმა ბიძაშვილმა შემიკერა. ეს ყველა მიუმატეთ ნივთებსა, რომელნიც ამშვენებენ იმ ქართულ ოთახს, რომელიც დედათქვენმა აგირჩიათ და თქვენ და თქვენმა ძმამ მორთეთ და მოკაზმეთ. ყოველთვის ის ოთახი, თუმცა არ მინახავს, განუყრელად თვალთ მიდგას. დღეს ჩემ ახალ სადგომში გადავალ მთაწმინდის ქუჩაზე, მეოცე ნომერში. ძალიან მოხარული ვარ, რომ ახლო ვარ მთაწმინდის ეკლესიაზედ. როდესაც მინდა, ავალ, ისე ახლოა, რომ შემიძლიან მარტოც ავიდე. დავწვები ხოლმე ჩემ დაუვიწყარ ილიას საფლავთან. იქ რომ ვარ, თითქო ჩემ ოჯახში ვიმყოფები, ისე მოსვენებას ვგრძნობ. მიიღებდით, ამას წინათ მოგართვით ილიას უკანასკნელათ გადაღებული სურათი. მოგართვით, რაც ჩემი ბედნიერებისა და სათნოების საუნჯეს შეადგენს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გულსაკლავათ ვერ ვინელებ, ესეთ უბედურ მდგომარეობას. ფიქრში რომ წავალ, სულ იმედით ვცხოვრობ და მგონია, შორს იმყოფება...

აკაკი მიდის ქუჩაში. შემორბის ბიჭუნა, გაზეთების დასტა უჭირავს ხელში.

I ბ ი ჭ უ ნ ა – ახალი ამბები! გუშინ, ნაშუადღევს სამ საათზე, ლაზარევისა და ავლაბრის ქუჩების კუთხეში უცნობმა რევოლვერი ესროლა ალექსი გიორგობიანს. უცნობი გაიქცა, მაგრამ პოლიციელები გამოუდგნენ, ესროლეს და

მოკლეს! *(აკაკიმ თვალი გაადევნა ბიჭუნას, მერე გზა განაგრძო. მისი ყურადღება რაღაცამ მიიქცია. გამობრუნდა და შევიდა „ივერიის“ რედაქციაში).*

ა კ ა კ ი – შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისა! *(აქ მარტო მანსვეტაშვილი დახვდა)* მართალია, ჯერ თორმეტი არ შესრულებულა, მაგრამ წინწაგდებული საქმე მიყვარს. სარკმლიდან შუქი გამოდიოდა და შევივლი-თქვა. ილია თავისთანაა?

მ ა ნ ს ვ. – ილია კი არა, მარტო მე ვარ. ვთქვით, რომ ახალ წელს აქ შევხვდებოდით, მაგრამ არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!

ა კ ა კ ი – გაზეთები უკვე გვილოცავენ ახალ წელს! ახლა ვიღაც გიორგობიანი მოუკლავთ! ღმერთო ჩემო, რა დრო დაგვიდგა? საკმაოა, კაცს უხერხულად გამარჯვება უთხრა, რომ მოსისხლე მტრად გადაიკიდო! *(დაწვდა გაზეთს და უინტერესოდ ჩახედა)* აი, თუნდა შენ, ჩემო ბატონო! რა დაგიშავე, მინდა შევიტყო, რომ ცუდ ხმებს მივრცელებ?

მ ა ნ ს ვ. – *(გაოცებული)* მე, ბატონო აკაკი, მე გივრცელებთ ხმებს?

ა კ ა კ ი – დიახ, არც მაგრე ამოჩემება ვარგა კაცისა!

მ ა ნ ს ვ. – ბატონო აკაკი, აქ რაღაც გაუგებრობაა, ღმერთმანი!

ა კ ა კ ი – ბოლო სტატიაში თქვენ არ თქვით ჩემზე, ლექსის მეფეაო?

მ ა ნ ს ვ. – მერე აქ რა არის ცუდი?

ა კ ა კ ი – ისა, რომ მევალეები დამესიენ, მეფე ყოფილხარ, ფული ბევრი გქონია და ვალს რატომ არ იხდიო! *(მანსვეტაშვილს გულს მოეშვა)* არ გეწყინოს, მიპატიებია მაგ ბოროტი ხმების გავრცელება... მით უფრო, რომ სინამდვილესთან ახლოა.

მ ა ნ ს ვ. – ბატონო აკაკი, გოგებაშვილი მოვა, ნიკო ხიზანიშვილიც...

ა კ ა კ ი – აბა თუ ხიზანიშვილიც მოვა, ჩვენი საკადრისი სუფრაც გაიშლება.

მ ა ნ ს ვ. – ჰოდა, ჩვენთან ერთად შეხვდით ახალ წელს!

ა კ ა კ ი – არ გჭირდება ჩემი დაყოლიება, თქვენთან ვრჩები, გიჟი ქორწილში შევიდა, ჩემ სახლს ესა სჯობიაო!

მ ა ნ ს ვ. – ადრე ვაჟაც შეჰპირდა ილიას, საახალწლოდ უთუოდ ჩამოვალო, მაგრამ ასეთ თოვლში...

ა კ ა კ ი – თუ შეჰპირდა, უთუოდ ჩამოვა. მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს.

ვ ა ჟ ა – *(შემოდის. ფეხები დაიბერტყა)* ძაან ბარდნის, ვოჟებო! *(აკაკი შენიშნა, იუხერხულა)*

ა კ ა კ ი – ჰაა, მთის არწივს გაუმარჯოს!

ვ ა ჟ ა – მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბულბულიცა!

ა კ ა კ ი – მე ეხლა ბულბული კი არა, ბებერი ძერა ვარ, წიწილას მოტაცებაც აღარ შემიძლია. აგერ, „ნაკადულში“ ერთი პატარა ყვინჩილა მივიტანე და უკან გადმომიგდო რედაქტორმა, არ ვარგაო! ჯერ იყო და მოსვენება არ მომცა!

ვ ა ჟ ა – შენ არხეინად ბრძანდებოდე, კიდევ მოდგება ქაჩალი მექუდის კარზე!

ა კ ა კ ი – გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ ხდება ეღოსა?

ვ ა ჟ ა – გამოვყრუვდი მთაში! სულ ერთი და იგივე, ერთნაირი ცხოვრება! ჩარგალში „ივერიის“ მეტს ვერაფერს გაიგებ. თქვენსკენ კი მომიხარიან. მთისას ვიტყვით, ბარისას, ამბებს გავუზიარებთ ერთმანეთს.

ა კ ა კ ი – აქ დარჩი, სხვაც ცოტა გაქალაქებულა?

ვ ა ჟ ა – ეჰ, ეგ მალამო ჩემი წყლულის წამლად არ არი. ვაჰმე, ჩემო საორბევ, ჩემო დეკიან-გორო, შენი ხივილი ვეღარ გავიგონო? მე სხვას ვჩივი. მთელი ჩემი ცხოვრება პარადოქსია. როცა ვხნავ, პოეზიაზე ვფიქრობ, როცა ლექსებსა ვწერ, ლუკმა-პურზე ვფიქრობ. ხან ერთი მიშლის ხელს, ხან მეორე. რა ვქნა, ჩინოვნიკობა ჩემი საქმე არ არი!

ა კ ა კ ი – შემოგევლოს, რაც ქვეყანაზე მდიდრებია! ერთი მეზობელი მყავს, ქონება თავზე გადასდის. მე ორმოცი წელი ვაშენებ ოჯახს და ვერ ამიშენებია, ის იმავე ხნის განმავლობაში ანგრევს ოჯახს და ჯერაც ვერ დაუნგრევია. ჩვენზე წინ რით არის? იმ დღეს ილია წინამძღვიშვილი შემხვდა...

მ ა ნ ს ვ. – მაგ კაცს რომ ვხედავ, მუხლი მინდა მოვუდრიკო!

ა კ ა კ ი – ფეხით მიდიდოდა, სიცივისგან გალურჯებული. ამ სიშორეზე შაური გენანება, კონკით წასულიყავი-თქვა! ჩემო აკაკიო, იმ შაურით რვეულებს ვიყიდი და ჩემი ტეტია ბიჭები მთელ თვეს ბღაჯნიანო! „არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი“!

მ ა ნ ს ვ. – მადლობა ღმერთს, რომ მაგისთანა კაცები საქართველოს ჰყვანდა და ჰყავს.

ვ ა ჟ ა – *(უცებ გაცეცხლდა და მოკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა)* მერე ვინ არის დამფასებელი? წაიკითხეთ, რასა სწერენ? *(კითხულობს)* „დღეს თქვენ თავისუფლად მოაზრე ქართულ ინტელიგენციაში დაჰკარგეთ თითქმის ყოველი ნდობა, მიიხედ-მოიხედეთ, თავადო ჭავჭავაძე, ვინღა დაგრჩენიათ გარშემო თქვენი მიმართულების თანამშრომელი, ყველა თქვენი გაუტანლობით შემოიფანტეთ!“ ეგრე უღმერთოდ და უნამუსოდ წერა შეიძლება? მტერს რათ ვალაღებთ, ილიას სახელს საჯიჯგნად რისათვის ვუთმობთ? მე როდი მიკვირს, ილიას გარშემო ყვავ-ყორნები რომ ჩხავიან. არა ჩუმდებიან. ასეც უნდა იყოს სწორედ. მსგავსი მოვლენა ხვედრია დიდებულ ადამიანთა. მაგრამ მე ჩვენი გამკვირვებია!

მ ა ნ ს ვ. – მე ერთი რამ მაქვს აზრად. ილია რომ მობრუნდება, ყველამ ვურჩიოთ, გული მიტირის, ავი წინათგრძნობა არ მასვენებს. ცოტა ხანს უნდა განერიდოს ბრძოლას, სანამ ღვარცოფი მინელდება. თვითონაც აღარ არის ისეთი, გულჩათხრობილი გახდა, დაიღალა, ხორციელად გამოიფიტა! განა ილია მეორეცა გვყავს?

ვ ა ჟ ა – ჩვენ მაშინ დავაშავეთ, ილიას რომ დავუჯერეთ და იმ გესლიანთა ბინძურ სისინსაც შევუშინდით, პირში ბურთი არ ჩავსჩარეთ, ცდა დავაკელით და ილიას იუბილე ჩავშალეთ!

მ ა ნ ს ვ. – ფაქტებით არ არის დადასტურებული, რით დაიმსახურა ილიამ ერის სიყვარული და პატივისცემაო!

ვ ა ჟ ა – იმ ბრიყვთ რანაირი ფაქტები ნებავთ, საქართველოს გულისცემას მიაყურადონ!

მ ა ნ ს ვ. – მართლაც, ყველას ფიქრი და ზრუნვა იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი პატივით გადაგვეხადა ეს ეროვნული დღესასწაული!

ვ ა ჟ ა – არაო, გვეუბნებიან ის უკეთურები! არც ერთს ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხსაო! დღეს აქამომდე არც მინახავს და არც გამიგონია ანდერძად, ვინმე ასე მოწადინებით სჭრიდეს ძუძუს საკუთარ დედას! ეს მარტო ილიას ლანძღვა არ არის, ეგ ნალი მთელს ერსა ხვდება!

ა კ ა კ ი – რა ვიცი, რუსთ ხელმწიფეს რომ ჰკითხო, ქართველები ვართ სეპარატისტები და შოვინისტები. რა უნდა გაიგო? ერთი უკუღმა ხნავს, მეორე წაღმა ფარცხავს, ბრალი საქართველოსი!

ვ ა ჟ ა – საფანელი შემოჰკლებია ჩვენს შემქმნელსა! კუტი პურები ვცხვებით! იქნებ ახლა გავისარჯოთ? ცხრაას შვიდი წელი დგება და ილიასაც სამოცდაათი უსრულდება... *(ახლა შენიშნეს გოგებაშვილი, კარებში მდგარი, გაფითრებული, ჩამკვდარი. ყველა შეაშინა მისმა დანახვამ).*

გ ო გ ე ბ. – *(სავარძელში ჩაესვენა, ისე თქვა, თითქოს ოთახში მყოფთ არ მიმართავდა)* საზარელი მკვლელობა მოხდა! *(ყველამ აშკარად იგრძნო, რომ ფეხქვეშიდან მიწა ერთ წამს გამოეცალა. სამივეს ერთდროულად ეს ბგერები აღმოხდა):*

– ვი..

– რას...

– სა...

– რა...

გ ო გ ე ბ. – *(მისუსტებული ხმით)* ილია სად არის? *(რადგანაც ის „საზარელი მკვლელობა“ ილიას არ უკავშირდებოდა, სამივეს დაუბრუნდა მეტყველების უნარი, თითქოს სიმხნევეც მიეცათ).*

– ვინ მოჰკლეს?

– რა მოხდა?

– კიდევ რა ამბავია ჩვენს თავს?

– წყალი!

გ ო გ ე ბ. – ნუ შესწუხდებით, გეთაყვა, რაკი ელდას ვაჯობე, ეხლა ნუღა გეშინიათ... ნიკო ხიზანიშვილი მოჰკლეს!

ვ ა ჟ ა – ვინ მოჰკლა?

გ ო გ ე ბ. – მთელი საქართველო მოიცვა აუარებელმა ისეთმა უბედურებამ, როგორიც არ გადახდენია ჩვენს მრავალტანჯულს ქვეყანას არასოდეს. საშინელ სინამდვილეს, საზარელ დაისს ვუახლოვდებით... საბაშვილის დუქანში ზაქარია ჭიჭინაძე სიკვდილის პირამდე უცემათ.

მ ა ნ ს ვ. – ზაქარიასთვის? ვის რა დაუშავა ამ კრავივით...

გ ო გ ე ბ. – დღეს გროშის ფასი დაედო ადამიანის სიცოცხლესაც... დუქანში ერთ მაგიდასთან ყმაწვილები მსხდარან. ზაქარიას უდღეგრძელებია ისინი. შემდგომ ილიას სადღეგრძელო შესთავაზა თურმე... „შავრაზმელ ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს არა და, თუ ძალიან გინდა, შესანდობარს კი გეახლებით!“ ეს სიტყვები როგორი მოსასმენია, ბატონებო!.. ზაქარიას თავზარი დასცემია და ყმაწვილები გაუკიცხავს. იმათ კი ფეხქვეშ გაუგდიათ თურმე და...

ა კ ა კ ი – ეგ როდის მომხდარა?

გ ო გ ე ბ. – გუშინ, საღამოს... საბაშვილს შინ ცოცხალ-მკვდარი მიუყვანია.

ა კ ა კ ი – სწორედ გამოცანაა ქართველების ცხოვრება!

ვ ა ჟ ა – ეჭვით ვლაპარაკობ, რომ ამ ამბავს სისხლის გეში დასდევს. რაღას ველით, ხალხო? ნუთუ დავლაჩრდით? ბოლოს არ ვიტიროთ და არ ვინანოთ! ხვალვე ავალ მთაში, კარგ ბიჭებს ავარჩევ: ილია გვეძახის, ჩვენს მოამაგე მამას უნდა სასწრაფოდ ვეახლოთ, ვინც გულს ძალა დაატანოთ, არ გეპატიჟებით!“ – ერთს შევძახებ, და აიშლებიან ფშაველები, რა ლამაზად გაირჯებიან! ვაჰ დედას თქვენსას, ყორნებო! ვინაც თავისი სამშობლო თვით ღმერთზე მეტად იწამა, – შავრაზმელიო?! ნამუსი აღარ არი და დანდობა? კიდევა ვნახავ, ყორნები აღარა ჩხაოდნენ, ჩვენი ილია ისევ უჭუჭყო დარჩება!

გ ო გ ე ბ. – ჯერ შიო ჩიტაძის სუნთქვა არ გაციებულა...

მ ა ნ ს ვ. – დიმიტრი ყიფიანი ვერ მოგვინელებია...

ვ ა ჟ ა – განა მტერი გაგვიწყდა, რომ ერთმანეთს ვხოცდეთ? შემოდის ნათლის სვეტი. დინჯად გაიარა და შუა ოთახში შეჩერდა

ა კ ა კ ი – *(პაუზის შემდეგ)* ილია, რას ერჩოდნენ? ვინ მოჰკლა?

ი ლ ი ა – *(პაუზის შემდეგ)* აბა, როგორ ვთქვა... მკვლელი არ არის შეპყრობილი... საშინელ ხანაში შევდგით ფეხი. რეაქციამ აღვირი წაიხსნა, ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არაფერს გვითმობს?

მ ა ნ ს ვ. – აბა! მაგას ვამბობდით სწორედ! რომელი ერთი წმინდა ზვარაკი ჩამოვთვალოთ? დიმიტრი ყიფიანი რად გვიღირდა? *(პაუზა).*

ი ლ ი ა – იგი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი და ჩვენ – მისი კალატოზები!

მ ა ნ ს ვ. – ნეტა ვის იმედზე-ღა სტოვებენ ამ უბედურ ქვეყანას?

გ ო გ ე ბ. – სადღა არიან ისინი, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვისაც დაკარგულად მიაჩნია წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის!

ა კ ა კ ი – ჩვენში მამულიშვილობას კუჭის ზევით ვერ აუწევია, რომ გულამდი და ტვინამდი მიაღწიოს. სადილობამდის სხვას ვფიქრობთ და სხვასა ვგრძნობთ, ნასადილევს კი სულ სხვასა. ისე, რამდენი გაიძახის, „საზოგადო მოღვაწე ვარო“, საზოგადო სარბიელის ქანდარაზე ფარშავანგის ნაცვლად წამოუსკუპებიათ და გაფუყულ ინდაურივით იქიდან იმზირებიან. უმეტესობა ბოდბელის აღსარების მიმდევარია: თუ მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზეც ნუღა ყოფილაო! ფარისევლური ქცევით უნდათ, ხალხს თვალი აუხვიონ.

ი ლ ი ა – მერე, რა, რომ გულში ფუღურო აქვთ და შიგ არა არის-რა? გულში ცემა ხომ იცის იმის ნიშნად, რომ ვიწვი და ვიდაგვი ქვეყნისათვისო? ესეთებს მუდამ ჯიბეში ხახვი უდევთ და როცა დასჭირდებათ, თვალებს ხახვით მოისრესენ, ცრემლები მოგვედინება და უფრო დაგვიჯერებენო! საწყალო საქართველოვ, ვაი შენს მტერს დაეყაროს, რაც შენ დაგეყრება, თუ მართლა საქმე ისე გაგიხდა, რომ ესეთის „საზოგადო მოღვაწეების“ იმედზე დარჩე! გაჰქრა გულწრფელობა, მართლმოყვარეობა და დიდსულოვნობა. დღევანდელ ბაზრისათვის არც ერთსა აქვს მაზანდა, არც მეორეს და არც მესამეს. მიზეზთა მიზეზი ის გახლავთ, რომ განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალეთ. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის? ჩემი ლხინი შენი არ არის, შენი ჭირი ჩემი არ

არის. ქართველი საყოველთაო სახელია და საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად არაო. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა! ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობრივად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერიენით. ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე ცალ-ცალკე შესძლებდა, რადგან მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარ გვქონდა. სიტყვას „მამულსაც“ ეგ საქმე დაემართა. წავიდა ის დრო, როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულან. ახლა ეგ დიდებული სიტყვა „მამული“ თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებას ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს. მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე. მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილ ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია. მამულის ძლევამოსილება – მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული, მამულის სიმაგრე – ტყრუშული ღობე, მამულის პატივი, ნეხვი, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი. განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ერთად ადვილი საზიდია. დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი. დიდი „მამული“ დავშალეთ, თვითეულმა ჩვენგანმა თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა, იმ შემოღობილში თვითეულმა ჩვენგანმა თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა, თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა... *(მძიმე პაუზა. გარედან მოისმის სროლის ხმა. ეს საახალწლო შედლუხია)*

მ ა ნ ს ვ. – ბატონო ილია, მოვიდა ახალი წელი!

ი ლ ი ა – *(პაუზის შემდეგ)* რა უნდა მივულოცოთ ჩვენს თავს! რა გვაქვს დღეს სასურველი და სასიქადულო, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ? ან რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მოვიხედავთ და ამ ახლო ხანებში ისეთი არა გვრჩება-რა, რომ თავი მოვიწონოთ. წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს-რა, რომ გული გულის ადგილსავე დარჩეს... *(ყველა გაქრა, გარდა ნათლის სვეტისა. სრული სიჩუმე)* ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე არ უმუშავნია, რომ ან

წარსულს ნაღველით გამოვსალმებოდით, ან მომავალს სიხარულით მივგებებოდით. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს, ჩვენ კი ვართ ისევ ისე ხელცარიელნი. ჩვენი თავი ისევ ისე წყალს მიაქვს. საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი, ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა? ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ველოდოთ, როდემდის? შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ?

რკინიგზის სადგურისთვის დამახასიათებელი ხმაური. ნათლის სვეტი, აკაკი, გოგებაშვილი.

ი ლ ი ა – როგორ არ მინდა ისევ ვნახო ის დაჩამიჩებული ჩინოსნები, ელექტროლამპებით ალაპლაპებული მელოტები, ყმური, ქვეშევრდომული ექსტაზით აღტყინებული სახეები, აცრემლებული, მიმქრალი თვალები, „ბოჟე ცარია ხრანის“ გალობა! რაღაც უცნაურ განწირულების, საცოდაობის სურათია!

ა კ ა კ ი – მართალი გითხრა, ჩემო ილია, მე მიხარია, რომ მიდიხარ. დროებით მაინც განერიდები ამ განუკითხავ სიგიჟეს!

ი ლ ი ა – ხვალ გაზეთებში ატყდება გნიასი: თავადი ჭავჭავაზე, ვითარცა დღევანდელი სახელმწიფო წყობილების ერთგული მომხრე, პეტერგბურგს გაემგზავრა, სახელმწიფო საბჭოს თავისი მორჩილება რომ დაუდასტუროსო! რას ვიზამთ, განგებამ ესე ინება, რომ ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდ ურემზე გამობმული, საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც!

ბიჭუნამ ყვირილით გაირბინა. გაზეთების დასტას ათამაშებს.

ბ ი ჭ უ ნ ა – ახალი ამბები! გუშინ, საღამოს რვა საათზე, სადგურის მახლობლად უცნობმა რევოლვერით მოჰკლა გამვლელი კაცი, რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ. პოლიციელები გამოუდგნენ, მკვლელს რამდენიმეჯერ ესროლეს, მაგრამ მოასწრო მიმალვა.

ი ლ ი ა – *(როდესაც ბიჭუნას ყვირილი მიწყდა)* ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარ ღირს. უარესი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ... იქნებ შევესწროთ ბევრად საშინელ ტრაღედიას, ვიდრე სტავროპოლისა იყო, დიმიტრი ყიფიანის თავზე გადამტყდარი!

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – სანკ-პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტს. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც იმყოფება პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ, გამოემგზავრა სანკ-პეტერბურგს, რის შესახებაც ეცნობა სანკ-პეტერბურგის ქალაქის თავს. ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – ტფილისი, გრიგოლ ყიფშიძეს. აკადემიკოს კოვალევსკის სტატია იყო „სტრანაში“ ილიას შესახებ. ილიამ ფურორი მოახდინა აქა. ყველაზე ლიბერალი, ყველაზე მოწინავე ეგ აღმოჩნდა. დანარჩენი შენ იანგარიშე. შენი ძმა, ალექსანდრე.

ნათლის სვეტი და სავარძელში ჩამჯდარი შაუმანი.

შ ა უ მ ა ნ ი – თავადო ჭავჭავაძევ, ვიღებ მხედველობაში თქვენს მოუცლელობას, ნება მომეცით, მხოლოდ რამდენიმე კითხვით მოგმართოთ გაზეთ „პეტერბურგის ფურცლის“ რედაქციის დავალებით. თქვენ უკვე მოასწარით, დაგემსახურებინათ თვალსაჩინო ადგილი დეპუტატთა შორის, როგორც მტკიცე და შეუვალი პოზიციის მქონე სახელმწიფო მოღვაწემ. როგორ გესახებათ თქვენი საქმიანობა სახელმწიფო საბჭოს მუშაობაში?

ი ლ ი ა – სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავადაზნაურობამ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი – ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები.

შ ა უ მ ა ნ ი – კერძოდ?

ი ლ ი ა – მე დავიცავ ადგილობრივ ინტერესებს. ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების სფეროში მე მომიხდება დავიცვა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა კანონმდებლობითი ურთიერთობით.

შ ა უ მ ა ნ ი – მაგრამ თქვენ უკვე გადადგით ნაბიჯი, რომელმაც წინასწარ თქვენს წინააღმდეგ განაწყო დეპუტატების დიდი ნაწილი, თუ მთლიანად არა.

ი ლ ი ა – რომელ ნაბიჯს გულისხმობთ?

შ ა უ მ ა ნ ი – მე წავიკითხე „რუსის“ დღევანდელი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია თქვენი განცხადება. *(კითხულობს)* „მოწყალეო ხელმწიფევ“! „რუსის“ ოთხმოცდამეცხრე ნომერში რუბრიკით – „სახელმწიფო საბჭო“ გამოცხადებულია, რომ სახელმწიფო საბჭოს მომავალ სხდომაზე ნავარაუდევია აწ გარდაცვლილი თავადის, გოლიცინის ხსოვნის აღნიშვნა და რომ სიტყვით გამოვლენ განსვენებულის დამსახურების შესახებ ფრიში და თავადი ჭავჭავაძე. მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ამ ცნობის ის ნაწილი, რომელიც მე მეხება, წარმოადგენს მტკნარ სიცრუეს. ამისათვის მის გასაბათილებლად კეთილ ინებეთ და თქვენი გაზეთის მომავალ ნომერში დაუთმეთ ადგილი ამ განცხადებას. გთხოვთ, ყველა იმ გაზეთმა, რომელთაც ისარგებლეს აღნიშნული ცნობით, გადაბეჭდონ ჩემი წინამდებარე განცხადება. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“.

ი ლ ი ა – დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული, რომელაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთა მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს და თუ რომელსამე მაღალ პირთან ან ისეთ დაწესებულებაში გაგზავნიან, როგორიც ჩვენი საბჭოა, უნდა საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს. ჩემს ქვეყანას და საზოგადოებას, რომლისაც წარმომადგენელი ვარ, კარგად ახსოვს სიმწვავე თავად გოლიცინის მათრახისა და ჩემთვის არ დაუვალებია გოლიცინისათვის გუნდრუკის კმევა.

შ ა უ მ ა ნ ი – მე ვკითხულობდი კორესპონდენციებს საქართველოდან. ხომ არ მიგაჩნიათ გაზვიადებულად?

ი ლ ი ა – რაც რუსულს გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ, დეპუტატებიც აღძრავენ ამ საგანზე შეკითხვას. იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი საბუთი ჩვენი ქვეყნის ვაებისა.

შ ა უ მ ა ნ ი – ხომ არ იქნება შიში იმისი, რომ სეპარატისობა დაგწამონ?

ი ლ ი ა – ეგ ყბადაღებული სეპარატისტობა ბევრჯერ დაუწამებიათ, მაგრამ ქართველებს მგლის შიშით ცხვარი ჯერ არასოდეს გაგვიწყვეტია. აქ ერთმანეთისაგან გასამიჯნავია ნამდვილი სეპარატისტობა და ადამიანის, ერის შელახული უფლების მოსარჩლეობა. გულწრფელად და სინდისის ქვეშ ნათქვამ სიტყვებს ნუ დავარქმევთ სეპარატისტობას, ნუ ვინებებთ ამისთანა ძველის

იარაღის ხმარებას. ავტონომიას რომ ვთხოულობთ, რუსებისაგან გამოყოფას არ ვგულისხმობთ. რუსებთან ერთობაშია ჩვენი მხარის კეთილდღეობისა და აყვავების გარანტია: ეს გახლავთ ჩემი და ჩემი ხალხის ურყევი რწმენა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კეთილდღეობა და ბედნიერება ჩვენი ხალხისა – კერძოდ, და პროგრესი კაცობრიობისა – საერთოდ, ხალხთა ერთობაში უნდა იყოს, ძმობის, სიყვარულისა და თანასწორობის საძირკველზე დამყარებული. „ვეფხისტყაოსანში“ ესე სწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ არის დაწერილი.

შ ა უ მ ა ნ ი – პეტერბურგის პრესა ახლადარჩეულ წევრებს ამგვარად აჯგუფებს: თვრამეტი წევრიდან ცამეტი ეკუთვნის მემარჯვენე ფრთას ცენტრისას, ოთხი – უკიდურეს მემარჯვენეს. რჩება ერთი, რომელიც, თუმცა რამდენადმე განსხვავებულ, მაგრამ მაინც სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამას იზიარებს, ზოგ შემთხვევაში კი კიდევ უფრო მარცხნივ იხრება. ეს ერთადერთი პროგრესული წევრი სახელმწიფო საბჭოსი არის ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე. „რეჩ“, ნომერი ორმოცდამეოთხე. თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა მოგვახსენეთ ამის თაობაზე.

ი ლ ი ა – არ ვიცი, რა თვალსაზრისით დააჯგუფა საბჭოს წევრები პატივცემულმა ავტორმა, მაგრამ იმათ რიგებს რომ არ მიმაკუთვნა, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო პირნი და დაწესებულებები კი არ არსებობენ ხალხისათვის, არამედ ხალხი არსებობს მათთვის, ამისათვის ავტორს გულწრფელად ვმადლი.

შ ა უ მ ა ნ ი – ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აპირებთ, წინადადება შეიტანოთ სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე.

ი ლ ი ა – მე მოხსენებით წარვსდგები სახელმწიფო საბჭოს წინაშე. საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, არაფეს მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სულ სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული. მთავარი ის არის, რომ მკვლელობა, სიკვდილით დასჯა იქცა ისეთ ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენად, ესეთმა მოვლენებმა იმდენად მიგვაჩვიეს, რომ უკვე გულგრილნი შევიქენით მის მიმართ, დაგვიჩლუნგდა გრძობა განცდისა, აღელვებისა და შეგრძნება ასეთი მოვლენების სიმკაცრისა. ეს კი ქვეყანაში გზას უხსნის ადამიანურ გრძნობების გაუხეშებას. მე შევეცდები, სახელმწიფო საბჭოს წევრები დავარწმუნო, რომ

ადამიანის დასჯა სიკვდილით ჰუმანური არ არის და არ ეკადრება განათლებულს საზოგადოებას. ჩემი მეცადინეობიდან რა გამოვა, ვნახოთ. არც ისე დიდი დრო დაგვრჩება მოლოდინისა.

სვეტი ნათლისა და კოვალევსკი

კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი – დიდად ვწუხვარ, რომ ჩვენ ერთანეთს უნდა მალე დავშორდეთ. კვლავ დამაფიქრებელი ამბები მოდის საქართველოდან. საბჭოს მომავალ სხდომამდე იქნებ აქ დარჩეთ, იქნებ მანამდე დაწყნარდეს ვნებათა ღელვა?

ი ლ ი ა – ამდენი ხანია არა ვყოფილვარ საქართველოში! ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩემს ქვეყანას თუ არ გადავხედე, ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია!... ყმაწვილობაშიც გამომიცდია ნაღველი სამშობლოს მოშორებით, მაგრამ ესე ძლიერ – არა.

კ ო ვ ა ლ. – მე თქვენ მაგონებთ მეომარს გარდახდილი ბრძოლების შემდეგ, დაღლილს, დაქანცულს, მაგრამ ვიმედოვნებ, არა გულგატეხილს.

ი ლ ი ა – მე ბრძოლას არ დავუღლივარ. მე დამღალა უმადურობამ და განუკითხაობამ... მე გიამბობთ ერთს შემთხვევას. ამის შესახებ არც ერთ ჩემი თანამემამულესათვის არ მითქვამს. ამ რამდენიმე წლის წინათ მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევხვდი ერთს ჩვენს საზოგადო მოღვაწეს. იმას ახლდა ორი უცნობი მამაკაცი. ჩემს ძარღვებში ერთბაშად სისხლმა იჭექა და იხუვლა, და მივხვდი, ის ორი მამაკაცი ფერეიდნელი ქართველი იყო, ისტორიის უკუღმართობის შედეგად სპარსეთში გადახვეწილი ორასი ათასი ქართველის ნაშიერნი! იმ ჩვენმა საზოგადო მოღვაწემ თავი ამარიდა და თავის მხლებლებით მსწრაფლ გამეცალა. მიხვდებით: მე, ახალრაზმელთა მიერ შერისხულსა და უარყოფილს, ბოიკოტს ვინც არ გამომიცხადებდა, თვით იქნებოდა შერისხული. როგორ მინდოდა, გამოვლაპარაკებოდი იმ ორ ადამიანს, საკუთარ სამშობლოში სტუმრად ჩამოსულთ, ჩემი საქართვლოს სისხლისა და ხორცის მოკვეთილ ნაწილებს, ძმურად, მამაშვილურად მიმეყრდნო გულზედ. გავსცქეროდი უკანმოუხედავად მიმავალთ, ჩემგან რომ გარბოდნენ, როგორც კეთროვანისაგან, და ჩემს გულში ბაღლამი დუღდა. მე რაც გიამბეთ, ჩვენ ორმა ვიცოდით, მე და იმ საზოგადო მოღვაწემ, ორივეს გულში ჩაიმარხა ის ტკივილი, იქ გაითხარა სამარე. ის ვერავის ეტყოდა, მაგრამ გავა დრო და აღიარებს, რადგან ცოდვის იმ ტვირთს ის ერთი მარტო ვერ გაუძლებს.

კ ო ვ ა ლ. – გულს ნუ გაიტეხთ, თავადო ჭავჭავაძე, მტყუანი და მართალი ვერც ჩვენ გაგვიგია ჩვენსავე რუსეთში. ნურც ის დაგწყვეტთ გულს, თუ თქვენმა მცდელობამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა საბჭოს წევრებში.

ი ლ ი ა – მე ვიცოდი, რომ დავმარცხდებოდი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა წავიკითხე დეპუტატების განაწესი, ოდნავ განათლებული კაცისაც კი შეურაცხმყოფელი.

კ ო ვ ა ლ. – თქვენი შენიშვნები ძლიერი მათრახი იყო მთელ საბჭოსათვის.

ი ლ ი ა – დღევანდელი საბჭოს შემადგენლობა უღონოა, გაუძღვეს საზოგადო აზრთა დენას, მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველს კითხვაზე, რასაც წამოჭრის მოუსვენარი ჩვენი ცხოვრება. ძვირფასო მაქსიმ მაქსიმეს ძევ! გთხოვთ, გვწყალობდეთ და გიყვარდეთ ჩვენ, დავიწყებულნი მოქალაქენი რუსეთის ქვეყნისა, ჩვენის საერთო მამულისა! ვამბობ დავიწყებულნი იმიტომ კი არა, რომ არავის ვახსოვართ, არამედ იმიტომ, რომ არავინ გვიცნობს. იქნებ ვინმემ ჩაიხედოს ჩვენს გულში, გაიგოს ჩევნი გულთნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვიწყოს. მე ამას ვამბობ არა ვისმე საწყენად და სასაყვედურად, არამედ სურვილით, დაიდგინოს ჩვენს შორის სულიერი კავშირი. რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო და მით, რომ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ჩვენი სიყვარული სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთეს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია... საბედნიეროდ, არიან რუსეთში იმისთანა კაცნი, რომელთაც გაუგიათ ჭეშმარიტი ძალა ამ სიყვარულისა. ნება მომეცით, მაქსიმ მაქსიმეს ძევ განსაკუთრებულის სიამოვნებით ამისთანა კაცთა შორის გიგულოთ თქვენც. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ!

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – პოლიციის დეპარტამენტს. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც იმყოფება პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ, სანკ-პეტერბურგიდან გაემგზავრა ტფილისს, რის შესახებაც ეცნობა ტფილისის

საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს. სანკ-პეტერბურგის ქალაქის თავი.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – პოლიციის დეპარტამენტს. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც იმყოფება პოლიციის ფარულ მეთვალყურეობის ქვეშ, დაბრუნდა ტფილისში და ცხოვრობს ტფილისში, ანდრეევის ქუჩაზე. ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი.

ხ მ ა, რომელიც წყევლას ჰგავს: დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპების მომხრეს!

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – ტფილისის გუბერნატორს. მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც იმყოფება პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ, გაემგზავრა თავის მამულში – დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოს, რამდენიმე დღით, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ამის შესახებ შევატყობინე დუშეთის მაზრის უფროსს. ტფილისის პოლიცმეისტერი.

ცხენების ფლოქვების ხმა. ეტლი რბის ქვა-ღორღიან შარაზე. ეუვნების ყღარუნი.

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?

წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა...

ერთბაშად. – ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი. გავარდა თოფი, ისევ ადამიანთა კონტურები.

ხ მ ა – ფეოდალ კლასიკს ჰქონდა მამული, მეტყველ პირუტყვებს აძრობდა ტყავსაც,

qonda გლეხების მას სიყვარული, ვით ხარი უყვარს ჯანიერ ყასაბს.

I მ ს ა ხ ი ო ბ ი – ამომრჩევლები კავკასიიდან პრეტენზიას აცხადებენ სახელმწიფო საბჭოში ერთ განთავისუფლებულ ადგილზე იმ მოტივით, რომ თავად ჭავჭავაძის სიკვდილისა გამო მათ აღარ ჰყავთ წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში.

II მ ს ა ხ ი ო ბ ი – გამოვდივართ რა საკითხის ასეთი დაყენების წინააღმდეგ, ვაცხადებთ, რომ ილია ჭავჭავაძემ, ავირჩიეთ რა სახელმწიფო საბჭოს წევრად,

შეარცხვინა მთელი თავადაზნაურობა. მან არაერთგზის აშკარად გამოსთქვა თავისი მავნე პოლიტიკური შეხედულებები, რის გამოც მიგვაჩნია, რომ კავკასიას აღარ უნდა მიეცეს ასეთი შესაძლებლობა. შეცდომა რომ აღარ განმეორდეს, თუ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა დაგვისახელებს ისეთ საიმედო კანდიდატს, როგორიც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდაც წერა-კითხვა არ იცოდნენ, დიდის სიამოვნებით ავირჩევთ. სახელმწიფო სათათბიროს სახელით – კრუპენსკი, მარკოვი.

ხ მ ა – მზამზარეული მამულის ხილი ტკბილი იყო და მწიფე, მზიანი, გლეხების სისხლით გულგაპოხილი ლექსებში იყო ადამიანი.

ხ მ ა – ქართველო ხალხო, გონს მოდი! გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე!

გ ა ნ ა თ დ ა ვ ა ჟ ა – მთელი ორმოცდაათი წელი ილიამ საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი, როგორც დედა ერთადერთი ჩვილი შვილისა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, ან არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულ ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

გ ა ნ ა თ დ ა გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი – იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. იგი იყო გენიალური პოეტი, გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის.

ი ლ ი ა ს ხ მ ა – ორნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე – მოქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი ვერაფერი მაგდენი ღვაწლია. სადიდებელი კაცისა მეორე სათნოებაა.

გ ა ნ ა თ დ ა ო ლ ღ ა – ტფილისის გენერალ-გუბერნატორს. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, თვით შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი

ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქოს მხოლოდ იმისათვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა – შევუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა.

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე. Xორცშესხმული, „სიწმინდის მადლით დამშვენებული“. ანთებული კელაპტარი უკავია. ძლიერი სვეტი ნათლისა ეცემა ზემოდან და თვითონაც თითქოს ნათლის სვეტია.

ი ლ ი ა – დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა.

საღრმთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!..

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა!...

დასასრული.

1987 წ.